



ՅՈՒՅՑ

16

№ 3

1924



სტამბა პოლიგრაფისკოლისა, ტფილისი, განვის ქ., № 3.

პროდუქტებისა და მცენისა, მეცნიერება!

F/136
1924
საქართველო
სამსახური

F/10625

F-898



№ 3



უკაველთვისა სამხატვრო-სალიტე-
რატურო და საგეცნიერო უნივერსი

0303060 1924 ვები



ბასუნისმგებელი რედაქტორები: მ. კახინი
გ. ბახტაძე

გამომცემელი: საქართველოს კოლეგიანი-
ლების მთავარ - მართვალისა



შ ი ნ ა ა რ ს ი

გ ხ ა მ ვ რ ე ლ ი ღ ი მ ა რ ა მ უ რ ა

ს ა ქ ა რ თ ვ ი ლ ი

	გვერდი
1. გალაკტიონ ტაბიძე — აღმოსავლეთი	11
2. გასო გორგაძე — ლენინ	15
3. იონა ვაკელი — მაღაროს პრელუდიები	17
4. პაოლო იაშვილი — ფერადი ბუშტები	20
5. დემია შენგელაძა — სანაურადო (დასასრული)	33
6. მიხეილ ჯავახიშვილი-ადამაშვილი — რასპუტინის კუდზე	69

რ უ ს ე თ ი

7. ილია ერენბურგ — მეორე ყალიონი. თარგმ. ვასო გორგაძის	125
8. ვასილი კაზინ — ლენინ. თარგმ. ვასო გორგაძის	136

დ ა ს ა ვ ლ ე თ ი


9. ე. ვაგნერ — ჰაშბურგის შებრძოლებს. თარგმ. ვასო გორგაძისა	141
10. ბაირონი — კაუნი (ბისტრია) თარგმ. კოსტანტინე ჭიჭინაძის	143

თ ვ ა ტ რ ი

11. შიხ. ქორელი — შაატერულ-მოძრავი თეატრი საქართველოში	203
--	-----

გხეტვრობა და პრიტიქა

12. ქირ. ზდანევიჩი — ნიკო ფიროსმანი	211
13. შ. დუდუჩავა — ესთეტიკური იდეალი წელოვნებაში	216
14. ლ. გ. — ბაირონი	222



საქართველოს
განაკვეთი 230

მონოგრაფია

15. გიორგი ლეონიძე — ივანე მაჩაბელი

ა ვ ტ ი ა რ ე ბ ა

16. მოხე გოგიაბერიძე — რელატივობის თეორიის ფილოსოფიურ
საფუძვლებისათვის

243

17. ს. კაკაბაძე — საქართველოს ეკონომიკურ ეითარების შესახებ
მე-18 საუკუნეში

266

18. რიაზანოვი — კ. მარქსის და ფ. ენგელსის ლიტერატურულ
მემკვიდრეობის ახალი მასალები

289

პ ი ბ ლ ი მ რ ა ფ ი ა

რეპროდუქციები: ბაირონი — (პორტრეტი)

ნიკო ფიროსმანი: 1) ქალი მიღის წყაროზე

” 2) ცხენის ქურდი

” 3) ყიჩალები.

კ დ ა: წილოსანი

მარკა: გ. ჩხილვაძე



მსატმენი რიტერატურა



Ն Ա Յ Ա Հ Ո Յ Ո Ւ Թ Ո

აღმოსავლეთი

ცეცხლმოდებული დღეა მკათათვის,
იწვის აზია, იწვის აფრიკა.
აპა, შექმნილი მბრძანებელთა და მონათათვის —
სასახლე, ციხე, ქოხი, ფაბრიკა
ხვეულად ქარგავს მრავალფერ ქარგებს
მათ სხეულებზე, ვინაც უნებიან
სიმხურეალეთა სულის სუნთქვას არ აიხილებს
და „კულტურული“ ბორკილის ქვეშ იმყოფებიან.

ცხელი კა სავსეა უთეთრეს კრაფებით.
რას ნიშნავს ასეთი დუმილი?
სადნობი საკირე, ალმური, ლუმელი
ელვარე გადასაკრავებით.
გადამწვარ ხრიოკებს
მზე დაუნდობლად ხრავს, აწიოკებს.

კლდეები სიცნისგან სკდებიან შუაზე,
რლვევის და სიმწარის მოისმის ხათქანი.
გველები გროვებად აცურდენ რუაზე,
ყველაზე ბოროტი კი, ერთი მათვანი
გადაწეა შზისაკენ ცქერაში გართული —
ეს მზერა აწვალებს მზეს, როგორც გენია,
და ვიგრძენ ამ თვალში, თუ რაოდენია
სიბრძნე წარმართული.



სძინავს აღმოსავლეთს.
გაფრენილ დღეებს ის არ შიგვივა.
ერთი და იგივე, ერთი და იგივე
მას ეფარება სიზმრების ღვარი
და მისი ძილი არის კოშმარი.

სძინავს აღმოსავლეთს.
ის მძინარე ქსოვს ხალიჩა-ფარჩას,
ხატავს ყვავილებს და იალონებს
რომ ქსოვილები შვენებად დარჩეს
ისევ ევროპის მდიდარ სალონებს
მხარეს ურკინესს,
როკფელლერს, სტინესს.

ზის კრეზი ეკროპის,
არა ერთს იგონებს მშვენიერ ელენეს.
მრავალი ძვირფასი ახსოვს ასპაშია,
ქალები პარიზის. ხსოვნა მიტელენის,
მცხუნვარე აზია —

შენი, კლეოპტრარა, შიშეელი მკლავები,
ოხვრა, მესსალინა, ისევ შენეული
უფრო ენთებიან ცაზე ვარსკვლივები
აღმოსავლეთისგან შათრვის შეღეული,

რამდენს მეტყველებენ ვარდნი უენონი.
ფიქრი ოზისზე ალთა მონთებისა
დარჩა სამუდამოდ დრონი მენტენონის,
დარჩა მენუეტი ლოლა მონტეზისა
ევროპის კრეზისთვის.

სძინავს აღმოსავლეთს.
იგი უგრძნობლად იღებს ფერიდებს,
მაგრამ თვალები...
თვალები შიდის ეფემერამდე
მხარისკენ —



სადაც სანიშნო ბურთად
მიწა აბოლდა, კვამლი ედება,
სადაც სურვილი ვაუდაბურდა
და აღარ არის თავგამეტება.
ღრუბელთა წყება ცაზე აჩქარდა,
დარიგდენ მთების შეკუბრი რაზმები.
ყინვა მოსხმული გუნდი ლაშქართა
ღრუბლების კონკი და ფანტაზმები
თეატრებია დიდი, პატარა.
ბრწყინავს კაბარე.
კინემატოგრაფს შემოატარა
სული გარყვნილი და მომთაბარე
ბრწყინავს რეკლამა
ნერვებს აწვალებს.
აგერ საეჭვო ვამოჩნდა დამა.
შანსონეტკები იფერენ თვალებს.
იქ ოპერეტკა, აქ კიდევ ფარსი
იდუმალებით სავსე პიესა
აქ ყველაფერი მოდუნდა ბასრი
სიცილშიც ჩუმი მოისმის კვნესა.
მხოლოდ ლორნეტებს მომეტეორეს
მწარედ დალალულ თვალს აფარებენ.
თავს აწონებენ ერთიმეორეს.
სხედან, დადიან ან ამთქნარებენ...
ვინ იცის გრძნობენ თუ არა გრძნობით
რომ სულ ახალი დროის ჰაմლეტი
მოჯადოებულ ბურუსში მყოფი
სდგება, იღვიძებს აღმოსავლეთი.

მას არ აშინებს ცეცხლის ფანტელი
და მუხლებამდე ქვიშა სადები,
არც უდაბნოის კორიანტელი
არც მომავალი ბარიკადები.
დახეტიალობს ცეცხლის ამური
მოულოდნელი სიმხურვალეთი,
გან მოიარა ყველა ქვეყნები
და ინახულა აღმოსავლეთიც,



ცეცხლის ამური და ტუდომა ლერის
თავისუფლების ნაზი ფერია,
მღეროდა მასზე და ეხლაც მღერის
როგორც არავის არ უმღერია.
და თუ მოვიდა გრიგალი ისევ
და გაზაფხულის ველი მოლია,
ის სიცოცხლისთვის იბრძოლებს ისე
როგორც არავის არ უბრძოლია.
დაარტყამს ქარი და მოგზაური
ბაწარზე წავა, როგორც ობობა,
დაიძრის ქვეყნის აურზაური
და აღელვებათ ავადმყოფობა.
ის მიისწრაფის და ეჩვენება
რომ სულ ახლოა ბედის ხომალდი,
მუქარა, წყევლა და შეჩვენება
თავისუფლების მზემდე! ბრძოლამდი!
ო, რა საამოდ სულს ეფერება.

ცეცხლით იწვება ქვეყნიერება!

ՅԱՄԸ ՑՈՒԹԱՎԵՐ



ՀԱՅՈՒՆՈ — ՀԱՅՑՈ

Խաճուռ-պնձա: — „4 սատիշ մարեացեն լոյնոնս“.

Ճաշմուկան: «Հայնոն».

Յոնդա ամ წյոտի շնչոնարց զոյտ პողի
դա ամ პողմաս
թը զո՛՛չպէծ օսյ:
Պարարա սախլու — քածալու քըրոտ,
սաքանա՛շը գամնալու պողիու ծոնա—
սոյտա կրաքենու.
Ծառորդէլու լոնջը օյլարց մասկան հրճուլու
շլաքէրուս պակելու...
արօս թրուալու խոսսու հյոմո
դա սայսարու մացուանու քածալու կռնու...
հեմտան յոլլայու, — հոցորու լանքու ծրոնչառու սախու,
հոմելու լուս ծեաբրոիկ սակյունան.
Ժայռուաս կրուագատ պակելու ծոցոն մոցոնց ծոցու: —
հաացաւու, կոշիկ, հոլապա
դա սերբան հանուն նշանաց վոլցու ազո մեցարո.
հուրա յոյիուան: —
զոտ քաշրուլո hippopotamus —
լոյրոմուրուցու սապարու պատառ հագու: —
— մոյալաշենու, 4 սատիշ մարեացեն լոյնոնս! —
յս ոյտ մեսսա, անտեծուլու որցանուս եմեծո,
մալալ զոլլու մոխետիլու նարու զազոն.
ո, մեցոծրու ծոցու պակապուրց գանցունու;
Կայլանու մերիաց վակարու լոյնոնու տալուն,
հուրա ու կունց ծավան ոյտ.



ლინინი ბავში! უწმინდესი! უძვირფასესი!
როგორც უმანკო გამოხედვა ჩემი თამაზის
და სიხარული ოქტომბრის დღეთა.

წავლიან წლები. მისი აჩრდილი
სირენის ხმებით შემოიკრებს ჩაგრულთ ურდოებს
და ცეცხლის ტალღა მოედება ქვეყანას ირგვლივ—
ეით ქარიშხალი.
და მის სახელთან გაიღებებს საუკუნენი!
ო, ეიჭელო,
ისევ გელის შურისძიება
ვინცენსის ფორტის
და ბრწყინავს შზეზე, როგორც პურპური
სპერაკი დროშა სისხლიანი კომმუნარების!

ქუთაისი, დღე ლენინის გასცენების.




იონა ვაკელი

დ
რ
ჩ

მაღართს პრელიგიშვილი

ძარღვიან მკლავით გაბრაზებით ებრძვით მძლავრ ქედებს,
ებრძვით მიწის გულს, მის ზედაპირს და მის სიგანეს,
და ამ ჭიდილში მარად გახსოვთ შავ შემოქმედებს
მაღართს რისხვა როცა უჭერს მაღანის ქანებს.
ურტყამთ წერაქვებს და შავი ქვის სკდება ზოდები,
ეს ნატეხები თავის თავად არის ყოვლადი
და მიდის იგი ცხელ ლუმელში ცეცხლის მოდებით
რომ ბედნიერებს მოემზადოს სარჩო, დოვლათი.
უწინ დასდევდა თქვენი მოდგმა ტყეში ჯიხვს, ირემს,
შვილდი, ისარი ურჩევნოდათ ძმას უერთგულესს,
მაგრამ დღეს თქვენ ხართ ჩეენი ქვეყნის სხვა მონადირე,
გვირაბის გული გადაება ყველა თქვენ გულებს.
მსოფლიო ცის ქვეშ თქვენ იქნებით მპყრობელი მიწის,
(ასე ამბობენ, არ მაქვს ნება არ დავიჯერო)
გულის სილრმეში შხამიანი ბოლმები იწვის,
შავი ქვის ფერფლით დამტკერილი გაქვთ თვალის ჩერო.
თხარეთ და თხარეთ, გადათხარეთ მაწა ქართული,
და ამოიღეთ მიწის გული სქელი ქანებით,
იქ ჩვენი მოდგმის ძვლები უხვად არის გართული,
სად კიდევ ცოცხლობს ხალხის სული მძლავრ გაქანებით!





მიღის მოდის
შავ რონოდის
წივილი და გიურ ქროლა,
შავი ფერის მუქი მტვერი...
საღლაც ზვავის ჩამოწოლა!
და მრავალი მტკიცე ხელი
ლურჯ ძარლვა და შეუხრელი
სცემს წერაქვებს და სტეხს შავ ქვებს,
ემატება გვირაბს ხვრელი.
ტანზე ყველას ჩვრები ჰუარავს
და მაღაროს შავ-ბნელ კარავს
ებრძვის ყველა, სტეხენ ზოდებს
და ავსებენ მით რონოდებს,
რომელსაც ქვა მიაქვს ქვაბში —
ის ხომ სულ მთლად სცურავს ქაუში...
და ხრახნილი დენის ბორბლებს
ბრუნავს და ჰყრის ცოფის დორბლებს
შავ მაზუთით განაცხარი...
ქვებს ქვაბისკენ გზავნის ლარი.
თხარეთ და თხარეთ, გადათხარეთ მიწა ქართული,
სულ ამოილეთ მიწის გულის სქელი ქანები,
ჩვენი ქვეყანა დე, შეიქნეს გადახლართული:
ლიანდაგებით, მავთულებით და მანქანებით!

— ყველაფერი მუქი, შავი: სახე, ხელი, ტანი, თავი,
ქარხნის ჭერი, თვალის ჩერო, მანქანების მოსართავი.
ხან ლილინი, ხან ნადური, ოდნავ ბეჭუტავს ელნათური
და მკვრივ მაღანს ზედ ელევა მუშის ღონე, მუშის მკლავი.
არის ძლევის მრისხანება, არის ყოფნის საუბარი,
ოფლის ღვარი მონაგარი ეგლისება შავ ქვის კედლებს,
და მომავლის ბედის მჭედელს ისევ ოფლის უყვარს ღვარი,
ოფლის ღვარი, ორთქლის ბოლი და მრისხანე ნიაღვარი.
მილი ბოლავს და ცხელ ფოლადს სცემს და ურტყამა ჩაქუჩის მუშა,
დინჯი სახით და ჯანსაღი, კუნთ მაგარი სდგას პირქუშად.



მის გულშია დამარტული ცეცხლის ძალა, რეინის ნება,
და მუდმივი ძალა მყვრივი: ჩუმი წვა და ჩუმი გზნება. სამართლის
ასეთია ეს მაღარო და შენ მუშავ კუნთ მაგარო,
დაპყა ხელი შეუხრელი, გაარღვიე სალი ქედი,
საღაც ბედის მრისხანება მტკიცედ ჰქონავს ყველა გულებს.,
და გვირაბის მხნე გმირები თხრით ამ ხვრელში შავ ქვას ულევს.
თხარეთ და თხარეთ, გადათხარეთ მიწა ქართული,
ოქვენ, საყეირებო იგრიალეთ და თქვენც დაფებო,
ჭველი ცხოვრება დაარღვიეთ უკუღმართული,
უბირ-ქოხებო, მანქანებო და სარდაფებო!



პაოლო იაზვილი

ფერადი გუშტები

თბილისში ბევრი მათხოვარი — საზიზლარია.

ერთი მათხოვარი ჭუდა ისე მიხდის, როგორც ძველი ნაცნობი, შემდეგ ქუჩაში გამოგენთება, ჩიგაცივდება, იკლაკნება, როგორც ცხრაფეხა.

ის ყოველთვის ილიმება, თუ კარგათ ჩატყული დაგინახა. ღარიბებს არც ჭუდა უხდის, არც ულიმის. საღამოთი ჩაჯდება ალექსინდრეს ბალის მოაჯირთან და ხარბათ იოვლის ფულს.

მას ორი შეილი ჰყავს, რომელთაც ისე ჰეშავს მათხოვრობაში, როგორც მონადირე ძალლს.

კიდევ არის მათხოვარი, რომელიც დედას იგინება, თუ ფულს არ მისცემ; თუ ამ დროს მიუბრუნდები, მიხვალ, აჩუქებ, უცბად გაიცინებს, ბოდიშს მიიხ-დის და გეტყვის: „წამომცდაო“.

ერთი ყოველთვის სტირის, საღამოთი კი მიღის „მეტლეების სამიკიტნოში“ ვორონცოვის ხილთან სათრობელად, სვამს ასურეთის მფავე ლვინოს და ზედ ატანს გამხმარ დოშის კუდს, რომელსაც მისთვის იმეტებს ვაჭარი დიდხურა-ბოებ.

მავრამ თბილისში ბევრი გულის დაზუველი მათხოვარია.

მე შეავს შათ შორის ნაცნობები.

მათთან შეხვედრა მახარებს. როდესაც მთერალი ეარ, მიუვარს მათთან სა-უბარი. თუ ფული არა მაქვს ვსესხულობ და მათ ვაჩუქებ.

ერთს საღამოს ბრმა ახალგვაზრდა მათხოვარს, რომელიც, სამწუბაროდ, 2 წელიწადია აღარ სჩანს თბილისში, მე შეუგროვე ფული ამნაირად:

მოეიხადე ქუდი და ვიძახოდი:

„აჩუქეთ ხელმოკლე პოეტს ერთი კვარტი ლვინისთვის!“

მე მთელი ქალაქი მიცნობს — ბევრმა მაჩუქა.

სულ მაღვე ათი კვარტის შევაგროვე. მათხოვარი სულ იცინოდა, ხელებს

ისრესდა სიხარულით, მაგრამ, როდესაც ფული ჩავაპარე, შეფიქრიანდა, და ფული ეცოტავა და დარწმუნდა რომ გამოვრჩი.

შეგროვილ ფულიდან ნაწილი მართლა დავიტოვე ჩემი ერუშა-დაწყისადან კერძოდ და წავედით „ჭაჭასთან“. „ჭაჭა“ ვაჭრობდა მხოლოდ ლა-მით, ჰგავდა ჯალათს, დუქანი გამართული ჰქონდა სარდაფუში ჩასავალ კიბეზე და, როდესაც მუშტარი არ ჰყავდა, ჭკვებავდა თაგვებს ყველის და პურის ნამ-ცაცხლით.

ამ უკანასკნელ დროს თბილისში გაჩნდა ერთი ბრძა თიანეთიდან ჩამოსუ-ლი. ის უკრავს ფანდურზე და იმღერის არსენას ლექს:

„წუხელი სიზმარი ვნახე
ინით ვიღებავდი წვერსა“.

სოფლებიდან ჩამოსული გლეხები უსმენენ მას და იცრემლებიან, როგორც არსენას დასაფლავებაზე.

კველაზე ორიგინალური თბილისის მათხოვრებში უსათუოდ ჩვენი „ქაპი-ტანია“. ექვსი წელიწადია მას აცვია ერთი და იგივე სახამთრო ოფიციალის ში-ნელი, გარეგნობით ჰგავს ნიკოლოზ მეორეს, ლაპარაკობს ლექსებზე, სპორტზე და, თუ მოიწვიე კაფეში სავახშმოდ, — მოითხოვს, როგორც შანსონეტკა, მაინც და მაინც ძვირ საჭმელს. ლვინოს მხოლოდ ერთ ჭიქას დალევს, ნაკლულ ბოთლს ჩაიდგავს შწვანე ტომსიქაში და თავაზიანად იტუის: „ხეალ შეიძლება თქვენ ვერსად გნახოთ — ეს ლვინო სადილად მეყოფა“.

კაპიტანის ოცნება ახალი ჩექმების ყიდვა და გემრიელად ჭამა არის.

მაგრამ მან იცის თავისი ფასი და სამხარეულოში არ შევა მზარეულის სამოწყალოდ. მას უყვარს სუფრა სუფთად გაშლილი, ხელსახლცის გულზე აუ-რება და საუზმის წინ არაყის დალევა.

კაპიტანი განსაკუთრებულ სიყვარულით მაფასებს მე და ჩემს ამხანაგებს. როდესაც მიაღვება რომელიმე რესტორანს, ცროთხილად შეაღებს კარებს, გაიშ-მენდს სათვალეებს, გადაათვალიერებს ხალხს და იკითხავს:

— ერთი ეს მიბრძანეთ, ქართველი პოეტები ხომ არ არიან აქ? — და თუ უარს მიიღებს, მაშინ კერძოდ ჩემს გვარს დაასახელებს.

თუ რესტორანის პატრონი ვახშამს არ მისცემს — კაპიტანი ჩამოივლის სუ-ფრებს და თავაზიანად შეეკითხება სტუმრებს: „შეიძლება თქვენის ნებართვით მოვითხოვ პრეისკურანტი?“ „კაპიტანს“ ხშირად იძლევენ ამის ნებას და ხან-დახან მხიარული მოქეიფენი, რესტორანის დაკეტვის შემდეგ, ჩაისვამენ მას ეტლში... ამ შემთხვევაში კაპიტანი უოველთვის კითხულობს: — „რა ამბავია, ქალე-ბისაკენ?..“ სანამდის ეტლში მოეწყობოდეს, კაპიტანი ეუბნება მეეტლეს: „მე შეიძლება ლვინო მომეკიდოს, გთხოვთ ჩაიბაროთ ჩემი ტომსიკა და უსათუოდ გამახსენეთ მისი წალება“. კაპიტანს ტომსიკა არ ავიწყდება, რადგან იქ, რო-გორც თვითონ ამბობს, სანოვავის მარავის გარდა, ინახება მისი პირადობის მოწმობაც.

კაპიტანს უყვარს ქალებზე და სექსუალურ საგნებზე ლაპარაკი, მაგრამ ყო-

კელთვის უმატებს: „მე ჩემს ცოლს ვერ უდალატებ“. თუმცა შილი უკვი
ორი წელიწადია წავიდა ბაქოში ერთ ნაცნობთან და წერილსაც აღარ იწერება.

რევოლიუცია კაპიტანს მოსწონს, მაგრამ მაინც მოიგონებს... მაგრა მარტინის
კონსტანტინე კონსტანტინეს ძეს:—კორპუსში ყოფნის დროს მას თავის ლექსების
კრებული აჩუქა.

კაპიტანის ბინა თითქმის ორავინ იცის, მეზობლებს გარდა, ალბათ, ის
ყოველთვის ემდურის მეზობლებს, რაღვან მათ კაპიტანს კულიანი დაარქვეს.

ერთხელ კაპიტანი შემეტება: „არსებობენ თუ ორა კულიანები?“ მე, რა
თქმა უნდა, ვუპასუხე, რომ, როგორც განათლებულსა და სწივლულ კაცს, არ
შეერა კულიანების არსებობა... „კულიანები რომ ორსებობენ მე ეს ვიცი“ — ზაჯე-
რებით მიპასუხა კაპიტანმა — „მაგრამ შეიძლება თუ ორა მე არ ვიცოდე, არ
ვგრძნობდე და ისე ვიყო კულიანიო“.

თბილისის მათხოვრებს კაპიტანი არ უყვართ და მას დიდ კაცს უძახიან.

სახოგალო, თბილისის მათხოვრებმა დაცკარებული ერთმანეთში თვისება.
ძვირიად შეხვდებით ჩვენს ქუჩებში ორ მათხოვარს ერთი მეორესთან მოლაპარა-
კეს. ერთმანეთი სძულთ, ერთმანეთს ემუშტრებიან ქუჩებში „გეზიან“ აღვილებ-
ზე. მათხოვრები „გეზიან“ აღვილებს ისევე ირჩევენ, როგორც ვაჭრები დუქნებს
და დარაბებს.

ყველაზე შემოსავლიანი იყო სასაფლაოს „ყელი“, მაგრამ ეს ადგილი მათ-
ხოვრებს რჩებათ მემკვიდრეობით, ხანდახან ხდება „გამოყიდვაც“. ზოგი შემო-
სავლიან ადგილზე „სართს“ ართმევს მეორეს.

ორი სიცვა პარიზის მათხოვრებზე

პარიზის მათხოვრები ბევრად მიღლა სდგანან ტფილისის მათხოვრებზე
შეგნებით, ისინი შეკავშირებული არიან: მათი საერთო ქური სენის ხიდებია.

პარიზში მათხოვარს ოთახი იშვიათად აქვს. მისი ბინა არის კათედრალების
—ნოტრ დამის, სანსუპლისის—გალავნები. ლამე სძინავთ სენის ხიდებს ქვეშ.

დლისით მათხოვრები აგროვებენ პაპიროზის ნამწვავებს, ქუჩაში დაფან-
ტულ ქაღალდებს, ძონძებს.

ქუჩებში აკრძალულია — მათხოვრობენ ეზოებში.

ზოგი ატყუებს ქუჩის აეანს. დაიჭერს ერთს ძველს გაზეთს „ლა პატრის“,
თითქოს გამყიდველია და მხოლოდ საიმედო გამვლელს გაუმჯღავნებს თავის საი-
დუმლეობას.

სალამოს სენის ნაპირები სავსეა მათხოვრებით.

სენა მწვანეთ არის ამღვრეული, როგორც აბსენტი. წყალის ზედაპირი
ელვარებს ქონით, მანუტით. თეთრი გედებივით მიქვრიან პატარა გემები და
ნაეები.

სენის ხიდებ ქვეშ დიდი ხმაურობაა. ზოგი მათხოვარი შშიერია, აღრე და-
იძინებს. უმეტესობა კამათობს ომზე, რევოლიუციაზე, ეორესის მოკველაზე.

ყველაზე ცნობილი მათ შორის არის გასტონ დელაროშ, რომელსაც მეგობ-
რებმა „ფალიერი“ დაარქვეს: ჰგავს ყოფილ პრეზიდენტს.

როდესაც ის დაინახავს უცხო სტუმარს, ხიდის ქვეშ ჩამოსულს, მიწა და იტყვის:

— თქვენ ალბათ ნორვეგიიდან ჩამოსული ტურისტი ხართ — არ უსხებთ ეს მომღერალი, გაინტერესებთ პარიზი და ჩვენი ცხოვრება. მე გახლავართ ვასტონ დელაროშ, კეთილშობილი მათხოვარი, მცხოვრები სენის ნაპირის, დეპუტატ უორესის მეგობარი და შისი ამომრჩეველი.

ამის შემდეგ ის დაგიმტკიცებთ თუ რა ადვილია უეცრად გამათხოვრება. შემდეგ ამაყათ იტყვის: ამაღამ სიცივე იქნება, გათენებისას აქ ყოველთვის ძალიან ცივა, მე თქვენი ფული არ მინდა, გაიარეთ აქედან კაფე აპასკალში და დაუკეთეთ ჩემთვის ორი ჭიქა პუნში, ხვალ დილით მივალ და თქვენს სადლეგრძელოს დავლევ.

ფალიერი უველაზე ბევრს კამათობს.

ყოველდღე კითხულობს ლუმანიტეს, იცის პოლიტიკა, ეჯავრება როიალისტები და წინააღმდეგია ბერლინის ოფუპაციის. კონკორდიის მოედანზე აღტაცებით უხდის ქუდს ელზასისა და ლორენის ძეგლებს და ზიხლით იხსენებს ბისმარქს, რომელმაც „რეინის უფთში ჩაჰკეტა ელზასისა და ლორენის აუვავებული ბალები“. ის მეთაურობს კავშირს „სენის მათხოვრებისას“ და სასტიკად სდევნის ქურდებს მათხოვართ შორის.

როდესაც ცივი ზამთარია, ბევრი მათხოვარი ჰქვდება სენის ხიდებ ქვეშ.

ავათმყოფები სიცივეს და სიმშილს ვერ უძლებენ. ღამე ადგება ავათმყოფი, გადაიძრობს გაზეთს, რომელიც მას საბნათ ახურავს, მივა მდინარის ნაპირის და წყალში გადაეარდება. ამას ბევრი ხედავს, მაგრამ ადგილიდან არავინ დაიძვრის. ავათმყოფი მათხოვარი გადაეარდება წყალში, და რაღან მას არავინ უშველის — დაიღრჩობა.

ერთ ღამეს მე, ილია ერენბურგი და ვიომ აპოლინერი ვეწვიეთ მათხოვრების ბანაკს ალექსანდრე მესამის ხიდის ქვეშ.

მაშინ ომი დაწყებული იყო და ბანაკი ნამდვილ პარლამენტს ჰვავდა. იყო კამათი და თაემჯდომარეც იყო.

ერთი მათხოვარი, ყოფილი კონსიერეი ქიმიურ ლაბორატორიისა, უხსნიდა დანარჩენებს „მაღრჩობელ გაზების“ მნიშვნელობას, „გაზების“ გამოგონება უვილას აბრაზებდა, რაღან ის ხელს შეუწყობდა მათხოვრების გავრცელებას საფრანგეთში.

ღამის ორი საათი იყო, კამათი არ თავდებოდა.

ყველას შიოდა.

ათი მათხოვარი მე, აპოლინერმა და ერენბურგმა წამოვიყვანეთ კაფე „ა ლაროტონდში“ სავახშმოთ. „როტონდა“ ჩეენი მეგობრებით იყო საესე და მათხოვრების დანახვამ აღტაცება გამოიწვია.

მსხვილი რიბეირა, ესპანელი მხატვარი, ნახევრად ტიტველი იყო, რაღან სიცხე აწურებდა. მან სათითაოდ გადაჰკოცნა ჩეენი სტუმრები, მივიდა ერთ ცნობილ მხატვრების მეცენატთან, რომელიც დაღიოდა „როტონდაში“ და ცდილობდა ხელში ჩაეგდო ზანკის ქალი ჯელიკა, ლამაზი და თევზივით მოქნილი,

რიბეირა მივიდა მეცნატთან, მაგრათ დაპერა ჯოხი თავშე დაუმულ კატელოვზე და უბრძანა ვახშმის გაწყობა. მეცნატს ეტკინა თავი, მაგრამ გაიცინა და ვახშამი გაამართვინა.

მათხოვრები, პოეტები და მხატვერები მეცნატის სტუმშები ეიყვენით. დიასახლისებად ავირჩიეთ ჯელიკა და მარევნა, მხატვარი ქალი, პარიზში ტფილისიდან ჩამოსული.

პირველად რიბეირამ ადლეგრძელა მეცნატი და უკანასკნელის ხარჯზე უბრძანა კაფეს პატრონს ხუი-ხუთი ფრანგი გადაეცა თითო მათხოვრისათვის. ბრძანება შესრულდა.

მეცნატს ეწყინა, მაგრამ ხელზე აკოცა ჯელიკას.

შეიდეგ ჯელიკამ სოჭვა: „ამხანაგებო, ჩვენ გვეწვიერ „სენის მოქალაქენი“, ასეთი სურათი ჯერ ჩვენს როტონდის არ ახსოვს. ჩვენს ზორის დღეს არ არის ის, ვინც გაოცდება ამ სურათით — მისცემს მას უკვდავებას. ჩემი წინადადებაა გაეგზავნოს ავტომობილი პაბლო პიკასსოს და ეთხოვოს მას აქ მოსვლა“.

აპოლინერმა ჯელიკას ტუჩებში აკოცა, მაგრამ ავტომობილი ცარიელი დაბრუნდა: წინა დღით პიკასსო ფრანტზე წასულიყო.

როდესაც მათხოვარი ემილ ადერი, ადგა სიტუაცის საოქმელად, მოხუცებული და კეოილი როტონდის გარსონი ლუი, ნივილა მასთან, ატირდა და სოჭვა:

— ბატონო ემილ, ნუ თუ ვერ მიცანით, მე ვარ ლუი გარსონი უაფე „რიშილან“.

ბევრი ლუიდორი მახსოვეს თქვენგან ნაჩუქარი.

დიდი ხანია ვავიგე თქვენი დაცემა, დალარიბება.

მე უცოლო ვარ და კარგი ოთახი მაქვს.

გადმობრძანდით ჩემთან ბინაზე...

და ახლა კი, ბატონებო, ნება მიბოძეთ — მოიშინდა ცრუმლები ლუიმ — ბატონ ემილ ადერის პატივსაცემათ მოვართვათ უქვესი ბოთლი ბურგუნდიისა.

ემილ ადერმა სიტუაცია ვეღარა სოჭვა, ენა დაება, ჩაეკრა მოხუცებულ და კეთილ ლუის და ორივე წავიდენ მეორე ოთახში წარსულის დასატირებლად.

ამ სურათის დანახვაზე, აზალგაზდა პოეტმა ილბერტ ჟანმა ლუქსი დაწერა და გადასცა ერენბურგს რუსულად სათარგმნელად.

როდესაც გათენდა, მე გამოვეთხოვე პარიზელ მევობრებს და ამ დღესვე წამოვედი საქართველოში.

როტონდოს უკანასკნელი ლამე დღემდე არ დამვიწყნია, მახსოვდენ სენის მათხოვრები.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც შევხვდი ერთ რას მათხოვარს, ლეონტი კაჩერგას, სოლოლაკში. მან მომავრნა როტონდის უკანასკნელი ლამე და სენის ხიდები.

როგორ ცხოველი მათხოვარი ლეონტი კაჩერგა

ლეონტი კაჩერგა — მაღალი და მოღუნული, მისი დიდი ცხვირი ჰგავს მსხვილ მწიფე ხელდროს, თმა აქვს კალარა, როგორც გაურეცხელი თეთრი მატყლი, ტუჩებთან თმა ისეა გაყვითლებული თამბაქოს ბოლით, როგორც ოქრო.

ლეონტი კაჩერგას სახე მუდამ შემინებულია, თვალებიდან ყოველთვის წყალი მოდის. ქუჩაში ფულს არავის თხოვს, თუმცა დგას ქუჩაში ამათ-ბოგროთ. მისი კისერი რბილი და ჩაუანგებულია, როგორც ხეზე უშემცული დაწყ-დის სოკო.

აცვია ძველი მაზარი ილლიებ ქვეშ გამომწვარი და გამოხეული.

ის ყოველთვის სდგას — არ დაჯდება.

შას ქუჩის ბაჟშები არ აწუხებენ — პატივსაც სცენენ.

შას არა აქვს ტომსიკა ხმელ პურის შესანახად. ფულს ის ძველ, რუს ქუდ-ში რნახავს და ხანდახან ქუდი გაბერილია ბონებით.

ლეონტი კაჩერგა სდგას უსიტყვოთ. ყოველთვის ჩაფიქრებული, სიცხიან დღეში ჩაფიქრება მის სახეზე ტანჯვათ იქცევა და ის ქუჩაში მოსჩანს, რო-გორც ჯვარზე გაკრული.

ცხოვრობს მუხრანის ხიდის ყურთიან, მის ეზოში რეცხავენ ტყავებს და ზაფხულში იქ შმორის სუნია.

ეზო მტკვარზე გადადის.

ოთახი აქვს ქვემო სართულში, ოთახის წინ პატარა იკვანია უდერეფ-ნოთ. იქ სდგას ძველი დანგრეული ტახტი, რომელზეთაც მას უხდება ძილი.

ოთახში პატარა ორი წლის ბაჟშით სცხოვრობს მისი 19 წლის ქალი კლა-რა, რომელიც კახპობს. ლეონტი კაჩერგას ოთახში ლამის გათევა ძვირათ შეხვ-დება, რადგან მის ცხრამეტი წლის მეტად ლამაზ ქალთან კოველ ლამე მოდიან სტუმრები.

ოთახში ელექტრონის სინათლეა, სუფთად არის მორთული, იქ ყოველთვის „ვარშვის საპნის“ სურნელებაა, კედელზე ჰკიდია უმელიან პუგაჩოვის სურათი, სურათის ქვეშ ფიცარის სკამზე სდგას ლურჯი უმალის ტაშტი.

ფანჯრის თაროზე უამრავი შუშებია.

ლოგინთან კედელზე გაკრულია გამლილი, ფერადი ქალალდის მარა, მარაოს გარშემო კი სურათები ლინა კავალიერის, სობინოვის, მოჭიდავე პეტ-ლერძინსკის და ვილაც უნტერ-ოფიცერის, რომელიც ცხენს მიაჭინებს და ხელში აქვს შიშველი ხმალი. ერთ კუთხეში ფიცრის სკამზე გამართულია ლოგინი პა-ტარა ბაჟშისთვის.

ლოგინი პატარა — მამა

დილით კაჩერგა ზის ოთახის წინ.

იფხანს გაუანგულ და აბედივით დაჩვარულ კისერს.

ვითომ ეალერსება მუხლებზე დამჯდარ შვილი-შვილს.

უნდა გაუცინოს ბაჟშს და ლატშებს ალებს ბაყაყივით.

ბაჟშს შია, დასუსტებულია და კნავის, როგორც ტურა.

ბაჟში რომ დაამშვიდოს პირში ჩაუდებს ბინძურ, დაუბანელ ნეკს სალო-კუვათ. ერთი წუთით დამშვიდდება პატარა, მაგრამ უცებ სახე დაემანჭება, თი-თჭოს ძმარი დალია.

კაჩერგას ნეკი არ არის გემრიელი.

ბავშვს მოსწყინდება ტირილი და შიმშილი და ჩაისველებს კაჩერგას შუბლებზე. მათხოვარი იგრიხება, როგორც გველგადაყლაპული, არწევს ბავშვს, რომლის პატარა და გამხდარ მუხლებზე ცხელი შარდი მოკრიალობს, როგორც მდულარე ცრემლები.

აულაგებელ ყავისფერ ლოგინზე დაასვენებს კაჩერგა ბავშვს, მზეზე გაიშრობს დასველებულ შარვლის ტოტებს, მივა კარებთან, და როგორც შეშინებული, ხრინწიანი ხმით დაიძახებს:

— კლარა, ბავშვს შია!

შემდეგ ჩამოჯდება ლოგინზე, ზურგს მიუბრუნებს ოთახის კარებს, — საიდანაც გამოდის მორიგი სტუმარი.

კლარას სტუმრის ყოველთვის რცხვენია უბედურ მამას.

შეიყვანს, თითქო შეასვენებს ბავშვს დედასთან.

ოთახში სიმეავის სუნია.

ელექტრონს დააჭრობს, გააღებს ფანჯარას და უსიტყვოთ გამოვა ოთახიდან, მიღის სოლოლაკში და დგება ქუჩაში, როგორც ჯვარზე გაკრული.

იმ ქუჩაზე, საღაც კაჩერგა სდგას, მე მიხდება ჩავლა ყოველ დღე.

ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ მე ჩამევლოს კაჩერგასთან და მისთვის არაფერი დამეტოვებიოს.

ზორიდან მოიხდის ქუდს, სახე უწითლდება, თითქოს რამე დააზარა, ფულს ფრთხილად მართმევს: ასეთის სიფრთხილით ანთებდენ სანთელს ხატის წინაშე. უნდა რაღაც სთქვას, მავრამ ხმა უწყდება.

ერთ დღეს ზორიდან შევამჩნიე, რომ კაჩერგა სხვანაირ გუნჯაზე იყო.

ქუჩის ბავშებს ეთამაშებოდა, იცინოდა, იმბობდა ყრუ ხმით ჩაღაც სიტყვებს, მე მომაშურა და მითხრა:

დღეს ნუ მაჩუქებთ. დალეული ვარ, არაუი დავლიე ბევრი. მერე ჩვენმა მედუქნებ ბალი მომცა და ოთხი ირისი, ირისი და ბალი ამ ბავშებს დაურიგე. მე დალეული ვარ, თქვენთან მინდოდა ლაპარაკი. აღარც არაუი მინდა, არც ლვინო. მინდა საღმე თქვენთან ლაპარაკი. მე ვიცი თქვენი დაწესებულება, იქ შესავალ კარებთან ბევრი დახატული მხეცებია, თქვენი მეეზოვეც მიცნობს. მაჩუქეთ ნახევარი საათი.


კაჩერგას ოვალები ელავდენ ისეთის სიგიურ, თითქოს მისჩერებოდა ცეცხლს, რომელიც მის საკუთარ სახლს ან ქონებას წაეკიდა.

მეც მინდოდა მასთან საუბარი და წავედით „ხელოვანთა სასახლეში“, სადაც სპარსულ ოთახში მოვისმინე:

კაჩერგას მონოლოგი

— მე მაქვს პროგრესიული დამბლა ხერხემლის. წინად ვმსახუ-

რებლი ბანქში ფულის დამთვლელად. ახლა ფულის თუღა კლი უემი-
ძლია — თითებმა დაპყარვეს გრძნობიერება.



ცოლი გამიქრა თცდაოთხ საათში, ექიმებმა ჭრის უფრო მცირებული
დამრჩა კლარა — ჩემი ერთად ერთი შვილი. სამი წლის წინად
ის სულ ბავში მომტაცა ლოთმა დალაქმა, რომელიც არავს ისე
სვამდა, როგორც ჩაის, ის სკემდა ჩემ კლარას, კბენდა, არ აცმევდა,
არავს აძალებდა, ათასირებდა.

წელიწადზე მეტი უავდა ჩემი ბავში, მერე გული გაუსკდი, მოკ-
ვდა და კლარა ორსულად დამიტოვა.
ვერ მოუარე ბავში.

ლამაზი იყო.

ორსულობაშივე გამჟევა ხელს.

შეხორცები ესეოდენ ჩემს ბინას, როგორც სასაკლაოს.

ერთ ყასაბს ვცემე, ჯოხი დავკარი სქელ მუცელზე. ისე მაგრად დავკარი,
რომ ნაწლავების ანთება დაემართა.

ყველას ვეჩხუბებოდი, მაგრამ მოხუცი ვარ და სუსტი.

ჯერ მერიდებოდენ, მერე ნახეს ჩემი უძლურობა, დამცინოდენ, მახელებ-
დენ. კლარამ ჩხუბი დამიტყო, შენ მე ვერ მაცხოვრებ. მაცალეო. ვაძიტყდა
ხასიათი.

დავიწყე მათხოვრობა.

ჭუჩაში კლარას მამას შეძახოდენ.

კლარამ ოთახი მოაწყო, ელექტრონით გაანათა.

ბავში ეყოლა. ჯერ ერთი პყავდა საყვარელი, მერე მეორე, შემდეგ ზველა
მისი საყვარელი იყო.

ერთი ოთახი გვაქვს. მე შვილმა ვურ გამაგდო. უყვარს მაინც მამა, ბავში
არავის ანდობს ჩემს ვარდა.

როკა ლამე სტუმარი ყავს კლარას, მე დერეფანში ვწევარ. ვერ ვიძინებ.
არ მძინავს. შეილი მაწუხებს. ჩემს ლოგინთან ოთახის ფანჯარაა.

ლამე კლარასთან სტუმრები მოდიან.


ვინ არიან სტუმრები, რა სჯულის, რა ხელობის?

ხშირად მესმის შვილის კვნესა, სიცილიც მესმის, მაგრამ ის სიცილი
ტუშილია, იკონებს კლარა იმ სიცილს.

ერთხელ კლარა წავიდა. ჩემს ლოგინთან რომ ფანჯარაა, იქ შუშა ჩავტე-
ხე ქვედა კუთხეში. გარეთ გამოვედი, ჩატეხილ კუთხიდან შევიხედე, მთელი ოთა-
ხი დავინახე. მაწუხებდა შვილი, ვერ ვითმენდი. როკა მთვრალი სტუმრები
ატირებდენ კლარას, შუშის კუთხეში პატარა ჯოხს შევყოფდი, ფარდას ავწევ-
დი ჯოხის წვერით და ყველაფერს ვხედავდი.

რამდენი მახინჯი კაცი დამინახავს კლარასთან დაწოლილი.

ერთხელ დალაქი მოვიდა, შავი, როგორც ნაგაზი, ზემო ტუჩი გახეთჭილი
ქონდა, ის ამხანავი იყო კლარას ქმრის.

აწვალებდა ჩემ შვილს, თმებს უჭამდა, თვალებს უწოდდა.  ძელი ძელი უკუნია.

იკიცლა შვილმა.

მე ყველაფერს ვხედავდი ფანჯრის კუთხიზან. სასთუმალთან ნაჯახი მქონდა. ვიყვირე, ლოგინზე ვყვიროდი... უშეელეთ კლარას, უშეელეთ კლარას... ვიძახოდი... ნაჯახი ავიღე... მაგრამ ხელში ვამივარდა.

მე კაცის მოკვლა აღარ შემიძლია. კაცის მოკვლას ძალა უნდა. ნაგაზი გამოვარდა თთახიდან... კლარას ხმა არ შესმოდა.

შევედი შეილთან.

ძელი ძელი სისხლი გაღმოდიოდა, თვითონ გულწისული ეგდო, აყროლებული, მეორე კუთხეში ბავშვი კნაოდა. კლარას ტანზე მშრალი ადგილი არ იყო, სისხლი, ცრემლები, სიმყრალე.

ძმარით შუბლი დაუზილე, გამოვარკვივ.

დაუჩოქე ლოგინთან და შევევედრე: „შვილო ნუ იღუპები, ახალგაზრდა ხარ, თავს უშველე. დედა ხარ, ბავშვე იფიქრე, მამა შეიცოდე“.

— „კარვი, კარვი მამა!“ — მითხრა კლარამ. „დავანებებ თავს“. ძელი მობანა, იოლი დაიცხო, ბავშვს გადახედა და დაიტანჯა, მე დავინახე რომ დაიტანჯა.

ის დღე ჩემთვის ბევრი იყო.

სალამოს კლარამ დაბიძახა თთახში, ბავშვი თეთრად გამოაწყო. ფეხის გულებს უკოცნიდა.

— მამა, მე ვიმსახურებ. ბავშვე ვიციქრებ. ყოველდღე წავიყვან ბალში. ამას წინად ერთმა ნაცნობმა მითხრა, რომ მალე ალექსანდრეს ბალში ისევ ძველცხრად გაყიდიან ფერად ბუშტებს, წითელს, მწვანეს და ცისფერს, ფერად ბუშტებს, მე რომ მიყვარდა ბავშობაში. ყოველ კვირას ვუყიდი ჩემ ბავშვს ფერად ბუშტს. ლოგინს გაუწყობ. მიუბამ ლოგინთან. დილით გაიღვიძებს და გაეხარდება“.

მე ცახცახი დავიწყე სიხარულით.

კბილები აშიკანკალდა ნეტარებით.

ერთი ახალი ხალათი მქონდა შენახული. ის ჩავიცვი. გავიკრიჭე და გავიპარსე. მაშინ მე მუხრანის ხიდთან ვმათხოვრობდი.

მეორე დღით ვერავინ მიცნო.

ერთი მეგობარი მყავდა, საპნის ქარხანა ჰქონდა ივლაბარში. ის ხშირად მაძლევდა ფულს. ხანდახან იმდენს, რომ სამი დღე მყოფნიდა.

იმ დილით რომ ჩიმომიარა, გავაჩერე. მან იცოდა ჩემი უბედურება. უამბე ჩემი სიხარული. არ გაუშვი. ვთხოვე ჩემთან წამოსვლა. შვილი გავაცანი. შვილი-შვილს შუბლზე აკოცა. დაჯდა, კლარას დარიგება დაუწყო, იქებდა. მოეწონა, სამსახური თვითონ დაპირდა. ჩვენ მოვლას გვპირდებოდა. მე სიკვდილი დამავიწყდა. სიცოცხლე მინდოდა. სტუმარს ხელზე ვაკოცე. ეს იყო პირველი დღე ჩემი ნამდვილი ბედნიერებისა.

გავიდა ორი დღე.

ლამეობით არავინ მოდიოდა. სიმშვიდე და ნათელი დაბრნავდა ჩემის
ოჯახში. მე გული აძიცურდა მათხოვრობაზე. ერთ სალამოს დამპეტიულის ჩემი
ძველმა ამხანავებმა, სახალხო ბანკის ფულის მთვლელებმა.

ცის უხელოების უხაროდა ჩემი გამოკეთება.

ღვინო ცოტა დავლიე, მაგრამ აშანთო და სახლში დავბრუნდი.

უკვე ჭიშკარიდან ფეხი კრეფით წავედი ოთახისკენ.

მეშინოდა სიმშვიდის დარღვევის. ძილი და სიჩუმე საჭირო იყო კლარასა-
ოვის. ოთახს მიუახლოვდი.

ელექტრონის სინათლემ გამაკეირა.

შიშით მივედი ლოგინთან.

ოთახიდან ლაპარაკი მომესრა. შევიხედე შუშის ამოტეხილ კუთხეში. და
სადღაც, სილრმიდან, გულის სილრმიდან, გავიგონე საკუთარი კვნესა.

კლარას ისევე, როგორც ყასაბი, დალაჭი, მიკიტანი აწეალებდა და ჰქო-
ცნიდა ჩემი ძველი ნაცნობი, საპნის ქარხნის პატრონი.

ის მპირდებოდა გამთელებას, მან უარესად გაანადგურდა ჩემი სული, სხე-
ული, პატარა ოჯახი, ცხოვრება.

ლეშივით დავეგდე ლოგინზე.

იმ ლამეს დრმად დამეძინა. ალარ მაწუხებდა შვილის ბედი, სიცოცხლე, მო-
მავალი.

ვიგრძენი დასასრული ჩემი ოცნების.

გამოირკვა ყველაფერი.

გათავდა.

მეორე დილით შევხედე კლარას.

მის სახეზე იყო ცბიერება, მწუხარებაც, მაგრამ ყველაზე უცრო მე დავი-
ნახე მის თვალებში სულის სამუდამო სიკედილი.

არაფერი შველოდა კლარას, გათახსირდა.

რამდენჯერ დაიკირეს, მთელი ლამეობით ეგდო მილიციაში. მე ვილრი-
ბოდი. არავინ შველიდა ბავშს.

წასულა მინდოდა მოსკოვში, იქ, იმასთან, გაგონილი მქონდა მისი გულის
სიკეთე ლარიბებისათვის, მივიდოდი, ვეტულდი, „შვილი გყავს, გაგიზდია — მი-
შველე, მომეხმარე, წაიკვანე, მოუარე, შენია!“ — მაგრამ შორს იყო მოსკოვი —
შორს!

უველა მამა მეცოდება. ერთი შათხოვარი, ჩემი მეგობარი, ქართველია. რვა
წლის ქალი ყავს. გიუდება კლარას მაგალითით.

მისი შვილი მიიბარეს კამოს სასწავლებელში. ყოველ დღე აწუხებს სკო-
ლის უფროსს ჩემი ამხანავი: — „ბავშვი არ გამიტუჭოთ კლარასავით, თვალები არ
აემლვრეს, კარგათ მოუარეთ, მეტი არაფერი გამაჩნია!“

ბატონო მწერალო, მე თუ წავიდე ამ ქვეყნიდან, მიხედეთ იმ მათხოვარს,
ურჩიეთ, საცოდავია.

გათავდა კაჩერგას მონოლოგი.

მე თითქოს თეატრში ვიყავი და ვხედავდი საშინელ წარმოლგენას.

ოთახში რაღაც სიბნელე ჩამოდგა.

ლეონტი კაჩერგა სიკვდილის პირათ ამბობდა თავის წაჭავის დამუწუ-
კებულ სიტყვებს.



ტექსტის გრაფიკული მოდელი

პატარა ამბავის ლასახული

კლარას პატარა ბავშს მენინვიტი დაემართა.

ავალმყოფობამ შესკვალა დედა.

ერთის წუთით ალსდგა მკვდარი სული.

ეჩხუბებოდა მთვრალ სტუმრებს, კლარას რომ ესეოდენ, ოთახში არავის
უშვებდა.

ბავშს სიცხე აღნობდა.

ორი დღე ლოგინში უგონოდ იდვა.

კუნესოდა და ძიგძიგობდა, როგორც ბელურას ბახალა.

პატარა ტუჩები გაებერა, თითქოს პატარა ტუჩები უნდა გამსკდარისვენ.

ისინი ჰგავდენ ტყუპად დალაგებულ პატარა, მსუქან წითელ ჭიებს.

ცხვირი გაყვითლდა და იყო მოელვარე, როგორც ქარვა.

მთელი სახე გაშრა სიცხისავან.

თვალებს ვერ ახელდა, ხანდაბან გაიხსნებოდენ შეკრული წამწამები და
გამოჩინდებოდა თეთრი სინათლე, რაღაც მავარი თეთრი სინათლე. როდესაც
ბავშს თმა გაკრიჭეს, სახემ დაპეარგა სილამაზე, სახე სულ შეწუხებული იყო.

წარბები ხან და ხან შეინძრეოდენ.

მარჯვენა წარბის კამარა ცხვირის სათავესთან კოტათი შეტყდებოდა, და
მაშინ ყველა გრძნობდა რომ მწუხარე ბავში შველის იოხოვდა.

ყოველ წუთში იცვლებოდა შუბლზე ცივი ტილო.

კლარას შენახული ჰქონდა ორი ოქრო და ხურდა. ბავშა არაფერს აკლე-
ბდა. ექიმს ტირილით ევედრებოდა, გასწორებას პპირდებოდა...

სალამოს ბავშს სიცხემ უმატა.

შეაღამისას კლარას კარებს მოადგა ერთი საყვარელი ამხანაგით. კარები
მაგრათ შეანგრია. კლარა კივილით მივარდა კარებს, სახეში ეცა საყვარელს, ჩა-
მოპპოტნა, მაგრამ მოსულები მთვრალები იყვენ. შეცარდენ ოთახში გონდაკარ-
გულები, დედა მივარდა ბავშის ლოგინს ლრიალით; „მიშველე, მამა, ბავშს მოკ-
კიდე ხელი!“


მამამ ჩიიკრა ბავში, კარებში გამოვარდა, ქუჩა აავსო ყვირილით. მთვრა-
ლები გაიქცენ.

კლარა იატაკზე ეგდო გულწასული.

ლეონტი კაჩერგას მიკრული ყავდა მკერდთან სახე დატანჯული, გაცივე-
ბული, მკვდარი ბავში...

ცხედარი ბალიშზე დაასვენა, შვილი მოაბრუნა, ლოგინზე მიაწვინა.

ბალიშიდან აილო შეილი-შეილის გაცივებული და გამხდარი ცხედარი, მუ-
ნჯივით ატირდა და მიუტანა დედას ბავში.



არაფერი თქვა, არც საყვედური, არც მშუბარება.

დედაც არ კიოდა, ბავშვი თვალები დაუკოცნა:

ეროვნული
მუზეუმი

„მამა! მალე ალექსანდრეს ბალში კიდევ გამყიდვისას აურაცია ჰქონდა. მე ვერ ვიყიდი მათ!.. ვისოდეს?..“

მეორე დილით ლეონტი კაჩერგამ მხარშე გაიდვა თეთრი კუპი. არც მლვდელი იყო, არც ბალდახინი. მამას უკან მისდევდა კლარა. სხვა არაეინ. ავლაბრის სასაფლაოზე კაჩერგამ გათხარა მიწა და დაბარხა იქ შვილის-შვილი, უკანასკნელი სიმდიდრე.

პირველ მაისს, გავიარე იმ ქუჩით, სადაც ყოველთვის იდგა მათხოვარი ლეონტი კაჩერგა.

იმის ნაცვლად ღამხვდა უცნობი მათხოვარი და გამაჩერა.

„მე თქვენ ვიცნობთ, მე კაჩერგას მეგობარი ვარ. ჩემი შვილი კამოს სასწავლებელში სწავლობს. კაჩერგა შტკვარში გადავარდნილა და ბარათი დაუტოვებია თქვენთვის, ინებეთ, მე დღეიდან აქ დავდგები, უბედურის სამაგიუროთ“.

ბარათში ძლიერ წავიკითხე: „ბატონო მწერალო, ჩემს ნაცვლად მიხელეთ ამ ბარათის მომტანს და მის ქალს.

თქვენი მადლიერი ლ. კაჩერგა“.

მივაშურე კაჩერგას ბინას, — ოთახში არავინ იყო.

ეზოს ბოლოში, შტკვრის ნაპირას, მიწაზე იჯდა კლარა, მას ამშვიდებდა ვილაც მსუქანი კაცი, რომელსაც იმ წუთში სიამოვნებით გადავაგდებდი მტკვარში. ორ ნავსე იდგენ მებადურები და ჩანვლებს ისვრიდენ წყალში: გვამს ეძებდენ.

ქუჩები ხალხით იყო სავსე.

შორიდან მოისმოდა ორკესტრის სიგმირო მარში.

სიცხე იდგა.

კიციანოვის დაღმართხე ქალაქისაკენ მოდიოდა წითელ წვერებიანი მალაკანი და მოქმედი წითელი, მშვანე და ფერადი ბუშტები.

ს ა ნ ა ვ ა რ დ ო

კარი მათორაშვილი

შ ი ც ხ ა დ ე ბ ა

ერთ მოვარიან ღამით სულ უბრალოდ მოკვდა ციცინო.
ამოისუნთქა, შეაურუოლა და გათავდა.
გაჩნდა წივილი.
რაღაც ციცი და ბასრი გაფრინდა სიერცეებში.
როცა ციცინო მოკვდა, ერთი ვარსკვლავი მოსწყდა ჟეცას და მოქნეულ
ერთგულილივით ჩაპერა რიონის ჭაობებში.
— ვაა-ვა!.. ვაა-ვა!.. ვაა-ვა!.. — წიოდუნენ ჭირისუულები.
— რა მიქენი იი, ციცინო, რავა დამლუპე!.. — მოსოქვამდა ყარამან და
შუბლში წელს იცემდა.
— დედია!.. დედია!.. დედია!.. — ბლაოდა ბონდო...

ქარი გევამარე



ს ა ტ ი რ ა ლ ი

შეორე დღეს მაწვიფრები მოარულ სენივით მოედვნენ ყარაშანის მოუკრებს, ნითესავებს.

იუმ შავების კერვა და ჭირისუფლების /სამზადისი.

მედავითნე მიცვალებულთან მოელი ღამე „დავითნს აბრუნებდა“.

ისმოდა გაბმული ბუტბუტი და ბონდო ვერ იძინებდა.

რა ვქნა მე ახლა, რა ვქნა... — მოსთქვამდა ყარაშან.

გისვენების დღე დაინიშნა.

ყარაშანს არაფერს ეყითხებოდნენ.

ჩასაც ეტუოდნენ, ყველაფერზე თანახმა იუმ.

ტირილის დღემაც მოაწია.

გაჩნდა ორპირში ურმების ჭრიალი.

მოჰქმნდათ: პური, დოში, ბრინჯი.

ციცინო ეზოში გამართულ კარავში ესვენა.

ბონდო და ყარაშან გულხელდაკრეფილნი დასცეროდნენ ცხელას.

მეზარეები ჭიშკართან ზარით ეგებებოდნენ ჭირისუფლებს და გულის შემალონებელ ლილინით მიაცილებდნენ მიცვალებულის კარვამდე.

იუმ კივილი და მოთქმა.

ჭიშკართან ზარის ჩამორცვამ გული შეაღონა.

მატირლები არ იღეოდნენ.

ბონდოს მეტი არ შეუძლია.

— როდის გათავდება, ნეტავ, ეს ამბავი და დარჩება მარტო!...

მატირლები გადასარევად სტიროდნენ.

ფოტინე გვაძაბიხემ ცველას გადააჭაბა.

მისმა მოთქმამ დათუთქა გული.

ჭირისუფლები ჩამოდიოდნენ ცხენებით და ხელში ეკავათ შინ გაკეთუბული თაფლის სანთლები და სამფეხზე ანთებული ეინელილები.

ქალებს ვერ აკავებდნენ.

თმებს იგლეჯდნენ, დაიხოკეს ლოყები და სისხლი ღვარივით მოდიოდა.

რა დეგემართა აი, შე ბედდამწევარო, რა დეგემართა!.. ვაა-ვა!.. ვაა-ვა!.. ვაა-ვა!.. რავა ვარ შენს მერე ცოცხალი!.. ვაა-ვა!.. ვაა-ვა!.. ვაა-ვა!..

ყარაშან ზმუის ნიათგამოლეული.

მამაკაცები შუპლში ბელის ცემით მიატირებენ მამა-შვილს, მერე განზე გადგებიან და, ერთი მეორის კითხვა-მოკითხვის შემდეგ, ბაასობენ დარბაისლად მიცვალებულის ლირსებებზე, ჭირნახულზე, რკინიგზაზე.

შორი სოფლებიდან ჩამოსულებს ეკითხებიან იქაურ ამბებს.

ეზოში ღვას მკუდრისა და საკმეველის სუნი.



უსტუსია და წრიალი
ერთ ადგილას სუჟრა გაუშლიათ და შემომსხდარი ხალხი მხრიდან მიუწყობის ჩამოსახულება.

მერიებით ღვინის დასხმას ვერ აუდიან.
არის თევზის ძელის წუწია და ლომიან თითების გალოკვა.
ხოვი დგება და მის ადგილს მაშინვე იკურენ.
საპატიო სტუმრებისთვის მოინალები ცალკე სეფას აშხადებენ.
მშეერი აზნაურები ულეაშა იკრებენ და თან სუფრისკენ თვალებს ქურდულიდ აპარებენ, როდის დადგება მათი რიგი.

თუ სადმე სოფელში ძალლები იყო, ყველამ აქ მოიყარა თავი.
აჩქარებულ მზარეულებს და სუფრის გამწყობთ ფეხებში ედებიან და არის წყვია-კრულვა:

— დეილუპე, ძალლო, აქიდან, შე მამალი გელის შესაჭმელო!..
ცხენებს მოსართავებს ხსნიან და უნაგირებს აბინავებენ.
სამზარეულო სახლში ლობიოს კმაზავენ, ჩოვან ჩარჭობილ ღომს აშუშებენ,
თუვზს მზარშავენ, ფლავს აშხადებენ.

ბოსტანში თხილებ ქვეშ ჭურებს ხდიან და ლვინოს კოკებში ისხამენ.
მეწობელი გოგო-ბიჭები დატანტალობენ და მზად არიან დააძრენ ქელებს,
მერე მოაგროვონ პური, ფლავი, ღოში „ცახოცში“ გაპხვიონ და სახლში გა-
ჯინონ.

უეცრად ჭიშკართან მოისმა კივილი.
ხალხმა მოიხედა.
მოდის ტასია გადარეული ფეხშიშველი და შეიქნა მხიარული ჩოჩქოლი
და გადალაპარაკება.

ახლო-მახლო სოფლებში ის იყო ყველა მიცვალებულის ჭირისუფალი.
ყველა მკვდრებს ივი სტიროდა.
სულ ერთი იყო მისთვის ეინ იქნებოდა.
სამაგიეროდ ქელებში გაძლებოდა, დათვრებოდა.
კუბოს საზიდავ მიტყალს გამოითხოვდა და იმით იმოსებოდა.
ეხვია ტანზე სუდარიასავით და სოკოებივით დაბებერავებულ უხებით ხა-
მარილან ამოსულ შეშლილ შეცდარს ჰგავდა.

დადიოდა სიკედილის მოციქულივით ყველგან.
საცა გაჩნდებოდა, — იქ მიცვალებული იყო.
დადიოდა ყველგან სიკედილის ლანდივით და მისი მოვლენის ყველის
ეშინოდა.
თუ სადმე სოფელში ჩაიარდა, — დედაკაცები შექმნიდნენ ჩოჩქოლს:
— ტასიე გადარეულმა ჩეიარა, — ვინ მოკვტა ნეტაი?..
— ფური მაგის თავს და სიკეტილი!.. — იტყოდა მეორე.
შართლაც იმ დღეს მოვიდოდა ხმა, რომ მეზომელ სოფელში ვილაც მომ-
კვდარიყო.
ახალგაზრდები დასცინოდნენ.

— ტასიე მევიდა, ტასიე გადარეული!... — ვაჩნდა ჩურჩული / და თავშეკა-
ვებული სიცილი.

• მღვდელმა გაათავა პანაშვიდი.

ციცინო გაასვენეს.

მიირწევა ქუბო.

სასაფლაოზე ვაჩნდა წივილი, გულის შელონება.

ყველამ თავ-თავის მკვდარი მონახა და სტიროდნენ საულავებზე დამხო-
ბილნი.

ციცინოს უკანასკნელი მიწა მიაყარეს და გათავდა, ორგორც იქნა, ეს
ამბავი.

ხალხი გამობრუნდა.

ქალიშვილებმა და ყმაწვილ კაცებმა დაპქარებული მორიდება და მოღიან
კისკისით.

მოათრევენ ტყირპიან მუცლებს.

ყველა ზოფრინივით არის გამოყვითლებული და გამოთაყვანებული.

წინ დარბაისელი ქალები მიღიან.

უკან შაშაქაცები.

ზაფი ფლასით თავწიკრული ყარამან მოღის მწუხარე შეიღება დაყრდნო-
ბილი.

არის ბაასი ციცინოზე.

ყველა ქებით იხსენიებს:

— ციდან ჩამოფრენილი ანგელოზი იყო, ბერი, ციდან ჩამოფრენილი!..

— რა მაღლიანი ხელი ქონდა მერე, საცოდავს!..

— შვილის დარდმა ქე მეინელა, მაი უბედურიშვილი!..

— ქემაინც ლირსი იყოს მაი წყეული და გადარეული!..

— რაცხა ხვთის რისხვა ქე კი უნდა ეყიდოს მაი ოჯახზე!.. აპა რავაა

ბერი!..

— არ შერჩენ ბერი, არ შერჩენ!..

— დიდი ბატონის ცოდვამ უწია, დიდი ბატონის!.. არ აპატია ლმერთმა,
მისი სამართლის ჭირიმე!.. — ჩურჩულობენ დედაკაცები.

უკან ბონდო და ყარამან მოდიან.

წინ ყმაწვილ კაცები ტასია გადარეულს ელაზლანდარებიან.

ბონდომ შეხედი ტასიას და ტუჩები ჩაიკვნიტა.

— სიკვდილი, სიკვდილი, ტასია გადარეულო, წენ თავს!.. უახეა, ალბათ,
გამოყერებული ეს წყეული!.. რა მოკლავს მავას!.. მოხუცებულებს ასე ახსოვთ
სიყიდიან.

დააქვს სხეულით ხრწნილება და სინოტივე სამარისა.

ციებისგან ნიათგამოლეული გოგო-ბიჭები ხმაურობენ, არშიყობენ და ნათ
არშიყობას არა აქვს შნო და ლახათი.

სკაპცებიც აქ არიან და დამცურთხალ თვალებით უცქერიან ბონდოს, რო-
მელმაც ასწერი მათი მყედროება.

ფუსტუსობენ დაჩიავებულნი და სასაცილონი ჯარის კაცის მღნიულებზე.

ტასია გადარეული კისკისებს, მხიარულადაა.

რა უჭირს, — მისი ამინდია!..

მოსავალი კარგი იქნა.

მაღდის ბონდო მწუხარე და ჩაფიქრებული.

დაილალა.

— დავილალე, მამაჩემო, არ შემიძლია!.. — სთქვა მან ოდნავ გასაგონად
და ამ სიტყვების შემდეგ კიდევ უფრო იგრძნო მოქანცულობა.

ფეხზე ძლივს სდგას.

— გამავრდი, შვილო, გამავრდი!.. — უპასუხა ყარაბანმა და შვილს შეხედა.

ბონდოს თვალები ნალვლით შესცეროვნენ მას და ყარამან შეშფოთდა.

— რა იყო, შვილო, რა დაგემართა?.. — შეეკითხა იგი ფერმერთალი.

— რა ვქნა, მამა, შეტი არ შემიძლია!.. სთქვა მან ჩურჩულით და მიიხედ-
მოიხედა.

სკაპცები მოდიოდნენ მიბჟუტულ თვალებით და ბონდოს ვაეცინა.

ვაი შენ, სკაპცის ქალო!.. სქესი კიდევ სცოცხლობს შენში!.. მოკუ-
ლით იგი, რამეთუ წაწყდა უჯიშო და უჯილაგო მოღვამა სკაპცებისა!.. — იძახდა
სისხლგამშრალი მოხუცი სკაპცეცი და ხელებს შლიდა ბაირალიერით.

ბონდო იყო ქრისტე სკაპცების.

და მან აჩუქა სკაპცის ქალს კეშმარიტი რადენიე, მან აცხოვნა იგი და აგ-
რძნობინა სიტკბილე ვაერის.

სკაპცის ქალმა იყმარა მისი ვნება, — ენიაენა ტრუბანოვამ გულში ბელი ჰერა
და გაფრინდა კირასირ გრაფ ვილიე დე-გრიფინთან.

გრაფმა შეიგდო იგი ათქვირულ ცხენზე და გაფრინდნენ ვერსალის ბრო-
ლის სასახლეებში.

ცხენის ნალი წკარუნობდა ბროლის ფილაქანზე და ფლოჭებში ცეცხლი
ედებოდა გაერთლ ტალ-კვესით.

ბონდო დარჩა მარტო დალლილი სისხლით.

— სისხლი!.. სისხლი!.. სისხლი!.. — ჩურჩულებდა იგი და უცემროდა ცხე-
ნის ფაფარში ჩაფრენილ კნიაჟნას გაშლილ კრინოლინით.

— სისხლი!.. სისხლი!.. სისხლი!.. — ჩურჩულებდა იგი.

— რას ამბობ, შვილო?.. — შეეკითხა ყარამან.

ბონდო შეკრთა, თვალები მოიშვრა და შეხედა მიშას,
გაიღიმა.

შერე:

— სისხლი ლაილალა, მამაჩემო, სისხლი!..

— კარგი ახლა, შვილო!.. — უსაყველურა მამამ.

— სისხლი მამაჩემო, სისხლი დამჟავდა ძარღვებში!..

ყარაბანმა დამფრთხალ თვალებით მიიხედ-მოიხედა, რომ არაერი შენიშნოს.
უცრიად რაღაც ფშეინვა მოისმა.

მოიხედეს: ხედავენ გუჯუ ლაბახუა გამოჩნდა შეკის / მოსახვევში მთლად
შიშველი.

მისი მკერლი დაწილ გოდორივით არის კუნთებ გატრიქნის / შეკა
წინსაფარის მავიერ ბინძური ძონძები აფარია.

— გუჯუ ლაბახუა!.. არიქა, ტასია, შენი ქმარი მობრძანდება, შენი ქმარი!..
— მოღი, გუჯუ, მოღი!..

— სიძეს გაუმარჯოს, სიძეს!.. — ელაზლანდარებიან ახალგაზლები და თან
ურხლოვდებიან.

— გვაცხონე, გუჯუ, გვაცხონე!.. — ლაუძახა მას ვილაცამ ოხუნჯურად და
გუჯუ დაიპრანჭა, აბურდლულდა დათვივით.

აღიტინებული ქალები კისკისებენ.

გუჯუ დგას კუთხებ გატენილ ბარელებით და, თოოქოს მიწიდან ამოზრდი-
ლა, ისეა დაბჯენილი.

ბონდოს უცხაურად შეაერეოლა და დამფრთხალ თვალების ცეცება დაიწყო.

— რა დაგემართა შვილო?.. — ეკითხება მამა.

— არაფერი მამაჩემო, არაფერი!.. — უპასუხებს იგი გარინდებული და გუ-
ჯუსკენ იცქირება.

„რესედა“ და ქალური სურნელება აბრუცებს მას.

— მე თქვენ მოგართეთ ბახჩისარაის ბეისავან ძლვნად გამოგზავნილი თუ-
რაზაული და თქვენ!.. — ამბობს ქნიაუნა ტრუბანოვა საცვედურით და შეპუდ-
რულ სახეზე ალმური გადაჭრა.

ბონდომ თავი შეარხია და მოიგერა.

გუჯუ დგას სისხლიან თვალებით.

— მოი, ბეჩა, გუჯუ, მოი!.. — დაუძახა მას დაყვავებით ვილა(;) ახალგაზ-
რდა ქალმა წყრიალა ხშით და გუჯუს შეაერეოლა.

ვნებაანთებულმა დაალო პირი და იბლავლა შემზარავად.

იზმუვლა ატეხილ მოზვერივით, ბკერდში მუშტი დაიკრა, უცნაურად დაი-
პრანჭა და წინსაფარი აიწია...

იდგა სატანასავით ვნებააყეფებული, ბლაოდა და ეძახდა დედალს.

ქალები წივილით გარბოდნენ.

მარავაცები დაიბნენ.

ბონდო ზარდაცემულ თვალებით შემას აეტმასნა და შებლზე ათროოლე-
ბული თითები გადისვა.

— მამა!.. მამა!.. მამა!.. — დაიკენესა შენ და თავს მოწყვეტით აქანავებდა.

— მომიტევე მამა!.. მომიტევე!.. — დაიძახა შენ და გაექანა გუჯუსკენ.

შეჩერდა, მოჰელა მამას.

უეცრად მოსწყდა, გაიქცა და მუხლებში ჩაუეარდა გუჯუს.

— გუჯუ!.. გუჯუ!.. გუჯუ!.. შენ შეგვეწიე გუჯუ, შენ დაგვითარე!.. — ბლა-
ოდა იგი ხელაპურობილი და ფეხებს უკოცნიდა, თაყვანს სცემდა გუჯუ ლა-
ბახუას.

ხალხი გამოერკვა.



მისცვივდნენ ბონდოს და საუკედურობდნენ.
სოხოვდნენ მოსცილებოდა.
მოვარდა მე-96-ე სკაპცების საინვალიდო ოორის პორუჩიქის შესახურიდ-
სკი და ამშვიდებდა.
ბონდომ მოიხედა.
შეხედა პორუჩიქს და უკან მთაწყდა.
Скопец!.. Скопец!.. Марш отсюда, скопец!.. — ჰუკიროდა იგი ხელის სავ-
სავით.
პორუჩიქი დაიბნა.
ხმა არ ამოუღია.
გაკეირეებულმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა, რაღაც ჩაილაპარაკა მოსკოვეურ
რუსულით და მოსცილდა.
ხალხი შემოუხვია გუჯუს.
დაუწყეს ცემა.
ბონდო მის საშველად მიიწევდა, მაგრამ გააკავეს.
სცემდნენ გუჯუს წიბლებით, ლობიდან გამოძრობილ სარებით.
სთელავდნენ ფეხებით და გუჯუ ბლაოდა დაჭრილ ნაღირივით.
ბოლოს, როგორც იქნა, გაუსხლტა ხელში და ნაცემ ვაყასავით ვაიქცა
ჭიხვინით, ვადავარდა ყანებში და დაიკარვა სიმინდის შრიალში.
გულშელონებული ბონდო ვიღაცის მკლავზე გადესვენა.
მოარბენინეს იქვე მეზობლის ეზოდან წყალი და მოასულიერეს.
ბონდომ მიიხედ-მოიხედა, შუბლზე ჩვეულებისამებრ ხელი გადისვა და მწა-
რედ, ნალვლიანად გაულიმა მამას.
მერე წამოდგა და გამფრთხალ თვალებით მიიხედ-მოიხედა (თითქოს ვი-
ღაცას ეძებდა), და, როცა ვერ ნახა, თვალები მოისრისა, წელმოწყვეტილი ში-
ეყრდნო მამას და გაჰყევა რასლასით...



ქართველი გამოცემა

კულტური გარჩიელებისა და განვითარებისათვის

ხალხი შემცირდა.

გაჩნდა მიეთ-მოეთი.

ხალხი ააყაყანა ბონდოს საქციელი.

უხუცესი გლეხები გაგზავნეს კულაშში მარჩიელთან.

უველი მოუთმენლად ელოდა პასუხს.

რა ექნა სოფელს!..

სხვა გზა არ ჰქონდა.

სოფელი გაწყდა.

არ იყო ოჯახი, ერთი ან ორი წევრი არ გამოჭულებოდა და ვინმე ლოგონად არ ყოფილიყო ჩავარდნილი.

არ იყო კომლი, რომ კუბო არ გატანილიყო.

დაბრუნდნენ მარჩიელთან გაგზავნილი კაცები და მოახსენეს სოცელს, რომ აქედან უნდა აიყარონ.

რომ ეს ადგილი არის უუმურთა-უემურის და მაისის გველის. წითელ გველთა მეფის ნასახლარი და საბრძანებელი.

რომ ეს შიდამოები გაჩნილია ქვეწარმავალთა დაგვალულ ზეორებისათვის.

მარჩიელი ამბობდა, რომ აქ ქვა ქვაზე არ დარჩებოდა.

სანავარდოს ავი სულები დაეპატრონენ.

ტრამა და ნგრევა ძოიცავს მას და, ვისაც თავის შველა უნდა, მოშორდეს ამ იღვილს.

მოდის ნარიონა:

- ბაყაყებით, გველებით, ყანჩებით, ხაშით, უუმურით, აყოლილით, საწერელით, შემლილობით, სიკედილით, ცხელებით, მაჯლავნით, ავი თვალით, უშვილობით, თუთაშით, შაკიკით, ნეკრესის ქარით, ფილენჯის ქარით, ბატონებით, საყმაწვილოთი, შვნახვდომით. ქაობები მოედება მთელ არე-მარეს.

ჭილოფით და ლაქაშით დაიფინება მიღამოები.

სოფელმა გადასწუვიტა აიყაროს, მაგრამ დღეობა მოახლოვებული იყო და ნადინესასწაულევისათვის გადაიდო.

ბატონთან გაგზავნეს მამასახლისი.

ყარამან დახვდა მათ მორჩილი, წელგატეხილი და მოხუცებული.

სოფელი ეკლესიას თხოულობდა.

ყარამანმა ხება დართო, თუ ეფისკოპოსი დასთანხმდებოდა.

უველა სამზადისში იყო უკანასკნელ დღეობისათვის და შერე ასაყრელად.

შიშველი ბალლები ხტიან, უხარიათ და ძლიერ დაათრევენ ტყირპით გაბისინებულ მუცლებს.

გადაწყდა:

დასახლდნენ ქოსნათის მახლობლად, სადაც ახალი რეინიგნის სადგური ეს-ესაა მოთავდა.

იქ რეინიგზაა, იქ სამუშაო.

წყეულიმც იყავნ შენ, სანავარდო!..



მარი მახათმაშვილი

ვ 2. გ თ ა ბ ი ჟ ა მ

ბონდო სახლში იყო.

არსად მიღიოდა.

მთელი დღეები იჯდა ოთახში და კითხულობდა.

ერთ დღეს მან ეილაც საეჭვო ხალხი მოიყვანა ორპირიდან:

რუსეთიდან ჩამოსულიყვნენ.

ერთი ჯაყელი იყო, გადაგვარებული, ქართულს ძლიერ ახერხებდა, მეორე ებრაელი და მესამე პოლონელი.

ისხდნენ ისინი ბონდოსთან ჩაკეტილ ოთახში და მთელი ლაშე რაღაცის ედავებოდნენ.

ყარამანს არ მოეწონა ეს ხალხი.

მას არ ესმოდა კარგად რუსული, მაგრამ ცოტა მაინც ვაიგო.

ის მიხვდა, რომ ამ ხალხს „რუსებრიტის“ მოყვლა ჰქონდა გადაწყვეტილი.

უნდოდა შევარდნილიყო, ეყვირა, მაგრამ ვადიფიქრა.

დილამდის დავობდნენ ისინი და ალიონზე გაგულისებული წაეიდნენ, — საუზმისთვის არ მოუკლიათ.

დარჩა ბონდო დაფიქრებული.

ყარამან შევიდა მის ოთახში და ნახა შევიდაზე დაუჭრელი წიგნები ელა-
გა დასტად.

ერთხე უზარმაზარი ობობა ეხატა რუსული წარწერით, მეორეზე ძლიერ
ასოიკითხა:

„Разсказ о четырех братьях“.

დაბეჭდილი რეულებიც ეწყო: ჩედ ზარი ეხატა და იქვე მსხვილი რუსუ-
ლი ასოებით ეწერა: „Копокол“.

კიდევ იყო წიგნები, მაგრამ ვამოეიდა ეკანელებული.

შეეშინდა.

ისინი არაფერით არ ჰგავდნენ იმ რუსულ წიგნებს, მას რომ უნახავს.

ეს წიგნები არ ჰშორდებოდა მის გონებას და მოსვენება დაჰკარგა.

ბონდო აივანზე დადიოდა დაფიქრებული.

არაფერი უჭიამია.

მერე შევიდა ოთახში და ლიჩიკიას დაუძახა.

დაანთებინა ცეცხლი ბუხარში და ყველა ეს წიგნები შეჭყარა შიგ.
ავარდა ბოლი.

სოფელს უკვირდა ბოლი ამ გავანია სიცხეში.

შერე ცხენი შეაკამინა და გადავარდა ორპირზე.

ყარამანს მობეჭრდა მისი ძებნა და თავი მიანება.

ზუალაბისას დაბრუნდა ბონდო და წყნარად შევიდა თავის ოთახში.

ტანთ გაიხადა და დადის პერინგის ამარა.

ყორანივით ბნელი ღამეა.

საღლაც შორს წრომი იძახის ბნელად.

სანთელი ოდნავ ბეუტიავს.

ჭმ. გიორგი აფრენილა ხატის კანდელზე და თეთრად ანათებს თეთრი მერანი.

აფორიაქლა ბონდოს სული.

მოკონებები აირია თავში.

უცხო სტუმრები, მოსულნი იქიდან არ ასვენებდნენ ჩის გონებას.

მოვიდნენ (კი სანკტ-პეტერბურგიდან და მოიტანეს უთვისტომობა.

დაბნელდა სულში.

საშველი არაა ამ სიბნელეში.

საღაც მივიდა ყველგან სიბნელე დახვდა.

ყველგან მარტო.

დაწვება და მასთან წვება ეს სიმარტოვე მოსიყვარულე ცოლივით.

გაივლის და იედევნება ორეულივით.

იქაც მარტო იყო.

ენატრებოდა დედის კალთა.

მოვიდა დედასთან და დედამ მიატოვა იგი.

მოკვდა.

პანაშვიდი გადაიხადეს და გათავდა ყველაფერი ისე, თითქოს ეს ასე უნდა მომხდარიყო.

მხოლოდ სულში სტკივა რაღაც.

— რომ ვერ ნახა მოსვენება?!

დადის:

— ერთი... ორი... სამი... ხუთი... შვიდი და ნახევარი...

კრილი ერთგულად კრილავს კადელს და ისმის:

— ჩუ-ჩუ!.. ჩუ-ჩუ!.. ჩუ-ჩუ!..

— რა გინდა შენ?.. — ეკითხება იგი ხმამაღლა და თავისიურ ხმით გამოერკვა.

— რა საძაგლობაა მარტო ლაპარაკი!.. — დაიძახა ისეე ხმა მაღლა და გაეცინა.

— ჩუ-ჩუ!.. ჩუ-ჩუ!.. ჩუ-ჩუ!.. — ისმის დაუინებით.

— ჩუმაღ ვარ, მაგრამ რომ არ მეძინება!.. — წამოიძახა მან სასოწარკვეთილებით და გაიზმორა.

დასწვა საეჭვო წიგნები.

ზედ ობობა ეხატა, უზარმაზარი ბობორიკა და ბუზი.

შის ოთახშიც არის ობობა, მაგრამ აქ ბობორიკა და კოლო.

კიდევ დარჩა ბონდოს იქიდან მოტანილი წიგნები.

ეს წიგნები მოიტანა მან სიბნელიდან.

ალბათ იშათაც ბუხარი მოელის.



სოფელს სძინავს.

სადღაც შორს ძალლის ყეთა ისმის მიყრუებულად.
წინ ბნელა.

ბნელოდა უკანაც, პეტერბურგში რომ დასტოვა.

მის უდიდებულესობის საიმპერატორო კარის ფრეილინას უყვარდა ბონდო.
ფრეილინა ცხოვრობდა თეთრგრანიტიან პეტერბურგში, თეთრ მარმარილოს სვეტებიან სასახლეში იქ, სადაც საამირარო შპიცი გაყრილიყო ცაში და
წინ ზღვაში ალექსეევის რაველინი ავარდნილიყო.

კნიაუნას უყვარდა უველაფერი ნათელი.

მაგალითად:

ვერსალის ბროლის გრაფინები, კარგად გაუთოვებული და გახამებული
საცვლები, თეთრი კედლები, ფრაუეს სამოვარი, მელხიორის ჭურჭელი და ლაპარაკი იშაზე, რაც უველასათვის ნათელი იყო და ნაცნობი.

— როგორ ბრძანდებით კნიაუნა?.. — ეკითხება ბონდო აღზნებული.

— კარგად, ხეოლოდ უძილობა მაწუხებს!.. ვილაც თეთრი მხედარი მო-
ლის ჩემთან ლამე და მაშინებს!.. — უპასუხებს კნიაუნა კაპრიზით და მოსულელო
თვალებით ისე უცქერის, თითქო ის იყოს ამაში დამნაშავე.

ბონდო:

— მიიღეთ ბრომი და მოისვენებთ!.. ან და Uevreux-Montreux-ში წაბრძან-
დით და უურძნით იექიმეთ!..

— დღეს ხუთზაბათია, არა თავადო?.. — აწყვეტინებს ქალი.

— გახლავთ!.. — მოუჭრა მოკლედ. — დოლში ხომ არ აპირებთ?.. იქ იქნება
გრაფ ვილიე დე-გრიფინ!.. — შეაპარა შხამიანად.

— მე ძლიერ მიყვარს დოლი, მაგრამ უბედურება რომ მოხდეს!.. — აჩბობს
კნიაუნა ფერშემკრთალი.

— მაგისგან არავინაა დაზღვეული!..

— თქვენ აუტანელი ბრძანდებით თავადო!.. — უწყრება ქალი ჟინიანად,
მარაო მოულერა და მერე ლაპარაკობს კნიაგინია ბორშჩაკოვას ოჯახში გამართულ
სპირიტიულ სეანსებზე, სადაც მკვდრები ისე ლაპარაკობდნენ, როგორც ცოცხლე-
ბი, მერე მასსონებზე, მერე თპერის მომლერალ ქალ M-IIe მიმის შესახებ. მაგრამ
მაღალ წინდებიანმა და წითელ ლიერეაში გამოწყობილმა ლაქიაშ მოართვა სა-
დარბაზო ბარათი, რომელზედაც ჯერ გვირგვინი ეხატა და მერე ეწერა:



გრაფ ჯილი და გრაფინა

— სთხოვეთ მობრძანდეს!..

ასე ეშინოდა კნიაუნას უველაფერ ბნელის, თუმცა მას ვილაც თეთრი მხე-

დარიც აწუხებდა ბნელ ლამეებში, მაგრამ ეს ალბად იშიტომ, ოთხ ჭას უყვარდა ყველაფერი თეთრი და თეთრ კედლებში კარგად არ ჟერჩიარება.

ბონდომ იკრძნო რომ სასწორი კირასირთა პოლქომი ჩასწორებული გრაფ ვილიე დე-გრიფინმა გადაჭხარა, რომელსაც გარდა ბანქოსი, ცხენებისა და ქალებისა არაფერი ესმოდა ქვეყანაზე.

ასეთი იყო კნიაუნა ტრუბანოვა.

ბონდომ მას საქართველოდან მზის მაგიერ სიბნელვ მოუტანა.

ბონდოს გენეალოგია იკარგებოდა საუკუნეთა სიღრმეებში.

კნიაუნას სავვარეულო შტო კი ნათელი იყო.

ჩისი წინაპარი იყო „ტრუბაჩისტი“ (ამას ის, ღვთის წინაშე, მალავდა და ალბად იმიტომ სტულდა ყველაფერი ბნელი), და, როცა ის ბუხარს წნმედდა სასახლეში, რატომდაც მოეწონა იმპერატრიცა ეკატერინეს და უბოძეს ხარისხი გრაფისა...).

(აქაც ბუვრ რამეს ლაპარაკობდნენ ავი ენები, მაგრამ ეს ჩვენ შორის დარჩეს).

ერთი სიტყვით, ასე იყო:—

რა იყო ასე?..

ხო: ის რომ კნიაუნამ მიატოვა ბონდო.

ერთ დღეს კნიაუნამ აჩუქა ბონდოს ბახჩისარაის ბეისაგან ნობათად გამოგზავნილი თურაშაული და ბონდომ შემოპხვია ხელი.

ქალი გრძნობდა წელშე ვაჟის მაგარ ხელებს და ტანდაყუდრული ნებდებოდა, მაგრამ იმ დროს, როდესაც მის ტუჩებს უახლოვდებოდა ულვაშებით შემოწყობილი ვაჟის ტუჩები, იკრძნო აცრუება და შენიშნა, რომ ბონდოს ლილი აკლდა საყელოზე (ალბად მღელვარების დროს ასწყდა იგი), და სთქვა:

— თავიდო ბონდო, თქვენ ლილი გაკლიათ საყელოზე!..

ბონდო შეკრთა, თვალები უაზროდ იაცეცა, მერე ქალს ხელი ჰქონა და უკან მიაწყდა.

კნიაუნა შეწინებული უცქეროდა მას.

ბონდო იდგა თავდახრილი და კნიაუნამ ყოვლად უმიზესიოდ, რატომდაც იკრძნო საოცარი ზისლი მისდამი.

ფერხთით უგდო საყელო...

ვაჟის საყელო...

გაშალა მართო და გაიქცა.

ბონდო დარჩა მარტო.

უფრო დაბნელდა.

ავი ზნე ხირხნიდა ტვინს.

ეპილპესიამ დალორწა ხერხემალი.

— ლმერთო!.. ლმერთო!.. ლმერთო!.. — იძახდა იკი და თმებში ხელებით ჩაფრენილი დარბოდა ოთახში.

ასე გაფრინდა კნიაუნა ტრუბანოვა მისი გულიდან.

სულში უსიამოენო ნალექს პერძნობდა და არ იცოდა რა ექნა.

დაისხა ქონიაკი და გაღაპქრა ზედიზედ, მაგრამ მაინც არ უშევება.
ფრეილინა გაძყვა კირასირ გრაფ ვილიე დე-გრიფინს, თუ გრაფინს, ეს
სულ ერთია.

(კნიაუნას საოცრად უყვარდა ვერსალის ბროლის გრაფინები).

და ახლა გრაფს აჩუქებს ბაზისარაის ბეისავან ძლვნად გამოგზავნილ თუ-
რაშაულს.

მას ოქროს გალუნები აქვს და აქსელბანტები.

როცა მაზურქას ცეკვავს, დეზები წყარუნობენ და მთლად ბრწყინავს. ამას
გარდა მას კოჯობი ულეაშებიც აქვს, ასე რომ, როცა ის ჰერცენის კნიაუნას,
ულვაშები ეალერსება მის ნაზ სახეს და სასიამოვნოდ ულიტინებს ცხვირის
ნესტოში.

ერთი სიტყვით, კნიაუნას უყვარს გრაფ ვილიე დე-გრიფინ, თუ გრაფინი,
ეს სულ ერთია, და ბონდო დარჩა სიბრძელეში.

ბონდოს სძულდა გრაფი იმიტომ კი არა, რომ კნიაუნაში ედავებოდა.

სრულებითაც არა...

სძულდა იმიტომ რომ მუდამ თაველის სუნი ახლდა თან.

(გრაფს ძლიერ უყვარდა ცხენები და ქალები).

ამას გარდა არც ქალალდის თამაშობას გაურბოდა.

ბონდო კი პერიტინივით დადიოდა ყველგან, მაშინ, როდესაც ეს უკვე მო-
დაში არ იყო.

ერთ მაღალწოდების რაუტზე, სადაც კადრილი ირწეოდა კრინოლინებში
და ბროლის გრაფინებში, ვიღიე დე-ვრიფინმა მოართვა კნიაუნას გრაფინით
დიდად პატივცემულ მეცნიერის ტორტიჩელის სიცარიელე და ხელი გაუწოდა
კადრილისათვის და კნიაუნა ვაძყვა გრაფს მაშინ, როდესაც ერთი წინ
უარი უთხრა ბონდოს.

მას რაღაც მოაწვა ყელში და ქავილით აღრჩოდა.

თეალთ დაუბნელდა და უეცრად იგრძნო რომ ფეხით ჰკიდია შეა დარ-
ბაზში გადმოშეებულ კანკელზე, სტეარინის წვეთები ეცემა თბილად და უვა-
ლაფურს უკულმი უქმერის.

დირიქორი ჰკიდია სადღაც დამხობილ კრინოლინებში და ისმის საოცრად:

— A vos places!..

— A droit!..

— A gouch!..

ირწევა კადრილი აშიასავით.

სადღაც დეიბ-გუსარი ანათებს წითლად.

გრაფინები გორავენ კრინოლინებში და ისმის დეხების წკრიალი.

ბონდომ ტკიეილი იგრძნო შიგნით.

ვერ აიტანა.

დაავლო ხელი უხარმახარ დივანს, ასწია ზევით და ისტოლა იქ. სადაც
გორავდნენ მუცელგაბერილი გრაფინები თეთ კრინოლინებში.

გაისმა შუშების მსხვრევა და კრინოლინები კივილში ღრუარუა ტლენენ გასა-
ოცრად.

ბონდო დგას, არაფერს ხედავს.

სულში ისევ სტკივა რაღაც და სწოვს.

შემოტრიალდა და გავიდა აივანზე.

სასახლის წინ დგას დარიჯი ახირებულ ილებარდით და მაღალი ქულით.

შორს ალექსეევის რაველინი მოსჩანს განათებული.

კარეტები მოხუც დედაბრებივით მოღუნულან.

ცხენები ფეხს სცემენ გაყინულ მიწაზე და ორთქლს უშვებენ ფრუტუნით.

— ღმერთო, რა ვქენი!.. რა ვქენი!.. — ჰკვენესოდა ივი და მოემზარა მოსა-
ლოდნელ დუელისათვის, მაგრამ გრაფინები საკმაოდ მხდალები აღმოჩნდნენ,
რომ ეს გაებედათ.

ჩაჯდა კარეტაში და გაფრინდა კუნძულებზე.

წავიდა სიბნელეში.

თუჯის მხედარი აფრენილიყო გაშლილი მექლავით.

იქ, ნევის პირას, საეჭვო რესტორანში ნახა მან მატროსის ხისა M-le ფიფი
და ემინა მასთან მთელი ღამე.

კუნძულებზე ბნელოდა და უბერავდა იქიდან პეტერბურგში ბნელ კპილე-
პსით და ინფლუენციით დალორწილი სუსბიანი ქარი, აურიალებდა ქუჩაში
იშეიათად დარჩენილ კრინოლინებს და უყინავდა ნაზ გრაფინიებს ატლასის ბა-
ჟებს.

M-le ფიფიმ მიიღო ბონდო.

მეზღვაური გაემგზაურა მონლოლურ ირიბ თვალებით ოკეანეებში და ბე-
ნარესში მიირთმევდა მწიფე ბანანებს.

იჯდა შლინარე განვის ნაპირას და თავს იქცევდა თუთიყუშებთან მუსაიფით.

უნივერსიტეტის კათედრაზე იჯდა ფრაკიანი თუთიყუში თეთრ ხელთათ-
მანით, მას pinc-nez ჰქონდა კაუჭ ცხვირზე და კითხულობდა ლექციებს.

სტუდენტები უსმენდნენ და ყურებს აფართხუნებდნენ.

ის ებრაელი, ის პოლონელი და ის ჯაყელიც იქ იყვნენ და ყორებს აფარ-
თხუნებდნენ.

თუთიყუში მსჯელობდა მეტაფიზიკურ სამყაროსე, ამბობდა უმპირიაზე.

დიალექტიკა, საგანი თავისთავად, მერე ჩვენთვის, მერე კიდევ ვიღაცის-
თვის, ღმერთი და ასე...

განა ცოტა რამაა სალაპარაკო...

მოჰქონდათ ლაბორატორიებში ბაყაყები, ჰფუტრავდნენ მათ და ეძებდნენ
ღმერთს, მაგრამ ღმერთი არ იყო.

კოლბები, მენზურები, გრაფინები, რეტორტები, ყანთრები, ახირებული მი-
ნის იარაღები თვალს სჭრიდა ბონდოს.

ბაყაყები კახცახებდნენ შიშით პინცეტებისა და ლანცეტების დანახვაზე.

ქვეყანას ერჩიათ თხრილის პირას ჯდომა და დამპალ წყალში თქალუნით
გადავარდნა.

არ იცოდნენ რა ექნათ, ისე უმოწყალოდ ჰეთატრავდნენ გამარტინულ
ნეშტარით, მაგრამ ნოუმენი, რომელიც დიდი ასოთი იწერება, ჟურაფჭუჭუჭელ
შერე გამოჩნდა ერთი ჭკვიანი კაცი და დიდის ამბით განისტოდნენ და ეს
— ბაყაყი აქ არის და ლმერთი იქ.

(აქ უდრიდა კათედრას და იქ.—აუგიტორის ჭერს).

თუთუყუშებმა დაპყარეს ხელები, რომ ასე უბრალოდ გადაიჭრა ეს ამოცანა.
ამის შემდეგ აწრიპინდნენ კალმები.

წამოვიდა წვიმა ტრაქტატებისა და დისსერტაციების.

წიგნის რაჯები იზნიქებოდნენ მათ სიმძიმის ქვეშ.

კეთილი მოქალაქენი გარბოდნენ თავიანთ კუნჭულებში, რომ თავი დაეხს-
ნათ ამ სულელურ ქალალდებისაგან, რომელიც ორი დღის შემდეგ საჭირო იქნე-
ბოდა მხოლოდ ერთ ინტიმურ დაწესებულებაში და სემიჩეის პარკების საკე-
თებლად.

მოდიოდნენ საოცარი ახალგაზდები და ლაპარაკობდნენ.

~~ცურა ამასუსაშე მომდოა ქადაგით.~~

ლაპარაკობდნენ ცხოვრების შინაარსზე და მათ ლაპარაკის შემდეგ მოთლად
ეკარგებოდა აზრი ცხოვრებას.

ამბობდნენ:

რაფაელის მადონნას სჯობია გაუწმენდავი ჩექმა.

ბონდო ფიქრობდა და ახლაც ფიქრობს...

არ ესმის: რატომ სჯობია ჩექმა მადონნას?!.

მას არ ესმოდა: რატომ არ შეიძლება ჩექმაც იყოს და მაღონნაც?!..

რატომ არ შეიძლება ბაყაყიც იყოს და ლმერთიც!?.

მის წინ გდია უზარმაზარი ყელმოქცეული ჩექმა.

მას ოფლის და ვაქსის სუნი ასრის.

კიდევ იქნას ამას გარდა რალაცის სუნი, მაგრამ... ჰო... იქნა სუნი... გული
ეყრება.

თითქოს მჭვარტლიანიცაა.

ალბად, სამოვარის უბერავდნენ.

განა ცოტა რამეთ მოიხმარება ჩექმა!..

მავალითად:

ჩექმით შეიძლება ბულიონის გამოხარშვა.

ჩექმა ჩექმად დარჩება და ბულიონი ბულიონად.

ლმერთს კი ვერ გამოხარშვა, რამდენიც უნდა ხარშო, ergo: — სისულელეა
ლმერთი, სისულელეა მიღონნა!.. და ბონდო ხედავს, რომ ჩექმაში ზის ლვთიშო-
ბელი ჩჩვილი ყრმით. რომელიც მას ხელს უქნევს.

იგი ისე ჩჩვილია და მსუქანი.

— დედაო ლვთისავ!.. —დაიძიხა მან საოცარ სიყალბით, პსევდო-კლასიკურ
მაღალ შტილით და დაემხო მის წინ.

(ალბად ასე ლოკულობდნენ დავით და კონსტანტინე.)

ებლა ეს მოდაში არ არის.

— მიშველე, ღვთიშობელო მარიამ, მიშველე, თორემ გადამრჩენ ეს ტვინ-დაცუეთილი თუთიყუშები, გადამრევენ!...

ღვთიშობელს ყელი უშობელ ნიამორივით მოუღერებულ ფრაგმენტების შეილს. თუთიყუშები დაიბნენ.

იფოფრებიან, პენსნეს ისწორებენ და არიან ამბავში.

უცხად გამოეყო ერთი თუთიყუში ლიცენციატის ხარისხით და ვანაცხად ავტორიტეტულად:

— მადონნა არის, ამას ჩვენ ვხედავთ ჩვენის თვალებით, მაგრამ ის მრეცხავად თუ ივარგებს, უკიდურეს შემთხვევაში, თუ მას აქვს curriculum vitae კულინარიისა, შეუძლია კომბოსტო დაამჟავოს, სხვად ის გამოუსადევარია...

თუთიყუშები დამშეიდდნენ.

მათ მონახეს კატეგორია, სადაც შეიძლებოდა ამ მოვლენის შეტანა; კმაყოფილნი ჰყნოსავენ ბურნულს და ცხვირს აცემინებენ...

მერე ისევ წვიმა დისერტაციებისა, ტრაქტატებისა.

საკოდავი მოქალაქე შეძერა თავის კუნკულში და იცქირება დამტრთხალ თვალებით, როდის გადიღებს ქაღალდის წვიმა...

— ნააულ!.. ნააულ!.. ნააულ!.. დარეკეს შუალამის ექლესიის ყარაულებმა.

ბონდო გამოერკვა, თვალებზე ხელი მოისვა და ხედავს რომ თავის თთახშია. გაიარა.

ოთახი შეიღნახევარი ნაბიჯია, იქნებ ცოტა ნაკლები, თუნდაც ერთი მეოთხედით, მაგრამ ეს ანგარიშში შეტანად არ ჰლირს...

სულ ოცდაოთხი ფიცარი არის დაგებული, ეს ზეპირად იცის ბონდომ.

— ერთი... ორი... და ასე... კარგად ახსოვს.

— მტლაშ-მტლუშ!.. მტლაშ-მტლუშ!.. — ტკაცუნბს ცოსტალი ფეხის გულშე...

— მძულს უგულოდ სიყვარული: ხვევნა, კოცნა, მტლაშა-მტლუში!.. —

ამბობს რუსთველი და მოდის ლალი გაზაშლილ პერგამენტით.

შშეენიერი დეკლამაცია სცოდნია მას!..

დიქტიაც კარგი აქვს!..

წმინდა ქართული გამოთქმა!..

თამარი უსმენს მოჯადოებული და მარგალიტის საყურე ცახცახებს თეთრად ანთებული.

ეს მეთორმეტე საუკუნეები იყო.

რომელ მეთორმეტეში?..

ქრისტეს წინად, თუ შემდეგ?

არა, წინად სულ სხვა იყო!..

წინად:

თობელ, მოსოქ, ურ-კანდიმ, ქალდუ...

ეს მაშინ იყო.

მერე:

დაიბუნაგეს კაპადუკიას.

მოაგდეს სისხლით თესლი და ცივბა.

„ყვავდა ეაზი და მწევანე ლერწები დაიტვირთა საესე შტევნებით, რომ მე-
რე ქალის თმებით გამოხარი მოვლენილიყო იბერიაში.

ტაბალის ცხვნი გავარდა სახელად და ფარაონებს თეთრადული ჭრიალების
შისი გახედნა.

და ერთხელ, როცა კველას ეძინა, გაჩნდა ყიჯინა გუშაგების:

— გიმმირაი!.. გიმმირაი!.. გიმმირაი!.. — და გაქანდა ბედი კავკაზისაკენ.
სისხლი ლფარივით იღვრებოდა.

ავარდა ორთქლი ცხელი სისხლის და მზის სხივები იქვარქნებოდნენ მე-
წამულ ფერში.

არის კივილი:

არ გადავშენდებით!.. არ გადავშენდებით!.. არ გადავშენდებით!..

შიშეელი მახვილი გველის წიწილივით ასკდებოდა ბრინჯაოს ფარებს და
შე გამურებულ შანთიერი სწვავდა გახეთქილ ჭრილობებს.

მოღის გიმმირაი კბილთა ლრწენით.

გატყორცნილ ენით ლოკავს კედლებზე ჩამოლვრილ სისხლს და ტორტმა-
ნობს მთვრალი.

ეზეკიელმა დაიტირი თეთრი იმედი:

„მუნ მიეცნეს მოსოქ და ოობელ, და ყოველი ძალი თითოეულისა მათისა
საფულავისა მისისა გარემოსთაგანისა, ყოველნი წყლულნი მათნი, ყოველნი წინა
დაუცვეოელნი წყლულნი მახვილისა მიერ, მიმცემელნი შიშა მათსა ქვეყანასა ზედა
ცოცრებისასა, და დაიძინეს გმირთა თანადაცემულთა საუკუნეთა და საუკუნითგან,
რომელნი შთავიდეს ჯოჯოხეთად საჭურველთა მათთანა საბრძოლელთა, და დას-
ხნეს მახვილნი მათნი ქვეშე თაეთა მათთა, და იქმნეს უსჯულოებანი მათნი
ძვალთა ზედა მათთა, რამეთუ ეშიშვოდეს გმირთა ცხოვრებათა შინა მათსა, და
შიში მძლავრთა იყო ქვეყანასა შინა ცოცხალთასა.“


სიბრძნის ლმერთს ეას უყვარდა იშტირ.

იშტარის გული შეიპყრო თამმუშმა.

მაზინ ეამ მოსწამლა თმახუჭუჭი თამმუში და მისი სული
გაემგზავრა ქვესკნელ არალში მდინარე ხუბურს გადალმა.

სიკვდილის ლმერთმა ნერგალმა და მისმა მეუღლემ ალ-
ლათუმ, რომელსაც სამაჯურის მაგიერ ცოცხალი გველი ეხვია
მკლავზე, დააფარეს ტინის კლდე თამმუშს და ასე დაიკარვა
მისი კვალი.

იშტარი დადიოდა, როგორც დედალი ნიამორი და ეძებ-
და თამმუშს.



— თამმუშ!.. თამმუშ!.. თამმუშ!.. ენდორფინი
გადალახა მდინარე ხუბური და მესტადა მარტველი
მეკარე შეოლმა ჩამოართვა ძვირფასი დიადიმი, მაგრამ
იშტარს სწყუროდა თამმუშ და განაგრძო გზა.

მავნე ჰალლუმ შეხსნა ფარლული, მაგრამ იშტარს სწყუ-
როდა თამმუშ და განაგრძო გზა.

ასე განვლო მან შეიდი კარი და ყველვან ჩამოართვეს
სამკაულები, ტანისამოსი და გაუშვეს, როგორც მათხოვარი.

შეხსნეს ჯავარიანი ძუძუსფარები და დაყურსული ძუ-
ძუები მტევნებივით ირწეოდნენ მკერდზე.

წელზე არ ერტყა ქალწულობის ვიწრო სარტყელი, შო-
ბას რომ უმსუბუქებდა მშობიარეს.

ატმისუერი ტანი იბნიდებოდა ალერს მოწყურებული.

იშტარს აბრმავებს სიტყბო და ზარხოში იშტის.

— თამმუშ!.. თამმუშ!.. თამმუშ!..

სული იხუთება ქვესქნელ არალში.

ზეცის მაგიერ დალრჭენილი პიტალო კლდეები და სტა-
ლაქტიტები ჩამოსტირიან.

მდინარე ხუბურის ტალღები სისინებენ გველის წიწილე-
ბივით.

ანნუნაკები წამოესივნენ იშტარს და აართვეს სილამაზე.

კინკებმა შეპყარეს უამრავი სნეულებანი, მაგრამ იშტარს
მაინც სწყურია წვერხუჭუჭა ვაუი.

აშაკუმ შეპყარა უემური და რაბისსემ გაუჩინა ანთება,
მაგრამ სიყვარული უფრო გამძაფრდა.

ჰალლუმ მოპყიდა კიბო ძუძუებში, უტტუკუმ მიაყარა ყელ-
ში ავი მუწუკები, ლაბასხუმ მოუსავა მუხლებში და წაქცეული
მიბობლავს მიწაზე.

ბელით-სერამ შეპყარა კეთროვანება და დამპალი ხორცი
სცუივა ძვლებიდან მწვირიან ძონძებივით.

ლილუმ ჩასო ჩასო ფრჩხილის ძირებში საწერელი და
ჰკვნეტს თითის ძვლებს.

ლილიტმა წაართვა წაართვა გონება, მაგრამ სიყვარუ-
ლი უძლეველი მაინც გიზგიზებს.

მიბობლავს ტალახში და უკან სტოვებს დამპალ ხორცი,
სისხლსა და ბალლამს.

— თამმუშ!.. თამმუშ!.. თამმუშ!..

გამწარდნენ მავნეები:

— სოჭერი რომ არ ვიყვარს და მოგეშვენებით!..

— მე მინდა თამმუშ!..

• • • • • • • • • • • • • • • • • • •



ურ-კაშდიმში დასჭინა ვენახები.

ლოტოსები გაყვითლდნენ.

შეიძარცვა ხეები და დადგა ზამთარი. ცისტოფილის

ვეფხების ლრენა მოახლოვდა ბოსლებთან.

კურატი მოზვერი არ ახტება უშობელს.

ვაყა არ ეტანება ფაშატს.

ქმარი არ აქცევს თავის ცოლს გზის პირად.

ცოლი ცალკე წევს თავის საწოლში და ქმარი ცალკე.

· ·

· ·

· ·

· ·

და პაპსუკალი, ლმერთთა შათირი, ზეწუხდა ძლიერ.

მიმართა ეას:

იშტარ ჩავიდა და არ ამოდის.

კურატი მოზვერი დამყუდრულია.

ვაყას ფაშატი აღარ სწყურია.

ცოლს ცალკე სძინავს თავის საწოლში და ქმარს ცალკე...

· ·

— იშტარ!..

— თამმუზ!

გადაეხვივნენ.

ერითას სასახლე ირწეოდა ატმის და თაფლინდის შტოებში.

— თამმუზ!.. თამმუზ!.. თამმუზ!.. — ჩურჩულებდა იშტარი

ნერწყვ გამშრალი და სწოვდა ალისფერ ტუჩებიდან თაფლსა და სიტკბოს.

მზე დაიღეარა მის შავგვრემან ტანზე და გამდნარი სხივები თაფლივით ედინებოდა.

— მუდამ ასე რომ დამატყვევოს სეამ?..

— მუდამ მოგძებნი, რომ ჩემი იყო, თამმუზ!.. — ამბობდა

იშტარ და ბეღნიერი ეხუტებოდა ვაჟკაცის მკერდს.

მერე მივიდა გიმმირაი და გაპერა თამმუზ.

აშტარტა ეძებდა მას ქვესკნელ არალში, მდინარე ხუბურს გადალმა და ნახა იგი უქმურით შეპყრობილი ტიგრის ჭაობებში.

იშტარი დარჩა უნაყოფოდ და ხნიერ ქალიშვილივით ჭუნება ტიგრის ნაპირებზე (და ალბათ კითხულობს კარამზინის, პოლ დე-კოკის და რჩეულიშვილის სენტიმენტალურ რომანებს).

იშტარს სწყურია სპერმატოზოიდი.

თამმუზს მხოლოდ პლაზმოდიები აბალია.

ბონდოც ასეა: —

დალორწილია მისი სისხლი უქმურითა და ავი ზნით.

- წმინდაო გიორგი, შენ გამყარე უქმურთა-უქმური! — ლოცულობს ბონდო.
— წმინდაო ფალლოს, შენ გამყარე უქმურთა-უქმური! და უკუჭუღაბუ თამმუჩ.
• გასკუდა ქვეყანა შუაზე.

„განიპო კრეტისაბმელი ტაძრისა მის ზეითვან ვიღრე ქვედმლე და კლდენი განსქ-
დეს; და შეიძრი ქვეყანა!..“

წმ. გიორგი და უქმურთა-უქმური.

ლვთიშობელი იქაა და მას ლოცვა შეუძლია, — ჩექმა აქაა და მას შეუძლია
იგი ჩიიცვას ფეხზე.

ბონდო ხედავს: —

ვიღაცამ გაუყარა ჩექმაში ფეხი და ჰკოცნის ლვთიშობელს.

დააკეირდა:

— გუჯუ!.. გუჯუ!.. გუჯუ!.. — იქივლა ბონდომ და გამოერგვა.
არაფერობი არ არის.

არის სიბნელე და მისი ოთხი.

კუთხეში ტალახიანი ლაფხინები ჰყრია.

მივიღა და შემყარა ტახტ ქვეშ.

— რა იყო ბონდო?.. — გამოეხმაურა მეორე თასაბიდან გამოლვიძებული
ყარამან.

— არაფერი მამაჩემო, არ მეძინება!..

— ლვინო დალიე, შვილო, ლვინო და ძილი მოვერევა!

მოისმა: როგორ გადატრიალდა ლოგინში.

ბონდომ დაუჯერა:

დაეწაფა ლვინიან დოქს და მერე დამძიმებულ თავით მიუჯდა მავიდას.
ლვინომ უარესი ჰქნა.

თავბრუ ებვევა.

ქედლები იხრებიან.

მავიდა, რომელზედაც დაყრდნობილი იყო, დატრიალდა.

თვეოლები მოისრისა: ყველაფერი დაწყნარდა.

დახედა:

მავიდაზე აწყვია წიგნები.

აწეწილი ქალალდები ირევა თავში.

ერთ წიგნს ზურგზე წყევასავით ეწერა:

„იმანუილ კანტი: წმინდა გონების კრიტიკა“.

გუშინ გადიკითხა რამოდენიმე თავი.

ფიქრობს:


რა უნდოდა ამ კაცს?.. დატეულიყო თავის კენიგსბერგში!.. ეცქირა ალვის
ხის კენწეროსთვის და ყოფილიყო მისთვის!..

უინ იწუხებდა, რომ მოედო ქვეყანას კეთროვანებასავით!..

დაუკარგა ნდობა სამყაროს.

მოწამდა ქვეყანა.

გახეოქა შუაზე.



ნოუმენები... ფენომენები... მეტაფიზიკა...

— ტრანს!.. ტრანს!.. ტრანს!..

— მეტა!.. მეტა!.. მეტა!..

როდოს მოასვენებს, ნეტავ, ეს მეტა პონდოს!..

შორს ბაყაყები ყაყანობენ ნარიონაში.

პონდოს მოაგონდა ზლაპარი: დოდო ბაყაყზე და თეთრ ბატონიშვილზე.

— ბა-ყა-ყი-ყი!.. ბა-ყა-ყი-ყი!.. ბა-ყა-ყი-ყი!.. ისმის ყაყანი და ხედავს:

კანტის წიგნიდან, რომელსაც ეწერა:

„წმინდა გონების კრიტიკა“

გადმოხტა უზარმაზარი გომბეშო და დაჯდა მის წინ.

გომბეშო უყურებს პონდოს და ინერწყვება ბიწიერად.

როცა ნერწყვს ყლაპავს, გადმოკიდებული, მსუქანი ლაბაბი სასაკილოდ მოძრაობს.

ყურებთან რაღაც ებერება საპნის ბუზტებივით და ისე ზეიადად იცქირება თოქოს არგუეთის ერისთავი იყოს.

პონდოს გაელიმა.

ოთახში დადგა მიწის სუნი.

— რა შესაქცევი ხარ შენ, ბაყაყი!.. მიუალერსა ბონდომ და კისერი მოფხანა გომბეშომ ყელი გაუწოდა და ნეტარებით მძიმე სუნთქვა დაიწყო.

ზურგზე უზარმაზარი ჭრელი ხალი აქვს და ლაპლაპობს.

ბაყაყი აიგრუბდა, შედგა უკანა თათებზე, ბოლო ასწია და ტრიალებს ერთ ადგილას.

უცრად ახტა და გალელილ უბეში ჩაუვარდა.

მიეხუტა მკერდში და ლოკავს ენით.

(ვითომ ჰკოცნის).

ბონდომ იკივლა და უბიდან ამოაგდო.

გომბეშო დაეცა იატაკზე და ვნება ანთებული იკრუნჩება ერთ ადგილას.

მერე გონს მოვიდა: გაცოცდა და თათებს მკვრივად ჰპარდლავს იატაკზე.

ახტა სკანზე, — დახტა მაგიდაზე.

იატაკზე, სადაც იგი იჯდა, წყალივით ელვარა ყვითელი ლორწო.

ბონდო დგას.

— რა არის ეს?..

თვალები მოისრისა.

გომბეშო ისევ ზის მაგიდაზე.

— ვინ ხარ შენ?.. — შევეკითხა გაუბედავად.

— მე ვარ ადგილის დედა, მოციქული მიწისა და მიწიერების!.. მე შენ

გნახე ერთხელ და შემიყვარდი... ჩვენ ვქანაობდით ლელვის ზტოზე ლოყა მიდებულნი... რამდენჯერ მინდოდა გამოკუნადებოდი, მაგრამ მრცხვენოდა, ქალწულებრივი მორცხვობა არ მაძლევდა, ნებას. დამიბრუნდი, ბონდო, დამიბრუნდი!..

მიყვარხარ ბონდო და შენ არ მიყარებ!.. — ამბობდა გომბეშო ილვზნებული და გაბერილ მუცელზე ხელს იჭერდა.

— მე მუდამ მიწაში ვარ!.. ჩენი ძვლები დახრულია ქარისხით და ტეხავს!.. მე წავდლ ქვესკნელში ზენს საძებნელად, მაგრამ ვერ გნახეს ქარი მურმე რიონის ჭაობებში!..

ამბობს გომბეგშო და ბონდოს ეცა სუნი ახურებულ ბაყაყის.

— ერთ დღეს, როცა მე ლელის პირად მზეზე უფიციბლებოდი და შენზე ვოკნებობდი, ჩუმად გველი მომებარა და სიყილით ვამოურინდა, მაგრამ მე მოვასწარი და ვადავხტი ლულეში. ვველმა ქარიშხალივით ჩაიქროლა ჩემ ნაჯდომ მიწაზე. მე მოენახე სორო და სული მოვიბრუნე. ისე მძიმედ დავეცი ლელეში, რომ კინალამ კვერცხები ჩამექვა მუცელში. და მე მაშინ ვიკრძენ, რომ აქ იყო რალაც კანონი დაცემისა და რამდენი მალლა ახტები. იმდენად მაგრა დაეცემი მიწაზე. მე ვინახე ამ ქვირითს შენოვის, შენ უნდა ვაანაუროფიერო ივი!.. შენ ჩემი ზარ, ბონდო, ჩემი!.. რამდენს კეძებდი!.. მე დავებოტებოდი ლელიდან ლელებში, ჭაობებიდან ჭაობებში და მაინც ვერ გნახე, ვვალვით ზურგზე ტყავი მასკდებოდა, მზემ ლაშები გამიხმო!.. გახურებული მიწა სწვავდა ჩემს თათებს და ძლიეს მოგავენი!.. ხვალ სალამოთი წისქვილთან ველი!.. შეიდობით ჩემო შეულ-ლევ!.. სთქვა მან ნაზი ლულუნით და შეძრო იმანუილ კანტის წიგნში, რომელ-საც ეწერა:

„წმინდა გონების კრიტიკა“.

ბონდო ეცა წიგნს, გადაფურცლა, მაგრამ ვერ იპოვა.

აი თავი:

წმინდა გონების ანტიზომიები. კოსმოლოგიურ საკითხთა სკეპტიკური წარ-მოდგენა ოთხ ტრანსცენდენტალურ იდეათა მეოხებით.

არ არის!..

აი:

ტრანსცენდენტალურ დიალექტიკის პირველი წიგნის პირველი განცოფი-ლება.

არც აქაა!..

— ლმერთო!.. ლმერთო!.. დაიკვნესა მან.

იქნებ აქაა!..

ყველა საგანთა საფუძვლების phenomena-დ და noumena-დ განცოფისათვის.

არც აქაა!..

— მაშ სად არის, სად?.. — დაიძახა მან და შებლზე ხელი აიფარა.

უეცრად აღაპყრო ხელები:

აღმოხდა:

— იშტარ!.. იშტარ!.. იშტარ!..

აქვითინებული დაემხო მაგიდაზე...

შ პ რ ე მ ა მ ი მ ა ვ ა ნ ა

იმანუილ კანტი



მეორე დღეს ბონდო დარბოდა ოთახში.

ერთ აღვილას ვერ ისვენებდა.

— რა იყო ეს, რა იყო!.. — იძახდა იგი თმებში ხელწატანებული.

მეორე რატომლაც მივიდა სარკესთან.

ჩაიხედა:

თვალის უბეები ლაინიფით ამოლურჯებოდა შავი თვალები მუგუზლები-
ვით ენთო.,

მოისვა ლოყაზე ხალი, წარბები შეიკრა და უცქერის.

— გიუი ვარ, ნამდევილი გიფი!.. დაჩიავებული და გადაგვარებული!..

შემობრუნდა და მავიდასთან მივიდა.

მავიდაზე იდო კანტის წიგნი.

შიგ წევს უზარმაზარი გომბეშო...

გადაფურცლა და მიაგდო.

— რა იყო ეს?

მოჩვენება თუ სიცხადე?..

— რამდენი მალლა ახტები, იმდენი მაგრა დაუცემი მიწაზე!..

— რამდენი მალლა აფრინდები, მით უფრო მაგრა იგრძნობ ჩემ სიყვარულს!..

— რატომ?.. — ეკითხება ბონდო.

ეს არ იცის გომბეშომ.

გომბეშოს უცვარს ბონდო და, ალბად, იმიტომ.

— ხვალ სალაშოთი წისქვილთან გელი!..

ბონდომ თავი გაიქნია და მოიგერა.

გადასწყვიტა: ალბად, მალე გადავირევი!..

უახრო თვალებით მოიხედა, შეხედა კედელზე მიკიდებული ბაბუამისის
სურათს, რომელიც ლიზიკიას გადმოატანინა თავის ოთახში.

მივიდა.

— ჩემო ბაბუ!.. ჩემო ბაბუ!.. შენ ჩემში ხარ, ბაბუაჩემო, ჩემში!.. რა გინ-
და, ჩემო ბაბუა, რა გინდა!.. მომასვენე ჩემო ბაბულია, მომასვენე!.., ხომ ხედავ
არ შემიძლია!.. ცოდვა ვარ, ბაბულია, ცოდვა!.. დავილალე!.. ჩურჩულობს ბონ-
დო ოდნავ გასაგონად.

დიდი ოტია ზეიადად დასცქეროდა შვილიშვილს ჩარჩოებიდან.


ბონდომ თავი დაპხარა და იგრძნო: რალაცა მოაწვა ყელში ჭავილით.


იკივლა:

— მომცილდი!.. მომცილდი!..


თავისივე ხმით გამოერკვა.

მიიხედ-მოიხედა, გაილიმა.

— რა მაბლავლებს, კაცმა რომ იყითხოს!.. ან რა საჭიროა  ქომედია?..

— ჩემო ბაბულია!.. ჩემო ბაბუ!.. — გასცინა თავისივე თავს და უცრად ივრძნო, რომ ტეინი გადუბრუნდა თავში. 

ტეინი გაუხმო „კრიტიკაშ“

 შემარტინება

გონება აკრიტიკებდა თავის თავს.

არლვევდა ყოველ ცნებასა და საგნებს.

ეძებდა კანონებს, მაგრამ ნოუმენი, რომელიც დიდი ასოთი იშერება, მუდამ ამ კანონს მიღმა რჩებოდა.

საგანი იყო აქ და ნოუმენი იქ.

ბოავონდა ძალლი, რომელიც გამოეკიდა მას საქბენად.

ბონდო ქვებს ესროდა და ძალლი გამწიარებული ლრლნიდა ნასროლ ქვას.

ის კი განავრძობდა გზას, სანამ ძალლი ნასროლი ქვის ქცენით იყო გართული. ასეა ეს წმინდა გონება.

ტეინი გაუხმო თავში, ტეინი გაუხმო!

ტეინი!.. ტეინი!.. — დაიწყო ყვირილი ბონდომ და აივანხე გაიჭრა.

— რა დაგემართა, ბონდო?..

ბონდო შემოტრიალდა, შეშლილ თვალებით შეხედა მამას და მისკენ გაექანა.

— თავი გამიხმა, მამაჩემო, თავი გამიხმა!..

— ხომ არ გადირიყ!.. — დაიძახა ყარამანმა და მკერდზე მიკრდნობილი შეილი თთახში შეიყვანა.

მარი მარვალენა

ვ ა ვ ა ნ ი



სალამოთი ყარაბან წავიდა ყანების სანახავად:
სოველი ანლოვდებოდა.

სიძინდის ტეხვა უნდა დაწყებულიყო.
ლანდები დაწვნენ მწვანე მოლნარზე.
დანოტიოვდა ყველაფერი.

საბნელე შხამივით შეეპარა ბეებს ფოთლებში.
ხის ბაყაყები ქრახუნობდნენ.
ბონდო აღგა.

პირი დაიბანა.

ახალი ჩოხა-ახალუხი ჩაიცვა და ლილკილოებს მოუთმენლად იბნევდა.

ქილები და ვერცხლის ზარნიშიანი სარტყელი შაეი ძახით ჰქონდა მოკრილი.

ზვალ სალამოთი წისქვილთან გელი!..—ჩურჩულებდა ივი და ჭამარს ირტყამდა.

ჩუმად ვადავიდა უკანა ეზოში და ვაემართა წისქვილისაკენ.

ეკალი ედებოდა ჩოხის კალთას და კურკანტლები მწიფე მარჯნებივით ეკიდა მაღლა.

კარგამოკეტილი წისქვილი ხმაურობდა.

წაქცეულ ურემთან გამოშეებული ხარები იცოხნებოდნენ და ლაშებზე ოეთრი ეუეი ედინებოდა.

ძირს ეყარა სიმინდის ჩალის ნალეჭი ლეროები და ახალი ფუნა.

მეწისქვილე არ იყო..

მიუახლოვდა კოდს:

მარაოები ირხევიან... მარაოები ირხევიან... და მარაოებს იქით მოსჩანს ნუშევით მოგრძო თვალები.

რად ირხევიან მარაოები?.. რად ირხევიან მარაოები?..

სად იყო ეს?

ეს იყო იქ!..

— არა, ეს აქ იყო!..—უკან მოაწყდა.

მოსცილდა კოდს.

— რა მემართება?..—იფიქრა და ხედავს: წისქვილის ბოკის ქვეშ უზარ-მაზარი ფქვილით გასუჭიბული ვირთხა გამოხტია და შეძვრა სოროში.

სოროში მოსჩანდა მისი გრძელი კუდი, მერე ისიც გავჭრა.

— ლმერთო, ნუ ვადამრევ!.. ლმერთო, ნუ ვადამრევ!..

თავკომბალებით გამძლარი ჩიჩახვ ვადმოკიდებული იხეები თავმომწონე ჭანაბითა და კვატკატით მოდიოდნენ რომაელ პატრიციებივით.



ბონდოს გაელიშა.

მელოტი ლატინისტი ოზარმაზარ ლურჯ სათვალეებით:

Quousque tandem abutere, Catilina, patientia nostra?

გაჰყვა ღელის პირს.

ალორთქილი თხმელები და ტირითები გაწოლილიყვნენ წყლის ზედაპირზე.
ლაფანის სუნი სუნთქვას აძიმებდა.

ხმაური შოესმა.

მოიხედა: მოდის წმინდა გომბეშო, მოირწევა ქვემევით.

თავი იქვს მხოლოდ ბაყაყის.

კრინოლინში კიდევ უფრო მაღალი მოსჩანს მისი განიერი ქალური თე-
ძოები და ბონდო აღელდა.

რალაც მოაწვა ყელში.

ძარღვებში სითბომ გაირბინა და მისკენ გაეჭანა.

ჩემო ქმარო!.. ჩემო ქმარო!..—ჩურჩულებდა გომბეშო და ბონდოს შეერდს
ეხუტებოდა.

ბონდომ იგრძნო საოცარი უმწეობა და ჩაიკეცა.

ქალის ხელები ტკბილიდ ეალერსებოდა ჩის თმებს და რატომლაც დედა
მოაგონდა.

— იქ, შორს, ცხრა მთას იქით, მე მაქვს მინანქრის სასახლე!..

„რა შუაშია მინანქრის სასახლე?..“ იფიქრა და ისევ განაგრძო:

— სასახლეს არტყია ქვითყირის გალავანი და შიგ ზეციდან ოქროს ჯაჭ-
ვებით ჩაკიდებულია ბროლის კოშკი. კოშკში მყავს დამწუცდეული მხეთუნახავი!..
მისი ტანი ვარდის მტვერით არის დათოვლილი... მე ის მოვიტაცი თეორი ცხე-
ნით ქვესკნელიდან, წავართვი მიწას!.. გალავანს სდარაჯობენ ცხრა თავიანი
მდევები და გველეშაპები!..—ტიტინებს იგი და გაახსენდა, რომ სწორედ ასე
ელაპარაკებოდა ოდესლაც ვიღაცას.

— მერე, არ გეშინია, გველებმა რომ შეგწამონ?..

— არა!.. მე მათი ბატონი ვარ!.. — სთქვა თავმომწონედ ბონდომ,— მე
მაქვს ნიშანი და ისინი ამითი მცნობენ!..— აიწია მკლავზე სახელო და იქ, სა-
დაც ლურჯი მარღვი ინაკვთებოდა, ცოტა ზეეით ხალი აჩვინა.

ბაყაყმა თავი მხარზე ჩამოადო და ბონდომ იგრძნო ქალური სურნელება.

ქალის სუნთქვა ეალერსებოდა მის ლოყას.

ბონდომ შეხედა: მის წინ ხათუნა იდგა.

რალაცა გაწყდა შუბლში და თვალი დაუბნელდა.

გაშმაგებით მოსწია საკინძე და შემოახია:

გადაშლილ კორსეტში გამოჩენდა ატმისფერი ძუძუები.

— შე ისევ ტყვედ ვარ ბონდო?..— დაიკვნესა ქალმა და კდემამოსილი ძიებუტა.

— ხათუნა!.. ხათუნა!..— იძახდა იგი და ყველაფერი ატრიალდა ზევით.

თხმელებმა შტოები უკნაურად აიქნიეს და გაქანდა სადლაც.

— ჩემო ხათუნა!.. ჩემო ხათუნა!..— ამბობდა იგი სუნთქვა შეკრული და,

როცა გამოერკვა, ქალი უკვე არ იყო.

ალერსით დაქანცულშა მოიხედა და თვალი მოჰკრა: მიწაზე დაგვიანებუ-
ლი ბაყაყი გადაბტა წყალში დასაძინებლად...

— აბა, შენ ისევ ტყვედ ხარ, ჩემო ხათუნა სთქვა მან და ჩაფიქრდა...



ქარი გეორგიევს

გაფრთხილი საცლავები

სალაშო იყო კვაბისტეერი.

ყარამან იჯდა თავის თთახში და ყალიონს ეწეოდა.

ხის ბაყაყი გულის შემალონებლად კრუალობდა.

გაიბა ფიქრები ძაფივით.

სადლაც ძროხა ზმუოდა და ლიზიკიას წყევა-კრულვა ისმოდა:

— მაცა, შე მამალი გელის შესაჭმელო, რაცხა თრი წვეთი რძეა, ვამომა-წველიე!..

ვიღაცამ კარი შემოაღო: —

ბონდოა.

— შეიძლება მამა?..

— შემოდი!..

შემოვიდა წყნარი ნაბიჯით.

— სად იყავი შვილო?..

— არსად, მამაჩემო!.. რაზე ჩაფიქრებულხარ?..

— ისე, — ჩავფიქრდი!.. — უპასუხა ყარამანმა.

ჩამოვარდა დუმილი.

ცოტა ხანს შემდეგ:

— ძნელია ხომ, მამა?..

ყარამანმა შეხედა შვილს.

— თო, რა ძნელია, მამა, რა ძნელი!

— რა იყო, შვილო, რა დაგემართა?

— იმასთან ვიყავ, მამა ჩემო!..

— ვისთან?..

— გომბეშოსთან მამა, გომბეშოსთან!.. ჩემი ცოლი გომბეშოა, ხე!.. ხე!.. ხე!..

და იცი შენ რა ჰქვია გომბეშოს?.. შენ არ იცი, მამა, არ იცი!.. ხათუნაა გომ-ბეშოს სახელი!.. ხე!.. ხე!.. ხე!..

ყარამანს თაეზარი დაეცა.

თეთრი ბატონიშვილი და ლოდო ბაყაყი.

ბაყაყს უყვარდა ბატონიშვილი და დალუპა იგი ჭაობის უძირო ლორწოში.

ყარამან დგას გარინდებული.

უეცრად ბონდო მშვიდება.


— ხომ არ გამიშურები მამა?..

— რა იყო?..

— არა, ჯერ მითხარი: ხომ არ გამიშურები?..

— არა, — სთქვი!..

— მე ვიცი ერთი რამ!..



ეროვნული
კიბრის მუზეუმი

- რა?..
- გუჯუ ჩემი ძნაა!.. — ამბობს წოვეტით.
- კმარა ბონდო! — დაიკვნესა ყარამანმა.
- ისიც აქადმიკოფია, გიურა, მამა, იმიტომ რომ ისიც შენი ნაყოფია!.. — განაგრძობს ბონდო.

ყარამან ზარდაცემული უცქერის შვილს.

ახლა გლეხებიც გვტოვებენ!.. წავიდნენ მამაჩემო, წავიდნენ!.. იცი მამა ჩვენ მუდამ ასე ვტანტალიბდით ქვეყანაზე!.. ოდესლაც ჩვენი წინაპრები დაღიოდნენ უფრატის ნაპირზე, ქალდეა იყო ჩვენი ბუნავი, მაგრამ არ დავვაყენეს. მუსკი და თობალი მოედო კაპალუკის მწირ მიღამოებს. ხეთები დაძრწოდნენ ბუნავიდან აურილ ნადირივით, მოვიდნენ კიმერიელები და იქედანაც აგვარეს!.. დავდივართ ასე წელგაწყვეტილნი, დაჩიავებული და უიმედონი!.. იცი, მამა, მე რომ საქართველო ხანდახან მოჩვენება მგონია?.. ისიც მოჩვენებაა, რუკაში რომ ახატია, წითელი ზოლით შემოვლებული. ვახუშტი ბატონიშვილსაც ეჩვენებოდა იგი. საქართველო ბოდვაა მამაჩემო, შეციებულის ბოდვა!.. ქართლის ცხოვრება დაღარულია საუკუნეთა უბსკრულებით!.. რა მოგვაქვს ჩვენ ამ უფსკრულებიდან?.. ჯვარი მამაჩემო და ზედ გაკრული ჩენიე თავი მოგვაქს ჩვენ!.. განა შენ არ გაფიქრებს უქმურთა-უქმური?.. ქართული მოჩვენებასავით, ლანდივით დაღის ციებით გამოყვითლებული და შავი დღე მოგველის ჩვენ!.. ჩვენ უნდა ეეომოთ უქმურს!.. აქ იდეებიც დაუქმურებულია!.. ჩვენ მოგვდევს იგი საუკუნეთა ბნელ სილრმეებიდან!.. ალბათ ტიკრისა და უფრატის მონაპირე ქალდუელი ისევე ძიგძიგებდა ციებით შეპყრობილი, როგორც რიონისა და ალაზნის მონაპირე!.. თესლი ჩვენი შეკმულია პლაზმოდიებით და სისხლი დალორწილი!.. ოთ მამაჩემო, მამაჩემო, როგორ მეშინია მე ამ საუკუნოების!.. ჩვენ დაგვაბერა ამ საუკუნოებმა და ბებერი სისხლი ვერ უძლებს ციებასთან ბრძოლას!.. ჩვენში წყდება გვარები და მოდგმები ისე, როგორც არსად. მოგვდევენ და მოსვენებას არ გვაძლევენ საუკუნეთა მიერ დაგვალული მუნიანი ჭინკები!.. და ამირანი შებორკილია მათ მიერ!.. შებორკილია და მაინც მღერის:

„დღეს დავკარგე, ხვალ ვიპონი, ჩემი ბედი ასე სკრისა!!!

— ახლა წყდებიან ეს ჭინკები ჩეენს სულში ამდენ ხანს კულს რომ აქიცინებდნენ!.. შენ არ გეშინია მამა?

— რისი შვილო?..

— ახალი ჭინკების მამაჩემო, ახალი ჭინკების!.. გუშინ რომ იყვნენ ჩემთან. ისინი ახალი ჭინკები არიან, წითელი ჭინკები და დედამიწას მთერალ დედაკაციებით დაატრიიალებენ!.. ჩვენ უნდა წავიდეთ მამაჩემო!.. ავიკრათ გუდა-ნაბადი და გაუდგეთ!.. ახლა ახალი ხალხი მოვა!..

— სოქეა ბონდომ და გაჩუმდა.

ყარამან უცქერის შვილს.

გარეთ სალამო იცრიცება.

ბატები ყიყინებენ.

ბონდომ ამოიოხრა და წამოდგა.



- მომიტევე მამაჩემო!..
- რა შეილო?..
- მე რომ ასე ვარ!..
- ღმერთი გაპატიებს!..
- მადლობ მამაჩემო, დამლოცე!

ყარამანშა პირჯვარი გადასახა და შებლზი აკოცა.

მერე ბონდო წელმოწყვეტილი და მწუხარე გავიდა ოთახიდან.

ყარამან დარჩა მარტო.

გადაშალა იქვე ხელნაწერი რვეული, რომელზედაც ეწერა: „განრჩევა და გამოცხადებაი. რომელთათვის ფილასოფოსნი შთამოვლენ ხმათა: და მხილებათა უთაოთა სუვერინთა: ესე იგი არს იაკოვიტო. სულთგანმხერწნელსა წვალებისა:“ დაიწყო კითხვა, მაგრამ არაფერი ესმის.

ამას წინედ ბონდო ელაპარაკებოდა დროისა და სიყრცის შესახებ და ყარამანს ჩარჩა იგი ხსოვნაში. მერე საუკუნოების შესახებ, რომ ყოველივე ეს მოჩვენებაა, რომ ქვეყანა, რომელშიც ცხოვრობს ყარამან, უნიჭო ბოდვაა.

მიაჩერდა ფიცრის კედელში გაჩენილ ლრეს, რომელიც ბალლინჯოებით იყო დასკრილი და ჩაფიქრდა.

მის გინებაში ტრიალდება ყველაფერი ეს და მაინც არ ესმოდა რათ იყო მოჩვენებული ეს ქვეყანა.

უფრად კედლის ლრუში თავვის ბარტყჲე კიდევ უფრო პატარა ცხენი გამოჯირითდა. ზედ პატარა ჭინკა იჯდა და მათრახის მაგიერ კუდს სცემდა.

ცხენი ჭენებით გამოაქანა და მის ფეხსაცმელზე შემოაგდო. მუხლის თავზე აინაეარდა და შეჩერდა.

ყარამან უცქერის გაოცებული და არ ინძრევა.

ფიქრობს:

— რაა ეს: მოჩვენება თუ სინამდევილე?..

ჯუჯამ შებლზე ხელი აიტარა და გაიხედ-გამოიხედა, მერე მედიდურალ ჩამოხტა, ცხენს პირიდან ლაგამი ამოუგდო და გაუშვა.

რაშმა დაიფრუტუნა და ჩრჩილივით შარელის მაუდის ძოვა დაიწყო.

ჭინკამ გაიარ-გამოიარა და მერე შარვლის ნაოჭე ჩამოჯდა ჩაფიქრებული.

— ვინ ხარ შენ?..— შეეყითხა ყარამან ჯუჯას, რომ არ დაეფრთხო.

კაცუნა შეკრთა, მობრუნდა და აჭედა ყარამანს.

— მე დრო უარ,— უფალი ნგრევისა და ტრამისა!.. — სთავე მან ზეიადალ და გაიარა.

ყარამანს გაელიშა.

სიჩუმე.

ჭინკამ დაარღვია იგი:

— ვერაა, ბატონო ყარამან ეს ქვეყანა მოწყობილი!.. ყველას ის აწუხებს, რაც აბალია!.. თქვენ ნუ გიკვირთ, ჩემო ბატონო, მე რომ ასე ზრდილობიანად გელაპარაკებით!..— ჩემს ნანგრევებში საქმიანდ დიდბუნებოვანი გვამები ასვენია, რომ ზრდილობა მესწავლა!.. ოთ, რა ძნელია რომ იცოდეთ თავადო ჩვენი ცხოვ-

რება!.. თქვენ არ გემართებათ ასე? ზიხართ თქვენთვის და უცურიდ, რომაც საშინელი სევდა შემოგაწვებათ გულში, არ იცი რა უქნა თავს. ჩემთანარის ერთი პოეტი, რომელსაც ხშირად ემართება ასე და ის ამას კატასტრის დამატების დავთის წინაშე, ნამეტანი ყბედია და ტვინი ამომჭამა თავისი უნიჭო ლექსების კითხვით!.. მაგრამ ეს სხვათა შორის!.. წელან ჩემ სოროში ვიჯექ და ისეთი ნაღველი შემომაწვა, რომ კინალამ სული დამელია!.. ავდეტი და გამოვსწიე თქვენსკინ!.. კარგია ხანდახან გულის გადაშლა!.. ცოტა ბურნუთი ხომ არ გაქვთ, თავადო?..

ყარამან აწვდის მას ბურნუთს და ჭინკა კლანჭიან თითებით მოუხერხებლად ილებს, ყნოსავს და აცემინებს.

— ხო, იმას მოგახსენებდი, თავადო!.. მე ვფიქრობ რომ სისულელეა ყველაფერი!.. ჭკვიანი ხალხი ყველაფერს დროს აბრალებს!.. სისულელეა!.. ვდგევარ ჩემთვის და ეს ხალხები მიჰქრის ჩემს იქით, ჩამიქროლებენ და მაფურთხებენ, თითქოს ისინი კი არა, მე მივრბოდე!.. არ იფიქროთ თავადო, რომ მე აქ თავის გასამართლებლად მოველ!.. ეს ისე, სიტყვამ მოიტანა!.. ახირებულია ჩემი ბედი!.. ვდგევარ და არ მესმის რისთვის! არ მახსოვს ჩემი დაბადება და არც სიკვდილი მჯერა ჩემი, ვარ უკვდავი და უბედური!.. ხალხები ისპობიან, ან, ქვეუნები ნადგურდება, ყველაფერი ნაცარტუტათ იქცევა, ვარსკვლავები ერთი მეორეს ასკდებიან და იფშვნებიან, მე კი ვიქნები!.. მე მინდა სიკვდილი!.. მე მინდა მოსვენება, თავადო ყარამან!.. რა ბელნიერი ხართ თქვენ, მომაკვდავანი. ოო, რა კარგია, ალბად სიკვდილი, როცა საკუთარ ძელებს ჩაწყობ კუბოში და მოისუნებ!..

— დაიკვნესა მან და ყარამანმა დაინახა, რომ ცრემლებით აევსო სულელი თვალები.

იგი გალახულ ლეკვს ჰგავდა.

გაეცინა.

— მაშ ეს არის ის დრო, ის საუკუნეები, რომელზედაც ბონდო ამდენს ელაპარაკება ხოლმე?..

მას სასაცილოდ არ ჰყოფნის ეს ამბავი.

ჭინკავ!.. ჭინკავ!.. — დაუძახა მან და სიცილი დაიწყო. — ვინ მოგანდო შენ საუკუნოები, განა ქვეყანაზე ასე გაწყდა ჭინკები?.. ხე!.. ხე!.. ხე!..

რამდენიმდე ხანია ყარამანს ასე გულიანად არ უცინია.

მას დაავიწყდა კიდევ როგორ იცინიან.

— ოხ, შენ იცოცხლე, ჭინკავ, ამდენი რომ მაცინე!..

ჭინკას გული მოუვიდა.

ქეჩო წამოჭყარა და წამოდგა.

— თავადო, გთხოვთ წესიერად მომეპყრათ!... — სოქვა მტკიცედ და თითქოს მუქარითაც.

ყარამანს მეტი აღარ შეუძლია და კვდება სიცილით.

ჭინკა აენთო.

შემოტრიალდა და;

— მაშ, აჰა!...—დაიძახა მან, ტაში შემოჰკრა და ყარამანმა რეზენი, რომ
მიწა დაიძრა აღგილიდან და დატრიალდა. დედამიწამ დაპქარვა წონასწორობა
და დასკუდა ზედა პირი, პირი დაალო და ამოცვიედა დაჭმული მკრთლებრ რაზე-
მოხრული ძვლები.

ყარამანს გულს ეყრება.

უეცრად წამოუბერა ქარიშხალმა და მოიტანა წივილი ქვესკნელიდან.
სახლები ინგრეოდა.

ეკლესიის გუმბათები მუხარადებიერით პგორავდნენ.

კორიანტელითა და ბრუერით ვაიგვიფა ყველაფერი.

საფლავებიდან ამოყრილი დამპალი მკვდრები პგოლებენ და მოათრევენ
თავიან დახრულ ძვლებს.

ყარამანმა შეხედა და იცნო ისინი:

ეს ის მიცვალებული არიან, ორპირში რომ ცხენის წყალმა წაილო.

არის კივილი:

გვაცხონეთ!... გვაცხონეთ!...

უეცრად ხედავს: ვიღაც ქალი გამოეყო მიცვალებულს და გამოემართა მისკუნ.
მკერდში საკუთარი ძვლები ჩაუხუტებია და ათბობს.

ეს:

ციცინოა.

— ციცინო!..

უნდა იკივლოს, მაგრამ ვერ ახერხებს.

ციცინო მიუახლოვდა მას მოლად სველი, ფერმკრთალი, გაწამებული და
გაჩერდა მის წინ.

ყარამან!...—დაიკვნესა, ასე უნდა, ყარამან?.. საფლავში წყალი შემომიდვა
და მიშველე!.. წყალში ვწევარ, ყარამან, ქარები ვანიჩნდა და ძვლები მტკივა!..
მიშველე. ჩემო ყარამან, მიშველე!..—სოჭვა და გაჰქრა.

თავმოჭრილი ქაჯები მორბიან და ხელში თავებს მოაბუროვებენ, ისვრიან
ცაში და მათ დაჭრილ კისრებიდან სისხლი ასხამს შადრევანიერით.

ბაღალ ბორცვზე გასული დოფო როვაპი ჰეივის და ბუქნავს.

ასისინებულ გვილზე შემჯდარი ჭინკა დაძრწის ყველგან.

ქარმა უმატა, მერე აზუჩუნდა და ის საფლავები, რომელნიც ცხენის წყა-
ლმა წაილო, თავახდილი ცარიელი საფლავები, გაფრინდნენ ცაში.

სუღარა გაფრიალებული მკვდრები აედევნენ მათ და ჰწივიან:

— დაგვასვენეთ!... მოგვასვენეთ!...

და ყარამანმა იგრძნო, რომ შეიშლება, თუ კიდევ გაგრძელდა.

შეიჭრა ეკლესიის გუმბათზე და იყივლა:

— არული!.. არული!.. არული!..

ყველაფერი გაჰქრა.

მოიხედა, —ტახტზე ზის.

— ამა წყალში წევხარ ჩემო საცოდავო ციცინო?..—სოჭვა მან მწუხარედ
და ჩაფიქრდა.

ოთახში უკვე ბნელოდა...



შ ა რ ი მ ა მ ხ ე რ ა მ ა მ ა

საქართველოს
მთავრობის განაკვეთი

ფ ე ფ ე ლ ო ჩ ა დ ა გ ი დ ა ა ქ ა დ ა ს ა ს ა ლ უ ლ ი მ თ ე ლ ი ა მ უ გ ა დ უ - რ ა დ დ ა ჭ უ ე ბ უ ლ ა გ ბ ი ს ა

გავიდა რამდენიმე ხანი.

სოფლის დღესასწაული მოახლოვდა.

ეკლესიაზე აუარებელი ხალხი მოგროვდა.

ჩამოდიოდნენ მოყვრები, ნათესავი ცხენებით, ურმებით.

ხის ეკლესია დაძირულია ასწლოვან ცაცხვებში.

ოდესლაც ამ ცაცხვებს სცემდა თაყვანს ეს ხალხი.

დგანან ისინი უზარმაზარი მდევის ბარკლებივით.

საღამო ხანია.

ცა იღრუბლება.

გაიმართა ცეკვა-თამაში.

გვიზიანი გოგო-ბიჭები ცეკვავდენ, ხტოდენ უშნოდ, მუცლებს ძლივს და-
ათრევდენ.

ციებისგან გამოთაყვანებულმა პიჭებმა გამოიტანეს მეშის უზარმაზარა ბურთი.

ეკლესიის დროშები აუღიარებდა.

შევროვდა ხალხი.

სამჯერ შემოუარეს ეკლესიას „კირილეისონის“ გალობით, ყიჟინით, სტვენით.

გაიტანეს ბურთი ტიალ მინდორში შუა ადგილას და ისროლეს ცაში.

გაჩნდა ყიჟინა, ბრძოლა, ვახარიძაცი.

ლელოსკენ მიიწევდენ.

ხელიდან სტაცებდენ ერთი მეორეს.

ბურთი ხან გამოჩიდებოდა შავი, უზარმაზარი, ხან დაიკირვებოდა და იყო
ერიამული და ნავარდი.

— ორიქა ბიჭო კიმოთი!...

ავერ ვარ ბიჭო, მემეცი ბურთი!... — კივილი და ძაღლი პატრონს ვერ
იცნობდა ისე აირია ყველაფერი.

ცხენოსნებიც ჩაერივნენ თამაშები.

ტანისამოსი არავის შერჩა ტანზე.

ცა იჭმუხნებოდა და ლრუბლები მძიმე, მწვირიან ჩვრებივით ეკიდა.

ოქეში იყო მოსალოდნელი.

მოხუცებული დედაკაცები პირჯვრის წერით სახლში მიიჩქარებოდენ.

ქათმებს უნდოდა დაბუდრება, ძროხას მოწველა, ოჯახს მიხედვა და სტუ-
მრებისთვის ვახშმის მომზადება.

ცეკვა-თამაში გრძელდებოდა და ციებით დაყვითლებული ქალიშვილები
ეკოპწიავებოდენ ყმაწვილებს.

ქალები მაინც ლამაზები იყვნენ, ვაჟები მთლიად დაჩიავებულენთა რაული
ცხვირის ნესტო და ყურები ილანდებოდა

— ტინიპი-ტიპი!.. ტინიპო-ტიპო!.. პიტინებდა ვარმონი
ხალხი იქა-იქ შექუჩებულიყო და ბასობდა რკინიგზაზე.
რკინისგზა დაეუფლა მით გონებას.

წუთის წუთზე იკიცებდა იგი და დააფრთხობდა სოფელს.
ბინდი დაეკრა დედამიწას.

მთერალები ბარბაცობდენ და უშნოდ მღეროდენ.

იქა-აქ მოსჩანდენ სკაპცები ახირებული სამხედრო ტანისამოსში, რალაცა
ფუსფუსობდენ და წრიპინებდენ,
იყო ხარხარი, კისკისი.

ხნიერი ხალხი ერთად შეკრეფილიყო ეკლესის ფარდულ ქვეშ, შესავალ-
თან და სოფლის ჭირ-ვარამზე ბჭობდენ.

ყარამანიც აქ იყო.

ეს უკანასკნელი დღეობა იყო სანავარდოში.

მოკვდება სანავარდო.

დარჩება მწუხარე მოგონებად ეს მხარგაშლილი ცაცხვები და საფლავზე და-
რგული ბზები.

ბონდო ცაცხვის ქვეშ იჯდა ცალკე.

ხალხი გვერდს უვლიდა, მორიცებით გადახედავდა:

შეკლესის უკან კბილებ ჩაბდლვნილ დედაბერივით წაფურდილ სენაკში მაკ-
რინე მონაზონი იჯდა, გარეთ არ გამოდიოდა, არ ერეოდა მოხეიმე ხალხს.

უკრალ გალავნის იქით შეიქნა ჩოჩქოლი.

მითქმა-მოთქმა...

ხალხი აირია:

— ფაფელო მოდის ფაფელო ქადაგი!..

ყველა გზას უთმობდა კაბა აკარწიხებულ ფეხშიშველ დედაკაცს, რომელიც
შეიმართებოდა ეკლესიისაკენ.

უკელამ მოწიწებით დაუთმო გზი.

ფეფელო ავიდა კიბეზე და გიმოჩნდა ჩამომჭენარი, გოროზი დედაკაცი.

მთლიად კანკალებდა და ამლვრეული თვალები გადაავლო ხალხს.

მერე დაემხო ეკლესიის კარებ წინ და ლოცულობდა დიღხანს, გულში
მუშტის იცემდა, მოსთქვამდა შემხარავად, მერე შემოტრიალდა და უცნაურ ცე-
ცლით აღზნებული თვალები დაპკაკლა.

ზარდაცემული ხალხი გასნატული უცქერის.

ცეკვა-თამაში შეწყდა. ყველა ეკლესიას მოაწყდა.

მხოლოდ შორის, სოფლის გზაზე მოისმის მთვრალების: „რანუნი“.

— ხალხნო!.. ხალხნო!.. გააპო პაერი მისმა კივილმა.

ხალხმა პირჯვარი გადაიწერა და შეიქნა ჩოჩქოლი.

მესერჩე მიბმულ ცხენებმა თავები ჩაპკიდეს: იგრძნეს ავდრის მოაბლოვება.

ურნალი „მნათობი“ № 3



სადღაც გრგვინვა მოისმა.
ელვამ გრეხა დაიწყო კაში.
ბნელდება.

უკრაინული
ტექსტის მიხედვით

— ხალხო!.. რა გეშველებათ, თქვე უბედური შვილებო!.. რა გეშველებათ!.. წერელი ლვით შობელი გამომეცხადა და მამხილა, რომ დედა მიწა მაკეა უჟმურ-თა-უჟმურით!.. დედამიწა დედა კი არ არის ჩვენი, — ცოტიანი დედალი მგელია, რომელიც თავისივე ლეკვებს თვითვე სჭამა!.. ვაი თქვენ, ხალხნო!.. სანავარდო დაბერწდა!.. უჟმური მოსპობს სანავარდოს, — წერია ეუუთში!.. ჭინკები და მავ-ნეები დაეუფლება სანავარდოს, — ამბობს კარაბალინი!.. დედაკაცების საშო დვრიტასავით არის გამომჰკვნარი, მაჭიკივით არის გამხმარი, რომლითაც დედა-კაცები უველს ადედებენ. ვაუები უნაყოფონი არიან, როგორც სკაპცები!.. ვაი თქვენ ხალხნო!.. ძერას ჰერთხეს: — შეილები ვირჩევნია თუ ორი თვის წყალუსმე-ლობა?.. — წყლის უსმელობაო!.. ჯორსა ჰერთხეს: — შენ რაღაო? — უშვილობაო!. თქვენთვის არავის უკითხავს და ვინ დაგაბერწათ ასე?!.. ეუუთში სწერია: რო-დესაც მზე მარტის ოცდაერთს შევიდეს პირველსა ხარისხსა ვერძსა, წლისა მფარველი იყოს მარები ლომითურთ, რომელიც სახლია მზის!.. იყოს ყელის ტკი-ვილი, დურბლის ქარები, ხველება და მკერდის ტეხვა!.. ციებით ლოგინათ ჩა-ვარდეს ხალხი!.. გამრავლდეს ავადმყოფობა მანდილოსანთა და უშვილობა!.. ზა-ვი დღეები მოგელის შენ!.. დედაკაცები ქვას ჰმობენ და შვილს კი არა!.. ვა-ცოფდა სანავარდო და ჩვენ ბუშები ვართ მისი. მავნე სულების მარულა გაჭენ-დება სანავარდოში!.. თავს უწეველეთ!.. მოახლოვდა ჟამი მეორეთ მოსელისა და დედათა გოდება დააყრუებს. ზეცას, მაბათა ვაება გააპობს დედამიწას!.. მეუფე უჟმური მობრძანდება თავის ამალით!.. არული თქვენ, წყეულებო!.. ვაა-ვა ვაა-ვა ვაა-ვა, — ჰერთხეს ფეფულო ქადაგი, პირიდან დორბლის ჰყრის, ბუქნავს და უჩანს მზისგან დამწევარი ბაყეები.

შიშის ზარი იპყრობს ყველას.

ხალხი შეშფოთდა.

უეცრად ქადაგი დაეცა მიწაზე და დაიწყო გრეხა თავგასრესილ გველის წიწილივით.

დედაკაცები სტირიან და პირჯვარს ისახავენ...

უეცრად რალაც კივილი მოისმა.

ხალხმა მოიხედა და დაინახა, რომ ბონდო მიწაზე გდია და იგრიხება პირ-ში ქაფმორეული.

ფეფულო ქადაგი და ბონდოიე გადარეული.

— ბონდოიე ზნეიანი!..

— ბონდოიე ზნეიანი!..

— ბონდოიე ზნეიანი!..

— ლმერთო შენ შეგვეწიე!

ვაისმა ვაება და დამფრთხალი ხალხი მიაწყდა ეკლესიის გალავანს, ეძებენ გადასაყალს და ვერ პოულობენ.

მოდის მუცელ გახეთქილი უემურთა უემური უვითელი, დაბავესებული და
დალორწი ჟველაფერი შხამითა და საწამლავით.

დედაკაცები წივიან, იფოფრებიან.

დარბიან გზა აბნეულნი.

ჭიშვიარში ვერ გადიან და არის ურიამული, წყევა-კრულვა, მოთქმა და
ვიში.

ხაბარდიანი ქალები ღობის მარგილებში ვერ ეტევიან.

სადღაც თოფი გავარდა.

იელეა ხანჯალმა.

დამტრთხალი ცხენები ახვიხვინდნენ.

მოლრუბლული ცა გასკდა უზარმაზარ ფაშვივით და დაუშვა კოკისპირული
დაბპალი წვიმა.

წამოვიდა თქეში და ნიალვარი.

ეკლესიის ყავარს რეცხს წყალი.

ცაცხები შავ ყორნებივით მოფუშულან და წვიმის წვეთები მწუხარედ ფა-
თქუნებენ ფოთლებში,

ბალლები ჟივიან.

ბასრმა ელვამ გაირბინა ხალხის თვალებში და უეცრად გაისმა ჯერ არსად
გაგონილი ზარდამცემი წივილი და გამოჩნდა პირველი მატარებელი.

მიფრინავს იგი ტყეებში, ლრეებში.

მიჰკიეის, ახველებს შავ კვამლს და გრიალით არლვევს სოფლის მყუდრო-
ებას.

მოფრინავს იგი კბალებ დალრჭენილ გველვეშაპივით კვნესით, ოხვრით.

მოფრინავს და მოაქეს ბალლინჯოები, ტილები, ნაგავი, ნაცარი, რკინის
ავაღმყოფობა, ოქრო და ხალხი სულ სხვანაირი, გასაკვირველი:

მოდის იგი გამურულ და დაკორძებულ ხელებიან ხალხით.

მოდის კონდუქტორებით, ხეინკლებით. ქალალდის კაცებით, ქონით გატე-
ნილ ხალხით და მისი კიევილი ედება მოარულ სენივით მიღამოებს, მისი ჩვენე-
ბა აფრთხობს ჟველაფერს.

ამიერიდან ტყირპის მაგიერ ქონით გაიტენება მუცლები.

ჭინკები სოროებში მიძერებიან.

ქაჯები მუხებისა და წიფლის დალრჭენილ ღრუებში იმაღლებიან.

უემურთა უემური იგრიხება ნარიონას ჭაობებში და თვალდაკუსული ბაყა-
უები. გარინდებული გაბარდლულან წყლის ლუსეპოზე.

მოვიდა ახალი ქაჯი, მოვიდა წითელი უემური და ცხენები დაფრთხენ,
გადირივნენ, ყალყჩე დვებიან, ეხევიან მუცლით მესრის მარგილებს და სადაცე
აწყვეტილნი მიფრინავენ ჭიხვინითა და თქარა-თქურით, მიათრევენ გადმოყრილ
ნაწლავებს და ენა გადმოგდებული წუწეკი, მუნიანი ძალები მისდევენ ტალახში
ათრეულ შიგნეულობას, ჰელეჯენ მსუნავად ქეჩო აყრილნი, ბოროტად ალრე-
ნილნი.

დაღამდა.



სიბნელეა თვალის დათხრამდის.

მატარებლის ოხერა შენელდა, საღლაც სატურიას საღგოუროან, კლომელიც
ამიერიდან სამტრედიის სახელს ატარებს.

უკუნეთია და წვიმა თვალებში აშხაპუნებს.

ისმის ხმაური და კიფილი სიბნელეში:

— ვინა ხარ შენ?..

— ეს მე ვარ!..

— ვინ შენ?..

— მე, რომელიც კვდება თავის უნაყოფობაში!..

— წყეულიმც იყავ შენ!..

— შენ?..

— მე, რომელიც მოდის ახალ იმედებით!.. მე, რომელსაც ანთებული მომა-
ვალი მეთამაშება!..

— მშვიდობა შენდა!..

უკრად იულვა და გამოჩნდა გუჯუ ლაბაზუა.

დგას იგი წინსაფარ აწეული და ჭიხვინობს ეკლესიის კარებთან.

მის გვერდით განართხული ფეფელო ქადაგი იგრიხება მომაკვდავით.

ისევ დაბნელდა.

დაყრუვდა ზველაფერი.

ხმები ლამეში:

— არიქა, თავს უშველეთ!.. ვიღუპებით!..

— წყეულიმც იყავ შენ, სანავარდო!..

— სატურიაში, სატურიაში, საღაც ახალმა ქაჯმა მიაგნო ბინას!..

1922 — 1924 წ.

დედაქალაქი.



მიხეილ ჯავახიშვილი-ადამაშვილი

რასპუტინის პუდზე

სანამ ხუხუ ჩიჩია ქუთაისში სასახლე ადგილს და ხაბაკ-ხუბაკს გაჰყიდდა, კვაჭი კვაჭანტირაძემ ღრო იხელთა და ტფილისში დატრიალდა.

თუმცა ჯერ კოჭლობდა და ცალი ხელიც ახვეული ჰქონდა, მაინც ახერხებდა კლუბებში, თეატრებში და სხვა გასართობ ადგილებში სიარულს.

ცოტაოდენი ხალხი გაიცნო, თან ყველას ჰსუნავდა, სწონავდა და აფასებდა მათი მოხმარებისა და ვამოყენების საზრისით.

სანამ მარჯვენა ხელსა და თითებს მოირჩენდა და მოიმარჯვებდა, ქალალდის თამაშში ბედი არ სწყალობდა, მაგრამ მერე სამიოდე თალიით ბედი მოიტრიალა, წანაგები დაიბრუნა და ხუთიოდე ათასიკ ზედმეტი წამოიყოლა.

მართალია, ბოლო ლამეს მცირე უსიამოვნება შეემთხვა: მორიგე მამასახლისმა თავისს ოთახში ჩაიწვია და პირის-პირ რამდენიმე სუსხიანი სიტყვა უთხრა, მაგრამ კვაჭი ამის გამო არც აირია, არც ატკიცდა. იმ დღეებში ისევ რუსეთში მიდიოდა, ამიტომ კვაჭისთვის სულ ერთი იყო, რას იტყოდნენ და რას იფიქრებდნენ ათიოდე, თუნდ ასიოდე კაცი იმ ქალაქში, საკუა კვაჭის თითქმის არ იცნობდნენ.

ქალალდის თამაშში კვაჭიმ ვინმე ნაზიმოვი გაიცნო,—აზოვის ბანკის მოხელე, მოთამაშე, მოქეიფე, მოქანტავი და ლოთი.

გულმა გული იცნო, სულმა სული იპოვნა.


კვაჭიმ ნაზიმოვი ორჯერ-სამჯერ ვახშამზე დატპატივა, ცოტაოდენი ფულიც ასესხა, დაიძმობილა და შეიჩვია.

ერთხელ თუ ორჯერ წაიჩურჩულდა.

ამის შემდეგ კვაჭი უცებ აჩქარდა და თავისიანებიც ააჩქარა.

ძაბულიმ თეალებით მიშეზი ვამოჰკითხა.

— აჲ, რაცხა სხვანეირი ქალაქი უოფილა აი ტფილისი. აქინე ხეირიანი აფერი გაკეთდება. გარდა ამისა, ჩვენი ქალაქია. წავალ, გადავიკარგები, ვიხეტიალებ მთელ ქვეუანაზე. იგი დიდია, შორს არის, აქინე ხმა და ამბავი არ მო-

ვა. ვინ იცის რა მომელის, როგორ გამიჭირდეს, როდის და  დამჭირდეს ან ქალაქი. მერე გამომადგება,

უკელანი მიუხედნენ აზრს. მალე ჩალაგდნენ და აიკრიშნუმაში ერთ-ერთ კვაჭი და მისი სახლობა როსტოვის გზით წავიდნენ. შემდეგ კვაჭი და მისი სადგურზე მათ დაუხედათ ეკროპიულად გამოწყობილი, წვერ-ულვაშ გაპარსული სილიბისტრო, ოვანეს შაბურიანად მონათლული. ძლივს მოასწრეს ერთმანეთის მოყითხვა და მცირე აღერსი.

სილიბისტროს ოჯახმა კავკავში აუხვია, კვაჭიმ კი პეტერბურგისკენ გაუტია.

კვაჭი და ნახიმოვი, რომელმაც შვებულება აიღო, მეორე დღეს დილით როსტოვში აეიდნენ. მცირე ბჭობა გამართეს, ყავა დალიეს, მერე ბანქში შევიდნენ.

კვაჭი ჯერ შეყოყმანდა, შეშინდა. მერე უცებ გასწორდა, ძალ-ღონე მოიკრიბა, გამხნევდა, პირისახეზე სიმტკიცე იღიბეჭდა. თავისუფლად შეაღო კარები დირექტორის კაბინეტში პირდაპირ მივიდა მასთან და დაუდევრად უთხრა:

— გთხოვთ მიცნობდეთ: თავადი ორბელიანი გახლივართ.

და წინ დაუდო შესაფერი პასპორტი და ბანქის ბილეთი.

იმ ბილეთში ეწერა:

„აზოვო-დონის ბანქს... როსტოვის განყოფილებას.

გთხოვთ გადაუხადოთ თავადს ნიკოლოზ პაელეს ძე ორბელიანს 37,435 მანეთი ამავე ბანქის ტფილისის განყოფილების ანგარიშით.

დირექტორი N

ბულგალტერი B

მოლარე Z."

დირექტორმა მოსამსახურეს დაუძახა, ის ბილეთი გადასცა და უბრძანა:

— მოსძებნეთ ავიზი.

მერე კვაჭის მიუბრუნდა:

— პირველად ბრძანდებით როსტოვში?.. როგორ მოვწონთ?.. ვის იცნობთ?..

— გავლით მესამეჯერ თუ მეოთხეჯერ გახლავართ. ახლო-მახლო ვყოფილ-ვარ ჩემს მევობრებთან სანიოდე დღით: სენატორ დენისოვის შეილთან, გრაფ ოტბეკთან, ბარონ ტიხენჰაუზენთან... ერთად აღვიზარდეთ პაუების კორპუსში.... ეხლაც ნოტბეკთან გიახლებით... კალინოვკა ჰქვიან იმის მამულს, არა? აქედან ოციოდე ვერსი იქნება... შეიძლება მათი სიძე გავხდე ერთ კვირაში.

მოსამსახურე დაბრუნდა და დირექტორს ქალალდები წინ დაუწყო.

დირექტორმა იმ ქალალდებს წააწერა:

„ფული გადაუხადეთ“; პასპორტი კვაჭის დაუბრუნა და პაუებზე ჩამოუგდო ბაასი.

კვაჭიმ ბაასი მოხერხებულად იდესაზე გადაიტანა.

აჟყვნენ და იბაასეს.

ბოლოს კვაჭი წამოდგა:

— კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა. გთხოვთ ნიშნობაში მეწეოთ... წერილით შეგატყობინებთ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

ხუთი წუთის შემდეგ კვაჭიმ ფული ჩაილაგა უბის ჯიბუში და მისი მონხედა.

ნაზიმოვი არსად იყო.

უსარის უსარი

კვაჭი ჩატიქრდა და გაოცდა. მერე ოდნავ გაიღომა და პატქირდეს მესამეს.

ნაზიმოვი თურმე ქუჩაში უცდიდა.

— ჩქარა, თავს უშველეთ!

წასჩურჩულა კვაჭიმ ნაზიმოვს, თვითონ თავი დალუნა და ნაბიჯს მოუხშირა.

გაფითრებული ნაზიმოვი ჩანჩალით უკან გაჰყვა.

— რა მოხდა?.. რა ამბავია?.. გაიგეს?..

ვიწრო ქუჩაში შეუხვიერს.

— ძლივს გადავრჩით... საქმე ცუდათ არის.—სხაპა-სხუპით და ხმის კანკალით მიაყარა კვაჭიმ. ავიზი მოსულია, მაგრამ დირექტორი ყოყმანობს, ფულს არ იძლევა... არ გიცნობთო, შიფრი არეულიათ, უნდა ტფილისში დეპეშა გავგზავნო... მერე დირექტორები მეორე ოთახში გაციდნენ და რაღაცა იჩურჩულეს... ტელეფონით ილაპარაკეს... მე ვუთხარი, ხვალ შემოვივლი მეთქი, და საჩქაროდ გამოეიქეცი. დავიღუპებით, თუ ეხლავე არ დავიმიალეთ.

ნაზიმოვი ცახცახმა აიტანა. კბილების წკაპა-წკუპით ჰბოდავდა:

— ვაიმე... ვაიმე ცოლო და შეილო... გზის ფულიც არა მაქვს... როგორ დაებრუნდე... დამიკერენ... დავიღუპე...

— გზის ფულს მე მოგცემთ, ოლონდ ეხლავე დაბრუნდით. აი ასი მანეთი, იმყოფინეთ. აბა, ჩქარა, საღვურისკენ!

ხელცარიული, გაფითრებული ნაზიმოვი სტაეროპოლში წავიდა, საცა მას უცდიდნენ მოხუცებული დედ-მამა, ხოლო გახარებული და მოლიმარე კვაჭი ისევ პირფულ კლასის ვაგონში ჩაჯდა, თან ფიქრობდა:

— თუ ნაზიმოვი დაიჭირეს, მეძებონ კიევში... იმას მართლა დადიანი ვვონივარ... კარგად თური გზები...

* * *

პეტერბურგში, ვასილიევის კუნძულზე კვაჭის შვიდ-ოთახიანი ბელ-ეტაჟი აქვს, მორთული ძვირფასი ავეჯით, კოხტად და დიდის გემოვნებით.

სასაღილოს ამკობს მუქი მუხა, „ნატიურ-მორი“ ძველ პოლანდელთა და ფლანანელთა მხატვრებისა, მდიდარი კოლექცია კედლის უძველეს თეოტებისა, სევრის ფაიფური და ვენეცური ბროლი.

დიდი დარბაზი კრიალებს და ბრწყინვას. ოთხი სარკე პერს სწერება; კედლების ძირში ჩამწკრივებულია ორმოციოდე ოქროს ვარაყიანი სკამი; კუთხეში სდგას ურთხელის საკონცერტო როიალი; ფანჯრებზე და კარებზე ჩამოფარებულია აბრეშუმით ნაქარგი, სქელი, ატლასის ფარდები, კედლებიც აკრულია ატლასით და აბრეშუმებით; სეროვის, ვრცელის, ლევიტანის, მაკოვსკის, რეპინისა და შიშკინის სურათები ამშვენებენ იმ დარბაზს. აქ-იქ მოსჩანს რამდენიმე „ტიტოელი“ პარიზის სალონიდან.

კაბინეტი და მცირე სადარბაზო ოთახები სპარსულად არიან მორთულნი; იატაკი და კედლები ძვირფასი ხალიჩებით არის აკრული და დაფენილი. მოსი

ჩანს ფრანგული გობელენი, ძველი ბურგუნდული ხავერდი, ქაჩინი, ინდიური ოქტონემსული, თექი, ხოროსანი, ჰამაღანი, მდიდარი კოლექციის იარაღისა და ხელოენურად ნაკეთი ათასი ძვირფასი წვრილმანი.

შველა ოთახი უხვად არის ვაბნეული ბროლი, საოკე, ბრინჯაო, მარმარილო, ურთხელი, ბეწვეული, ფარჩა, ტყავეული და ვერცხლი, იმ ოთახებში მოიპოვიან უკვდავნი: ჩელინი, კანოვა, რეზბრანდი, ვან-დე-კი, რეისდალი და მრავალნი სხვანი.

ორ მიურუებულ ოთახში ვამართულია წიგნთ-საცავი და ბილლიარდი.

ოთახებში ფეხაკრეფით დადიან თოვლივით თეთრი მოახლენი და კორანოვანი ლაქიები.

შემოსავალ კარებში გაყინულა თუთიყუშივით აჭრელებული, პირსუსხიანი კარის დარაჯი.

კაბინეტში ზის ძეირფას ბუხარის ხალათში გახვეული თავადი ნაპოლეონ აპოლონიჩი კვაჭანტირაძე და გაზეთს ითვალიერებს, თან ჰავანნის სიგარას აპოლებს.

იატაქშე, ვეფხის ტყავზე გაწოლილან ჩატყვიებული, საზარელი, შავი ინგლისური დოვი და აბურძენული, თაფლის ფერი, უზარმაზარი სენ-ბერნარი.

დიდკუდა და ვრძელბერვიანი ანგორის თეთრი კატა ფანჯარაში ბუჩებს იჭერს, მხეს ეთამაშება და საკუთარ კუდს დასდევს.

საწერ მაგიდაზე ჩაკუნტულა ციდის ოდენა მაიმუნი, აბრეშუმის ფრაკ-ცილინდრში გამოწყობილი, რომელიც მელნით პირსახეს ითხუპნის და კვაჭის ულრიჭება და ეპრანჭება.

სრული მშვიდობა, მულტროება და ვანკერობა ჰსუფევს იმ ოთახში და კუპის გულში.

კვაჭის პირადი მდივანი და ერთგული ბესო შიქია ფეხაკრეფით შემოვიდა.

— ა-ა, ბესო, შენ ხარ? — ზანტად აიკოხნა კვაჭი. — ამბავი?.. წერილებია? რა უნდათ, ისევ მათხოვრობენ? გადაყარე კალათაში.

— კიდო არის რამდენიმე წერილი. კნეინა გოლიცინისა თავის თავშესაფარისთვის დიდ მასკარადს ჰმართავს, გთხოვს დირიგორობა იყისრო.

— კაი, მაჭინე დალე... უნახოთ, მოვიფიქროთ. თუ არ წავედი, მაღლობა გადაუხადე და ხუთასი მანეთი გოუგზავნე.

- პრინცი კობურვ-პოტელი გპატიუობთ ვიხშამზე.
- აჲ, მომბეზრდა... მიადლობა მისწერე, არ სკალია-თქვა.
- თავადი გოლკონსკი თავის არაბს ჰყიდის, და გოხოვს...
- ვაანებე თავი. მაგისთანა არაბი ათი მყავს.
- ხვალ იახტ-კლუბში სახეიმო ვახშამია თსმალეთის პრინცის მუხთარ აზისის პატივსაცემად.

- კაი, ხვალ მომაგონე.
- ოპერაში ბალეტია. ბალერინა სმირნოვისა სცენევავს. იმ ლოკის ბილეთი.
- შენ წალი... მომიკითხე.. თაიგული წოულე.
- იმ კიდო ერთი წერილი. ტანია პროზოროვისი გრერთ, რომ დღეს, სალამოს ათ საათზე ჩემთან „ის“ იქნებაო.

— ჩქარა მაჩეენე!

და ბესოს ვარდისფერი აბრეშუმის წერილი ხელიდან გამოსტავა.

წაიკითხა, გამოცოცხლდა, ვაიხარა, გაიღიმა და ალელობა. მარტინ ულავა

— ძლივს! ძლივს!.. ერთი წელიწადია ამას ველოდები... ჩერი, ბერი, უსტეა იქინე ლაპარაკი? არ იცი? აპა მე გეტზვი: მარა შეიცა, მერე გეტზვი... მერე, მერე...

ალელვებული კვაჭი ბოლოს სცემდა. თვალები შემოქმედების ცეცხლით ჰქონდა ანთებული, ტერინი აუდულდა და აუჩქროლდა, გული საკულეში აღარ უდგებოდა.

— ქეთილი... კარგი... იწი ახალი დრო დადგა... აპა, კვაჭი, ბედი კარგე მოგადგა..., თუ კაცი ხარ, არ გოუშვა... კაი, ძალიან კაია... — ბუტბუტებდა კომბინაციებისა და იმედების ცეცხლით გახურებული კვაჭი.

მერე ბესოს მიუბრუნდა:

— დოურევა, რომე ბენცის ავტომობილი მომართვან... მეიცი, ბენცი არ მინდა, დლევანდელ დარს მკონი მერსედესი ან ბერლიე უფრო შეეფერება.

— მშვენიერი დარია, ლანდო სჯობია.

— აპა ლანდო იყოს. შევი ცხენები არ შეაბმევინო, დაფეობულნი არიან, თეთრები შეაბან, ან წითლები... აპა, ჩქარა! კამერდინერსაც დაშიძახე.

მერე ტელეფონს დასწვდა:

— ალლო! ელენე, შენა ხარ?.. ჴო, მე ვარ, კვაჭი..., დილის კოცნით ვემთხვევი შენს ლეთიურ ხელებს... წუხელი? რაცხა ოცი ათასი მევიგე... აპ, აპ! მაი ტუკილა უთქვამო შენთვის, ჩვენი წაჩბუბება უნდა ვინცხას, არ დოუჯერო... არა, ის ქალი მე კი არ გავაცილე, თავადმა კიტგენშტეინმა წერიუვანა... მე? შენც არ მომიკვდე, არსად ვყოფილვარ, პირდაპირ სახლში წამევედი... კაი, მაგას თავი დავანებოთ. ელენე, დლეს შენთვის დიდი ამბავი მაქვს. გუშინლამ რომე მარგალიტის კოლიე მეიწონე, ხეალვე მოგართმევ, თუ ჰკუით მეიქცევი... რაო, არავინ გვიგოს!?

— აპა, პეტერბურგში სწორედ ქართველს დასვამდენ ტელეფონზე, რომ ჩვენი ქართული ლაპარიკი გვიგოს?!.

კაი, კაი... ბესმის... აპა მომიკავე სახლში, ეხლავე მოვდივარ. მშეიღობით, ჩემო კარგო!

მერე კამერდინერს ვასილას მიუბრუნდა:

— აპა, ჩემო ვასილ, ჩიმაცვი.

სანამ ვასილა აცმევდა, კვაჭი ზოგს თავის თავს, ზოგს ვასილას ეუბნებოდა...

— კარგი დლეა, მშვენიერი დლეა... ილოცე ვასილ, რომე ივი საქმე კარგად დამისრულდეს... დიდებული დლეა... ვნახავ იმ მოხუცს, იმ წმინდანს... აპა, გამიჩერდეს!.. გოუძლოს ჩემს ელენეს... არ მინდა მაი გალსტუკი, არც მაი... არც ავი... აპ, მაი მომეცი...

ყაზანის თათარშა მოახსენა;

— ლანდო მოგართვეს!

ორი თეთრი ცხენი ინგლისურის ჯიშისა და ინგლისურად შებმული თქარა-თქურით მიაქროლებს ლანდოს.

ჯერ ზღვის ჭრაზე გაეიდნენ, მერე ნევის პროსპექტს გაპყვნენ. ხალხი თვალს იდევნებს კრიალა ლანდოს, თეთრ რაშებსა და კალმით ნახატ ახალგაზ-

რდას, რომელიც ძლივს ასწრობს ჭუდის მოხდას და თავაზიან სალაში. ტრო-
ტუარებზე ხშირად ისმის:

— როგორ, არ იცნობთ?.. არ იცით?.. თავადი კვაჭანტრიპერ, წმიპოლეონ
აპოლონიჩი... მშვენიერი სახელია, განა!..

— უთვალავი სიმდიდრე აქვს: ნავთი, მარგანეცი, სპილენძი, ხუთასი ათა-
სი დესეტინა... არ ექნება? როგორ არა, მეტიც აქვს.

— თურმე ისეთი მარმარილოს ციხე-კოშკი აქვს კოლხიდაში, რომ ამერი-
კიდან მოდიან სანახავად...

— მეფის ჩამომავალია... ისეთი სუფთა სისხლი აქვს, როგორც ჩინეთის
ბოგდიხანს...

— სამი დღის წინად სააქციო საზოგადოების „ანგლოროს“-ის საზოგა-
დო კრება იყო. წარმოიდგინეთ, კვაჭანტირაძემ საკონტროლო პაკეტი შიიტინა
და მთელი ის კომპანია ხელში ჩაივდო... რაო, ავრევე უფრ „სალამანდრას“, და
„კოსმოსს“? შეიძლება... დიდი ფინანსისტია...

— ამბობენ, სახელმწიფო ბანკის გამგედ მოიშვიერო, მაგრამ ხომ არ გაგი-
უებულა, რომ დათანხმდეს! თვითონ თუნდ ხუთ ბანკს იყიდის..

— თურმე ერთი ლამაზი ქალი არ გადარჩა პეტერბურგში... ხომ გახსოვს
ჰერცოგინა კატალონიისა? იმაზე ლამაზი და პატიოსანი ქალი თურმე დედამი-
წაზე არ მოიპოვება. შარშან ჩამოვიდა. მერე, იცი რა მოხდა? სამ დღეს მეტი
ვერ გაუძლო კვაჭანტირაძეს. დამიჯერე, ნამდვილად ვიცი, ქმარმა გაუგო... დუ-
ლი? არა, როგორ გაპბედავდა! კვაჭანტირაძე გაფრენილ ბუზსა ჰელავს....

ლანდო სუკოროვის პროსპექტზე გაჩერდა.

ხუთის წუთის შემდეგ კეაჭი ხელებს უკუცნიდა თავად ტრუბეციონის ახალ-
გაზრდა ქერივს, ქართველ მზეოუნახავს, ტანით და თვალით ნამდვილ დედო-
ფალს.

— კაი, გეყოფა შე გიუო... აბა მიამბე, სად იყავი წუხელ? მიღალატე განა!..

— გეფიცები, ელენე, რომე...

— ნუ ფიცულობ, არა მჯერა... ეხლა მითხარი, რა საქმე გაიჩინე?.. რაო,
ამას იქით შენი დეიდა უნდა გავხდე? შე ცელქო, ჩემი დეიდობა რალათ დაგ-
ჭირდა, განა ისედაც შენი არა ვარ?!.. ჰოოო, მესმის, შენი ნათესავი დავირქვა?
მერე?.. რაო, რასპუტინი?! ლმერთო დამიფარე!.. მაგას როგორ ვიკადრებ?!.. იმ
პირუტყვს, იმ ჭუჭყიან მუეიკს გავუკადრო თავი?!.. რა თქმა უნდა, კარგია ფული...
საჩუქარიც... ზემო სართულში გარევა... ძალიან კარგია, მაგრამ... ჰო, ამბობენ..
აქებენ, დიდი ვაუკაციო... წმიდანიაო, მაგრამ... განა შენ არ მეყოფი... რაო...
შენზე უკეთესია? რით? როგორ?.. კაი, გაჩუმდი, ნუ ხარ ბილწი... ჰა-ჰა-ჰა!..
შართალს ამბობ? ჰა-ჰა!.. ჭორი იქნება, თორემ... ჰა-ჰა! გზა მაგით გაიკვლია
მართლა?.. ლმერთო დამიფარე! ჰა-ჰა!.. არ მეკადრება იმ წუნკლიანთან გაყლა,
მაგრამ..., რაკი მაგისთანა დიდ საქმეს აკეთებ... ვნახოთ... დღესვე?! ლმერთო
მომკალი! მერე ეგრე იაფად უნდა გადარჩე? თუ საქმე გაიჩარჩე, ბარემ ის ვა-
ტარა სახლიც მიყიდე ცარსკოე სელოში, მე რომ მომწონს. ხომ გახსოვს ის სახ-
ლი?.. აბა, ეხლა დამარიცე.

კვაჭიმ მოელი საათი მოანდომა ელენეს ჟარიგებას. მერა და დარიუშმული გამოჰქიოთხა, მცირე რეპეტიცია მოახდინა, ელენეს ნიჭით ალტაცებაში მოფიდა, კიდევ ათასი ღიპირება მისცა და წამოვიდა.

მისი ლანდო მანუსის ბანკობ გაჩერდა.

ათი წუთის შემდეგ ამაყი ბანკირი მოიდრიკა, მოიხარა, დადნა და გალხვა კვაჭის წინაშე.

— საქმეები? საქმე უთვალავი მაქვს... ნუ სწუხდებით, გიცნობთ, ძალიან კარგად გიცნობთ. თქვენზე ათასი ქება ვაშიგოა... თუ თურქესტანის მორწყვის კონცესია დაამტკიცებინეთ, ერთი მილიონი ინებეთ.. თუ მაღაროები ავიღუ იჯარით აი ამ პირობებით, აქ რომ აწერილია, ნახევარი მილიონი შიირთვით.. ეს ელირება საშასი ათასი.. ეს ორასი... კეთილი, როცა მეტყვით, მაშინვე წარვადგენ... პირობის ქალალდსაც მაშინ დავწერთ... კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა, ღმერთმა ხელი მოვიმართოთ... საუკეთესო გზისთვის მიგიგნიათ.. თუ იმ კაცმა იყისრა, უკუკელად გააკეთებს... მშეიდობით ბრძანდებოდეთ!.. ხუთშაბათობით პატარა ნადიმი იმართება ხოლმე ჩემს ოჯახში. პატივი დამდეთ... ნახვამდის, ძვირფასო ნაპალეონ აპოლონიჩ, ნახვამდის!.

და კვაჭი კარებამდის გააცილა ვაბერილმა ბანკიერმა, რაც მეტად იშვიათი შემთხვევა იყო მანუსისთვის.

* *

ნევის ერთ სანაპიროზე ერთი მორიცებული, პატარა და თალხი სახლი იდგა, იმ სახლში სცხოვრობდა კვაჭის მფარველი ანგელოზი, ხანშესული ქვრივი, შეტად გავლენიანი ფრეილინა, „სტატს-დამა და კავალერი მრავალთა თრდენთა“ — ანასტასია პროპორციისა.

კვაჭი იმ ოჯახში იმდენად გაშინაურებული იყო, რომ იმ დედაკაცს „ტანიას“ ეძახდა და და-ძმურად ეპყრობოდა, ხოლო ის დედაკაცი კვაჭის „ჩემო აპოლონჩიკ-“ს უწოდებდა და იმისათვის ნამდვილ მფარველ ანგელოზად იყო ბედისგან მივლენილი.

ვინ იცის, ვინ მოსთვლის, რამდენჯერ გაიყვანა იმ ანგელოზმა კვაჭიკო ბეწვის ხილზე, რამდენჯერ ამოიყვანა ბნელ და მყრალ ორმოდან, რამდენი დაახარჯა, რამდენჯერ დაითხოვა და რამდენჯერ ისევ დაიბრუნა და დაიახლოვა.

ზოგისთვის რომ ყური დაგევდოთ, ვინ იცის რამდენ საზიზლარ ჭორს იტყოდნენ და გესლიან ენას როგორ მოიქავებდნენ!

იმასაც კი ამბობდნენ, ვითომ კვაჭი კვირაში ოჯელ მაინც უნდა შესულიყო თავის „დასთან“ ვითომ ტკბილეულობასთან და ყვავილებთან ერთად კვაჭი ტანიას ათასნაირ ანგარიშებსაც უგზავნიდა, ვითომ „ტანიას“ მოსწყინდა ამ ანგარიშების გასწორება და თვიურად განსაზღვრული თანხა გადასდო „და-ძმობაზე“; ვითომ კვაჭის ბინაც ტანიას ხელით და ფულით იყო მორთული, ვითომ...

ერთი სიტყვით, იმდენი ჭორი იყო გაბნეული, რომ იმის აკრეფას უქმი ჭორიყანაც ვერ შესძლებდა.

ვინც იმ „სტატს-დამას“ იცნობდა, იმ ჭორებისას, რა თქმა უნდა, მეასედსაც არ დაიჯერებდა. ისეთი მორიცებული, მოკრძალებული, ჩუმი, წყნარი,

კეთილი და მორწმუნე დედაკაცი იყო, იმდენად სასოიანი, მორცებები, ღვთისნიერი და კარჩაკეტილი, რომ იმის გამხდარს, ქნავა ტანში და ღვთის მაჭლით განათებულ სულში ვერასოდეს დაიბუდებდა და ფეხს ვერ მოწყიდვაშე ჩრდილი ან სულიერი მანკი, სქესობრავი ვნება, მრუშობა ანუ სიძვა.

ხატებით მორთულ და სანთელ - საკმეველის სუნით გაუღენთილ სახლში მიდიოდნენ მხოლოდ ორად მოხრილი სენატორები, უკბილო პოფეისტერ-პოფმარშლები, სამოცი წლის ფრეილინები, სტატს-დამები და ჩაჩანაკი ეპისკოპოს-არქიეპისკოპოსები, რომელნიც დაუხიარებლად ვერც კი ახერხებდნენ იმ სახლის კიბეზე ასვლას.

მხოლოდ „აპოლონჩიკი“ იყო ახალგაზრდა, მაგრამ... ეს ხომ ერთად-ერთი გამონაკლისი იყო! ესეც რომ არ იყოს... მაგრამ როდების უნდა ესდიოთ ხელშეუხებელს, ჰაეროეან ჭორს?! იმ ღვთისნიერ დედაკაცს და კარგად ზრდილს კვაჭიკის არც გამართლება სჭირიათ, არც გამოსარჩელება. მათი სახელი სუფთა და უმწიკვლო იყო, მორჩა და გათავდა!!

კვაჭი და მისი „დედიდა“ ელენე ათის ნახევარზე დაზურულ ლანდოთი მიადგნენ იმ ქვრივის ჩაბნელებულ სახლს.

სტუმრები ჩაის მიირთმევდნენ მურაბით და „კრენდელებით“.

დიასახლისმა ანასტასიამ კვაჭის და იმის „დედიდას“ სტუმრები გააკნო:

— მეფის მოძღვარი და სასულიერო აკადემიის ინსპექტორი, მათი ყოვლად უსამღვდელოესობა ფეოდანე... ცარიცინის მონასტერის ბერმონაზონი, მათი მალალირსება ილიოდორი... სარატოვის ეპისკოპოსი ჰერმოგენი... გენერალ ლობტინის ქვრივი... უწინდესი სინოდის ობერ-ვროუჩორი ლუკიანოვი... მათი თანაშემწე საბლერი... სამხედრო მინისტრი გენერალი სუბომლინოვი... სტატს-დამა კურაკინისა... ბარონესა ნოდენი... შინაგან საქმეთა მინისტრი მაკაროვი... გრაჭი ვიტერი... ბანკირი მენდელსონი...

კვაჭიმ და ელენემ ყველას ჩამოუარეს, ყველას დაუსახელეს თავიანთი გვარი. ზოგს ბელზე ემთხვიერენ, დანარჩენებს წელმოხრით და მოწიწებით ღრმა სალაში მისცეს.

მერე დასხდენ და ახალ ნაცნობებს თვალი გადაავლეს.

ზოგი ნამინისტრალი იყო, ზოგი — მინისტრი, ზოგიც მინისტრობის შაძიებელი; ზოგი იყო გუშინდელი, ზოგი დაუვანდელი, ზოგიც ხვალინდელი ან ზევინდელი.

იმ ქვრივის ეკლესიურ სალონში ეპისკოპოსი არქიეპისკოპოსობას ეძებდა, არქიეპისკოპოსი — მიტროპოლიტობას, გენერალ-მაიორი — ლეიტენანტობას, ლეიტენანტი — ადიუტანტობას; პროვინციელი დედაქალაქისკენ იწევდა, ვაჭარი დიდს იჯარის დასდევდა, ბანკირი — კონცესიის, დედაკაცები ჰშველოდნენ, ხოლო საერთოდ ყველანი ტახტისკენ მიიღივოდნენ და ერთის საფეხურით მაინც ზევით იწევას ჰლამობდნენ.

იმ ხალხის გულის ჯურლმულში ტრიალებდა ბრძოლა უხილავი, უხმო, კაპასი, შმავიანი, დაუნდობელი და სასტიკი, ხოლო მათს პირსახეხე და ენაზე ჰსუფევდა მხოლოდ სიტებოება, და-ქმობა. მამა-შვილობა, მეგობრობა და ლიმილი, ზრდილობა და თავაზიანობა, ქრისტიანული ერთობა და ანგელოზური მორჩილება.



ლოხტინის ქვრივმა შეწყვეტილი ბასი განაგრძო.

კვაჭი ამ უცნაურ ქვრივს გაოცებით შესცემოდა და უურსა უკუჭუჭლა. ამას წინად „ტანიჩეამ“ კვაჭის უამპო ამ საკეირველი დედაჭუჭმის უსიმაშა.

ლოხტინის ქვრივი ხნიერი დედაჭავაცი იყო, კარვის ოჯახისა და გვარის ჩამომავალი; მეტად ამაყი, ჰკევიანი და განუითარებული.

რამდენიმე წლის წინად ეს ქვრივი გადაიჭირა „წმიდა გრიგოლის“ პირველ მოკიქულად, მის ყურმოჭრილ და მორჩილ მონაც. ყველაფერზე ხელი აიღო — ოჯახზე, ქონებაზე, თავმოყვარეობაზე, ქალურ-ქალობაზე,— და უანგაროდ გაპყვა თავისს ახალ მესსის, ბატონსა და ლმერთს, რომლისთვის იგი დაავალებული დედაჭავაცი მოახლეო იყო, მხევალიც და საუკუთესო პროპაგანდისტიც მისი სულიერ ხორციელ წმინდანობისა, ნამრუშ-ნაბოდვარისა, და გზის გამკვლევიც უბედო მეფის უბედურს ოჯახში.

შემდევში მან თვისი ადგილი მეფის კარზე დაუთმო უფრო ახალგაზრდას, უფრო ლამაზსა და მოქნილ ვირუბოვისას, მაგრამ მაინც არც კარზე აიღო ხელი, არც მხევლობაზე, არც მონობაზე. წინანდებურად რასპუტინს მოულს რუსეთში კუდად დასდევდა და ყოველს იმისს ნაბიჯსა და სიტყვის დღიურში სწერდა. ეხლაც ყველანი იმას შესცემოდნენ.

უცნაური ყვითელ-თეთრი კაბა ეცვა, რომელიც უფრო ანაფორას ჰვავდა, ვიდრე დედაჭავის ტანისამოსს, ის კაბა აჭრელებული იყო ათფერ აბრეშუმისა და ატლასის ჩვრებით. ფეხშიშველი იყო. თავს ეხურა ზიზილ-პიპილოვანი ქუდი ოქროს წარწერით:

„ჩემში არს ყოველივე ძალა. ალლილუია.“

დროგამოშვებით ქადაგად დაეცემოდა ხოლმე:

— გუშინწინ მესამედ ვნახე ჩვენი მაცხოვარი. — ამბობდა ალგზნებულის თვალებით და მთრთოლვარე ხმით ის დედაჭავი. — თქვენც გეცოდინებათ, რომ გუშინწინ ლამე „ის“ ჯერ კიდევ ვზაში იყო, მოსკოვიდან მოღიოდა, მავრამ იმისმა სულმა გამოასწრო და გამომეცხადა. ჩვენი წმიდანი თავით-ფეხებამდის, თეთრებში იყო, თავზე ლვოის ნათელი ედგა, ერთს ხელში ჯვარი ეჭირა, მეორეში — ცეცხლის მახვილი.

— უფალო შეგვიწყალე! — წაიჩურჩულა საბლურმა და პირჯვარი გადიწერა. სხვებმაც წაპებაძეს.

— გამომეცხადა და მითხრა: „მოინანიეთ ცოდვანი თქვენი, მართლმადიდებელნო! მოდის დღე განკითხვისა!“ თრთოდეთ და ძრწოდეთ ურწმუნნო, ებრაელნო და ხალხის სულის ამრევნო! მე პირქვე დავეჭმა იმის უუწმინდეს ფეხთა წინაშე. თავზე ხელი დამადო და მომიტევა შეცოდებანი ჩემნი. თვალი რომ ივაბილე, ჩვენი მაცხოვარი ზეცაში მიტრინავდა. მეორე დღეს ჩვენი წმიდანი ჩამობრძანდა მოსკოვიდინ. ყველაფერი ეუამბე. მითხრა: „დაო ჩემო, ცემარი-ტად იმ დროს სულით შენთან ვიყავიო“. ისევ პირჯვარი გადიწერეს და დამჭკნარ-ჩაცვივნული ტუჩები ააცმაცუნეს. ჩურჩულებლენენ:

— საკეირველ არიან, უფალო, საქმენი შენი!..



— მოსულ არს უამი განკითხვისა!..

— შეგვიწყალე, უფალო, და მოგვიტევა შეცოდებანი ჩვენი ქულები

— ალლილუია! ალლილუია! ალლილუია! ცირკულარია

დედაკაცი წამოდგა, თვალნი ზეცას მიაპყრა და კილოს აუმაღლა. ალგზნებით და ზეშთაგონებით პბოდავდა:

-- კეშმარიტად გეტჩვით თქვენ: იგი არს წმიდა მაცხოვარი ჩვენი, ზეცით წარმოგზაუნილი ხსნად ცოდვილისა ამა ქვეყნისა—წმიდა რუსეთისა, განკითხვად ცოდვილთა შესამუსრად ურწმუნოთა და დასამყარებლად მარადიულ, სანეტიარო ცხოვრებისა.

მერე ილიოდორს მიუბრუნდა:

— ესე არს ძე „მისი“ უცოდველი და წამებული, ხოლო მე ვარ ცოდვილი და ულიორსი მოციქული მათი და ლვთისმშობელი მარიამი. ძრწოდეთ და მოინანებდეთ ცოდვათა თქვენთა, მართლმადიდებელნო!

ილიოდორი აიმრიზა და ატოკდა. სხვებმა ისევ ტუჩები ააცმაცუნეს და ჩურჩულით თავნი თვისი მოიდრიკეს „ლვთისმშობლის მარიამის“ წინაშე.

საბლერი და მაკაროვი მას ხელზე ემთხვივნენ. კვაჭი და ელენეც მიჰყვნენ, თან პირჯერის წერითა და მოწიწებით ჩურჩულებდნენ:

— უფალო შეგვიწყალე... უფალო შეგვიწყალე....

„მოციქულმა მარიამშა“ ოთხივენი გულში ჩაიკრა და ოთხივეს გადაჰკოცნა და-ძმურის, ძლიერის, ცრემლიანისა და ქრისტიანულის კოცნით.

— კეშმარიტად ალსრულდა წინასწარმეტყველება დოსტოევსკისა, — უთხრა იმ დედაკაცს ცრემლიანნა საბლერმა; — რომელიც ამბობდა, რომ რუსეთს დიდის ალრევისა და რლვევისაგან იხსნის და ლვთის გხაზე დააყენებს მორჩილი, მცირევინმე მირონცხებული, ხალოსი მუეგიჩკი, რომელსაც უფალი მდაბით ხალხიდან გამოარჩევს და მოგვივლენს.

— ასეთი მუეგიჩკის მიერ განწმენდილი რუსეთი ცხელის შანთით ამოდალავს მთელს ქვეყანას ურწმუნოებას, განკურნავს ეშმაკების იდეებისგან და მთელს მსოფლიოში მახვილით დაამყარებს ჩვენს წმინდა სარწმუნოებას, — დაუმატა გენერალმა სუხომლინოვმა.


— ორი რომი იყო, მესამე რუსეთია, მეოთხე ალარ იქნება! — გაიხსენა რუსეთის ნაბოდვარი ლუკიანოვმა.

— უწმინდური ურიები და მათი დაქირავებული სოკიალისტები — დღე-და-ღამე სკლილობენ და ოცნებობენ ჩვენი რომის დანგრევას. — აწუწუნდა ილიოდორი.

— მესამე რომი მარადია! მისი დანგრევა შეუძლებელია! ცდა მრავალი იყო, მაგრამ ამაო, ნუ შეშინდებით, მართმადიდებელნო, ღმერთი ჩვენთან არს. — განაცხადა კუვიანმა, ცბიერმა, ბებერმა მელამ ვიტრემ.

კვაჭიმ დრო იხელთა:

— მისმა ბრწყინვალებამ ბრძნული სიტყვა ბრძანა. ნუ შეშინდებით, ნუ დაიჯერებთ მესამე რომის დანგრევას. იგი უკვდავია! კავკასიაშიც თავი წამოჰყეს უწმინდურებმა...



— კავკასიონი ბრძანდებით? — ჰეითხა ვიტტემ.

— დიალ, იქაური გახლავართ და იქიდან გიახლუბით. უშავჭარაშეწყუშა, და წაირყვნა წმიდა სახელი ჩვენის წმიდა რუსეთისა. რაც გოლიცინმა ააშენა, უძლურმა და ჩერჩეტა ვორონცოვ-დაშვილმა დაანგრია. დროა მოვიშოროთ ის ჩუმი მასონი. სწორედ ამბობენ ჩვენში: კავკასიაში ორი ვორონცოვიაო, ერთი მუდმივ ფეხზეა, მეორე — ლოგინშიაო*). მაგრამ მწოლარეუ არ ისვენებს და ნელ-ნელი ანგრევს რუსულ საქმეს კავკასიაში.

გაიღიმეს და ჩაიხითხითეს ბებრულ უკბილო ლიმილით და სიცილით.

კვაჭიმ განავრძო:

— მადლობა უფალსა! იმ უძლურ საიდუმლო მასონის გარდა ჩვენს სათა-უვანებელ მეფეს მრავლიდ ჰყავს ჩვენში ერთგული მოსამსახურენი: ალიხანოვი, ვლატორეგოვი, ტოლმაჩიოვი, მარტინოვი, გრიაზნოვი და ათასნი სხვანი. შეერთებულის ძალით რევოლიუციის გველეშაპს თავი მოვჭერით. ეხლა გულმშეიდად ბრძანდებოდეთ, არხეინად მოისვენეთ.

კიდევ დაღხანს ილაპარაკა კვაჭიმ და იმ ხალხს ლიტინით და მალაშოთი გული და გრძნობა მოულბო, დაუშვიდა და გაუხარა.

ლოხტინის ქვრივმა კვაჭის გვარი წიგნაკში ჩაიწერა, სხვებმა დაიხსომეს.

ქუჩაში ავტომობილის შეუილი მოისმია.

— მობრძანდება! მობრძანდება ჩვენი წინიდანი და მაცხოვარი! — სასოებით დაიკივლა ლვთისმშობელმადა ფეხზე წამოიჭრა.

სხვებიც აიშალნენ.

დიასახლისი და ლოხტინის ქვრივი სირბილით ჩაცვიდნენ კიბეზე.

ორი წუთის შემდეგ ოთახში შემოიჭრა გრიგოლ რასპუტინი: — ბნელი, რეგვენი, ბრიუვი, ყოვლიდ უმეცარი, კადნიერი და თავსედი, სულით და ხორცით კუჭყიანი, მრუში და ბილწი ციმბირელი მუჟიკი; „წმიდანი და უცოდველი მოხუცი,” „ზეცით მოვლენილი წინასწარმეტყველი”; ლერძი, სინიდისი და თავი ბნელი რუსეთისა; ყოვლის შემძლე, ნამდეილი პატრიარქი, თვითმცყრობელი და გულთამნილავი გასალოსებულ ხალხისა.

კველანი ზეზე იღვნენ — თავმოხრილნი და მორჩილნი; კველამ პირსახეზე ჩამოიფარა ლეთის მადლი, სასოება, უმანკოება და მამა-შეილური ლიმილი.

რასპუტინი ერთის წუთით შესდგა კარებში,

შუა ტანის კაცი იყო, — ჩასხმული და ჩატუვიებული. შავი, ვრძელი ჯავარი თმა, დაუდევრად ნავარცხნი და ზეონასომი, შუაზე ჰქონდა გაყოფილი; ტუჩები — მსუქანი, მსუნავი და ჩალურჯებული; შუბლი — მალალი; ცხვირი — ბრტყელი; შავი წვერი და ულვაში. ცოცხივით გაცვეთილი, თითქმ განგებ ჰქონდა მიკრული; ტუჩის ძირი-შიშელი; პირის კანი — შავი, ნაცვეთი, ზეთიანი; ხელები — გრძელი და ჩაუანგებული; თიშები — დაკლაკნული; ფრჩხილები — ჩაობებული და ზავარშიანი. თვალები — საოკარი და უცნაური; მოლურჯო, ლრმა, მოუსვენარი, ცეცხლიანი და ელვიანი. რაღაც იღუმალის და უჩინარის ძალით აღსავს;

* 1 ნათესავმია თავ. ვორონცოვის დევლის და ავალიტურე უორონცოვ-დაშეოუზე, რომელიც დადგისხნილია მიკრული იყო სარეცელზე.

მიმზიდელი, გამჭერეტი, ალერსიანი, უმანქო და აძავ დროს კბილობრივი შორეული და ჩამცივებელი.

ტანზე გცვა შინდის ფერი ატლასის რუსული ხალათი, „მისი დედის“ დედოფლის ხელით შეკერილი და ლურჯის აბრეშუმით მოქარგული; წელზე ერტყა აბრეშუმით და ოქროს ძაფით ხვეული დიდფოჩებიანი ქამარი; შავი, ხავერდის განიერი შალვარი ჩატანებული ჰქონდა ლაპირონის ნაოჭიან ჩექმებში გრიშკამ უცებ თითქო ჩაიცინა:

— მშვიდობა და კურთხევა ღვთისა თქვენდა!

და კუნტრუშით, კლაკვნითა და გრეხვით ყველას ჩამოურბინა; თან იღრიჭებოდა, იყრიჭებოდა, სტოკავდა, მოშლილ ხელფეხს „პეტრუშკასავით“ იქნებდა; გაუგებარს, უცნაურ რუსულს ლაპარაკობდა; წამ-და-უწუმ უადგილ-ადგილოდ სასულიერო სიტყვებს ისროდა.

არავინ გამოსტოვა: ყველანი გულში ჩაიკრა, ყველანი დაჭკოცნა ძლიერის ტლაშა — ტლუშით; ზოვს ერთხელ აკოცა, ზოგს ორჯერ; ელენე დათვივით ჩაიხუტი, ჩაიბუბნა წელში გადაზნიქა; ძლიეს გაუშვა ხელიდან; კინალამ მკერდი ჩაუნგრია, სული შეუგუბა, ტუჩები კოცნით გაუცვითა.

ყველანი ხელზე ემთხვიერნენ.

გრიშკამ ყველანი აკურთხა, ყველას ორიოდე სიტყვა გადაუგდო: სუბომლინოვს ჰკითხა:

— ღვთის მახეილი ხომ გალესილი გაქვს?

ჰერმოგენს მიუგდო:

— ღმერთი ჩეენთან არს!

ილიოდორს გადაუკრა:

— ურიები ვერ მოგვერევიან, დაილუპებიან!

გრაფი ვიტტე დაარიგა:

— ვიტტია, ძალა ჯვარშია, ფლობი ხელის ჭუპია!

მაკაროვს მკვახედ მიუგდო:

— დროა გათავდეს!

ელენეს ნუგეში მისცა:

— ეძებე განკურნება ჩემთან.

კვაჭიმ ჩაილიმა.

ბოლოს იმის ჯერიც მოვიდა.

— ეძიე და იპოვნი.—გაამხნევა იგი წმიდანმა.

სინოდის ობერ-პროკურორს ლუკიანოვს არაფერი უთხრა.

პროკურორის თანაშემწერ საბლერი ფეხ-ქვეშ ჩაუვარდა, თან სტიკოდა და ბუტბუტებდა:

— კურთხევა, წმიდაო მამაო! კურთხევა და სათნოება!

საბლერთან ერთად დაიჩინა, გრიშკას მუხლებზე მოეხვია და ჩექმის წვერი დაუკოცნა მოციქულშა, ღვთისმშობელშა ქადაგმა.

რასპუტინმა ორივენი წამოაყენა, ორივეს კოცნით ცრემლები მოსწმინდა, ორივენი ანუგეშა, თვითონაც ატირდა, სხვებიც აატირა.



ერთმა ჩასჩურჩულა მეორეს:

— ლუკიანოვს გადააყენებენ. სიონდის ობერ-პროფესორობაზე, ქადაგის ინიშნება.

მერე ყველანი დასხდნენ და ხელი მიჰყვეს ტკბილეულობას და სულის საცხონებელ ბაასს.

წმიდანმა ცალ გვერდით თვისი მოციქული მოისვა, მეორე გვერდით — შევთუნახავი ეღვენე, რომელსაც ჯერ მუხლებზე დაუდო ხელი, მერე თეძოებისკენ გაუპარა.

მოციქულმა მასწავლებელს წელზე ხელი მოჰვია და მიბნედილი თავი მხარზე მიუსვენა.

ელენე ჯერ მორცხვობდა: თავი ჩაპლუნა, თვალები მილულა, გაინაბა, დადნა და გალხვა. ზოგჯერ თავის შავს, ნუშის თდენა თვალებს წმიდანის ლობიოს თდენა ლურჯს თვალებში გაუყრიდა, ელვასავით დაატაკებდა, მერე კოხტად მოაშორებდა და ხშირს წამწამებს ნისლის ვარდისავით ჩამოიბურებდა და ისე-დაც შავს თვალებს სულ დაიღამებდა.

ბოლოს თვითონაც გაპტედა და თვისი ღვთაებრივი თავი გრიშკას მეერდზე დაუდო, თან თვალები მილულა და ჩასთვლიმა.

ყველანი სასოებით შესცეროდნენ იმ სამების ცოცხალ სურათს და უმანკოდ ილიმებოდნენ. ყველამ თავისთავად მოიგონა და იგი სამება შეადარა წმიდა სურათს — წმიდა მაცხოვარს, მარიამსა და მართას.

— ელენე უფრო ჰგავს მარიამ მაგდალინელს ვიდრე ლოხტინის ჭვრივი. — გაიფიქრა კვაჭიმ და საამჟრ კომბინაციებს მისცა თავი.

უციბ გრიშკამ დაკლაკნილი შავი თითი კვაჭისკენ გაიშვირა:

— შენ ეინა ხარ?

— თავადი კვაჭანტირაძე გახლავართ, წნიდაო მამაო!

— მაშ კავკასიელი იქნები... არ მიუვარს... ველური ხალხია... სულ ხანჯალზე უკირავთ თვალი. ყველანი „ბასურმანები“ არიან.

კვაჭიმ ტკბილად განუმარტა:

— მე ქართველი გახლავართ, წმიდაო მამაო. ქართველები მართლმადიდებელნი არიან.

გრიშკამ გაიკვირვა:

— იოშთი ხრატიანე. შენი სახელი?

— ნაპოლეონ აპოლონიჩი.

— ნაპოლეონი? აპოლონი? — კვლავ გაოცდა გრიშკა.

მისმა მოციქულმა — ლოხტინის ქვრივმა განუმარტა მას ორივე სახელი.

— მაშ ორივენი წარმართები, ეზმაკები ჟოფილან! ჯეარი აქაურობას!

დიასახლისმა ყურში ჩასჩურჩულა:

— ებ უმაწვილი და ეს ქაღი — ელენე — დედიდაშვილები არიან. თუ გახსოვს, ამ ვაუის შესახებ რამდენჯერმე გვქონდა ლაპარაკი.

გრიშკა უციბ მოლმა:

— ა-ა, აპოლონიქ, мне нравится твое имя. Подъ ко мне Хатишь вина?
და ერთხელ კიდევ გადაძკოცნა დეიდა-შეიღები.
კვაჭიმ ლვინოზე უარი სთქეა, არა ვსვამო. ფხიზლობრი შემოტკინებული.

ბაასი გადაიტანეს რუსეთის ბედზე, უბრაელებზე, რევოლიუციაზე, მესამე რომზე და იმის მსოფლიო ბატონობაზე.

კვაჭიმ ერთხელ კიდევ მოიმარჯვა დრო და წმიდა მამას გადაუზალა და გაავონა ოაუის ჰეკუა, განვითარება და ერთგულება ეკლესიისა და ტახტისადმი:

— სტოლიპინი და შჩეგლოვიტოვი უუდიდესი ლერძნი არიან წმიდა რუსეთისა... „კრამოლა“ ჯერ სავსებით არ არის აღმოფხვრილი, მისი ფესვები ჯერ არ არის ამოვლევილი. უწმინდურების ვეშაპი ჯერ კიდევ ჰუეთქავს, აღრევის გვალი ჯერ კიდევ იყლაკნება... ძვირფასი სამშობლო დაგვიუძლურეს... მთაერობაში კიდევ მოიპოვებიან ურიების საიდუმლო აგენტები... ეკლესიაში კიდევ მრავლად არიან ურწმუნონი, მწვალებელნი და წარმართნი... საჭიროა ეხლავე განიწმინდოს და გაირეცხოს ჩვენი ტურფა ქვეყანა და წმიდა ეკლესია, თორემ ვერ მოვისვენებთ და არხეინად ვერ დავიძინებთ...

ბლომად ილაპარაკა კვაჭიმ ამ საგანზე.

ანთებულ ცეცხლს ნაუთი გადაასხა და ისედაც დაშინებულნი უარესად და-აფრითხო.

გრიშკას მოციქული — ლოხტინის ქვრივიც კვაჭის აპუვა, აპრიალდა, აქადაგ-და, აფეთქდა. ისევ რასპუტინს ჩაუვარდა ფეხებში, თან გამკიოდა:

— ვილუპებით!! გვიშველეთ!! წმინდაო მამაო, გვიშველე!!..

საბლერიც აბუტბუტდა, აცქმუტუნდა, აიცრემდა.

სხვებიც აღელდნენ და აიზალნენ.

ასტყდა კვლავ ხვევნა და ტლაშა-ტლუში.

იმ სალამოს გადასწყდა ბედი რამდენიმე მინისტრის, სენატორის, ელჩის, გუბერნატორის, ეპისკოპოსისა და არქიეპისკოპოსისა. ზოგნი ქვეით ჩამოვორდნენ ცხოვრების კიბეზე, ზოგნი ზევით აცოცდნენ.

სტუმრები ნელ-ნელა გაიკრიფნენ.

რასპუტინმა ელენე მარჯვენივ თთახში გააპარა, დიასახლისმა ტანია მკვაჭი მარცხენა თთახში შეიყვანა.

ერთი საათის შემდეგ თხხივენი კვლავ შეჰვდნენ ერთმანეთს.

ყველანი უკვე დამშვიდებულნი და კმაყოფილნი იყვნენ.

ელენე ალანძულიუთ და აწითლებულიუთ. თმა გაწერილი ჰქონდა, თვალები — ზეთში ამოვლებული.

დიასახლისმა და გრიშკამ ცოტაოდენი წაიჩურისულეს.

— Подъ сюда!-დაუძახა იმის შემდეგ გრიშკამ კვაჭის.-ты мне нравишься. Хатиш дружбу? Акромя того будище mine сохранять, потому жиды и люцинеры сильно зло супротив mine имеют. Хатиш? Мотри мене хорошо! Таня, подай икону, клятву будим давать.

უნდოდა კვაჭის რასპუტინის მეგობრობა? რა საკითხავია! კვაჭის ორი წლის ნატერა მხოლოდ ეს იყო; მრ წელიწადს იკაფავდა გზას გრიშკასკენ, მტ წელიწადს სანთლით დაეძებდა მას, რაღვან ძალიან კარგად იცოდა, რომ იგი რუსეთის ნამდვილი პატრიარქი და მეფე იყო.

მოიტანეს ხატი და სახარება. შეპყიცეს ერთმანეთს სამუდამო და მევმძრობა.

მერე გრიშკამ მოიგონა:

— ურიებს და ლიუცინერებს სახელმწიფო სათათბიროში შეკითხვა შეუტანიათ ჩემზე. მე ვაჩვენებ იმ ურიებს შეკითხვას!

აიშალა, გაბრაზდა და გამწარდა. თვალებით ცეცხლს აფრქვევდა, ჭალის ამით წრიპინებდა, ფეხებს აბრახუნებდა, ჰკაპასობდა და დორბლს ჰყრიდა:

ა, стервы! а, акаянные! а, подлы!

მერე მელანი და ჭალალდი მოითხოვა, დაჯდა და ნახევარი საათი თფლში იწურებოდა, ჰევნეშოდა და ჰკვნესოდა. მეფეს და დედოფალს ყირიმში დეპეზა მისწერა:

Ливадиა. ცარი

Миленкай папа и мама! Вот бес то силу берет окаянный. А Дума ему служит; там много люцинеров и жидов. А им что? Скорее бы Божьяго помазаннека долой. А Гучков госпадин их прихвост,—клевещет, смуту делает. Запросы. Папа! Дума твоя, што хошь, то и делай. Какей там запросы о Григории. Это шалость бесовская, прикажи. Да! Не каких запросов не надо. Да! Григории. Да!

Минитру Кокоцеву.

Брат! Аполончику надоти помоч дать. Он мой брат, мне хранить будит от жидов и нечисти бесовской. Сделай иму што просить будит. Да! Надоти помочь. Да! Григорий. Да!

ერთი წერილი յიდევ ვამოშური:

— დეპეზა დღესვე გაგზავნე. წერილი „მინიტრს“ მიუტანე. აბა, ეხლა პალი, სახლისკენ! ხოზяюшка! красно солнышко! Пасибо тебе. Дай Бог по хорошему.

დიასახლისი ჩაჟუცნა, მერე ელუნებ მიუბრუნდა:

— Леночка, сестрица! подъ ко мне, домой!

და თითქმის ხელით ჩატანა კიბეზე ელუნე, რომელიც მაგრად მოეხვია გრიშკას კისერს და თავისი დალილ-მიბნედილი პირისახე იმის გრძელ წვერებში ჩამალა.

სამივენი აეტომობილში ჩასხდნენ.

— Так не гоже, сестрица! подъ зюда, садись суди!

და ელუნე მუხლებზე დაისვა, რადგან ავტომობილში „ვიწროობა იუმ“.

სახლში რომ მივიდნენ, გრიშკამ მიუგო კვაჭის:

— აპოლონჩიკ, შენ აქ მოიცადე. ლენოჩა, თთახამდის გამაცილე!.. ხვალ ორივენი მოდით, მოუილაპარაკოთ.

სანამ ზევით წმიდანი ელენეს „პსინჯავდა“, კვაჭი ქუჩაში იცდიდა. ერთი საათი მაინც გავიდა. ბოლოს ელენე გამოვიდა. ისევ ავტომობილში ჩასხდნენ.

კვაჭი გულნატკენი და გაბუტული იუმ.

ელენე ისევ ილიმებოდა.

სახლში ისე მიერდნენ, რომ არც ერთს ხმა არ ამოულია:

კვაჭიძე ელენე თთახში შეაცილა და ჩამოჯდა.

— მაი შეტის-შეტია.—წაიბურტყუნა ბოლოს.

ელენე ილიშებოდა.

— კარგად გაგსინჯა?.. რა სთქვა, რა გტეკივაო?..

— სთქვა მეთევზეს ფეხები უნდა სკელი ჰქონდესო. — მოუჭრა ელენემ, თან ტანისამოსს იხდიდა, ტებილად იზმორებოდა და ისევ ეშმაკურად ილიშებოდა.

— კი, მარა... ასთე მალე? რავა გაგსინჯა? რა ვითხრა?

— სხვა ექიმებს მაინც სჯობია. — გესლით გაპურა ელენემ.

— მეც მჯობია?

— შენ?.. ჰა-ჰა! შენ ჯერ ბავშვი ხარ.

კვაჭი აღელდა:

— აჲ, მაი ტყვეილია!

— ქმარი ლაშქარს იყო, ცოლი ამბავს უაშბობდაო... ჰა-ჰა! არ მოგწონს? საქმეც გინდა გააკეთო და ჩემი თავიც შეინარჩუნო? ორი კურდლლის მდევარი თრივეს დაპარგავესო... რაო, რა სთქვი?.. მაშ არ ჯავრობ? ჰო, ეგრე სჯობია... უნდა გესმოდეს, ჭკვიანი ქაცი ხარ.

— უჩემოთ აფერი დეიწყო მეთქი, თვარა მეტი აფერი მინდა.

— არა, ნუ გეშინიან, უშენოდ ერთ ნაბიჯსაც არ ვადავდგამ... არა, ხელი-დან ველარ წამივა, ნუ გეშინიან... ერთად დავიწყეთ, ისევ ერთად ვიმუშაოთ,— შენ ჭკლით, მე კი... კარგი, ხვალ მოდი, მოვიფიქროთ და მოვილაპარაკოთ. და-პარებული მარგალიტები არ დაგავიწყდეს... არა, არა, არ შეიძლება!.. დღეს არ შემიძლია. შეძინება... ხვალ იყოს... დღეს არ შემიძლიან მეთქი!.. რაო?.. თუნდ უგრეც იყოს: არც შემიძლიან, არც მინდა... თუნდ ეგეც იყოს: მაძლარი ვარ... კარგი, ნუ სულელობ! წადი, დაიძინე, ხვალამდის ყველაფერი დაგავიწყდება... რა სთქვი? შენ გჯობნისო? დღეს დილით არ მითხარი, ჩემისთანას ბევრს აჯო-ბებსო? ბავშვი ხარ იმასთან შედარებით... ლამე მშვიდობისა!.. წადი, წადი... ძილი ნებისა!..

ვააფთრებული და ვაშმაგებული კვაჭი გარეთ ვამოვარდა.

ბრაზი ახჩობდა, სჭამდა და ლრონიდა.

ერთმა ხეადმა მეორეს ძუ წაართვა. მერე როვორ! ელენემ კვაჭის — ახალ-გაზრდას, ლამაზ ჭაბუქს, ლონიერსა და ცეცხლიანს — შეგნებით და გულწრფელის ვრძნობით გრიშა რასპუტინი აღჯობინა!

— ნეტა ღირსი მაინც იყოს! ბნელი, უბადრუკი, რეგვენი, ყოვლად უმეცარი, ჭუჭყიანი და ხნიერი ბუჟიყი!.. როვორ მითხრა ელენემ? გჯობნისო... ბოვშვი ხარ იმასთან შედარებითო... რაფერ? რით? რა აქვს მისთანა, რომე... ალბათ...

შერე გაიფიქრა:

— მე თვითონ არ წევიყვანე? მე თვითონ არ შევახვედრე? მე თვითონ არ დავარივე? დღეს მომხდარიყო თუ ხვალ — განა სულ ერთი არ არის? რეიზა ვლე-ლავ, რეიზა ვიმტროვ თავს? თუ ურჩევნია — ერჩივნოს. ქეყანაზე ლამაზი ქალე-ბის მეტი აფერია... ელენე ხელიდან მაინც არ უნდა გოუზვა, თვარა...



მერე მოაგონდა კოკოვცევთან მინაწერი ბარათი, რომელიც ჯიბეში ედო, და გაჰყვა ამ წერილს, დღევანდელ შეთანხმებას ბანკირ შანქრაშვილი შეასრულა ახალ კომპინაციას.

კვაჭის თვალშინ გადაეშალა ახალი ქვეყანა, თვალუწვდენელი და ხელუს-ლებელი მინდორი, რომელსაც კვაჭი გამოიყენებს. თავისებურად მოჰქარევს და მუხვნელს მოიმკის.

ელენე წყვდიადში ჩაიმალა. წელანდელი ბრაზისა და შელახულ თავმოყე-რეობისა ნატამალიც აღარ დარჩა.

კვაჭიმ იმ ლამესაც ისე დაიძინა, როგორც ყოველთვის ეძინა: მშვიდად, უმანკოდ და არხეინად.

* * *

მეორე დილით კვაჭი ჯერ ბანკირ მანუსთან წავიდა.

მზათ გახლავთ. აი წერილიც, ეხლა მოურიგდეთ.

მორიგდნენ, დასწერეს და შეთანხმებას ხელი მოაწერეს.

კვაჭიმ ტელეფონს დაავლო ხელი:

— ალლო! ვინ ლაპარაკობს?.. მათი ალმატებულება კოკოვცევი? თავეალი კვაჭანტირაძე გელაპარაკებათ... რა ბრძანეთ?.. არ მიცინობთ?.. ეგ არაფერი, გა-მიცნობთ... წერილი მაქვს თქვენთან ჩეენი წმიდა მამისაგან... დიალ, დიალ... კვ-თილი, ეხლავე გიახლებით.

ნახევარი საათის შემდეგ კვაჭი ფინანსთა მინისტრის კოკოვცევის კაბი-ნეტში რუსეთის რუკასთან იდგა და გატაცებით ლაპარაკობდა:

— წინანდელი იმპერია თემურ ლენგისა, — თურქესტანი ოდესალაც ჰუკა-და, ას მილიონ ხალხს ჰკვებავდა. ეხლა იგი უდაბნოა, ხუთი მილიონიც ვეღარ გამოუკვებნია. აბა, გადაპირებელ ამ განუზომელს, თვალუწვდენელ უდაბნოს. ხუთი საფრანგეთი გამოიჭრება. იგი უნდა მოვრწყათ, გადაეხნათ, ავაყეაოთ და ჩვენის ხალხით უნდა დავასახლოთ. რა არ მოდის აქ: თამბაქო, ბამბა, ბრინჯი, მშვენი-ერი ხილი, საუცხოვო ლვინო, ქიშმიში და აბრეშუმი. ეხლა ზოგი ნედლი მასა-ლა ამერიკიდან და სპაოსეთიდან მოგვაქვს, მერე კი ჩეენ თვითონეე გავიტანთ უცხოეთში. თურქესტანი ორას მილიონსაც ალვილად დაიტევს. დავასახლოთ იქაურობა, ავაყვაოთ, გავარუსოთ და გავანათლოთ... ორ-სამ წელიწადში ჩეენს სავაჭრო ბალანსს შევასწორებთ... რა იქნება ათი ან ოცი წლის შემდეგ — ამას ვინ მოსთვლის! ეხლა კი ეს ქვეყანა უნდა მოირწყას. ამისთვის საჭიროა ოთხასი მილიონი. ხაზინას ამდენი ფული არა აქვს. ჩეენ გვაქვს ეს ფული, თუნდ ხვალვე შევუდგებით მუშაობას... მოეილაპარაკო, შევთანხმდეთ... დიალ, ყველაფერი მზათ გახლავთ — მოხსენები, გეგმები, ხარჯთ-აღრიცხვა და ხელშეკრულების პროექტიც.

დიდხანს ილაპარაკა კვაჭიმ. თავის მაღლიანის ენით და გრიშკას ნაბლაჯ-ნით დააჯერა, დაარწმუნა და ღრუბლებში აიტაცა ის ჭკვიანი, დინჯი და თავ-დაჭერილი მინისტრი.

ბოლოს კოკოვცევმა უთხრა:

— მომწონს, ძილიან მომწონს. დღეს შევისწავლი მასალას და ზეგ დაკი-

შნავ სხდომას. ამ საქმეში მიწადმოქმედების და სამხედრო მინისტრებს — კრისტიან შეინს და სუხომლინოვს — დიდი გავლენა ექნებათ. თუ წილი მის მიზანი არ გა-
მიწიეს...

— არხეინად ბრძანდებოდეთ, არ გაგიწევინ. — გააწყვეტინა კვაჭიმ.

— თუ მეფის ნებავ იქნება...

— იქნება, უძრავილად იქნება.

— მაშ საქმე თითქმის გათავებულია. მშვიდობით ბრძანდებოდეთ! მომი-
კიოთხეთ ჩვენი წმიდა მამა, ხელზე ეცთხვიეთ ჩემს მაგიერ და გადაეცით, რომ
მისი სურვილი ჩემთვის კანონია.

— დღესვე ვნახავ და ყველაფერს გადაეციმ. მართლა, სხვათა შორის: გუ-
შინ ერთს ოჯახში გახლდით მე და ჩვენი სულიერი მამა. ვიტტეც იქ იყო. ჩვენს
წმიდანს ძალიან გაუარმიყდა, შაგრამ — თქვენ არხეინათ ბრძანდებოდეთ, — მე
და ტანიამ შესაფერი ზომები მივიღეთ და თქვენი პოზიცია საბოლოოდ გავამა-
ვრეთ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

— დიდი მაღლობელი, დიდი მაღლობელი!.. ნუ დამივიწყებთ, თავადო,
ოჯახში მეწვიეთ. დიდს პატივს დამდებთ.

ხელი ორივე ხელით ჩამოართეა და ლიმილით, ბოლიშით და მაღლობით
კვაჭი კიბემდის ჩააცილა.

იქიდან კვაჭიმ ელენეს გაუარია, თან მარგალიტის საჩუქარი წაულო. ელე-
ნე თითქო უფრო გალამაზებულიყო, გაფურჩნულიყო, აყვავებულიყო.

ძვირფასი საჩუქარი მაშინვე ჟელზე შეიბა; სიხარულისაგან ფეხზე ველარ
სდგებოდა, ხან სარყის წინ კოხტად იპრანჭებოდა, ხან კვაჭის კისერზე ეხვეო-
და; იცინოდა, ჰესტერტავდა, ჰესტერტავდა და ტიკტიკებდა:

— მაშ გეწყინა წუხელის?.. ზე ცელქო, შენ თვითონ არ დამარივე?.. მაშ
ალარ გწყინს? დამშვიდდი?.. ეგრე სჯობია, დაივიწყე. განგებ გითხარი, თორებ
ის წუნკალი შენ როგორ გაჯობებს! სხვა რომ არ იყოს რა, ორჯერ შენზე ხნიე-
რია... ფიჭ! ჭუჭყიანი, პირდაუბანელი. ფიჭ! სანთელის და ზეთის სუნი ასდის... ებ-
ლავე წავიდეთ? მზათა ვარ.

ათი წუთის შემდეგ კვაჭის „მერსედესი“ გოროხოვის ქუჩაზე რასპუტინის
ბინას მიაღვა.

ავიდნენ. კიბე ზალხით იუო გაჭედილი, ზოგიც ქუჩაში უცდიდა თავის ჯერს.

გრიშკა ვილაც გენერალს ჰესტერტავდა. კვაჭისა და ელენეს დანახვაზე მო-
სხლტა, აცქმუტდა, ათამაშდა. ორივენი გულში ჩაიხუტა, ჩაჰკოცნა და ჩა-
პროშტა.

— Сиди и мотри, я чичас, — მიუგდო კვაჭის და ელენე მეორე ოთახში
შეიტაცა.

— Сиклыталем будиши у мне, зави кто поважней да почище будит.

კვაჭი მდივნობას შეუდვა. ასმა კაცმა და ქალმა მაინც გაიარა იმ დღეს
გრიშკას კაბინეტში.

ვინ, საიდან და რისთვის არ მისულიყო იმ სასწაულთ-მომქმედთან! ვლა-
დივოსტოკიდან და ვარშავიდან, ათონიდან და ტაშკენტიდან, სოლოვეციდან და

უცნობ ჯურლმულიდან; გენერალი და გუბერნატორი, ბერი და ვაჭარი, ბანკირი და ვექილი, გლეხი და მოხაზონი, ლვდელი და მოხელე;

ზოგი წარმატებას ეძებდა, ზოგი სუბსიდიას, ზოგი გადატყვანის, ზოგი სამართლს და ზოგიც განკითხვას.

გრიშკამ ჯერ სუფთა ხალხი და ლაბაზი ქალები გაისტუმრა, მერე კიბეზე ჩაირბინა, ზოგს მანეთიანი ჩაუდო ხელში, ზოგს სამიანი, თან უვიროდა:

— Молись за царей и Гришку!.. Некогда, некогда!

მერე ქაბუ-გაწყვეტილი ატლასის სავარდელზე დაეცა:

— Уф! Черты полосатые! Стервы! Замучили!

ბევრი საოცარი სანიხობა ნახა კვაჭიმ იმ დღეს. მოუხეშავდა გრიშკამ სა-კვირველი მოქნილება და გამოცდილება გამოიჩინა: ძლიერსა და უძლურს, გა-მოსაყენებელსა და გამოუსადეგარს ერთის შეხედვით არჩევდა და უკვლას თა-ვისს ხეედრს მიუძღვნიდა: ზოგს სიხარულით, პატივითი და ხვევნა-კუცნით უხ-ვდებოდა; ზოგის წინაშე ქედს იხრიდა, ლაქუცობდა, ილრიჭებოდა; ზოგისთვის ორს უქმებ სიტყვას ძლივს იმეტებდა; ლამაზ ქალს უნუგეშოდ არ გაუშვებდა: და-ძმურად ჩაიკრავდა და ჩაიხვევდა. თუ ქალი ავადმყოფობას იჩივლებდა, გრიშკა იმ ქალს ცალკე თთახში გაიყვანდა გასასინჯად და სამკურნალოდ, ან იმ ქალის მისამართს კვაჭის ჩააწერინებდა. ზოგჯერ გრიშკა ათიოდე სიტყვის დაწერაზე ნახევარ საათს იწურებოდა, ბოლოს ისეთს გაუგებარს დასჯლაბნიდა, თითქმ იმ ქალის ფეხმელნიან ქაომებს დაუვლიათ და თავიანთი ნაკაკანევი ჩაუწერიათ.

კვაჭიმ დრო იხელთა და გრიშკას ისევ თურქესტანის არხებზე ჩამოუკდო სიტყვა.

— მე რამდენი მერგება? — მიახალა კვაჭის გრიშკამ. — Три тыщи будит? კვაჭის გულში გაუხარდა ასეთი იაფობა.

გრიშა ტელეფონს ეცა. ჯერ სუხომლინოვი გამოიწვია, მერე კრივოშეინი. მრივეს უთხრა:

— Мама и папа очинь жилают это святое дело.. Аполончик будет у тибе, все скажит, а ты сделай как прикажит. Да! это хочу я, Григорий, да!.. Чаво?.. Чичас об эфтом диле телиграм напишу папеньке и маменьке.

დაჯდა და ნახვირი საათი პაველებთა, იშურებოდა:

დეპეშა პირველი:

Ливадия. Царям.

Папа мои миленьки и мама. Кого послать на Капказ, покою вам нетути. А вот дорогой епископ Тобольский Алексей хоть куда. Ему и место на Капказ. Пошли его. Это я очинь жилаю. Он меня ласкает. Понимает подвиг. Честь ему нужну оказать. Верный везде верный. И на Капказе он будет нашим другом. Да, я. Григорий. Да!

დეპეშა მეორე:

Миленька! Бесы напали на отца Ивана. Икону на него. А вы не слушайте. Хоща она и базарская, а все равно святая, как принять и еще

боле. А Восторгову награду за Капказ и Сибирь. Враги пусть плачут. Да, я. Григорий, Да!

ИМПЕРИЯ

смогу думать, какими были годы вспоминаниями о тебе.

— Вишь, как капкассских ласкаю. Только Воронцов пакостник, все любвионерам, жидам да армяшкам тянит. Да, добирусь до него. А ты тилиграммы ни показывай, да ни болтай зря. Мотри у мне!

Григорий крикнул вспоминаниями о тебе. Крикнул, что вспоминает о тебе. Крикнул, что вспоминает о тебе. Крикнул, что вспоминает о тебе.

— Григорий, Григорий, а ты гадаешь, какими были годы вспоминаниями о тебе.

* * *

Крикнул Григорий, что вспоминает о тебе. Крикнул, что вспоминает о тебе. Крикнул, что вспоминает о тебе. Крикнул, что вспоминает о тебе.

Дошли до Григория вспоминаниями о тебе.

Григорий, Григорий, а ты гадаешь, какими были годы вспоминаниями о тебе. Григорий, Григорий, а ты гадаешь, какими были годы вспоминаниями о тебе.

— Григорий, Григорий, а ты гадаешь, какими были годы вспоминаниями о тебе.

Григорий, Григорий, а ты гадаешь, какими были годы вспоминаниями о тебе. Григорий, Григорий, а ты гадаешь, какими были годы вспоминаниями о тебе.

— Григорий, Григорий, а ты гадаешь, какими были годы вспоминаниями о тебе. Григорий, Григорий, а ты гадаешь, какими были годы вспоминаниями о тебе.

Григорий, Григорий, а ты гадаешь, какими были годы вспоминаниями о тебе.

Григорий, Григорий, а ты гадаешь, какими были годы вспоминаниями о тебе. Григорий, Григорий, а ты гадаешь, какими были годы вспоминаниями о тебе.

Григорий, Григорий, а ты гадаешь, какими были годы вспоминаниями о тебе.

Григорий, Григорий, а ты гадаешь, какими были годы вспоминаниями о тебе. Григорий, Григорий, а ты гадаешь, какими были годы вспоминаниями о тебе.

Григорий, Григорий, а ты гадаешь, какими были годы вспоминаниями о тебе.

Григорий, Григорий, а ты гадаешь, какими были годы вспоминаниями о тебе. Григорий, Григорий, а ты гадаешь, какими были годы вспоминаниями о тебе.

Григорий, Григорий, а ты гадаешь, какими были годы вспоминаниями о тебе. Григорий, Григорий, а ты гадаешь, какими были годы вспоминаниями о тебе.

Григорий, Григорий, а ты гадаешь, какими были годы вспоминаниями о тебе. Григорий, Григорий, а ты гадаешь, какими были годы вспоминаниями о тебе.

Григорий, Григорий, а ты гадаешь, какими были годы вспоминаниями о тебе.

ათასად დააფასა, კინალამ მოაკვლევინა. მას აქეთ ვოსტორვოვი უკან დასწიეს. მამა გრიგოლი, რომ არ გამოსარჩევებოდა, უძველად ვაჰერევფეხურულები

— ტობოლის ეპისკოპოსი ალექსი რა კაცია?

— ვოსტორვოვს არ ჩამოუვარდება. უარესიც იქნება. მექრთამე, ჭურდია. პსკოვის ეპარქია გასცარუვა. ჭურდობა დაუმტკიცდა. უნდა გაეკრიჭათ, მაგრამ იმასაც გრიგოლმა უშველა. ეხლა ტობოლში ზის. ძალლი ძალლურად უნდა დალპეს. რათ მეკითხებით, ხომ არაფერი გავიგიათ?

— არა, გუშინ მიამბეს მათი ამბავი. მინდა გავიგო, მართალი მითხრეს თუ ცილი დასწამეს?

— მართალი უთქვამთ, ბევრიც დაუმალავთ.

— ეს მიტია ვილა არის? — ჰეითხა კვაჭიმ იმ გონჯზე.

— მიტია ნამდვილი ღვთის კაცია, წმიდანი, წინასწარმეტყველია. სანამ რასპუტინი გაჩნდებოდა სასახლეში, მეფე-დედოფალს მიტია ჰუავდათ მრჩევლად და ღვთის განგების გადმომცემად. მერე რასპუტინმა გამოაგდო, მაგრამ... ვნახოთ...

კვაჭიმ უური სცენიტა, მაგრამ აღარ დააცალეს.

— ნაპოლეონ აპოლონიჩ! ერთი სათხოეარი მაქვს: ნულარსაუ შემახვედრებ თქვენს დედიდას, თორემ... მეტის მეტად ლამაზია, მეტის-მეტად! არ მინდა სიბერეში სული წავიწყიშიდო. — გაეხუმრა კვაჭის ერთი ბებერი არქიეპისკოპოსი.

გაიცინეს და ლამაზი დედაკაცები გაიხსენეს, თვალს წყალი დაალევინეს, ენა მოიფანეს, თან მინელებული, მიმქრილი და ნაელ-წაყრილი ნაპერწეალი გაიქმეს.

მიტია მავიდას გარშემო უკლიდა, იგრიხებოდა წკმუტუნებდა, ჰენაოდა და ბუტბუტებდა.

იმ სალამოს კვაჭიმ გაიგო, რომ განზრახული იყო წმიდა გრიგოლის ტაძრის აშენება, რომ საამისოდ უკვე შეეგროვებინათ ოთხ მილიონამდის. მაშინვე გაიფიქრა:

— მოგება რომ მხოლოდ ათი პროცენტი ეიანგარიშოთ, გამოვა ოთხასი ათასი.

უმაღ ჰეითხა თეოფანეს:

— ვინ აშენებს?

— მსურველი ათასია. ეისაც დედოფალი აირჩევს, ის ააშენებს.

— ეს ამბავი კვაჭიმ ხელზე დაიხვია და დაიხსომა, თან გულში მტკიცედ გადასწყვიტა; — მაშ მე ავაშენებ.

ბოლოს სიტყვა რასპუტინზე ჩამოვარდა.

ერთმანეთს ჰეითხეს: ვინ არის გრიშკა რასპუტინი? მართლა წმიდანია თუ ეშმაკი? უცოდველი მოხუცია თუ ჯოჯოხეთიდან გადმოგდებული მაშხალა? წინასწარმეტყველია თუ ანტი-ქრისტე? ვისი მოციქულია, ვისი წინამორბედია — წმიდა მაცხოვარისა თუ დაწყევლილ სატანასი?

უკელანი ერთმანეთს ალმაცერად შესკეროდნენ, ერთმანეთს ერიდებოდნენ და ჰშიშობდნენ.

— მამა გრიგოლი წმიდანია.—ცალი-ყბით და გაუბედაუას განაკხადა ერთმა არქიმანდრიტმა.

— ზოლ! ზოლ! ზოლ! — დაიწყო სალოსმა მიტიამ ჩქავილი, თან აღელდა, აყვირდა და გაკაპასდა.

თეოფანემ ძლივს დაამშვიდა.

სხვებმა შუბლი შეიჭმუხნეს. დიდხანს სდუმდნენ. ილიოდორი შფოთავდა. ჰერმოგენი მას თვალს უშვრებოდა, მაგრამ ილიოდორმა ვეღარ გასძლო:

— ცოტა შორიდან მოგახსენებთ.— დაიწყო მან აღელვებულის კილოთი.— ცოდვილი ვარ, აღსარება უნდა გითხრათ. მეტი მოთხენა აღარ შემიძლიან.

და ხანმოკლე დუმილის შემდეგ მოჰყვა:

— გრიშკა ციმბირელია, სოფელ პოკროვსკიდან. ეს ოქვენც გეცოდინებათ. მისი მამა ეფიმე უბრალო მუჟიყი იყო,— ლოთი, ქურდი, ცხენების დალალი. შვილიც მაძის გზას გაძყვა. მისი ნამდვილი გვარი გახლავთ ნოვი. მისმა მეზობლებმა „რასპუტნიკი“ დაარქვეს, რაც პნიშნავს გარუვნილს, გაფუჭებულს, მრუშს, აქედან წამოვიდა მისი ეხლანდელი გვარი — რასპუტინი.

მეზობლებმა ბევრჯერ პბეგვეს და სტყიპეს გრიშკა მათის ცოლებისა და ქალების დევნისთვის. რამდენჯერმე „ისპრავნიკის“ ბრძანებით გრიშკა მოედანზე გაშოლტეს.

ბოლოს გრიშკას მფარველი ანგილოზი შეპხვდა ბარნაულის ეხლანდელი ეპისკოპოსი მელეთი.

ერთხელ გრიშკამ ის ეპისკოპოსი ერთ სოფლიდან მეორეში წაიყვანა. გზაში მელეთიმ აღმოაჩინა, ვითომ გრიშკას დიდი ნიჭი, შნო და უნარი ჰქონდა ბერობისა.

გრიშკამაც დაიჯერა.

ერთხელ კალოზე მუშაობდა. უცებ მუშაობას თავი დაანება და სოჭვა: „გათავდა! ლმერთი მომიწოდებს. თავი უნდა შეეწირო იმის მადლსა და სახელს. მშვიდობით“!

უველას და უველაუერს თავი დაანება, ცოლ-შვილიც უპატრონოდ დასტოვა და წამოვიდა.

მას აქეთ დადის და დაეხეტება მთელს რუსეთში.

გვერდს არ აუხვევდა არც ერთ ეკლესიას, არც მონასტერს, არც მღვდელსა და არც ბერს.

— ქალებსაც! ქალებსაც! — დაიხრიალი ლვთის სულელმა.

— უველგან — სოფლებში, ქალაქებში და დაბებში — ჰქადავებდა, იგავებით ლაპარაკობდა, წმიდა მაცხოვარსა და სახარებას პირიდან არ იშორებდა. უფრო მდაბით, უბრალო ხალხს ეტანებოდა. განათლებულნი სმულს და ჭირივით ეჯავრება.

მოუსვენარი, ფიცხი, დაუდგრომელი ადამიანია. ტემპერამენტი ძლიერი აქვს; გრძნობა — აფორიაქებული, ცხელი და ფიცხი; გამბედაობა — უსაზღვრო; თკნება — გახურებული, საიმქვეყნო.

ამით და ამრტომ აიყოლა მან და გაატრიუფა უბრალო და მორწმუნე ხალხი.

გრიშკამ ნელ-ნელა ძალა მოიპოვა, სახელი მოიხვეჭა, ძლიერი მფარველები

გაიჩინა. თანდათან ქადაგებიდან წინასწარმეტყველობაზე გადავიდა, მერე ძირხაუნბაც დაიწყო, ბოლოს სასწაულთ-მოქმედებაც დაიჩინა. გრიშკარ, ჟლიტური, ნამდვილი „ხლისტია“!

— მართალია! მართალი! — გათუთიყუშდა მიტია.

— შეილო, ილიოდორ! — საყველურის კილოთი გაატრახილა ჰერმოვენმა. სხვებმა ერთმანეთს გადაჭედეს.

ილიოდორი ადგა, უფრო აღელდა.

— დიალ, ძმებო და მამანო! გრიშკა ნამდვილი „ხლისტია“ მეთქი! ცოდვილი ვარ ლეთისა და თქვენს წინაშე, რადგან ყველაფერი აღრევე ენახე და გავიგე, ხოლო თქმა და განხილება დავაგვიანე. კარგად ვავიცანი მისი წმიდა საქმენი. იგი წმიდანი კი არ არის, არამედ წმიდა ეშმაკია!

— ეშმაკია! ეშმაკია! — კვლავ იკაცკაჭდა სალოსი მიტია.

— ბევრი ვიარეთ ერთად. რამდენჯერმე იყო ჩემთან, — ცარიცინის მონასტერში. მეც ვიყავი იმის სამშობლოში. ღმერთო, რა ვნახე და რა გავიგონე გრიშკამ თვისი წამლობა და სასწაულთ-მოქმედება ქვეიდან დაიწყო — მონაზონებიდან და სალოცავად მოხეტიალე დედაკაცებიდან. მერე თანდათან ზევით აიშია. საცა შევიდა, ის ოჯახი ან სალოცავი სახლი წაბილწა და წარყვნა; ვისაც თვალი დაადგა და გაეხახუნა — ტალახში და წუმპეში ამოსვარა.

— ჰო! ჰო! ჰო! — აკაკიანდა მახინჯი.

— მერე პეტერბურგში ამოცოცდა. მამა თეოფანეს დაუახლოვდა, სულში ჩაუძირა, შეაცდინა, მეფე-დედოფალთან გზა გააკვლევინა, კარები გააღებინა.

— ცოდვილი ხარ, ცოდვილი! — ისევ აწრიპინდა გონჯი და თავჩალუნულ თეოფანეს კრიკაში ჩაუდგა.

— მოინანე! მოინანე;

— ცოდვილი ვარ... ვნანობ, ძალიან ვნანობ. უფალო შემიწყალე და მომიტევე მე შეცოდებანი ჩემნი. — ჩაიბურტბურა თეოფანემ პირჯვრის წერით.

— იმანე კრონშტადელმაც დაიახლოვა გრიშკა, იმანაც ამ პირუტყვის მურდალ სულში ლვთის მოციქული აღმოაჩინა და ჩეენი ეკლესიისა და სახელმწიფოს საჭესკენ გზა დაულოცა. ასე შევიდა ეს მხეცი ჩვენი ბედის მესაჭეთი წრეში, რომელიც იმის მოსვლამდისაც სავსე იყო მასონებითა და სპირიტებით. იგი ეხლაც განაგებს ჩვენს მართლმადიდებელ ეკლესიას; ნამდევილად კი ეს ხალხი მამა-ღმერთის მაგიერ ეშმაკს ემსახურება; ნაცვლად ლვთისმსახურებისა სპირიტიშით ირთობენ თავს; ნაცვლად ეკლესიისა ოკულტიშის და თეურგიის ჯადოში ეძებენ იმედსა და ცხონებას.

აი აქეთ დროს გაჩნდა სახახლეში ეშმაკის მოციქული. მან სულ ადვილად დაიმონა და დაიმორჩილა ჩვენი მეფე, დედოფალი და მათი ოჯახობა. მათ მოსწყინდათ და მოპბეზრდათ კარის კაცთა ლაქუცი, ქლესობა, ორპირობა და ორგულობა; ამიტომ მოიწონეს გრიშკას პირდაპირობა, მუჟიკური პრანჭიობა, უბრალოება, რეგვნობა, და სიბრივე. მას აქეთ იშლება და ინგრევა მეფის სახლი და ოჯახიც, ეკლესიაც და სახელმწიფოც. საქმე იქამდის მივიდა, რომ რუსეთის

ნამდვილ პატრიარქად და ნამდვილ თეითმპურობელად მოგვევლინა გრიშკა რას-პუტინი! ნამდვილი ეშმაკი, მოციქული სატანასი, მსახური ჯოვანე თეის!

ლვთის სულელი მიტკა ისევ აპრიალდა და აბოდფა ჭაჭრები უშუალს გაარჩია იმის ლულლული:

— გრიშკა იკვეხის, ვითომ დედოფალი იმის ცოლია... „ჩემს პეპრუხუნას“ ეძახის... ყილ! ყილ! ყილ!

— კმარა, ძმებო, ამდენი მოთმინება! ამას იქით ვაჩუმება ეშმაკის სამსახური იქნება. თუ ექლესიას და რუსის ხალხს ვემსახურებით, დადგა დრო ჩვენი წმიდა მოვალეობის შესრულებისა. მე დღეიდან ვუცხადებ გრიშკას საბოლოო ომს. ვისაც შეგიძლიანთ — მომყევით. ეს ბრძოლა იქნება ქრისტიანული და სახალხო, ომი წინააღმდეგ მწეალებლებისა, მასონებისა, ურიებისა და მათი მონა-მორჩილის მთავრობისა: ყველანი შეერთდენ და სამარეს უთხრიან ჩვენს ეკლესიას, მფლესა და სამშობლოს“.

კიდევ ღიღხანს შფოთავდნენ და ჰსჯინუობდნენ ილიოდორი, მიტია და ზოგნი მლედელ-მთავარნი.

ბოლოს გადასწუვიტეს რასპუტინისთვის ფრთხილად დაეგოთ ხატანგი.

კვაჭიმ გასაგონი გაიგო, ასაკრეცი აკრიცა, ჩიკლაგა და წამოვიდა, თან ჩიქორთულად და ნართაულად გაავებინა იმ შეთქმულებს, ვითომ კვაჭის სულიც და გულიც მათთან იყო.

გზაში ბეერი იფიქრი და ეძება დედააზრი, კვანძი, სული და მიზეზთ-მიზეზი „რასპუტინიადისა“, ამ ხეპრე მუეიკის საარაკო ძლევამოსილებისა, მაგრამ ეერაფერს მიუხვდა, გული ვერ მიახვედრა, სული ვერ მიუწვდინა, გრძნობითაც ვერ იგრძნო და ჰკუითაც ვერ მოერია, ამიტომ გადასწუვიტა:

— ამ, მაი ყოლიფერი ტყვილი ლაპარიკია. უბრალო ბრძოლაა ლუკმა პურისთვის და კეთილი ცხოვრებისთვის. გრიშკამ მიტია კოლიაბას აჯობა, ვირუბოვის ქალმა ლოხტინის ქვრივი დაჩრდილი, ვოსტორგოვმა ვინცხას უჯიკავა, ალექსიმ თეოფანეს ეგზარხოსის სავარძელი წართვა, მაკარიმ ვინცხას მიტროპოლიტის მიტრა გამოსტაცა, ილიოდორესაც კვანტი უყვეს, მორჩა და გათავდა! აქანე ყოლიფერი ფილოსოფიაც და სიტუვების რახა-რუხიც, მორჩა და გათავდა! სახლში დაბრუნდა.

— რა ამბავია, ბესო?

— ზღვა ხალხი გიცდიდა. დილიზა უთხარი მოსველა.

— კარგი გიქნია.

ის „ზღვა ხალხი“ რასპუტინის მუშტარი იყო.

კვაჭი ჰკუით მოიქცა: რასპუტინის ბოსტანში მინადენი წყალი ერთ კვირაში მოსწუვიტა და თავის არხში გადმოაგდო.

იმ მუშტარმა გაიგო, რომ წმიდა მამასთან მიმავალი გზა კვაჭის ბინაზე გადიოდა, ამიტომ ბარათის ასალებიდ ჯერ კვაჭისთან მოდიოდნენ, სალოცავის და შესანდობარის ღიღს ნაწილს იმას სწირვდნენ, მერე კვაჭის ბარათით ვასილევის კუნძულიდან გაღმა გადიოდნენ მისი უუწმინდესობისაგან ლოცვა-კურთხევის მისაღებად.

მარტო კვაჭი და ბესო რომ ვერ მოერიცნენ იმოღენა ხალხს, ხელისუა სიკინჭილაძე, გაბო ჩხუბიშვილი და სედრაკ ჰავლაბრიანცი მოიხდარეს. შემოქავლის ერთი ნახევარი კვაჭის ხვედრი იყო, შეორე ნახევარს ოთხნერი რწყალური ფრთხენ.

— კიდო რა ამბავია?

— ჩვენი რეპორტიორი კნულმანი ვერ ასწრობს გაზეთებიდან ცნობების ამოღებას, აქციების და კუპონების მოქრას.

— ერთი ლაშაზი ქალი დეიქირავე. მართლა, წამყითხველიც მინდა. აგიც მიშოვნე, აგიც ლაშაზი იყოს, თვარა თუ მისი შეხედვა შემეზარა... კიდო?

— ადესაში რომე ყორანაშვილი იყო, ხომ გახსოვს? რაცხა წიგნი დოუწერია, გამოცემას თხოილობს.

— გოუგზავნე ათასი, ოლონდ წიგნს ჩემი ვეარიც წააწეროს.

— ოთხი სტუდენტი სტიპენდიას თხოილობს.

— დოუნიშნე თითოს სამასი.

— გელათის შესაკეთებლად თხოილობენ...

— გოუგზავნე ათასი...

— „რუსსკოე დელო“ რაცხას ილანძლება, რაცხას გვემდურება. იმ აქინე სწერია.

— არ მცალია ვინცხა უულიკის ნაჩხავნის წასაკითხავად. იპოვე მაი წერილის ავტორი და სამასი ან ხუთასი ჩასჩარე პირში; თუ გაჯიყავდა, უთხარი რომე ციმბირი აქეთ დაგრჩებაოქვა.

— „დილაში“ შენი სურათი დოუხატავთ და დიდი ქებაც დოუწერიათ.

კვაჭიმ ის წერილი წაიკითხა. პირისახე აუთამაშდა და გული აუფანცქალდა, თუმცა უკანასკნელ დროს თვისაი სახელის ასეთს ქებას, განდიდებას და გაბერვას უნდა შესჩეოდა, რადგან ასეთი ქება-დიდება ყოველდღე იბეჭდებოდა კნულმანის მოხერხებული თაოსნობით.

• იმ წერილში უხვად იყო გაბნეული გულის მაღამო და მოსაფხანი სიტუაციი: „ამომავალი მზე“... „გენიოსი ტინანსისტი“... „დაუშრეტელი ენერგია“ და „გულუხვი, განათლებული მეცენატი, მფარველი და მეგობარი ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიერებისა“.

— გახეთს რაცხა განცხადება და ათასი მანეთი გაუგზავნე. ავტორს... რას იწერება?.. ვმ, განათლებისა პარიზში უნდა წავიდეო, გზის ფული მინდაო. ია-ფად დოუფასებია კალამი. სამასი. კიდო რა გაქვს, ბესო?

— ტფილისიდან იწერებიან, ამხანივობა უნდა დავაარსოთ ქართული გაზეთის და წიგნების გამოსაცემათ, ამიტომ...

— აჲ! აჲ! — გააწყვეტინა კვაჭიმ და რამდენჯერმე ხელი ჩაიქნია. — ვადაავ-დე კალათში. მოუკლიათ მყვდრებიზ!

— მამა-შენი სილიბისტრო იწერება, აქინე ცხოვრება მომწყინდაო, მუდმივ შიშში გარო, ხალხში ვერ გავსულვარო...

კვაჭი წამოხტა, შუბლი შეიკრა.

— რა ვქნა, ბესო, რა ექნა? მაშინ რომე მცოდნოდა... მავრამ გვიანდაა აწი ლაპარიკი. რა ვქნა აწი? ერთი ორად დაუუბრუნებ „სალამანდრას“ იმ ტულს, მარა იმ შევდარი სილიბისტრო რავა ვაჩვენო ხალხს?

— ხალხმა რაცხა იცის, რაცხას ლაპარიკობენ.

— ვიცი რომე ლაპარიკობენ, მარა რავა დავანაზო გაცოცხლებული მკვდარი? გეიცინებენ, თელი ქვეყანა დამცინებს.

ჩაფიქრდა კვაჭი, ლრმად ჩაფიქრდა. ბოლოს გადასჭირდა შესასტურებელია.

— აჲ, მაგი რავა შეიძლება! ქუთაისში დაბრუნება შეუძლებელია. ამ მისწერე: თუ უნდათ,—თითქმის ორჯინ იცნობს აქინე,—მევიღნენ და იცხოვრონ, მარა სილიბისტრო მაინც მკვდარი უნდა იყოს, ისევ შაბურიანცის პასპორტით უნდა იცხოვროს. როცა ამოელენ, ყოლითერ დარიგებას მივცემ. შენ, ბესო, ხვალე უშოვნე ბინა მიყრუებულ უბანში. ხუთი ოთახი ეყოფათ. შეიარე „სალამანდრაში“ და გეიჩინე იქინე ვინცხა ავენტი, რომე დროზე შემატყობიოს, თუ იქინე გეიგეს რამე. აფერი საქმე დეიწყონ... არ მეშანია, მაშითვე დოვუბრუნები ფულს სარგებლით და გაეაჩუმებ, მარა მაინც წინათვე რომე შევიტყობდე, უმჯობესია. ასთე ქენი. აწი მაცალე ცოტა ხანს.

თექის ხალიჩით გადაკრულ სავარძელზე მიწვა, გონება დაიძშვიდა, აზრები მოიკრიფა, ტეინი ყამუშავა და აათამაშა.

ჯერ ერთი ძაფი გაჭიმა, მერე მფორდე, მეათე და მეასე. მალე გაიშალა და გაიფურჩქნა რამდენიმე იხალი კომბინაციის ბადე.

— მანუსისგან ზეგ ერთ მიღიონს მივიღებ... ბირუაზე გავიტან, „ანგლოროსის“ აქციებს გავყიდი... ამავე დროს ჩუმ-ჩუმად ისევ მე ვიყიდი... საკონტროლო პაკეტს შევივსებ... „კოსმოსს“ რაცხას მოეუგონებ, გაზეთებს ავალაპარაკებ, აქციებს აეწევ, გავბერავ, გავყიდი... გრიშკასაც დავიხმარებ, „იქ“ გავასალებ... ტანიასაც უნდა მივაჩეჩო ორასი ათასისა მაინც... გინზბურვიც დამეხმარება, მანუსიც, მენდელსონიც... ონკალის ანგარიშებს მომიმატებენ, მერე თავში მივახლი იმ აქციებს... კავკავის გზა არ იქნება გამოსყიდული, ტანიამ ნამდვილად იცის. აქციები ფასდაცემულია გზის გამოსყიდვის შიშით... ხვალვე ვიყიდი ასიოდეს...

კიდევ მრავალი კომბინაცია მოიფიქრა და მოისახრა, მოქმედების გეგმა შეიმუშავა, ყველაფერი თავის ალაგასს დაალაგა.

ტელეფონმა დაიხრიალა...

— ალლო! ვინ ლაპარაკობს? ვინზბურგი?.. ვახლავართ აპრამ მოისეევიჩს. ბრძანეთ... რაო?.. შეუძლებელია!.. მაშ ასი აქცია მაინც დამიტოვეთ, სამავიეროდ კარგ საქმეს მოგცემთ... კეთილი... კარგი. რაო?.. დაუჯერებელია! ჰა-ჰა-ჰა! გამოაგდო?.. კიბეზე დააგორა?.. ჰა-ჰა! რაო, თავზე გადაასხაო! ჰა-ჰა-ჰა-ჰა! ხვალ? აკვარიუმში? კეთილი, გიახლებით... ელენეც?.. როდის დაბერდებით, როდის დამშვიდდებით?!.. კარგი, კარგი, მოგიყვანთ. სამავიეროდ კლავის ლამით მობთ, არა? კეთილი... აპრამ მოისეევიჩ, ეკლესიებს არ აშენებთ?.. რაო, უკვი ააშენეთ!.. ებრაელი ეკლესიებს აშენებს! ჰა-ჰა! რაოთ? ხატების ქარხანასაც აშენებთ? ხატებით უნდა ივაჭროთ? ჰა-ჰა-ჰა! ბარემ მირონიც დაამზადეთ, სასულიერო აკადემიაც გახსენით, ფულს მოიგებთ... რა ვქნათ, ისეთი ყოფილა წესი და კანონი ვაჭრობისა... ჰა, ძალიან დიდი ტაძარი უნდა ავაშენოთ. გარდა ამისა, ჯარისთვის საჭიროა ორი მიღიონი წყვილი საცვალი, ერთი მიღიონი საბა-

ნი და ათასი სხვა რამე... სულ თუ მილიონზე მეტი გამოვა... კეთილი, ხულ/მო-
ვილაპარაკოთ. მომიკითხეთ ძვირფასი სუსანნა მარკოვნა, ხელშე, ემოციების ჩემ
მაგიერ. ღამე მშვიდობისა! ძილინებისა, ძვირფასო მეგობარო! პრესი

* *

— ძვირფასო ზასწავლებელო! წმიდაო მამაო! ერთგულების ფიცი მაქვს
დადებული, ამიტომ უნდა ვაგაფრთხილო: ილიოდორი, თეოფანე, პერმოვენი და
მრავალნი სხვანი ვმტრობენ, შენი დალუპვა უნდათ.

და თეოფანეს საკანში ხახული და გაგონილი გრიშკას უამბო, თან მცი-
რეოდენიც დაუმატა.

რასპუტინი აიმლვრა, ადულდა, აფეთქდა და იჭიქდა:

— А, стервы! а, подлыё! а, акаянныё! а, гадина, Илиодорушка! Я те
дам! я-а те дам!

ვეღარ დამშვიდდა:

— ეგ გველები ხალხში მე ვამოვიყვანე. მეფის კარზედაც მე მივიყვანე. რამ-
დენი საჩუქრები მივაცემინე! ორჯერ პქონდათ გადაწყვეტილი უდაბურ მონას-
ტერში გადასახლება, ორჯერვე მე ვადავარჩინე! პოი უმადურნო! პოი ქვემდრო-
ნო! მაგათი გულისათვის სტოლიპინიც მოვიმდურე, ხალხიც ვადავიყიდე!

შერე დაჯდა და ვაიწურა:

„Царское село Царю и царице.

Миленьки папа и мама! Вот миленькие владыки как беса то порази-
ли. Бунтовчиков помазанека Божьяго пакарави. Оно и правильно. Тeperечა
нужно их паласкатъ. Награду им. Только не сразу всем, а так одному, а
спосля другому, а то собаки Гермоген и Илиодорка лаять будут. Да нужно
Это пишу я, Григорий. Да! За подвиг надо паскть. Григорий Да!

კვაჭი მიჰხვდა, რომ გრიშკას უნდოდა სინოდის მომწილი წევრების დასა-
ჩუქრება და ვანდგომილთა, ურჩთა დახვა.

— ეს „ტილიგრამი“ ეხლავე ვაგზავნე. ეს ერთია, სხვა ათასი იქნება. უვე-
ლას უდაბნოში დავალპო! ისე დავამშიო, რომ ძალის ხორციც კი ენატრებო-
დეთ! ა ты, Апалончик, мотри в оба! იარე იმათთან, ლაპარაკში ჩაითრიე,
ყველაფერი ვაიგე... რა სთქვი? ტაძარი უნდა ააშენო? ა პять тышиши будет?
კარგი, ხვალვე გავათავებ მაგ საქმესაც. მოემზადე, ხეალ მეფე-დედოფალს ვაჩ-
ვენებ... აპოლონჩიკ, იფიქრებდი ოდესმე ასეთს ბეჭნიერებას? არა, ვანა! დაი-
ხსომე და დამაცასე. შენც ილიოდორიუით უმადური არ ვამოლვე, თორემ...
мотри у меня!

კვაჭი მოწიწებით ხელშე ემთხვია გრიშკას, შერე მთხოვნელები შემოუშვა.

დაიწყო ჩვეულებრივი ლაქუცი, ხვევნა-კოცნა, ფეხქვეშ ჩავარდნა, ქება და
ტიდება, ლოცვა და ცრემლი, კივილი და ქადაგად დავარდნა, შემოწირულება
და... მკურნალობა ლამაზ ქალებისა, ვანძევება ეშმაკთა და სულთა სნეულთა.

საღამოშე კვაჭის ტელეფონი დაიღალა ხრიალით და წკარუნით. თითქმის
მთელს პეტერბურგს ვაეგო, რომ მეორე დღეს კვაჭი უმაღლესს საღებურზე უნ-
და ასულიყო, უუზენაეს მწვერვალისთვის უნდა მიეღწია.

იმ სალამოს კვაჭისთან რამოდენიმე ბანკირი, მინისტრი, სენატორი, მღვდელ მთავარი და გენერალი მიუიდა სადარბაზოდ. ოთახები და კიბე გაივსო და აჭ-რელდა ასნაირ მუნდირით, ანაფორებით. ცილინდრებით, პუსჩიტუშებისთვის, შაპო-ებითა და უბრალო თავსახვევებით.

ზოგნი ულოცავდნენ, ზოგნი სათხოვარს აბარებდნენ, ზოგნი რჩევას და დარიგებას აძლევდნენ.

მდივნები დაილალნენ და ოფლში გაიწურნენ იმოდენა ხალხის ჩაწერვით, გამოკითხებითა და ფულის თველით. კვაჭი ძლივსლა იღვა ფეხშე.

— ვაა, სურპ-სარქისას დღეობაა, თუ თელეთობაა?! — ჰკვირობდა ჰავლაბრიანი.

— მოუსვი, სედრაკ, სანამ დრო გაჭვა! — ურჩია ჩხუბიშვილისა, რომელსაც მორჩილის შავი ტანისამოსი ძალიან უხდებოდა.

— არვინ გეგეპაროს, წინ წასწიე მაი ყულაბი. რამდენჯერ გაივსო? — იკითხა ჩიკინჯილაძემ.

— მეოთხე ივნება. დღეს ძალიან ბევრია ოქრო და ქალალდის ფული. ზოგნი ბეჭდებს ჰყრიან, ზოგნი საყურეებს, ზოგნი ძეწკვებს.

ბოლოს, როგორც იყო, დალიეს და დასცალეს ოთახებიც და კიბეც.

— აბა, დასცალეთ!

დაღლილი კვაჭი ტელეფონს აწვალებდა:

— ალლო! ელენე, შენ ხარ?.. შენც გაიგე?.. მანდ არის გრიშკა?.. როგორ, ფრეილინობას გვირდება? აპა აშენებულხარ!.. კი, რა თქმა უნდა, მეც ჩოვურთავ ორიოდე სიტყვას. რას მოესწარი!.. კაი, გენაცვალოს ჩემი თავი, ქე გიცნობ ვინცხა ბრძანდები... ჰა, ჰა! ჩვენი ნააზნაურალი არა ხარ? ქე გიცნობ... აზნოური მეც ქე ვარ, მარა... რაო? კაი, გენაცვა, თავს ნუ იგდებ! შენ თვითონ ხარ აშორდიას აზნოური, თვარი კვაჭანტირაძე ბაგრატ მეფის სარდალი იყო... ჰა-ჰა-ჰა! აპა, არ გცოდნია ისტორია და ეგ არის! აპა დეიხსომე ჩემი სიტყვა: ხვალ თუ თავადიშვილობა არ გავაიმასქნა, კვაჭი ნულარ ვიქნები... კაი "გენაცვა კაი... აპა მშვიდობით! აწი გრიშკა ეშმაკების განძევებაშია გართული?! იწამლე, იწამლე! კაი ექიმი გყავს, უკუოესი ალარ გინდა... ჰა-ჰა-ჰა! მშვიდობით, ჩემო ჩტრედო, ჩემო ლამაზო მეგობარო! მშვიდობით! ნახვამდის! ხვალამდის!

* * *

გაკრიალებული მატარებელი ცარსკოე სელოს სადგურს შეუიღით, ოხვრით და ქშენით მიაღვა. ბაქანი და მოედანი ასნაირ მუნდირით აჭრელდნენ.

გრიშკა და კვაჭი ძლივს ასწრებდნენ სალამის მიცემას. ოქროს ლერბიანი ორმოციოდე ლანდო და აუტომობილი გაიუსო მინისტრებით, სენატორებით და კარის კაცებით.

გრიშკამ ავტომობილს მიაუურთხა:

— Фу, бесовская штука! Эй, ты, попугайчик, давай суда хфайтон!

ჩასხდნენ, ბალიშებზე მიწვნენ და ოქარა-ოქურით გასწიეს სასახლისკენ. განიერ მარმარილოს კიბესთან და შესავალში კარის ხალხი ირევა: ჰულანე-

ბი, ჰუსარები, კავალერპარლები, კამერ-იუნკრები, კამერ-პაუები, კამერტუნები, პოჭმეისტერი, პოჭმარშალი, შტალმეისტერი და ასნაირი უცნობის წფლები თანამდებობისა და ხარისხის მოხელე.

კარის კომისარი გენერალი ვოეიკოვი ჩუმს ბრძანებას ისმენს კარის მინისტრისავან და ჩუმათვე შესაფერ განკარგულებას აძლევს მარჯვნივ და მარცხნივ.

უცელას თაყის ადგილი აქვს მიჩენილი, მაგრამ უცელანი მაინც სცდილობენ ერთი ნაბიჯით მაინც წინ წაღვნენ, ერთი გოჯით მაინც წინ წასწიონ თავიანთი ცხვირი, რათა თავიანთი თავიც უკეთ დაანახონ და თვითონაც სხვები კარგად გასინჯონ.

გრიშკა და კვაჭი სასახლეში შევიდნენ.

კვაჭიმ ამ უზარმაზარ დარბაზს გადაპხედა.

თვალთ აუკრელდა და გონება დაუბნელდა.

ალარ იცოდა, რა გაესინჯა, საიდან დაეწყო, რას დაპკვირებოდა: ბროლი, ბრინჯაოს, მარმარილოს, ოქროს, ვერცხლის, აბრეშუმს, გობელენს, სურათს თუ ქანდაკებას.

ოქრო-ნაკერ მუნდირებში გამოწყებილი დიდებულნი ძეგლებივით იდგნენ და იმ ძეგლებს ზედ ეკიდათ აი.ნაირი და ათფერი სარტყლები და თვალ-მარგალიტით შემოსილი ჯვრები, მედალები და ვარსკვლავები.

გრიშკას დანახვაზე იმ ძეგლების თავები დაბლა დაიხრებოდნენ, მათს პირ-სახეზე ღიმილი და მოწიწება იბეჭდებოდა. მერე ისევ ხმებოდნენ და იყინებოდნენ. შემოდგომის მჩერი იგი დარბაზი, ალსავსე ესოდენის თვალმომკრელ ძეირ-ფასეულობით, ლაპლაპებდა და იწოდა.

— Што, Аполончик, небось ндравится, глаза лупаешь? Ничаво, дяржись за мне, вывезу! — უთხრა გრიშკამ დაცეთებულ და დარცხვენილ კვაჭის.

ერთი კარები გაიღო.

— მეფე-დედოფალი მობრძანდებიან!

გვარდიის დარაჯებმა ხმლები წინ წასწიეს, მხედრებმა ხელი საცეტქელზე მიიღეს, სხეებია თავები დახარეს: უცელანი მოიდრიკნენ და მოიკაკვნენ.

კარებში მეფე-დედოფალი და მემკვიდრე გამოჩნდნენ. შუაში მეფე მოდიოდა, მარცხნივ დედოფალი მოსდევდა, მარჯვნივ — ხუთი თუ ექვსი წლის უფლის-წული ალექსი მოჰყავდათ, რომელსაც უკან მოსდევდა მისი აღმზრდელი, — მეზ-ლეაური დერევენკო.

უცელანი უბრალოდ და მარტივად იყვნენ ჩატმულნი, რამაც კვაჭი ფრიად გააკვირვა და გააშტერა.

სამივენი მარცხნივ და მარჯვნივ თავს უკრავდნენ, თან ოდნავ იღიმებოდნენ.

უცებ გაუგებარი და უცნაური რამ მოხდა: აქეთ-იქიდან გამოხტნენ, გამოცვიდნენ და გამოგორდნენ სალოსნი და ლვის სულელნი, — შახინჯნი, გონჯნი და მანკიანნი; პრანჭვით და გრეხით, წივილით და კივილით, ბოდვით და როშვით მიმავალ მეფე-დედოფალს უკან გამოედევნენ.

გრიშკამ წაიჩურჩულა:

— А, юродивые, блаженные черти! Опережать კატაფუტებს შაлиш!

პიროვნეული

Аполончик, при за мной!

და იმავე წუთს მოსხლტა, თან კვაჭიც დაითრია.

მეფე-დედოფალი მობრუნდნენ და თანახმად ძველი რუსულის წესია, იმ მასხრებსა და მახინჯებს, იმ უენო, უხელო და უფეხო ლვთის-კაცებს და ლვთის სულელებს უუღრისეს სალამი მისცეს; მერე ყველას გაულიმეს, თავზე ხელი გადაუსვეს და მოუალერსეს.

ირკვლივ ძევლები ილიმებოდნენ და თვალებით ამ სურათს ადასტურებდნენ, გულში კი ზოგნი ბრაზს იგუბებდნენ იმის გამო, რომ მეფის კარები ჯერ მასხარა ლვთის-კაცებისთვის ვაიღო, ხოლო შემდეგ—მათთვის,— მინისტრებისა და სხვათა დიდებულთათვის.

ცერემონმეისტერმა თავისი საქმე კარგად იცოდა: მეფე-დედოფალი რომ გაბრუნდნენ, სალოსნი და გონჯნი ლიმილით და ალერსით შეაჩერა, ხოლო გრიშკას და კვაჭის მოწიწებით სალამი მისცა და კარები გაულო.

გრიშკამ კვაჭის ხელი წიავლო და იმ ოთაბზი შეიცვანა, რომელშიაც შეუე-დედოფალი მიიმალებ,

— წმიდაო მამა!

— Мои миленький! Мама!. Папа!. Алеша!..

ჩაეხვივნებ, ჩაეხლარონენ და დიდხანს ტულაშა-ტულუშით პულცნეს ერთმანეთი.

Вот миленький то возрадовали миня и Боя! Как ездили то? А мама здорова, Алеша тоже. А ты, Николаша, маненько тово. Дай Боя! Дай то Боя! А я вот маво хранителя князя Аполончика привез показать. Хаарош, о-о-о, как харош! А как молится круто, как молится то прытко! Его надоти ласкать, миленький, так хочу я! Да, я! Да!

მერე მემკვიდრეს მიუბრუნდა;

— Алеша, подь до миня!

და პატარა ბატონიშვილი მუხლებზე დაისვა, ჩაჰკონა და ჩაულიტინა, გაიცინა და გააცინა.

მეფე-დედოფალი კვაჭის ხელი გაუწოდეს. კვაჭი ორივეს მოწიწები ხელზე ემთხვია. ნიკოლოზი ისე ილიმებოდა, თითქოს რაღაცას მორცხვობდა, რაღაც ეხამუშებოდა.


— თავადო, თქვენი გვარი?

კვაჭიმ ერთ წუთში თანამობა მოიკრიფა:

— კვაჭანტირაძე გახლავართ, დიდო ხელმწიფეე!

— რა ამბავია კაცასიაში?

— დიდი რლვევა და არეულობა გახლდათ. ჩვენშიაც გაჩნდნენ ურიები და ეშმაკის მოციქულები, მაგრამ ჩვენ, შენი ერთგული მონები და უმები არ შეუშინდით: ზევებით და ვაჯობეთ, ვხოცეთ, ხოლო გადარჩენილნი ისეთ ჯურლმულებში ჩავჭარეთ, რომ ეშმაკებიც ვეღარ იპოვნიან.



— მაშ კავკასია დამშვიდდა?

— სავსებით არა, მაგრამ... შიში აღარა გვაქვს. ნუ შეღრუჲო შეღრული. დიდო ხელმწიფევ! მრავალნი ვართ წმიდა რუსეთში შენი დაზუჭური წუზური, მაგრად დაეყრდნე ჩვენს ძლიერს ზურგს. გაძძლე და ძლიერია იგი. ვივლით და ბუმბულივით ვატარებთ.

დაღურებილშა, დალეულმა და ჩამომლნარმა მეფემ კვაჭი გულში ჩიცერა, ორიოდე ცრემლიც გადმოავდო, თან თავის შემკრთალისა და დაშინებული გულის გამაგრებისათვის მაღლობას ეუბნებოდა:

— მაღლობელი, თავადო, მაღლობელი!.. კარგად მოუარეთ ჩვენს წმიდა მამას; გაუფრთხილდით, მტერი ბევრი გვყავს.

— აყი გითხარი, ნიკოლაშა, ალერსის ლირისი მეტჭი.—ჩაერია ვრიშვა. დაუბრუნე აპოლონჩიკს თავადობა, ნიკოლაშა. აპოლონჩიკს შენ ეს არის ეხლა თავადი უწოდე. მეფის სიტყვა კანონია, უკან ვეღარ წაილებ!

ნიკოლოზი გაწითლდა და აირია.

კვაჭიმ დაამშვიდა:

— დიდო მეფევ! თავადობა კვაჭანტირიძეებმა მეშვიდე საუკუნეში მიიღეს. მერვე საუკუნეში ჩემი წინაპარი საჭართველოს ჯარების მთავარსარდალი იყო. მას აქეთ საჭართველოს მეფეებს თოთხმეტი კვაჭანტირიძე პუავდათ მინისტრებად და კათალიკოსებად. მეფერანეტე საუკუნეში ოსმალებმა აიკლეს, დაანგრიეს და დასწევეს ჩვენი ციხე და სასახლე... საბუოებიც მაშინ დავკარგეთ... ჩვენი თავადობა მთელმა კავკასიამ იკის. ამიტომ ჩემი მამა-პაპები აღარ გაჰყვნენ საბუოებს. აზნაურობა შეგვრჩა, მეც მეტი არ მიძებნია.

კარგი, კეთილი... ეგრე იყოს—წაიბუტბუტა მეფემ და რალაც ჩიიწერა.

— აშორდია, ვაფასდი!—წამოიძახა გულში კვაჭიმ.

მერე დაიწყეს ბაასი სახელმწიფო საქმეების შესახებ.

მეფეც და დედოფალიც ისე შესცემეროდნენ თვალებში ვრიშვას, როგორც ოდესლაც ებრაელნი მოსეს, ოდეს მან სინაის მთაზე თავის ხალხს გამოუცხადა ღვთის მიერ ნაკარნახევი ათი მცნება.

რაც მოისურვა და სოჭვა ვრიშვამ, ყველაფერი ვაიტანა და გაიცვანა.

ერთგან მეფემ მორცხვად და მორიდებით ჩაურთო:

— გული ერთს მეუბნება, გონება—მეორეს.

უცებ ვრიშვამ მუშტი ასწია და რაც ძალა და ლონე პქონდა, მაგიდას დაჰკრა. მთელი ოთახი შეინძრა და აზანზარდა.

გაფითრებული დედოფალი წამოდგა, მემკვიდრეობის ტირილი დაიწყო, მეფე შეჰქრთა და შეშინდა.

ვრიშვამ მეფეს თვალში თვალი გაუყარა, დიღხანს უცეირა, მერე სუსხიად ჰეკითხა:

— Ну, შთი? გде екнуло, здесь али туто? — და თითი ჯერ მკერდზე, მერე შებლზე დაიდო.

— აქ... აქ ამიტოკდა... გული აძიგარებულდა.—მთრთოლვარე ხმით უპასუხა ნიკოლოზშა და თითი გულზე დაიდო.

— То-то-же! როცა საქმეჲე ჰუკერობ, კვეუას არ დაუხერო, გარე ჰეითხე.
კვეუას გული სჯობია.

დედოფალი გრიშკას ხელს დაეწაფა:

— მადლობელი... მადლობელი, წმიდაო მასწავლებელო!

— კეთილი... კარგი... ეგრე მოვიქცევი — დაეთანხმა მეფეც.

დერევენკომ ატირებული უფლისწული ძლივს დაამზეიდა.

კიდევ დიდხანს პზომეს, პსწონეს და პსკრეს უუდიდესი და უურთულესი სახელმწიფო საქმენი.

ზოგნი დიდებულნი გადააყენეს, ზოგნი ქვეით დასწიეს, ზოგნი ზევით ასწიეს.

ბოლოს გრიშკამ გაუთავა მეფეს აუდენცია:

— Ну, таперыча гайда отселява, Аполончик! Папа, а ты не плошай!
чаво пригарюнился то! Даи бах! Сиди крепко, а жидам и бесам волю не давай. Да дави окаянных покрепче! покрепче! Аш штоб чертям тошно было!..
То-то! ну, здорово! А тебе, мамаша, апосля ишо скажу два слова. Я туточки буду, у цариц наших.

მეფე-დედოფალი კვაჭის ფრიადის ალერსით გამოეთხოვნენ, გრიშკას უუძირთასესი თავი მას ჩააბარეს და კელავისთვისაც დაიპატიეს — „попросту, настакан чаю и для божественных бесед“.

გრიშკა და კვაჭი გამოვიდნენ. იმავ წუთს გონჯნი და მასხარები, სალოსი და ლეთის სულულნი ქივილ-ხივილით, წემუტუნით და სიცილით შეცვივდნენ მეფე-დედოფალთან.

გრიშკამ კვაჭის მიუგდო:

— Туточки положди.

და იორლით გაიჩინა ის დარბაზი.

კვაჭის მაშინვე შემოეხვივნენ ნაცნობ-უცნობნი — მინისტრები, სენატორები, კარის-კაცნი და დიდებულნი.

მიულოცეს და ამბავი გამოჰკითხეს.

კვაჭი მიპავდა, რომ მან იმ უამს მეტად მაღლა აიწია. ამიტომ შესაფერი ცვლილება მოახდინა თავის კილოსა და გარევნობაში: გასწორდა, გაიბლინდა და იმ დიდებულებს დაუდევარის კილოთი ასეთი ინტერესუ მისცა:

— ბელნიერი ვარ ალვიშნო, რომ ჩვენი უუძვირთასესი მეფე, დედოფალი და მემკვიდრეო ყირიმში ყოფნის დროს შესამჩნევად გამოკეთებულან. ყველანი მშვენიერ გუნებაზე ბრძანდებიან... მოსალოდნელი ცვლილებანი? საიმისო არა-ფერია... ალბათ გაძლიერდება ლევნა ურიებისა და სხვათა უწმინდურთა, რომელთაც უკანასკნელ ხანებში ოდნავ თავი წამოჰკეცს რუსეთის ზოგ კუთხეში... ისმალეთთან ომი ჯერ-ჯერობით სასურველი არ არის, რადგან ჩვენი ძალონე მაღა უუდიდეს საქმეზე დაგვჭირდება... ვისთან? მაგას ჯერ ვერ მოვახსენებთ... მაღა გაიგებთ... სათათბიროც ცოტა უკან უნდა დავწიოთ... მინისტრებს და დიდებულებსაც ოდნავ გავცხრილავთ.

მრავალს აუტოკდა გული ამ სიტყვების გამო, — ზოგს შიშით, ზოგსაც იჩედით.

იმ დღეს კვაჭიმ დაასრულო ჩუსეთის ზემო სართულის გრციობა და ავი-
და იმ საფეხურზე. სადაც ჯერ არც ერთ ქართველს არ შეედგა, უახლოედ კულტურული მასალის განვითარების და გრიშკას მოლოდინში უმარტივებელი და

ასე ფიქრობდა თვითონ კვაჭი და გრიშკას მოლოდინში უმარტივებელი და სიკეთეს დიდებულთა და წარჩინებულთ, რომელიც კვაჭის ელო-
ლია ერთოდნენ და კულად დასდევდენ იმ განხრახვით, რომ იგი როგორმე მო-
ეშინაურებინათ და მევობრათ გამოეყენათ იმ რაულ და სახიფათო თამაშ-
ში, რომელიც განუწყვეტლივ სწარმოებდა კარის გარშემო გამარჯვების, ხე-
ლისუფლების, წარმატებისა და კუთილ ცხოვრებისათვის.

კვაჭიმ ეს ძირითადი დებულება ცხოვრებისა ჯერ კიდევ მაშინ შეიგნო
და შეითვისა, როცა სამტრედიაში უნიფერსი დარბოდა: ამიტომ იმ უუზენაეს
დარბაზშიც წინ მიიძლოლებდა ამ მცნებას, თავის ბუნებრივ ალლოს, დაგეშილ
ყნოსვას და ყოველნაირ ხერხით სცდილობდა, რომ ჟველასთვის ესიამოენებინა,
არავინ მოემდურა და მტერი არ გაეჩინა, თუმცა ამავე დროს ისიც კარგად
იცოდა, რომ იმისმა გამოჩენამ სასახლეში და დიდმა წარმატებამ მრავალნი და-
სწია უკან და მრავალნი ალავსო შურით და მტრობით.

წარჩინებულთა და დიდებულთა წრე შემოარლვია კარის მინისტრმა, — ახო-
ვანმა, ლამაზმა მოხუცმა ბარონმა ფრედერიქსმა, და შავრის ენით მოახსენა კვაჭის:

— თავადო! დღეს მითმა იმპერატორობითმა უუდიდებულესობამან — მეფემ
და დედოფლიალმა, წყალობა მოიღეს და გთხოვეს დღეს საღილათ ეწვიოთ.

კვაჭი ორად მოიხარა:

ჩემი უუუქვეშევრდომილესი შიდლობა და უუზენაესი ბედნიერება უსაზ-
ლვროა და ენით გამოუთქმელი.

იგი უსაზღვრო პატივი და უუზენაესი ბედნიერება ესოდენ დიდებულთა
და წარჩინებულთაგან იმ დღეს მხოლოდ კვაჭიმ და გრიშკამ გიიღეს და გა-
ნიცადეს.

ეს იყო უუზენაესი საფეხური კვაჭის ოცნების კიბისა, რომელსაც მან
მიაღწია იმ დღეს.

* * *

ისტორია ყოველთვის სტუკის.

მაგრამ ერთი ალილო მღვდელსაც შესცდება.

ასე დაემართა ჭორივანა ისტორიასაც, რომელმაც შეცდომით სიმართლე
წამოპროშა და ოქროს ასოებით მიუჩინა და მოუქლვნა თავის ნაბოდვარში კვა-
ჭი კვაჭანტირაძეს მისი ადგილი და წილი იმ უუდიდესს, საშეილისშევილო და
და სამარადო საქმეში, რომელიც ჩაიდინეს იმ დაუკიშუარ დღეს სასახლეში
გრიშკამ და კვაჭიმ.

ეს საქვეყნო და საუკუნო საქმე, რომელმაც უკულმა დაატრიალი ქვეყნის
და ჩუსეთის ბედის ჩარხი, ოქროს ასოებით არის ჩაწერილი ჩუსეთის ისტო-
რიაში, და კვაჭის საქვეყნო სამსახურიც შესაფერად არის აღნიშნული და დაფა-
სებული, მაგრამ იმ საქმეში კვაჭი მოხსენებულია ფსევდონიმით, ერთი ასოთი—
ჩ-ით, რაღაც კვაჭი, როგორც ათასჯერ იყო დამტკიცებული, მეტად მორიცე-

ბული და მორცებული ყმაწვილი პრძანდებოდა და უოველთვის ერიდებოდა ჩვეკლა-
მას და აფიშობას.

ტექსტის გვ. 1

იმ ისტორიულ სადილს, გარდა მეფე-დედოფლის, მათი შემჭიდრული და ოთ-
ხის სეფეწულისა, დაუსწრნენ მხოლოდ ვრაშება, კვაჭი, კარის ქალი ვირუბოვისა
და სახლთუხუცესი ბარონი ფრედერიკსი.

სადილის შემდეგ, როცა უწლოვანნი სუფრიდან აღგნენ, როცა სასულიერო
ბაასი და სულის საცხონებელი მუსაიური გათავდა, დედოფალმა პრძანა ლელვით
და თრთოლვით;

— წმინდაო მამაო! ზენ ყოველთვის წვენი ურთიგული მეგობარი და საიმე-
ლო მრჩეველი იყავი... უოველი შენი ნათქვამი წინასწარმეტყველებად ვადაიქცა,
ყველაფერი ვაძაროთლდა: იაბონის თანის წავება, რევოლიუციის დაძარცხება,
მემკვიდრის დაბალება და მრავალი სხვა იმპავი. ამიტომ უშენოდ, შენც კარგად
იცი—ვერ ვძელავთ ვერისურის გადაჭრას.

— ძალიან კარგადაც იტევით.— მიარტყა გრიშკაშ.

— საქმის გადაღება უოველად შეუძლებელია... ყირიმში რომ იყავი, წმიდაო
მამაო, ნიკას მიშინეუ უნდოდა ეფავა ჩვენი დარღი, მაგრამ მე ვადავადებინე.
ეხლა დადგა დრო უოველიცს საიდუმლოების ვამყლავხებისა; ოღონდ უნდა იცო-
დეთ და ვახსოვდეთ, რომ ეს საიდუმლოება ექვსთა შორის უნდა დაიმარხოს.
თუ ეს ამბავი ნიაღრევად ვამედიუნდა, სახელმწიფოს უუდიდესი ხიფათი მოელის.

კვაჭიმ თითო ასწია ნიშნად ფიცის დადებისა.

— ნუ სწუხდებით, თაეადო,— მიუმრუნდა მას დედოფალი— ფიცი საჭირო
არ არის. ყოველად შეუძლებელია, რომ ჩვენი წინედანისვან არჩეული მეგობარი
ყბედი გამოდგეს. ეხლა საქმეზე ვაღავალ... თქვენც გაცოდინებათ, რომ ხუთიო-
დე წლის წინათ, როცა რუსეთი მუტის მეტად აირია და აინგრა, ჩვენ ვადაწ-
ვეტილი გვქონდა ტახტიდას ჩამოსევლა და უცხოეთში გაბიზნა. მაშინ ჩვენი
თავი და რუსეთიც იხსნა და ვადაარჩინა ჩვენმა წმიდა მოძლვარმა, რომელმაც
დაგვაჯერა და ტახტზე თითქმის ძალით დაგვტოვა.

— მერე, არ ვაძაროთლდა ჩემი წინასწარმეტყველება?— იკითხა გრიშკაშ.

— ვაძაროთლდა, წმიდაო მამაო, სავსებით ვაძაროთლდა. ამიტომ ელოუ-
ლობთ შენს სახელს და ამიტომ ვფიქრობთ შენს სიცოცხლეშივე წმიდა გრიგო-
ლის სახელმბაზე ეკლესიის აშენებას. მაგრამ საქმე ის არის, რომ ნიკამ ტახტი-
დან ჩამოსევლის აზრი აქამდის არ მოიშორა.

— რაო?.. როგორ?.. — ერთხმად წამოიძახეს გრიშკაშ და კვაჭიმ.

— ეხლაც სულ ამაზე ჰუიქრობს. დაიფინა და აიხირა: ჩვენ რუსეთში ე-
თილად ვერ ვიცხოვებთო, უუდიდესი ხიფათი მოგველისო, ყველანი დავილუპე-
ბითო, რუსეთი თავზე დაგვენგრევაო... მარტო მე ვერაფერს გავხდი, ვერ დავა-
ჯერე. მიშველეთ რამე. მაბაო წმიდავ, თქვენც— თავადო; გვირჩიეთ, ლვოს ნება
შეგვატყობინეთ. მამაო, ჩვენო მხსნელო, ჩვენო წმიდანო, გვიშველეთ! გვირჩი-
ეთ! გვიშველეთ!

და დედოფალი ატირდა, აქვითინდა.

ნიკოლოზის თავი ხელებში ჰქონდა დამალული.

გრიშკაც ჩაფიქრდა. ბოლოს წამოდგა და სთქვა:

— უფლისა მიმართ ვილოცოთ!

ყველანი ადგნენ და ხატის წინ სალოცავად დაიჩოქეს. უკრაინული დიდხანს ილოცეს მეტანით, სასოებით და გულმოდგინელი მიზანისას მეტე ისევ წამოდგნენ.

გრიშკა წინ დაუდგა ნიკოლოზს და სუსაინად ჰქითხა:

— ლოცვის დროს ლმერთმა რა ჩავაგონა, რა პასუხი მოვია?

თავ-ჩაღუნული მეტე სდუმდა. მეტე თავი გაიქნია და ჩაიჭრჩულა:

— პასუხი არ მაღირსა.

იმიტომ არ გაღირსა, რომ ცოდვილი, ულირსი ხარ. მოინანე ცოდვები შენი, განიწმინდე გული შენი ბოროტისაგან და მაშინ ლმერთი უფალიც სიბრძნის კარს გაგიღებს.

დიდხანს აძლიერ რჩევა და დარიგება გარინდულს და იმედ-გადაწყვეტილ მეფეს. აშინებდნენ და აფრთხილებდნენ, რომ ტახტიდან გადადგომას მოჰყვება საშინელი არეულობა, ანარქია, სახელმწიფოს რღვევა, ომი, ცეცხლი და სისხლი; რომ ლმერთი ამის პასუხს მხოლოდ მას, შეფეს მოსთხოვს, რომ მეფუობას სხვა ვერავინ გასწევს, ტახტზე ვერავინ გამაგრდება.

კვაჭიმაც მოიკრიფა მოელი თვისი ჭეუა და მჭერიეტყველება, მაგრამ ვერაფერს მიაღწიეს: დაღვრემილი შეფეს თავჩაქინდრული იჯდა და ხმას არ იღებდა, მხოლოდ ნიშნად უარისა გამუდმებით დალლილ თავს იქნევდა.

გრიშკა გაფიცხდა და გამწარდა. უცნაურის ციებ-ცხელებით აკანკალდა. ხელები და ტუჩები აუთრთოლდა, პირისახე გაუფიტრდა, ცხვირი გაუთხელდა, შეფეს, ზედ მიაღვა და სტუქსავდა, ვითარცა ურჩ ბაუშვის უყვიროდა, თან ფეხებს უბარტუნებდა და ხელებს ცხვირწინ უქნევდა:

— რაო, ალარც ხალხს უჯერებ და ილარც უფალსა?!.. დაივიწყე განა, რომ უფლის ურჩი უნდა ეკლესიისგან შეჩერებულ და განდევნილ იქნეს! „ანახთემა. ანახთება“ იმ მეფეს, რომელმაც დაივიწყა უფალიც, სამწყსოც, ეკლესიაც და თავის ვალიც!

მუქარისა და ანათემას გავონებაზე მეტე წამოდგა, აცახცახდა, შეშინდა და დაფეთდა.

გრიშკამ ჭიქვას და მუქარას მოუმატა:

— ვინ მოგცა ნება რუსეთის დანგრევისა?! როგორ ჰგედავ ამდენი ხალხის დაღუპვას?! გესმის თუ არა, რომ შენ ეშმაკებს და ურიებს უთმობ ტახტს?! მაში შენც ეშმაკები გავჩენიან გულში, მაშ შენც ჯოჯოხეთის მოციქული ჰყოფილხარ! შენ მეტე კი არა, ანტიკრისტე ხარ! ანტიქრისტე! ანტიქრისტე!

— უფალო შეგვიწყალე! უფალო შეგვიწყალე! — დაიკვნესა მეტემ და მთრთოლვარე ხელით ფართედ გადაიწერა პირჯეარი.

— Я тебе говорю, цыт! Я, Григорий тебе говорю, цыт! — ჰყვიროდა გაშმაგებული გრიშკა. — დაიჩოქე! დაიჩოქე და შეაველე უფალსა ცოდვანნი შენი! ილოცე უფალი, ილოცე, რათა გულიდან შენითგან განდევნოს სულნი აუნი და ეშმაკნი ჯოჯოხეთისანი!



და ხატის წინაშე პირქვე გამოხვეულ მეფეს თავს დაადგი და/ პირჯვრის
წერვით ხმა მაღლა ევედრებოდა უფალსა:

— წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო ეუჟივური წყალენ
ჩვენ!.. სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, ამინ!

კვლავ დიდხანს იდგნენ ექვსივენი ხატის წინაშე, დიდხანს ილოცეს ხმა-
მაღლა მხურვალე ლოცვით, სასოეპით, მეტანით, ცრემლითა და ოხვრით.

ბოლოს გრიშკა წარმოდგა და სთქვა:

— აღსდექ, შეფევ! აღსდეგ და გვითხარი, რა ჩაგაგონა, რა გირჩია უფალმა?
მიბნედილ-მისუსტებული შეფე უცებ მუხლებში ჩაუვარდა რასპუტინს. მეფის
გვერდით წაიჩოქეს დედოფალმა და კარის ქალბა ვირუბოვისაშ. სამივენი დაეწა-
ფენ წმიდანის ფეხებს, კალთებს და ხელებს; ხარბად უკუკიდნენ, უხვად ულ-
ბობდნენ ცრემლით და ხელ აპყრობილნი ცახცახითა და კანკალით პბოდავ-
დნენ და პუვიროდნენ:

— წმიდაო მამაო!.. შენ ხარ ჩვენი მაცხოვარი!.. შენ ხარ ჩვენი ქრისტე!..
ჩვენი მხსნელი და უფალი!..

გაფითრებული რასპუტინი გაშეშებულივით იდგა. თავი უკან ჰქონდა გა-
დაგდებული; თვალებით ხატის მისჩერებოდა; მთელის ტანით სკახცახებდა და
ჰეანკალებდა. მარცხენა ხელი მეფეს დაადო თავზე, მარჯვენა ხელით ფართედ
იშერდა პირჯვარს და მთრთოლვარე ტუჩებით ჩურჩულებდა:

— გმადლობ შენ, უფალო, რამეთუ იხსენ წმიდა რუსეთი, შენი მეფე, მისი
ოჯახი და მართლმადიდებელი ეკლესია რლკევისა და ჯოვოხეთისაგან... უფა-
ლო შეგვიწყალე!.. უფალო შეგვინდე!.. ალლილუია, ალლილუია, ალლილუია! ამინ!

მერე დედოფუალმა გრიშკას ხატის წინაშე ფიცი მისცა:

— ვფიცავ უფალსა ლმერთსა, წმიდა სერაფიმე საროველს, ჩემს შვილებსა
და ქმარს, რომ არ დაგტოვებ არასოდეს, არასოდეს, თუნდ მთელი ქვეყანაც
რომ ავიმხედრდეს. სიკვდილამდე და იმ ქვეყნადაც შენთან ვიქნები. გეფიცები
ერთვულებას და მორჩილებას.

ნელ-ნელა დაიმშვიდეს და დაიწყნარეს ლოცვით აღშფოთებული სულები
და აფორიაქებული გულები.

ბოლოს გრიშკამ მიბნედილი მეფე წამოაყენა:

— ადექი, მეფევ! ადექ და იმეფე რუსეთისა საღიდებლად, წმიდა ეკლესი-
ისა ვასხარებლად, ხალხისა სანუგეშოდ და ჩვენი მტრებისა დასათურგნად...
და ვაიხარონ ცასა შინა ანგელოზებმა და ქვეყანასა ზედა ყოველმა მართლმა-
დიდებელმა... ვანვედ ჩვენგან, ეშმაკო! ვანვედ, ეშმაკო!.. ვანვედ, ეშმაკო!!

და ცრემლმორეული ნიკოლოზი გულში ჩაიხუტა.

— ამინ!.. ამინ! ვანვედ, ეშმაკო! ვანვედ! ვანვედ! — შიშითა და თრთოლვით
გამხნევებული და იმედმიცემულნი — ბუტბუტებდნენ სხვებიც.

მერე რიგ-რიგობით ჩაიხუტეს და ჩაჰუცნეს თავიანთ ეკლესისა და მთე-
ლი რუსეთის მხსნელი, წმიდანი და მაცხოვარი.

* * *

— ნაბე? დარწმუნდი? — ეკითხებოდა მეფის ვაკონში გულმარტი გულმარტი კუაჭის.

— საკვირველ არიან საქმენი შენი, დიდო მასწავლებელო და სასწაულთ-მომქმედო! ვნახე, გავიგე და დავრწმუნდი.

— ერთხელ კიდევ ვიხსენი უუდიდეს ხითათისგან რუსეთი, ეკლესია და მეფე.

— უუდიდესი ძევლის ღირსი ხარ, დიდო მასწავლებელო, მხსნელო ჩვენის ქვეყნისა! ხვალვე შეცუდვები წმიდა ვრიგოლის ტაძარის აშენებას.

— ეგ საქმეც ხომ გაგიკეთე. ოთხ მილიონს დედოფლალმა ერთი მილიონი კიდევ დაუმატა დღევანდველი დღის აღსანიშნავად. ეხლა შენ იცი, რა დიდებულს ეკლესიას ააშენებდ. ხუთ მილიონად დიდი ტაძარი აშენდება, არა?

— ისეთ ტაძარს დაგიდგავ, რომ აია-სოფიოც დაჩრდილოს და რომის პეტრეს ტაძარიც. ღვთის შეწევნით მოვერუვი ამ საშვილისშვილო საქმეს. სამა-გისო ცოდნაც მაქვს და გამოცდილებაც.

— თავიდობაც ხომ დაგიმტკიცე! არხების „კონციციაც“ ხომ მოვეცით „ტურქატანში“! ჯარისაოვის ოცი მილიონის საკულის დამზადებაც ხომ შენ მიიღე!

— უკვდაენი არიან საქმენი შენი, წმიდაო მამაო!

— შენზეა ათი ათასი.

— ხვალვე მოგარომევთ, წმიდაო მამაო.

— ელენეც ხომ ჩავწერეთ კარის ქალად! ფრეილინა გაეხიდეთ, სტატს-დამა და კავალერი მეფის ორდენთა, მაშ! არ კი გაიბლინძოს, სიკეთე არ დარ-ვიწყოს, თორემ...

— არა, წმიდაო მამაო, არა! ელენე შავისთანა ქალი არ არის.

— სინოდიც შევცვალეთ, ურჩნი ვავყარეთ; ძალლი ილიოდორი და კერპი ჰერმოვენიც უდაბნოში გადაიყვანეთ, ახალი მინისტრები დავნიშნეთ, ჩვენი მომხრე მღვდელ-მთავარნი დავასიაჩქრეთ. გიხაროდენ მართლ-მაღიდებელნო! თრთოდეთ და ძრწოდეთ ურიებო და ეშმაკნო! ვნაი ნაშვი ბრата!

უცებ ლამას ქალს მოჰკრა თვალი. მოსხლტა და ვამოუდგა. ხუთი წუთის შემდეგ კვაჭიც გაჰყვა. შორიდანვე ხმაურობა მოესმა.

ერთ კუპეს კარებში გააფთრებული გრიშკა გვიროდა:

— თყ ყავი კიბენიშვილი თო, ცხევა?! მეფე-დედოფლალი ხელზე მკოცნიან, შენ კი იპრანჭები და იგრიხები!.. რაო, არ მიცნობ? გრიშკა რასპუტინს არ იც-ნობ? მაშ მე გაჩვენებ ვინცა ვარ! შე უნამუსო, შე მაწანწალავ, შე...

და ისეთი სიტყვები მიაყარა, რომ ის ვაგონიც კი გაწითლდა.

კვაჭიმ ხვეწნითა და ლრეჭით ძლივს ვამოიყვანა და დააბრუნა თავიანთ კუპეში დიდი მასწავლებელი, რომელიც აღარ სცხოებოდა და კატორლით იმუქ-რებოდა.

ითიოდე წუთის. შემდეგ ის ქალი და მისი ქმარი — სამართლის მინისტრის



შჩევლოვიტოვის დიდი მოხელე და მეგობარი—ფეხაკრებით წყობივაზენებ გრიშ-
კას კუპუში და მოწიწებით ბოლიში მოითხოვეს.

გრიშკა ლაპარაკსაც არ ჰქალრულობდა. ნაწყენი და ურაშენსწორებული ქმარი
გაბრუნდა; კვაჭიც გაჰყვა.

როცა მატარებელი ჰეტერბურგის სადგურს მიადვა და კუპედან ალექსილი,
გაწეწილი და გამხიარულებული დედაკაცი გამოვიდა, კვაჭიმ ჰქითხა ვრიშკას:

— იმ ქალს აპატიეთ? ბოლიში მორხადა?

— ვაპატიე. რამდენჯერმე მოვხადე ბოლიში და ცოდვებიც ვაპატიე...
მაშ რა უნდა მექნა, ქრისტიანი ვარ! ჩაიწერე მისი მისამართი.

— მაღლობა ღმერთსა! დიდება უფალსა!

— აპოლონჩიკ! დღეს შენი სტუმარი ვარ „აკვარიუმში“.

— ამდენ ბედნიერებას ერთბაშად ვერ გავუძლებ. წმიდაო მამაო!

— ყველაფერი დააძხადონ. ფარლებიანი ლოეა აიღე. სწორედ თორმეტზე
წავიდეთ. ელენეც წამოიყვანე. ეხლა შინ წადი, დაისვენე. მეც უნდა დავისვენო.
საშინელი დღე იკო დღეს, საშინელი! უფალო შეგვიწყალე და მოგვიტავე ცოდ-
ვანი ჩვენნი!

დასვენებისთვის სად ეცალა კვაჭის! მრავალი მოსამკალი, მოსახვეტი და
მოსახეეჭი ჰქონდა იმ საღამოს. თვისი „ბერლიე“ ჯერ მანჯსს მიუყენა:

— მომილოკავს!.. გავიმარჯვეთ!.. და დავამტკიცეთ!..—სხაპასხუპით მიაყა-
რა გაშტერებულ ბანკირს.—ხვალ თორმეტისთვის ანგარიში გამისწორეთ... მოე-
ლი დღე სასახლეში ვარ... ძლივს დავალწიე თავი... სადილად დამტოვეს, აღარ
გამომიშვეს... აუარებელი ახალი ამბავი... მრავალი ცულილება..

უამბო და გაბერა იმ დღის თავგადასავალი, თან ჭორიც დაუმატა. იმის
ნაამბობში წამდაუწუმ ისმოდა:

— დავნიშნეთ... გადავიყვანეთ... გადავწყვიტეთ... რუსეთი
იღუპებოდა, ძლივს დავიბსენით, დავაჯერეთ... მე და გრიშკამ გავაკეთეთ... ყვე-
ლაფერი დაგვიჯერეს... ყველაფერი შეგვისრულეს... მოიტათ, რაც საქმე გაქვთ,
მოიტათ ჩქარა, ხვალვე, ეხლავე, თორემ ვინ იცის რა მოხდეს, ვინ იცის რო-
გორ დატრიალდეს საქმე!.. ხვალ დილის ათ საათზე თქვენთან მოვალ. უნდა წა-
ვიდეთ და დამტკიცებული ხელშეკრულება მივიღოთ. შეიძლება ტელეფონით
ლაპარაკი? გმაღლობთ.

— ალლო! ბესო, შენ ხარ? ჩემი მაკლერები მოსძებნე, ჩქარა! იპოვე საცხა;
ერთ საათში მაქინე ვიქნები... კაი, კაი, ნერე იყოს... მიუცი „ოტბოი“.

— ალლო! ელენე, გეოცნი ათასჯერ და გილოცავ ფრეილინობას... რაო,
არ გჯერა? ხვალ ან ზეგ რომ ქახალდს მიიღებ, მაშვინაც არ დეიჯერებ?.. გრიშ-
კამ? კი, მე და გრიშკამ... არ გრცხვენია, ელენე? ჰა-ჰა! კაი კაი... დღეს არსად
წახვიდე, ათზე შენთან ვარ, რაცხა დიდი საქმე მაქვს... ჰა-ჰა-ჰა! მართალია?
დეიჯერა?.. აპა კარვი, მიუცი „ოტბოი“...

— ალლო! გინხბურგის ბინაა? აბრამ მოისეევიჩ, თქვენ ბრძანდებით? მო-
მილოცავს უველა საქმეში გამარჯვება. შეტა არაფერს გეტუვით. ნახევარ საათში

თქვენთანა ვარ. დაიბარეთ თქვენი ინუენერები და არქიტექტორები... ვართ, მოვდივარ...

ისევ მანუსს მოუბრუნდა:

— მაშ ესე, ძვირფასო მეგობარო. ერთი კარგი საჩუქარიც თქვენზეა. წვალამდის!.. დილამდის!.. ხელზე ემთხვიერ ჩემს მაგიერ თქვენს მეუღლეს. ვნანობ, რომ ვერ ვნახე.

გიზნბურგსაც შეუვარდა, სეტყვა მიაყარა, კვეხნით ოუითონაც ვაიბერა და ისიც გაპჩერა:

— მე და გრიშკამ გავაკეთეთ... იქამდის ესადილობდით... გადავაყენეთ... დავნიშნეთ... ვადავიყვანეთ... ტაძრის აშენებაც მე მომანდვეს. შეგიძლიანთ ააშენოთ? იკისრებთ?

— მე რას არ ვიკისრებ! მთვარეზე რომ რკინის გზის ვაჟვანა დამივალონ, ამასაც ვიკისრებ.

— აი ვეგშები, აი ხელშეკრულება, აი დედოფლის წერილი...

— ვავსინჯავ... ვნახავ... ვიანგარიშებ.

— საჭიროა ჯარისათვის ოცი მილიონის საცვალი, საპნები და ათასი წერილშიანი. აი სია და ფასები. ხუთი პროცენტი მომეცით და წაილეთ.

— მაგასაც ვიანგარიშებ. პასუხი ხვალ დილით.

— მაშ მშვიდობით! ნახვამდის! კიდევ ათასი საქმე მაქვს. სახლში მინისტრები და დიდებულნი მიცდიან. სალამი და ხელ-კოცნა თქვენს მეუღლეს. ნახვამდის, ჩემო ძვირფასო მეგობარო!

კიბე ხალხით დაუხვდა სავსე.

— გაჟყარეთ! აღარ მიიღოთ ეს წერილფეხობა! რა დროს ეგ არის! იმხელა საქმე ჩამაბარეს, რომ ამ ხალხის ფულის დათვლაც არ ლირს. ბესო, დოუბახ ბირუის მაჟლერებს.

კვაჭიმ კარები ჩაიკეტა და კომისიონერებს სრული დარიგება მისცა, ნათესვამი ჩააწერინა და გაისტუმრი.

— სედრაქ! დაარჩიე და შემოუშეი სუჟეთა ხალხი, დანარჩენი შენ ვაისტუმრე... სერიოუა! გეიძები სადგურზე, დოუხვდი სილიბისტროს და ძაბულის და დააბინავე. სანამ არ ვეტყვი, ნუ მოვლენ ჩემთან. მოუარე, პატრონობა გოუწიე... გიგო! ეს წერილი წოულე ოპერაში პრიმადონა ვოლეინას. უციდე დიდი თაიგული და ბოდიში მეიხადე, ვერ მოვა-თქვა. თუ მეისურვოს, წაშეიყვანე „არქადიაში“. ავტომობილი არ უყვარს, ლანდო შეაბმეინე. აპა, გეინძერი!.. ალოო! არქადია? თავადი კვაჭანტირაძე ვარ... შემინახეთ პირეელი ან მეორე ლოეა, მორთეთ უვაეილებით... მზათ იყოს უველაფერი...

ისევ მობრუნდა:

— ბესო, შენ ხარ? ვინ მიცდის? მეიტა სია. სენატორი შუბინი.. არქიმანდრიტი მაკარი... გუბერნატორი ტიზენჰაუზენი... პალატის თავმჯდომარე კოჩუბერი... კაი, კაი, პაწიე დეიცადონ... დევილალე.

წამოწევა და მოისვენა, თან ერთხელ კიდევ გასინჯა კომბინაციების ბადე.

იგი კარგად იყო გაბმული და ნაანგარიშევი... ოღონდ გინზბორგმა ამ/ მოატყუ-
ს, თორებ კვაჭის სხვებისა არ ეშინიან... კეთილი, ვნახოთ... ხვალ ვნახოთ...
ბესო, დოუძახე ვინცხაა მაქინე.

ერთი საათის შემდეგ კვაჭის სამოც-ძალიანი „მერსედესი“ სუვოროვის
პროსპექტისკენ მიჰქოდა. ელენესთან რომ აღიოდა, კიბეზე გრიშკას შეჰვდა.
გაიციქრა:

- დამასწრო, მაინც დამასწრო ამ წუწება!
- აპოლონჩიკ, შენა ხარ? ვქეიფობთ ამაღამ? უველაფერი მხათ არის?
- ვქეიფობთ, დიდო მისწავლებელო, ვქეიფობთ! უველაფერი მზაო გან-
ლავთ. სწორედ თორმეტზე გამოვიყლით.

ელენესთან დალვრემილი და ნაწყენი შევიდა. გაწეწილ-ალეწილი ელენი
მხიარულად დაუხედა, მოუალერსა და მოეფერა.

- მაინც დამასწრო იმ მუჯიკმა, განა! ყოლიფერი ვიამბო?
- კვაჭიკოჯან, ნუ ხარ შურიანი, უველაფერს ნუ მისდევ, ფულიც იკმარე,
თორებ ინანებ.
- ყოლიფერს საიდან მივდევ, ჩემო კარვო! მაგალითად, აკი შენი თავი
გრიშკას დოვეუთმე. ვკვდები, მარა რა ვქნა! აპა, დროა, ჩეიცვი.

ისევ ტელეფონს დაეძვერა:

- ალლო! ტანიჩკა, შენ ხარ? გუოცნი ათასჯერ... ხომ კარგად ბრძანდები?
გინდა სულის წასაწყმედი ალავი გაჩვენო?.. ჩვენი მოძლვარიც იქ იქნება... არ
ინტებ, ნუ გეშინიან, თუ გინდა ნიღაბი გაიკეთე... რაო, ვეშინიან?.. ნუ შეშინ-
დები მეთქი; ისე შეგიუვან იმ ლოგაზი, რომ ეშმაკმაც ვერ დაგინახოს... ელენეც
მოდის, მომლერალი ვოლეინაც, ყველანი შინაურები ვართ... მაშ თანახმა ხარ?
მაშ ჩქარა ჩაიცვი, გამოვიყლით.

* *

უკვე ლამის თრი საათიდა.

კაფე-შანტანში გაბურებული სმა-ჭამა, ცაცვა, სიმღერა, მუსიკა და არ-
შიუობაა.

ფარდებით ჩამოფარებულ დიდ ლოგაზი ქეიფობენ გრიშკა, კვაჭი, ელენე
და ტანია. ხანგამოშვებით ჩუმათ სცენისკენ იყურებიან, საღაც რიგ-რიგობით
მღერიან და სცეკვავენ რუსული დასი, ბოშები, ზანგები, ტიროლელნი, ფრან-
გები და ესპანელები.

უკვე გალერილი გრიშკა ხანგამოშვებით ბრძანებას იძლევა:

— აქ მომგვარეთ კეკ-უოკი, მატჩიშიც!.. კიდევ იცეკვოს იმ გიშპანელმა!..
დაუძახეთ ბოშების ქალებს, ყველას ვპატიჟობ!.. ჩქარა! უთხარი, გრიშკა რასპუ-
ტინი ქეიფობსთქო, გიბრძანებსთქო!.. არ გამაჯავრონ, თორებ ეშმაკების ამ ბუ-
ღეს ხვალვე დავკეტავ!

გრიშკას აბრეშუმის ხალათის საკინძი ჩამოხეული აქვს, სახელოები—დამკ-
ლავებული; ვაწეწილი თმები—წარბებამდის ჩამოფხატული; თვალები—ამღვრეუ-
ლი და აგზნებული; თავი—გაბურებული და ნისლიანი.

იმის ზეთიანსა და ნაღვერდლიან თვალებში მხეცი დასცურავს; გულში ცეცხ-

ლი უნთია; ვერ მოუსვენია: დარბის, ვითარცა მხეცი გალიაში; სტოკის, ხელებს უწესოდ აფათურებს, სვამს ყველაფერს რაც ხელში მოჰქვდება; ბჟაველები, მღერის ბილში სიმღერას და საეკლესიო სავალობელს; თოვივით ეჭვირის ეჭვებულა და ქუჩურ სიტყვებს, რომელნიც ისარივით ჰქვდებათ გულში ტანიას, ელენეს და მომღერალ ქალებს.

ხან ერთს, ხან შეორეს ჩააცივდება:

— რას იპრანჭები!.. რასა სტოკი გაუხედნავ კვიცივით!.. თუ ქეიფია, უნდა ვიქეიფოთ ჩვენებურად, გლეხურად, მუეიკურად!.. გაიღვდეთ საკინძები!.. მაჩვენეთ თქვენი გულ-მკერდი!.. გაიხადეთ ტანისამოსი!

მერე ქალებს დაერია, ბლლარძუნი ასტეხა, ერთს საკინძი ჩამოჰვლიჯა.

ქალებმა ურიამული ასტეხეს. ზოგნი იცინოდნენ, ზოგნი პრაზობდნენ და წასვლას აპირობდნენ. გრიშკა უარესად გაკაპასდა და გაცხარდა:

— ზავი კიბენით თქვენისთანა ქალი ათასობით მინახავს შიშველი. თქვენზე უკეთესი ქალები ჩემთან აბანოში დადგიან ხუთ-ხუთნი და ათ-ათნი... დედოფალი მკადრულობს, თქვენ ვიღა ჰყოიხართ, ვინ ბრძანდებით?!. აი ეს ხალათიც ჩემი „ბებრუცანას“ შეკერილია. დიალ, „თვითონ“ შემიკერა და „თვითონვე“ მომიქარვა... აპალონჩიკ, თავი დამანებე მეოქი!.. ტანია, შენც გაჩუმდი!.. დღეს მეფეც და დედოფალიც ხელებსა და ფეხებს მიკოცნილნენ... თქვენ ვიღა ოხრები ჰყოიხართ მეოქი!

კვაჭი გამხეცებულ გრიშკას ამშვიდებდა, ტანია და ელენე სირცხვილის-გან იწოდნენ და კარებისკენ იწევდნენ, სხვები პოლიციას და რესტორანის პატრონს ეძახდნენ.

ლოუის გარშემო ხალხი შეგროვდა.

— რაო?!. მაშ მე გრიშკა რასპუტინი არა ვარ? მაშ არა გჯერათ? აბა, მიყურუთ!.. გამსინჯეთ!.. დარწიუნდით!..

ტანისამოსი გაიღელა და ამოილო თეისი პირადობის საუკეთესო საბუთი:

— არც ეხლა დაიჯერებთ?!.. ეხლაც კურ იცანით გრიშკა?!. აი, ჰნახეთ და დარწიუნდით! ჰნახეთ და დაიჯერეთ!.. აი, აი... ჰნახეთ! უეელამ ჰნახეთ! გასინჯეთ!.

ტანიამ და ელენემ შეპეიელეს და გარეთ გაცვივდნენ. მათ რამდენიმე ქალი ვაჟუვა ლანძლვითა და წყევა-კრულვით. დანარჩენებმა ხარხარი ასტეხეს.

ვიღაცამ ინ ლოუის ფარდა ჩამოჰვლიჯა და ხალხით გატენილს უზარმაზარ დარბაზს იგი პირუტყვი თვალშინ გადუშალა.

დარბაზში ურიამული და ჩოჩქოლი ასტყდა, სცენაზე ცეკვა და სიმღერა შესწყდა, მუსიკაც გაჩუმდა.

ვიღაცამ დაიძახა:

— დაიგერეთ!.. გააგდეთ!..

შეორებ მიაძახა:

— ტუილია! სტუის! ეგ რასპუტინი არ არის! სტუის!

მერე ყველანი და ყველაფერი ერთმანეთში აირივნენ:

— გასინჯეთ!.. ჰნახეთ!.. აი ჩემი პაჩორტი, აი ჩემი საბუთი!.. — ყვიროდა ლოუიდან გადმომდგარი გრიშკა.



ეროვნული
კიბეცისა და განვითარების
მინისტრი

დარბაზი ზანზარებლა. ხარხარებლნენ:

— ჰა-ჰა-ჰა! ჰო-ჰო-ჰო!

მეორენი ყვიროდნენ:

— გააგდეთ!.. დაიჭირეთ!

— ოქმი! ოქმი შეაღვინეთ! სად არის პოლიცია? დაუძახეთ პოლიციას!

— საგიუროში! საგიუროში გაგზავნეთ!

და ყველანი იმ ლოეას ფუტკარივით მიესივნენ; იმუქრებოდენ, იცინოდნენ, ჰლელავდნენ და შთოთავდნენ.

ლოეაში რესტორანის პატრონი და ბოჭაული შეცვივდნენ.

ვილაცამ იმ ლოეას ჩამოგლეჯილი ფარდა ისევ ააფარი და წარმოდგენა ვაათავა. ხალხის დასამშვიდებლად და ყურადღების მისაზიდად სცენაზე ხორო ყელის ძარლვებს იწყვეტდა, ორკესტრი მძლავრად კყვიტინებდა.

გრიშკაც მოლბა და გონს მოვიდა, მხოლოდ ბოჭაულს ემუქრებოდა:

— ოქმი თუ დასწერე, კატორლაში დაგალპობ და ძალლებს შევიჭმევ შენს ხორცს!.. ჰო, ამას მე გეუბნები, მე, გრიშკა რასპუტინი! ჰო!.. თავი დამინებეთ, მე თვითონ წავალ! აპოლონჩიკ, ფული გადაუყარე ამ ძალლებს! თითოს ასი მანეთი და ამათი ჯანი! რაო, ჯავრობთ კიდეც! არ გინდათ? აპოლონჩიკ, წავიდეთ!.. სად არიან ტანია და ელენე?.. წავიდნენ? კისერიც მოუტეხიათ... წავიდეთ... მე შენ გეუბნები, ოქმი არ დასწერო მეთქი, თორემ...

და გალეშილი გრიშკა კვაჭიმ ძლივს გიყვანა. მას უკან მიჰყვა სიცილი, მუქარა, ყვირილი და სტენა.

შუა გზაზე გრიშკამ გზა აურია:

— მარჯვნივ შეუხვიყ!.. მარცნივ!.. პირდაპირ!.. შესდექი!

და აუტომობილით სახოვადო სახლს მიაღვნენ.

— მასწავლებელო, რას სჩადიხართ!.. გვიცნობენ, მეფე-დედოფალი გაიგებენ.

— აპოლონჩიკ, გაჩუმდი! ვინ გაივებს, ჩემი ბებრუცანა? გაიგოს! შენ ჯერ პატარა ხარ, არაფერი გესმის. გაიგოს, უფრო კარგი! უფრო მეტად შემიყვარებს!.. დედაკაცის სულისა და ხასიათისა შენ არაფერი გაგეგება.... მოდი, მომ-ზე... ვახლავართ მანქელებს!.. აბა, „კამარინსკუიუ“!

და როიალის ხმაზე მარდათ, ყოჩალად და კოხტათ ჩამოუარა კამარინსკული, თან რამდენიმე ქალი აიყოლა. მერე სუყველას ხუთ-ხუთიანი დაურიგა და ოცი ბორილი ლეინო და არაყი მოითხოვა.

ისტყდა უივილ-ხივილი, კისკისი, ცეკვა, ხვევნა, და ბლლარმუნი.

ლუინო დალიეს, ჭურჭელი დაამტვრიეს და იქაურობა წაპბილწეს.

ბოლოს გრიშკამ ხლოი ქალი აირჩია და წაიყვანა. კვაჭი ერთმა ქალმა თოვების დაითრია.

ნახევარი საათი ვავიდა. ერთ ოთახიდან განუწყვეტელი კივილი, ერთიამული და დარჩეული რუსული გინება ისმოდა. კვაჭი წამოსასვლელად დაემზადა, მხოლოდ თავის მასწავლებელს უცდიდა.

უცებ იმ ოთახიდან, საკუა გრიშკა ქეითობდა. ქალის ხანგრძლივი კივილი მოისმა.

ქვაჭი აივანზე გავარდა, იქიდან ქუჩისკენ დაეშვა; ალაუათის კარებთან ქვაჭის შეეფეთი სრულიად ტიტველი და თმა-გაწეწილი ქალი, მარმარილი წილ-კილ-კივილით ქვეით მირბოდა.

უკან დიდი მასწავლებელი მისდევდა, ისიც ტიტველ-შიშველი; მისდევდა და თასმის ქამრით ჰშოლტავდა, თან ყეიროდა:

— ა, ცერვა! ა, დოლა! ა, იკაინა! და თე! და თე! და თე!

თითო დარტყმაზე ქალი შექვიცებდა, აიკლაკნებოდა, გვერდით გაპხტებოდა და ისევ მირბოდა:

— მიშველეთ!.. მომქლაა!!.. მიშველეეთ!..

ჯერ ქვაჭი და ორი მეეზოვე დაედევნენ, მერე სხვებიც მიეშველნენ.

გულწასული ქალი ხელით წამოილება, სხვები გრიშკა მიესივნენ და შეუტიეს:

— დაპქარით! სცემეთ! დაიკირეთ!

პოლიციაც მოვარდა. გრიშკა არავის შეუშინდა, არავის დაუთმო:

— ჯერ ჩავიცვა და მერე ვნახავ, ვინ გაუბედავს წყენას ვრიშკა რასპუტინს... გოროდოვო, გარეკე ეს ძალლები, თორებ კატორლაში დაგალბობ! აბა, ჩქარა! გრიშკა რასპუტინის სახელის ხსენებაზე სიცილი და უივილ-ხივილი ასტყდა.

— მართალია, მართალი! გრიშკა რასპუტინი უნდა იყოს. ერთი შეპხედეთ, შეპხედეთ!..

— დაიშალენით! დაიშალენით მეოქი!—ყვიროდნენ პოლიციელები.

ამასობაში გრიშკა ისევ სახლში შევიდა და ათიოდე წუთის შემდეგ ჩაცმული დაბრუნდა.

წინ ბოჭაული გადაეღობა.

— რაო, ოქმიო? სიცოცხლე ხომ არ მოვბეზრდი? კულშვილი გყავს თუ არა?

— არა, ბატონო, მე... მე არათერი... მხოლოდ მინდა ჩემი თვალით ვნახო ჩვენი წმიდა გრივოლი... მეტი არათერი... გაგაცილებთ, თორემ...

— საჭირო არ არის. აპოლონჩიკ, მაღლობა გადაუხადე ამ ბოჭაულს. ოკლახუმი მიეცი.. რა გვარი ხარ?.. უასილევი? ხვალ ან ზევ მნახე.

და იმავ წუთს ავტომობილი დაიძრა.

* * *

გრიშკას ერთი პატარა ოთხი ჰქონდა, — ხატებით და სასულიერო ნივთებით სავსე. ეს იყო მისი სამღოცველო.

ტორტმანით და ბარბაკით შევიდა იმ სალოკავში სანთლის შექით სუსტად განათებული იქსო ქრისტე საონოიანია თვალებით გრიშკას ჩასცეროდა, თითქმ საყვედურს უუბნებოდა.

პირქვე დაეცა და დაემხო იმ ხატის წინაშე მოწყვეტილი, მრუში, ცოდვილი რასპუტინი; დაეცა და შეპტავლა მას შეცოდებანი თვისნი:

— წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო ღვევდაო შეგვიწყვილენ ჩვენ!.. უფალო ძლიერო და მოწყვილეო. შემინდე მე ულისაა და ბოროტსა უამრავნი ცოდვახი ჩემნი, და მომივლინე მე განპატიჟება, რამეთუ ლირს ვარ!..

დილის ნათელმა შემოანათა იმ საკანში. გრიგოლი ისევ ლოცვაზე იდგა. ლოცვულობდა მეტანიოთ, ოხვრით, ქენესითა და მღულარე ჰუნისებრიშვილის მკაფიოდ და გარკვევით სალოცველს ამბობდა, ზოგჯერ საჭალოებების შესრულებაზე ატყოდა, მუშტით გულის ფიტარს იმტკრუვდა და მუხლის თავებს იქლეტავდა.

შუადღე რომ გადავიდა, კვაჭიმ თავის მასწავლებელთან შეირბინა.

მოსამსახურემ უთხრა:

— მამა გრიგოლი ლოცვაზე სდგას. დილის აქეთ არ გამობრძანებულა სამლოცველოდან, არც არაფერი მიურთმევია, არც არავინ უნახავს.

კვაჭის გაუკვირდა ეს ამბავი, თუმც არ სწყენია, რადგან სწორედ იმ დღეს ათიოდე კომპინაცია ჰქონდა „გასაიმასწებელი“.

მეორე დღეს ისევ შემოირბინა.

მოსამსახურემ განუმეორა:

— მამა გრიგოლი ისევ ლოცვაზე სდგას. გუშინდელს აქეთ ჯერ არ გამობრძანებულა და არაფერი მიურთმევია, არც ვინმე უნახავს.

— რა ამბავია? — გაიფიქრა კვაჭიამ და შევიდა იმ ოთახში, რომლის გვერდით გრიგოლი უკვე მეორე დღე იდგა ლოცვაზედ.

იმ ოთახში, სამლოცველოს კარებთან ოციოდე წამაკაცი და დედაქაცი მუხლმოყრილნი იდგნენ და მხურვალედ ინანიებლნენ მასწავლებლის ცოდვებს. მათ შორის კვაჭიმ დაინახა მიბნედილი ტანია; იმის გვერდით დაიჩოქა, თავი ჩაჭინდრა, ხელნი და თვალნი ალაპურო ზეკად და ტუჩებიც ააცმაცუნა.

სამლოცველოდან მოისმოდა მისუსტებული ხმა მასწავლებლისა:

— და შეპმოსეს მას ძოწეული და დაადგეს შეთაზული ეკალთაგან გვირგვინი;

და იწყეს მოკითხეად მისა ლა იტყოდეს: გიხაროდენ, მეუცეო ურიათაო!

და ჰსცემდეს მას თავსა ლულწმითა, და თაყვანის-ცემად მას.

და ოდეს განცკიცხეს იგი, განცსძარცვეს მას ძოწეული იგი, და შეპმოსეს თვისივე სამოსელი, და განიყვანეს იგი, რათა ჯვარს აცვან“...

სახარების კითხვა გრიგოლმა ქვითინით შესწყვიტა.

ტანიამ შეკეიცლა და იატაკზე გაენთხო, თან ქვითინებდა, ძაგძაგებდა და ვაჭკიოდა:

— კმარა!.. კმარა!.. ვაათავოს!.. იმყოფინოს!..

სხვებიც აიშალნენ, აფორიაქდნენ და ატირდნენ.

კვაჭიმ მიბნედილი ტანია ხელით გამოიყვანა მეორე ოთახში და ძლივს დამშვიდა. მერე, რადგან კიდევ თრიოდე კომბინაცია ჰქონდა დასამთავრებელი, ავტომობილში ჩახტა და ბანქირ მანუსთან მოუსვა.

სალამოზე ტელეფონით იკითხა:

— ალლო! ჩვენი წმიდა მამა როგორ პრძანდება?.. რაო, ჯერაც არ ამდგარა ლოცვიდან?! არაფერი უჭამია?! არავის ნახვა არ ჰსურს? კარები ისევ დაკეტილი აქვს?! ლმერთო დიდებულო, ეს რა ამბავია!.. კარგი, ხეალ ისევ მოვალ.

მესამე დღეს სალამო ემზე გრიგოლმა კვაჭი სამლოცველოში შეუშვა.

მიბნედილ-მილეული მოძღვარი ცარიელ იატაკზე იწვა.



— ლმერთო დიდებულო! წმიდაო მასწავლებელო!

— აპოლონიქი! ჩემთ ერთგულო ძმაო და მეგობარო! — ჩატენერი მოლოდინი. — ნუ შესწუხდებით, არა უშავს-რა... გაიგე და დაიხსოვნი ასე მშარობს, ოდეს ცოდვილნი მოინანებენ შეცოდებათა თვისთა, მაშასადამე, როცა ლმერთი ეშმაკს გვიგზავნის, უნდა აეყვეთ მას, უნდა ვიმრუშოთ და შევცდეთ, რომ საბაბი გვქონდეს ცოდვების მონანიებისა. თუ ცოდვა არ ჩავიდინეთ, ვერც ეერაფერს მოვინანებთ: წმიდანი ყოფელთვის წაწყმედილია, რაღან უცოდ ველია, ხოლო უცოდველი ვერაფერს მოინანებს, ვინაიდაგან მას ცოდვაც არა აქვს. გაიგე? მიმიხვდი?

— გავიგე და დავიხსომე, დიდო მასწავლებელო. უძირონი და უსაზღვრონი არიან სიბრძენი შენნი, ჰოი წმიდანო!

— ამაღამ ვათავებ ლოცვას... მარტო ვარ... გამოგზავნე ელენე.

— იქნება ელენე სახლში არ იყოს?

— მაშ ტანიას მაინც დაუძინე.

— მიცხვდი, მესმის, წმიდაო მამაო! დღეს გაათავე ერთი ცოდვის მონანება. ეხლა გსურს მეორე ცოდვა ჩაიდინო, რათა საბაბი გვქონდეს ახალი ცოდვის მონანებისა არა?

— აპოლონიქი შენ ბავშეივით უმანკო და უცოდველი ხარ, რაღან ჯერ ბევრი რამ არ იცი. ჯერ ადრეა, გაიზრდები და ყველაფერს გაიგებ. დღეს კი მხოლოდ ერთს გეტიკი: ჩემისთანა ცოდვილი ეშმაკიც არ არის ჯოჯოხეთში. სამი დღე ლოცვაზე დგომა არაფერია. მახსოვს, პირველათ რომ გამოვეძეცი ჩემს ოჯახს, ერთ გორიკში ღვიმე გამოვთხარე და სამი თვე იმ ღვიმედან არ გამოვსულვარ. ხმელი პურისა და წყლის გარდა ჩემს პირში არაფერი ჩასულა. ქეცი შემეყარა, მუნმა შემჭამა. გაუხდელი და დაუბანელი ვეგდე ხატის წინაშე. ერახელ, მეტის მეტად რომ დავსუსტდი, თვალი ღვთისმშობლის ხატს შიგაპყარ. ნათლად და ცხადად დავინახე: ღვთისმშობელი ცხარე ცრემლით სტიროდა. მერე მითხრა:

— „გრიგოლ! გრიგოლ! განწმენდილი ხარ ცოდვათაგან. ქვეყანა იღუპება ეშმაკის კლანშებში. აღსდეგ და წარვედ ხალხისა ხსნად და გასაკურნად.“

მეც წამოვედი. მას აქეთ დავდივარ და ვემსახურები ქრისტესა უფალსა ჩვენსა. ვინ იცის, რამდენჯერ განვშორებივარ ამ ცოდვილ ქაეყანას ორი-სამი თვით! ეხლაც დადგა დრო ჩვენის განშორებისა, ჩემთ აპოლონიქი!

ქვაჭის გული გადუბრუნდა:

— საით, წმიდაო მამაო, საით მიბრძანდებით?

— შორს, ძალიან შორს, იერუსალიმს. უნდა წმიდა აღგილებს ვსცე თაყვანი, უნდა უფლის საფლავს ვემთხვიო, უნდა საბოლოოდ განვიბანო და მოვინანო ურიცხენი ცოდვანი ჩემნი... როდის წაფალ? მაზევ.

— წმიდაო მამაო, მე რას მიშერები? მე ვისი იმედით მტოვებ?.. რაო, შეც წამოვიდე? მზათ არა ვარ ასეთის მგზავრობისათვის; მაინც ვნახავ, მოვიფიქრებ. მამაო წმიდავ, ორი-სამი თვით მაინც გადასდეთ ეგ საშინელი მგზავრობა.

— არ შემიძლიან. წუხელის ხატმა გამომიცხადა: „გრიგორი სამ დღეში წარვედ აქედან იქრუსალიმს, ვინაიდან განუზომელ არიან ფულებრიზ-შუჭნიი“. ეხლა წადი, ჩემო აპოლონიკ და გამომიგზავნე ელენე ან ტანის-შეფრთუაშემის ათ საათზე აქ იყავით. ერთ ალავას უნდა წავიდეთ. ისეთს რამეს გაჩეენებ, რაც სიზმარშიც არ ვინახავს... არა, დღეს არ გეტუვი, ხვალ შენის თვალით პნახავ.

დაღვრემილ კვაჭის სახლში რამოდენიმე უსიამოვნო ამბავი დაუხვდა. ისედაც ძალიან ცულს გუნებაზე იყო.

ცარსკოე სელოდან დაბრუნების დღიდან კვაჭის თავისი თავი უუბედნიერეს აღამიანად მიაჩნდა, რადგან იმ დღეს ყველაფერს მიაღწია: თავადობას, კარისკაცობას, უუდიდეს გავლენას, ხელისუფლებას და სიმდიდრეს, რომელიც დღეს თუ ხეალ უნდა ჩაცურებულიყო იმის ჯიბეში.

ერთი ნაწილი ამ სიმდიდრისა უკვე გაინალდა და მაშინვე დაეძგერა ონ-კალს და ბირეას.

უკანასკნელ ხანებში კვაჭის პირიდან მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ისმოდა: ონკალი... ობლიგაციები... კურსი... კუპონები... აქციები პუტილოვისა... ლენისა... სალამანდრისი... ლაეი... გავყიდე... ვიყიდე... წავაგე... მოვიგე...

მაგრამ საქმე ის იყო, რომ კვაჭი „მოვიგე-წავაგედან“ უფრო ხშირად ჰქმარობდა „წავაგეს“. ეს იყო მიზეზი იმის დაღვრემილობის და ნერვიულობისა.

ეხლაც ბუსომ და მაკლერმა ხაინშტეინმა მეტად მწარე და სახიფათო ამბები დაუხვედრეს.

— ას ოცი ათასი ონკალის ანგარიშის შესავსებად შევიტანე აზოვის ბანკში, — უთხრა მაკლერმა, — ლენის აქციები თითქმის განახევრდა; „ანკლოროსი“ განუწყვეტლივ ქვეით მიღის: „როსპერსი“ იღუპება... გუშინ „ურალოპლატინა“ ოთხასად გამაყიდვინეთ, დღეს კი ისევ ხუთასამდის ავიდა; ამ აქციების დასაწევად წავაგეთ თითქმის სამასი ათასი, დავიპრუნეთ მხოლოდ ასიოდე ათასი. თუ ხვალ ნახევარი მიღიონი არ შევიტანეთ, დაგირავებული აქციები ჩალის ფასად გაგვეყიდება.

ბოლოს ძლიეს შეამჩნია კვაჭიმ, რომ იმ თამაშში ვიღაც უცნობი იხედებოდა იმის ქალალდში; ძლიეს დაინახა და გაიგო, რომ ბირეის ჩარხის დასატრიალებლად მას ძალა არ შესწევდა; რომ პირიქით, — თვითონ კვაჭი გადაიქცა სხვის სათამაზოდ და მსხვერპლად, მაგრამ გეიანლა იყო: მას არ ჰყოფნიდა უკან დახევის ძალა, სიფხიზლე, სიცროთხილე და ნებისყოფა; ამიტომ — რაკი ერთხელ შესტობა ბირეის ვაობში — კიდევაც გაპყვა და შესცურდა შეაგულ მორევში, საღაც მას მოელოდა ან სრული გაკოტრება, ან დიდი სიმდიდრე!

— ხვალ დილით მიიღებთ ინსტრუქციას. ეხლა კი შეირბინეთ „ბირჟოვკაში“ და ეს შენიშვნა დაბეჭდინეთ ფინანსიურ ქრონიკაში... მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

შერე თავის მეგობარს და ბანკირს გინზბურგს დაურეკა:

— ალლო! შენა ხარ? ყური მივდე. თუ მოვრიგდით, ფულს როდის ჩამაბარები?.. ხვალვე?.. რაო, კონტრაქტიც მხათა გაქვს?.. თუ არ დავთანხმდი... რაო, უფრო დამიკლებ?.. კარგი, კარგი, თანახმა ვარ. ძვირად მიღირს შენი მეგობრო-

ბა, მაგრამ რა ვქნა, შენი გულისთვის წყალშიც გადავარდები... კეთილი ჩარე
იყოს... მაშ დილამდის!

შერე ბესოს მოუბრუნდა:

— აპა რა მექნა! ტაძრის აშენებას უნდა ხუთი წელიწადი ვუტაღო, საცვ-
ლების ჩაბარებას — ექვსი თვე. ბართალია, ამ საქმეებს ბოლომდის რომ მივყო-
ლოდი, სამჯერ მეტს ეფილებდი, მარა ახლა მჭირია ფული, თვარა... არა, არ დე-
ვილუპები. ხეალ ერთ მილიონს რომ მივაყრი ბირჟას, პნახავ რაფა დავანგრევ
და ავაფეთქებ იქოურობას... რასპუტინის საქმიზა აღარავინ მიიღოთ. გადარეუ-
ლა სიბერისას, იერუსალიმში მიდის სულის საცხონებლად. კისერიც მოუტეხია!
იმდენი ჭუჭყი და ცოდვა აქვს მაის, რომე იერუსალიმი კი არა, ათასმა ანვე-
ლოზმა და წმინდანმა რომე ხეხონ ერთი წელიწადი, მაინც ვერ ვარეცხენ.

ისევ ტელეფონს ვცა:

— შართლა, დამავიწყდა: ალლო!... ელენე, შენ ხარ? გრიშკა გელის, კი-
დო უნდა წევიწყმიდო სულიო, რომე მიზეზი მომეცეს ცოდვის მონანიებისაო...
ჰა-ჰა! რაო, აღარ ვინდა? ჰა-ჰა! რაო, ვინდა მარა არ ვცალია?.. რა ამბავია,
ქალო. ცოტა ჩემთვისაც მეიცალე!.. რა სოჭვი, ოპერეტაში ვინდა?.. კაი, მოემზა-
დე, ეხლავე მოვალ... აპა გრიშკას ტანიას გოუგზავნი... კაი, მოვდივარ...

შეორე დღეს კვაჭიმ ვინზბურგს დაუთმო ტაძრის აშენება და საცვლების
საქმეც.

მაკლერს მეტად რთული დარიგება მისცა „ბირჟის ასაფეთქებლად და და-
სანგრევად“.

მაკლერმა ბირჟას კვაჭის ფულები და აქციები დაუშინა, მაგრამ ის იერი-
შებიც იმით ვათავდა, რომ კვაჭის ჯიბე შეუთხელდა და შუბლი გაებზარა, ხო-
ლო ვინზბურგს და იმის აგენტს ხაინშტეინს კიდევ მიეცათ და მიემატათ. მაგ-
რამ ვანალდებულ საქმის სიხარულშა დამალა და დაჩრდილა წაგების ჭირი, ამი-
ტიმ კვაჭიმ იმ დღის დანაკარგი არც კი შეიმჩნია, წარბიც ამ შეიკრა.

* * *

იმ ღამეს, საათის თერთმეტზე გრიშკა რასპუტინშა კვაჭი, ელენე, და ტა-
ნია „ლვის კაცთა“ საიდუმლო სერობაზე წაიყვანა.

გრიშკამ და კვაჭიმ თეთრი ხალათები ჩაიცვის, ელენემ და ტანიამ — თეთრი
კაბები, განიცრები, ხალვათნი და გრძელი.

ასე მოითხოვდა მწვალებელთა წესი და კანონი, ვინაიდან თეთრი ფერი
ნიშანი იყო მათის მოძღვრების, ეკლესიისა და ძმობის წვერთა წმიდანობისა,
უმანკოებისა და უცოდველობისა.

ქალაქის განაპირას, ერთ დაბალ საბლში უკვე შეკრებილიყო „ხლისტე-
ბის ნავი“.

მოზრდილ დარბაზში სამოციოდე ქალსა და მამაკაცს მოეყარათ თავი.

ახალგაზრდები და შეახნისანი სჭარბობდნენ.

ყველანი თეთრებში იყვნენ.

დარბაზის თავში მავიდასთან იდგა „ლვის მშობელი“ — ლოხტინის ქვრივი,

ისიც თეთრებში ჩაცმული და ასნაირ ზიზილ-პიპილოებით უცნაუროსაც აჭრელებული. გაშლილ თმებშე განუშორებელი და უცნაური რამ თავსამვევზ ედო წარწერით:

„ჩემში არს ძალა ყოველი. ალლილუია“.

როგორც ყოველთვის, „ლვთისმშობელი“ იმ დღესაც ფეხშიშეველი იყო.

წირვა უკვე დაწყებულიყო. ლვთისმშობელი ლოცვებს კითხულობდა. რას-პუტინი რომ დაინახა, მოსხლტა და წამოვიდა, თან ჰქიოდა:

— აპა იგი ძე ლვთისა! აპა იგი იესო ქრისტე! აპა მოციქული ლვთისა! მოვიდა და მობრძანდა ჩვენი წმიდანი, წინასწარმეტაველი და მასწავლებელი! ცეშშარიტად გეტყვით თქვენ: აღზდექით და თაყვან ეცით მას, რამეთუ ლირს არს იგი ძე ლვთისა დიდებისა და თაყვანისცემისა.

და მუხლებში ჩაუვარდა, ხელ-უებზე ემთხვია, ხალათის კალთები დაუკოცნა.

უველანი აიშალნენ და თავიანთ მოძღვარს შემოესივნენ. ზოვნი ფეხქვეშ ჩაუვარდნენ, ზოგნი ხელებსა და ტანს უკოცნიდნენ.

გრიშკამ ყველანი და-ძმურად ჩაიკონა, ჩაიხუტა და დალოშნა, მერე ლვთის-მშობელს მიყვა მაგიდასთან.

ლვთისმშობელმა სავალობელი დაიწყო. უველანი აჟყვნენ და აღიდეს უფალი ღმიერთი და სული წმიდა, რომელიც, მათის რწმენით, იმ დროს იმ დარბაზში იმყოფებოდა. ერთად სთქვეს მრავალი სხვა საგალობელი და ბოლოს „ქრისტე აღსდგა“ დაიწყეს.

მწყობრად, აღტაცებით და სასოებით გალობდნენ, თანდათან ხმას უმატებდნენ, ყელის ძარღვებს იჭიმავდნენ და მისტიურ აღზნებაში შედიოდნენ.

ლოცვა რომ გაათავეს, მათმა მოძღვარმა და ძე ლვთისამ ქადაგება დაიწყო კვაჭი კუთხეში იდგა და გრიშკას გულმოლვინედ უგდებდა ყურს. გრიშკას ენის გაგებას კვაჭი ძლიერ შეეჩინა, ზოგჯერ მაინც არაფერი ესმოდა, რაღვან რასპუტინის რესული უხვად იყო აფერადებული მეტად ბუნდოვან მუეკურ-სლაუიანურ სიტყვებით.

გრიშკამ იმ ეკლესიის შეილებს ჯერ თავიანთი მოძღვრების თორმეტი მცნება მოაგონა:

„მე ვარ ძე ლვთისა, კაცთა შორის მოვლენილი, მისატევებელად ცოდვითა და არა არს სხვა ღმერთი ვარდა ჩემისა.“

რაზედაც ერთხელ შესდექით, ალარა დასტოეოთ იგი.

ერთგულად მისდიეთ და შეასრულეთ ლვთისა მცნებანი;

დასათრობი არ დალიოთ, ხორცეული ცოდვა არ ჩაიდინოთ, არა იმრუშოთ; ცოლს ნუ შეირთავთ, ცოლიანები განქორწინდით; ვისაც ცოლი ჰყავს, ისე იცხოვროს მასთან, ვითარცი დასთან.

ნუ ილანძლებით და ნუ ქურდობთ, ვინაიდგან ქურდს იმ ქვეყნად სპილენძის შაურიანს დაადებენ კეფახე და მხოლოდ მაშინ შეუნდობენ, როცა ის შაურიანი დადნება“.

მერე ჩიქოროფულად და ნართაულად იგი მცნებანი განმარტა, უფრო კი იმ

მცნებას დააწვა, რომელიც ცოლ-ქმრობას და სქესობრივ ურთიერთობას /შე-
ეხებოდა.

სთქვა:

— სული კეთილია, ხორცი ბოროტია, ამიტომ იგი ბოროტი ხორცი უნდა
ვსტანჯოთ, დავასუსტოთ, ჩავკლათ. ამისათვის მარხვა უნდა შევინახოთ, ხორცე-
ული არ ვჭამოთ, დასათრობი არ ლავლიოთ, თამბაქო არ მოვწიოთ, ქალალდი
არ ვითამაშოთ, არ ვიცეკვოთ და არ ვიმრუშოთ;

ცოლ-ქმრობა ცოდვაა, გარნა უამსა დღევანდელ ლოცვისასა სული წმიდა
ყველას მისცემს სულიერს მეულლეს;

ასეთ მეულლეთა შორის ხორციელი კავშირი ცოდვად ან მრუშობად არ
ჩაითვლება. სხვათა ცოლებთან ურთიერთობაც ცოდვად არ ჩაითვლება, ვინაიდ-
გან „ასეთი სიყვარული მხოლოდ ტრედთა კურკურია“;

სული ჩვენი უკვდავია, მარადიული; იგი მუდმივი იყო, მაგრამ არ ვიცით
რამდენს ხანს და რომელს ცხოველში ბუდობდა;

შემდგომ ჩვენის სიკვდილისა, თუ „ღვთის კაცი“ ერთგულად ასრულებდა
ღვთის მცნებას, მისი სული გარდაიქცევა ანგულოზად, ხოლო თუ იგი ცოდვი-
ლი იყო, მისი სული ჩაუდგება იმის ხასიათის მსგავსს ცხოველს ან ბავშს, რო-
მელიც უწმინდურად ითვლება, სანამ ჩვენებურად არ მოინათლება.

ლმერთი ერთია, მაგრამ იგი და ძე მისი ქრისტე ხშირად განსახიერდე-
ბიან ერთს ან რამდენიმე წეიდან ადამიანში;

იესო ქრისტე ჩემისთანა მომაკვდავი იყო, იგი ბუნებრივის სიკვდილით
მოკვდა და დაიმარხა იერუსალიმში.

მერე გრიშკამ გაიხსენა თავიანთი ლმერთი უფალი, რამდენიმე წმიდა,
ქრისტე, მოძღვარნი და წამებულნი: ფილიპოვი, რომელიც ვითომ ზეცად იმაღლ-
და, ივანე სუსლოვი, პროქოპი ლუკინი, ანდრეი პეტროვი, დედაკაცი ტატარი-
ნოვისა, ავვაკუში, კოპილოვი, კატასონოვი და მრავალნი სხვანი, რომელთაც თა-
ვი დასდეს ღვთის კაცთა წმიდა და ჟეშმარიტ ეკლესიისთვის.

ბოლოს თავის თავიც გაიხსენა:

„— ერთხელ ვიხილე ცანი განხმულნი და სული ღვთისა გარდამომავალი,
ვითარეა ტრედი, მის ზედა;

და ხმა იყო ზეცით: გრივოლ, შენ ხარ ძე ჩემი საყვარელი, შენ სათო იყავ;

და მეუვსეულად სულმან გამიყვანა უდაბნოდ;

და ვიყავ მუნ დღე სამიოცი, და გამოვიცადებოდე ეშმაკისაგან, და ვიყავ
მუნ მხეცთა თანა, და ანგელოზნი მმსახურებდეს მე.

და ვჭამდი მუნ მკალსა და თაფლსა ველურსა“.

მერე გაიხსენა სულის წასაწყმედი ცდუნებანი, ეშმაკნი, ქალნი და ქაჯნი,
„რომელნი მოსრულ იყვნენ წარწყმედად გრიგოლისა“, და მრავალი თვისი
სასწაულთ მოქმედება:

„ყაზანში ვნახე მრავალი კეთროვანნი და ცოდვილი, რომელთა სულა
შინა ეშმაკნი ბუდობდნენ და ვრქვი ერთსა: პირი დაიყავ, და განვეღ მავისა-

გან! და დასკა იგი სულმან მან არა-წმიდამან, და ხმა ჰელი ჩერებულებითა და განვიდა მისგან».

და განპხლა ამბავი ეშმაკთა განმდეველის ვრიგოლისა ყოველსა მას სოფელსა და ქალაქსა რუსეთისასა.

„— სარატოვში ერთი მონაზონი დავრდომილიყო მხურვალებითა, და მითხრეს მე მისთვის. და მოვედ, და ვლპუარ ხელი ჩემი, და ალვადვინე იგი, და მეყვსეულად დაუტევა იგი მხურვალებანი მან, და ალპიდგა და გვსახურებდა ჩეენ.

და ვითარ შემწუხრდებოდა და მზე დაპვიდოდა, მოპყვანდნენ ჩემდა ყოველი სნეული და ეშმაკეული. და ყოველი ქალაქი, და ყოველი დედაკაცი შეკრებულ-იყო წინაშე ჩემისა, და განვკურნე ყოველი ბოროტთაგან სენთა, და თითო სახეთაგან სნეულებათა, და არა უტევებდი სიტყვად ეშმაკთა მათ, რამეთუ იცოდეს კითარმედ მე ქრისტე ვარ.

და ურქვი მოწაფეთა ჩემთა: მოვედით და წირვიდეთ ბახლობულსა დაბნებსა და ქალაქებსა, რათა მუნ უქადაგოთ და განვდევნოთ სნეულთაგან ეშმაკი, რამეთუ ამისთვის მოვიცლინე.

და ვქალაგებდი შესაკრებელთა მათთა და ყოველსა რუსეთსა, და ეშმაკთა განვასხმილი.

მერე ასწავებდა მოწაფეთა თვისთა:

„— ვითარმედ აღსრულებულ არს ეამი, და მოახლოვებულ არს სასულეველი ლვთისა, შეინანეთ და გრწმენინ ჩემისა;

• მოვედით და შემომიდევით მე და გუვნე თქვენ მესათხევლე კაცთა; და მე ნათელ-გეემთ თქვენ სულითა წმიდითა;

• და განპგურნოთ ყოველი ბოროტთაგან სენთა, და განვასხნა ეშმაკი, და დაუსცე სულნი არა-წმინდანი, და დავამკვიდრო სულთა თქვენთასა — დედანო, ძმანო და დანნო ჩემნო — მშვიდობა მარადიული, შეება სამოთხისებური, ლხენა ზეკოური, სიყვარული და-ძმური და ალერსი მამა-შეილური».

და შემდგომათ დუმილისა მიმოიხილა წმიდა მოძლვარმა გარემოს მისა მოწაფეთა თვისთა მსხდომარეთა, და რქვა:

„— აპა, დედანი ჩემნი, და დანი ჩემნი, და ძმანი ჩემნი, რამეთუ რომელმან ჰყოს ნება ჩემი, მან ჰყოს ნება უფლისა ჩეენისა, და ესე არს ძმა ჩემი, და დაი ჩემი, და დედა ჩემი.

ძვირფასნო დედანო, ძმანო და დანნო ჩემნო!

ილხენდეთ ვითარცა ცასა შინა, რამეთუ თქვენთან არს ძე ლვთისა და სული წმიდა!

შეიყვარებდეთ ურთერთ ვითარცა სამოთხესა შინა, და კურკურებდეთ ვითარცა ტრედნი, რამეთუ ჭეშმარიტად გეტუვით თქვენ: არა არს სიყვარულისა მშობლიურსა და და-ძმურსა შინა არცა ცოდვა, არცა მრუშვა, არცა სიძეა.

განვედ ჩვენგან ყოველი ეშმაკი, კეთროვანნი, სნეული და სულნი ცოდლვინი!

— განვედ! განვედ! განვედ! — ერთანმაღ უპასუბეს ლვთის კაცებმა.

ანთებულმა გრიშკამ განაგრძო:

— და დამყარდეს ჩვენთა სულთა და ხორცია შორის სიყვრული ღვთხებ-რივი და ნეტარება მარადიული!

— ამინ! ამინ! ამინ! — კვლავ იგრიალა დარბაზში.

— და ეიქმნეთ ერთხორც და ერთსულ, და ვილხენდეთ, და ვიგალობდეთ და ვადიდებდეთ უფალსა ლმერთსა ჩვენსა.

და გალობით დააითავრა ქადაგება თვისი:

— ალლი-ილუ-უ-ია-ა-ა...

და აიშალნენ ლვთის კაცნი;

და ჩაავლებდეს ურთერთ ხელთა თვისთა;

და გამართვიდეს ფერხულსა და როკვიდეს როკვასა და-ძმურსა;

და იგალობდეს სირინოზთა და ანგელოზთა გალობასა წინიდასა, ხშირა ციურითა, გულითა ტრედისათა და სულითა წინიდისათა:

— ალლილუ-ი-ა-ა! ალლილუ-უ-ია-ა! ალლილუ-უია-ა-ა...

ძეს ლვთისას ერთი მხრით ელენე ჰყავდა ჩაბმული, მეორე მხრით — ლვთის-შშობელი ლოხტინისა;

კვაჭის მარცხნივ ტანია ამოუდგა, მარჯვნივ — ის დედაკაცი, რომელმაც რამდენიმე დღის წინად რკინის გზის ვაგონში გრიშკას წინაშე „რამდენჯერმე ბოდიში მოიხიდა“.

„ჩახვეული“ ფერხული ჯერ დინჯად და წყნარად მიიჩნენებოდა, საგა-ლობელსაც შესაფერის ტემპით ჰყალობდნენ; მერე თანდათან სიფიცხეს უმატეს.

ფერხულის შუაგულში რამდენიმე ქალი და ვაჟი ცალ-ცალკე ფეხის აყო-ლით ერთ ადგილს ტრიალებდნენ.

მერე „ჩახვეული“ წყება შეიცვალეს და „ქედლით“ დაუწყვნენ, რამდენიმე ჯგუფიდ დაიკვენენ, თან რიტმს და ხმის ძალას უმატეს.

ცოტა ხნის შემდეგ „კედლურიც“ ჩაშალეს და „ხომალდური“ ვააბეს, — წეროსტივით ერთმანეთს გაპყვნენ, თან მეტი ცეცხლი შეიკეთეს, ნაბიჯი იიჩქარეს.

როცა კარგად მოილალნენ, ჯვარედინად დაიკვენენ და „ჯვარული“ ჩამოუ-რეს, თან მეტად გაფიცხდნენ და გაკაპასდნენ.

ბოლოს გრიშკამ დაიძახა:

— ტრიალით! ტრიალით!

ერთმანეთს ხელი გაუშვეს და ერთს ადგილზე ციბრუტივით დატრიალდნენ.

ლვთის კაცებს და ლვთის ქალებს პირსახე აელეწათ და აუწითლდათ, თმე-ბი აეწეწათ და ჩამოეშალათ; ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ, თავპრუ ეხვეო-დათ და გული მისდიოდათ, მაგრამ ბაინც კორიანტელივით ტრიალებდნენ, თავსა და ხელ-ფეხს უგზო-უკვლოდ იქნევდნენ, და გალობის მაგივრად სულ-შე-გუბულნი ჩახლეჩილის ხმით ნაწყვეტ-ნაწვეტად გაუგებარს პროშავდნენ და უც-ნაურს სიტყვებს ისროდნენ.

ყველანი დარეტიანდნენ, გაიტიქნენ და გაპრუვდნენ.

ჯერ ერთი წაბარბაცდა, წატორტმანდა და მოჭრილ მორგვივით წაიქცა, მერე - მეორე, მეორეს — მესამე მიპყვა, მეხუთეს — მეექვსე და მეცხრეს — მეათე.

წაცდაუწუმ ხათქა-ხუთქი ისმოდა. იატაკი თეთრის კაბუბით, ვერანგებით და ხალათებით აიპენტა.

ფეხზე მდგომნი იძ გილურ კორიანტელს ჯერ კილეულებშემზრდნენ მაინც უკვე ბარბაცებდნენ, ტორტმანებდნენ და გალობის მავივრად ხრიალებდნენ და სისინებდნენ, ხოლო წაჭცეულნი გასულარებულ ცხედრებივით ეყარნენ და უცნაურს და გაუგებარს რასმეს პბოდავდნენ და წინასწარმეტყველობდნენ.

აქეთ-იქიდან ისმოდა მათი მილეული და უილაჯო როტვა, ბუტბუტი, კივილი, ჩურჩული და ბურტყუნი:

— ჩვენთან არს ძე ლვთისა!..

— ლვთის კაცნო და ქალნო! ილხენდეთ და იშვებდეთ!..

— ჩემში არს სული წმინდა, დანო და ძმანო!..

— განვეღით ჩემგან, ეშმაკნო და სულნო არაწმინდანო!..

— მე ვარ ტრედი ცისა და მ'ობელი ლვთისა. — ბურტყუნებდა „ლვთის მშობელი“ ლონტინისა. — მოვეღით და სათნო მიყაეთ საყვარელნო ძმანო ჩემნო!.. ჩემში არს ძალა ყოველი, და სიყვარული უზღურბლო, რამეთუ ამისთვის მოვიჟლინე... ალილუია... ალილუია... ალილუია!.. — წმიდათ მამაო, დავრდომილ ვარმხურვალებითა. მოვედ და მიპყარ ხელნი შენი და განმკურნე ბოროტთაგან სენთა... .

— ვხედავ ცათა განხმულთა და სულსა ლვთისასა გარდამომავალსა, ვითარცა ტრედი, მის ზედა... უფალო შემიწყალე!..

— ალსრულებულ არს უამი, და მოახლოვებულ არს სასუფეველი ლვთისა,... შეინანეთ, მამანო და ძმანო, და გრწმენინ ჩემისა...

— იესო ქრისტე! შენ ხარ ძმა ჩემი. მოვედ ჩემთა და დაამკვიდრე სულმა ჩემსა შინა სიყვარული და-ძმური, ალერსი ზეციური, ლხენა მარადიული და შვება სამოთხისებური.. მოვედ, ძმაო, ჩემდა!. მოვედ!.. — ბუტბუტებდა ტანია და ხელებს კვაჭისკენ იშვერდა, რომელიც ჯერ წაჭცევას არ პბედავდა და ბარბაცით შარცხნივ მიიწევდა, საცა გულალმა ეგდო ის დედაკაცი, „რომელმაც რაბდენჯერმე მოიხადა ბოდიში“ გრიშკას წინაშე.

უცებ კორიანტელმა ლამწა ჩააქრო.

კვაჭიც მაშინვე დამიზნებულ აღვილს წაიქცა.

და დამყარდა მუნ წყვდიადი განუჭერეტელი;

და იხილეს დათა და ძმათა, მამათა და დედათა ცანი განხმულნი, და სული ლვთისაგარდა მომავალი, ვითარცა ტრედი, მათ ზედა:

და იყო დარბაზსა მასა შინა სიყვარული და-ძმური, ალერსი ზეციური, ლხენა მამა-შეილური და შვება სამოთხისებური;

და ვითარ ზეცა ნათელ რლებდა და მზე ამოჭვიდოდა, ისმოდის მუნ კურკური ტრედთა;

და გალობა სირინოზთა და ანგელოზთა;

და ღრენა და ღმუილი მნეცთა;

და ყმუილი და ღრიალი მაიმუნთა;

და წკმუტუნი და კვნესა ეშმაკთა და სულთა არა-წმიდათა, რომელნი გა-

ნსხმულ და განლევნილ იქმნებ მშიერთა და სწორობებისა შეგანუკუნითი უკუნისამდე.

ასე დასრულდა „ლეთის კაცების“ საიდუმლო სერობა. ბერძოლებულება

დილით კვლავ შეიკრიბნენ და კვლავ აირჩიეს გრიშკა რასპუტინი ძედ ლეთისად, ლოხტინის ქვრივი — ლეთისმშობლად, და თორმეტ ლეთის კაცი და ქალი თორმეტ მოციქულად, და ნათ შორის კვაჭი, ელენე, ტანია და რამდენიმე წარჩინებული და დიდებული.

შერე ყველანი ხატებით და გალობით საღვურისკენ ვაემართნენ გასაცილებლად ძისა ლეთისა გრიგოლისა, რომელ წარვიდოდა წმიდასა ქალაქსა იერუსალიმსა თვისთა საკუთართა და დათა მისთა, და ძმათა მისთა, და დედათა მისთა ცოდვათა მოსანანებლად.

და გზა და გზა წმიდათა მათა მლოცველთა მიეცის და მიემატებოდის მრავალნი თანამგრძნობნი, მიმდევარნი და მოწაფენი, რომელნი იგალობდის საგალობელთა წმიდათა და იხაროდის მომავალსა ცხონებასა ძისა ლეთისასა, და ჰლერიდის ცრემლსა მრავალსა, რამეთუ დადგა ეამი განშორებისა.

და იყო საღვურისა შიგან ქვითინი და ოხვრია მრავალი, კვნესა და ყივილი, წერვა თმათა, ხოკვა ღაწევა და ლოშრა უთვალავი.

და ჰქონდათ მოწაფეთა მათ ღაწვნი დაჭენობილ და თვალნი ვითარცა გუბე დაუშრეტელ.

და გულისა შესაზარად დაიყივლის, და ხმა ჰყო ხმითა დიდითა მანქანებამან ეშმაკისამან:

და მოიტაცის მანქმნებამან ეშმაკისამამ მე ლეთისა, წმიდა მოციქული, მოძღვარი, პატრიარქი და მეუე თვითპყრობელი სრულიად რუსეთისა — გრიშკა რასპუტინი.

და მეყვესეულად წარვიდნენ და დაიშალნენ მოწაფენი მისნი კვლავ წმიდისა მოძღვრებისა საქადაგებლად, საიდუმლო სერობისა განსამეორებლად და ძისა ღთვისა სადიდებლად.

ამინ!



Հ Ա Ն Օ Ո Ո


მეორე ყალიბი

(წიგნიდან: 13 „კალიონი“)

არის ბევრი მშვენიერი ქალაქი—ყველაზე მშვენიერია პარიზი. იქ იცინიან უდარდელი ქალები, წაბლების ჩრდილ ქვეშ ფრანტები სვამენ ბადახშის სასმელებს და ფართე მოედნების სარკისფერ ქვადაფზე კრთის ნაირ-ნაირი ცეცხლის შუქი.

კალატოზი ლურ რუ დაიბადა პარიზში. მას ახსოვდა 48 წლის „ივლისის დღეები“. იგი იყო მაშინ 7 წლის და მას უნდოდა ჭამა. როგორც ყვავის ბახალი ის ჩუმად აღებდა პირს და ელოდა საჭმელს, თუმცა ამაოდ, რაღაც მამა მისს,—უან რუს,—არ გააჩნდა პური. მას ჰქონდა მხოლოდ თოფი და თოფის შეკმა ხომ არ შეიძლებოდა. ლურის ახსოვდა ზაფხულის დილა, როცა მამა სწმენდავდა თოფს, დედა კი სტიროდა და იხოკავდა ცხვირს წინსაფარით. ლური აედევნა მამას უკან—ის ფიქრობდა, რომ გაწმენდილ თოფს ესვრის მეპურეს და წამოილებს თავისითვის ყველაზე დიდს, ლურიზე მეტს, სახლის ოდენა პურს. მაგრამ მამა შეხვდა თავის მხგავსს დალონებულ აღამიანებს, რომელთაც აგრეთვე ჰქონდათ თოფები მათ დაიწყეს სიმღერა და ყვირილი: „პური!“

ლური გასუდრული ელოდა გულის ფანცქალით, რომ ამისთანა საუცხოო სიმღერების საპასუხოდ ფანჯრებიდან დაცუინდებიან ბულკები, ქადები და ნაირი ტებილულობა. მაგრამ ამის ნაცვლად მოისმა საშინელი ხმაურობა და ტყვიების ზუზუნი. ერთმა მათგანმა, ვინც ყვიროდა „პური!“—უიცრად წამოიძახა „ვაიმე!-ო და დაეცა ძირს. მაშინ მამამ და სხვებმა დაიწყეს რაღაცის კეთება—მათ წააქციეს ორი ზურგიანი სკამი, მოავორეს მეხობელ ეჭოდან ბოჭკა, გატეხილი მაგიდა და, ასე გაშინჯეთ, საქათმეც კი. ყველაფერი ეს მათ დასდეს შუა ქუჩე და თითონ დაწვნენ მიწაზე. ლურის ეგონა, რომ დალონებული აღამიანები თამაშობენ მალვიაობას. შემდეგ ისინი ისროდენ თოფებს და აგრეთვე მათაც ესროდენ. ბოლოს მოვიდენ სხვები. მათაც აგრეთვე ჰქონდათ თოფები, მაგრამ ისი-

ნი შხიარულად იღიმებოდნენ. მათ ქუდებზე ბრწყინავდნენ დიდი,  კა-
კარდები. ყველა ეძახოდა მათ „გვარდიელებს“. ამათ წაიყვანეს მამა და გაატა-
რეს იგი წმინდა მარტინეს ხეივანში. ლუი ფიჭრობდა რომ მნიშვნელურ გვარდი-
ელები აქმევდნენ მამას და კაპუვა მას, თუმცა უკვე გვიან იყო. ხეივანში იცი-
ნოდნენ ქალები, წაბლების ჩრდილ ქვეშ ფრანტები სვამდნენ ბადახშის სასმე-
ლებს, ტროტტუარის ქვადაფზე კრთოდა ნაირ-ნაირი ციცხლის ზუძი. წმინდა
მარტინეს ალაყაფთან გაელის დროს ერთმა უდარდელმა ქალმა, რომელიც იჯ-
და ყავახანაში,—დაუძახა გვარდიელებს:

— რათ მიგუავთ იგი ასე შორს? მას შეუძლია აქაც მიიღოს თავის კერძი!
ლუიმ მიირბინა შხიარულ ქალთან და წყნარად, როგორც ყვავის ბახალამ,
დაულო პირი. ერთმა გვარდიელმა აიღო თოვი და ხელახლა გაისროლა. მამამ
დაიყვირა და იქვე ჩაიკეცა—ქალი კი იცინოდა. ლუი მიგარდა მამას, ჩასჭირა
ხელი ფეხებში,—რომელნიც კიდევ ბარბაცობდნენ, თითქოს ემზადებოდნენ წა-
სასვლელად—და მორთო საშინელი წივილი.

მაშინ ქალმა უთხრა ჯარისკაცს:

— დახვრიტეთ უგ ლეკვიც!

მაგრამ ფრანტმა, — რომელიც სვამდა მეზობელ მაგიდაზე ბადახშის სას-
მელს, — უპასუხა:

— მაშინ ვინო იმუშავებს?

ამნაირად, ლუი გადარჩა. მრისხანე ივლისს მოჰყვა შევიღი ავეისტო. ახლა
ალარავინ მღეროდა და არც ალარავინ ისროდა. ლუი გაიზარდა და გაამართლა
კიდეც კეთილი ფრანტის ნდობა. მამა მისი ეან რუ იყო კალატოზი და კალა-
ტოზად გამოვიდა რუ ლუიც. ფართე ხავერდის შარვალში და ტილოს ლურჯ
ხალათში გამოწყობილი ის აშენებდა სახლებს, აშენებდა ზაფხულში, ზამთარში.
შევენიერ პარიზს უნდოდა კიდევ მეტი სილამაზე და ლუიც ჩნდებოდა იქ, სა-
დაც აკებდნენ ახალ ქუჩებს—შეიდ შუქიან ვარსკვლავის მოედანს, მალერბა და
გაუსმანის ფართე ხეივანებს, წაბლის ხეებით შემორგულს და ოპერის სადარბა-
ზო პროსპექტს—ჯერ კიდევ ტყით დაფარული შენობებით, სადაც მოუთმენელ
ვაჭრებს უკვე გამოჰქონდათ ნაირი საქონელი — ტყაეები, ბაჭთები და პატიო-
სანი თვლები. ის აშენებდა თეატრს, დუქნებს, ყავახანებს, ბანკებს, აშენებდა
შევენიერ სახლებს, რომ უდარდელ ქალებს,—როცა ქუჩებზე ლამანშილან უბე-
რივს ქარი და მუშათა მანსარდებში სხეულში ატანს ნოემბრის სინესტე, — შესძ-
ლებოდათ უდარდელი ღიმილი, აშენებდა რესტორან-ბარებს, რომ ფრანტებს
უვარსკვლაო ღამეებში ესვათ თავიანთ საყვარელი ბადახშის სასმელი. ლუი ეზი-
დებოდა მძიმე ქვებს, აშენებდა ქალაქის რბილ ქვადაფის სახურავს — ქალაქთა
შორის უმშეენიერეს პარიზისათვის.

მრავალ ხალათიანებს შორის იყო ერთი, სახელად ლუი რუ. ხავერდიან
შარვალში, კირით დაპულრულ, ფართე, პრტყული ქუდით, თიხის ყალიონით პირ-
ში, როგორც ათასი სხვა, ის პატიოსნათ შრომობდა მეორე იმპერიის გასამშვე-
ნიერებლად.

ის აშენებდა საუცხოო სახლებს და თუითონ კი იდგა ტკეში. ხოლო ღამით

იწვა აშმორებულ სენაკში შავი ქვრივის ქუჩაზე, წმინდა ანტონის გარეუბანში. სენაკს უდიოდა კირის და შავი თამბაქოს სუნი; მთელ სახლში კი — კატის სკორეს და გაურეცხავი საცვლების სუნი ტრიალებდა. შავი ქვრივის ქუჩაზე, როგორც წმინდა ანტონის გარეუბნის ყველა ქუჩებს, — ასდიოდა სუნი ქოხიანი ტაფების, რომელზედაც ბოვაჭრები ხრაკავდენ კართოფილს, უმარილო ცხენის ხორცით და აგრეთვე იდგა სუნი ქაშაყის, სანაგავე თრმოების, და პატარი ღუმელების კვამლის. მაგრამ შავი ქვრივის ქუჩისთვის კი არა, არამედ ფართე ხეივანების და შვიდშუქიან ვარსკელავის, — სადაც დღით ტყეში ქანაობენ ხალათიანები, — ეწოდა პარიზს უმშვერიერესი ქალაქთა შორის.

ლუი რუ აშენებდა ყავახანებს, რესტორან-ბარებს. მას დაპერინდა ქვები „სარეგენტოს საყავესთვის“, რომელიც იყო საყვარელი ადგილი ჭადრაკის მოთამაშეებისათვის, „ინგლისის ყავახანისთვის“, სადაც ერთმანეთს ხვდებოდენ მუქთახორები, თოხარიკი ცხენების პატრონები და უცხოეთის დიდკაცობა, „მიძრიდის ტავერნისთვის“, რომელშიაც იკრიბებოდნენ ოცზე მეტი თეატრის მსახიობები და სხვა ბევრი სახელოვანი შენობებისათვის. მაგრამ ლუი რუ მამის სიკვდილის შემდეგ არასდროს არ მიახლოვებია ყავახანის დამთავრებულ შენობებს და არც ვაუშინჯავს მას არასდროს ბადახშის სასმელი.

როდესაც ის ლებულობდა მოიჯარადრისაგან რამდენიმე პატარი თეთრ ფულს - ეს ფული მიპერინდა მას მოხუც სირაჯოან შავი ქვრივის ქუჩაზე, მათ მაგიერ სირაჯი აძლევდა რამდენიმე შავ, დიდრონ ფულს და უსხავდა სტაქანში მლერიე სითხეს. ლუი ერთბაშად ვადაპერავდა აბსენტს და მიღიოდა დასაძინებლად თავის პატარი სენაკში.

როცა არ ჰქონდა არც თეთრი, არც შავი ფული, არც აბსენტი, არც სამუშევარი — ლუი იმოჰკრებდა ჯიბეში დაბნეულ თამბაქოს მტვერს ან, მოსძებნიდა ქუჩაზე პაპიროზის ნამწვავებს, გატენიდა თავის თიხის ყალიონს, ჩაიდებდა პირში და ასე დადიოდა კუშტი სახით წმიდა ანტონის გარეუბანში. ის არ მლერდა და არც ყვიროდა, „პური“-ო, — როგორც ეს ჩაიღინა ერთხელ მამა მისმა უან-რუმ, — რადგან მას არ ჰქონდა არც თოფი, რომ გაესროლა, და არც შვილი ჰყავდა, რომელიც დააღებდა პირს — ყვავის ბახალასავით. ლუი რუს, რაც შეეძლო, არ დაუკლია მუშაობა მისთვის, რომ პარიზის ქალებს შესძლებოდათ უდარდელი სიცილი, მაგრამ მათი სიცილის ვაგონებაზე იგი შეშინებული გარბოდა განხე — ასე იცინდა ერთხელ ქალი წმინდა მარტინეს ხეივანის ყავახანაში, როცა უან-რუ იწვა ქვაფენილზე, და მწოლიარე სკრილობდა აღგომას. ლუი სახოგადოთ, 25 წლამდის არ მიჰკარებია ახლოს ახალგაზრდა ქალს. როცა მას შეუსრულდა ოცდახუთი წელი და, როცა ის ვადადიოდა შავი ქვრივის ქუჩის ერთი მანსარდიდან მეორეზე, მას შეემთხვა ის, რაც შეხვდება აღრე თუ გვიან ყოველ აღამიანს. მეზობელ მანსარდში იდგა დღიური მუშა-ქალი უიულიერა. ლუი. შეხვდა უიულიერას ერთ საღამოს ვიწრო, ხრახნილ კიბეზე, შევიდა მასთან წუმწუმის ვაშოსართმევად, რადგან მისი კაჟი ვადახეხილი იყო და აღარ კვესავდა ნაპერწყალს. უიულიერასთან შესვლის შემდეგ იგი ვამოვიდა მხოლოდ დილით აღრე. მეორე დღეს უიულიერამ ვამოიტანა თავისი ორი პერანგი, ფინ-

ჯანი და ტანისამოსის ჩოთქი ლუის მანსარდში და, ამნაირად, იგი ჭახდა ლუის ცოლი. ერთი წლის შემდევ ვიწრო მანსარდში მათ ეწვევარე ფხელუა სტუმარი რომელიც ჩასწერს მერიაში „პოლ-მარია-რუს“ სახელწოდებით „აშე და უახლოვდა ლუი ქალს. შავრამ, შედარებით სხვებთან, რომლებითაც ისე სამართლიანად ამაყობს მშეენიერი პარიზი, ფიულიეტა არასდროს არ იკანოდა უდარდელი, თუმცა ლუი რუს იგი ძალიან უყვარდა, ვით შეუძლია სიყვარული კალატობს, რომელიც ზიდავს შეტად მძიმე ქვებს და აშენებს ლამაზ შენობებს.

აღმად, ის არასდროს არ იკანოდა მიტომ, რომ სცხოვრობდა შავი ქვრივის ქუჩაზე, საღაც მხოლოდ ერთხელ გაიცინა უდარდელად მოხუცმა მრეცხავმა მარიმ, როცა ის მიჰყავდათ შემლილების თავშესაუარში. უთუოდ, ის არ იკანოდა კიდევ მისთვის, რომ მას ჰქონდა მხოლოდ ორი პერანგი და ლუი, რომელსაც ნაკლებად ჰქონდა ხოლმე თეთრი და შავი ფული და, რომელიც ყალიონით პირში კუშტად დახეტიალობდა წმინდა ანტონის გარეუბანში,—არ შეეძლო მისთვის მიეცა თუ გინდ ერთი ყვითელი ფული ახალ ტანისამოს შესაკერად.

გაზაფხულზე 1869 წ., როცა ლუი რუ იყო 28 წლის და მისი შვილი პოლ კი ორი წლის, ფიულიეტამ აილო თავის თრი პერანგი, ფინჯანი, ტანისამოსის ჩოთქი და გადავიდა ყასაბთან—რომელიც ვაჭრობდა შავი ქვრივის ქუჩაზე! მან დაუტოვა ქმარს პატირა პოლ, რადგან ყასაბი იყო მეტად ნერვიული და, თუმცა მას უყვარდა ახალვაზდა ქალები, მაგრამ ბავშები სძულდა. ლუიმ აიტარა ბავში და, რომ არ ეტირა მას, დაუწყო ხელში ქანაობა, თუმცა ეს მას არ ეხერხებოდა, რადგან იგი იყო მიჩვეული მხოლოდ ქვის აწევას და არა ბავშების. შემდევ ყალიონით პირში გაპყეა ის წმინდა ანტონის გარეუბანის ქუჩებს. გას ძალიან უყვარდა ფიულიეტა, მაგრამ ესმოდა, რომ იგი სამართლიანად მოიქცა.

— მეხორცეს ბევრი კუითელი ფული აქვს, ნას შეუძლია იცხოვროს უკეთეს ქუჩაზე და მასთან ერთად ფიულიეტა დაიწყებს უჯარდელ ცხოვრებას. ლუიმ გაიხსენა სიტყვები, რომელიც მამა მისმა უან, ივლისის დილას,—წასვლის წინ,—უთხრა თავის ცოლს.—ლუის დედას:

— მე უნდა წავიდე და შენ კი მაჩერებ... მამალი ეძებს მაღალ ხარიხას, გემი — ფართე ზღვას, ქალი — მყუდრო ცხოვრებას.

ამ სიტყვების გახსენებაზე ლუი ფიქრობდა, რომ ის იყო მართალი, როცა აკავებდა ფიულიეტას, მაგრამ ფიულიეტაც არ იყო გასამტყუნებელი, როცა გაცვალა იგი მდიდარ ყასაბზე.

შემდევ ლუი ისევ აშენებდა სახლებს და ულოლიავებდა შვილს.

მაგრამ ჩქარი დაიწყო ომი და ბოროტი პრუსსიელები გარს შემოერტყნენ პარიზს. იხლა სახლების შენებისათვის ალარავის ეცალა და დაუმთავრებელ შენობების ტყეები თანდათან კარიელდებოდენ. პრუსსიელების ზირბაზნების ყუმბარები გასკდომის დროს ანგრევდენ მშეენიერ პარიზის შენობებს, რომელთა აშენებაში იმდენი შრომა დაპხარჯეს ლუიმ დ. სხვა კალატოზებმა

ლუი რუს არ ჰქონდა სამუშაო, არ ჰქონდა პური და სამი წლის პოლს უკეთ შეეძლო ყვავის ბაზალასაუით პირის დაღება. მაშინ ლუის მისცეს თოფი. მანაც აილო იგი და გაუდგა გზას. მაგრამ მას არ უმღერია და არ უყვირია „პური“!

თუმცა იგი, როგორც სხვა ბევრი ათასი კალატოზი, დურგალი და მჭედელი წა-
ვიდა ქალაქთა შორის ყველაზე ლამაზ პარიზის პრუსსიელებისაფრთხ. ჰასაკესად.
პატარა პოლ კი წაიყვანა თავის სახლში მწვანე დუქანის პატარაზე; კუჭისძლშა
ქალმა, ქალბატონში მონომ. ლუი რუ სხვა ხალათიანებთან ერთად ზამთრის სი-
ცივეში, ფეხშიშველი წმინდა ვინცენსიას ჭორტთან ეზიდებოდა ყუმბარებს
ზარბაზნებთან და ზარბაზნებს კი ესროლნენ ბოროტ პრუსსიელებს. ლუის რამო-
დენიმე დღეს არაფერი უჭამია, რადგან პარიზში სიმშილობა იყო. აღყის დროს,
ზამთრის ჯერ არ ნახულ სიცივის გამო, მას გაეცინა ფეხები. პრუსსიელების ყუმ-
ბარები ეცემოდნენ წმინდა ვინცენსიას ჭორტს და ხალათიანების რიცხვი თან-
დათან თხელდებოდა. მაგრამ ლუი რუ არ სტოვებდა თავის აღვილს, რადგან
იგი იცავდა პარიზს. მიუხედავათ სიმშილობის და სასტიკ სიცივეების — გაჩირალ-
დნებული იყო იტალიისა და კაპუცინის ხეივანები. კიდევ იყო საკმაო ბადახშის
სასმელები ფრანტებისთვის და ქალების სახეს არ შორდებოდა კვლავ უდარდე-
ლი სიცილი. ლუი რუ ატყობდა, რომ ახლა აღარაა იმპერატორი და, რომ პა-
რიზში რესპუბლიკა. როცა ეზიდებოდა ზარბაზანთან ყუმბარას, მას არ შეეძლო
დაფიქრებულიყო მასზე თუ რა არის „რესპუბლიკა“, მაგრამ პარიზიდან ჩამოსუ-
ლი ხალათიანები ამბობდნენ, რომ ხეივანების ყავახანები, როგორც ძველად, სავ-
სეა ფრანტებით და უდარდელი ქალებით. ლუი რუს ესმოდა მათი ბუზლუნი,
წარმოიდგენდა, რომ პარიზში არაფერი არ გამოცელილა, რომ „რესპუბლიკა“ იმ-
ყოფება არა ზავი ქვრივის ქუჩაზე, არამედ შვიდ შუქიან ვარსკვლავის ფართე
პროსპექტზე და რომ, როცა კალატოზები განდევნიან პრუსსიელებს, პატარა პოლ
ელახლა დააღებს პირს. ლუი რუმ იცოდა ეს, — მაგრამ იგი არ სტოვებდა თა-
ვის აღვილს ზარბაზანთან და პრუსსიელებმა ვერ შესძლეს პარიზში შესვლა.

მაგრამ ერთ დილას უბრძანეს მას დაეტოვებია ზარბაზანი და დაბრუნე-
ბულიყო ზავი ქვრივის ქუჩაზე. ხალხმა, რომელსაც ეძახდნენ „რესპუბლიკას“ და,
რომელთაც უთუოდ შეადგენდნენ ფრანტები და უდარდელი ქალები — შემოუმ-
ვეს ბოროტი პრუსსიელები მშვენიერ პარიზში. ყალიონით პირში ლუი რუ და-
დიოდა დალონებული წმინდა ანტონის გარეუბანში. პრუსსიელები მოვიდნენ და
წავიდნენ, მაგრამ არავინ არ ეშენებდა სახლებს. პოლ, როგორც ყვავის ბახალა,
აღებდა პირს და ლუი რუმ დაიწყო თოვის წმინდა. მაშინ კედლებზე გააკრეს
სასტიკი ბრძარება, რომ ხალათიანებს უნდა ჩამორთმეოდათ თოვები, რადგან
ფრანტებს და უზრუნველ ქალებს, რომელთაც ეძახდნენ „რესპუბლიკა“-ს, კარ-
გად ახსოვდათ 48 წ. „ივლისის დღეები“.

ლუი რუს და მასთან ერთად წმინდა ანტონის და სხვა გარეუბნების ხა-
ლათიანებს არ უნდოდათ ჩაებარებიათ თავიანთ თოვები. ისინი გამოვიდნენ ქუ-
ჩაზე თოვებით და იწყეს სროლა.. ეს იყო თბილ სალამოს, როცა პარიზში ის
იყო იწყებოდა გაზაფხული.

მეორე დღეს ლუი რუმ დაინახა თუ როგორ მიღიოდნენ ქუჩებზე მორთუ-
ლი კარეტები, გატენილი ეტლები, ჭურგონები, ურმები. ურმებზე ელაგა ყო-
ველგვარი სიმდიდრე, კარეტებში კი ისხდნენ ხალხი, რომელთაც ლუი ხშირად
უურნალი „მნათობი“ № 3.

ხედავდა დიდი ხეივანების ყავანანებში, ან ბულონის ტყეში, აქ იყვნენ ერთი ბეჭო გენერლები მაყველის ფერი კეპებით, მრისხანეთ ჩამოშეცემულ ულფაშებით ახალგაზღა ქალები ბაჭთებით შემოქარგულ ფართე იუბჭებით; სკოჭების ჩამოშვებული აბბატები—იისფერ სამკაულებით, ძველი ფრანტები მოლივლივე ქვიშის, ქერა და ყორნისფერ ცილინდრებით, ახალგაზღა აფიცრები, რომელნიც არას დროს არ ყოფილიან არც წმინდა ვინცენციას ფორტიან და არც სხვა ფორტებთან, დინჯი და მელოტი ლაქიები, ძალლები სუფთად დავარცხნილ აბრეშუმის ბეჭვებზე პატარა ლენტებით და მყვირალა თუთიყუშები. ყველა ისინი მიეჩარებოდნენ ვერსალის ბჭებისკენ, და, როცა სალამოს ლურ რუ წავიდა ოპერის მოედნისკენ,—მან დაინახა დაცალიერებული ხეივანები, საღაც ფრანტები აღარ სვამდნენ ბაღაშის სასწელებს და გადაკეტილი მაღაზიები, რომელთა გვერდით უკვე აღარ იცინოდნენ უდარდელი ქალები. ელისეის მინდვრების, ოტეილის და წმინდა უერმენის კვარტალების მცხოვრებლებს—გულდაწყვეტილებს ხალათიანებზე, რომელთაც არ ჩააბარეს თოფები,—დაეტოვებიათ მშენიერი პარიზი და, ასე გაშინჯეთ, ტროტტუარების ქვადაფის საჩკეები, რომლებშიაც აღარ კრთოდა სინათლის ანარეკლი,—სევდიანათ ჩაბნელებულიყვნენ. ლურ რუმ დაინახა, რომ „რესპუბლიკა“ წავიდა კარეტებით და ფურვონებით. ის შეეკითხა სხვა ხალათიანებს ვინ დარჩა მის მაგიერო—მას მიუგეს: „პარიზის კომიტენა“—ო. და ლურ მიხვდა, რომ პარიზის კომიტენა უნდა სცხოვრობდეს სადღაც შავი ქვრივის ქუჩის მახლობლად.

მაგრამ ფრანტებს და ქალებს, რომლებიც გაიქცნენ, არ უნდოდათ დაევიწყებიათ პარიზი — უმშვენიერესი ქალიქთა შორის. მათ არ უნდოდათ მიეცათ იგი კალატოზებისთვის, დურგლებისთვის და მჭედლებისათვის და ზარბაზნის ყუმბარებმა ხელახლა იწყეს ნგრევა სახლების. ახლა მათ ისროდენ არა პორტი პრესსიელები, არამედ „ინგლისის“ და სხვა ყავიხანების მუდმივი სტუმრები. და ლურ მიხვდა, რომ იგი უნდა დაბრუნდეს თავის ძველ აღვილზე წმინდა ვინცენსიას ფორტთან. მაგრამ მწვანე დუქანის პატრონი, ქალბატონი მონო, კამოდგა არა მარტო კეთილი ხასიათის ქალი, არამედ კეთილი კათოლიკეც. მან უარი სთქვა შეეშვა სახლში ულმერთოს შვილი, შვილი ლვთის მოძულის, რომელმაც მოჰკლა პარიზის ეპისკოპოსი. მაშინ ლურ რუმ ჩაიდო პირში ყალიონი, შეისვა მხრებზე თავისი შვილი პოლ და წავიდა წმინდა ვინცენსიას ფორტისკენ. იქ იგი ზიდაედა ყუმბარებს ზარბაზნებთან და პოლ კი თამაშობდა იქვე ცარიელ ვაზნების გვერდით. ლამით ბავშს ეძინა წყალსადენის დარაჯთან წმინდა ვინცენსიას ფორტის ახლოს. დარაჯმა აჩუქა პოლს ახალი ყალიონი, სწორედ ისეთი, როგორიც პეტონდა ლურ რუს და ავრეთვე ნაკერი საპონი. ახლა პოლს, როცა მობეჭრდებოდა სროლის გაგონება და ცქერა ზარბაზნების, რომელნიც წარამარა ახველებდენ ყუმბარებს—შეეძლო გაეშვა ხოლმე საპნის ბუშტები. ბუშტები იყვნენ სხვადასხვა ფერის — მტრედის, ვარდის და ლილისფერი. ისინი მიაგვდნენ ბურთულებს, რომლებსაც უყიდდენ ხოლმე მდიდრულად მორთულ ბავშებს ტულიერის ბალში ფრანტები და უდარდელი ქალები. მართალია, პოლ რუს ბუშტი ცოცხლობდა მხოლოდ წამს, ბურთულები ელისეის მინდერების ბავშების კი — ძლება.

დენ მოელ დღეს, მაგრამ ერთნიც და მეორენიც იყვნენ მშვენიერები, ერთნიც და მეორენიც სწრაფად ჰქონდნენ. როცა თიხის ყალიონიდან უშვეტდა! პალტუშ-ტებს,— მას ავიწყდებოდა პირის დალება და მოლოდინი პურის ნატურის. ასე გადა მიუახლოვდებოდა აღამიანებს, რომელთაც ზველი ეძახდა — „კომმუნარებს“ და, რომელთა შორის იმყოფებოდა ლუი რუ, — ის, მამასავით, დინჯად უჭერდა კბილებს ცარიელ ყალიონს. ხალათიანები შესვენების დროს ალერსით ეუბნებოდნენ პოლს:

— შენ ხარ ნამდვილი კომმუნარი!

მაგრამ ხალათიანებს ჰქონდათ ცოტა ზარბაზნები, ყუმბარების მცირე რიცხვი და თითონ ხალათიანებიც ცოტანი იყვნენ. მათ კი ვინც დატოვა პარიზი, და, რომელნიც სცხოვრობდნენ მეფეების ყოფილ რეზიდენციაში — ვერსალში, მოჰყავდათ ყოველ დღე ახალი ჯარისკაცები — ზვილები საფრანგეთის ძაბუნი და მოტუებული გლეხების; ეს აგრეთვე ახალი ზარბაზნები, რომელნიც აჩუქეს მათ ბოროტმა პრუსსიელებმა. ისინი სულ ახლო და ახლო უახლოედებოდნენ თხრილს, რომელიც გარს ერტყა პარიზს: უკვე ბევრი ფორტი იყო მათ ხელში და უკვე აღარავინ მოდიოდა მოკლულ მეზარბაზნეების გამოსაცვლულად, რომელნიც ლუი რუსთან ერთად იცავდნენ წმინდა ვინცენტის ფორტს. კალატოზი ახლა თითონ ეზიდებოდა ყუმბარებს, თითონ სტენიდა ზარბაზანს, თითონვე ისროდა და მას ეხმარებოდნენ მხოლოდ ორი გადარჩენილი ხალათიანი. საფრანგეთის მეფეების ყოფილ რეზიდენციაში გამეფებული იყო მხიარულება. სასწრაფოდ აგებული ფიცრული ყავახანები ვერ იტევდნენ ბადახშის სასმელების ყველა მსურველებს.

აბბატები იისფერ სამკაულებში სწირავდნენ სადლესასწაულო მოვლენებს, გრისხანეთ ჩამოშვებულ ულვაშების გრეხით გენერლები მხიარულათ ბასობდნენ ჩამოსულ პრუსსიელ ოფიცრებთან. მელოტი ლაქიები აღავებდნენ ბატონების გაფრაშებს და იყვნენ მზადებაში უმშვენიერეს ქალაქში დასიბრუნებლად. მდიდრული პარვი, — აშენებული ოცი ათასი მუშის ძვლებზე, რომელნიც დღე და ლამ სთხრიდნენ მიწას, კაფავდნენ ტაქეში გზას, აშრობდნენ ჭაობებს, საჩქაროდ, რომ მოესწროთ მეფისგან დაწესებულ დროსთვის, — ირთვებოდა ბაირალებით გამარჯვების დღესასწაულისთვის. დღით სპილენძის მესაყვირენი იბერავდნენ ლოყებს, ქვის ტრიტონები ცხრა დიდი და ორმოცი პატარა შადრევანების აფრიკევდნენ ფარისევლურ ცრემლებს, და ლამით კი, როცა სახურავ ახდილ პარიზში ჩამჭრალი სანთლები არ კრთოდნენ მოედნების ქვადაფზე — ურცხვად ელავდნენ ფოთლების შორის ბაზმების სადლესასწაულო ვენზელები.

ნაციონალურ ლაშქრის ლეიტენანტმა ფრანსუა დემონიანმა მოუტანა თავის საცოლეს გაბრიელ დე ბონოვეტს ნაზი ზამბაზების თაიგული, რაიც ამტკიცებდა საცოლესადმი მის კეთილშობილს და უმანქო გრძნობას. ზამბაზები ჩაწყობილი იყვნენ ოქროს პორტ-თაიგულში, რომელიც იყო მორთული ვერსალელ ჯავაირჩისგან ნაყიდი საფირონის თვლებით. თაიგული მოტანილი იყო აგრეთვე გამარჯვების მოსალოცად, — ფრანსუა დემონიან ჩამოეიდა ერთი დღით პარიზის ფრონტიდან. ის მოუყვა საცოლეს, რომ ინსურგენტები დამარცხდნენ; რომ

ხვალ მისი ჯარისკაცები იიღებენ წმინდა ვინცენტის ფორტს და შევლიან პარიზში.

— როდის დაიწყება ოპერის სეზონი? — ზეეკითხა გაძირდეს მარტინული მისამართისა.

ამის შემდეგ მათ დაიწყეს სააშიკო ჰიკეიკი, რომელიც, რა თქმა უნდა, ბუნებრივია ფრონტიდან დაბრუნებულ გმირ საქმროსი საცოლესთან, რომელიც უქარგავდა საქმაროს ატლასის ქისას. განსაკუთრებულ უნაზეს წამებში ფრანსუა მოუპერდა ხელს გაბრიელის ჰერამისფერ ლიფს და ეტკოდა:

— ჩემო ძვირფასო, შენ არ იცი თუ რა სასტიკი არიან ეს კომმუნარები! მე ბინოკლით დავინახე თუ როგორ ისროდა წმინდა ვინცენტის ჭორტთან პატარა ბავში ზარბაზანს და, წარმოადგინე, — ეს პატარინა ნერონი უკვე ყალიონსაც სწევს.

— მაგრამ თქვენ ხომ ყველას და, მათ შორის, ბავშებსაც ამოსწყვიტავთ — წაიჭიკეია გაბრიელმა და მისი მკერდი უფრო მიუახლოედა მძიმე ლაშქრობაში მონაწილე გმირის მკერდის. ფრანსუა დ'ემონიანმა იცოდა, რასაც ამბობდა. მეორე დილას მისი ათასეულის ჯარისკაცებმა მიიღეს ბრძანება წმინდა ვინცენტის ფორტის დაკავების შესახებ. ლუი რუ რაზე გადარჩენილი ამხანაგით ესროდა ჯარისკაცებს. მაშინ ფრანსუა დ'ემონიანმა უბრძანა აეფრიალებიათ თეთრი ბაირალი და ლუი რუმ, რომელსაც გაგონილი ჰქონდა, რომ თეთრი ბაირალი ნიშნავს ზავს, — შესწყვიტა სროლა. მან გაიფიქრა, ალბად ჯარისკაცებს ენანებათ უმშვერესი ქალაქის დანგრევა და ამიტომ ჰსურთ შერიცება პარიზის კომმუნასთან. სამი ხალათიანი მოცინარი სახით და ყალიონის წევით ელოდნენ ჯარისკაცებს და პატარა პოლს, რომელსაც მეტი საპონი აღარ ჰქონდა საპნის ბუშტების გასასროლად, — მაშინ მიპამვით ეჭირა პირში ყალიონი და ისიც იღიმებოდა. როცა ჯარისკაცები მიუახლოედნენ წმინდა ვინცენტის ჭორტს — ფრანსუა დ'ემონიანმა უბრძანა სამ მათგანს — მთიან სავოიის საუკეთესო მსროლელებს — მოეკლით სამიცე აჯანყებული. პატარა კომმუნარი კი მას უნდოდა დაეჭირა ცოცხლად, რომ ეჩვენებინა თავის საცოლესთვის.

სავოიის მთიულები იყვნენ საუკეთესო მსროლელები, და როცა ბოლოს შევიდნენ წმიდა ვინცენტის ჭორტში ჯარისკაცებმა დაინახეს სამი კაცი, რომელთაც მკაფათ ყალიონები და წამოწოლილიყვნენ ზარბაზნის გვერდით. ჯარისკაცებმა დაინახეს ბევრი მოკლულები და არ გაკვირებიათ. მაგრამ, როგორც კი მოჰკრეს თვალი პატარა ბავშს ყალიონით, — უეცრად დაიბნენ და მოიხსენეს — ხოგმა წმინდა იქსო და ზოგმაც ეშმაკები.

— საიდან გაჩნდი აქ, შე საძაგელო ბალლინჯო? — ჰკითხა ერთმა სავოიელმა.

— მე ვარ ნამდვილი კომმუნარი! — ღიმილით უპასუხა პოლ რუმ.

ჯარისკაცებს უნდოდათ მისი ხიშტებით დაგლეჯა, მაგრამ კაპრალმა უთხრა რომ კაპიტანმა ფრანსუა დემონიანმა ბრძანა წაეყვანათ პატარა კომმუნარი ერთ-ერთ იმ თერთმეტ პუნქტში, სადაც ერეკებოდნენ ყველა ტყვეთ წაყვანილებს.

— რამდენი ჩვენიანი ჰყავს მოკლული ამ პატარა ანგელოზს! — ბუზლუნებდნენ ჯარისკაცები და უჯიკიანებდენ პოლს კონდახებით. პატარა პოლ კი,

რომელსაც არას დროს არ მოუკლავს ადამიანი და მხოლოდ იცოდა საპას ზუმ-ტის გაშვება—არ ესმოდა თუ რატომ აგინებდენ და სტუქსავდენ, მას კულტურა

ოთხი წლის ტუვე — ინსურგენტი-პოლ რუ, ნაციონალურზელურების ჯა-რისკაცებმა წაიყვანეს აღებულ პარიზში. ჯერ კიდევ ჩრდილოეთის გარეუბ-ნებში სისხლით დაწრეტილები—იგერიებდნენ მტრებს—ხალათიანები და ელი-სეის მინდვრების კვარტალებში, ოპერისა და შვიდ შუქიან ეარსკვლავის ახალ კვარტალში კი უკვე მხიარულება იყო. იყო საუკეთესო თვე — მაისი, ჰყვაოდენ ფართე ბალების წაბლები და მათ ჩრდილში ყავახანების მარმარილოს მაგიდე-ბის გარშემო ფრანტები სვამდენ ბაზაბშის სასმელებს და ქალები უდარდელად ილიმებოდენ. როცა მათ გვერდით გაარონიეს პოლ რუ—ისინი მოითხოვდენ მიე-ცათ მათთვის პატარა კომმუნარი. მაგრამ კაპრალს ახსოვდა კაპიტანის ბრძანება და სასტიკად იცავდა პოლს. საშავიეროდ მათ აძლევდენ სხვა ტუვეებს მამაკაცებს და ქალებს. ისინი აფურთხებდენ ტუვეებს, სცემდენ კოპშია ჯოხებით, რა მოქან-ცულებს ავებდენ ბიშტებზე, რომელთაც ართმევდენ გვერდით გამვლელ ჯარის-კაცებს.

პოლ რუ მიიყვანეს ლიუქსემბურგის ბალში. იქ, სასახლის წინ, იყო შემო-ლობილი კარგა მოხრდილი ადგილი, საღაც ამწყვლევდენ ტუვე ინსურგენტებს. პოლ დინჯათ დადიოდა ტუვეების შორის თავის ყალიონით და ზოგიერთ, მწა-რედ მოტირალ ქალების, დასამშვიდებლად, ინბობდა:

— მე ვიცი საპნის ბუშტის გაშვება. ჩემი მამა ლუი რუ ეწეოდა ყალიონს და ისროდა ზარბაზანს, მე ვარ ნამდვილი კომმუნარი. მაგრამ ქალები, რომლებ-საც დარჩა სადღაც წმიდა ანტონის გარეუბანში ასეთივე ბავშები, რომელთაც შეიძლება ასევე უცვარდათ ბუშტების გაშვება, პოლს რომ უსმენდენ კიდევ უფ-რო მწარეთ სტიროდნენ.

მაშინ პოლ დაჯდა ბალაბზე და იწყო ფიქრი ბუშტებზე, რა ლამაზი იყ-ვნენ ისინი—მტრების, ეარდის და ლილისფერები. და რადგან მას არ შეეძლო დიდხანს ფიქრი და, ვინაიდან წმინდა ეინცენსიას ფორტიდან ლიუქსემბურგის ბალამდის იყო მეტად ძნელი და შორი გზა — ამიტომ მოქანცულ პოლს ხელში ყალიონით ჩქარა მიეძინა. სანამდის მას ეძინა ორი თოხარიცი მოაქროლებდა სწრაფად ვერსალის შოსსეზე მსუბუქ ლანდოს — ეს ფრანსუა დ'ემონიანს მოჰ-ყვდა თავის საცოლე გამბრიელ დებონივეტ მშვენიერ პარიზში. და არას-დროს გაბრიელ დებონივეტ არ იყო ასეთი ლამაზი, როგორც ამ დღეს. მისი მრგვალი სახე მოვაგონდებათ ფლორენციის ძველი მხატვრების პორტრეტებს. მას ეცვა ლიმონის ფერი ტანისამოსი მოქარგული ბაფთებით, რომელნიც მოქ-სოვილი იყვნენ მელქერინის მონასტერშა. პატაწინა ქოლგა იცავდა მისი ტანის ვაშლის კვირტების მხვავს მერთალ კანს მაისის მზის სწორი სხივებისაგან. ჭეშ-მარიტად, იგი იყო პარიზის უშვენიერესი ქალი. მან იცოდა ეს და უდარდე-ლად ილიმებოდა.

ქალაქში შესვლისას ფრანსუა დ'ემონიანმა დაუძახა თავის ათასეულის პირ-ველ შეხვედრილ ჯარისკაცს და გამოკვითხა, სად არის ტუვე, რომელიც მოიყ-ვანეს წმინდა უინცენსიას ფორტიდან. როცა შესკვარებულები შევიდნენ ლიუქ-

სემბურგის ბალში და დაინახეს აყვავებული ხნიერი წაბლები, გაფრითოლი სურნები მეღიჩის შადრევანზე, მოცქრიალე შავი შაშეები ალლეიგბზე გაბრიელ და ბონოვეტს სინაზით აევსო გული, მაგრად ჩასჭიდა ხელის რაჭმატონი. წასჩურჩულა:

— ჩემო კარგო, რა მშვენიერია ცხოვრება! ტყვები, რომელთა რიგებიდან ყოველ დღე მიჰყავდათ თითოულად დასახვრეტად, კაპიტნის დანახვაზე საშინელებამ მოიცვათ.

— ყოველი ფიქრობდა, რომ დგება მისი დახვრეტის ჯერი. მაგრამ ფრანსეა დ'ემონიანს არ მიუქცევია მათთვის ყურადღება. ის დაეძებდა პატარა კომმუნარს და როცა მიაგნო მას, მსუბუქი ფეხის კერით შეალვიძა იგი. ბავშვი გამოლვიძებისას — ცოტა იტირა. მაგრამ შემდეგ, რაკი დაინახა მხიარული სახე გაბრიელის, რომლის სახე არ მიაგავდა მის ირგვლივ შეკრებილ ქალების მწუხარე სახეებს — ჩაიდო პირში თავის ყალიონი, გაიღიმა და სთქვა:

— მე ვარ ნამდვილი კომმუნარი!

გაბრიელმა კმაყოფილებით წარმოსთქვა:

— მართლა, ასეთი პატარა! მე ვფიქრობ, რომ ისინი იბადებიან მკვლელებათ და ახლავე უნდა მოვსპოთ ყველანი, მათ შორის, ახლად დაბადებულებიც.

— შენ უკვე ნახე იგი და ახლა შეიძლება მოვრჩეთ მაგის დავიდარაბას — მიუგო ფრანსეუამ და დაუძახა ჯარისკაცს. მაგრამ გაბრიელმა სთხოვა ცოტა მოეცადა. მას უნდოდა გაგრძელებულიყო კიდევ პატარა ხანს ამ მსუბუქი და უდარდელი დღის სიტკბოება. გაბრიელს გაახსენდა, რომ ერთხელ ბულონის ტყეში ბაზრობაზე მან დაინახა პარაკზე ჩამოკიდებული თიხის ყალიონები, რომელთა შორის ზოგიერთი მარდათ ტრიალებდა. ახალგაზრდები სავარჯიშოთ ესროდნენ თოფებს თიხის ყალიონებს. თუმცა გაბრიელ დე, ბონივეტი იყო განთქმული აზნაურის შთამომავლობის, მაგრამ მას უყვარდა უბრალო ხალხის გასართობები და ამიტომ, გაიხსენა თუ არა ბულონის ბაზრობის გასართობი, — სთხოვა საქმიაროს:

— მე მინდა ვისწიველო თოფის სროლა! ნაციონალური ლაშქრის მებრძოლი აფიცირის ცოლმა უნდა იცოდეს თოფის ხმარება, ნება მომეცი ვესროლო ნიშანში ამ პატარა ჯალათის ყალიონს. ფრანსეუა დ'ემონიან არასდროს არ ეუბნებოდა უარს არაფერში თავის საკოლეს. მან რამოდენიმე ხნის წინათ აჩუქა მას მარგალიტის ყელსაბამი, რომელიც ღირდა ათასი ფრანკი. შეეძლო თუ არა ეთქვა უარი მისთვის ამ გულუბრყვილო სოფლურ გასართობში? ფრანსეუამ გამოართვა თოფი ჯარისკაცს და გადასცა საცოლეს.

თოფით შეიარაღებულ ასულის დანახვაზე ტყვები გაიქცნენ და შეჯგუფდნენ ერთად შემოლობილ იღვილის მეორე კუთხეში. მხოლოდ პოლ დამშვიდებული იდგა ყალიონით ხელში და იღიმებოდა. გაბრიელს უნდოდა მოეხვედრა ყალიონისთვის, როცა იგი მოძრაობაში იქნებოდა და, დამიზნებისას, შესძახა ბაჟში:

— ჩქარა გაიქცეცი! მე ვსროულობ! მაგრამ პოლს ხშირად პერნდა ნახული თოფის სროლა. ამიტომ იგი განაგრძობდა დამშვიდებულად ერთ აღგილზე დგო-

მას. მაშინ გაბრიელმა ვერ მოითმინა, ესროლა და, რადგან ეს სროლა გამჭელი ცდა იყო,—სავსებით მიეტევებოდა თუ ის ააცდენდა ნიშანს.

— ჩემო კარგო, მიმართა ფრანსუა დ'ემონიანმა, თქვენ განწონოთ გული სიყვარულის ისრებით, ვიდრე ტყვიებით თინის ყალიბისი. შეჰედეთ, თქვენ მოპკალით ეს ჯოჯო დი ყალიონი კი გადარჩა უვნებლად.

გაბრიელ დე ბონივეტს არაფერი არ უპასუხნია, იგი უცემეროდა პატარა წითელ წინწყალს, სუნთქვას უმატებდა და მაგრად ეკვროდა ფრანსუას. შემდეგ მისცა წინადაღება დაბრუნებულიყვნენ სახლში, რადგან მას მოენატრა საქმაროს ნაზი ილერსი. პოლ რუ, რომელიც ქვეყანაზე სკროვრობდა მხოლოდ ოთხ წელიწადს და, რომელსაც უველაზე მეტად უყვარდა თიხის ყალიონიდან საპნის ბუშტების გასროლა—იწვა უძრავად.

რამოდენიმე ხნის წინათ მე შევხვდი ბრიუსელში ძველ კომმუნარს — პიერ ლოტრეკს. მე დაუმეგობრდი მას და ყველასგან მიტოვებულმა, უპატრონო მომოხუცმა მაჩუქა მე თავის ერთად ერთი სიმდიდრე — თიხის ყალიონი, რომლიდანაც ორმოცდაათი წლის წინათ პატარა პოლ რუ უშვებდა საპნის ბუშტებს. მაისის დღეს, როცა ოთხი წლის ინსურგენტი მოკლული იქმნა გაბრიელ დე ბონივეტის მიერ — პიერ ლოტრეკ მომწყვდეული იყო ლიუქსენბურგის ბალის ჩიხზი. თითქმის ყველა, ვინც მასთან იყო, ვერსალელებმა დახვრიტეს. პიერ ლოტრეკი გადარჩა იმით, რომ ვიღაც ფრანტებმა მოისაზრეს, რომ მშვენიერ პარიზისთვის, რომელიც მოისურვებს კიდევ უფრო გამშვენიერებას, საჭირო იქნება — კალატოზები, დურგლები, და მჭედლები — პიერ ლოტრეკ გადაასახლეს ხუთი წლით. ის გაიქცა კაიენიდან ბელგიაში და მთელი ვაების და წვალების შემდეგ, როგორც იქნა, გადაარჩინა ყალიონი, რომელიც იპოვა პოლ რუს გაციებულ გვამთან. მან გადმომცა ეს ყალიონი და აგრეთვე მომიყვა მას, რაც მე ახლა გიამბეთ.

მე ხშირათ ვეხები მას ლვარძლისაგან გაფითრებული ტუჩებით. მასში კიდევ მოსჩანს კვალი სინაზის და უმანკოების, კვალი დიდი ხნის წინად ვამსკდარ ბუშტების, — მაგრამ ეს სათამაშო პატარა პოლ რუსი, რომელიც მოპკლა ქალაქთა შორის ყველაზე უმშვენიერესი პარიზის უმშვენიერესმა ქალმა — გაბრიელ დე ბონივეტმა — ჩემს გულში ანთებს ლრმა სიძულვილს. როცა ვეხები მას, — მე გვედრებით მხოლოდ ერთს, როდესაც დაინახოთ თეთრი ბაირალი, — არ დაუშვათ თოვები ძირს, როგორც ეს ქნა საცოდავმა ლუი რუმ და, ცხოვრების მთელი სიამოვნებისთვის ნუ უდალატებთ წმინდა ვინცენსიას ფორტს, რომელზედაც კიდევ არიან გამაგრებულნი სამი გაშმაგებული ხალათიანი და ბავში, რომელიც უშვებს საპნის ბუშტებს.

თარგმანი: გახო გორგაძის.

ვასილი კაზიხიძან



ღ ე ნ ი ნ

ვის გული ფეთქდა შეტ გახელებით
ზღვასავით ვრცელი მხნე, უდევარი:—
ო, ზვიად ბრძოლის დაანთე ქარი,—
დაკორძებული მონის ხელებით.

ო, წინამძლოლო,— მთებზე მაღალი,—
როგორც მიწისძვრა, ბრინჯაოს მორი—
ხარ წამებულთა ალთქმა ახალი
და პროლეტარებს სდარაჯობ შორით.

შენ—ისტორია,— შუშა დროების,—
პარადის კართან უხმოდ გდებული,
წინ გაჟანე ავ ურდოებით
ძლიერ ციკლონით ამხედრებული.

და, აი, გრგვინავს ახალი წელი,
ვით ლამით ციდან ვარსკვლავი მცდარი.
მეფეთ გვირგვინებს მოსთიბავს ცელი,—
უბსკრულში ცვივა ტახტი გამტყდარი.

ცეცხლის მოხეთქამ მთები მოპლუნა,
ალსდგა რუსეთი და ტანჯის ურჩი
ჩვენ ვჭედავთ, ვჭედავთ, ვჭედავთ კომმუნას
დღეს დიქტატურის მძიმე ჩაქუჩით!



ბებერ უცროპის მქერდი დამზრალი,
სდგება ძარღვიან, მძლე აჯანყებათ
და უჩვეულო ზეიმით მთვრალი
სუნთქავს ჩაგრულთა ურიცხვი წყება

მეხი გრიალით დაეცა ციდან:
შამანის, ბრაშმის, ბუღზის მთვარებას,
მას მონა ჩუმად შეეხარება
საუკუნეთა მძინარ ნისლიდან.

მიწით დაჭმული,—რკინა პიტალო,—
იცვლება ძველი ქვეყანა ორთოლით;
მსოფლიო ალსდგი დღეს კაპიტალზე
ფართე ცეცხლების მაგარი რგოლით!

ეის გული ფეთქდა მეტ გახელებით
ზღვასავით ვრცელი, მნე, უდეგარი.
ო, ზეიად ბრძოლის დაანთე ქარი
დაკორძებული მონის ხელებით!

თარგმ. ვახო გორგაძის.



ՀԱՆԱՅԻՐ ՊՈՅՈ



თ. ვ ა ბ 6 9 6

ჰუმანიტარული მეცნიერებების კუთხით მეცნიერებების

იქ,

სად ბრძანებლობს თვითნებობა საშინელი

და,—დღე ყოველი,—

სადაც მწარდება ჯალათის ხელით,

იქ,

სად ტრიალებს სიკვდილის ჩრდილი

და სდენის ბაგე დასალტული და ფერმიხდილი—

თქვენ იქ ასწიეთ დროშა თამამად

და გარცურაჟზე დაატრიალეთ გუგუნი ბრძოლის,

რომ დაგემსხვრიათ ბორკილი მონის.

ტყვიების სტვენით,

კონონადებით

დაბუგეთ იჭვი,

ქცევა მხდალური

და გამარჯვება ლეგენდარული

გერგოთ რაინდებს.

სპეტაკი სისხლით შეიღება ბარტიკადები

მაშინ, როცა თქვენ,

ხელში თოფებით,—

სდარიჯობდით ბრწყინვალე დღეებს.

მაგრამ აღმოჩნდა მტერი ძლიერი



და სისხლის ჩქერი
მოედო ქუჩებს ზათქით, ხროებით
და ბრძოლის ველზე განმარტოებით
დარჩით თქვენ—
ძლიერ ჰამბურგის რჩეულნო მებრძოლებო!

ო, ჰამბურგ,
ძეირფასია შენი მაგალითი შეუდარები—
ლამის წავდიადში ანათებდი, როგორც მზე მხიარული...
მაგრამ
ჩაინგრა მკერდი ალური
და სისხლით მორწყე მტრების დანები..
ჯერ კიდევ გუშინ—
ქრძალვით გისმენდა ექვატორი
და მუშური გულით ყურს გიგდებდა ქვეყანა მთელი
დღეს კი,— დაეცი უსწორო ბრძოლაში,—
როგორც დაჭრილი გლადიატორი!
ეგ სასიკვდილო თრთოლა და ეგ ვაება
ჩვენთვის ყავარჯენია
და მოწოდება — ცეცხლით გამთბარი...—
იცოდე ჰამბურგ:
ამ მკვდარ თავებზე—
მედგარი ნაბიჯით ჩეენ მოვიპოებთ გამარჯვებას!

თარგმანი: ვასო გორგაძის.

ბ ა ი რ თ ხ ი



კ ა მ ნ ი

მ ი ს ც ე რ ი ა

მომქმედი პირი:

ადამი	ლიუციფერი
გაენი	ქალები
აბელი	მ კ ა
სულები	ა დ ა
ანგელოზი	წილება
შირვალი მ თ ქ მ ე დ ბ ა	

სცენა პირველი

მოქმედება სწარმოებს მიწაზე ედემის ახლო, დრო—მზის ამოსვლა.

ადამი, ევა, კაენი, ადამი, ადა და ზოლლა.


ყველა ლოცვას ასრულებს კაენის გარდა.

ა დ ა მ ი

დაუსაბაძო! ყოვლად ბრძენო! დიალო! ღმერთო!
ვინაც სინათლით გააშუქე უფსკრულის თავზე
გადაფენილი შავი ლამე—ო, იელოვა!
უკუმოქცეულ მზესთან ერთად—დიდება შენდა!

ე ვ ა

ო, იელოვა! ვინც ლალად ჰყავ სახელი დღისა.
ვინაც ზეირთს ზეირთი განაშორე, ლამისგან დილა
განაცალკევე და საკუთარ ქმნილების ნაწილს
შემდეგ ხმელეთი, ვინც უწოდე—დიდება შენდა!



ა ბ ე ლ ო

ო, იელოვა! სტიქიონებს ვინაც უტრძანე,
რომ ყოფილიყენენ წყალი, ცეცხლი, ჰერი, მიწა, და დამაკაცია
დღე და ლამესთან, შიგ გახვეულ ქვეყნებთან ერთად,
ვინც სულდგმულები გააჩინე, რომლებსაც ძალუბთ
მათი და შენი სიყვარული—დიდება შენდა!

ა დ ო

ო, იელოვა! მამაო და უფალო არსოა,
ვინაც ჩაუდგი ამ ლმობიერ ცხოველებს სული
ცველაზე უფრო მშვენიერებს და, შენს გარეშე,
ცველაზე უფრო საყვარელებს, ნება მომეცი,

ჰ ო ლ ლ ო

ღმერთო! რომელიც ცოველივეს აკურთხებ მალლით!
შენ, ცველაფერის მოყვარულმა, დართევი ნება,
რომ თვით გველიც კი დაცოცავდეს მიწაზე, ხოლო
მამა ჩემი კი სამუდამოდ მოწყვიტე ედემს,
სხვა ბოროტება აკვაშორე—დიდება შენდა!
შენ რისთვის სდუმხარ, შვილო ჩემო პირველო, კაენ?

კ ა ე ნ ო

მე რა უნდა ვსთქვა?

ა დ ო მ ო

შენც ილოცე.

კ ა ე ნ ო

თქვენ ხომ ილოცეთ?

ა დ ო მ ო

ჰო, ჩვენ ვილოცეთ ვულმხურეალედ

კ ა ე ნ ო

და მაღალის ხმით —

მე გავიგონე

ა დ ო მ ო

მაქვს იმედი, ავრეთვე ღმერთმაც.

ა ბ ე ლ ო

ამინ.

ა დ ო მ ო

მაგრამ შენ, შვილო ჩემო პირველო, სდუმხარ.

კ ა ე ნ ო

მე კიდეც ასე უნდა ვსდუმდე.

ა დ ო მ ო

მითხარი რისთვის?

კ ა ე ნ ო

მე როდი ვიცი სათხოვარი რა უნდა მქონდეს.



ა დ ა მ ი

და ან მაღლობა რისთვის უნდა შესწირო?

კ ა ე ნ ი

დიახ.

ა დ ა მ ი

მაგრამ შენ სცოცხლობ.

კ ა ე ნ ი

მე მოვკვდები.

ვ ა ვ ი

აჰა—ვაიმე!

უკვე დამწიფდა აკრძალული ნაყოფი ხისა

და ძირს ვარდება.

ა დ ა მ ი

და ჩვენ უნდა ვიგვემოთ იგი
განმეორებით. ო, უფალო, რისთვის დარგევი
შენ ხე ცოდნისა!

კ ა ე ნ ი

ხე ცხოვრების იქვე პყვაოდა
და რად არ უნდა გეჭამოთ თქვენ ნაყოფი მისი?
მაშინ ხომ პირქვე ლვთის წინაშე არ ემხობოდით.

ა დ ა მ ი

ნუ სცოდავ უფალს, შეილო ჩემო! ეს სიტყვებია
გველის, რომელმაც ჩვენ გვაცდუნა.

კ ა ე ნ ი

თქვენ გამცნოთ გველმა
ჰეშმარიტება; იგი იყო ხე ცხოვრებისა.
ეს ცოდნის ხეა; ცხოვრება ხომ არის სიკეთე,
ცოდნაც უთუოდ სიკეთეა; ნუ თუ ორივე
არიან ერთად ბოროტება.

ვ ა ვ ი

შენ ლაპარაკობ

სულ იმნაირად, შვილო ჩემო, ვით დაცემის ქამს
მე—მაშინ, როცა შენი თავი არ მყავდა კიდევ.
ნუ დამანახოს ჩემი ცოდვა განახლუბული
მე შენში ლმერთმა. დავიტირე ცრემლებით იგი
და ნუ თუ ვნახავ აქ, ედემის ზღუდეთა გარეთ,
მე ჩემს პირმშო შვილს ვამოხვეულს იმავე ქსელში,
რომელმაც მისი უბედური მშობლები ედემს
ჩამოაშორა? შეურიგდი იმას, რაც არის.

ო, რომ გვეკმაროს ჩვენ მხოლოდ ის, რაც არსებობდა,
შენც გექნებოდა, შვილო ჩემო, მშვიდობა სულის!

ა დ ა მ ი

ლოცვა გათავდა, და ეხლა კი მივხედოთ უკეტიშოთ—
თავის საკუთარ სამუშაოს; ჩვენი საშრომი
არის მსუბუქი და საჭირო აუცილებლად;
მიწა ნორჩია მეტისმეტად და სიყვარულით
გვაწვდის ნაყოფებს.

ე ვ ა

ჩემო კაენ, შეხედე მამას—
გული მისი მაგარია და მხიარული.
შენაც ისეთი უნდა იყო.
ზღამი და ევა გადიან).

ჰ ი ლ ლ ა

ან თუ არა გსურს?

ა ბ ე ლ ი

რა საჭიროა ასე მძიმედ წარბების შეკვრა?
ეს შენ სიკეთეს არ მოგიტანს, არამედ იგი
მაღალი ღმერთის განრისხებას დაგატეხს თავზე.

ა დ ა

ძეირფასო კაენ, ჩემზე მაინც რამ გაგაჯავრა?

კ ა ე ნ ი

ო, არა, ადა! სჯობს მცირე ხნით დამტოვოთ მარტო.
მე ვსწუხვარ, აბელ, მაგრამ სევდა გაივლის ალბად;
წადი ეხლავე და მეც, ძმაო, არ დავაყოვნებ.
თქვენც გაეშურეთ, ჩემო დებო: მე მეშინია—
თქვენი სინაზე საკალრისად ვერ დავათვასო,
და მეც სულ მალე იქ გავჩინდები

ა დ ა

თუ არ მოხველი,
მე ისევ უკან დავბრუნდები შენს წასაყვანად.
(აბელი, ზილლა და ადა მიდიან).

კ ა ე ნ ი (მარტო).

რა სიცოცხლეა ეს სიცოცხლე? იშრომე! მაგრამ
შრომა სასჯელად რისთვის მერვო? ნუ თუ იმიტომ,
ჩემთა მშობელმა სამოთხე რომ ვერ შეირჩინა?
ნუ თუ მე ვარ აქ დამნაშავე?—არ გავჩენილვარ
ჩემი სურვილით; დაბადება არ მიძებნია:
მე როდი მიუვარს ამნაირი მდგომარეობა,
რომელსაც ეხლა დაბადების შემდეგ განვიცდი.
რისთვის დაუთმო მან ქალსა და გველის ცდუნებას?

და, თუ დაუთმო, რა არის აქ წამების ლირსი?
 სად არის მასში ბოროტება? ის ხეხილი ხომ
 დარგული იყო და ივი მას რად აუკრძალეს?
 ხოლო თუ იყო აკრძალული, შეა ედემში
 ყველაზე უფრო მშეენიერად რისთვის ჰყვაოდა
 მამა ჩემის წინ? ისინი კი ყველა კითხვებზე
 მხოლოდ ერთ პასუხს იძლევიან: „ეს ნება იყო
 მისი და ივი არს კეთილი.“ — მე ვით დავრწმუნდე?
 ვიცი, ის ყოვლად ძლიერია, მაგრამ აქედან
 არ შეიძლება დავასკვნათ, რომ ის კეთილია.
 მე ვმსჯელობ მარტო ნაყოფების მიხედვით, ხოლო
 ის ნაყოფი კი, რომლითაც მე უნდა ვიკვებო
 სხვისი ცოდვების გულისათვის — მწარეა მეტად.
 იქ ვისა ვხედავ? ალბად ივი ანგელოზია.
 მაგრამ ვვონებ, რომ სხვებზე უფრო მკაცრია სახით
 და ნალვლიანი... მაინც ასე რისთვის ივთრთოლდი?
 რით არის უფრო საშინელი ეს იმ სულებზე,
 რომლებსაც ვხედავ მე ყოველდღე ცეცხლოვან ხილებით
 ედემის ბჭესთან ამართულებს, სადაც მე ჩუმად
 დავეხეტები სალამოთი, თვალი რომ მოვკრა
 ბალებს, რომლებიც მე მექუთვნის მემკვიდრეობით...
 დავეხეტები იქ მანამდე, ვიდრე წყვდიადი
 არ დაეშვება ზღუდეებზე, საღაც მცველებად
 უკვდავ ხეხილებს თავს ადგიან ქერუბიმები.
 მაგრამ, თუ მე იმ ანგელოსთა ცეცხლის მახვილებს
 არ გავჩერებივარ არასოდეს, მაშინ ამის წინ
 რისიღა უნდა მეშინოდეს? თუმცა ეს სხვებზე
 უფრო ძლიერი მეჩვენება და იმგვარადვე
 მშეენიერებით ალჭურუილი, მაგრამ, მგონია,
 არ არის ისე მშვენიერი, როგორიც იყო,
 და ან როგორიც შეიძლება რომ ყოვილიყოს.
 თითქოს ნალველი შერევია მის უკვდავებას,
 როგორც ნაწილი განუყრელი. — თ, ნუ თუ მართლა?
 ნეტავი ნალველს, კაცის გარდა, ვინ იცნობს კიდევ?
 ის მოახლოვდა — ჩუ!

ლიუციფერი
 მოკვდავო!

კ ა ე ნ ი

სულო! ვინა ხარ?

ლიუციფერი

მე ვარ სულების მბრძანებელი.





კ ა ე ნ ი

როგორ დასტოვე შენ სულები იმისთვის, რომ აქ
მტვერს შეხვედროდე?

ლიუციფერი

მე ვიცი თუ რას ფიქრობს მტვერი.
მტვერს თანაუგრძნობს ჩემი გული.

კ ა ე ნ ი

როგორ! ო, ნუ თუ,

შენ ჩემს აზრებში ჩაიხედე?

ლიუციფერი

ჰო, ჩავიხედვ;

ეს აზრებია ყველასი, ვინც ლირსია, რომ მას
ჰქონდეს აზრები; ეს ხმა არის შენ სულისა,
უკვდავი სულის მეტყველება.

კ ა ე ნ ი

უკვდავი სულის?

ამის შესახებ განცხადება არას მოგვითხრობს;
მამა ჩემს ხილი ცხოვრების ხის არ უჭამია,
დედა ჩემმა კი მოსაწყვეტად ხელი შეახო
ნაყოფს ცოდნისას; ეს ნიყოფი არის სიკვდილი!

ლიუციფერი

მათ შეცდომაში შეგიყვანეს; იცოცხლებ.

კ ა ე ნ ი

დიახ,

ეცოცხლობ კიდევაც, მაგრამ მხოლოდ იმისათვის ვცოცხლობ,
რომ მოვკვდე შემდეგ; მე ეცოცხლობ და მას კი ვერ ვხედავ,
თუ რისთვის არი საშინელი სიკვდილი, თუმცა
ვკრძნობ თანდაყოლილს დაუძლეველს, მაინც საზიზლარს,
სიცოცხლისადმი მისწრაფებას, რომელიც მე მძაგს,
ისე, უით თავი საკუთარი. აი ამგვარად
ვცოცხლობ. ო, ნერა დაბადება არ მღირსებოდეს!

ლიუციფერი


უნდა იცოცხლო და იცოცხლებ შენ სამუდამოდ.
ნუ იფიქრებ, რომ ყოფნა იყოს, მიწა, ის მიწა,
რომელშიც შენ აქ მცირე დროით განსახიერდი.
იგი გაივლის და დარჩები არა ნაკლები
იმაზე, რაც ხარ შენ ამ ქამად.

კ ა ე ნ ი

მაგრამ არც მეტი?

ლიუციფერი

ეგებ შენ გახდე ჩვენისთანა.



კ ა ე ნ ი

თქვენ როვორი ხართ?
ლიუციფერი

ჩვენ ვართ უკვდავნი.

კ ა ე ნ ი

ბეღნიერნიც?
ლიუციფერი

ჩვენ ვართ ძლიერნი.

კ ა ე ნ ი

და ბეღნიერიც?

ლიუციფერი

არა. შენ?

კ ა ე ნ ი

მე? ხომ ხედავ თვითონ.

ლიუციფერი

საბრალო მტვერო! ნუ თუ შენაც, შენც შეგიძლია
რომ შენი თავი უბედურად დასახო! შენაც!

კ ა ე ნ ი

არა? მაგრამ შენ, სთქვი, ვინა ხარ? მაუწყე, ვინ ხარ
მთელი შენი ძლიერებით?

ლიუციფერი

მე ის ვარ, ვისაც

ჰქონდა განხრახვა და სურვილი გასწორებოდა,
იმას, ვინაც შენ გაგაჩინა. მე შენ მაგნაირს
როდი შეგქმნიდი.

კ ა ე ნ ი

ო, შენ თითქმის ღმერთს ჰგავხარ, მაგრამ...

ლიუციფერი

მაგრამ ჩე ღმერთი არ ვარ მაინც; და რადგანაც მე
ვერ გავხდი იგი, ამის შემდეგ ჩე როდი შინდა
ვიყო სხვა რამე, გარდა ჩემი საკუთარ თავის.
მან გაიმარჯვა და იმეტოს იმან.

კ ა ე ნ ი


ვინ—იმან?

ლიუციფერი

ვინც შეჰქმნა მიწა.

კ ა ე ნ ი

აგრეთვე ცა და ყველაფერი,
რაც არის მათზე, ამნაირად ვას უგალობენ
სერაფიმები; მამა ჩემიც ამასვე ამბობს
იმის შესახებ.



ლიუციფერი

იძულებით ამბობენ ამას,

რომ განრისხებულ ღმერთისაგან არ დაისაჯონ

როგორც მე და შენ დავისაჯეთ; მე სულთა შორის,
ადამიანთა შორის კი შენ.

კ ა ე ნ ი

ეგ ვინ არიან?

ლიუციფერი

სულნი, რომლებმაც უკვდავება შეივნეს თვისი,
ვინც გაუბედეს უოვლად შემძლე მტარვალის სახეს,
მის უკვდავ სახეს. ვაუტეხლად თვალის შემართვა
და თქმა, რომ მისი ბოროტება არ არს სიკეთე:
ის გვეუბნება, რომ იგია შემქმნელი ჩვენი.

შე ეს არ ვიცი და არც მინდა რომ დაეიჯერო
ამის სიმართლე: ხოლო თუ კი მართლაც ის არის
ჩვენი გამჩენი, ჩვენს მოსპობას, სამაგიეროდ,
ვერ შესძლებს იგი ვერასოდეს; ჩეენ ვართ უკვდაენი!...

და კიდევ მეტი: უკვდავება ჩვენი სჭირდება
მას იმისათვის, რომ არ ექნეს არასდროს ბოლო
წამებას ჩვენსას. აგრე იყოს; მან ვაიმარჯვა!

მაგრამ ის თავის გამარჯვებით ბეღნიერია
ეგებ ნაკლებად, ვიდრე ჩვენ ვართ ბეღნიერები

მის წინააღმდეგ ამხედრებით. არა, კეთილი
არ წარმოშობდა ბოროტებას და ვერც შესძლებდა

რომ წარმოეშვა. და იმის კი სხვა არაფერი

არ შეუქმნია. დაე ეხლა ის თავის ტახტზე

განმარტოებით ბრძანდებოდეს და ჰქმნიდეს ქვეყნებს,

რომ მან თავისი უკვდავება, ყოფნა მარადი,

თანამოხიარს მოკლებულმა, გაართოს ამით!

დაე აშენოს პლანეტები მან პლანეტებზე;

მტარვალი იგი დაუშლელი და უნაპირო

მარტოდ მარტო! რომ შეეძლოს იმის მოსპობა

თავისი თაქის, უსათუოდ ეს იქნებოდა

საუკეთესო ძლვენი მისი ძლიერებისა.

მაგრამ დაუთმოთ ბრძანებლობა, დაე იმეტოს

და განამრავლოს თავისივე უბედურება!

სამაგიეროდ ჩვენ, სულები, და თქვენ, მოკვდავნი,

ერთი ერთმანეთს თანაუკრძნობთ: და მით, ერთგვარად

აურაცხელი სასჯელების მსხვერპლად ქცეულნი,

ნაწილობრივად ჩვენს წამებას მაინც ვანელუბთ.

მაგრამ იგი კი, საკოდავი თვის სიმაღლეში,


ესდენ ტანჯული უნაყოფო შემოქმედებით,
ვალდებულია ჰქმნიდეს იგი და ჰქმნიდეს კვალადის რეანილია
და შეიძლება საკუთარი არსიღან იმან ცისტიკური
ოდესმე თავის ძე წარმოშოს,—სწორედ იმგვარად
როგორც თქვენ მამა ვაგიჩინათ... მაგრამ თუ კი ეს
განხორციელდა,— ძე იმისი გახდება მსხვერპლი!

კ ა ე ნ ი

შენი სიტყვები ეხებიან იმნაირ საგნებს,
რომელნიც უკვე ბუნდოვანად აკრთობდნენ ჩემს ფიქრს:
ტყვილად ვცდილობდი შერიგება თვალით ნახულის,
რომ მომეხდინა იმასთან, რაც მსმენია ყურით,
ჩემი მშობლები მიუკებიან რაღაც გველებზე,
ხეხილებზე და ნაყოფებზე; მე ვხედავ ბჭეებს
იმ ადგილისას, სადაც იყო სამოთხე მათი,
და იქ გშუაგად მდგომ ცეცხლოვან ქერაბიმებსა,
ვინც გააძევა ისინი და მეც მათთან ერთად;
აუტანლობა ვიგრძენი მე სამძიმო ზრომის
და აბეზარი აზრებისა; მე ვიმზირები
ჩემს გარშემო, ვაკვირდები სამყაროს, სადაც
მე არაფერი არა ვსჩანვარ, მაგრამ აქ ჩემში
იმნაირ ფიქრებს აქვს ადგილი, რომ მათ წინაშე
უნდა დაემხოს ყოველივე. მაგრამ ვაზროვნობ
მე სულ უსიტყვოდ სიჩუმეში; მე ამ წამებას
მარტო ვატარებ. მამა ჩემი დაემორჩილა,
დედა ჩემს უკვე დაავიწყდა ის მტკიცე სული,
რომელსაც ცოდნა ისე სწყურდა, რომ საუკუნო
დაწყევლა იმას არ აკრთობდა; ჩემი ძმა არის
უბრილო მწყემსი, იგი მუდამ რჩეულ ზეარაკებს
მსხვერპლად სწირავს დიდის ლოცვით იმის წინაშე,
ვინაც უბრძანა დედა-მიწას, რომ არ დაგვითმოს
მან ჩვენ უოფლოდ არაფერი; ჩვენი ზილლა კი
ცლილობს ყოველთვის, რომ დაასწროს დილის ფრინველებს
სავალობელის ზეავლენა, აგრეთვე ადას,
ჩემს ძვირფას ადას, მტრედივით წანარს, იმაზე მეტად
არ გაეგება ეს ზრახვანი, მე რომ მტანჯავენ.
დღემდე არასდროს მე ქმნილებას არ შევჭედრივარ,
ისეთს, რომელიც ჩემს წამებას თანაუგრძნობდეს.
მე მიხარია, თუ სულებთან დავიჭრ კავშირს.

ლიუციფერი

თუ კი რომ შენში იმნაირ სულს არ ჰქონდეს ბინა,
რომელიც მუდამ ლირსი არის ამ კავშირისა,



მაშინ მე შენს წინ ისე როდი გაეჩერდებოდი.

თქვენს შესაცდენლად ძველებურად კმაროდა გრძელებურად
კ ა ე ნ ი

ო, ნუ თუ შენ ხარ, დედა ჩემი რომ შეაცდინე?

ლიუციფერი

სხვის საცლუნებლად მე არასფერს არ ვხმარობ, გარდა
ცემარიტების: ხე იგი ხომ ცოდნის ხე იყო,
და ნუ თუ იქვე ცხოვრების ხეს არ ესხა ხილი?
მე უკრძალავდი მის მოკრეფას? ან მე დავრგევი
ხე აკრძალული ნაყოფით იქ—ორი უმანკო,
და უმანკობის გამო მეტად ცნობისმოყვარე,
არსებობს თვალწინ. მე განზრახვა მხიბლავდა ერთი,—
მსურდა ლმერთებად თქვენი ქცევა; და თვითონ იმან,
ვინც გაგაძევათ,—გაგაძევათ იმის გულისთვის,
„რომ თქვენ ნაყოფი ცხოვრების ხის არ შეგეჭამათ
და იმის შემდეგ ლმერთებივით არ ყოფალიყოთ.“
ეს ხომ იმისი სიტყვებია?

კ ა ე ნ ი

აგრე სთქვეს იმათ,
ვინც ეს სიტყვები გაიგონა ჭიქა-ჭუხილში.

ლიუციფერი

და მაშ დემონი ვინ ყოფილა თქვენი? იგი, ვინც
თქვენ არ დაგიშვათ, რომ გეკრიფათ ხე ცხოვრებისა,
თუ ის, რომელიც გიმზადებდათ თქვენ უკედავებას
დიდებაში და შემეცნების ღრმა სიხარულში?

კ ა ე ნ ი

ო, რატომ იმათ არ შესჭამეს ნაყოფი, როგორც
ერთი ხის, ისე მეორესი, ან სულ არცერთი!

ლიუციფერი

მაგრამ ერთი ხომ იმათვანი თქვენია უკვე,
ხოლო მეორის დაუფლებას ეცადეთ.

კ ა ე ნ ი

როგორ?


ლიუციფერი

ბრძოლიში თავის საკუთარი სახის შერჩენით.
არ არის ძალა, რომ შეეძლოს დაძლევა სულის,
როდესაც იმას თავის, თავად დარჩენა უნდა
და სურვილი აქვს გადაიქცეს მსოფლიოს ცენტრად,
სადაც გაზდება მბრძანებელი იგი.

კ ა ე ნ ი

მაგრამ შენ...

შენა ხარ, კინაც შეაცდინა ჩემი მშობლები?



ლიუციფერი

საბრალო მტევერო! მე? აბა მე რისთვის მინდოდა უკრიანებელი
თქვენი შეცდენა? ან რაგვარად?

კ ა ც ნ ი

მაგრამ ამბობენ,

რომ გველი იგი სული იყო.

ლიუციფერი

ვინ ამბობს ამას?


არა, ამაყი მბრძანებელი სულთა დასების,
მაგვარ სიცრუეს არასოდეს არ იყადრებდა,—
თუმცა კი კაცის სასაკილო თავმოწონებას
უნდა, რომ თავის საშარცხვინო დაცემა სულებს
გადააბრალოს. გველი იგი კი გველი იყო —
იმგვარი მტევერი, არც ზედმეტი და არც ნაკლები,
როგორც თითონ ისინი, ვინც მან შეაცდინა.
მათებრ ბუნებით მხოლოდ მტევრად დაბადებული,
ის სიბრძნით უფრო მაღლა იდგა, რადგანაც იმან
სძლია ისინი და საცოდვავ ედების ბალში
საბედისწერო ცოდნა მათ წინ გამოაძლავნა.
ნუ თუ შენ ფიქრობ და გვონია, რომ მე ვიკადრებ —
მოკვდავი არსის მიმსგავსება ვიკისრო თავზე?

კ ა ც ნ ი

მაგრამ იმ მოკვდავ არსებაში იყო დემონი.

ლიუციფერი

გველმა დემონი გაალვიძა იმათში მხოლოდ,
ვისაც გველური მისი ენა ელაპარაკა,
მე გეუბნები, გველი იყო ის გველი მხოლოდ;
ჰკითხე ქერუბიმს, ცდუნების ხეს რომ ჰყარაულობს.
როდესაც წლები გადივლიან საუბედურო
თქვენი შეილების და იმათი შთამომავლობის
ნაშთებზე, მაშინ, რომ განმარტონ თქვენი დაცემა,
დაისწავლიან ასეთ ზლაპარს შეუსაპამოს
და მომაწერენ მე იმნაირ სახეს, რომელიც
ჩემში მხოლოდ ზიზღს გამოიწვევს იმგვარადავე,
როგორც ყველა ის, რაც მუხლს იღრეუს ღმერთის წინაშე,
და შეკმნილია მხოლოდ მისთვის, რომ გაინართხოს
და ეთაყვანოს მის საშინელ მარადისობას.
მაგრამ ჩვენ, ვინაც ნათლად ვხედავთ ჭეშმარიტებას,
არ ძალგვიძს მასზე გაჩუმება. შენი მშობლები
ქვემდრომის ენამ შეაცდინა, თორემ იმათი
შეცდენა სულებს რად უნდოდა? ვიწრო ედემში



რაა ისეთი, რომ იღეძრას იმათში შური,
ვისაც არ უდევს სიკრცეებში საზღვარი არად? მაგრამ ეხლა კი მე იმაზე გესაუბრები,
რომლის ცოდნას შენ ცოდნის ხე ვერ მოგანიჭებდა.

კ ა ე ნ ი

ცოდნის შესახებ შენ ვერ მეტყველს ისეთს,
რომლის გაგება ჩემს გონიერას არა სწყუროდეს,
ან არ შეეძლოს, ან არ ჰქონდეს გამბედაობა
მას საამისო.

ლიუციფერი

მაგრამ თვალით, რომ დაინახო,
ხომ არ შედრები.

კ ა ე ნ ი

გამომცადე.

ლიუციფერი

გაპედედავ სიკვდილს,
რომ შეეყარო და შეხედო პირდაპირ?

კ ა ე ნ ი

იგი

იყო აქამდე უხილავი.

ლიუციფერი

მაგრამ თქვენ იმას
მაინც გამოსცდით უსათუოდ.

კ ა ე ნ ი

მამაჩემს იგი

აუთრთოლებლად არასოდეს უხსენებია.
დედას ატირებს წარმოლგენა უბრალო მისი,
აბელი კრძალვით ზეცისაუენ აღაპყრობს თვალებს,
ზილლა ძირს დახრის და ხმადაბლა დაიწყებს ლოცვას,
ადა ფითრდება და მე მიმზერს უსიტყვოდ.

ლიუციფერი

შენ კი?

კ ა ე ნ ი

გამოუთქმელი მღელვარება შეიპყრობს ჩემს გულს,
როს ახსენებენ ამ უძლეველს და, როგორც ვხედავ,
გარდუვალ სიკვდილს. რომ შემეძლოს იმსათან შებმა!
ჩემს ბავშობაში თამაშის დროს ლომს შევებმოდი
და სალტებივით შემოჭერილ მკლავებში იგი
ლრიალს იწყებდა და გარბოდა.

ლიუციფერი

სიკვდილს სხეული

არა აქეს, მაგრამ, რაც ატარებს მიწაზე სახეს,
მისი კერძია ყველაფერი.



კ ა ე ნ ი

ო, მე კი იგი

არსი მევონა. ვინ იქნება, თუ არა ისევ
არსი, ესოდენ მკაცრი მტერი მიწიერ არსთა?

ლიუციფერი

ჰქითხე შენ იგი რღვევის ძალას.

კ ა ე ნ ი

ეგ ვინდა არის?

ლიუციფერი

ან და შემოქმედს—შეგიძლია უწოდო იმას
ამ ორ სახელში, რომელიც გსურს: იგი აშენებს
მხოლოდ მისთვის, რომ დაარღვიოს.

კ ა ე ნ ი

ავრე ვიცოდი.

მაგრამ ეს უკვე ბუნდოვანად ვიგრძენი მაშინ,
როცა შევიტყვე, რომ არსებობს სიკვდილი და თუმც
მე მის შესახებ არათერი არ ვიცი,— იგი
საშინელებად მეჩენება. უტეხ თვალებით
ხშირად უმზერდი შავი ლამის უდაბნოებას
და მას ვეძებდი. და როს უცბად ჭერუბუმების
ცხუნვარე ხმლებით განათლებულ წყვდიადის გულში,
მე შევნიშნავდი ზღულეებზე მდგომარე ლანდებს,
თითქოს მესმოდა მისი ფეხის ნელი ხმა. შიშით
და მოწყურებით ვფიქრობდი მე შეხედრას მასთან,
რომლის წინ ყველა ვცახცახებდით; მაგრამ არავინ
არ მოდიოდა და ისევე ყრუ სიჩუმეში
შშობელი, მაგრამ იკრძალული სამოთხის კედლებს
თვალს ვაშორებდი გულნატკენი და აღვმართავდი
იქ, სილურჯეში, მოციმუმე მნათობთა მიმართ,
ცას რომ მიპკვრიან საოცარი მშვენიერებით.
ნუ თუ ისინიც მოჰკვდებიან?

ლიუციფერი


უთუოდ, ალბად,

მაგრამ თქვენ ყველას უთვალავი საუკუნენი
დაგაშორებენ მათ ალსასრულს. *

კ ა ე ნ ი

მოხარული ვარ;

სამარადისოდ უსურვებ მათ, რომ დარჩენ ასე
მშვენიერები. სთქვი, რა არის სიკვდილი მაინც?
მე მაკანკალებს, შიში მიპყრობს ულრმესი მის წინ,



მაგრამ რა სახით შემიძლია წარმოვიდგინო? უკრაინული
ჩენ უცოდველებს და ცოდვილებს ერთგვარიალ ქუჩაში მოვარდება
გაგვაცნეს იგი სამოთხეში, ვით ბოროტება.
რა ბოროტება?

ლიუციფერი

რომელიც თქვენ კვლავ გაჲცევთ მიწათ.

კ ა ე ნ ი

და მე ვიხილავ მაშინ სიკვდილს?

ლიუციფერი

მაგას ვერ გიტყვი:

მე ვარ უკვდავი და სიკვდილის არა ვიცი რა.

კ ა ე ნ ი

მიწისებურად მშვიდი ყოფნა — აქ ბოროტებას

მე არა ვხედავ. ო, ნეტამც მე არ ვიყო სხვა რამ!

ლიუციფერი

სამარცხვინოა ეგ სურვილი, მაგგვარი ნატვრა
არ დასცდენია თვით მამაშენს, რომელსაც სურდა
ჟველაფრის ცოდნა.

კ ა ე ნ ი

მხოლოდ ცოდნა, არის ცხოვრება;
თორემ რატომ არ შესჭამა მან ნაყოფი ხისა,
რომელსაც ერქვა ხე ცხოვრების?

ლიუციფერი

იგი განდევნეს.

კ ა ე ნ ი

მოხდა შეცდომა უდიდესი! მას ის ნაყოფი
პირველად უნდა შეეჭამა! მაგრამ, ვიღრე მან
ნაყოფი ცოდნის არ გასინჯა, სულ არ იცოდა
იმან სიკვდილზე არაფერი. ვაკლახ, მე თითონ
იმის შესახებ მასზე შეტი არა ვიცი რა;
მაინც მაშინებს, მეც არ ვიცი რისთვის მაშინებს.

ლიუციფერი

მე კი, — მე ვიცი ყოველივე, და ვერაფერი

მე ვერ მაშინებს: აი ცოდნა — ნამდვილი ცოდნა.

კ ა ე ნ ი

შენ შეგიძლია რომ მასწავლო მე ჟეელაფერი?

ლიუციფერი

კი შეგიძლია, მხოლოდ ერთი პირობით.

კ ა ე ნ ი

მაინც?

ლიუციფერი

უნდა დაემხო ჩემს წინაშე და თაყვანი მცე
ისე, ვით უფალს.

კ ა ე ნ ი

მაგრამ შენ ხომ არა ხარ იგი
უფალი, ვისაც მამაჩები თაყვანს სცემს.
ლიუციფერი

არა

კ ა ე ნ ი

შენა ხარ მისი თანასწორი?
ლიუციფერი

მე და მის შორის

არა არის რა საერთო რამ და არც იქნება.
ჩემთვის ერთია—უფრო მაღლა, თუ უფრო დაბლა
ვიდგები, ოლონ მონაწილე ან მონა მისი
ძლიერებისა არ შევიქნე; მე ვცხოვრობ ცალკე.
მაგრამ დიადი ვარ მე,—და ჩემს თაყვანისმცემლებს
არა იქვს რიცხვი; ხოლო კიდევ მოემატება
მრავალი იმათ; შენ პირველი იყავ მათ შორის.

კ ა ე ნ ი

ჯერედ თაყვანი არასოდეს მე არ მიცია
ჩემი მშობელის ლმერთისათვის, თუმცა აბელი
მე ისე ხშირად მევედრება, რომ მასთან ერთად
მსხვერპლი შევსწირო და ვილოცო უფლის წინაშე
და შენ თაყვანი, მე არ ვიცი, რისთვის უნდა გვე?

ლიუციფერი

შენ არასოდეს არ ვიცია თაყვანი მისთვის?

კ ა ე ნ ი

ეგ უკვე ერთხელ ხომ გითხარი? თუ საჭიროა,
რომ გითხრა კიდევ? მაგრამ ნუ თუ შენი ძლიერი
ცოდნის წყალობით არ შეგეძლო ამის ვაგება?

ლიუციფერი

ვისაც არასდროს არ უცია თაყვანი მისთვის,
ის მე მცემს თაყვანს.

კ ა ე ნ ი

არვის წინაშე არ მსურს მოხრა.

ლიუციფერი

მაინც შენა ხარ მოთაყვანე, ჩემი ერთგული:
მასზე უარი და იღკვეცა თაყვანის ცემის
ჩემს კუთვნილებად გხდის შენ უკვე.

კ ა ე ნ ი

არ მესმის, როგორ?

ლიუციფერი

ვაიგებ იქ და აგრეთვე აქ.





კ ა ე ნ ი

შემატული ბინე

მე საიდუმლო დაფირული ჩემი ყოფნისა.

ლიუციფერი

გამომყე საღაც წაგიყვანო.

კ ა ე ნ ი

მაგრამ ჯერ კიდევ

ვალდებული ვარ მიწა ვთხარო, გარდა ამისა,

მე მათ დავპირდი...

ლიუციფერი

რას დაპირდი?

კ ა ე ნ ი

ნაყოფებს.

ლიუციფერი

რისთვის?

კ ა ე ნ ი

აბელთან ერთად სამსხვერპლოზე რომ მივიტანო.

ლიუციფერი

ასე არა სთქვი, თითქოს შენი შემოქმედისთვის
მთელ სიცოცხლეში შენ თაყვანი არ გაის?

კ ა ე ნ ი

სწორედ,

მაგრამ აბელი შემეცედრა მე მეტის მეტად
და მსხვერპლიც უფრო მას ეკუთვნის, ვიდრე მე... აღაც
მეხვეწებოდა მასთან ერთად...

ლიუციფერი

შენ დაიბენი დარცხვენილი.

კ ა ე ნ ი

ის ჩემი და; დავიბადეთ ორივე ერთ დღეს
ერთი საშოდან. შემეხვეწა თვალ-ცრემლიანი,
რომ მე მიმეცა დაპირება იმისთვის; მე კი,
მხოლოდ იმისთვის, რომ მტირალი არ ვნახო იგი
სულყველათერის გადატანას შევიძლებ, ვგონებ,
და მუხლს მოვიდრეკ, რის წინაშეც არ უნდა იყოს.

ლიუციფერი

მაშ აბა უკან გამომყევი.

კ ა ე ნ ი

მოგყვები უკან.

(შემოდის ადა)

ა დ ი

მოვედი მისთვის, ძმაო ჩემო, რომ წაგიყვანო;
ეს არის უამი მოსვენების და გართობისა.

გავინაშილოთ ჩვენცა იგი,—წავიდეთ! თუმცა
არ გიშრომია შენ დღეს,—მაგრამ შენი საშრომი
მე შევასრულე; ნაყოფები შენ რომ გვლიან,
ისე მწიფეა, ისე ტკბილი და გამსვირვალე,
როგორც ეს შექი, რომელიც მათ აწვდიდა საზრდოს.
წავიდეთ ჩქარა.



კ ა ე ნ ი.

ნუ თუ ამას ვერ ხედავ?

ა დ ა.

ვხედავ —

ანგელოზია; მე მინახავს ასინი ბევრი.
არ ისურვებს, რომ შვების უამი მან ჩვენთან ერთად
გაინაშილოს?

კ ა ე ნ ი.

ეს არა ჰვავს იმ ანგელოზებს,

ჩვენ რომ გვინახავს.

ა დ ა.

ნუ თუ კიდევ არიან სხვებიც?

რა ლურთ, მაინც ეგ იქნება ტკბილი სტუმარი,
როგორც ისინი. ხოლო ამათ კეთილ ინებეს
და ჩვენთან სტუმრად ჩამოვიდნენ, სოხოვე ამასაც.
თუ მოისურვებს, წამოვიდეს.

კ ა ე ნ ი

გინდა?

ლიუციფერი

მე მინდა.

ამიერილან ჩემი იყო.

კ ა ე ნ ი

მე მას მიუკვები.

ა დ ა

ჩვენ მიგვატოვებ?

კ ა ე ნ ი

მიგატოვებთ.

ა დ ა

მეც?

კ ა ე ნ ი

ჩემო ადა!

ა დ ა

მე მსურს წამოსელა შენთან ერთად.

ლიუციფერი

არ შეიძლება.

ა დ ა

ვინ ხარ ისეთი, ორ გულს ჭუა რომ აღიმართო?
ვინ არის იგი?



ეროვნული
ბიბლიოთეკა

კ ა ე ნ ი

ის ლმერთია

ა დ ა

საიდან იცი?

კ ა ე ნ ი

ის ლაპარაკობს, როგორც ლმერთი.

ა დ ა

გველიც მაგგვარად
ლაპარაკობდა, მაგრამ იგი ამბობდა ტყუილს.

ლიუციფერი

შენ სცდები, ადა: ნუ თუ ის ხე არ იყო ცოდნის?

ა დ ა

ჰო, მაგრამ, ჩეენდა სამწუბაროდ.

ლიუციფერი

ეგ მწუხარება

ცოდნაა მაინც, მაშ ტყუილი არ უთქვამს იმას.
იმან თქვენ მხოლოდ გავიმულავნათ ჭეშმარიტება;
ჭეშმარიტება კი უთუოდ თავის ბუნებით
არის სიკეთე მარტოოდენ.

ა დ ა

მაგრამ ჩეენ ვიცით
იმის შესახებ მხოლოდ ის, რომ მან აგვიშენა
ბოროტებაზე ბოროტება: მშობელი კუთხის
მოწყვეტა, შრომა, დაღლილობა, ნალველი მძიმე
იმის შესახებ, რაც დავკარგეთ, და იმედები
იმაზე, რაც არ დაბრუნდება. არ ვაშვე ამ სულს!
კაენ, დანებდი საკუთარ ბეჭს, გიუვარდე ისე,
როგორც ვიყვარდი; მეც მიყვარხარ.

ლიუციფერი

უფრო ძლიერად,

ვიდრე დედ-მამა?

ა დ ა

უფრო ძლიერ! და ნუ თუ ესეც
ცოდვაა კიდევ?

ლიუციფერი

ჯერ-ჯერობით არ არის, მაგრამ
შემდეგში, შენი შვილებისთვის, იქნება იგი.

ა დ ა

როგორ! ჩემს ასულს თავისი ძმა ენოხი, ნუ თუ
არ ეყვარება?



ლიუციფერი

ეყვარება, მაგრამ სხვაგვარიდ
და არა ისე, შენ რომ გიყვარს კაენი.

¤ დ ¤

ღმერთო!

ო, ნუ თუ იმათ ერთადერთი არც ეყვარებათ
და არც სიცოცხლეს აჩუქებენ სხვა ქმნილებებსა,
რომ მათ, თავის მხრით, სიყვარული შეეძლოთ? განა
ი ამ ჩემს მკერდს არ ვაწოვებ ორივეს ერთად?
და მათი მამა—ნუ თუ იგი და მეც იძასთან
არ დავიბადეთ ერთი დედის საზოდან ერთ დღეს?
მაგრამ განა ჩვენ ერთმანეთი არ გვყვარებია,
განა ახალი არ წარმოვშვით ჩვენ არსებები,
დანიშნულები იმისთვის, რომ ერთი-მეორე
ისე უყვარდეთ, როგორც ჩვენ ისინი გვიყვარს,
ან როგორც მე შენ, ჩემო კაენ, მიყვარხარ! არა,
არ გაჰყე ამ სულს; ჩვენიანი არ არის იგი.

ლიუციფერი

მე აქ ცოდვაზე ვლაპარაკობ, მაგრამ ეს ცოდვა
ჩემი შეგნება როდი არის, და არც იქნება
თქვენთვის ცოდვა ის, რაც არ უნდა საშინელება
მან ალძრას მათში, ვინც თქვენს შემდეგ მოვლიან ქვეყნად.

¤ დ ¤

როგორ იქნება ცოდვა იგი, რაც თავის თავად
არ არის ცოდვა? თუ—კეთილი და ბოროტება
შემთხვევითია? მაშ მონები ვყოფილვართ მხოლოდ.

ლიუციფერი

იქ ქმნილებანიც მონებია, ვინც თქვენზე უფრო
დიდნი არიან, ისინიც კი, ვინც მაღლა სდგანან
თქვენზე და მათზე, გახდებოდნენ მონები ალბად,
რომ არ დაეთმოთ თავისუფალ წიმებისათვის
ქებათა ქების მოსაწყენი საგალობელი
და ლვის წინაშე ანგარებით სავსე ლოცვები,
მხოლოდ იმიტომ, რომ ის არის ყოვლად ძლიერი,—
ლოცვები, სადაც სიყვარულის მაგიერ შიში
და იმედია.

¤ დ ¤

ის, ვინც არის ყოვლად ძლიერი,
ყოვლად კეთილიც უნდა იყოს.



ლიუციფერი

ეგებ ედემში

ყოვლად კეთილი იყო იგი?

¤ დ ¤

მტერო! ნუ მაცდენ
მაგ სილამაზით! შენ უმეტეს მშვენიერი ხარ,
ვიდრე ის გველი, და ცბიერი იმგვარადავე!

ლიუციფერი

არა, მართალი იმასავით. ჰქითხეთ დედა ოქვენს:
სკნო კეთილი და ბოროტება იმან, თუ არა?

¤ დ ¤

ო, დედა ჩემო! შენ მოსწყვიტე ნაყოფი იგი
შენი შვილების სამწუხაროდ და სავალალოდ.
შენ სიყმაწვილე მაინც განვლე ედემის ბალში,
ნეტარ სულებთან შეთავსებით; ჩვენ კი,— შენს შვილებს,
გარს დემონები გვეხვევიან და ლვთის სიტყვებით
ჩვენს უნებლიერ დაეჭვებას უდარაჯებენ;
იმათ სწყურიათ შეცდომაში ჩვენი შეყვანა,
ისე, ვით გველმა შეგიყვანა შენ შეცდომაში—
ყოვლად ნეტარი და უბიწო ცნობის მოყვარე.
არ შემიძლია ამ უკვდავ სულს გავსცე პასუხი,
არ ძალმიძს იგი რომ დავსწყევლო; მე მას უცქერი
იღუძალ შიშოთ და მაინც მას არ გაურბივარ:
მისი უკვდავი გამოხედვა შეუცნობელი
ძალით ატყვევებს და იტაცებს ჩემს თვალთა ხედვას
საშინელებით მავსებს იგი და იმავე დროს
ისე მაბრუებს და მიზიდავს სულ ახლო, ახლო!
კაენ, მიხსენი! ჩემო კაენ, მიხსენი მისგან!

¤ ა ე ნ ი

ადა, ძვირფასო! რა გაშინებს, ეს ხომ დემონი
არ არის!

¤ დ ¤

იგი არც ღმერთია, არც ქერუბიმი,
არც სერაბიმი, როგორიც ჩვენ გვინახავს დლემდე.

¤ ა ე ნ ი

მაგრამ არიან უმალლესი სულები კიდევ,
ვისაც სახელად უწოდებენ მთავარ ანგელოზთ!

ლიუციფერი

და იმათზედაც მალლა მდგომნი.



ა დ ა

მაგრამ ისინი

არ ეკუთვნიან ნეტარ სულებს.
ლიუციფერი

თუ ნეტარება

მონობაშია, მართალი ხარ.

ა დ ა

მამამ გვასწივლა

სერაბიმები სიყვარულით სავსე ყოფილან,
ქერუბიმები კი ყოფილან მრავალის მცოდნე.
შენ ქერუბიმი ხარ უთუოდ: შენ როდი გიყვარს.

ლიუციფერი

მაგრამ თუ ცოდნა საშიშია სიყვარულისთვის,
ვინ უნდა იყოს მაშინ იგი, ვის შეყვარებას
თქვენ ვერ შესძლებდით, როდესაც კი მას გაიცნობდით?
და თუ კი ცოდნა ქერუბიმებს სიყვარულს უშლის,
მაშინ ხომ დიღი სიყვარული სერაბიმების
იქნება მხოლოდ უმეცრება, უნდა ირჩიოთ
ერთი მათგანი—ან ცოდნა და ან სიყვარული.
სხვა გზა არ არის; მამა თქვენმა ირჩია უკვე.
მხოლოდ შიშია მოლად იმისი ღვთისმოყვარება.

ა დ ა

კაენ, ირჩიე სიყვარული!

კ ა ე ნ ი

მე? სიყვარული?

რაც შეეხება შენს სიყვარულს, ძვირფასო ადა,—
მე მასთან ერთად დავიბადე. სხვა არაუერი
და არც არაეინ მე არ მიყვარს.

ა დ ა

ჩვენი დედ-მამა?

კ ა ე ნ ი

განა იმათ კი უყვარდით ჩვენ, როცა ედემში
აკრძალულ ნაყოფს მოსაწუკეტად შეახეს ხელი
და სამოთხიდან გაძევება გვარგუნეს წილად?

ა დ ა

მაგრამ ჩვენ იმ ღროს ვაჩენილი არა ვყოფილვართ
და თუნდა კიდევ ვყოფილიყოთ, უნდა გვიყვარდეს
ჩვენი მშობლები და შვილები.

კ ა ე ნ ი

ჩემი ენობი

და პაწაწინა იმისი და! რომ მწამდეს მათი



ბედნიერება, დავიწყებას შევძლებ ნახევრად...
 მაგრამ, ო, არა!— დავიწყება არ შეიძლება,
 და ათასობით მომავალი კაცთა მოღვაწი
 ადამიანის სახსენებელს შეიძულებენ,
 რაღან მან ერთს და იმავე დროს კაცობრიობის
 და ბოროტების თესლი დარვო და გაახარა.
 სჭამეს ნაყოფი, რომელმაც მათ თავს დაატეხა
 უბედურება. და ამნაირ ჭირში მყოფებმა
 ჩვენ გაგვაჩინეს— შენ, მე და სხვა დანარჩენები,
 რომელთა რიცხვი ჯერ მცირეა, მაგრამ შემდეგში
 მირიადებად გადიქცევა და მიიღებენ
 მემკვიდრეობით ბოროტებას ჩვენგან ჩადენილს
 და კიდევ უფრო გადიდებულს ფამთა დენაში.
 და მე, მე უნდა ვიქნე მამა ასეთ შვილების!
 შენი ჩემდამი სიყვარული, ეგ სილამაზე,
 ჩემო ძვირფასო, ალტაცება შენ მიერ ჩემში
 გამოწვეული და წუთები თავდაციწყების,—
 ყველაფერს ამას, რაც ჩვენ ასე შეგვარების
 ერთმანერთში და ჩვენს ბავშვებში— მივყავართ, ზოგჯერ
 გაშუქებულნი სიხარულის ტკბილი წამებით,
 გამოუცნობი სიკედილისკენ!.. ვერ შეასრულა
 დანაპირები ხემ ცოდნისა, ასე მვონია:
 უნდა მიეცეს განმარტება მათთვის ყველაფერის,
 რის განმარტებაც შესაძლოა,— თვით სიკვდილსაც.
 მაგრამ მათ ცოდვამ რა აუწყა? ის, რომ ისინი
 შესაბრალისი ცოდვილები არიან მხოლოდ.
 რაში გვინდოდა ჩვენ გველები და ნაყოფები
 ასეთი ცოდნის მიღებისათვის

ა დ ა

მე როდი ვჩივი,
 და შენ რომ იყო ბედნიერი, შენ, ჩემო კაენ!

კ ა ე ნ ი

არა, ისევე ბედნიერი შენ იყავ მარტო!
 რა უნდა უყო მე იმნაირ ბედნიერებას,
 რომელიც ითხოვს ჩვენს მოღრეკას და დამცირებას.

ა დ ა

მარტო არ ძალმიძს და არც მინდა ბედნიერება;
 მაგრამ შემეძლო ბედნიერი რომ კურთილიყავ
 ჩვენებთან ერთად და სიკვდილსაც მაშინ არაფრად
 არ მივიჩნევდი, რაღან მისი არ მეშინია,
 როგორც უცნობი არსებისა, თუმცა ის ალბად

საშინელება უნდა იყოს, თუ მართალია
ის, რაც აქამდე მის შესახებ სმენია ჩემს ყურს.

ლიუციფერი

გაშ შენ არ ძალგიძს ბედნიერი რომ იყო მარტო,
ასე არა სთქვი?

ა დ ა

ლმერთო ჩემო! მარტო! ვინ შესძლებს,
ან ბედნიერი, ან კეთილი რომ იქნეს მარტო!
ხოლო თვით მე, რაც შემეხება, განმარტოებას
მე მივიჩნევდი შეცოდებად, რომ არ ვფიქრობდე
ძმისა, მშობლების და ბავშვების მაღე შეხვედრას.

ლიუციფერი

შენი ლმერთი კი სულ მარტოა; და ნუ თუ იგი
ბედნიერია? ან კეთილი თუ არის ნეტა?
ო, არა, არა! იმას ჩვენ და ანგელოზები
ვყავართ იმისთვის, რომ გაგვხადოს ბედნიერები
და თითონ იგი ნეტარია მხოლოდ იმითი,
ირგვლივ სიხარულს რომ ავრცელებს. და ნეტარებაც
ნუ თუ მაღალი შეიძლება იმაზე უფრო,
როდესაც მისი დასაბამი შენა ხარ თვითვე?

ლიუციფერი

სჯობს რომ მამა შენს, სამოხსიდან გამოძევებულს,
ამის შესახებ დაეკითხო, ან ძეს იმისას
პირველ შობილსა, ან საკუთარ შენს გულს, რომელიც
სავსეა შიშით.

ა დ ა


ვაი მე, რომ შენ მართალს ამბობ!
მაგრამ შენ — შენ ხომ ციური ხარ?

ლიუციფერი

არა; თუ რისთვის —

შენ ესა ჰყითხე ნეტარების ერთად ერთ მიზეზს,
რომელიც ყველგან გეჩვენება; მას — ყოვლად გულუბვს,
ყოველი არსის შემოქმედს და კეთილ მამასა,
ეს საიდუმლო მას ეკუთვნის. ჩვენ გვიწერია —
ზოგმა ვიტანჯოთ და ზოგი კი წინ გადაუდგეთ;
და სულ ამაოდ, როგორც მისი ანგელოზები
გვეტავიან ხოლმე; მაგრამ ამის გამოცდა არის
შრომა უთუოდ ლირსეული; მათ უმეტეს, რომ
არასდროს უფრო ბედნიერი ჩვენ არ ვიქნებით.
არის ჩვენს უკვდავ გონებაში ისეთი სიბრძნე,





რომ მას გაუძლვეს და უჩვენოს გზა ჰეშტარიტი,
როვორც წყვდიადით გადაბინდულ ცის სილურჯეში, მარტინი
ბრწყინავს ვარსკელავი დაფარული, რომ მიუსალმოს
ის თქვენს განთიადს.

» დ ა

შშვენიერი ვარსკელავი, რომლის
ვასაოცარი სილამაზე მე შემიყვარდა!

ლიუციფერი

რატომ არ უნდა გააღმერთო ის, თუ აგრეა?

» დ ა

ჩეენი მშობელი ერთს უხილავს აღმერთებს შხოლოდ.

ლიუციფერი

მაგრამ რაც არის მომხიბლავი თქვენთვის ხილულში,
იგი სიმბოლოდ ჩაითვლება უხილავისა
და ის ლამაზი ვარსკელავი კი განთიადის უამს
წინ მიუძლვება ციურ ლაშქარს.

» დ ა

ჩეენმა მშობელმა
ედემის ბალში თავის თვალით იხილა ღმერთი,
რომელმაც იგი გააჩინა.

ლიუციფერი

შენ არ გიხილავს?

» დ ა

მის ქმნილებებში კი მიხილავს.

ლიუციფერი

თვით სახე მისი?

» დ ა

არა—მაგრამ ის შემის ჩემის სახეში მოსჩანს,
რომელიც იმის მიმსვავსებით არის შექმნილი,
და ანგელოსთა სახეებში, ისინი შენი¹
მსგავსნი არიან, თუმცა უფრო ქერა და, ვკონებ,
ნაკლებ ძლიერნი და ნაკლებად მშვენიერები.
ვით დღე ნათელი, ჩაძირული შუადლის ძილში,
მათი უნება შუქისაგან შესდგება მხოლოდ;
შენ კი, პირიქით, გამსჭვირვალე ლამეს მაგონებ,
როცა შას თავზე რიღე ჰეურავს თეთრი ლრუალების
და ამ რიდეში ვარსკელავები აურაცხელი.
მაღალი ციდან საიდუმლოდ იჭვრიტებიან...
უანგარიშო, მშენიერი თავის ციმციმში,
წყნარად მზირალი, მაგრამ რა რიგ მიმზიდველები!

ისინი თვალებს მე ცრემლებით მიუსებენ, ისე,
როგორც ეხლა შენ; უბედური მგონიხარ მე შენ;
ნუ მოისურვებ, რომ ჩვენც გაეხდეთ უბედურები
და მე გიტირებ, შენ გიტირებ...



ლიუციფერი

ო, ეს ცრემლები!
რა დიდი ზღვები დაიქცევა, მაგ ცრემლებისა
ამ ქვეყანაზე, რომ იცოდე!

• ღ •

ჩემგან?

ლიუციფერი

კველასგან.

• ღ •

ვინ არის ყველა?

ლიუციფერი

მილიონთა მილიონები,
მთლად ეს ქვეყანა უსაბაბოდ დასახლებული,
მთლად ეს ქვეყანა ხელმეორედ დაქცეული და
შენი მოდგმისგან ავსებული გეენა, რომლის
თესლს შენ ატარებ ჯერ-ჯერობით საკუთარ მკერდში.

• ღ •

კაენ, ჩეენ გვწყველის სული იგი!

კ ა გ ნ ი

მე მასთან ერთად წავალ.

• ღ •

საით?

კ ა გ ნ

იმ ადგილებში,

სადაც ის დაპყოფს სულ ერთ საათს, მაგრამ იქ იგი
ამ ერთ საათში ურიცხვ დღეთა საქმეებს ნახავს.

• ღ •

ეგ რანაირად შეიძლება?

ლიუციფერი

განა არ შეჰქმნა

თქვენმა გამჩენმა ეს ქვეყანა სულ ხუთ-ექვს დღეში
ძველი ქვეყნების ნაშთებიდან? და მე, რომელიც
ვეხმარებოდი მას ქმედითი მუშაობაში,
რატომ არ ძალიმის ერთ საათში ვიჩვენო იგი,
რასაც ის ჰქონიდა მრავალი ხნის განმავლობაში,
მაგრამ იქცევდა მოკლე ხანში?

კ ა ე ნ ი

ა დ ა

მაგრამ მართლა მას ერთ საათში მოიყვან უკან?

ლიუციფერი

არა უმეტეს; უამთა დენის ჩეენს საქმეებზე
ძალა არ შესწევს; შეგვიძლია მარადისობა
ჩვენ ერთ საათში მოვაქციეთ, ერთი საათი
მარადისობად გავავრძელოდ. ჩვენ ჩვენს ცხოვრებას
ისე არ ვხომავთ, ვით მოკვდაენი, მაგრამ ეს არის
ჩვენი ფარული საიდუმლო. მომყევი, კაენ!

ა დ ა.

დამიბრუნდება კვლავ მე იგი?

ლიუციფერი

პო, კაცთა შორის
ის ერთად ერთი (პირველი და უკანასკნელი
გარდა ერთისა) დაბრუნდება ისევე შენთან,
რომ ის ქვეყანა ნალვლიანი, რომელიც იმას
იქ ელოდება, დაასახლოთ თქვენ იმგვარადვე,
ვით ეს ქვეყანა: ჯერ-ჯერობით თითქმის მთლად იგი ცარიელია

ა დ ა

მაგრამ თვითონ შენ საღ იმყოფები?

ლიუციფერი

მე ყველგანა ვარ. ან საღ ძალმის მე რომ ვიცხოვრო?
საღ შენი ლმერთი, ან ლმერთები, იმყოფებიან,
მეც იქ უბინადრობ. მე შუაზე ვყოფ ზველა ნივთებს.
მარადისობა, უამი, სიგრძე, სიკვდილ-სიცოცხლე,
ზეცა და მიწა და იგრეთვე ის, რაც არ არის
არც ცა, არც მიწა, მაგრამ მაინც დასახლდებიან
იქ არსებული ქმნილებებით,—აი ეს არის
ჩემი სამეფო;—ამგვარად მე ვარ თქვენი ლმერთის
თანაზიარი. რომ არ ვიყო ძლიერი ასე,
როგორც გითხარით, ვით შევძლებდი აქ უქვენს წინაშე
მე გაჩერებას, როს იმისი ანგელოზები
თქვენს ახლო დგანან!

ა დ ა

ამგვარადავე

იღვნენ ისინი სამოთხეში, როცა დელაჩენს
გველი აცდენდა მშვენიერი.



წინ გამიძები! ეროვნული
სამართლებრივი



ლიუციფერი

ხომ გაიგონე არ და მართვა და გადასა და

კაენ! როდესაცა შენს სულს ცოდნა სწყურია, მაშინ მართვა და გადასა და
მე ძალმიძს მოვკლა ეს წყურუილი და ამავე დროს
როდი მოვითხოვ, შენ ნაკოთი რომ არა სჭამო,
ან რომ დაპკარგო ერთად ერთი სიკეთე, რაიც
გამარჯვებულმა არ წავართვა. მომყევი უკან!

კ ა ე ნ ი

მოვდივარ, სულო!

(ლიუციფერი და კაენი გადიან)

• დ ა (მიპკვებათ უკან)

ჩემო კაენ! ო ძმათ კაენ!

შ ე თ ე შ თ ქ მ ე დ ე ბ ა

სცენა პირველი

სივრცის უფსკრული

ლიუციფერი და კაენი

კ ა ე ნ ი

მე ფეხს ვაბიჯებ ჰაერზე და ძირს არ ვეცემი;
მე მეშინია ჩავარდნისა.

ლიუციფერი

მენდე უშიშრად

და გამომყევი თან ჰაერით, რომელსაც მე ვფლობ.

კ ა ე ნ ი

ძალმიძს კი მე ეს ჩავიდინო და არ შევსცოდო?

ლიუციფერი

ან ირწმუნე და გამომყევი, ან იქვს დანებდი
და დაიღუპე! ასეთია წესი მეორის,
ვინაც დემონი მე სახელად მომცა და, რომლის
ანგელოზები ამ სახელის განმეორებით
ცილსა მწამებენ მე საბრალო არსთა წინაშე;
და არსნი ესე, მოკლებულნი იმის ვაგებას,
რაიც კი იმათ ლანდურ გრძნობას აღემატება,
იდრიკებიან ამ სიტყვის წინ, რომელმაც მათი
სმენა შეაკრთო და სიკეთედ ან ბოროტებად
როდი სახავენ იმას, რასაც მათ უბრძანებენ.
მაგრამ სხვა არის ჩემი წესი: გაჰედე, ან და

ითროლე შიშით, მაგრამ მაინც შენ დაინახავ, რომ ამ საბრილო შენი ქვეყნის სახლვართა გარეური და კიდევ არიან სხვა ქვეყნები, რომ იჭირ გამო ტრიუმფისა არ გაწამებენ. და დადგება საათი, როცა ადამიანი მიმავალი ტალღებზე ფეხით ეტყვის მეორეს: ირწმუნე და თან გამომყევი. ისიც გამყება უვნებელი ფეხდაფეს წყალზე. მე კი შენ რწმენას ხსნის პირობად როდი დაგიდებ. დე ნუ ირწმუნებ; ჩემთან ერთად, ვით თანასწორი, ფრენით გამყევი უფსკრულის თავს. მე შენ გიჩვენებ იმას, რასაც შენ, უარყოფას ვერ გაუბედავ: ძველად არსებულ, თანადროულ და მომავალი, რიცხვით უზომო, ქვეყნების ბედს.

კ ა ე ნ ი

ლმერთო, დემონო,—

ვინც უნდა იყო, ნუ თუ იგი დედამიწაა,
ეგერ რომ მოსჩანს?

ლიუციფერი

განა ველარ იცანი მტვერი,
რომლისაგანაც მამა შენი არის შექმნილი?

კ ა ე ნ ი

ნუ თუ ის არის? ის მოლურჯო პატარა ბურთი
და მის მახლობლად იმგეარივე, რომელიც ალბად
მთვარე იქნება, ლამ-ლამე რომ დანათის თავზე?
ნუ თუ ედემი იმაზეა? რა იქნენ მერმე
იმის გარშემო ზღუდეები და ან ისინი,
რომლებიც იმათ სდარაჯობენ?

ლიუციფერი

აბა მიჩვენე

ადგილი, სადაც მდებარეობს ედემის ბალი?

კ ა ე ნ ი

ეგ როგორ შევძლო? ჩვენ საჩქაროდ წინ მივისწრაფით,
როგორც ბრწყინვალე სხივი მხისა, და მე თანდათან
მიწა სულ მცირე მეჩვენება: გარშემო იმას
რკალი ბრწყინვალე შემორტყმია შარავანდედად,
რომლის დანახვა ვარსკვლავებზე გულს მიხიბლავდა
ლაშით სამოხსის ზღუდეებთან მოხეტიალეს.
ასე მგონია უერთდება ის იმ უოვალავ
ვარსკვლავების ჯარს, რომელიც ჩვენ გარს გვახვევია

და, რაც წინ მივჭრით, ახალ-ახალ მირიადებად
ეშლება ჩეენს თვალს.



ლიუციფერი

რომ იცოდე: ეგ ვარსკვლავები
სულ ქვეყნებია გაცილებით უფრო დიდება,
ვიდრე ის შენი მშობლიური; იქ არსებანი
სცხოვრობენ უფრო ძლიერები და დიდრონები,
ვიდრე მიწაზე; და ისინი მეტია რიცხვით
მთელი იმ თქვენი დედამიწის ქვიშაზე; ყველა
სცოცხლობს, ჯახირობს და სულყველა განწირულია
სიკვდილისათვის;—რომ იცოდე შენ ეს ყოველი,
რას იფიქრებდი?

კ ა ვ 6 0

ო, მე ჩემი ჭკუით და აზრით,
რომელმაც შესძლო ყოველივე ამის შეცნობა
ვიამაყებდი!

ლიუციფერი

მაგრამ ეს აზრი მედიდური, ესოდენ, მძიმე
და ტლანქ სხეულზე მიჯაჭვული რომ იყოს და რომ
იგი ამდენის შემცნობი და კიდევ მეტ ცოდნას
მოწყურებული, მონა იყოს საზიზღარ, მდაბალ,
ბინძურისა და ბილწი შრომის; და რომ, დასასრულ,
შენთვის ნეტარი და უტკბესი ბეღნიერება
იყოს ცოდვებით დამძიმებულ მისწრაფებაში
ახალ სულთა და სხეულების გაჩენისაკენ,
ვინაც არიან საწამებლად და ვასახრწნელად
წინასწარადვე განწირულნი?

კ ა ვ 6 0

მე სიკვდილზე არა ვიცი რა
გარდა იმისა, რომ ის არის საშინელება
და რომ აგრეთვე მე ასეთი მეტკვიდრეობით
დამაჯილდოვა მამა ჩემი არა ნაკლებად,
ვიდრე სიცოცხლით: სამწუხარო მემკვიდროება,
რამდენადაც მე გამეგება; მაგრამ, ო, სულო!
თუ კი ეს უნდა უსათუოდ მოხდეს (მე ამას
ვგრძნობ წინადგრძნობის უმძიმესი წამებით გულში),
მომეცი ნება იქვე მოვცვდე: განა სიცოცხლით
დაჯილდოება არსებების, რომლებმაც მთელი
წლები ტანჯვეისა უნდა განვლონ მხოლოდ იმისთვის,

რომ დაიხოუმ, — არა ნიშნავს ეს გამრავლებას
სიკვდილისა და მკვლელობისას?



ლიუციფერი

შენ როდი ძალგიძს
მოჰკვდე სავსებით: შენში არის ისეთი, რამაც
უნდა იცოცხლოს სამუდამოდ.

კ ა ე ნ ი

ამის შესახებ

მამაჩემისთვის არაფერი არ უთქვამს იმას,
ვინც სამოთხიდან გააძევა იგი სიკვდილის
ბეჭედით შუბლზე. მაგრამ ის, რაც სასიკვდილოა,
ის მაინც მოჰკვდეს ჩემში, რომ მე ვიქნე ისეთი,
ანგელოზები რომ არიან.

ლიუციფერი

აი, მე აგერ
ანგელოზი ვარ, შენ გინდა, რომ იყო ასეთი?

კ ა ე ნ ი

მე შენს შესახებ როდი ვიცი ვინა ხარ, რა ხარ.
მე ვხედავ მხოლოდ შენს სიმძლავრეს და იმას, რომ შენ
თვალშინ მიყენებ იმას, რაც ჩემს ბუნებრივ ძალებს
აღემატება, თუმცა იგი ჩემს განუზომელ
სურვილს და ზრახვებს ვერა სწოდება.

ლიუციფერი

რას წარმოადგენს

თქვენი ზრახვები მთელი მათი მედიდურობით,
როცა მატლების სამოსელში გამოხვეულნი
მატლებთან ერთად ბინადრობენ ისინი!

კ ა ე ნ ი

თვით შენ

რას წარმოადგენ? შენ, რომელიც ამაყობ ასე
მაგ უსხეულო არსებობით და ვინც განავებ
ბუნების ძალებს, და ამისდა მიუხედავად,
მოსჩანჩარ მაინც უჩედური.

ლიუციფერი

მე ვსჩანვარ იგი,
რაც ვარ ნამდვილად; სწორედ მისთვის მინდა გავიგო:
გსურს შენ, თუ არა, უკვდავება?

კ ა ე ნ ი

შენ მეუბნები,

რომ მე უკვდავი უნდა ვიყო და მსურს, თუ არა.
ეს არ ვიცოდი: მაგრამ თუ ეს მართალი არის
ნება მომეცი წინასწარვე ვიცოდე მაინც:
ბედნიერი თუ უბედური არის ის ჩემი
მოსალოდნელი უკვდავება?



ლიუციფერი

ეგ შენ შეიტყვა

უმალ, ვიღრე მე გამიცნობდი.

კ ა ე ნ ი

რა გზით?

ლიუციფერი

წამებით.

კ ა ე ნ ი

კი მაგრამ, ნუ თუ ეს წამება საუკუნოა?

ლიუციფერი

ამას გამოვსცდით ჩვენ და შენი შვილები, მაგრამ
ეხლა შეხედე! საუცხოვო არ არის განა
ეს ყველაფერი?

კ ა ე ნ ი

ჰოი, ეთერო, მშვენიერო, აუწერელო!
და თქვენც, ო თქვენაც, ვარსკვლავებო უზარმაზარო,
ჩემი თვალის წინ, რომ მრავლდებით! რას წარმოადგენო,
ან ეს რა არის? ეს ლავვარდის უდაბნოება,
სადაც უსაზღვრო სივრცეებში მიექანებით
თქვენ, ეით ფოთლები, რომელიც მე მინახავს ხოლმე
ედემის ჩქარი ხაკალებით გატაცებული?
გაზომილია თქვენი გზები? ან ამ ტრედისფრად
გაშლილ უფსკრულში, რომელიც სულს მიხუთავს ისე,
დაულალავი ზეიმებით მისცურავთ სწრაფად
თქვენ გამაძლარნი საკუთარი მარადისობით?
ლმერთო! ლმერთო! რაც არ უნდა იყოთ, თქვენ მაინც
ხართ გასაოცრად მშვენიერნი! თქვენნი საქმენი
თუ შემთხვევები—მე არ ვიცი, —უტურფესია!
მომეცით ნება—ო, მომეცით,—რომ აქვე მოვკედე,
როგორც ჰკვდებიან ატომები (და როგორც უნდა
მოჰკვდენ ისინი), ან დამიშვით — თქვენს ძლიერებას,
იდუმალ ნივთთა შემეცნებას, რომ დავეწაფო
მოწყურებული! დამერწმუნეთ, რომ ჩემი აზრი
ლირსია მისი, რასაც ვხედავ მე ამ საათში,
თუმცა ამისთვის ულირსია ჩემი სხეული.



სულო, სიკვდილი დამანებე! ან და მაჩვენე
ისინი ახლოს.

ლიუციფერი

ნუ თუ ახლოს არა ხარ მათთან?
მაშ მიიხედე მიწისაკენ.

კ ა ე ნ ი

საღ არის იგი?
მე ველარაოფერს ვერა ვხედავ უსაზღვროების
და აურაცხელ ვარსკვლავთ გარდა.

ლიუციფერი

გახედე იქით!

კ ა ე ნ ი

ვერა, ვერ ვარჩევ!

ლიუციფერი

დააკვირდი, იგი ანათებს.

კ ა ე ნ ი

როგორ, აი ის?

ლიუციფერი

ჰო!

კ ა ე ნ ი

რას ამბობ? ხშირად ვხედავდი
ჩვენს ბნელ ტყეებში მწერებსა და ციცინათელებს,
უფრო ბრწყინვალეს, უფრო დიდებს იმ სამყაროზე,
რომელიც იმათ ასაზრდოებს.

ლიუციფერი

მაშ შენ გინახავს
სამყაროები და მწერები, რომლებიც სჯობდნენ
ერთი მეორეს სისპეტიკით. რას ფიქრობ ეხლა
შენ მათ შესახებ?

კ ა ე ნ ი

რომ ისინი თავის საზღვრებში
მშვენიერია ერთნაირად, და ბნელ ლამეში,
რომელიც აფენს მათ სიტურტეს, ვით მოკიაფე
ციცინათელა თვის ფრენაში, იმგვარადავე
ვარსკვლავი თავის მარადიულ გაჭანებაში
ალბად ერთგვარად განიცდიან ხელმძღვანელობას.

ლიუციფერი

ვისას ან რისას?

კ ა ე ნ ი

ამიხსენი და დამანახე.



ლიუციფერი

და შენ გაჰქიდავ, რომ შეხედო?

კ ა ე ნ ი

ჯერ როგორ გითხრა
თუ რას გავბედავ? არათერი გიჩვენებია
ჩემთვის აქამდე ისეთი, რომ იმაზე მეტის
დანახვა მე ვერ გამებედნა.

ლიუციფერი

მაგრამ არიან

არსნი უკვდავნი და მოკვდავნი,—შენ რომლის ნახვას
მოისურებდი მათში?

კ ა ე ნ ი

როგორ? რას ნიშნავს არსი?

ლიუციფერი

ორივეს ერთად ნაწილობრივ. როელზე უფრო
მიგერჩის გული?

კ ა ე ნ ი

სულყველაზე, რასაც კი ვხედავ.

ლიუციფერი

მაგრამ რა არის მისთვის ახლო განსაკუთრებით?

კ ა ე ნ ი

რაც არ მიხილავს ჯერჯერობით და რაც არას დროს
არ უნდა ვნახო,—ეს სიკვდილის საიდუმლოა.

ლიუციფერი

გინდა გაჩვენო არსებანი, რომელებსაც უკვე
მოუჭამიათ დრო და უამი იძვეარად, როგორც
მე შენ უკვდავი არსებანი გაჩვენე?

კ ა ე ნ ი


მინდა.

ლიუციფერი

მაშ, თუ აგრეა, შევარხიოთ ძლიერი ფრთები.

კ ა ე ნ ი

როგორ იჭრება ჩეინს წინაშე ლურჯი ეთერი!
როგორ სწყდებიან ვარსკვლავები ჩემს თვალთახედვას!
მიწა რა იქნა?! ჩემი მიწა! მომცუცი ნება
ერთიც შევხედო,—მე ხომ მისგან ვარ გაჩენილი!



ლიუციფერი

იგი ამ უამიად შენთვის უკვე უხილავია,
და ნაკლებს ნიშნავს მსოფლიოში იგი, ვიდრე წყვეტილება
იმაზე მდგომი. ხოლო მაინც ნუ იოცნებებ,
მის სამუდამოდ მოშორებას; მაღვე, სულ მაღვე
დაუბრუნდები შენ იმას, რომ ისევე მტვერთან
ერთად იბრუნო. უკვდავებას შენსას და ჩემსას
ბედი ასეთი უწერია.

კ ა ე ნ ი

ეხლა სით მივალთ?

ლიუციფერი

ეხლა მივდივართ იმ სამყაროს მოჩვენებისკენ,
რომელიც უმალ არსებობდა დიდიხნით შენზე,
და რომლის ნატებს! წარმოადგენს თანამედროვე
შენი სამყარო.

კ ა ე ნ ი

როგორ, ნუ თუ ძველია იგი?

ლიუციფერი


როგორც სიცოცხლე. სიცოცხლე კი უფრო ძველია,
ვიდრე შენ და მეც, ძველი არის თვით იმაზედაც,
ვინცა სჩანს ჩვენზე უდიდესი. არიან არსნი
რომელთაც ბოლო არასოდეს არ მოეღებათ.
მაგრამ იმათ კი, ვისაც არ სურს, რომ დასაწყისი
ჰქონოდეს ერთხელ, იცოდე, რომ მათაც ოდესმე
ზიზლის მომგვრელი დასაწყისი ჰქონდათ შენსავით.
სამყაროები უდიდესი ადგილს უთმობდენ
იმდენად მცირეს, რომ ჩვენ იმათ ვერც წარმოვიდგენთ,
რადგან იცვლება ყოველივე; ცვალებადობა
მარტო სივრცემ და დრომ არ იცის. მაგრამ მხოლოდ მჩვერს
ცვალებადობის მარადობა მოუტანს სიკვდილს
შენა ხარ მტვერი და, რა ძალვის, იმაზე მეტი,
არ შეიძლება რომ იცოდე: რასაც იხილავ
ის იყო მტვერი.

კ ა ე ნ ი

მტვერი! — სულო! მე კი გაებედავ,
რომ ცველაფერი დავინახო, რასაც ისურვებ.

ლიუციფერი

გამომყე — ჩქარა.



კ ა ე ნ ი

მე ვარსკვლავებს ვერ ვხედავ თირზე ქარს
მე კი მეგონა, რომ ისინი დიდნი არიან,
ვით სამყარონი.

ლიუციფერი

სამყარონი არიან სწორედ.

კ ა ე ნ ი

იქაც აქეთ თავის ედემები?

ლიუციფერი

შესაძლო არის.

კ ა ე ნ ი

კაცნიც არიან?

ლიუციფერი

ჰო, ან არსნი მათზე მაღალნი.

კ ა ე ნ ი

ნუ თუ? გველებიც?

ლიუციფერი

რატომ არა, თუ ადამიანთ
იქვთ იქ ადგილი, გველები რათ არ უნდა იყვნენ?
გველი რითია უფრო ცუდი ადამიანზე?
მოსიარულე, თუ მცოცავი მტვერი იქნება,
მაინ მტვერია—სულ ერთია.

კ ა ე ნ ი

რა შორს ჩამოვერჩენ
ის მნათობები მოციმციმე! საითკენ მივჭრით?

ლიუციფერი

მოჩენებათა სამყაროსკენ, რომლებიც წინად
სცხოვრობდენ, როგორც არსებანი, ან მომავალში
იარსებებენ.

კ ა ე ნ ი

მაგრამ, ხედავ, როგორ თანდათან
ბნელდება უფრო, ვარსკვლავები ჩაჰვრენ უველანი.

ლიუციფერი

მაგრამ შენ მაინც იმზირები.

კ ა ე ნ ი

რა სინათლეა!

არც ძხე, არც მთვარე, ირც ვარსკვლავნი აურაცხელნი.



ცათა გუმბათი მეწამული რაღაც მწუხარების
გასაოცარი შებინდებით ციმუიმებს თითქოს.
იქ სდგანან რაღაც ვეებანი პირმოლუშულნი,
არ ჰევავს ესენი სამყაროებს, ჩვენ რომ გვხვდებოდენ
შარავანდედით და სისკოცხლით შემოვარსულნი,
ადულებულნი, როგორც მე ეს წარმომედგინა
ჩაშინ, როცა მე მივქროდი მათ ატმოსფერაში
და ვამჩნევდი მათ უსწორ-მასწორ მოხაზულობას
მაღალი მოების გრეხილებით და ღრმა ხევებით;
ზოგი მათვანი ზე ინთხევდა ცეცხლოვან სვეტებს,
ზოგიერთები სიღიაღით გაუგებარით
თვალგაღუწვდენელ ტრამალებად დაქანაობდენ;
ზოგი დაჭქროდა სხივოსანი ქამრებით ირგვლივ
და ფერწასული მთვარეების გუნდით, რომელიც
მათ ანიჭებდა ჩემი მიწის მშვენიერებას.
აქ კი ატარებს ყველაფერი საშინელ სახეს.

ლიუციფერი

მაგრამ ვარკვეულს. სიკვდილს ეძებ შენ, რომ იხილო?

კავნი

მე მას არ ვეძებ, მაგრამ რა კი არსებობს იგი
და რადგან ჩემი მშობლებისაგან ჩადენილ ცოდვით,
ისინი, მე და ჩვენ ყველანი ვავხდით მოკვდავნი,
მე ამის გამო მინდოდა, რომ წინასწარავე
მენახოს იგი, რომელსაც მე ერთ დროს უთუოდ
ჩემი სურვილის წინააღმდეგ ვნახავ.

ლიუციფერი

შეხედე.

კავნი

ეს ხომ წყვდიადი არის მხოლოდ.

ლიუციფერი


და საუკუნოდ
წყვდიადად უნდა დარჩეს იგი; მაგრამ გავალებ
მე იმის კარებს.

კავნი

როგორც კვამლი, მოიგრაგნება
იქიდან ორთქლის ხვეულები ვეებერთელა.
რას ნიშნავს იგი?

ლიუციფერი

შედი!



კ ა ე ნ ი

მაგრამ შენ ნებას დამრთო
რომ ისევ უკან გამოვბრუნდე?

ლიუციფერი

რომ გამობრუნდე!

დარწმუნებული იყავ მასში: თორემ სხვაგვარად
მე რანაირად დავასახლებ სიკვდილის მხარეს?
მისი საზღვრები ეხლანდელი ვიწროა მისოვის,
რომ დაიტიოს ყველა იგი, რასაც მოუტანთ
მას შენ და ყველა შენიანნი.

კ ა ე ნ ი

ორთქლი თანდათან

ფართოდ იშლება და გვეხვევა ჩვენ გარეშემო
თავის რკალებით საშინელით.

ლიუციფერი

წინ გასწი!

კ ა ე ნ ი

შენაც,

ნუ გეშინია, მე რომ არა, შენ ამ ადგილზე
ვერ მოხვიდოდი ვერასოდეს. გასწიე ჩქარა!
(იმალებიან მლელვარე ლრუბლებში)

სცენა გეორგი

ჯ ო ჯ ო ხ ე თ ი

ლიუციფერი და კაენი

კ ა ე ნ ი

რა მდუმარენი და პირქუში არიან (განა
ერთი და ორი!) ეს ვეება სამყაროები!
და იმავე დროს უფრო მჭიდროდ დასახლებულნი
ვიდრე ყველაზე უდიდესნი მნათობთა შორის,
რომლებიც თავზე ამ ლრმა წყვდიარის დასტრიალებდენ
ურიცხვ გუნდებად,— მე ისინი მეგონენ უფრო
ნათლით მოსილი მცხოვრებლები უცნობი ცისა,
ვიდრე ადგილნი სამყოფელნი, ხოლო, როდესაც
მათ დავაკვირდი უფრო ახლოს, დაფრწმუნდი მაშინ,
რომ ჩემს წინ იყო მატერია სიცოცხლისათვის
მხოლოდ, და არა თვით სიცოცხლე. აქ კი გარშემო
მოღუშულია ყველაფერი და მწუხრის ჩრდილით

გადაბინდული ყოველივე ამოწმებს მას, რომ
აქ დღე ყოფილა და ჩამქრალა.



ლიუციფერი

ეს სამეფოა
სიკედილისა, გსურს მისი ხილვა?

კ ა ე ნ ი

რა გიპასუხო,
ვიდრე არ ვიცნობ მე არსებობას იმისას კიდევ?
მაგრამ თუ კი ეს არის იგი, რომელსაც ისე
ხშირად ახსენებს მამა ჩემი საუბარის დროს,
მაშინ თვით ფიქრი მის შესახებ მათრთოლებს, ღმერთო!
წყეულის იყოს ის, რომელიც შეპქმნა სიცოცხლე
და იმათთვისაც მოისურვა წართმევა, ვისაც
დანაშაული არ უძლვოდა

ლიუციფერი

იმათ სჩვევიათ როგორც ერთი, ისე მეორე.

კ ა ე ნ ი

მაშინ სიკედილი რაღას ნიშნავს?

ლიუციფერი

მაგრამ ნუ თუ მან,
ვინაც თქვენ შეგქმნათ, არ გაუწყათ, რომ ის მეორე,
სიცოცხლე არის?

კ ა ე ნ ი

არა, იმან მხოლოდ ის გვითხრა,
რომ ჩვენ მოვკვდებით.

ლიუციფერი

შეიძლება დადგეს დრო, როცა
ის საიდუმლოს გაგიმულავნებთ.

კ ა ე ნ ი


ბედნიერი დღე!

ლიუციფერი

ჰო—ბედნიერი! მაშინ, როცა ეს საიდუმლო,
ტანჯვით ნაშობი, გადაიქცევა წამების მძევლად
ჯერ არ გაჩენილ, ჯერ უგონო მირიად მტვერთა!

კ ა ე ნ ი

ეს რა ძლიერი ქმნილებანი არიან, ირგვლივ
მე რომ მივლიან? მათ არა აქვთ შეხედულება



იმ უსხეულო სულებასა, იკრძალულ ედემს
რომ სდარაჯობენ, არც სახე აქვთ ადამიანის,
როგორიც ადამს, აბელს, ან ჩემს უძვირფასეს დასტატურისა
ან თვითონ მე და ან ჩემს 'შვილებს; და მაინც კიდევ,
თუმც ნათესავნი არ არიან ადამიანთა
და ანგელოზთა, მე მგონია, ბევრი მათგანი,
თუ უკვდავ სულებს ძლიერებით ვერ შესწოდებიან,
ადამიანებს კი უთუოდ ასკილდებიან;
შედიდურები, შშვენიერნი, ისეთნაირი
ძალით არიან გამსჭვალულნი! აგებულება
გაუგებარი აქვთ იმდენად, რომ მე აქამდე
მსგავსი ამისა არ მინახავს სრულიად არსად...
ფრთები არა აქვთ მათ, ისე ვით უსხეულოებს,
ან და მხეცებსა, არც მიწიერ სხვა არსებებთან,
არ აქვთ რაიმე მიმსგავსება ამ მოჩვენებებს.
ისე ლამაზნი და ძალ-ლონით სავსე არიან,
როგორც ცოცხალ არსთა შორის უძლიერესნი,
და იმავე დროს არა ჰვიანან იმდენად იმათ,
რომ ვერ მიცვნია მე ისინი ცოცხალ არსებად.

ლიუციფერი

ისინი მაინც სცხოვრობდენ

კ ა ე ნ ი

სად?

ლიუციფერი

სადაც შენ სცხოვრობ

კ ა ე ნ ი

როდის?

ლიუციფერი

სამყარო, ის სამყარო, რომელიც ეხლა
მიწად გადიქცა, მათგან იყო დასახლებული.

კ ა ე ნ ი

ამ სამყაროზე აღამია პირველი მხოლოდ.

ლიუციფერი

შენიანებში-კი ის არის; მაგრამ ადამი
ლირსი არ არის, ისეთებში რომ ყოფილიყო
უკანასკნელიც.

კ ა ე ნ ი

და მაინც რას წარმოადგენენ?



ଲୋକପିତ୍ରେଣ

იშას, რათაც შენ შომავალში გადაიქცევი.

396

რა იყვნენ, ან და რა შეეძლოთ რომ ყოფილიყვნებისინი წინაღ?

არსებანი შშვენიერები,

წინათ მაღალნი, გონიერნი და გულკეთილნი; შენი მშობლები სამოთხეში არსებობის დროს იმდენად დაბლა იდგნენ მათზე, ვით შენზე შენი შთამომავალი მესამოკე ათასი მოდგმის.

რაც შეეხება უძლურებას მათსას ამ ქამაღ,
შენ გაქვს სხეული, შეხედე და განსაჯე თვითონ.

۳۵۹

მ, ნუ თუ ყველა დაიღუპა?

Digitized by srujanika@gmail.com

ဒေဝါဒ၊ ၁၃၀၈၂၂၂၇၅၆၄၆၁

თავის მიწაზე, ისე, ოოგორც დაიღუპები
შენ შენს მიწაზე.

336c

ჩემი მიწა იმათი? იყო?

ମୋହନ୍ତିରାଜ

ଓପ୍ପାତୀଳେ ଓହମ.

69c

შავრამ ალბათ არა ისეთი,

როვორიც არის ის ამ უამაღლ. ამნაირ არსთა
გამოსაკვებად ის, მე ვფიქრობ, მეტად მცირე
და უბალრუკი.

იგი იყო უფრო დიალი

3206

ମୋରୁମ ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ ଏହି ରୂପ ଦାଖିଲାଇଲା?

ଲୋକପରିଚୟ

ନା କମିଶ ତେବେବୀ, ଯରୁ ପରିଷଳାଜୀବୀ ହିନ୍ଦୁପାତ୍ର,

13652

ମୁଖ୍ୟମାନ?

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

ଜୁମାଙ୍କଳଗୁରୁଗଭୀଳ ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣନାଥ ଠାର୍କ୍କେତ୍ର-ପାରିଷଦିତ.

რომლითაც იგი სამყაროებს ქაოსად აქცივს
და ქაოსიდან ძალუძს ისევ სამყაროს შექმნა.
ასეთი საქმე უამთა სვლაში იშვიათია,
მაგრამ არა აქვს სათვალავი მარადობაში.
წინ! ყველაფერი უნდა ნახო.



კ ა ე ნ ი

ო, საშინელი

სანახაობა!

ლიტციფერი

კეშმარიტი სამავიეროდ.
შეხე ამ ლანდებს; ერთ დროს მათაც, ისე, როგორც შენ,
ჰქონდათ სხეული.

კ ა ე ნ ი

და ნუ თუ მეც დავემსგავსები
ოდესმე ამათ?

ლიტციფერი

დე ამაზე თქვენ გიპასუხოთ
თქვენმა შემქმნელმა. მე კი ვამბობ: აპა ეს თქვენი
წინამორბედნი—რაღ ქცეულან, ხოლო რაც იყვნენ
ამას შენა გრძნობ, თუმცა ნაკლებ, შენი მცირედი
გრძნობების გამო, ვით არსება მატარებელი
შეუდარებლად უფრო უოტა სულიერის და
ხორციელ ძალის. სთქვი, რა არის თქვენში საერთო?
მხოლოდ სიკოცხლე და სიკვდილი; დანარჩენი კი,
რაც თქვენს თვისებებს წარმოადგენს, ახასიათებს
ყველა ქვემძრობებს, წარმოშობილ ყოვნის ქაფიდან
და ნალექიდან, რომელიც იქ მცირე პლანვტად
შედედებულა, იმისთვის რომ თავშესაფარად
უქმნეს იმ ბედქრულ ქმნილებებსა, რომელთათვისაც
უმეცრებაში ინახება ბედნიერება,
ცოდნაში შხამი: მაგრამ აბა შეხელე ერთი
ამ ძლიერ ლინდებს; ხოლო თუ შენ გული გატკინა
მათმა ყურებამ, დაუბრუნდი ისევ შენს მიწას
და თხარე იგი; სულ უვნებლად მიგიუვან უკან.

კ ა ე ნ ი

არა, მაცალე აქ დარჩენა

ლიტციფერი!

რამდენი ხანი?



კ ა ე ნ ი

სულ, სამუდამოდ! ბოლოს მაინც თუ არ ამცდობისა და განვითარება
აქ დაბრუნება, მიზანია იღარ გავბრუნდე.
მომბეჭრიდა უძლურ არსებათა მზერა და ისევ
გთხოვ ამ ლანდებთან რომ დამტოვო.

ლიუციფერი

არ შეიძლება!

შენ ისე უმშერ, ვით სიზმარში, ამ სინამდვილეს.
და რომ შეგეძლოს შენ იმისი გაზიარება
იმ ქმნილებებთან, რომლებსაც აქ ხედავ ამ უამდ,
მაშინ აქ უნდა მოხვიდე, შენ სიკვდილის კარით.

კ ა ე ნ ი

ეხლა რომელი კარი იყო, ჩვენ რომ მოველით?

ლიუციფერი

ეს იყო ჩემი. შენ უთუოდ უნდა დაბრუნდე.
მე ჩემი სუნთქვით დაგატარებ შენ სივრცეებში,
სადაც შენს ვარდა ყველაფერი არის უსულო.
იფრინე, მაგრამ ნუ იფიქრებ აქ სამუდამოდ
დარჩენას, ვიდრე არ დადგება შენი საათი.

კ ა ე ნ ი

ეს ქმნილებანი? ისინი არ დაბრუნდებიან
მიწაზე ისევ?

ლიუციფერი

მათმა მიწამ განვლო; დანგრევამ
სახე იმისი გარე-კანით ჯერ კიდევ თბილით
გამოიცვალა იმდენად, რომ თითო ატომი
მასში უცნობი იქნებოდა მათთვის: ო, იგი
რა მშვენიერი, რა ლაშაზი სამყარო იყო!

კ ა ე ნ ი

და არის კვალად! არა მიწით, — თუმცა მე ვალად
მაწევს იმისი მუშაობა, — ვარ გულნატკენი,
არამედ იმით, რომ ყველაფერს, რაც კი კარგია
მასზე, მე მხოლოდ ოფლით უნდა მოვიპოებდე,
რომ უძლური ვარ მე გავეძე ათას ჭირს, იკვებს,
ავადმყოფობას, ბოლოს სიკვდილს...

ლიუციფერი

შენ ხედავ თვითონ,
როგორიც არის შენი მიწა, მაგრამ აჩრდილიც

არ შეგიძლია შენ იმისი წარმოიღვინო,
თუ რანაირი იყო იგი.



კ ა ე ნ ი

აგერ ლანდები,—

ვეებერთელა ქმნილებანი, იმ არსებებზე,
რომლებსაც გვერდით გაუარეთ, მდაბალნი უფრო,
მსგავსნი მიწაზე, ულრან ტყეში, ბინალარ მხეცთა,
რომელთა ყეფა და ლრიალი შიშის ზარსა სცემს
თვით დედამიწას, მავრამ ათჯერ მათზე დიდები
და შემზარავნი, რომლებიც მე მეჩვენებიან
ედემის კედლებს აცდენილნი: მათი თვალები
ისეთნაირად ანათებენ, ვით მახვილები
ცეცხლად მგზნებარე, მოდარაჯე ჭერუბიმების
ხელში აწვდილნი, ვით ხეები კანშემოცლილი,
ისე უბზინავს მათ ეშვები,—ეს რაღა არის?

ლიუციფერი

ის, რაც მამონტი ეხლანდელი დედამიწისთვის;
ისინი ეხლა დამარხულნი არიან მის ქვეშ
მირიადობით.

კ ა ე ნ ი

ხოლო მასზე კი აღარც ერთი?

ლიუციფერი

არც ერთი, თორემ თქვენი სუსტი შთამომავლობა
მათთან ბრძოლის დროს ისე მალე ამოსწყდებოდა,
რომ უმნიშვნელო გახდებოდა ის დიდი წყევა,
რომელიც თავზე თქვენ დაგატყდათ.

კ ა ე ნ ი

მავრამ ეს ბრძოლა

რა საჭიროა?


ლიუციფერი

დაგავიწყდა დალგენილება,

რომლითაც იყო სამოთხილან გამოდევნილი
ადამის მოდგმა? ომი ჟერლა არსებებს შორის
და ყველას ერთად მწუხარება, ცრემლები, ტანჯვა:
ასეთი არის აკრძალული ნაყოფი ხისა.

კ ა ე ნ ი

მავრამ არსნი ხომ აკრძალულ ხეს არ შეხებიან
და რისთვის უნდა დაიხოცნენ?



ლიუციფერი

თქვენმა შემქმნელმა განვიცხადათ თქვენ, რომ იყინორია ჩატვა
თქვენთვის ორიან გაჩენილნი, ისე, როგორც თქვენ აიყრინდეთ
შეგქმნათ თავისთვის. და ვანა თქვენ მოისურვებდით,
რომ მათი ხვედრი ყოფილიყოს თქვენსაზე კარვი?
არ შემცდარიყოს მამა შენი—ისინი მაშინ
არ მოჰკვდებოდნენ.

კ ა ე ნ ი

ეჭა, არსნო იმედმოყლულნო!

თქვენც მამა ჩემის ცოდვა უნდა გაინაწილოთ,
როგორც მისმა შეილებმა, თუმც მათებრ ნაყოფი
აკრძალული ხის თქვენაც თვალით არ დაგინახავთ
და ამნაირი საფასურით ნაყიდი ცოდნა
არ მიგილიათ. მატყუარა ყოფილი ის ხე,
რადგან ჩენ მისგან არაფერი არ შეგვიტყვია.
ის გვიპირდებოდა ცოდნას—თუმცა სიკვდილის ფასად,—
მავრავ რა ცოდნა შეიძინა აღამიანშა?

ლიუციფერი

ეგებ სიკვდილმა მოგცეთ ცოდნა თქვენ უმაღლესი?
და იგი, თქვენთვის ერთად ერთი ცნობილი ნივთი
სხვა ნივთთა შორის, ეგებ ცოდნას უჰეშმარიტესს
ატარებს თვითონ. ხე იქნება მართალი მაშინ,
თუმც სასიკვდილო.

კ ა ე ნ ი

ო, ქვეყნებო დაუნჯებულნო!

მე თქვენ გიმშერთ და არაფერი არ მესმის თქვენი.

ლიუციფერი

ეს გასაკვირი როდი არის: შორს არის კიდევ
საათი შენი აღსასრულის; ხოლო სულსა კი
ნივთიერება ვერ გაიგებს, მაგრამ შეტყობა
ამგვარ ქვეყნების არსებობის განა არ ნიშნავს
რაიმე ცოდნის მოპოებას?

კ ა ე ნ ი

მე უკვე ადრე

ვიცოდი ის, რომ არსებობდა სიკვდილი.

ლიუციფერი

მაგრამ

სიკვდილის იქეთ თუ რა იყო, ის არ იცოდი.

კ ა ე ნ ი

ეხლაც არ ვიცი არაფერი მაგის შესახებ.

ლიუციფერი

მაგრამ შენ სცანი, რომ გარეშე შენი ყოფნისა
არის სრულიად სხვა დარგები არსებობისა.
საათით ადრე ეს იმპავი შენ არ იცოდი.

კ ა ე ნ ი

მაგრამ ეს ჩემთვის მეტად ბუნდოვანია.

ლიუციფერი

დაქმაყოფილდი ჯერ ამითი, ხოლო შემდეგში
შენს უკვდავებას ყველაფერი განემარტება.

კ ა ე ნ ი

ეს ტრედისტერი, უნაპირო სივრცე, რომელიც
ჩვენს ქვეშ მღინარებს და ქანაობს,—ეს სალა არის?
მე მას ედემის მღინარებს შევადარებდი,
რომ აქ არ იყოს გამსჭვირვალე ეთერის ფერი
და ვაშლილობა საზღვრებსა და წრეს გადასული.

ლიუციფერი

ამასაც დარჩა მიმსვავსება დედამიწაზე,
მსგავსება, თუმცა მეტად მყრთალი, რომლის მახლობლად
დასახლდებიან შენნი—ეს არის ლანდი
ოკეანესი.

კ ა ე ნ ი

ვებერთელა, როგორც მსოფლიო
და წმინდა, როგორც მზე წყალისგან; მის ზედაპირზე
უზარმაზარი ცხოველები დასრიალობენ,—
ეს რალა, არის?

ლიუციფერი

ეს დალუპულ ლევიათანთა
აჩრდილებია.

კ ა ე ნ ი

და ეს გველი მცურავ ფაფარით,
ვეება თავი უფსკრულზე რომ გადაუწვდია,
ათჯერ მაღალი და იმაყი ყველაზე უფრო
მაღალ ხეებზე,— თითქოს იგი, ასე მგონია,
მზად არის ირგვლივ შემოერტყას იმ სამყაროებს,
რომლებიც წელან მე ვიხილე—ხომ არ ეკუთვნის
იმ გველის მოჯგმას, რომელსაც იქ, ედემის ბაღში
საბედისწერო ხის ჩრდილ ქვეშე წოლა უყვარდა?





ლიუციფერი

მაცდური გველის გარეგნობა უველაზე უკედ
შენს დედას, ევას, ეცნობება.

კ ა ვ ნ ი

არა ეს უფრო
საშინელია, ხოლო ის კი, რაღა თქმა უნდა,
უფრო ლამაზი იქნებოდა.

ლიუციფერი

შენ ის არასდროს
არ დაგინახავს?

კ ა ვ ნ ი

მისი მოდგმის—ბევრი ძალიან,
მაგრამ თვითონ ის, ეცას ვაშლი რომ შესთავაზა,
არა, არც ერთხელ.

ლიუციფერი

არც მამაშენს უნახავს იგი?

კ ა ვ ნ ი

არა, ადამი შეაცდინა ევამ, გველმა კი
უკანასკნელი მოატყუა.

ლიუციფერი

ადამიან!

აწი, როდესაც შენი ცოლი, ან და ცოლები
შენი შვილების თქვენს შეცდენას განიზრახავენ,
ეცადეთ, ქარგად რომ გაიგოთ ის, თუ ვინ იყო
შემაცდენელი თვით იმათი.

კ ა ვ ნ ი


ეგ შენი რჩევა
ამ ეამად უკვე ზედმეტია: ამიერიდან
გველი დიაცებს ველარაცრით შეაცდენს.

ლიუციფერი

მაგრამ

სამავიეროდ არის კიდევ ერთი რამ, რითაც
თქვენს ცოლებს თქვენი, თქვენ კი მათი შეცდენა ძალგიძთ,
დე ეს ურველთვის იქონიონ მხედველობაში
შენმა შვილებმა! ჩემი რჩევა კეთილი. არის,
მით უმეტეს, რომ ის პირდაპირ მიმართულია
თვითონ ჩემსავე წინააღმდეგ, მაგრამ მე ვიცი
თქვენ ასეთ რჩევას არასოდეს არ შეასრულებთ
და მეც არაფერს არ დავკარგავ.

კ ა ე ნ ი



მე ეს არ მესმის უძლებელობები

ლიუციფერი

ო, ბედნიერო! შენი მიწა ისე ნორჩია!
შენი თავი გყავს დამნაშავედ და უბედურად
წარმოდგენილი—ხომ ასეა?

კ ა ე ნ ი

დანაშაული

არ ვიცი რა მაქვს, მაგრამ რომ მე უბედური ვარ
ეს კი ცხადია. ო, რაოდენს ვანვიცდი ტანჯვას!

ლიუციფერი

პირველო შვილო პირველ მამის! დამნაშავე ხარ,
რადგან ცოდვაში ჩაისახე; მწუხარებაში
დაბადებული—იტანჯები; მაგრამ ყველა ეს
უნეტარესი, უცოდველი სამოთხე არის
იმის გვერდით, რაც მოკლე ხანში უნდა ვაიგო.
ხოლო ის, რასაც შენ ვაიგებ; იქნება ისევ
სამოთხე მასთან შედარებით, რაიც შენს შვილებს
და იმ შვილების შვილთა შვილებს, ვამრავლებულებს,
ვით მიწის მტვერი, სატანჯველი მოელის. მაგრამ
უკვე დრო არის შენი უკან დაბრუნებისა.

კ ა ე ნ ი

მხოლოდ იშისთვის მომიყვანე, შენ აქ, რომ ჩემთვის
გეჩვენებინა ეს სურათი?

ლიუციფერი

ვანა შენ ცოდნას

არ დაეძებდი?

კ ა ე ნ ი

დაევეძებდი, რომ შემდეგ მისი
საშუალებით მივსწოდომოდი ბედნიერებას.

ლიუციფერი

კეშმარიტება რომ ნიშნავდეს ბედნიერებას,
შენ ბედნიერი იქნებოდი.

კ ა ე ნ ი

მაშასადამე,
უფალი ჩემი მშობლებისა მართალი იყო,
როდესაც იმათ აუკრძალა მე დამლუპველი.

ლიუციფერი

ხოლო, რომ ის ხე არ დაერგო სრულიად იმას,

უფრო მართალი იქნებოდა. მაგრამ არ ცოდნა
ბოროტებისა ბოროტებას ვერ აგარიდებს.
თანდათან უნდა გაიზარდოს ის და მოედოს უკანონობება
ყველა ნივთებს და ყველა არსებს.



კ ა ე ნ ი

არა, არა მწამს,
არ შემიძლია დავიჯერო შენი სიტყვები:
მხოლოდ სიკეთე მწყურია მე.

ლიუციფერი

მაგრამ ვის, ან რას
არა სწყურია ეგ სიკეთე? ვინ შეიყვარა
ბოროტებაში მისი გესლი და საწამლავი?
ეს კანონია ყველასათვის და ყველაფრისთვის,
რაც უსულოა და რასაც კი უდგია სული.

კ ა ე ნ ი

მაგრამ ვერ მივა ბოროტება იმ უსპეტიკეს
სამყაროებზე, რომლებიც მე, მათი სიტურფით
გაოცებულმა დაგინახე ვზადაგზა, ვიდრე
არ შემოველით ამ წყვდიადში; ისინი ისე
მშვენიერია!

ლიუციფერი

შენ ისინი შორს დაინახე.

კ ა ე ნ ი

მერე რა უყოთ? სილამაზეს შორი მანძილი
ასუსტებს მხოლოდ. ახლოდან კი ალბად ისინი
სანახაობას თეალის მომკრელს წარმოადგენენ

ლიუციფერი

მიუახლოედი შენი მიწის უმშვენიერეს
ქმნილებებსა და დააკვირდი შემდეგ ახლოდან
მათ სილამაზეს.

კ ა ე ნ ი

მოვქცეულვარ მე აგრე ხშირად
და ის ქმნილება, რომელიც მე ყველაზე წეტად
თვისკენ მიზიდავს, ახლოს უფრო მშვენიერია.

ლიუციფერი

აქ მოტყუება უნდა იყოს. მითხარი აბა
რა არსებაა ის, რომელიც შენ გეჩვენება
ახლოდან უფრო მშვენიერი უმშვენიერეს,
მაგრამ შორეულ არსებებზე?

კ ა ვ ნ ი

მე აქ ვგულისხმობ
ადას—ძვირფას დას. ეარსკვლავების მირიადები,
ლაუეარდი სიღრმე სალამოს ცის მისი მნათობით,
რომელიც ისე იმზირება, როგორც სული ან
სამყარო სულთა, მზის ამოსვლა უნეტარესი
და მისი ჩასვლა,—როდესაც მას ვადევნებ თვალს მე
ჩუმად მტირალი, ვგრძნობ, თითქოს მეც იმასთან ერთად
მწუხრის ღრუბლებში ვიძირები,—ტყეთა კარავნი
მათი ჩრდილით და სიგრილეთი, ხმა ფრინველისა,
ლამის ფრინველის, რომლის ტკბილი საგალობელი
თითქოს სიყვარულს აღიდებდეს და სამოთხეში
უერთდებოდეს ქერუბიმთა ქებათა-ქებას,—
ეს ყველაფერი სულ არაფერს არ წარმოადგენს
იმის წინ, რასაც უუბნები ჩემს გულს და თვალებს
ჩემი ძვირფასი ადას სახე, მისი დანახვა
მე მეტ სიხარულს მაგრძნობინებს, კიდრე მთლად ერთად
დაგროვებული საუნჯენი მიწის და ცისა.

ლიუციფერი

მასში იმდენი სილაპაზე მოთავსებულა,
რამდენიც მისთვის მინიჭება შეეძლოთ პირველ
მშობლებს მიწაზე, მშვენიერებს, თუმცა მოკვდავებს,
მთელი იმათი აღტყინების სიმბურვალეში
მაგრამ ეს მაინც მარტოოდენ მოტყუებაა.

კ ა ვ ნ ი

ო, შენ იმისი ძმა რომ იყო, მაშინ სხვაგვარად
ილაპარაკებ ამის ვამო.

ლიუციფერი

სიკვდილის შვილო!


მე ძმად უხდები მხოლოდ ისეთ არსებებს, ვისაც
შვილების ყოლა არ სჩვევია.

კ ა ვ ნ ი

და ამიტომ შენ
არ შეგიძლია იქონიო კავშირი ჩვენთან.

ლიუციფერი

ეგებ თქვენ იყოთ გაჩენილი მავისთვის მხოლოდ.
მაგრამ თუ კი ჰელობ შენ არსებას ესოდენ ლამაზს,
რა მიზეზია უბედური რომა ხარ მაინც?



კ ა ე ნ ი

რისთვის ვარსებობ? რისთვისა ხარ შენ უბედული? მანამ გადასაცავი
რად არის ასე უბედური ყოველი არსი
მთელ ქვეყანაზე? თითონ იგი, ვინც ჩვენ შეგვჭმნა,—
უბედურ არსთა შემოქმედი—განა იგი კი
ბედნიერია? აშენება მხოლოდ იმისთვის,
რომ დააჭირო—ეს ისეთი შრომაა, სადაც
არ შეიძლება იქნეს რამე სახისარულო.
ადამი ამბობს: იგი არის ყოვლად ძლიერი,
ის კეთილია.—ქვეყანაზე მაშ ბოროტება
რისთვის ლა არის? ამ კითხვაზე ის მეუბნება,
რომ ბოროტება გზაა მხოლოდ კეთილისაკენ.
საოცარია ეს სიკეთე, რომ მას უხდება
თავის მოსისხლე მტრის გულიდან აღმოცენება.
მე ამ დღეებში გველნაკბენი ბატქანი ვნახე;
ძირს გაწოლილი ის საბრალოდ იგრიხებოდა,
მაშინ როდესაც დედა ცხვარი შეშინებული
თავზე ბლავილით დასდგომოდა. ჩემმა მშობელმა
რაღაც ბალახი მოსწყვიტა და დაადო ნაკბენს;
ცოტა ხნის შემდეგ საცოდავი ქმნილება ისევ
ნათელ სიცოცხლეს დაუბრუნდა და უზრუნველად
დაუწყო წოვა დედის ძუძუს, დედაც, ჯერ კიდევ
ათრთოლებული ლოკავდა მას. აჰა, შეხედე,—
მითხრა მშობელმა:—ბოროტებას სიკეთე მოსდევს.

ლიუციფერი

რა უპასუხე?

კ ა ე ნ ი

არათერი,—ის ხომ მამაა,
მაგრამ მე მაინც გავიფიქრე, რომ ცხოველისთვის
ის იქნებოდა უმჯობესი გველს არ ექინა,
ვიდრე უმშარეს ტკივილების გამოცდის შემდეგ
გამოცდადა სიხარული განკურნებისა.

ლიუციფერი

მაგრამ, რაღვანაც შენა სოქვი, რომ ყველა მათ შორის,
ვინაც შენ გიყვარს, უმეტესად შეგვარებია
ის,, ვინაც შენთან ერთი შკერდით იკვებებოდა
და ვინც შენს შვილებს ასაზრდოებს თავის ძუძუთი...

კ ა ე ნ ი

ეგ მართალია! მე უმისოდ რა ვიქნებოდი?



ლიუციფერი

მე რა ვარ?

კ ა ე ნ ი

ნუ თუ არაფერი არ გიყვარს?

ლიუციფერი

შენს ღმერთს?

იმას რა უყვარს?

კ ა ე ნ ი

ყველაფერი, ყოველი არსი,
როგორც მე ამას მამა ჩემი მეტყოდა ხოლმე,
მაგრამ მე, ვიტყვი გამოტეხით, ამას მათ ბედში
სულ ვერა ვხედავ.

ლიუციფერი

მაგვარადვე ვერ დაინახავ
მიყვარს მე არსნი ყოველნი, თუ მათ მივაქანებ
ერთი გეგმისაკენ, ვით თოვლის ფიფქს მძლავრი ჭარ-ბუქი.

კ ა ე ნ ი

როგორც თოვლის ფიფქს? ეს რაღაა?

ლიუციფერი

ბედნიერი ხარ,
რაღან არ იცი იგი, რაც შენს შორეულ მოდგმებს
ეცოდინება. შენა სცხოვრობ თბილ ქვეყანაში;
სადაც ზამთარი არ ყოფილა.

კ ა ე ნ ი

მაგრამ ეგებ შენ
შენივე მსგავსი მაინც გიყვარს?

ლიუციფერი

შენ შენი თავი

გიყვარს თუ არა?

კ ა ე ნ ი

რა თქმა უნდა; მაგრამ ჩემს თავზე
შე უფრო მიყვარს იგი, ვინაც ჩემს მწუხარებას
და ჩემს წიმებას ამსუბუქებს;

ლიუციფერი

შენ მასში გიყვარს
ის მომხიბლავი სილამაზე, ვაშლში რომ იყო,
და დედა შენი რომ დალუპა; მაგრამ ვაივლის
სილამაზე და მასთან ერთად შენს სიყვარულსაც
ვით ყოველ სურვილს, მოელება ბოლო უთუოდ.



კ ა ე ნ ი

როგორ გაივლის სილამაზე? რა მიზეზია?

ლიუციფერი

ეამთა სფლისაგან.

კ ა ე ნ ი

მაგრამ უამი ხომ გადიოდა,
და მაინც კიდევ მამა ჩემი და დედა ვვა
ჯერაც ისევ ლამაზები არიან, თუმცა
არც ისე ძლიერ, როგორც ადა ან სერაბიმი.

ლიუციფერი

ეგ სილამაზე გაივლის და გაქრება შათში.

კ ა ე ნ ი.

მალონებს ეს მე; მაგრამ ჩემი გრძნობა მისდამი
რომ შეიცვალოს, —არა მჯერა, და თუ კი მისი
მშვენიერება დაიღუბა, მე მგონია, რომ
ამით დაჰკარგავს ყველაზე მეტს თვითონ შემჭმელი
სილამაზისა:

ლიუციფერი

მებრალები, რომ შენს სიყვარულს
ელის დალუპვა.

კ ა ე ნ ი

შენ უფრო ხარ შესაბრალისი,
რომ არასოდეს არაფერი არ გყვარებია.

ლიუციფერი

შენი ძრა გიყვარს?

კ ა ე ნ ი

რასთვის არა?

ლიუციფერი

მამა შენსაც ხომ უყვარს იგი, აგრეთვე შენს ღმერთს
არა ნაკლებად.

კ ა ე ნ ი

მეც მათსაფით.

ლიუციფერი

მოსაწონია

ეგ ადასტურებს მორჩილებას.

კ ა ე ნ ი

მორჩილებას!

ლიუციფერი

პო! აბელი ხომ—

მეორე შვილი—საყვარელი შვილია დედის.

კ ა ე ნ ი

ჩემთვის ერთია: სიყვარული პირველი მისი
გველს ეკუთვნოდა.



ლიუციფერი

მამა შენსაც რომ უყვარს იგი?

კ ა ე ნ ი

მერე რა უყოთ? განა მე ის არ შემიძლია
რომ შეეიყვარო რაც სხვებს უყვარს?

ლიუციფერი

მაგრამ თვით ღმერთი,
თქვენი მფარველი იელოვა, ვინაც ედემი
უნერარესი გააშენა და მას გარშემო
დიდი კედელი შემოავლო,—ისიც იგრედვე
აბელს უცქერის გალიმებით.

კ ა ე ნ ი

მე არასოდეს
არ დამინახავს იელოვა გელიმებული,
ისიც არ ვიცი—ილიმება იგი, თუ არა.

ლიუციფერი

ანგელოზები ხომ გინახავს იმისი?

კ ა ე ნ ი

ძალიან ძვირად

ლიუციფერი

მაგრამ არც ისე იშვიათად, რომ არ იცოდე,
მათთვის აბელი თუ რამდენად საყვარელია
და მისი მსხვერპლი ღმერთისათვის რა საამოა,

კ ა ე ნ ი

მე რა რა საქმე მაქვს იმის მსხვერპლთან? ან შენ რად გინდა,
ჟველა ამ ამბებს რომ მიყვები?

ლიუციფერი

მხოლოდ მისთვის, რომ
ამის შესახებ შენ ფიქრობდი.

კ ა ე ნ ი

თუნდაც შეფიქროს,
რა საჭიროა გახსენება?

(ჩერდება და შემდეგ განაგრძობს ფრიად იღელვებული)
სულო, მისმინე!

შენ შემიყვანე შენს საკუთარ სამფლობელოში:

ჩემსას კი თავი გაანებე. შენ მე მაჩვენე
უძლიერესი ქმნილებები, რომლებიც უმალ,

ვიდრე ადამი გაჩნდებოდა, სტკეპნილენ მიწას,
იმ დედა-მიწას, რომლის ერთი ნამსხვრევი მხოლოდ
ჩვენ დაგვრჩენია; შენ მაჩვენე მე უთვალავი
სამყაროები, მნათობები, რომლებსაც ჩვენი
სამყარო მცირე თანამგზავრად აჰკილებია
დაუსრულებელ სივრცეებში; შენ დამანახე
მე აჩრდილები სულ სხვა ყოფნის, რომლის წიაღი
ჩვენმა მშობლებმა განამზადეს ჩვენთვის, როდესაც
სიკვდილის ხელში ჩვენ ჩავცყარეს; შენ მე მაჩვენე
მეტად ბევრი რამ, მაგრამ მაინც ეს ყველაფერი
არ არის კიდევ: შემახედე, თუ სადა სუფევს,
თავის ედემში იელოვა, ან შენ შენსაში?
სად არის?



ლიუციფერი

ყველგან, მთელ სივრცეში.

კ ა ე ნ ი

მაგრამ თქვენ მაინც

ხომ უნდა გქონდეთ ერთი ბინა იმგვარიდ, როგორც
ყოველ ქმნილებას. ადამიანს მიწა აქვს ბინად,
სხვა სამყაროებს აქვს თავისი მოსახლეობა.
ყოველ სულიერს საკუთარი სტიქია საზღვრავს.
თვით ლანდებიც კი, რომლებიც შენ მაჩვენე გზაში,
რალც ქვეყნებზე ბინადრობენ. შენ სადღა სცხოვრობ?
ან იელოვა? ან ეგები ორივე ერთად?

ლიუციფერი

არა; ჩვენ მხოლოდ ერთად ვმეფობთ, კცხოვრობთ ცალ-ცალკე.

კ ა ე ნ ი

ო, რომ თქვენ შორის იყოს მხოლოდ ერთი და ერთი!
მაშინ მიზანის გაერთება ეგებ შექმნიდა
ამ უამად მტრულად განწყობილი სტიქიონების
ერთიანობას. გათვისება რით შევსძლო თქვენი,
როცა ორივე უკვდავი ხართ და ყოვლად ბრძენი?
განა თქვენ ძმები არ იყავით და ეხლაც კიდევ
არა ხართ თქვენი ბუნებით და მარადისობით?

ლიუციფერი

შენ და აბელი ხომ ძმები ხართ?

ა დ ა მ ი

ჩვენ ძმები ვართ და

ძმებიც ვიქნებით სამუდამოდ, მაგრამ, თუნდაც რომ
ასე არ იყოს, განა სული ხორციელსა ჰგავს?
რაგვარად ებრძეის უკვდავება უსაზღვროებას,
არ არღვევს ამით მსოფლიოს წესს,—რა საჭიროა?



მეფეობისათვის.

ლიუციფერი

კ ა ე ნ ი

შენ მითხარი, რომ თქვენ ორივე
ხართ უკვდავები.

ლიუციფერი

მართალია.

კ ა ე ნ ი

ხოლო ის ლურჯი
სივრცეები ხომ უსაზღვროა?

ლიუციფერი

ჰო, უსაზღვროა.

კ ა ე ნ ი

და თქვენ არ ძალიძთ, რომ ორივემ იმეფოთ მასში?
რა საჭიროა, რომ იყოფით?

ლიუციფერი

ვმეფობთ ორივე.

კ ა ე ნ ი

მაგრამ თქვენ შორის ბოროტებას ხომ ერთი სჩადის?

ლიუციფერი

რომელი მაინც—მე თუ იგი?

კ ა ე ნ ი

შენ: მე მგონია,
შენ შეგიძლია აღამიანს რომ დაეხმარო;
რისთვის არ შველი?

ლიუციფერი

არა გშველით მხოლოდ იმისთვის,
რომ თქვენ იმისი ქმნილება ხართ და არა ჩემი.

კ ა ე ნ ი

თუ აგრე ფიქრობ, მაშ დაგვტოვე მის ქმნილებებად,
მაგრამ მაჩვენე მე ადგილი, საღაც ის სცხოვრობს.
ან შენი ბინა.

ლიუციფერი


მე შემეძლო მეჩევენებინა
შენთვის ორივე, მაგრამ უამი დაღვება, როცა
შენ ერთს იმათვანს სამუღამოდ წიეკუთვნები.

კ ა ე ნ ი

ეხლა რომ ვნახო, არ იქნება?

ლიუციფერი

შენს მოკვდავ ქუჯას
იმ სულ მცირედის ათვისებაც კი უძნელდება,



რომელიც მე შენ აქ გიჩვეუე, და შენ ოცნებობ,
რომ ნახო ორი დასაწყისის უდიდესი და
ღრმა საიდუმლო. შენ გინდა, რომ ნახო ისინი
თავის იდუმალ ტახტზე მჯდომნი... მტვერო! ნუ გიპყრობს.
შენ მედიდური სურვილები: არ შეგიძლია
მათი დანახვა შენ ისე, თუ არ დაიღუპე.

კ ა ე ნ

დე დავიღუპო, მომეც მხოლოდ საშუალება
მათი ხილვისა!

ლიუციფერი

მე ვცნობილობ შენში წინაპარს
შენსას, რომელმაც ანაცვალა სამოთხე ერთ ვაშლს.
მაგრამ იმათი ხილვისათვის უნდა წინასწარ
შენ უსათუოდ დაიღუპო: ასეთი ჰერეტია
თვისება არის სულ სხვანაირ მდგომარეობის.

კ ა ე ნ ი

სიკვდილის!

ლიუციფერი

იგი შესავალი არის იმისი.

კ ა ე ნ ი

ო, ეხლა ნაკლებ მეშინია მე სიკვდილისა,
როდესაც იგი უხილავის ხილვას მპირდება.

ლიუციფერი

ეხლა მე მინდა შენს მხარეში გადაგიტანო,
საღაც ვალად გდევს, რომ ადამის მოდგმა ამრავლო,
რომ შენ იქ მფდამ მუშაობდე სვამდე და სჭამდე,
გძინავდეს, თრთოდე, ცრემლს აქცევდე და—მოკვდე ბოლოს.

კ ა ე ნ ი

მავრამ მაუწყე, როგორ უნდა გამოვიყენო
ის, რაც ვიხილე.

ლიუციფერი

შენ ხომ ცოდნას ეძებდი? და ის,
რაც შენ აქ ჩემი დახმარებით იხილე, განა
შენ არ გასწავლის შენი თავის შეცნობას?

კ ა ე ნ ი

ვაგლახ!

მე ვფიქრობ, რომ მე არარა ვარ.

ლიუციფერი

და ეს იქნება

გონება კაცთა ყველა ცოდნის—საზღვარი მთელი
სიბრძნის, რომელსაც თქვენ მისწვდებით: შეცნობა თქვენი

არაობის. უანდერძე შთამომავლობას
ეს შენი ცოდნა და იგი მათ ააცდენს მრავალ
უბედურებას და სიმწარეს.

კ ა ე ნ ი

ამაყო სულო!

შენ გულზიადად ლაპარაკობ, მაგრამ იცოდე,
შენზე მაღალიც არის კიდევ.

ლიუციფერი

არა, ვიფიცავ

ზეჯას, სადაც ის მეფობს მხოლოდ! ვფიცავ უფსკრულებს
და იმ უთეალავ სამყაროებს, სადაც ჩვენ თრი
ვბატონობთ,—არა! მართალია, მე მძლია იმან,
მაგრამ არ არის იგი ჩემზე მაღალი—არა!

მას თაყვანსა სცემს ყოველივე ჩემს გარდა მხოლოდ.

მის წინააღმდეგ ჩემი ბრძოლა სულ იგივეა

როგორიც იყო თავიდანვე, ჟველაფრის გამო,

რასაც კი პფარავს იდუმალი მარალისობა,

უსაზღვრო სივრცე, ჯოჯოხეთი მთელი თავისი

განუზომელი უფსკრულებით და სიბნელეთი,—

ჟველაფრის გამო მექნება მე იმასთან ბრძოლა!

სამყაროებმა, ვარსკვლავებმა, მთელმა მსოფლიომ

უნდა სასწორზე იცაბცახონ მანამდე, ვიღრე

არ მოთავდება ეს კიდილი მისი ან ჩემი

განადგურდებით. სხვა ვზით იგი არ დასრულდება.

მაგრამ ძალუს კი უკვდაებას განადგურება?

ძალუს ოდესმე დასრულება ჩეენს მძაფრ სიძულვილს?

ვინც გაიმარჯვა, ბოროტებად გამოაცხადებს

იმას, ვისაც ის მოერია; მაგრამ სიკეთე,

რომლისაც იგი უნდა იყოს მომნიჭებელი,

რაში გამოჩნდა? მე რომ ვიყო გამარჯვებული

რა ბოროტება იქნებოდნენ საქმენი მისნი!

და თქვენ ჯერ კიდევ უსუსურნო რა საჩუქრებით

დაგაჯილდოვათ თქვენ და თქვენი საბრალო მიწა?

კ ა ე ნ ი

ჩვენ მეტად მცირე საჩუქრები მივიღეთ მისგან
და ჟველი მწარე.

ლიუციფერი

მაშ გამომყე ისევ მიწაზე

და გამოსცადე შენ ბოლომდე მისი ციური

მომადლებანი. ბოროტება და სიკეთეა

თვით ქმნილებაში, და იგი, ვინც იმათ იძლევა,



მათი შემქმნელი რად არის. მაგრამ თუ კი ის
მომნიჭებელი არის თქვენთვის ყველა სიკეთის,
დედ მიგაჩნდეთ ის კეთილად. სიმაგიეროდ
ნურც ბოროტებას ჩასთვლით ჩემიად, როდესაც იგი
თავს დაგატყდებათ, ვიდრე მისი მიზეზი თქვენთვის
აუხსნელია. ეცადეთ, რომ თქვენი მსჯელობა
ეფარდებოდეს არა სიტყვებს, თუნდ ეს სიტყვები
ნათქვამი იყოს სულთა მიერ, არამედ ნაყოფს,
რომელსაც თქვენ სჭამთ. თქვენ გაქვთ ერთი ნამდვილი ჯილდო,
იგი თქვენ ვაშლმა მოგანიჭათ საბედისწერომ,
ეს ერთად ერთი ჯილდო არის თქვენი გონება.
დედ ის მონად ნუ იქცევა მუქარის შიშ ქვეშ,
რომელიც იმას აიძულებს ირწმუნოს იგი,
რასაც უარჰყოფს სინამდვილე თვალშესახები.
სიჯიუტე და აზროვნება—აი ის, რითაც
თქვენ შევიძლიათ საკუთარი სამყარო შეჰქმნათ
თითონ თქვენშივე, შინაგანი სამყარო, რომლით
დაიფარება გარეგანი, თვალით ხილული.
აი, თქვენ ამ გზით შევიძლიათ მიუახლოვდეთ
სულთა ბუნებას და დასძლიოთ თვით საკუთარი.

(პეტებიან).

(დასასრული შემდეგ ნომერში).

თარგმანი ქონსტანტინე ჭიჭინაძის.





0 0 8 8 6 0

მის. მორალი

მხატვრულ-მოძრავი თეატრი საქართველოში

ხელოვნება ყველას ეკუთვნის. ყველას აქვს მისი თანაზიარების უფლება.

განვითარების დაბალ თუ მაღალ საფეხურზე მდგომ ყველა ქვეყნებში, ყოველ ისტორიულ ეპოქაში ხელოვნებას მეტად მჭიდრო კავშირი აქვს ხალხის ცხოვრებასთან.

უდავოა ეს კეშმარიტება, მაგრამ... სამწუხარო ამბავი მოსდევს თან: სწორედ ხალხის ის ნაწილი, რომელსაც ხელოვნებით სარგებლობის დიდი უფლება იქვს, ფაქტიურად მოკლებულია ამ უფლებას. დიდი ქალაქების განაპირა უბნები, პროვინცია, დაბა და განსაკუთრებით სოფელი, თითქოს ცხოვრების გერი იყოს.

დიდი ცენტრების ვერც ერთი დარგი ხელოვნებისა ვერ დაიკვეხნის, რომ მისი დასაბამი, მისი ფესვები ცენტრშივე იყვეს დაბადებული. არა. ყოველივე: მუსიკალური ჰანგი, როკი, პოეტური მეტყველება—ხალხისაგან არის ნასესხები და შემდეგ განვითარებული, დამუშავებული დიდ ცენტრებში ხელოვანთა მიერ, დამუშავებული და შერჩენილიც.

დროა სესხის დაბრუნებისა.

თავის სარგებლიანად.

არა ხელოვნების დამახინჯებულ და გაბუნდოვანებულ ფორმებისა, არამედ ნამდვილი ხელოვნებისა, ლრმა შინაარსიანის და მარტივისა.

ერთ-ერთი ასეთი ხელოვნებაა—თეატრი.

სწორედ თეატრი, იმიტომ რომ თეატრში სინტეტიურად თავსდება როკი, დეპვა, სიმღერა, მეტყველება.

თეატრს აქვს ჯადოსნური თვისება ადამიანის სულის ამოძრავებისა, ამაღლებელ ემოციების შექმნისა.

კულტურულ მიღწევებისათვის თეატრი უძლიერესი იარაღია: მას შეუძლია სულიერად და გონიერივად განავითაროს ადამიანი, გააძლიეროს მისი ენერგია შრომისთვის, ბრძოლისთვის. კაცი—ნამდვილ ადამიანად აქციოს, კაცობრიობის

გენიოსთა შემოქმედებას აზიაროს, დაშორებულ ერთეულთა და კოლექტივთა შორის სულიერი კავშირი დაამყაროს.

არის რა თეატრი ასეთ თვისებებით შემოსილი, მან ფეხზამნი ჟურნალი გაშალოს ფრთები და თავის ჯადოსნობას აზიაროს ისინი, ვინც დღეს ამას მოკლებულია. აზიაროს ჭეშმარიტ ხელოვნების ნამდვილი სახით და ორი ისე, როგორც ჩვენ ხშირად ვხედავთ დაბა-სოფლებში გამართულ წარმოდგენების დროს: უხე-ზად და ტლანქად.

იყო დრო, როდესაც ხალხი (ქალაქების დაბალი წოდებები, სოფლელები) თითონ ქმნიდა თეატრალურ ხელოვნებას და აქტიურ მონაწილეობასაც იღებდა მასში.

ძველ საბერძნეთში — „მიმები“, „დიკელისტები“, „ფალლოფორები“, „ფლია-კები“ — ხალხური, სოფლური კომედიის შემქმნელნი და მატარებელნი იყვნენ.

ძველ იტალიასა და რომში — შეიქმნა ხალხური კომედია, ეგრედ წოდებული, „ატელლანა“. მასალა ასეთი კომედიების, იყო სოფლის ყოველდღიური ჭირვარობი, მეზობელ სოფელთან ჯიბრი, რომელიმე უარყოფითი მოვლენის სასაცილოდ ასახვა. წარმოდგენი მიღიოდა სიხალისით და ცეკვა-სიმღერით. წარმოდგენებს აუარებელი მაყურებელი ესწრებოდა.

დიდ ოკეანეს ერთ-ერთ კუნძულზე ეხლაც ცხოვრობს ველური ხალხი — „მაორი“. მათ ჰყავთ მთელი წოდება მსახიობების, ეგრედწოდებულ „არეოისების“. ესენი თამაშობენ დრამებს, კომედიებს, მღერიან და ცეკვავენ. ნიშნად მაღლობისა, ხალხი, გარდა შენახვისა, აჯილდოვებს მათ გადასახადების განთავისუფლებით და ხელუხლებელს ჰყოფს ომის დროს. ასე ძლიერია ხალხის სიყვარული ისეთ თეატრისადმი, რომელიც მათი სულიერ ავლადიდების გამომსახველი და შემნახველია.

შუაგულ აფრიკის ველურთა შორის მონაღირე ან მეომარი, ნადირობის ან ბრძოლის შემდეგ, სოფელში დაბრუნებული, უამბობს ხალხს ნადირობის ან ომის ამბავს არა უბრალო, ეპიურ ფორმით, არამედ ცოცხალი დრამატიული ფორმით, თეატრალური სახით, მოქმედებით. და მისი გამარჯვების ამბავი აუწერელ სიმბნევეს იწყევს მსმენელში, გამარჯვების გრძნობას ჰპალებს შასში.

იტალიური „ატელლანა“ საფუძვლად დაედო მე-XVI საუკუნის ნამდვილ ხალხურ თეატრს, *comedia dell'arte*-ს, რომელმაც თითქმის ორი საუკუნე გასძლო და დიდი გაელენა იქონია ვერმანიის და საფრანგეთის ხალხურ თეატრებშე.

ისეთივე ამბავია მე-XVI და მე-XVII საუკუნის ესპანიაში, როდესაც იქ ვითარდება თეატრი ხალხური შემოქმედებით შექმნილი. სიუჟეტი, ამსრულებელი, შემოქმედება, სულიერი განცდა, აუდიტორია, ყოველივე ეს ნამდვილი ხალხურია.

ამ თეატრებს თან სდევს ერთი საინტერესო მოვლენა: ყველა ეს თეატრები მოძრავია, უფრო — „მოხეტიალე“.

ბაზრობას, დიდ დღესასწაულებს ყოველთვის მოჰყვება მსახიობთა დასი, რომელიც იქვე, ლია ცის ქვეშ შლის თავის უბრალო ქარავს და თამაშობს ხალხურ კომედიებს და დრამებს. და არა მარტო ბაზრობის და დიდ დღესასწაუ-

ლების დროს, არამედ ჩვეულებრივ დროსაც სოფლის ან დაბოს ყავახის გან-
დება ხოლმე „მოხეტიალე“ მსახიობთა პატარა დასი. აღვილობრივ მოწინავე-
თა დახმარებით მართავს თავის წარმოდგენებს და იქრებს საჭირო მსმე-
ნელებს. როდესაც მორჩება თავის საკმეს, მიღის სხვა კუთხეში ახალი აუდიტო-
რიის მოსახებნად. მუდამ მოძრაობს სიცხვა და სიცივეში.

ცნობილია თითქმის 2000-მდე მსახიობი ქალი და ვაჟი იმზროინდელ ეს-
პანის თეატრისა. ესეც საკმარისი მაჩვენებელია იმის, თუ რამდენად პოპულია-
რული იყო მაშინ თეატრალური ხელოვნება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თეატრი ამ ხალხური, მოხეტიალე თეატრისა:
ის რეალურია სიუკეტითაც და განსახიერების ფორმითაც.

დიდ ხანს ინახავდა ხალხი თავის თეატრს. ინახავდა, შიუხედავათ იშისა,
რომ ქონებრივად უჭირდა მას. ეკლესია ყოველნაირად სდევნიდა და პარალე-
ლურადაც ვითარდებოდა „ოფიციალური“ მაღალ წოდების თეატრი. ინახავდა
იმიტომ რომ, ამ თეატრში იყო ჩაქსოვილი ხალხის სულისკვეთება, მისი ხალი-
სი, მისი იდეალები.

კორნელის და რასინის არისტოკრატიულ თეატრის დროს, საფრანგეთში
არსებობდა „ბულვარის“ თეატრი თავის განთქმული „მიმებით“ (მსახიობებით).

ხალხოსნობის დიდი ბეჭედი ემჩნევა შექსპირის დროის ინგლისურ თეატრ-
საც. მისი თანამედროვე დრამატურგი დეკესი ამბობს: „თანამედროვე თეატრში
უკანასკნელ მუშასაც ისეთივე უფლებები აქვს, როგორც სურნელებით გაცლენ-
თილ კარის კაცი, მეუტლეს—ისეთივე ხმის უფლება აქვს, როგორც რომელიმე
ცნობილ კრიტიკოსს“.

მაგრამ მრავალი მიზეზების გამო, თანდათან ხელოვნება დიდ უმცირესო-
ბის კუთვნილებად იქცევა. ამ უმცირესობას აქვს ორგანიზაციის საშუალება, ის
აყალიბებს თეატრს თავის გემოზე მუდმივ დაწესებულებად და ხალხი, რომე-
ლიც ასეთ საშუალებას მოკლებულია, რჩება მხოლოდ სურვილის და მისწრაფე-
ბის ანაბარა.

აღსანიშნავია გერმანიის თეატრალურ ცხოვრებაში შემდეგი ამბავი: 1737 წ.
ლაიპციგში დრამატურგი გოტშედი, საფრანგეთის არისტოკრატიული ტრაგე-
დიის მიმდევარი, ილაშქრებს ხალხური თეატრის წინააღმდეგ. მისი მსახიობის,
როგორც ესეთის, საჯარო გასამართლებას აწყობს. სცენაზე კოცონზე სწვავს
არლეკინის ტრადიციულ სამოსელში მორთულ ტიკინას და საჯარო წყევლა-კრუ-
ლვას უძღვნის ხალხურ მსახიობ—შემომქმედს.

და ხალხური თეატრი თანდათან კრთება და კვდება, კვდება საუკეთესო,
ბუნებრივი, ცოცხალი, ცეცხლოვანი შემოქმედება. მყარდება არაფრით დამსა-
ხურებული სოციალური უსამართლობა.

სურათი იცვლება. თვით ხალხის თეატრალური შემოქმედება მიმქრალია. შემომქმედი, ხალხური მსახიობი აღარ არსებობს. ხალხს შერჩა მხოლოდ სიმღე-
რა და ცეკვა ლხინის დროს და აქა-იქ მეჩონვურე—მოხრობელი.

გაბატონებული კლასი და სახელმწიფო ვითოშ ცდილობს მიაწოდოს მშრო-
მელ ხალხს სულიერი საზრდო და იარსებს აქა-იქ სახალხო სახლებს, არჩევს ცენ-

ზურის ცეცხლში გატარებულ რეპერტუარს და ამნაირად ხალხის ვიოლინა აღ-
ხრდას და დაკმაყოფილებას. რაღა თქმა უნდა, ასეთი ხელოვნური რწმუნებულ-
ბია და ხალხს სრულებით არ იკმაყოფილებს, უნაყოფოა, მის შემსრულებელი ასე-
თი დაწესებულებები ქველმოქმედების ხასიათს ატარებენ.

ყველამ კარგად იცის ისიც, რომ ცარიშმის მთავრობისათვის „სიფხიზლის
საზოგადოების“ თეატრები, სახალხო სახლები და მრავალი სხვა—იყო მხოლოდ
საშუალება ხალხის თეითგაცნობიერების, მისი რევოლიუციონური სულის მიძი-
ნებისათვის, და ამიტომაც ამ გვარ თეატრებში ნამდვილი ხალხური სული არ
იყო. მოთხოვნილება კი ნამდვილი ხელოვნების ზიარებისა მშრომელ ხალხში
დიდი იყო.

ის დრო გავიდა. სურათი გამოიცეალა. დადგა ამშენებლობითი ხანა. ეხლა
საჭიროა ხალხში ხელოვნების განვითარება. განსაკუთრებით თეატრის.—ყველა-
ზე ძლიერის, მომხიბვლელის და ნაყოფიერი ხელოვნების.

მე კარგად ვიცი, რომ ყოველ სოფელში, დაბაში და პატარა ქალაქში
სერიოზული თეატრის დაარსება შესაძალებლობას აღემატება. ამისათვის არც
საშუალებაა. არც საკმარისი სპეციალისტი. ისიც ვიცი, რომ საღი თეატრის
აშენებას საფუძველად უნდა დაედოს ახალი ყოფა-ცხოვერება, რომელიც ჯერ-ჯე-
რობით მხოლოდ თეორიულიდ არის დასახული. მაგრამ ეს სრულებით არ უშ-
ლის იმას, რომ ამ საჭმის შექმნას დღესვე შეუდგეთ.

დაყოვნება იმ დრომდე, ვიდრე საშუალება იქნება ყოველ დაბა-სოფელში
თეატრის შენახვისა, ხეირს არ მოუტანს ხალხს. ცდა არ შეიძლება. საჭმე ეხლა
უნდა გაკეთდეს.

დღევანდელი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭიროა ხალხურ-
მხატვრულ მოძრავი თეატრის დაარსება.

ასეთი თეატრი უნდა იყოს აშენებული ნამდვილ მხატვრულ პრინციპებზე.
შინაარსით ხალხის საღ სულისკვეთებას უნდა შეიქავდეს; ფორმა მისი გასა-
გები უნდა იყოს; ხოლო მისმა მოძრაობითი პრინციპმა უნდა მისცეს მას საშუა-
ლება გაიტანოს და გაივრცელოს თავისი ხელოვნება ჩვენი ქვეყნის მრავალ
კუთხეში.

საქართველოს ყველა კუთხეში: ქალაქებში, დაბა-სოფლებში მრავალი წარ-
მოდგენები იმართება. ზოგან მთელი წლის განმავლობაში, ზოგან მხოლოდ ზაფ-
ხულში, როცა მოსწავლე ახალგაზრდობა დასასვენებლად მიმოიბნევა მრავალი
წრე არსებობს. სათეატრო დარბაზი ყოველთვის სავსეა, მოთხოვნილება მეტად
დიდია, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ასეთ წარმოდგენებს შემთხვევითი ხასია-
თი აქვს; ხან რაიმე საქეელმოქმედო მიზნით იმართება, ხან რომელიმე „ტრა-
ლიკოს“ სცენის მოყვარის დრამატიული ქავილის დასაკმაყოფილებლად, ხან კი-
დევ სპექტაკლის მიზნით. ნამდვილი ხელოვნების ნატამალიც არ არის. შეუ-
ფერებელი პიესა, როლების უცოდინარობა, თეატრალური ხელოვნების ელემენ-
ტარულ კანონების გათელვა. ხშირად ნამდვილი თამაშაა. ასეთი წარმოდგენე-
ბი, დამსწრეთ გონებასაც, გემოვნებასაც გაუფუჭებენ და ბოლოს თეატრსაც
შეაძლებენ.

სახელმწიფო მოძრავი თეატრი ასეთ ამბავს ადგილად მოულებელ დოკუმენტის სერიოზულ ნიადაგზე დაყენებული, აჩვენებს პროვინციას ნამდვილ შეატერიულ შემოქმედებას და გახდება ნიმუშად ადგილობრივ დრამატიულ შემთხვევას.

ჩვენი მოძრავი თეატრის სტრუქტურა მესახება ასე: ოპერატურა შეატერიულ მომუშავებულ იქნება შემდეგ პრინციპებზე: შინაარსი აიღება, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოეთის ცხოვრებიდან, ხოლო ორივე შემთხვევაში აუდიტორიისთვის შესაფერი ფორმის, მხნეობის და ამშენებლობის აღმზრდელი. ასეთ ოპერატურას უნდა ერთოდეს ხალხური (სხვადასხვა ხალხის) ცეკვა, სიმღერა და ლექსთა მხატვრული თქმა. ეს ნაწილი ან ცალჭე საღამოს მოითხოვს, ან დაერთობა პიესას, როგორც ცალჭე განყოფილება.

ასეთი ოპერატურას შესრულებისათვის საჭიროა გამოცდილი მსახიობთა შესაფერი დასი. რიცხვი მსახიობთა არ უნდა აღემატებოდეს დაახლოებით 20 კაცს! ტეხნიკური პერსონალი მომისამართ-ამდე უნდა იყოს მოყვანილი: 1—2 კაცი.

ყოველ პიესას აქვს თავისი მორთულობა (ტანსაცმელი, ხელსაწყო, ბუტაფორია), უაღრესად სადა და მარტივი დეკორაცია—მინიმუმ-ი—ან ფარდულები ან შირმები. ავეჯი — საკეცი და დასაშლელი სისტემის. დასს აქვს თავისი სახლი-ვაგონი. მასში ცხოვრობს და მოგზაურობს.

სერიოზულ და დაკვირვებულ მომზადების შემდეგ თეატრი იწყებს თავის მოღვაწეობას აქვე, განაპირო უბნებში. თითო უბანში იმართება 2 წარმოდგენა. ამის შემდეგ თეატრი მიღის სამოგზაუროდ რკინის გზის ლიანდაგზე მდებარე დაბა-ქალაქებში. დაახლოებით ერთი თვის მოგზაურობის შემდეგ თეატრი ბრუნდება ცენტრში და დაუყოვნებლივ უდგება მეორე რეისის სამზადისს, რომელიც იმავე წესით წარმოებს. როგორც პირველი, მხოლოდ ახალი ოპერატურით.

გარდა პირდაპირი მიზნისა წარმოდგენების გამართვისა, თეატრი კიდევ, სადაც ამას საჭიროება მოითხოვს, მართავს ადგილობრივ დრამატიულ წრეებთან რამოდენიმე საუბარს თეატრალურ ხელოვნების ელემენტარულ პრინციპების შესახებ ამას დიდი მნიშვნელობა ექნება თეატრალურ ხელოვნების პროფიციაში განვითარებისათვის.

რადგან თეატრს პირველი მოგზაურობის ოპერატურარი თბილისშივე აქვს მომზადებული, მას აქვს თავისუფალი დრო და ის გზაში თეორიულად ითვისებს შემდეგ მოგზაურობის მასალას.

გარდა ამისა, თეატრი კისრულობს ერთგვარ სტატისტიკურ ცნობების მოგროვებას. წარმოდგენებზე დამსურეთ დაურიცდებათ საანკუტო ფურცლები ანკეტის საშუალებით, თეატრი ეცდება გაარკვიოს (თეატრალურ ხელოვნების გარშემო) აუდიტორიის გემოვნება და სხვა.

ასეთ სტატისტიკურ მასალას დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ექნება, როგორც თეატრის მომავალ მუშაობისათვის, ისე ყველა იმისათვის, ვინც ხალხის ზრდა-განვითარებით დაინტერესებულია.

ეს, ასე ვსთქვათ, პირველდაწყებითი ნაბიჯი მოძრავი თეატრისა, ეხებოდა დაბა-ქალაქებს, რკინის გზის ლიანდაგზე მდებარეთ. სასოფლო მოძრავ თეატრს,

მოვზაურობის და საერთოდ ტეხნიკური მოწყობის სხვა წესი უნდა. ჩს არის მოძრავი თეატრის მეორე ნაბიჯი და მისი გადადგმა შესაჭრულებულობის პირველის შემდეგ. ამიტომ ამაზე ჯერ-ჯერობით არაფერსაც ჟარტისაც. საჭრები მხარე მხოლოდ, რომ ის კიდევ უფრო საინტერესო, საჭირო და ყოველი მხრით ნაყოფიერი უნდა იქნეს.

ერთი შეხედვით, აქ მოყვანილი გეგმა მარტივია და ადვილი, მაგრამ მისი პრაქტიკული შესრულება ბევრად უფრო ძნელი.

უწინარეს ყოვლისა მას უნდა წინასწარი დრო დაწვრილებითი გეგმის დამუშავებისათვის, რეპერტუარის გონივრულად შერჩევისათვის და სერიოზულ დასის შედგენისათვის. მას უნდა მატერიალური სახსარი მასალის დამზადებისათვის.

ვარდა ყოველივე ზემო ნათქვამისა, არის რამოდენიმე მოსაზრება, რომელიც მოძრავი თეატრის საჭიროების საბოლოოდ ნათელ ჰყოფს. მინდა ეს მოსაზრებანიც გამოვთქვა.

ყოველი საქმე სიყვარულს თხოულობს. მით უწეტეს ხელოვნება და კერძოთ თეატრი. მოძრავი თეატრის მომავალი წევრიც უწინარეს ყოვლისა მეტად წრფელი უნდა იყოს. აბა დააკვირდით: განა დიდი უმრავლესობა ეხლანდელი წარმოდგენებისა რაიმე კვალს სტოვებს ჩვენს სულში, მიუხედავად მდიდრულ და ბრწყინვალე გარევნობისა? არა. იმიტომ რომ მთელი წარმოდგენის შენება მხოლოდ ტეხნიკაზეა დამყარებული, მსახიობის თამაში გარევნობას, ეირტუოზობას მისდევს, თითქო გაკვირვება უნდოდეთ მაყურებელის არაჩვეულებრივის, არნახული ხერხით.

შედეგი? სიყალბე აზრისა, განცდისა, და რა გასაკვირვეალია, რომ მსმენელი არ უჯერებს მსახიობს და მთელ თეატრსაც.

თუ დიდი ქალაქის მსმენელი, ხელოვნებაში გამოეანგული, ამას განიცდის, რა უნდა განიცადოს დაბა-სოფლის. გემოვნება გაუფუჭებელმა მსმენელმა! ის მეტად სადაა, მარტივი და წრფელი. ამ დაუფასებელ თვისებას ძალიან სიტრანილით უნდა მოუაროს მოძრავმა თეატრმა და თავისი მარტივი და წრფელი განცდა მსმენელის ღია გულს დაუპირდაპიროს, მჭიდრო კავშირი შექმნას მასთან.

ყველა ამისათვის საჭიროა, რომ მოძრავი თეატრის წევრმა შეისისხლხორცის ამ საქმის სიღიადე ხელოვნებისათვის, ქვეყნისათვის.

უნდა ვალიაროთ, რომ ეს ერთგვარი მსხვერპლი იქნება.

მართლაც — ბევრი გაიფიქრებს: მატარებელში ხანგრძლივად ცხოვრება, სოფელ-სოფელ ურმით ხეტიალი და მრავალი სხვა მძიმე პირობები, არც ისე სასიამოვნოა შედარებით დიდ თეატრში, ბრწყინვალე მორთულობაში მუშაობასთან.

ამას უპირდაპირდება ერთი თვისება მსახიობის არსისა: წყურვილი თავის ჩეენებისა, თავის ნიჭის გამოფენისა ხშირი ცვლა აუდიტორიისა ამ წყურვილზეა დამყარებული დიდი მსახიობების და თეატრის გასტროლებიც.

მოძრავი თეატრი მსახიობის სწორედ ამ წყურვილსაც დააკმაყოფილებს.

უინ არ იცის, რომ ხალხის სული მხატვრული სიმღიდრის ულეველი წყა-

რომ ხალხის მხატვრული შემოქმედებითი სიცხოველე (ტემპერამეზნი) უდიდეს სიძლიერეს შეიცავს: „ილიადა-ოდისსეა“, „ნალ და ლამაინტი“, „პირვარა“ ხალხური თქმულებები და მრავალი სხვა.

ასეთ შემოქმედის დაახლოება, მის სულში ჩახედვა — უმხატველობრივი საწინდარია იმისა, რომ მისი შემოქმედებაც აელვარდება, გაძლიერდება. კიდევ მეტი — ის განდება ჰეშმარიტი შემოქმედება და არა მხოლოდ მოფეთქება, რაც ძალიან ხშირია თანამედროვე თეატრში.

ასეთ მიღწევებისათვისაც მოძრავი თეატრი მსახიობს ფართო საშუალებას მისცემს.

თუ სიწრცელე განცდისა, ჰეშმარიტი შემოქმედება მოძრავი თეატრის საფუძველში შეტანილი იქნება, მაშინ, ცხადია, ის ნამდვილ მხატვრობას გადაშლის თავის აუდიტორიის წინაშე.

სწორედ ეს უნდა დაისახოს მთავარ მიზნად ამ თეატრის მომავალმა მსახიობმა და ხელმძღვანელმა.

სწორედ დაბა-სოფლის მსმენელზე ცენტრი არც ისე დიდი წარმოდგენის იყო. ამ მსმენელისთვის ხელოვნების ნასუფრალიც საკმარისი იყო. მაინც არაფერი ესმისო, ასე ფიქრობდნენ წინად.

საქმეც იმაშია, რომ ესმის, ხშირად უფრო ღრმად გრძნობს, ვიდრე ბევრი კულტუროსანი.

ომის დროს ფრონტზე იგზავნებოდა მრავალი „მურინავი დასი“, ლაზარეთებში დაქრილ ჯარის-კაცთათვის კონცერტები იმართებოდა და ძალიან ხშირად ამ საღა ხალხისთვის გამართული საღამოები არა მხატვრულ ხასიათს ატარებდნენ. ამ საღამოების მონაწილენი გვიამბობენ, რომ არა მხატვრულად ჩატარებული პიესები, დეკლამაცია, მუსიკა — მხოლოდ მოწყენას იწვევდნენ მსმენელებში. ნამდვილი მხატვრული შემოქმედება კი ყოველთვის აღტაცებას.

საანკეტო ფურცელები კარგი, მხატვერული წარმოდგენებისა შემდეგს ამბობენ: „ნუ მიატოვებთ წმიდა საქმეს“.

„ამხანაგებო, გთხოვთ განაგრძოთ თქვენი განათლებული მუშაობა“.

„გმადლობ, ამხანაგებო კეთილი საქმისათვის. თქვენთვის და თავისუფლებისათვის თავს დავდებ“.

„გთხოვთ სოფლებიც გაანათლოთ“.

ასე წერდენ უბრალო ჯარის-კაცები. ალბათ ესმოდათ და ღრმად გრძნობდნენ ნახულს და მოსმენილს.

ხშირად ყოფილა შემთხვევები, რომ წერა-კითხის უცოდინარ მსმენელებს მსახიობში აღფრთოვანება და დიდი შემოქმედება გამოუწვევია თავის ყურადღებით და მსახიობის ხელოვნების შეგრძნობით.

1894/5 წელში მე მქონდა შემთხვევა მემუშავნა პეტერბურგის „შუშის ქარხნის“ მუშათა თეატრში რეუისორად და მსახიობად გვყავდა საიმპერატორო თეატრის ერთი, აწ განსვენებული არტისტი. ხანში შესული, გამოცდილი და ნიჭიერი. მუშათა თეატრში თამაშის დროს არაჩვეულებრივ თეატრალურ აღელვებას განიცდიდა. აი რას ამბობდა ის: „აქ, ამ თეატრში, ამ აუდიტორიის წი-

ნაშე ბევრად უფრო ვლელავ, ვიდრე საიმპერატორო თეატრის დრო სკენაზე, იმიტომ რომ აქაურ უბრალო და სიღა მსმენელს კარგად ვიცნობ მას არ ვა-მოეპარება მხატვრული შეცდომები, ყალბი კილო, ის მხოლულ წრუფელუფანცდას მიიღებს ჩემგან, ის ჩემთვის ბევრად უფრო ფასეული კრიტიკული კუთხი ნა-ფიცი რეცენზენტები”.

ნამდვილი მხატვრობა უნდა წაიღოს მოძრავმა თეატრმა დაბა-სოფლებში. იქ, ცენტრში, მხატვრული სიყალბე უფრო ადვილად საღდება, ვიდრე იქ, მო-მოქებულ კუთხეებში.

მსოფლიო ისტორიის სხვადასხვა ეპოქაში ჩვენ შემდეგ სურათს ვხედავთ: გველი საბერძნეთის და რომის მხატვარ-ხელოსნები მონები იყვნენ, აღორძინე-ბის დროს—დაბალ წოდების მოქალაქენი.

ესპანიის, ინგლისის, იტალიის და ევროპის სხვა ქვეყნების საუკეთესო მსა-ხიობები, სახელი მათი ლეგიონია, სოფლელები და დაბალ წოდების მოქალაქენი იყვნენ.

ძველ საბერძნეთის უდიდესი მსახიობი როსკიოსი მონა იყო.

განსვენებული ელეონორა დუხე იტალიური ხალხური შოხეტიალე დასის მსახიობის ასული იყო. შალიაპინი—ტფილისის მდაბიო, შჩეპინი—რუსული თეა-ტრის სიამაყე—ბატონ-ყმობის დროინდელი ყმა იყო, თანამედროვე საუკეთესო ტრალიკოსი დი-გრასხო სიცილის ხალხური თეატრის მსახიობია.


ყველას ვერც ჩამოთვლით.

თუ ხალხს შეეძლო ამ უამრავი მსახიობების შექმნა, ამათთანა გენიოსების წარმოშობა, სჩანს—მის სულში მხატვრობის დიდი განძია.

ამიტომაც, როცა მოძრავი თეატრი თავის მოღვაწეობას შეუდგება, ის მო-ფიქრებულად და ფრთხილად უნდა მოიქცეს.

მას დაევალება არა რაიმე ახალის, უცხოსი და ორუოფილის დამყარება ზევიდან, ძალდატანებით. არა, ის ხელს შეუწყობს იმას, რომ ხალხის დროებით მიძინებული ნიჭი თეატრალური ხელოვნებისა, გამოაღვიძოს. მისცეს მას საშუა-ლება ზრდისა და ვანვითარებისა, რომ მან თავისი ძველი „ბერიკაობა“ ახალ ფორმებში აღადგინოს და ბოლოს აქტიურ შემოქმედებას შეუდგეს.

მაშინ ჩვენ დავინახავთ ახალ ყოფა-ცხოვრების ფორმებში ჩამოყალიბე-ბულ დრამატურგს, მსახიობს, ახალს ძლიერ შემოქმედებას.



ବୀଜନ ଘୋଟନଶବ୍ଦା


ଫାଲି ମିଳିବ ବ୍ୟାକଣଙ୍କୁ



ՅԱՆՏՎԵՐԵՒՆ ՀԱ ՎԿՈՒՑՈՎՆ



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅՈՒՆ



Բ Օ Հ Յ Ա Ռ Ա Ն Ա Ց Ա Բ Ը .

Ա Ե Ղ Բ Ա Ը Վ Ե Ր Ջ Ը .

ნიკო ფიროსმანი

ნიკო ფიროსმანი არის საქართველოს შესანიშნავი ეროვნული მხატვარი ის ბევრისგან მიღებულია დღეს, მაგრამ ხალხის უმეტესი ნაწილისათვის თითქმის არც კი არსებობს. ათი წლის წინად ტფილისში ხშირათ შეხვდებოდით ფიროსმანის სურათებს სასადილოებში და სამიკიტონებში რკინის გზის სადგურის ირგვლივ; მისი სურათების ნახვა შეიძლებოდა აგრეთვე ქალაქის განაპირა უბნებში; იხლა, ეკონომიკური პირობების შეცვლის გამო, ბევრი სავაჭროები დაიხურა და აღარ არსებობს. ამის გამო სურათების ერთი ნაწილი დაიკარგა სრულებით; დანარჩენი კი გადავიდა კერძო პირების ხელში. ოცამდე მისი სურათი ინახება ნაციონალურ გალერეიის სარდაფში.

ფიროსმანისებური ძველი ტფილისის სახე დაიკარგა მისი სიკვდილის შემდეგ. ხალხის უმეტესობა, რომელიც ხშირად დაღიოდა სამიკიტონებში, ბალებში და სარდაფებში, ძლიერ აფასებდა ფიროსმანს, უყვარდა და ამაყობდა მისი შემოქმედებით. ფიროსმანი იყო ქეშმარიტად ეროვნული მხატვარი. მართლაც, როგორი სიმდიდრით გადმოგვცემს ის ჩვენ ყოველდღიურ და ისტორიულ ცხოვრების სურათებს, როგორი შეკვეცილი და მძაფრი ისტატობით ჰქმნის პორტრეტებს და ფანრულ სცენებს! რას არ შეხვდებოდით ამ გრანდიოზულ ეპოპეიაში, რომელიც ასე მძლავრათ და მხატვრულათ ასახიერებს საქართველოს ცხოვრებას რევოლუციამდე. რამოდენიმე დიდი სურათით (ზოგიერთი თითქმის ორი საენია სიგრძით) ის გადმოგვცემს ძველი კახეთის ჩვეულებებს და ადათს: ქეიფს სუფრაზე და მოლზე, სხვადასხვა დღესასწაულს, ქორწილს, ცეკვას.

სახოგადოთ, საყვარელი მისი თემაა მდაბიო ხალხის ქეიფი ქართულ პეიზაჟის ფონზე, მწვანილით და ყოველგვარი საჭმელებით სუფრაზე, ან და კიდევ რთველი და ნადირობა, მას აქვს სურათები ამგვარი წარწერით: „გიორგი სააკადე პატიობს საქართველოს მტრებისაგან“, „შამილი თავის ამაღით“, „თავ-ბარიატინსკის საომრათ გამგზავრება“, „რუსეთის და იაპონიის თმი“ და სხვა.

მას აქვს პორტრეტები: შოთა რუსთაველის, თამარ მეფის და თავადების ნაბდებით და ყანწებით ხელში.


გარდა ამისა ის ხატავს: კინტო არლინით, მისა ძუძუმწოვარ ბავშით ხელში, ქალი და ვაჟი, მეთევზეები, სოფლის ქალები, პროსტიტუტკები გაშლილი.

ომებით, მარაო ხელში, იადონი მხარზე, ჩინოვნიკები, მიკიტინები, შეუღმებები, გლეხები, მუშები და მწყემსები. პორტრეტები, მიუხედავად, ჩიტიქი ტერიტორიაზე მათ ხატავდა მეტის-მეტად უბრალოთ და პრიმიტიულ ტებნიკის საშუალებით. ხშირად ძლიერ გვანან არიგინალს.

არის საოცარი რიგი მხეცების, სადაც სიმკაცრე, ველურობა, ან და გრაციოზული ტანის სიმჩატე, მოცემულია მკაფიოთ და მკეთრათ და იძლევა სრულ დახასიათებას; მაგ. ირემისა, ვერძისა, ლომის, გირაფის, დათვის, ლორის და სხვა. არის ბევრი პეიზაჟები; მაგ. ფუნიკულიორი, არსენალის მთა ლამით, შავი ზღვა, ტყეები და მთები.

გარდა ამისა მკვდარი პუნება: ალდგომის სუფრა შემწვარი ბატკით, ფანტასტიური შეერთება ტიკისა და ქვევრის, ერთნაირი ზომის როგორც ხელადა და ჭიქა, ყურძნის მტევნები, ბარილი და ატმები. საიდან გაჩნდა ეს „კინტო“, რომელ მხარიდან გამოქროლდა ჩვენსკენ ეს გენიოსი, რომლის მსგავსი ცოტა მოიპოვება მსოფლიო მხატვრობაში. მართლაც, როგორ მოხდა, რომ იდამიანმა, რომელსაც არასოდეს არ უსწიველია არც ერთ სამხატვრო სკოლაში, რომელსაც არაენ არ უნახავს გარდა ტფილისის მხატვრებისა (სხვათა შორის, ჩვენ ვიცით, თუ როგორი სკეპტიკიზმით უყურებდა ის მათ) შეკვეთა, იმისთანა მხატვრული ნაწარმოები, რომლებზედაც დღესაც სწავლობენ ახალგაზრდა ქართველი მხატვრები (მაგ. გუდიაშვილი და სხვა). ჭეშმარიტად, ფიროსმანი უნდა ჩაითვალოს ახალი ქართულ მხატვრობის შემქმნელად. გამოვარკვიოთ რა ელემენტებიდან შესდგება ფიროსმანის შემოქმედება: პირველი ფაქტორი ქართული ფრესკა, აქ არის ბიზანტიის გავლენა, მაგრამ მას ფიროსმანი აძლევს თავისებურ ხასიათს; ფრესკა უფრო მსუბუქია და ცოცხალი, თავის კომპოზიციით, ლია და მხიარულ ფერადებით, განთავისუფლებული ბიზანტიურ სიმკაცრისაგან ხიბლავს თვალს ფრესკიდან სტატიურობა ფორმის, კომპოზიციის მონუმეტალობა, და ლია ფერადების ცისფერის და ლურჯისადმი სიყვარული.

მეორე ფაქტორი მინიატიურაა, აქ იწყება სიყვარული სპარსელების გრაფიულობისა (უკანასკნელთა გავლენა დიდია ქართულ მინიატიურაზე). ლაქი თითქოს პრტყელია, მაგრამ გამომეტყველი. ფერადები: შავი, მწვანე და ყვითელი. მიუმატეთ ამას კიდევ ის, რომ მის ნაწარმოებს თითქმის აკრავს დაღი ქანდაკებისა; საფლავების ქვის კარების, ბარელიეფების და უბრალო სათამაშოების ხასიათისა. ტრადიცია უბრალო აბრებისა. ფიროსმანთან ხშირად თავს იჩენს სიმეტრიულ და თითქოს გარითმულ შეთანაბრებაში ზოგიერთ სურათებისა (ორი მწოლიარე ქალი, ორი მამაკაცი). დიდი ლვაშლი დასდო ფიროსმანმა იმით, რომ მან გააციცხლა მშვენიერი ტრადიცია ფრესკის და შეაერთა დანაწილებული და დაშორებული ელემენტები ქართულ მხატვრობის. ამ მუშაობით იყო გამორკვეული ხალხის მხატვრული სიმდიდრე და ნაჩვენები გზა მომავალ საქართველოს მხატვრულ შემოქმედებისათვის. საძირკველი ჩაყრილია; ეხლა საჭიროა მხოლოდ შრომა! რთული ამოცანებით, მაგრამ იოლად მიღწეული კომპოზიცია, ყოველთვის მოულოდნელია მაყურებელისათვის, რა სიმდიდრეს წარმოადგენს ეს მოხერხებულ ოსტატით!



ନୀତି ଓ ଧର୍ମକ୍ଷେତ୍ରରେ

ପ୍ରକାଶନ

სიბურტყები ხან ჯვარედინდებიან, ხან მიღიან სპირალებათ, ხან წილები ჩამოშვებულნი ზევიდან ქვევით ხდებიან შემორკალული მრუდი სამარტინი შეაცვრა-ბა მსუბუქი და ბეჯით, ძალდაუტანებელი ხატვა და დამორჩილება წვრილა-ნების საერთო კომპოზიციებისა, წარმოადგვნენ ასტატის მაღალ მიღწევას. ფე-რადები შემოქმედის ხშირათ ძლიერ ინტენსიურია: მუქი ლურჯი, ლია ყვითელი, შავი, მწვანე და თეთრი; ეს ფერადები შედარებით უფრო ხშირია. ხანდისხან ლია წითელი, ქვიშნის და ყავისფერი. მიუხედავად იმისა, რომ ხშირათ რომე-ლიმე ფორმა თითქო, სადათ არის შეღებილი ფერადების დაშლა ყველგან და-ცულია ფიროსმანთან; და ეს ახდენს მეტ მხატვრულ შთაბეჭდილებას. ფაქტუ-რა მრავალგვარია და დამოკიდებულია იმაზე თუ მისი გადმოცემა სურს მხატ-ვარს. მატული, აბრეშუმი, ადამიანის სხეული, ხე, ტყავი, თმები, ზეცა; ტეხნიკა ყოველთვის იცვლება. სხვადასხვა მოხერხებით ხმარობს ის ფერადებს. (უმთავ-რესი ნაწილი მისი ნახატებისა დახატულია შავ მუშამბაზე). ხშირად ხელოვა-ნი, რომელიც ყოველთვის მეტის-მეტად მკაფიო და სხარტია გადმოცემათა სა-შუალებებში, ტოვებს ნიაღავს დაუფარავს ფერადებით, რაც უფრო აძლიერებს ფაქტურას. ნ. ფიროსმანი ასტატი უშალლესი ლირსების; მას ირ სჭირდებოდა აკადემია (შეიძლება მას სრულიად მოეკლა ის, როგორც ბევრი სხვა).

პრიმიტივისადმი მისი მოსკლა განუყრელად გადახლართულია მის უბრა-ლო და ბრძნულ მსოფლმხედველობასთან. კუბიზმის და ფუტურიზმის მიღწევათა შემდეგ, მარცხენა ფრთის შემქმნელნი იწევდენ სიტეზისაკენ, შემოკლებულ და გაწმენდილ ფორმისაკენ,—ეს არის პრიმიტივი. ამით აიხსნება ის დიდი სიყვარუ-ლი, რომელითაც თანამედროვე მხატვრები ეპურობიან ფიროსმანს.

ნიკო ფიროსმანის მამა იყო კახეთის მემამელე. ყმაწვილი თორმეტი წლი-დან ცხოვრობს ტფილისში. ამ ხანში მას აღმოაჩნდება ნიკი ხატვისა. 1900 წლამდი მან თავის ცხოვრება სამსახურში და ვაჭრობაში გაატარა. მოულოდნე-ლად ის დაღარიბდა და მას ეკაზება ჟველაფერი, გარდა ტალანტისა. თვით ბედმა უკარნახა ფიროსმანს ყოფილიყო მხატვარი. მას იწევენ ყველგან, აჭმე-ვენ და ასმევენ; სამავიუროდ ის ხატავს სურაოებს. ამგვარ მეცნატს შეეძლო შეუძინა თვეში - 10—20 მისი სურათი, ვინაიდან ფიროსმანი ჰქმნიდა სურათს ერთ ან ორ დღეში. 1912 წელში ზამთარში შეხვედრის დროს ის ლაპარაკობ-და ჩვენთან საოცარ სილარიბეზე, რომელიც მას აწესებდა: ამბობდა აუტანელ პირობებზე, რომელშიც მას უხდებოდა მუშაობა და გვეხვეწებოდა როგორმე დაეხმარებოდით მას. „ვინმემ რომ მომცეს ერთი ოთახი და ფერადები, მე კი-დევ ბევრ კირგ რამეს შევქმნიო“ ამბობდა ის. ფიროსმანი მოკვდა 1918 წელს და დასაფლავებულ იქმნა კუკის სახაფლაოზე. მისი საფლავი დაიკარგა. ამ მოკლე ხანში სახელმწიფო გამომცემლობა უშვებს მონოგრაფიას ამ შესანიშ-ნავ მხატვარზე. დიდი დამსახურება ფიროსმანის სახელის ალდგენაში მიღდლვით გრ. რობაქიძეს ტიკიან ტაბიძეს და ვიორგი ლეონიძეს, რომელთა წერილები მოთავსებული „ბათურიონში“ და ენერგია მასალების შეკრებაში, მაჩვენებელია იმისი თუ როგორი სიყვარულით ხედება საქართველო ნ. ფიროსმანს.



III. დ უ დ უ ჩ ა ვ ა

ესთეტიკი იდეალი ხელოვნები

ესთეტიკური იდეალის გათვალისწინება, მისი ზოგად ხაზებში გაშლა საბოლოო ანგარიშში ნათელს ჰქონების ბუნებას: ხელოვნება ესთეტიკურ ემოციათა ცოცხალი წყაროა. ეს ორის საზღვარი, რითაც იმიჯნება ხელოვნება მეცნიერებისაგან. ეს უკანასკნელი ლოლიკის სფეროა, ხელოვნება კა განცდათა სამყაროა; მეცნიერების გზა სილლოგიზმებით განისაზღვრება; მოვლენათა მრავალსახიანობას მეცნიერული შემეცნება სილლოგიზმებში ამწყვდევს, ხოლო ხელოვნება ესთეტიკური დემონსტრაცია იმ მოვლენის, რომელიც ხელოვანის სულში ორგანიულად დამწვარია. ხელოვანი განიცდის, მეცნიერი აზროვნებს — ამაშია მათი სტიქია. ესთეტიკური იდეალი განცდაში მარხია.

იქ, სადაც არ არის სიცოცხლე, სადაც ადამიანი ვერ ხედავს სიცოცხლის უძალლეს აღტყინებას, იქ არ არის მშვენიერების განცდა, იქ არ არის ესთეტიკური ემოციები.

ადამიანის სულიერობის ესთეტიკურ ხაზებში გაშლა შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი განიცდის მშვენიერებას და უშუალოდ ჭვრეტს მას.

იბადება საკითხი: აქვს თუ არა მშვენიერების განცდას რაიმე ბიოლოგიური ძნიშვნელობა? ეს საკითხი ესთეტიკის ცენტრალური პრობლემაა, რადგანაც ამ პრობლემასთან უშუალოდ დაკავშირებულია ესთეტიკური იდეალი, რომელშიაც საბოლოოთ მულავნდება ხელოვნების ბუნება.

რას წარმოადგენს ადამიანი, როგორც ბიოლოგიური არსი?

„ადამიანის ორგანიზმი სხეულთა რთული აგრეგატია; ეს სხეულები, რომელთაც აქვთ სხვადასხვა ქიმიური და ფიზიკური თვისებები, ურთიერთ დამოკიდებულებაში იმყოფებიან, მაგრამ მათი ფუნქციები ისეა ურთიერთ შეწყობილი და აგრეთვე გარემოს მიმართაც, რომ ორგანიზმი არ ჰყარვავს თავის ფორმალურ ერთიანობას. ორგანიზმის სიცოცხლე მხილდება გარემოსთან წონასწორობაში. ამ წონასწორობაში ორგანიზმი ინახავს თავის თავს. მკვდარი ორგანი-

ჩმი პასიურად ემორჩილება გარემოს ქიმიურ, მექანიკურ და სხ. ზემოქმედებას, რის გამოც მექანიკურად იშლება თავის შემადგანელ ნაწილებზე. ეს უკანასწორობი მაშინ სცოცხლობს, როდესაც მას აქვს უნარი დარღვეულ წონასწორობის ალ-დგენის, ე. ი. თავის შენახვის საშუალება, ა? რიგად სიცოცხლე თვით შენახვის ნიჭიერებაა, ანუ უფრო სწორად, ორგანიზმის თვით შენახვის პროცესი“. (ა. ლუ-ნაჩარსკი Основы позитивной эстетики). ამ ნიჭიერების განვითარებასთან და-კავშირებულია ორგანიზმის სრულქმნა. ორგანიზმში თანდათანობით მუშავდება მიზანშეწონილი რეაქციები გარემოს ზემოქმედებაზე. ამ უკანასკნელის ცვლილე-ბა იწვევს ორგანიზმის ცვლილებას: ორგანიზმი ან კვდება ან და იმუშავებს ახალ რეაქციებს. ამის გამომ რგანიზმის სტრუქტურა იცვლება. ორგანიზმს ყოველ გარემოში განსაზღვრული რეაქციები იქვს, გარემოს არეს შეცვლა ახალ რეაქ-ციებს თხოვლობს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება შეცვლილ გა-რემოსთან შეგუება. მაგრამ ეს რეაქციები შეეჩინა განსაზღვრულ არეს, ამიტო-მაც ახალის შემუშავება დიდის სიძნელით ხდება, ხშირად ეს სიძნელე კიდევ იმსხვერპლებს ორგანიზმს. ამაშია მისი კონსერვატიზმი. „ამიტომაც ორგანიზმი იდეალური შეიძლება გახდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მას ექნება სხვადასხვა რეაქციები, რომ შეინარჩუნოს სიცოცხლე ყველა პირობებში“. გარეშე არ ჩრდის ორგანიზმს. ეს უკანასკნელი ეგუება გარეშე პირობებს სხვადასხვა რეაქ-ციების საშუალებით. თუ ადამიანსა და გარემოს შორის სრული ჰარმონია—ჩვენ ვამჩნევთ მათ შორის ერთგვარ წონასწორობას.

მაგრამ, როდესაც ადგილი აქვს ამ წონასწორობის დარღვევას, მაშინ ჩნდება ის, რასაც ავენარიუსმა ცხოვრების სხვაობა უწოდა. ამ რიგად ცხოვ-რების სხვაობას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც წონასწორობა აღამიანის ორ-განიზმა და გარემო არეს შორის ირლევა. აღამიანის ფსიხიკაში წონასწორო-ბის დარღვევა და მისი ახალ საფუძვლებზე აღდგენის ცდა გამოიხატება, რო-გორც ტანჯვის და კმაყოფილების განცდა. ცხოვრების სხვაობა მთლად ამ გან-ცდებში შლის თავის ბუნებას: როდესაც ადგილი აქვს აღამიანის ორგანიზმში შრლვეულ პროცესებს — მაშინ ის ტანჯვას განიცდის, მაგრამ, თუ ცხოვრების სხვაობამ შექმნა ახალი ნიადაგი წონასწორობის აღდგენის, მაშინ ადგილი აქვ-კმაყოფილებისა და სიამოვნების განცდას. აი ამ მომენტებს, რომელშიაც ცხოვ-რების სხვაობა ამეღავნებს თავის თავს, — ბიომეტანიკური თეორიის ავტორმა, ავენარიუსმა უწოდა აფექტურნალი. აფექტურნალი უარყოფითი და დადებითია: დადებითია იმ შემთხვევაში, თუ აღამიანი განიცდის სიამოვნებას გარეშე მოც-ლენათა ხემოქმედების გამო, უარყოფით აფექტურნალში მაშინ ეხვევა ცხოვრე-ბის სხვაობა, როდესაც მოსპობილია ახალი რეაქციების გამომუშავების შესა-ძლებლობა. დადებითი აფექტურნალი ბიოლოგიური საწინდარია სიცოცხლის ზრდისა და გაჯანსაღების. ჩაგრამ ხშირად არის შემთხვევები, როდესაც დადე-ბით აფექტურნალს საბოლოო ანვარიშში ბიოლოგიურად უარყოფითი შედა-გები მოაქვს: ასეთია სიამოვნების წუთიური, ეფექტურული განცდა; მაგრამ ასეთი განცდები გამართლებულია ვნების მიერ (страстъ), ცივი გონება კი მას უარყო-ფით აფექტურნალად სთვლის. აღამიანის ორგანიზმის სრულქმნა შესაძლოა

მხოლოდ მაშინ, როდესაც დაუდებითი აფექტურობალი თავის გამართლებას იპოვის გონიერის სამსჯავროს წინაშე და, როდესაც ენება და გონიერი გამომდებარებიან დადებით აფექტურობის ბიოლოგიურ შეფასებაში. ამ შემთხვევაში გონიერის როლი განუზომელია: დადებითი აფექტურობალი მაშინ შეუძლია მიიღოს ადამიანს, როდესაც მას შეუმცნია ის გარეშე პირობები, რომელშიც უხდება მას ყოფნა. საგნის შეცნობა — საგნის დაძლევა. ვარებოს გავება, მისი ყოველ მხრივი შეცნობა უტყუფარი გარანტია ახალი რეაქციების გამომუშავების შესაძლებლობისა. ახალი რეაქციები ახალ წონასწორობას ამყარებს, ახალი წონასწორობა ახალ განცდებს იწვევს, — ხოლო ეს ახალი განცდები აჯანსაღებს და ამშვენიერებენ სიცოცხლეს.

ადამიანის სიცოცხლე თვითშენახვის პროცესია. ამ სიცოცხლეში მხილდება სრული და მთლიანი განცდა სილამაზის, აქვეა მოკემული შემოქმედების სიშვენიერე და მშვენიერების შემოქმედება. სიცოცხლის იდეალის თვალთაზრისით ადამიანი აფასებს მშვენიერებას. სიცოცხლის იდეალი სასებით უნდა ამართლებდეს მას, წინააღმდეგ შემთხვევაში მშვენიერებას ჩვენთვის არაეითარი ღირებულება არ ექნება. ხელოვნება მოვლენათა განცდაა. ეს განცდა ესთეტიურ ემოციათა წყაროა. ამ უკანასკნელის ბიოლოგიური მნიშვნელობა — როგორც აღვნიშნეთ — განუზომელია. ხელოვნების ბიოლოგიური ღირებულება უნიადაგოთ ჰერის პრინციპიალურ და დაუსაბუთებულ თეორიას, „ხელოვნებას ხელოვნებისათვის“.

ესთეტიური იდეალი ხელოვნებაში, სასებით უნდა შეუთანხმდეს სიცოცხლის იდეალს. წინააღმდეგობა სიცოცხლის იდეალსა და ესთეტიური იდეალს შორის არარომბამდის დაიყვანდა ესთეტიური იდეალის ღირებულებას და მით უნიადაგოთ გახდიდა ხელოვნებას საზოგადოთ.

ამ რიგად ერთად ერთი საზომი ხელოვნების ესთეტიური მნიშვნელობის გაგების და შეფასების არის სიცოცხლის იდეალი, რომელშიაც — ვიმეორებთ — უნდა იყოს თავისი ყოველმხრივი გამართლება მშვენიერების სალმა იდეამ. ხელოვნების შინაარსი და ამ შინაარსის ესთეტიური გამოსახუის ფორმები პერშანენტულ ცენტრალობას განიცდიან. ხელოვნების ისტორია არის საუკეთესო არგუმენტი. ამისდამიუსედავათ ხელოვნებაში არის ერთი მომენტი, რომელიც ყოველ ღირებულების სკოლების თანდაყოლილი თვისებაა. ეს მარადი მომენტი ხელოვნებისა არის — ამ უკანასკნელის მისწრაფება მოვლენათა ესთეტიზაციისაკენ: მშვენიერება — ის ზედროული მომენტი, რომელშიაც ყოველი მხატვრული სკოლა სკოლობს განასახიეროს თავისი თავი. რასაკეირველია, მშვენიერების კონკრეტი შინაარსი ყოველ უამს იცვლება, მაგრამ მშვენიერება, როგორც იდეა, ვარეშე ყოველგვარი შინაარსისა, მშვენიერება, როგორც ზოგადი ფორმა, მარად უცვლელია. მშვენიერების განცდა იწვევს დადებით აფექტურობალს. აქედან, ცხადია, ესთეტიური ემოციები არის არა ენერგიათა უბრალო თამაში, არამედ მას აქვს უდიდესი ბიოლოგიური სარგებლიანობა. სულ სხვა თვალთსაზრისშე სდგას სპეციურის ეფოლიუციონური ესთეტიკა და სხვაა აგრეთვე კანტის ესთეტიური შეხედულებანი. „ესთეტიური კრიუოლება — სწერს სპენ-



სერი—არ უკავშირდება ცხოვრების ფუნქციებს: მას არაუგურურ ფორმების სარგებლობა არ მოაქვს ჩვენთვის. ფერებით და ხმებით დატყუშებული წილებით უბრალო ვარჯიშობიდან, ორგანოს უბრალო თამაშობიდან, ყოველგვარ სარგებლობის გარეშე. ეს დატებობა წმინდა ინტუიციაა, და ორგორც ასეთი—ფუფუნები.« (გიუიო. ვაძაchi სივრცის ასტეტიკი). კანტის შეხედულებანიც ასეთივეა: მშვენიერების გრძნობა უფრო უანგაროა, ვინემ სიკეთისა და სიმართლის შეუძლებელია,—კანტის აზრით, მშვენიერების და სარგებლიანობის გაერთიანება. ეს ორი მოძენტი—ჰუიქრობს კანტი ანტიპოდური ცნებებია. მათი ვაიგივება ისევე შეუძლებელია, ორგორც წყლისა და ცეცხლის.

კანტის და სპეციერის შეხედულებებში ერთი რამ სწორია: მშვენიერების განცდა აუცილებლად თამაშია. მაგრამ იბადება კითხვა: აქვს თუ არა ამ „თამაშს“ რაიმე მნიშვნელობა ადამიანის სიცოცხლისათვის? რა არის თამაში? ადამიანის ორგანიზმის აქტივობას ჰქმნის ორი ფაქტორი: კედა და შრომა. თუ შრომის ფაქტორი სჭარბობს კვების ფაქტორს, მაშინ ორგანიზმი ირღვევა, თუ პირიქით—ორგანიზმი პასიური ხდება, რაიც რღვევის პროცესის დასაწყისია ორთავე შემთხვევაში სიცოცხლის შინაგანი წონასწორობა იშლება და სიცოცხლე ფიზიკურად ნაღვულდება. თამაში მოჭარბებულ ენერგიის გაფანტვაა. ეს პროცესი სიამოვნების ვანცდის პროცესია; ხოლო სიამოვნება ესთეტიკური ვანცდის აზრია.

ესთეტიკური ვანცდა იწვევს დაცებით აფექტიონალს, ხოლო დადებითი აფექტიონალის ბიოლოგიური ლირებულება უალრესად დიდია. მისი ბიოლოგიური ლირებულება მის სარგებლიანობაში გამოიხატება: არ შეიძლება სარგებლიანობა იმაზე მეტი, როგორც სარგებლიანობა ბიოლოგიური — იქნებან ცხადი და ნათელია შეცდომი იმ შეხედულებათა, რომელიც ევრ ხედავს მშვენიერების ვანცდაში უდიდეს ბიოლოგიურ სარგებლიანობას. მაგრამ არა ყოველი მშვენიერება, ყოველი სილამაზე არის ბიოლოგიურ ლირებულების მატარებელი. ზევით აღნიშნეთ, რომ არა ყოველ დაცებით აფექტიონალს მოაქვს ბიოლოგიურად დადებითი შედევები. ესთეტიკური ეფექტერია არა იშვიათად საფუძველში იტევს შინაგან სიცოცხლის ჰარმონიის დარღვევისა და დაშლის შესაძლებლობას. ავილოთ თანამედროვე ლიტერატურული მიმართულებანი. ექსპრესიონიზმი ეს ტოლსტოი ქრისტიანზმის ესთეტიკური მოძღვრება არსებითად აბსოლუტურ მორალობის აბოლოგიას წარმოადგენს. ადამიანი არსებითად მორალური მოვლენა, რადგანაც ის იტევს „სულს“, რომელიც ფსიქიური ვანსახიერებაა წმინდა მორალის. მაგრამ თანამედროვე ქალაქურმა სინამდვილემ ადამიანის ეს მორალური მომენტი მიჩრება და ქვეყნად იმორალობა გაამეფა. ქალაქი ექსპრესიონისტების შემოქმედებაში ყოველგვარ გარევნილების, ყოველგვარ უშნეობის და სისაძაგლის დაკანონებაა de iure და de facto. ქალაქს ბუნებრივიდ უპირდება ნაზი იდილიის ქვეყანა — სოცელი. სოფლის კულტი, — ეს იძავ დროის მორალური კულტია, და სოცელში დაბრუნება ქალაქის განაღვეურების გაზით ადამიანის მორალურ უფლებებში აღდგენაა. ასეთია ექსპრესიონიზმის სოციალური სულისკვეთება. ნიჭიერ ექსპრესიონისტის ნაწარმოებს შეუძლია დაატყვეოს

ჩვენი სული: ნიკიერ რეფისორის მიერ მხატვრულად დაღვტყუფუ ფშეპრესიონისტულ პიესის შეუძლია თავდაციწყებითი აღტაცებაში მოუჯდომას რშეულებელი. ერთი სიტყვით, ექსპრესიონისტ-ხელოვანის სერიოზულ და ლამაზ შემოქმედებას შეუძლია გამოიწვიოს ჩვენში ესთეტიკური განცდა და მით გვაგრძნობინოს ესთეტიკური კმაყოფილება. მაგრამ ამ ესთეტიკურ კმაყოფილებას არ ექნება დადებითი ლირებულება რევოლუციონური თვალსაზრისით. ექსპრესიონისტული შემოქმედება ამუშავებს ადამიანის ფსიქიკის უარყოფით მიმართულებით: ადამიანში ამ შემთხვევაში მუშავდება კონსერვატორის ტიპი, რომელსაც სძაგს პრინციპიალურად ქალაქი, ქალაქური კულტურა და რომლის სტიქიაა სოფლის თავდაციწყებითი სიყვარული. ახალი კულტურა, ახალი ადამიანი და ახალი ცხოვრება იბადება ქალაქში, „ქალაქმა უნდა მოსვოს ქალაქი“. მაგრამ ეს მომსპობი ქალაქი არის ახალი ცხოვრების და ახალი ადამიანის სუბიექტი. ექსპრესიონისტულ შემოქმედებაში არ არის გმირული და ლამაზი ცხოვრების განცდა და ამიტომაც ექსპრესიონისტის ესთეტიკა არ შეიძლება გამართლებულ იქმნას სოციალურად. შემოქმედების სოციალური დამარცხება ეს იმავ დროს ესთეტიკური დამარცხებაცაა.

ანალიზიურია აგრეოვე ფუტურიზმიც. ფუტურიზმი ხმაურობის ხელოვნებაა. ხმაურობა ფუტურისტულმა შემოქმედებამ უნივერსალურ პრინციპის სიმაღლემდე აიყვანა. ამიტომაც სავსებით ცხადია ის გარამოება, რომ ფუტურისტი ერთსა და იმავე დროს შეუძლია იყვეს, როგორც უკიდურესი რევოლუციონერი, ისე უკიდურესი კონტრ-რევოლიუციონერი და იმპერიალისტი: იმპერიალიზმი ეს ხმაურობის პოლიტიკაა, არც რევოლიუცია ხდება მეტის მეტ სიჩუმეში. ხმაურობის კულტად ქცევა ფუტურიზმს მეტაფიზიკურ ხელოვნებად ხდის, რის გამოც ფუტურიზმი ვერ ნახულობს თავის სოციალურ გამართლებას. სავსებით ბუნებრივია ის მოვლენა, რომ მეიერხოლდის ფუტურისტულ თეატრში გასავალს პოულობს, როგორც ჩეხოვი და ასტროვსკი, ისე რევოლუციონური რეპერტუარიც. მაგრამ ეს ბუნებრივობა არა პრინციპიალური და ყალბია. ფუტურისტული შემოქმედება არ იძლევა ესთეტიკურ იდეალის ბაზას: ახალი ცხოვრების განცდას.

ალსანიშნავია კიდევ ერთი სიმპტომატიკური მოვლენა კინო-ხელოვნებიდან. კინო ეს ულიდესი დემოკრატიული ხელოვნებაა. ამერიკული კინო ცნობილია თავისი ხასიათით. თავტრუ დამსხმელი და უასრო ტრიუკები—აი დამახასიათებელი თვისება ამერიკული კინოების. ტრიუკების არსებითად ეს არის უკიდურესი ინდივიდუალიზმის აპოლოგია. აქ გამოდის „გმირი“, რომელიც თვორეტიულად წარმოუდგენილ საზღაპრო „გმირობას“ სჩადის. ბუნებრივად ასეთი გმირული მოღვაწეობა იტაცებს ადამიანს. მაგრამ ეს გატაცება მასში ჰქონის უკიდურეს ინდივიდუალისტის ფსიხოლოგიას. ადამიანს ამ შემთხვევაში ინსტიქტურად იპყრობს კინოს გმირები, მასაც სურს გახდეს ასეთი „გმირი“—რაღგანაც მასში ის ხედავს „სიკოცხლეს“ და „სილამაზეს“. მასში ისპობა კოლექტივისტური ფსიხიკა და მის ნაცვლად უკიდურესი ინდივიდუალიზმის ფსიხოლოგია მუშავდება. ამ შემთხვევაში ის უპირდაპირდება კოლექტივისტს და მით

იმ ცხოვრებას, რომელიც უნდა შეიქმნას კოლექტივიზმის განვითარების მეთად ულ ფორმებში გაშლა და მისი ესთეტიური გამართლება, მაგრამ ეს იქნება ფორმალური ესთეტიზმი, რომლის ქვეშ იმულების წარმოებითი აფექტურნალი, რომელიც პრინციპიალური უარყოფაა ესთეტიკური ჩატარების.

ამ რიგად ფორმის მხრივ მისაღები შემოქმედება მიუღებელი ხდება სოციალურად, შინაარსის მხრივ. სოციალურად გამართლებული, მაგრამ უნიჭოდ დალაგებული შინაარსი, ე. ი. პრინციპიალურად მისაღები შინაარსი, მაგრამ ამ შინაარსის უხეშ ესთეტიურ ფორმებში განსახიერება—ძირშივე სპობს ყოველგვარ ესთეტიურ ღირებულებას და მით ანიავებს ესთეტიურ განცდათა შესაძლებლობას. თუ პირეელ შემთხვევაში ფორმალურ ესთეტიზმის აპოლოვიას ჰქონდა იდგილი, უკანასკნელ შემთხვევაში ხელოვნების ნაცვლად პუბლიცისტიკა, ხოლო პუბლიცისტიკის მიერ ხელოვნების დაპყრობა უდრის მხატვრულ ნაწარმოების ესთეტიურ ღირებულების სრულ მოსპობას.

მთლიანი ესთეტიზმი შესაფერისი ფორმისა და შინაარსის, — ორგანიული სინთეზია. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება შემოქმედების მთლიანი (ე. ი. ესთეტიური და სოციალური) გამართლება..

ესთეტიური იდეალი ხელოვნებაში საღი და ლამაზი სიცოცხლის განცდა. ამ განცდას საფუძვლად უდევს დადებითი აფექტურნალი, რომლის ბუნების გაშლის ყოველი მომენტი უნდა სუნთქავდეს ბრძოლის წყურვილით ახალი ქვეყნისა და ახალი ადამიანისათვის. ეს ახალი სიცოცხლე ძველის უარყოფაა, მაგრამ ეს უარყოფა არის არა კიდევ უფრო ძველთან (როგორც ექსპრესიონისტულ შემოქმედებაში) დაბრუნება, არამედ სრულიად ახალისკენ დაუღალავი სელა. მშვენიერება და სილამაზე ახალ სიახლეშია და ამდენად ახალი სიცოცხლე მშვენიერებით დატვირთულია. სიცოცხლის განცდა ხელოვნებაში ესთეტიური განცდაა, და, როგორც ასეთი, იდეალური სილამაზის სუბიექტი სილამაზე და მშვენიერება ესთეტიურ იდეალში ერთიანდება და ამდენათ ასეთ იდეალში სოციალური გამართლებაა.

ლ. 8.

გ ა ი რ თ ხ ი ბ ი

1924 წ. 2 მაისს შესრულდა ასი წელი ბაირონის გარდაცვალების დღიდან. მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურაზე არც ერთ მწერალს არ ჰქონია ისე დიდი გავლენა, როგორც ბაირონს.

მისი გავლენა ვრცელდებოდა არა მარტო ლიტერატურაში. ბაირონი იქცა ერთგვარ სიმბოლოთ. მისი ფივურა კერპივით აიმართა დიდების პიედესტალზე. ამ კერპის გავლენა შეიჭრა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მისი ლექსები ითარგმნებოდა ყველა ლიტერატურულ ენაზე. ბაირონზე გადატყდა ყველა ხალხის ლიტერატურაში თავისებურაო.

ბაირონი იტაცებდა განსაკუთრებით რომანტიულად განწყობილ ინტელიგენციას და საზოგადოთ ახალგაზრდობას.

ახალგაზრდობის მემარცხენეობისათვის იქცა იგი ერთგვარ გამოსავალად.

უმთავრესი, რითაც ბაირონი იტაცებდა საზოგადოების უცხოველეს ნაწილს, ეს იყო მისი ტემპერამენტი, ენერგია, რაინდული სიგივე.

ბაირონი იყო საფრანგეთის რევოლუციის გვიანი შედეგი. რევოლუციის დამარცხების შემდეგ აიმართა ის, ძავრამ არა როგორც მიმღები რეაქციის, რომელმაც ჩატელა წმინდა ზრახვები და უნებიანი გატაცებები, მეძავ ქალივით იხილითოებულ რეაქციას მან უპასუხა ტანჯვის და წამების ამღერებით. რეაქციის ხანაში ჰქონდა ის აღშფოთებული. გესლიანი სიტყვები ცეცხლივით ედებოდა უფლებამოსილ ფილისტერების გულებს და სწვავდა მათ რამდენათაც შეიძლებოდა მათი დაწეა. ის იყო საუსე შხამით, რომელიც უპირველეს ყოველისა სწამლავდა თეითონ მასეე. ის იყო შხამის მსხვერპლიც და ფიალაც.

ის აღშფოთებული იყო კაცობრიობაზე, რომელსაც ამდენ საუკუნეების განმავლობაში ვერ დაუმსხვრევია მონობის ბორცილები. ვერ დაუმყარებია თანასწორობა, თავისუფლება.

სქესობრივ სიყვარულს ის უწოდებდა წუთიერ სისხლის აჩროლებას.

უცელა ამის შემდეგ მის თვალში სიცოცხლეს არაეითარი ფასი არ ჰქონდა. და ამიტომ სიცოცხლის უძვირფასეს გვირგვინად სიკვდილი მიაჩნდა.

მავრამ, სანამ სიკვდილი არ მოსულა, ის დაუდევაოდა, ცაში მოხეტიალე. ლრუბლებს ადარებს თავის აწრიალებულ სულს მისი სულიც ხომ ისე, როგორც ლრუბელი, ერთი წუთითაც ვერ ისვენებს.

მისი მოუსვენრობა და დაუდგრომელობა გამოიხატება პროტესტში.

პროტესტი კაცობრიობის შიმართ, რადგან მან ვერ შესძლო ბორკილების დამსხვრევა და თავისუფლების დამყარება.

ადამიანის მიმართ, რომელიც იმდენ ანგარებას და სიავეს ატარებს.

დასასრულ, ის მიმართავს პროტესტით თვით ღმერთს, მისი ტიტანიური სული ბრძოლაშიც კი იწვევს ღმერთს. ბაირონი თავის სულის სილომეში ატარებდა უდიდეს რევოლიუციონერის ტემპერამენტს, მავრამ მისი დრო იყო დოო უმოქმედობის და სასოწარევეთილების. ამიტომ ბაირონის ნიჭია და შემოქმედებამ გამოსავალი ჰპოვა პესიმიზმში.



ეთნოგრაფია

ი ვ ა ნ ე მ ა ჩ ა გ ე ლ ი

შასაბური ბიოგრაფიისათვას
(გავრცელება)

ნინა ბაგრატიონის ცნობებით „პატარა მაჩაბელი, რომელსაც „ხორციელ ანგელოზს“ ეძახდენ, თითქმის არ ერეოდა თავის ტოლებში. მას ჰქონდა ფერადი კოჭები და მისი თამაშით ერთობოდა დასთან, მეზობელ გოვოებთან.

მისი აეინებული ვისართობია ტყეში სიარული. უფრო ზამთრობით, როცა ქალამნებში გამოწყობილი მარხილით შევას ეხიდება. ასევე: თამარაშენში მაშინ ტალახის ლობეების კეთება იკოდენ და ვანო მთელი დღე ხელებ გასვრილი სამუშაოზე იდგა!

ვანო კითხულობდა ბევრს, მაგრამ განურჩევლად... მისი ნათესავების სიტყვით, „გადიკითხა ყველა ის წიგნები, რაც ნათესავებში, მეზობლებსა და ნაცნობებში მოიძებნებოდა“.

ამასთან ოჯახში დაცულ პოეტურ ტრადიციების მიხედვით ვარჯიშობს „თხზვაში“.

ამ პერიოდის ლექსებს, რომელნიც უმთავრესად გრძელი ეპისტოლებია, ატყვიათ შტამპი „წყობილსიტყვაობის“. ეს გავლენაა მისი მენტორის. ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძემდის, რომელმაც ქართულ ლიტერატურაში მოსპონ სასულიერო პოეზია, „უმაღლესს“ ქართველთა ოჯახებში წიგნი „წყობილსიტყვაობა“ მიღებული იყო, როგორც შედევრი სასულიერო პოეზიის. ეს წიგნი ავიწროებდა რუსთაველს, ბესიქს...

მისი დიდი ვაკელენა იქიდანაც სჩანს, რომ 50-იან წლებში „ქართულ ინდანთან“ ერთად პირველ რიგში ივიც დაიბეჭდა (ს. ვორონცოვის განკარგულებით).

მაგრამ ილია ჭავჭავაძემ და „შეილებმა“ პირველი ნაღმი ამ წიგნის შინაარსს და ორფოვრაფიას მისცეს, რამაც ქართველ საზოგადოებაში გამოიწვია ხანგრძლივი აღელვება, ცნობილი „შვილებისა და მამების“ კამპანიათ.

პირველი პერიოდის ლექსები, როგორც ვსოდეთ, უმეტესად ეპისტოლებია: „ნათქვამი თავის დედიდაზედ ლევან ამირეჯიბის ცოლზედ“, „თავის ნათლია გრიგოლ მაჩაბლის ცოლზედ“, „ნათქვამი ეკატერინე ერისთავის ქალზე“, „გიორგი ამირეჯიბის ცოლზე“ და მრ. სხ.

როგორც დააკვირდებით, აქ სულ ქალთა პერსონალია. ყველა ეს ხაბარდიანი „კნეინები“ ბავშის მევობრები არიან.

მოშორებული მამას, ძმას (რომელიც ტფილისის გიმნაზიაში სწავლობდა),

ვანო იზრდებოდა მათ წრეში და ამ ქალურმა გაელენამ უსათუოდ მოქმედა
მის ხასიათზე, რომელიც მუდამ გაორებული იყო: ნაზი და ამაყი, ქალური და
გმირული.

ამ ეპისტოლებიდან მოგვიავს ერთი ლექსი უფრო დაძლუკიდებელი, რა-
საკვირველია, მხოლოდ ნიმუშისათვის.

ნათქვაში გიორგი ამირეჯიბის ცოდნა.

„ჯერ არ მინახავს თქვენებრივი არც ერთი სული
მშვენიერებით, გონივრებით, ყველაფრით სრული,
ჩვენს სამაყოთ შორის ქვეყნით აქ გადმოსული,
რომ განუცხადოთ აქაურ მზეს სწრაფო დასასრული.
ვის მიგადაროთ მშვენიერებით, მე ეს არ ვიცი.
მე თქვენ გარწმუნებთ, რასაც ვამბობ, არ უნდა ფიცი.
როგორც რო მთვარეს, ვერ გადარებთ ვარსკვლავებთანა,
ვერ გვიპოვნია ჩვენ ვერსადა სხვა თქენისთანა.
თქვენ პირველი ხართ არა მხოლოდ მშვენიერებით,
კეთილის გულით, სინაზითა, გონიერებით.
თქვენ გეწოდებათ ჭეშმარიტათ იგი სახელათ,
რომელიც ქონდა პირველ ქალსა ყველაზე წინათ“.

საინტერესოა ამ ეპისტოლეებში ქალთა პასუხებიც: თითქოს ყველა ხე-
დავდა ამ ფერმწერთალ ბავშის დიდ მომავალს. ყოველ პასუხში ნაწინასწარმე-
ტყეყლულია მისი ვენია. საინტერესოა პასუხი ეკატერინე ერისთავის ქალის:

ეკატერინესგან ვანო მაჩაბლის პასუხი

„თეორო, სპეტაკო, ლამაზო, საქებო ყველაზე მეტო,
მადლობას გიძლვნი ლექსისათვის, ჩემო პატარა პოეტო.
ჯერ ამის მეტსა ვერ გიტყვი, მოგწერო, ან ვსთქვა ენითა,
რა გვარის ნიჭით შობილხარ ან რას ვიმედობთ შენითა.
ვგონებ იშვიათ იხილონ შენსავით მცირეწლოვანი
აგრე მკრძნობელი მოაზრე, ვით გამოცდილი მხცოვანი.
მხოლოდ გიწუნებ მეტ ჭებას, რაც მე არ მომეწერება,
სხვასაც მაშინვე დაუშლი, ვინც ეგრე მომეთერება.
თუ რომ გსურს მასიამოვნო და იყო შენცა ქებული,
ეცადე სწავლით ყველაზე შეიქნა აღმატებული“.

ლექსების წერისათვის შემდეგშიც არ გაუნებებია თავი და მისი პოეზია
იყოფა ორ რკალად: მარადისობის პრობლემა და ეროტიკა.—უკანასკნელ რკა-
ლში რამოდენიმე წლით ადრე მოცემულია „ოთარანთ ქვრივის“ გიორგის ანა-
ლიკიური პერსონაჟი.

რასაკვირველია, ჩვენ რომ გვყავდეს ლიტერატურის მკვლევარები, რომე-
ლიც ქართული ლიტერატურის ისტორიის ექსკურსებს მოახდენდენ, დღეს გვე-
ყოლებოდა პოეტი მაჩაბელი, „დაუბეჭდავი მაჩაბელი“.

გონებრივი ცხოვრება ი. მაჩაბლისა მეტად აღრე განვითარდა. ოჯახში ჯერ ცოცხალი იყო მოვონება 32 წლის ამბოხების, რომლის გმირი სეიმონი, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მიზანი ამბოხებისა, მიზეზი მისი დამარცხებული, ოჯახში ეკონომიური და სოციალური დაცემისა, მუდმივი დავა მფლობელობის გაძო შისი პაპისა და მამის—ოსებსა და მთიულებთან—ყოველივე ეს სტოვებდა დიდ შთაბეჭდილებას და აღვიძებდა მასში ელემენტარულ სოციალურ გრძნობებს.

ამასთან ერთად ბატონ-ყმობის ლიკვიდაცია — ეს უდიდესი ფაქტორი გასული საუკუნის საზოგადოებრივი მოძრაობისა, აფხიზლებს ბავშის გონებას და საგრძნობლად აშორებს ბუდეს, რომელმაც აწოვა მას ძუძუ.

ამ დაუნდობელი რეჟიმის ატმოსფერა არა ნაკლებ ხუთავდა მის სულს და იწვევდა სიძულვილს ყოველგვარ მონობისა და ტირანიისაღმი.

რასაკვირველია, მისთვის გაუკებარი იქნებოდა სეიმონის ფეოდალური იდეოლოგია, რომ: „საქართველოში მებატონეთ ყმობა მონად არ ითქმის. მართალია, სიტყვა ყმობა იყო, მაგრამ საქმე მონებას არ აკრადებს. როვორათაც შვილი მშობელს ეკუთვნის და შვილი სრულებით მშობლებისა არის, ისე იმის მსგავსიდ მებატონეს ეკუთვნოდა ყმა“ (ალ. ორბელიანი).

„თავადსა და გლეხ შორის მხოლოდ ის განსხვავება იყო, რომ თავადი მოკითხეის წერილში ბრწყინვალებით იხსენიებოდა და გლეხი კი არა.“

მაგრამ, რაც განსხვავება იყო, ამის მშვენიერ ილიუსტრაციას იძლევა იმავე სასახლეში მდგარი მისი ბიძა იასე მაჩაბელი.

-- „თავად იასეს აზაფთებული ცხოვრება ჰქონდა. ნატალიას ყმასა და მამულსაც ის ხმარობდა. მთელი მისი სიმდიდრე და ენერგია გადაგებული იყო ნადირობაზე: ქორები, მეძებრები, მიმინო, ბაზიერები,— ეს იყო ატრიბუტები მისი ცხოვრების.

ბიჭები მეძებრებით კურდლლებს დასდევენ, ბატონები კი ნადირობას ეტლიდან ხელმძღვანელობდნენ „და იყო გაუთავებელი ნადიმი: თარი. სიმლერა. ზმა. თამაში.“

„ხოლო იქვე, ჩამონგრეულსა და შემჭვარტლულ ოთახში დედა ნატალია ვანოთი და პატარა ქალით დარიკოთი იყვნენ უპატრონოდ. პუხარში ციალა ცეცხლი ნაფოტებით აბოლებული და ზედ საცოდავი კოჭობი. როცა ბიძაშვილები დარიაბულ ცნებს დააჭინებდნენ, ვანო შიშველი დადიოდა. ფეხთ ეცვა ჩუსტები, რომელსაც აღარც ქუსლები და აღარც წინა წვერები არ ჰქონდა. თითები უჩანდა. ასე აიზარდა ვანო“. — გაღმოგვცემს მოწამე.

გარდა იმისა, რაც თითონ გამოსცადა, კარგად იცოდა ისიც, რომ მისი ოჯახის წევრი, სეიმონის ძმა — გრიგოლ მაჩაბელი „საქართველოს უწყებების“ განცხადებებით „ტორგში“ ჰყიდიდა თავის წვრილშვილიან ყმებს.

ამიტომ, ცხადია, ბავშის სიმპატიები ვის მხარეზედაც იქნებოდა.

„მაშინ ისეთი დრო იყო, რომ თავადები თავს არ გვიყადრებდნენ და მხოლოდ ვანო იყო ჩეენი მეგობარი. ხშირად წიგნებს გვიკითხავდა, იმედს გვაძლევდა და, როცა ნაშოვრობაში ჩავარდა, ფულითაც დახმარებას გვიწევდა“ — ამბობს მაჩაბლების ნაყმევი და ვანოსთან შეზრდილი გლეხი მინდიაშვილი.

ამნაირად, ბავში სინამდვილეში უფრო მეტს ხედავდა, ჰითოვეს არის, „სურამის ციხეში“ და „კაცია ადამიანში“ — ცხოვრებას, რომელიც კვლეული სულები დაღიოდნენ, სეირნობდნენ, სჭამდნენ, ქალალდს თარიშებილნენ ჭრას კაცინოდნენ.“

ამიტომ მისი ბავშური ალსარება იქნებოდა, როგორც მეორე ბავშის, რუსი პოეტის:

„И на душу мою той жизни безобразной
Ложились грубые черты.
И прежде, чем понять рассудком не развитым,
Ребенок, мог я что-нибудь,
Проник уже порок дыханьем ядовитым
В мою младенческую грудь

ერთი სიტყვით, ამ ატმოსფერაში „არ იყო ცოდვა მხოლოდ დაბადება და სიბერებაში სიკვდილი.“

მეტად საიტერესოა ის მომენტი, როდესაც ქალის აჩრდილით შეირჩა მისი ელასტიური სული, როცა თერთმეტი წლის ბავშვმა იკრძნო „პირველი სიყვარულის“ ფანტასტიური ვნება.

საბაბი შისი უცნაური სიყვარულისა იყო მისივე შორეული ნათესავი—და-
რია ბეგთაბეგიშვილი, ბრწყინვალება, ორმოცდაათიანი წლების სალონების და
შესანიშნავი მოცეკვავე, რომელსაც „ალტაცებულმა იმპერატორმა (ალექსანდრე
მეორემ) ხელშე აკოცა“.

იგი იყო საგანი მაშინდელი პოეტების შთაგონებისა. სხვა თაყვანისმცემლებთან ერთად მისი გარევნობის საუკეთესო დამახასიათებელია გიორგი ერის-თავის ოდა:

კნიაფნა დარია ბეგთაბეგოვისას (ლექურის თამაშობაზე)

დიდი ხანია თვალსა ჩემსა სოფლით დაღალულს,
ტრფობისა ლელვით გაცივებულს ამა ჩემსა გულს
არ მიულია მეჯლისთაგან სიამოუნება;
მაგრამ ლეკურმა, ჩვენებურმა, ჩემი გონება
განცეიფრებითა პოეტთ ცასა ზე აღიტაცა!
მუჩთა შთაბერეს, თვარა სხვაგვარ ვიტყოდი ოსმცა?
ეს ვინ მოჰორინავს, ფერია თუ ცითა ნაეარდობს,
მეჯლიში ნახა და იამა ხარობს და მარდობს!
ერთი შეხედეთ, ვით ყარყატი ყელმოლერებით,
მოსცურავს ეგრე მშვენიერად და ნარნარებით,
უყურეთ ფერხთა თვალს ვერ ასწრებთ, როგორა ხმარობს
ჰაერთა ზეირთა თვისის ფრთებით, ვითა ვანაპობს.
ხელავთ მავ ტანსა, გულწამტანსა, ნორჩისა მრხეველსა;
შეჰელეთ თმითა, ხშირთა, შავთა,— შეენობენ წელს,

მკლავს მე ხელუბის, ზესთა ფრთხების უცხოდ ხმაუება/
აგრე მოპტრინავს, თითქოს მიწას არ ეყარუების რაული
ვიშ მაგ სახესა, სინახესა, სულის სარკესა რა მომარისა
მაგ ნაზ ტუჩებზედ ევ ლიმილი ეინ დაგიწესა?
ხედავთ, კავები, წყეულები, ტაშა ჰყევებიან,
როგორ ცელქობენ, აშიკობენ, ეკონებიან?
აი თვალები, მაშვენები ლამაზის სახის,
სავსე ცეცხლითა და ელვითა, სადგურნი ეშხის.
მოდით მჭვრეტელნო, ტაშის მკვრელნო, უთხართ მაღლობა,
დავლოცოთ მაგის ცხოვრებაი, ყმაწვილ-ქალობა.
აწ მე შევამკობ, თქვენ ქეიფსა და პუარით ტაში.
ეს ლექსი ვუძლვენ, მან მიიღოს, ვითა შაბაში.

1852 წ.

ყმაწვილმა მისწერა ნაზი და ოღტაცებით აღსავსე ლექსები. ქალმა, რომე-
ლიც ოცდაათ წელს უკვე გადაცილებული იყო, ლექსითვე უპასუხა, რომ ასეთი
შინაარსის ლექსი არ შეეფერება ჯერეთ ყრმას და სატრაფიალო ლექსს მხოლოდ
ნათესაური გრძნობით მიიღებს.

ეს არ იყო მარტო ეკზალტაცია, ეს იყო პირველი ბეღნიერება სინამდვი-
ლის და პირველი გამოუთქმელი სევდაც.

ამ შთაბეჭდილების ქვეშ მას დაუწერია რამდენიმე ელეგიური ლექსი.

შემდეგშიაც ივანე მაჩაბელი ჯერ კიდევ დიდხანს არ განთავისუფლებულა
წარსულის ძვირფასი აჩრდილისაგან და ხშირად უყვარდა გახსენება ბაირონის
სიტყვებით, „რომ აღრეული ვნება მოასწავებს სულს, რომელსაც საღვთო ხელო-
ვნება ეყვარება“.

ჩვეულებრივი ერთფეროვანებით მიღიოდა პავშის ცხოვრება სვიმონის მო-
წყენილ სასახლეში. პაპიდას კათედრა, საიდანაც ისმოდა მუდმივი ღალადება
რელიგიური ქულტის, კიდევ უფრო მისაწყენი შეიქნა. ოსტატს უკვე შემოელია
ცოდნა და სულ მალე მოწაფე შეიქნა მასწავლებელი ოსტატის.

მაგრამ ყმაწვილში გალვიძებული იყო სხვა ცნობისმოყვარეობა; შემოფარ-
გლული ცხოვრება შეინძრა და რომანტიული სამყარო რაინდული თავეგადასავ-
ლით გმირების, რაინდების, რომელნიც ბნდებიან ნესტანისათვის, ვისისთვის,
მანიუავისთვის—უკვე შენელდა ფხიჭელი ჭკუით და დამოუკიდებელი აზროვნე-
ბით. მას უფრო მეტი გონიერი საზრდო მოშივდა...

მას გაგიჟებით იტაცებდა ტფილისი — გონებრივი ცენტრი, სადაც სწავ-
ლობდა მისი ძმა და, საიდანაც ათასი დამატებულებელი ამბები მოსდიოდა, მაგ-
რამ მდვომარეობას გამოსავალი არ ქონდა.

ოჯახი საშინელ სილარიბეში იყო და პირდაპირ სიშშილს განიცდიდა.

მაგრამ ვერავითარმა დაბრკოლებამ ვერ გასტეხა ბავშის მოუთმენარი სუ-
ლი და ერთ დღეს მან ჩუმად მისწერა თბილისში წერილი მამას, რომელიც უკ-
ვე ითხი წელიწადი აღარ ამოსულიყო სახლში, რომ უმაღ თავს მოიკლავს, თუ
სასწავლებელში არ მისცემენ...

ყმაწვილის გულწრთელშა და მეტყველია წერილშა გამოაფხინოთ უზარ-
დელი თავადი, რომელიც ეხლა თბილისში უკიდურეს მატერიალურ კრიზისს გა-
ნიცდიდა. მან სასწრაფოდ გამოვზავნა უფროსი შკილი ვანოს კუთხოვანებულ ჩამო-
საყვანად და სულ მალე გახარებული ბავში იჯდა ურმის კოფოზე ძველი ხურჯი-
ნით, რომლის ერთს თვალში პური ეწყო, მეორეში კი წიგნები და გორის გზით
მიეშურებოდა ტფილისისაკენ, — დიდებისათვის, სახელისათვის..

შენ დაიფარე! ღმერთო ვინც, იტყვის:
„წყნარო მინდვრებო, ვტოვებთ, მშვიდობით...
და თავის საწყალ ნავს გამოაბამს
ოკეანეში გაეარდნილ ხომალდს“...

(ნეკრ.)



თ ა ვ ი III

ტუილისის „კეთილშობილთა სასწავლებელი“ (კლასიკური გიმნაზია). გიმნაზიის პერიოდი.

გიორგი მაჩაბელს სალდათის ბაზარზე ჭრებული სასტუმროში ეჭირა ერთი პატარა სენაკი, რომელშიც მოთავსებულიყო თავისი ორი შვილით. ვანო თავისი უფროსი ძმის ხელმძღვანელობით გულშოღვინედ შეუდგა რუსული ენის შესწავლას. მისი ნივთიერი გაჭირება იქამდის მიერდა, რომ გაკვეთილებს ქუჩაში ნაპოვნ ქაღალდის ნაგლეჯებსა და ნაბარათევებზე ამზადებდა. მაგრამ მის დამხმარედ აღმოჩნდენ ორბელიანები და უმეტესად მისი პაპისმეგობარი პოეტი ვრიგოლ் ორბელიანი. მათი ნივთიერი დახმარებით ვანომ ერთ წელიწადში საუკეთესოდ ჩაბარა გამოცდა ტფილისის „კეთილშობილთა“ სასწავლებლის პირველს კლასში. გამოცდის ჩაბარებისთანავე მიღებულ იქმნა სახელმწიფო ხარჯზე. ამავე დროს მისი უფროსი ძმა ვასილიც, რომელიც უკვე მეშვიდე კლასში იყო, პანსიონში მიიღეს და გიორგის ოჯახმა თავისუფლად ამოისუნთქა.

ცხადია, რომ ბავშვი მიაღწია იდეალს, მაგრამ ეს ფანტასტიური სახლი, რომელზედაც ის დიდხანს ოცნებობდა, პაპიდას პანსიონთან შედარებით, საშინელი და უარყოფითი აღმოჩნდა: როზგებით, ცემით და უვიცი მასწავლებლებით. მართალია, როზვი ძველებურად აღარ იყო გავრცელებული, მაგრამ, როგორც ამბობს აკაკი წერეთელი, „ცემაზე უცბად ვერ აიღეს ხელი. დღე არ იქნებოდა, რომ ყმაწვილების წივილ-კივილით იქაურობა არ ყოფილიყო გაყრუებული. მოსწავლეს გალახვა ყველას შეეძლო დირექტორიდან დაწყებული „სტოროუებამდე“. მიზეზს არავინ კითხულობდა, ვინ იცის, რამდენი დასნეულებულა, რამდენი დამახინჯებულა და რამდენს კიდევ ხასიათი გაფუჭებია საუკუნოდ“..

როზვი მშობლებსაც სწამდათ: „— რა უკოთ, ვაგროზვონ, მოიჭირვე, მიუჩიე და ბოლოს კაცი გამოხვალო; მაგათში უმისოდ არ შეიძლებაო!“

მაგრამ უფრო სამწუხარო ის იყო, რომ იმ დროს პედაგოგიკა მეტად დაბალ ხარისხზე იღვა. ბავშებს კაჭკაჭებსავით წვრთნილენ და არა აღამიანის შვილებიდ! ყოველი საგანი უნდა მხოლოდ ეზეპირებინათ მოსწავლეებს და აზრი ესმოდათ თუ არა, ამას არავინ ჰერთხავდა.

„არაფერი გარეშე წიგნი არ იყო, რომ წაგვეკითხა; და რომ კიდევ გვეშოვა სადმე, წაკითხვის ნებას არ მოგვცემდნენ. რაც კარგი რამეა — რიტორებაშია დაბეჭდილი, ის გეყოფათო. ერთხელ ერთმა მოწატეებ ჰერთხა მასწავლებელს: — რაც აქ არ არის მოყვანილი ამ წიგნში, მის მეტი პუშკინს არა დაუწერია რაო? — ეგ რა შენი საქმეაო? — მიუგო მასწავლებელმა. ყმაწვილი არ მოეშვა და კიდევ ჰერთხა: — პუშკინი უკეთესი მწერალია, თუ პერკენიო? წამოვარდა ზეჲე შეშინებული, დაიცვა თითები ყურში და გააპა უკირილი: აქ არ ვყო-

ფილვარ, არა გამიგონია-რა, არცა გითქვამს-რაო... და ამგვარად ვაფარდა კარ-ში." (ევაკი წერეთელი: „ჩემი თავგადასივალი“.)

რა მისცა ვიმნაზიამ ვანო მაჩაბელს? ვიდრე გადავიდეთ კუჭირებელები საჭიროა ვავიცნოთ რეეიმი ვიმნაზიის, რომელიც დიდხანს იყო ერთადერთი სას-წავლებელი მთელს ამიერ-კავკასიაში და რომელშიც სწავლობდნენ: გრიგოლ არბელიანი, ვიორგი ერისთავი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე და სხ.

1802 წელს 22 ენკენისთვეს საქართველოს მმართველის გენ. ქნორინგის განკარგულებით ტფილისში გაიხსნა „კეთილშობილთა სასწავლებელი“, განსა-კუთრებით ქართველ „კეთილშობილთა ყრმათათვის“. სასწავლებელში ითვლებოდა ორი კლასი და ოცდახუთი მოწაუე. სკოლის გამგეო დანიშნული იყო ვინმე კარნევი, მასწავლებლებად ორი კანცელიარისტი. სახოფაღოება მხურვალედ მიე-გება სკოლას და გახსნის დღეს წარმოდგენილი იყო 45 ყმაწვილი.

მაგრამ სკოლის რეეიმი ისეთი აუტანელი შეიქმნა, რომ ქნორინგის შემდეგ მთავარ სარდალში ციციშვილმა (1803 წ.) ველარ მოუსწრო ველარც მოწაფებს, ვერც მასწავლებლებს და ველარც თვით სკოლას.

ციციშვილმა იმპერატორს წარუდგინა ახალი პროექტი ტფილისში „კე-თილშობილთა სასწავლებელის“ გახსნისათვის, რომლითაც სამი წლის განმავ-ლობაში მოწაფეთა რიცხვი უნდა გადიდებულიყო ორმოცდაათამდე და, რომელ-თაგანაც ყოველწლიურად ჯერ 8, შემდეგ 16 ნიკიერი მოწაფე უნდა გავზავნი-ლიყო მოსკოვის უნივერსიტეტის პანსიონში, სადაც უნდა შეესწავლათ ექიმობა და თარჯიმანობა, რის საჭიროებასაც განიცდიდა ახალი მთავრობა.

მაგრამ სასწავლებელმა კიდევ არ გააძირთლა იმედები. კანცელიარისტმა პე-დაგოგებმა ვერ დაიმსახურეს საკირო ნდობა. აუტანელი რეეიმის გამო მოწაფე-ებმა დაიწყეს გაქცევა სკოლიდან.

მაშინ „პედაგოგებმა“ ლტოლვის შესაჩერებლად გადასწყვიტეს მოწაფე-ების დაქრთამვა ე. ი. ფულით პრემიის დანიშვნა, ვინც სკოლაში ივლიდა.

ისეთ მდგომარეობაში ჩარჩა სასწავლებელი გუდოვიჩის, ტორმასოვის, ბარ-კიზ პაულუჩის და ერმოლოვის დროს, რომელთაც „საქართველოს თავად-აზნაუ-რობის მხედრული სულის გათვალისწინებით“ გადასწყვატეს სასწავლებელი გადაეკეთებინათ სამხედროდ. ამისათვის 1812 წლიდან კეთილშობილთა სას-წავლებელში ლათინურისა და ვერმანულის მაგივრად შემოიღეს გაქცეთილები გეოდეზიის, საველე ფორტიფიკაციის, სიტუაციის, იგრეთვე სამოქალაქო ხუ-როთმოძღვრების, თათრული ენის და ცეკვის. ამავე დროს ხუთ კლასს მიუმა-ტეს მეექვსეც და სასწავლებელი ყაზანის სამოსწავლო ოლქს დაუმორჩილეს. მთავარ სავნებად ითვლებოდა: საღეთო სჯული, ლათინური და ბერძნული ენა.

მაგრამ სასწავლებლის მდგომარეობა კიდევ არ იცვლებოდა. თავზარდაცე-მული მოწაფეები გარბოდნენ, პრემიები აღარა სჭრიდა, ხოლო მშობლები შეი-ლების მხარს იჭერდნენ და სწყევლიდნენ სასწავლებლის რეეიმს.

მალე სასწავლებელში აღარავინ დარჩენილა მასწავლებლების გარდა, რო-მელთაც არა ნაკლები სურვილი ჰქონდათ აქედან გაქცევისა. მაშინ მთავრობაშ გადასწყვიტა მიეღოთ ოცი და ოცდახუთი წლიანებიც კი სასწავლებლის შე-

სავსებად. რასაკვირველია, ასეთი ასაკის მოწაფეებს სწავლისათვის სულ არ ეცალათ და ისინი უფრო ყაბახზე ჯირითობდნენ ან „ბაზრიდან ფესტის ცენტრებოდნენ“. მაშინ გაორკეცებული ენერგიით შემოიღეს როზგი. შემდგანსასწავლებელი ხარკოვის უნივერსიტეტს დაუმორჩილეს. 1829 წ. გიმნაზიად გადაკეთდა, მაგრამ სკოლის კედლებში წესრიგი კიდევ ვერ დამყარდა...

ასეთ რეფიმში სწავლობდნენ: გრიგოლ თრბელიანი, ნიკოლოზ ბარათშვილი, გიორგი ერისთავი და სხვები.

უფიცი გიმნაზიის მთავრობა კი სულ ბოლომდის თავის გასამართლებლად იმეორებდა ერთ აზრს: „რომ იდეალური სკოლა შესაძლებელია მხოლოდ იდეალურ გარემოებაში. გიმნაზია კი, აღგილობრივ პირობებში, ასე ვთქვათ, იყო მოვლენა გარედან შემოტანილი, მოსული და დიდხანს იდგა მალლა იმ საზოგადოებაზე, რომლის განათლებისთვისაც ივი იყო მოწოდებული. ამისათვის მან უერაფერი დახმარება ვერ მიიღო, პირიქით, ქართველი საზოგადოება იყო ხელის შემშლელი მისი საჭმიანობის“.

ასეთი იყო გიმნაზიის მდგომარეობა ნ. ბარათაშვილის დროს, მაგრამ მესამოცე წლებში, მაჩაბლის დროსაც, გიმნაზიის მდგომარეობა მრ იყო გამოცვლილი.

მოწაფეთა რიცხვი უკვე ადიოდა შვიდასამდე და თხოულობდა დიდ შტატს მასწავლებლებისას. გაჭირებული ადმინისტრაცია მზად იყო მიეღო უფიცი და შემთხვევითი მასწავლებლები.

მართალია, მოწაფეებს სძულდათ გიმნაზია, მაგრამ პედაგოგიური პერსონალიც არ იყო თავის სიმაღლეზე. მათგან მრავალი ვაჭვეთილებზე არ დადიოდა. ზოგი ვაჭრობდა, ზოგი მეურნეობას ეწეოდა და მოსწავლეებზე სულაც არა პფიქრობდა.

ეს იცოდა მთავრობაშ და სატახტო ქალაქების პრესსის საშუალებით თითქმის ყოველ წელს იწვევდა მასწავლებლებს. მაგრამ ბიუროკრატიულ კარიერისტებს, პენსიონერებს კიდევ ემატებოდა „მკვდარი სულები“, რომელნიც რუსეთიდან ჩამოდიოდნენ არა „განათლების სხივების შემოსატანად“, როგორც კვეხულობდა მთავრობა, არამედ შინაურ საქმეებისთვის, კავკასიის მინერალური წყლებისათვის, მოშლილი კუჭის მოსარჩენად, ფულის საშოვნელად, დროს გასატარებლად ტფილისში, რომლის ქეიფებსაც მაშინ რუსეთში დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი.

ესენი მართლაც იკეთებდნენ შინაურ საქმეებს, შოულობდენ ფულებს, ფლანგვდენ სახაზინო ფულებს (სამმა დირექტორმა 15 წლის განმავლობაში 200.000 გ. გიმნაზიის ფული გაფლანგა) და, მიუხედავათ დიდი პროტექციებისა, სახლში წასვლის მაგივრად ციმბირის კატორლებში ბრუნდებოდნენ.

ასეთ მასწავლებლებს გიმნაზიაში დიდი დემორალიზაცია შექმნდათ. გიმნაზიის მთავრობის ოფიციალური ცნობით (ცნობები გიმნაზიის ცხოვრებიდან ნაწილობრივად ამოღებული მაქვს 1881 წლის გიმნაზიის საიუბილეო კრებულიდან), — სასწავლებლის კედლებში იმართებოდა კრივი, რომელიც სისხლის ლურით

თავდებოდა. მოწაფეები ხშირად სკემდნენ ერთი მეორეს, გიმნაზიის მოსამსახურეებს, აღმზრდელებს და ბოლოს მასწავლებლებს და დირექტორებს...!!

ი. მაჩაბელთან ერთად ისხდნენ 25 წლის ვაჟკაცები, რომელთაც შრავალ ბრძოლებში უკვე გიორგის ჯვრები მიეღოთ. ცხადია, ბრძოლის ველს მოწყურებული მათი ენერგია თხოულობდა გამოსავალს და ამ გამოსავალის საგანი უმთავრესად პედაგოგიური პერსონალი ხდებოდა...

მავრამ ამითაც არ დაკმაყოფილდნენ. ხშირი შემთხვევა იყო, როცა მთელი კლასი დემონსტრაციულად დასტოებდა დარბაზს და ტფილისის კრივებში ჩაერეოდა. კრივში მონაწილეობდნენ: მოქალაქენი, თავადები და კინტოები.

— სწორედ ამ ბრძოლის წყურვილით, როგორც გადმომცეს, გიმნაზიელებმა მონაწილეობა მიიღეს 1865 წ. „ტფილის ბუნტში“, რომელიც იყო მიმართული მთავრობის წინააღმდეგ.

ეს ახალგაზრდობა, უფრო ვარედან მოსიარულები, რომელთაც გიმნაზიის მთავრობა „пereазрелая молодежь“-ს, ეძახდა, სრულიად დამოუკიდებელ ცხოვრებას ატარებდა. ყურს უგდებდა მხოლოდ იმ საგანს, რომელიც მას მოსწონდა და ხშირად სხვა და სხვა მოთხოვნილებებსაც აყენებდა. მთავრობა კი ისევ უძლური იყო და იძულებული გახდა ბოლოს წესრიგის დაცვაზე ხელი აელო.

ბოლოს მოწაფეთა გამბედაობა იქამდის მივიდა, რომ ვარედან მოსიარულებმა ვანაცხადეს, რომ ისინი აღარ დაემორჩილებიან უფროსებს. ქალაქში ვარდებოდნენ სხევა და სხევა საეჭვო პიროვნებათა გავლენის ქვეშ და ათასი ბნელი საქმის მონაწილენი ხდებოდნენ (საეჭვო სახლებში სიარული, ქურდობა).

ამავე პერიოდში სწავლობდა ცნობილი ს. ვიტტე—(რომლის მამაც, იულიოს ვიტტე, კავკასიის სახელმწიფო მამულების დეპარტამენტის დირექტორად მსახურობდა. მან 1863 წ. საქართველოში გამოაქვეყნა გლეხთა განთავისუფლების აქტი.), რომელიც ახლა ხანს გამოქვეყნებულ მემუარებში ასე ახასიათებს იმავე გიმნაზიის რეჟიმს:—

„იმ დროს ტფილისში იყო მხოლოდ ერთი კლასიკური გიმნაზია; ამ გიმნაზიაში იყენენ ინტერნები (მოწაფეები, რომელნიც იქ ცხოვრობდენ), ექსტერნები და შედარებითი მცირე რიცხვი თავისუფალ მსმენელებისა, რომელთაც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში უშვებდენ. და აი მე და ჩემი ძმა, ჩენი ოჯახური მდგომარეობის წყალობით, დავვიშვეს თავისუფალ მსმენელებად მეოთხე და მეხუთე კლასებში.

ამ დროს გიმნაზიაში იყო სულ შვიდი კლასი, და მე ვიყავი თავისუფალი მსმენელი ოთხი წლის განმავლობაში, ამასთან მე პირდაპირ გადაედიოდი კლასიდან კლასში, გადასასვლელ ეგზამენების ჩაუბარებლივ. ვსწავლობდი ძალიან ცუდათ, უმეტეს ნაწილად გაკვეთილებზე არ დავდიოდი; მოვიდოდი რა დილით გიმნაზიაში, მე, ჩვეულებრივ, საათნახევარს შემდეგ გადმოვხტებოდი ფანჯრიდან ქუჩაში და უკანვე ვძრუნდებოდი სახლში. რადგანაც ჩვენ ვიყავით თავისუფალი მსმენელები, და უფრო ჩვენი ოჯახის წყალობით, მასწავლებლები, არავითარი ყურადღებას არ გვაქცევდნენ, ვინაიდან ისინი არ იყვნენ პასუხისმგებელნი არც ჩვენი სწავლის, არც ჩვენი ყოფა-ქცევის. ჩვენი გიმნაზია-

ში ყოფნის დროს, ჩვენსას, სახლში მუდამ დაიარებოდნენ ამაცე კიმინაზის მასწავლებელები, რომლებიც სახლში გვასწავლიდნენ პარალელურად ქაკვეთის იმავე საგნებში, რომლებსაც ჩვენ გიმნაზიაში გავდიოდით.

შემდეგ დადგა დრო, როდესაც ჩვენ უნდა დაგვეჭირა გამოცდა უაივერსიტეტში შესასვლელად. მე გამოცდა ჩავაბარე ძალიან ცუდათ და, რომ გიმნაზიის მასწავლებლები არა, რომლებიც ოთხი წლის განმავლობაში ჩვენსას დადიოდნენ და, რასაკეირველია, ამასთანავე შესაფერ ჯილდოსაც იღებდენ, მე, ალბალ, გამოცდას ვერასოდეს ვერ ჩავაბარებდა და ძლიერდლივობით, შივილე მხოლოდ ზომიერი ნიშნები, რაც ჩემოვის საჭირო იყო ატტესტატის საშორენელად.

მე სრულიადაც არა ვნალელობდი იმას, რომ ჩვეულებრივ ვერც ერთ გამოცდაზე დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მივეცი, მაგრამ მომიხდა ერთი ინციდენტი: რადგანაც სახლში უცრო ფრანგულად ვყბეთობდით, გასავებია, რომ ჩვენ მშვენივრათ ვიცოდით ეს ენა და თითქმის უკეთესადაც, ეიდრე რუსული, როდესაც მე და ჩემი ძმა მიველით გამოცდების ჩასაბარებლად ფრანგულ ენაში, ჩვენ გვცდიდნენ ბუნებისმეტაველების მასწავლებელი ვინმე ლოლობერიძე და მათემატიკის მასწავლებელი ზაზაროვი, რომელნიც ფრანგულად ლაპარაკის დროს, ფრანგულ სიტუაცის „ძროხებივით“ გამოსთვამდნენ.

და აი უცბათ ამ მასწავლებლებმა ფრანგულ გამოცდაში გამოგვიცხადეს რომ, ჩვენ ფრანგული ენა ცუდათ ვიცით და ჩაგვიწერეს ნიშანი ვ. ამიან მე და ჩემი ძმა ძალიან გაგვაკვირვა და რადგანაც მეტისმეტად ცელქები ვიყავით, როცა მასწავლებლები გიმნაზიიდან გამოვიდნენ, ჩვენ გავედევნეთ ქვეში და საშინელი ლანძლვა დაუწყეთ.

ასეთი ინკიდენტის შემდეგ, თუმცა ჩვენ ატტესტატები მოგვცეს და გიმნაზიის კურსიც გავათავეთ, მაგრამ ყოფა-ქცევაში ჩაგვიწერეს ნიშანი 1^o.


მაგრამ ყური დაუგდოთ გიმნაზიის ოფიციალურ მემეტიანეს, რომელიც აგვიწერს გიმნაზიის მდგომარეობას ი. მაჩაბლის დროს.

„გიმნაზიის მთავრობა, რომელმაც ვერ ალაგმა თავშასული მოწაფეები, როგორც შიგნით, ისე გარედ, ამავე დროს თითონ არაუერს აკეთებდა პანსიონისთვისაც. ამიტომ უკანასკნელის მდგომარეობა სამოციან წლებში მეტად უნუგეშო შეიქნა. პანსიონერებს არა ჰქონდათ წესიერი მოწყობილება; მოწაფეებს ხშირად ტანისამოსიც იკლდათ უფლობის გამო. სახელმძღვანელოები არ იშოვებოდა, სამკითხველო მთლად განადგურდა და შემდეგ სრულიადაც მოისპო, ტანვარჯიშობაც მოისპო იარაღის უქონლობის გამო. ესთეტიკური განვითარება მთლად შეჩერდა; საეკლესიო გუნდი გალობდა ისე ცუდად, რომ მთლად ალეკრძალა გალობა ეკლესიაში“...

მართალია, ასეთ „პედაგოგების“ ხელში მასწავლენი უნდა ყოფილიყვნენ მოკლებულნი ყოველ ინტერესს, რადგან ნათელი სულის შემომტანი არაერთ იყო, მაგრამ განმანთავისუფლებელი მოძრაობის ხმები ამ ყრუ ყაზარმის კედლებშიც ატანდა.

აქაც იყვნენ „იდეალისტები“, „მებრძოლები“, „ევროპიულ დამარლვევალ

იდეების „მატარებლები”, პერცენის და ბაკუნინის სახელები აქ უჩვე წაცნობი და საყვარელი იყო. აქაც ისმოდა ჩუმაღ მაზინდელი საყვარელებელი სერიუმური რუსი ახალგაზრდობის:



Вперед! без страха и сомненья
На подвиг доблестный друзья!
Зарю святого искупленья
Уж в небесах завидел я!
Смелей! дадим друг другу руки,
И смело двинемся вперед,
И пусть под знаменем науки
Союз наш крепнет и растет!..

ორმცდაათიან წლებში გიმნაზიაში ბუნებისმეტყველებას ასწავლიდა რუსი პოეტის ალექსანდრ ბლოკის პაპა — ანდრია ბეკეტოვი (შემდეგში რექტორი პეტროვრადის უნივერსიტეტის. გიმნაზია დასტოვა 1854 წელს).

მასწავლებელთა შორის იყო დაუვიწყარი პეტრე უმიკაშვილი, რომელიც გავიჟებით უყვარდათ მოწაფეებს. მისი საგანი, ქართული ენა, ითვლებოდა მე-ექვსე გაკვეთილიდ და მეტათ დევნილი იყო. სახელმძღვანელო არ იშოვებოდა. გადიოდნენ იოსელიანის, შემდეგ სოლომონ ლოდაშვილის მიერ გადმოკეთებულ გრეჩის გრამატიკას. ქრესტომატიათ ხმარობდნენ „Друг детей“-ს მსგავს სახელ-მძღვანელოს, რომელიც ასე იწყებოდა: „Ме же́р За́така́за ვа́р, За́така́ри́е бла́га ბევ-რი არაფერი იციან, ამიტომ უნდა ბევრი ისწავლონ“. უცბად ნახტომი წმინდა-თა ცხოვრებაზე, რუსთაველზე და ანტონ კათალიკოსის კატელორიებზე.

მაგრამ პეტრე უმიკაშვილი, რასაკვირველია, უმთავრესად ამ სახელმძღვა-ნელოს არ ემყარებოდა. მას ფარულად შემოჰქმნდა „ცისკარი“, „საქართველოს მოამბე“ და მრავალი ქართული ხელნაწერი წიგნები. ხშირად იწვევდა მოწაფეებს სახლში და უმართავდა ლიტერატურულ საუბარს. საზაფხულო არღადეგებში კი ავალებდა მოწაფეებს ხალხურ პოეზიის ნიმუშები ჩაეწერათ, რითაც მრავა-ლი განძი შეეძინა ჩვენს სიტყვიერებას.

რასაკვირველია, უმიკაშვილის ყურადღებას არ გამორჩებოდა ნიჭიერი მო-წაფე მაჩაბელი რომელსაც „ყრძათა მაგალითს“ უწოდებდა.

სამი ბიუროკრატი პედაგოგია დამახასიათებელი გიმნაზიის მაშინდელი რე-კიმის: დემენტიევი, ყორლანოვი, შელიხოვსკი.

დემენტიევი ჯერ კიდევ ბარათაშვილის მასწავლებელი იყო, შემდეგ 1839 დირექტორის მოადგილე და მესამოცე წლების დასაწყისში კი დირექტორი.

დემენტიევზე ცნობებს იძლევა იონა მეუნარგია ნ. ბარათაშვილის ბიოგ-რაფიაში.

„რუსულ ლრამატიკას და ენას ასწავლიდა მაღალ კლასებში მასწავლებელი დემენტიევი, რომელიც ეხლაც (1893 წელს) ცოცხალია და იმყოფება ქალაქ ტფილისში. ამან ქარგად იცოდა თავის ხელობა და მისმა შეგირდებმა — მათ შორის ბარათაშვილმა — ჩინებულად ისწავლეს რუსული ენა. მეტადრე რუსულ კითხვას უკებდნენ ამ მასწავლებელს. რასაც გვასწავლიდა, ისე ქარგად გვასწავ-

ლიდაო, სთქვა ლუკა ისარლიშვილმა, თითქო პირში ლუკმას გვიდებდათ, გაგრძმ, თუ ვერ გავიგებდით, ან კითხვაზე ჯეროვან პასუხს ვერ მივცემდით, გაგრძმის ერთდებოდა და გვეტყოდა: ამ ამინი! და გაჯავრებული ხელაუკეთებული ხელაუკეთებული ხელაუკეთებული საგანს.

მეტადრე კარგად კითხულობდა თურმე ეს მასწავლებელი მიცემის ლექსს „ფარისს“, რუსულად ნათარგმნს.

სწორედ მის დირექტორობაში დატრიალდა ის უწესოება მოწაფეთა შორის, რომელიც ზემოდ აღვნიშნეთ.

საუკეთესო ტიპი მაშინდელი უვიცი მასწავლებლისა იყო ვინმე ყორლანვი, რომელიც „ცისკარში“ ქართულ ლექსებსაც ბეჭდავდა. მის დასახასიათებლად კიდევ ვისარგებლებ იონა მეუნარგიას ცნობებით: „დოდაშვილის შემდეგ ლრამატიკას იმისივე წიგნით ასწავლიდა (ბარათაშვილს) ყორლანვი, კაცი დიდათ უნიჭო. ამისი უბედურება ის იყო, რომ ლრამატიკა მარტო ზმნამდის იცოდა, ამის გამო მთელი წელიწადი სულ იმას იძახდა: „ზმნამდის გაიკვეთეთ“, „ზმნამდის გაიკვეთეთ“, და შევირდებიც სულ ზმნამდის ზეპირობდნენ.

„ეს პატიოსანი კაცი რუსულ ენას ასწავლიდა დაბალ კლასებში, იმ „რაზ-ლოვორების“ საშუალებით, რომელშიაც მთელი ფრაზები იყო დაბეჭდილი რუსულ-ქართულით. განსვენებულ ალექსანდრე საგინაშვილისაგან გამიგონია: ყორლანვმა ხელის შლა იცოდა და პრტყლად ლაპარაკით. ის რომ ხმა მაღლა იტყოდა: ჯარკი, იხეს ჯარკი—„ცხელა ძლიერ ცხელა“, მთელ კლასს უნდა გაგვემეორებია მისი სიტყვები“. (იონა მეუნარგია „ცხოვრება ნიკოლოზ ბარათაშვილისა“ გვერ. XI).

იყო კიდევ მასწავლებელი ვინმე რიპანი, რომელიც ლ. ჩერქეზიშვილის გადმოცემით იყო „პატიოსანი, მეტად რელიგიური. ყოველ დილას და სალამოს ხატებთან დაჩოქტილი ლოცულობდა. შემდეგ მაში მომხდარა დიდი გარდატეხა და ბოლოს, როგორც დიდი ბრალდებული, რეულა ნებაევის პროცესში“.

აღსანიშნავია როგორც საუკეთესო პედაგოგი და ბავშების მეგობარი, უკრაინელი არტემოვსკი — ენციკლოპედიისტი და მათემატიკოსი, რომელიც დოსტოევსკისთან ერთად პეტრაშევსკის შეთქმულობის ერთ-ერთი წევრი იყო და, რომელსაც ბოლოს ციხე მიუსაჯეს.

ეს იყო ხალხოსანი: ახალი კაცი, ახალი იდეებით, რომელიც ვერ აიტანეს მასწავლებლებმა, მით უმეტეს დირექტორმა უელიხოვსკიმ და სასწავლებლიდან დაითხოვეს. დროებით მისი გაკვეთილები თითონ დირექტორმა იყიდია.

მოწაფეები საშინლად ააღველა საყვარელ და პუმანიურ მასწავლებლის უსამართლოდ დათხოვნამ და გადასწყვიტეს მთავარი დამნაშავე შელიხოვსკი დაესაჯათ, რაც მალე შეასრულეს.

უელიხოვსკი დიდს პედაგოგობაში სდებდა თავს. მასწავლებლებში მან შემოილო ლიტერატურულ პედაგოგიური საუბრები. დაარსა პედაგოგიური კლასი და ხელმძღვანელობდა პროვინციელ მასწავლებლებს, როგორც საქართველოში, ისე ჩრდილო-კავკასიაში. ნამდვილად კი იყო ბიუროკრატი და შოვინისტი სლევნიდა ქართველობას და ყოველივეს არა რუსულს

დირექტორის პოსტზე დანიშვნისთანავე მან შემოიტანა რეფორმები უმთავრესად პანსიონში. თავიდანეე იჩენდა სასტიკ წვრილმანობას, რეფორმების ბულები იყვნენ, როგორც მოწაფეები, ისე მასწავლებლები. ასე მოწავლის შემსრულებლად „სამხედრო მუშაორი — წყვილად სიარული“ ჩაის მაგივრად დილ-დალობით დააწესა ქონზედ გაკეთებული წვენი, შემოილო გადაჭარბებული სისასტიკე და სხვა.

ერთ დღეს, როდესაც იკი არტემოვსკის გაკვეთილს აძლევდა, ერთი მოწაფე მიუახლოვდა და რალაც განმარტება მოსთხოვა. ამ დროს უკანიდან მოეპარენ სხვები, გადაახურეს თავზე შინელი და საშინელი ცემა დაუწყეს. ნაცემი და ტანისამოს შემოხეული დირექტორი შემდეგ კარში გამოავდეს.

ამ ამბავმა დიდი სენსაცია გამოიწვია მთელს რუსეთში. 1863 წ., გიმნაზიის მთავრობის ოფიციალური ცნობით, ამ საქმის მოწყობაში მონაწილეობას იღებდნენ მასწავლებლებიც, რომელნიც დაინტერესებული იყვნენ ჟელიხოვსკის განდევნით.

მაგრამ დამნაშავეები გასცა მოწაფე საბინინმა. ისინი „შესაუერისად“ დაისაჯნენ. მრავალნი გამორიცხეს და პანსიონიც ერთი წლით დაკეტეს.

ივანე მაჩაბელს ამ ინციდენტში არაეითარი მონაწილეობა არ მიუღია, რადგან უმთავრესი მონაწილეები მეშვიდე კლასელები იყვნენ. ის კი ამ დროს მეხუთეში იყო. როგორც ყველა მასწავლებლებს, ისე ჟელიხოვსკის ივანე მაჩაბელი უყვარდათ. „ელიხოვსკი, ეს მაღალი ტანის კაცი, აიყვანდა ხოლმე ხელში ვანოს და დიდხანს ეაღერსებოდა“ — გადმოგვცემს რ. ამირეჯიბი.

მტარვალის სახელი ქონდა გაფარდნილი ინსპექტორს იუდინს, რომელიც მოწაფეებს უმიზეზოდ სდევნიდა და კარცერში ატლასალებდა.

ივანე მაჩაბელთან ერთად სწავლობდნენ: ვასო აბაშიძე, ალექსანდრე სუმბათვილი—იუჟინი, გიგო გაბაშვილი (ექიმი, რომელიც ორი თვის წინედ გარდაიცვალა და რომელმაც სიკვდილის წინ არა ერთი საინტერესო ცნობა გადმოგვცა გიმნაზიის (ცხოვრებიდან), ლევან ჩერქეზიშვილი, ციციშვილი დავით, ფალავანდიშვილი სანდრო, კოლა ფავლენიშვილი (შემდეგში აქტიური წევრი საბანკო ოპოზიციისა) და სხვ.

ი. მაჩაბელი გიმნაზიაში პირველი მოწაფე იყო. სამწუხაროდ, ჩვენი პედაგოგიური არქივების ქაოტიური მდგომარეობის გამო ვერ ვიპოვეთ სწორი ცნობები მისი სწავლის შესახებ, მაგრამ, თუ დაუჯერებთ მის ამხანავებს სკოლიდან, ვანო თავის ნიჭით ყველას აოცებდა. გამოცდების წინ, როგორც მოთავე, ამზადებდა მთელ კლასს და მოწაფეებს „პედაგოგი“ დაარქვეს.

1865 წელს, როცა მეორე კლასში გადავიდა, გიმნაზიიდან მიიღო საჩუქრად წიგნი „Мир Божий“ წარწერით: „За примерное благонравие и отличные успехи в науках“.

გიმნაზიელ ვანოს ასე ახასიათებენ მისი ამხანავები: „ხასიათით იყო მტკიცებული წყნარი. არ შეიძლება ითქვას, რომ მისი სიჩუმე უმოძრავო იყო, ამხანავებს ყველას უყვარდა, მაგრამ, თუ ვინმე უსიამოვნებას აუტეხავდა, მაშინვე თავის მეგობრის, ლევან ჩერქეზიშვილის საფარველს მიაშურებდა“,

მეორე ასე აგვიწერს: „იყო სერაფიული, მეოცნებე. ჰქონდა დამოუკიდებელი ხასიათი და გიმნაზიაში საერთო სიყვარელი ამხანავი იყო“.

გიმნაზიის საშუალო საუკუნოებრივი რეეიმი, დახავსებული სახულმძღვანელოები, უფრო დახავსებული მასწავლებლები და დაუსრულებულებული რეტრივა, ყმაწვეილზე ცუდს შთაბეჭდილებას სტოვებდა.

საერთოდ გიმნაზიის სიბრძნე მეტად მშრალ საზრდოს იძლეოდა. ზნეობრივი და გონიერივი განვითარება თავისი ინიციატივით მიიღო. ბუნებრივი ნიჭის გარდა დიდი შრომის მოყვარეც იყო. ქართული ენა, განსაკუთრებით ძველი ქართული მწერლობა, როგორც საერთო ისე საეკლესიო, კარგით იცოდა.

სკოლის სკამზევე „საქართველოს მოამბიდან“ წაიკითხა ადამ სმიტი და ჯონ სტიუარტ მილლი და ადრიგანვე დაინტერესებული იყო თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრებით.

კარაკოზოვის ვასროლილი ტყვია, უკვე დამზარი რესპუბლიკანური ერა და ენტუზიაზმი ეპოქის—არხევდენ მის სულს ვმირული სიმფონიით. როგორც გვიამბეს ის შზად იყო კიდეც ამხანავებთან ერთად გაპარულიყო პარიზში, კომუნარების ბარიკადზე. რამოდენიმე მისი ამხანავი კიდეც გაემგზავრა, მაგრამ მთავრობამ შეიძყრო და ზოგი მათგანი ციხეებში სიკვდილით დაიღუპა.

გიმნაზიიდანვე ჰქონდა ლინგვისტური ერუდიცია: საუკეთესოდ იცოდა ლათინური და გერმანული. ფრანგული შეისწავლა გიმნაზიის გარედ. ინგლისური—პეტროგრადში, ხოლო იტალიური და ესპანური საფრანგეთში.

სამოსწავლო სკამზევე ი. მაჩაბელი იყო მატარებელი შექსპირის კულტის, როგორც შემდეგში გვექნება ლაპარაკი, შექსპირის გადმოთარგმნის იდეა მოწიფეობის პერიოდს ეკუთვნის.

გიმნაზიის ეპოქაში მას უკვე ჰქონდა თავისი ლიტერატურული შეხედულობა: თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში მას იტაცებდა ორი ფიგურა: ნიკოლოზ ბარათაშვილი და ილია ჭავჭავაძე—ეს „ფელდმარშალი ქართული ჭკუის“ რომელთანაც სულ მალე შექსპირის ნიადაგზე საბედისშერო შეხვედრა მოუხდა.

ჯერ კიდევ ბავშობაში ცალკე წიგნით ჰქონდა ამოწერილი ანაკრეონიტელი ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელმაც 1805 წელს, საფრანგეთის რევოლიუციის გავლენით მოულოდნელათ იმღერა:

„რომელნიც ამწარებთ ღარიბთ ცხოვრებას
და სთხოვთ ურცხვად უსამართლო მონობას—
მოელოდეთ მათთან თანასწორობას“!..

გიმნაზიის პერიოდში საგანგებოდ შეისწავლა რუსთაველი და მისი პირველი ალდგენილი ტექსტის რედაქციაც მას ეკუთვნის (ცნობილი გიორგი ქართველიშვილის გამოცემა.) მასვე ეკუთვნის იდეა ოპერა „ვეფხის ტუაოსანის“. შემდეგში მან იპოვლიტოვ-ივანოვისთვის რუსულ ენაზე დასწერა მისი ლიბრეტო.

ალსანიშნავია მისი გატაცება თეატრითაც. გიმნაზიაში სთარგმნა რამოდენიმე კომედია, ხოლო საოჯახო სპექტაკლებში მონაწილეობდა, როგორც მსახიობი.

ამაზედ გვექნება ქვევით ლაპარაკი, როცა შევეხებით მაჩაბლის დამოკიდებულებას თეატრთან.

საერთოდ მაჩაბელი ბრწყინვალე ერუდიტი და ენციკლოპედისტი იყო...

ქართველი საზოგადოება ამ დროს უკვე იცნობდა ი. მაჩიბელს, როვორც
ნიჭიერს ახალგაზრდას და მისთვის მაშინდელი მოწინავე ქართული ოჯახების კა-
რები მუდამ ლია იყო.

ორბელიანების, ერისთავების, ბარათაშვილების და ბაგრატიონების ოჯა-
ხებში ის გაეცნო ქართველ მწერლებსაც, რომელნიც ახალგაზრდა გიმნაზიელს
ყურადღებით ექცეოდნენ.

ამას ადასტურებს აკაკი წერეთელი, რომელიც ამბობს, რომ, მესამოცე
წლებში, რუსეთიდან დაბრუნებისას, ტფილისში დაეინებით ლაპარაკობდნენ მო-
წაფე ივანე მაჩიბელზე, როვორც ჭენობენზე...

თექვსმეტი წლის ი. მაჩიბელმა საჩუქრით დაასრულა გიმნაზიის კურსი
(8 კლასი) და რადგან ჩვიდმეტ წლამდე უნივერსიტეტში არ იღებდნენ, ამიტომ
სახელმწიფო ხარჯზედაც ვეღარ გაიგზავნა და ერთი წლით სოფელში დარჩა,
სადაც ეს მცირე დრო სხვადასხვა საგნების და ფრანგული ენის საფუძვლიანად
შესწავლას მოაწომა...



8036006081

C.

რელაციონური თეორიის ფილოსოფიურ საფუძვლების სისათვის

21. ფიზიკალური და ფილოსოფიური რელატივობის თეორიაში

მეითხველმა გვვინია ნათლად იცის, თუ რა დიდ გარდატეხას წარმოადგენს რელატივობის თეორიის პრინციპები ფიზიკის მეცნიერებისათვის; არც ერთი საფუძველმდებელი ცნება აღარ შერჩა ძველ ფიზიკას, რომელიც აინშტაინის მიერ ახალ დაკანონებას და ახალ ლასაბუთებას გადარჩენდეს. ჭეშმარიტება, რომელიც ძველ ფიზიკას გააჩნდა, რასაკეირველია, მთელი სიგრძით და სიგანით უკუგდებული არ არის, მაგრამ მან ახალ სისტემაში დაიჭირა უმნიშვნელო ფაქტიური სინამდვილის აღვილი. ერთი სიტყვით, ფიზიკის მეცნიერება გამოეხვია საესებით ახალ სამოსელში. ამ ახალმა შესძლო თავის წიაღში მოეთავსებია ძველის მძლე და გარდაუვალი ნაწილები; ახალი ფიზიკის პრინციპთა სიმდიდრე, თვალსაზრისის სიფართოვე და აზრთაწყობის სილრმე კი ძველი ფიზიკის კონცეპციისათვის უკნობი იყო. ბუნების და სინამდვილის საიდუმლოებამ აიხადა პირბადე, შესაძლებელი შეიქმნა ბუნების მსვლელობის და ამ მსვლელობის საერთო კანონების უნაკლო ფორმულებით მოცემა. ახალი თეორიის საშუალებით არამც თუ მივიღეთ ჩვენ ძველ ფიზიკის წინაშე დაგროვებული მეცნიერული პარადოქსების ახსნა-განმარტება, არამედ აზროვნების წინაშე გადაიშალა უჩვევი პრობლემებით და წინსვლის პოტენციით მდიდარი პერსპექტივა: თეორია და პრაქტიკა დადგა ახალი პრობლემების წინ.

მაგრამ მარტო იმით არ ამოიწურება ახალი თეორიის უპირატესობა და ძველის ნიკლულოვანება. ახალი თეორია უფრო უპრალო, გასაგები და მისახედომია, ვიდრე ძველი; თუ მეითხველი ჩვენ აქამდის თავის ყურთასმენას სიამოვნებით დავვითმობდა, ის ახლა უსათუოდ აღმფოობულია; ის არ დაგვიჯერებს ჩვენ, რომ ეს „საშინელი და ძნელი“ აინშტაინის რელატივობის ფიზიკა

უფრო მარტივი, უფრო ნათელი და ადვილი იყოს, ეიდრე ის ფრიქა, რომელიც მას სკოლაში ასწავლეს და, რომელიც გარეშე ყოველგვარულად ტავისტურ თავისტურევისა, მას შესატერ პასუხს აძლევდა საჭიროებულის ფაქტების შესახებ. თუ ბუნების მოულენების მსვლელობას ექვსაკურ მეცნიერული ენიო გამოეხატავთ, ე. ი. თუ ავაშქანებთ მეცნიერებას ბუნების შესახებ და თუ ამ მცნების პრინციპების ვასაგებათ ჩვენს აზროვნებას საჭირო კულტურა და მომზადება უქნება, მაშინ ამა თუ იმ თეორიის უპირატესობის საკითხი მისი ყველა „თავის“ მიერ მიხვედრის საკითხით კი არ ამოიწურება, არამედ მეცნიერულ ცოდნაში სინამდევილის ბუნებისათვის წინააღმდეგობათა მაქსიმალი გამორიცხვით, ე. ი. ყოველი ახალი ცოდნა ბუნების შესახებ უნდა იყოს წინააღმდეგობის არა-გქონე და როგორც ასეთი მოვლენების ვლენის და ამ ფენომენის პრინციპებისათვის უბრალოდ და ბუნებრივად ამხსნელი. ბუნებას ამა თუ იმ კანონის პრინციპიალობის და აუცილებლობის დასაბუთებისათვის არ უნდა დასჭირდეს სპეციალ ჰიპოთეზებს მიმართოს, არამედ თვით უნდა იძლეოდეს მოწმობას საკუთარი თანის კანონიერებისათვის. ასეთი კანონი იქნება უბრალო, მარტივი და პრინციპიალურად ყველასათვის ვასაგები. სწორედ ეს დიდი უპირატესობა აქვს აინშტაინის თეორიაა ბუნების მოვლენების ახსნის დროს ამავე მოვლენების ნიუტონის და გალილეის სწავლის საშუალებით ახსნასთან. იქ, სადაც ძეველ ფიზიკას მიუხდავად მეცნიერული ახსნისა წინააღმდეგობასთან მივყივართ,—აინშტაინის ფიზიკა გვაძლევს მაღა და ყოველივე წინააღმდეგობიდან გაწმენდილ პასუხს. მეოთხეულში უსათუოდ უკვე იცის, რომ რელატივიზმის თეორიის აღმოჩენა სწორედ ასეთი ფიზიკალური წინააღმდეგობის მოხსნილან დაიწყო. ეს წინააღმდეგობა იყო მარკელშონ-მორლეის ეფექტი, ძეველი მექანიკის ეთერის ჰიპოთეზა და მოძრაობის აღიციის თეორებია. ჩვენ ვიცით, რომ ლორენცმა თავისი კონტრაქციის ფორმულით ამ წინააღმდეგობის მოხახსნელი საშუალება მოგვცა; მიუხდავათ ლორენცის ჰიპოთეზისა წინააღმდეგობა თავის აღვილზე დარჩა და ფიზიკა ვასაჭიროი ჩაეთავს, ხოლო აინშტაინის მიერ სპეციალი რელატივიზმაში მიღებული ცავულები სხივის მოძრაობის კონსტანტობა და მასთან დამკაიდებული ერთდროულობის რელატივობა, იძლევა სულ ახალ ახსნა-განმარტებას და ახალ მეცნიერულ საშუალებას. თვით ფენომენის ახსნისათვის აინშტაინმა სპეციალ თეორიაში მაილო იგივე ფორმულა, რაიც ლორენცმა კონტრაქციის ჰიპოთეზაში მოგვცა. ხოლო მაშინ, როდესაც ლორენცს იმ დიდი მათემატიკოსის უკვდავი სიტყვების გამეორება შეეძლო, რომელმაც თავის მსმენელებს უთხრა: „ფორმულა თუმცამდე მივიღე, ის სწორია, მაგრამ არ ვიცი, როგორ მივედი მასთანთ“, აინშტაინის რელატივისტური ფიზიკა ერთდროულობის რელატივობის საშუალებით იძლევა ფორმულას და თან აჩვენებს იმ აუცილებელ ვზას, რომელსაც მასთან იკვევართ. იქ, სადაც ლორენცი სპეციალ ჰიპოთეზას ხმარობს და გაურკვევლად-მსტოვებს თუ რატომ, რისთვის და რა ძალის შემწეობით მოკლდებიან სხეულები მოძრაობის მიმართულებით, აინშტაინის თეორიაში უბრალოდ და ნათლად

ნაჩენებია, რომ ეს დამოკიდებულება აუცილებლად უნდა ხდებოდეს სხვ., ჩვენ ამას ერთხელ უწოდეთ აინშტაინის თეორიის გნოსეოლოგიური უპირატესობა; ამის გამეორება შეგვიძლია აქაც.*) მით უმეტეს, რომ უპირატესობა გვაძლევს თვით აინშტაინი მეორე ემინენტ პრინციპიალი საკითხის ჭრას გვეძლებ მყითხველს დიდი ხანი უსათუოდ გაუჩნდა საკითხი, თუ რა საჭირო იყო სპეციალი რელატივიზმის პოსტულატის გაფართოება და მისი საერთო რელატივობის პოსტულატით მოხსნა, კრიტიკულად განუყობილი მოაზრე აქ წინააღმდეგობას დაინახავდა და აინშტაინს იმის დანგრევას უკიდინებდა, რაც მან სპეციალ რელატივიზმაში ააშენა და იმის ხელახალ აშენებას, რაც იქ დაანგრია. თავის ცნობილ შრომაში, რომელშიაც მოცემულია საერთო რელატივიზმის პოსტულატის დალაგება, თვით აინშტაინმა ეს საკითხი პირველ რიგში დასვა და მის გადაწყვეტის შემდეგ გაავრძელა გამოკვლევა. რა საფუძველი გვაიძულებს ჩვენ გაფართოებით რელატივიზმის პოსტულატი? აინშტაინი სიტუაციან სიტუაციის უპასუხებს: „Der klassischen Mechanik und nicht minder der speziellen Relativitätstheorie haftet ein erkenntnistheoretischer Mangel an“. — კლასიკურ შექანიკას, ის კი არა თვით სპეციალ რელატივიზმის თეორიას თან ახლავს ერთი შემცენების თეორეტიკული ნაკლი“ და სხ. (იხ. A. Einstein: grundsache der allgemeinen Relativitätstheorie. გვერ. 8.) ის, რომ ნიუტონის შექანიკა მიზეზობრივობის კანონს აქმაყოფილებს, არის მხოლოდ მოჩვენება, მხოლოდ იმ ფიზიკის შეუძლია მიზეზობრივობის კანონი უნაკლოდ დააქმაყოფილოს, რომელშიაც „ფიზიკის კანონები ისეთ შენებული, რომ ისინი ყოველგვარ და ყოველნაირად მოძრავ მიმართებითი სისტემისათვის ძალაში რჩებიან“ (იქვე გვ. 9.) ფიზიკის კანონების ასეთ გაფართოებას მოითხოვს გნოსეოლოგიური მოსახრება, რაღაც ის მოითხოვს, რომ ყოველი მიზეზობრივი განწყობილება მიზეზსა და დანასკვს შორის იყოს „გამოსაცდელი საქმე და არა გიმოვონილი რამე“. ასეთია აინშტაინის გნოსეოლოგიური ორგუმენტაცია რელატივიზმის პოსტულატის გაფართოებისათვის.

ასე, ამრიგად, რელატივიზმის თეორია უპირველეს ყოვლისა თუმცა ფიზიკალური თეორია არის და, მხოლოდ ის ნახავს აინშტაინში ახალს და დიდს, ვინც ძველი ფიზიკა კარგად იცის, მაგრამ, ამასთანვე, აინშტაინის თეორია ყველა საფუძველმდებელი პრინციპების გამომუშავების დროს ეყრდნობა გნოსეოლოგიურ სიფუძვლებს და როგორც ასეთი, მასში ფიზიკალურთან ურთად მოცემულია ფილოსოფიურიც. აინშტაინის თეორიის ფილოსოფიური მნიშვნელობა იმით კიდევ არ ამოიწურება, რომ ის თავის პრინციპებით დაყრდნობილია საერ-

*) აინშტაინის ცნობილმა მოწარემშაქას ლაუემშტურ კიდევ 1911 წ. მიუთითა ამავე გარემოებას ლაუე ფიქრობს, რომ ექვერიმენტალურად შეეძლებულია დავამტკიცოთ აინშტაინის თეორიის უპირატესობა ლორენცის ჰიბროვაზე, თუ მიუხედავათ ამისა ლორენცია აინშტაინის დაუთმოვთ, ეს არის აინშტაინის თეორიის გნოსეოლოგიური უპირატესობა, ის რომ თეორია გამოიდინა ნაჩენებს საერთო და განავები პრინციპისაკან, რაც ლორენცის ჰიბროვაზე არ მოეპოვება ამავე აზრს გამოიჭამს თვით მინვევსკი, რომელსაც ის ლორენცის ჰიბროვაზი, რომელმეტიც მისი აჩრით ეთერი რაღაც აუსწენელი და „ზემყოფი ძალადან ნაჩენები“ რამეა, უკუაგდებს და რელატივიზმის თეორიის ლებულობს:

თო ფილოსოფიურ, კერძოდ შემეცნების თეორეტიულ საჭურვლებზე/ ის ფილოსოფიური აზროვნების განვითარებისათვის გაცილებით მნიშვნელოვანი და დიდია. ჩვენ გვვონია, აინშტინიდან ინწყება აზროვნების ტორიის საესებით ახალი ხანა, ისე, როგორც ასეთი ახალი ხანა უკვს გარეშეა დაიწყო ნიუტონის და გალილეის მეცნიერებისაგან და ახალი დროის ბუნებისმეტყველების განვითარებისაგან. ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ აინშტაინის თეორიაში აზროვნებამ იპოვა ახალი სააზროვნო საზოალებანი, რომელიც მას უამრავ შესაძლებლობას და თვალუწედენ პერსპექტივებს გადაუშლის შემცნების მარადიულ წინსვლის გზაზე, სადაც აზრი უკან დაიხევს და მეუერთდება არსს, ანუ დაექვემდებარება მას იმ მიზნით, რომ შემეცნებაში გადმოშალოს თავისი საიდუმლოება. ჩვენ გვვონია, რომ რელატივიუმის თეორიიდან გამომდინარე დასკვნებით საბოლოოდ ძლეულია, სკეპტიკიზმი მეცნიერულ ცოდნის, აგნოსტიკიზმი შემცნების და სუბიექტივიზმი მსოფლმხედველობის მიმართ და მათ აღვილზე დამკვიდრებულია, არსის შემეცნების პრინციპიალი შესაძლებლობა, სადაც არსი— აინშტაინის სიტუაციით თუ ვიტყვით— აზრისათვის „მოგონილი რამე“ კი არ იქნება, არამედ „ვამოსაცდელი საქმე“.

მაგრამ ჩვენ, ასაკვირველია, ამ პოპულიარულ გამოკვლევაში არ ვფიქრობთ ვთქვათ ის, რაც აინშტაინის თეორიის ფილოსოფიური მრწამსის შესახებ სათქმელი გვაქვს, (იმის მოცემას ავტორი ახლო მომავალში იმედობს ერთ უფრო მოხრდილ და აკადემიური ხასიათის ნაშრომში), ჩვენ აქ მხოლოდ და მხოლოდ გვინდა მყითხველი და თან მოასრე შესაძლებელ ფილოსოფიურ შეცდომებისაგან გავანთავისუფლოდ და ბოლოს მას მოკლედ ახალი გზისკენ მიუთითოთ. სადღაც ერთხელ კ. მარქსია გენიალურად შენიშნა, რომ ყოველი ახალის დასაწყისისას ჩვენ გვაწევს ტრადიციების ალპების მთა, რომელიც ყოველ თავისუფალ და ახალ მოქმედებას ფრთხებს უკვეცავს. იშვიათია ასეთი ძლიერი თქმა ტრადიციული აზრის გავლენისა და ამ გავლენის ცუდი მხარეების აღსანიშნავად. ჩვენი ყოველდღიური, ტრადიციული და, თუ გნებავთ, შეცნიერული აზროვნება საშინლად დაწევირთულია ძველის გავლენით, აზრის ტრადიციებით, გამოსათქმელი ტერმინოლოგიით და სხვ. ისეთი ახალი მეცნიერული აღმოჩენა, როგორიც ეს ანშტაინის თეორია არის და რომლის თანასწორი აზროვნების ისტორიას არც კი ახსოვს, ცხადია ძირ ბუდიანად აღმოფხვრას მოითხოვს უკელა ტრადიციული და მოძველებული ცნებებისა. ჩვენმა აზროვნებამ უნდა ისწავლოს უკან დახმაროს და ახალთან შეგუება.

22. რელატივობის თეორია და ფილოსოფიური რელატივიზმი.

უპირველეს ყოვლისა საკიროა უკუკავდოთ შესაძლებელი ცნებათა აღრევა. ხშირად ერთი მეორეში ურევენ რელატივობის თეორიის და ე. წ. „ჩვენი“ შემცნების რელატივობას, რომელსაც ფილოსოფიური რელატივიზმი ასწავლის. ძნელი წარმოსადგენია ამაზე უფრო დიდი გაუკებრობა. რელატივობის თეორიიდან გამომდინარე ფილოსოფიურ დასკვნებს არაუერი საერთო არა აქვს ე. წ. ჩვენი შემცნების რელატივობასთან; პირიქით, რელატივობის თეორია, რომელიც

შემცნების ობიექტივიზმს ასწავლის, პრინციპიალურად წინააღმდეგი ფრთხო-სოფიური რელატივიზმისა, რომელიც შემცნების და სრული ცოდნის შესრულებლობას უარყოფს და მათ ვარდამავალ ბუნებაზე მითითებით, მართვა ფრთხოების ფსიქოლოგიურ საფუძველს და მათი მოხმარების სუბიექტიურ ტრანსფუზის ქადაგებს. არ არსებობს არც ერთი მცნიერული თეორია, რომელ ისე ძლიერად და საბოლოოდ გამოერიცხოს ყოველივე „ადამიანური“ თვალსაზრისი მცნიერებისაგან, როგორც ეს აინტერიანის თეორიაში არის შესრულებული. თუ ჩვენ თეორიის გადმოცემის და ახსნა-განარტების მიზნით ვამბობთ: „კაცი ლიანდავზე და მატარებელში, კაცი უძრავ და მოძრავ სისტემაზე“ და სხვ. ეს ყველა გამოთქმის გასაადვილებლად ნახმარი ტერმინოლოგიური ხერხია, თვით საჭმეს კი არავითარი კაცი და მისი შეხედულება არ სჭირია, არც ერთი კაცის არსებობა არ ესაჭიროება ამ გარემოებას, რომ $\pi=3,14\dots$ ჩვენ უკლიდესებურ სხეულზე, ხოლო როტაციის ელიპსოიდზე π აღარ არის 3,14... არამედ გაცილებით უფრო მცირედი რიცხევი. აინტერიანი ასწავლის ორივე სისტემის კანონების ობიექტიურ და თავისოფავად არსებულ ლირებულებას, სწორედ ამიტომ გადაიქცა მისი საერთო რელატივობა უნივერსალურ ბუნების კანონის თეორიად, რომლის საშუალებით ყოველი მიმართებითი სისტემა კოვარიანტი დარჩება. ამის პრინციპიალურად საწინააღმდევო თვალსაზრისი არის ე. წ. ჩვენი შემცნების რელატივიზმი, რომელიც ამბობს: ყოველი შემცნება რელატიურია, ყოველი ცოდნა დამოკიდებულია ადამიანის ორგანიზაციულ და ფსიქოლოგიზე და სხვა.

აზროვნების ისტორიაში პირველი ისეთი რელატივისტი იყო საბერძნეთის ბაქენი და სოფისტთა სკოლის მამათმთავარი პროტაგორა. პროტაგორას აზრით ადამიანი არის ხაზომი ყოველივესი, იმის ჩაიც არის და იმისაც, რაც არ არის. ე. ი. აქ ადამიანი გამოცხადებულია ყოველოვე ცოდნისა და შემცნების მხობელიდ და რადგან პროტაგორა გულისხმობს ადამიანს, როგორც კერძო პირს და არა როგორც საერთო მოვლენას და, რადგანაც ასეთი ადამიანები ერთობ მრავალრიცხვები არიან, ცხადია ყოველი ადამიანური ცოდნა რელატიური, ვარდამავალი და დროულია. შეიძლება პროტაგორას თვალსაზრისს აზროვნების ისტორიაში უმნიშვნელო როლი არ ეთამაზოს, მისი რელატივიზმი და აუადამიანის თვალსაზრისი⁴ საბერძნეთის აზრის ვანვითარების ისტორიაში აუცილებლობა იყო, მიუხედავათ ამისა საკაცობრიო აზრის ვანვითარების პერსპექტივებში აღებული პროტაგორას რელატიურიზმის ვაცლენა არის ერთობ ნევატიური. პროტაგორა პირველი მამათმთავარია იდეალიზმის, რომელიც მიუხედავათ მრავალფეროვანი ვარიაციებისა, ბოლოს და ბოლოს ადამიანია თვალსაზრისამდის, ცოდნის და შემცნების უარისყოფამდის მიღის. ყოველი იდეალიზმი ბოლოს და ბოლოს სუბიექტივიზმად და ფსიქოლოგიზმად იქცევა, ხოლო უკანასკნელის დასაბამი ხშირად სოლიპსიზმი არის.

თუ კიდევ პროტაგორას თავის დებულებიდან ყევლა შესაძლებელი დაკვირვები არ გამოუყვანია, მეორე მისი თანამედროვე, თანამეაზრე და თანამემამულეს გამოყავს ისეთი დასკვნები. გორგიას აცხადებს, რომ არაფერი არ არსელეს

ბობს; და რომ ჩაიმე არსებობდეს, ის ადამიანისათვის გაუგებაში იქნებოდა. და რომ გახაგები ყოფილიყო, მისი გადაცემა შეუძლებელი იქნებოდა, და რომ ეს შესაძლებელი ყოფილიყო, შეუძლებელი იქნებოდა შესაძლებელისგან ათვისება და სხვა და სხვა. რელატივიზმი აქ ლოლიკურ დასკვნამდის არის მიუვანილი, უარყოფილია არამც თუ შემეცნება და ცოდნა, არამედ თვით არსებობის პრობლემა. არსებული არ არსებობს, მაგრამ არც თვით არა – არ არსებობს ე. ი. პარადოქსი აბსურდათ არის ქცეული. ყოველი ე. წ. ჩვენი შემეცნების რელატივიზმის და სუბიექტივიზმის მქადაგებელი ასეთ დასკვნებამდის უნდა მივიდეს, თუ ის ლოლიკური იქნება ბოლომდის.

ასე წამოიჭრა პირველად რელატივისტური აზრი სოფისტების სკოლაში ხოლო მეცნიერული და სისტემატიური დასაბუთება ამ აზრმა პოვა ანტიურს სკეპტიკიზმი. სკეპტიკიზმი პრინციპიალურად უარყოფს შემეცნებას, რადგან მისთვის შემეცნებასა და საგანს შორის გარდაუვალი ზღუდეა. ჩვენ რომ შეგვძლებოდა საგნის სრული შემეცნება, ამისათვის საჭირო იყო სავნის თავისთავად არსიანობის განსკვრეტა და მისი სხვა ასეთი არსიანობისაგან გამოყოფა, მაგრამ რაიმე ასეთი ჩვენ ე. წ. შემეცნებაში არ გვეძლევა. არ გვეძლევა იმიტომ, რომ ჩვენთვის საგნის მოცუმულობა ყოველთვის ჩვენი ფსიქიური ორგანიზაციის თანამოცუმულობის ნიშნავს. ჩვენ საგანი ვაგვაჩნია მხოლოდ ცნობიერების ათვისებული საგნის სახით და ამიტომ ე. წ. საგანი სანახეეროდ ჩვენი სუბიექტური ორგანიზაციის ფორმებისაგან შესდგება და არაუერს გეეუბნება ბუნებისათვის საგნისათვისთავად. და რადგან ასეთი საგანი ისევ ცვალებადი, ვარდამავალი და დროულია, როგორც ჩვენი ფსიქიური ორგანიზაცია, ცხადია რომ თვით საგანი და მისი შემეცნება საეჭვო და მერყევი საემეა.

თითქმის საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორ ეს სკეპტიკიური არგუმენტები ახალ დროში ჰიუმეს სახით გადამუშავდა და შემეცნების ე. წ. იგნოსტიკიზმით მოელინდა. ჰიუმე სკეპტიკიზმს არ ეთანხმება თავიდან ბოლომდის, ის მათ ხშირად სასტიკი კრიტიკითაც კი უმასპინძლდება, მაგრამ უკანასკნელი საკითხის გადაჭრისას ე. ი. რეალობის საკითხის გადაჭრისათვის, ის იძულებულია მიიღოს, რომ ჩვენ ცოდნის საშეალებით არ შევიძლია რეალობის დამტკიცება, ჩვენ შეგვიძლია ის მხოლოდ ვიწამოთ. ეს ახალ დროის აშკარა ფილოსოფიური რეაქცია იყო ბუნებათ შეცნიერებაში უკრიტიკოთ მიღებული ცოდნის აუცილებლობის წინააღმდეგ. ჰიუმეს არგუმენტებმა, თუ გნებავთ, ერთგვარი სამსახურიც გაუწია ახალ მეცნიერებას, ვანსაკუთრებით მისმა მიზეზობრიეობის კანონის აზრიანებილმა კრიტიკამ. მიუხედავად ამისა ახალმა ბუნებათმეცნიერებამ ვამართა თარისი გზით წინსვლა და ცოდნის და შემეცნების შესაძლებლობის მტკიცება. ამა რას წარმოადგენდა მთელი ჩვენი ფიზიკა, თუ არა ოპტიმისტურ აზრს იმის შესახებ, რომ მის ფორმულებში და ანგარიშებში მოცემულია ბუნების ნამდვილი ბუნება, მისი ცოდნა და შემეცნება. ახალი მეცნიერებისათვის საგნის შემეცნება გადაიქცა კანონთა შემეცნებათ და ამ კანონთა შემეცნებამ შეავსო თეით რეალობა. მეცნიერების იდეალი წარიმართა ამ გზით და ჩვენ მივიღეთ ის, რასაც აზროვნების ისტორია მე-19 საუკუნის მეცნიერების სახელწოდებით იკნობს.

მე-19 საუკუნის მეცნიერების სათავეში უდაოთ სდგას ფრთხიკა, ის/არის ასე ვსთქვათ გენერალური ბაზისი ყოველივესათვის, მაგრამ საჭიროა რეალურობ ფიზიკის წინ აღმართულიყო გარდაუვალ პრობლემათა ზღუდე ჩრდილების უველა არგუმენტები უცბად გაცოცხლდებოდა. ჩვენ ვიცით, რომ ეს ასე მოხდა და ფიზიკამ თვით ვერ შესძლო გენერალური და უნივერსალი კანონის გამოსახვა, რომელიც საკუთარ წიაღში გაშლიდა უველა წინააღმდეგობებს და ვადაუვალ საზღვრებს. თუ ანტიურმა ხკეპტიციზმა საგანი ვერ იპოვა თავისთვალ და მას ყოველთვის საგნის პრობლემა საგნის ნაწილობრივ ათვისებათ გადაეჭცა, ახალმა მეცნიერებამ ვერ გამონახა უნივერსალი კანონი, რომელშიაც უველა შესაძლებელი კანონის მოთავსება შესაძლებელი ყოფილიყო. იქ დაიბადა ჩვენი დროის სკეპტიციზმი და კანონიერია, რომ ის უპირველეს ყოვლისა ფიზიკის მეცნიერებისაგან წარმოიშვა.

ერნსტ ბაზი პირველად მიხვდა, რომ ნიუტონის მექანიკაში უნივერსალი კანონი არ არსებობს, არამედ უველა პრინციპიალი კანონის ახსნისათვის გამოგონილია ჰერცინონიმიული ჰიპოთეზა. ამას პირველად მიხვდა მაზი და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ნიუტონის მექანიკა.. კარლ ნაუმანის მიერ საქმის გადასარჩენად გამოვონილი სხეული ა ჩვეულებრივი ჰიპოსტაზი იყო და საჭირობო-როტო საკითხებზე არავითარ პასუხს არ იძლეოდა. ამას შემდეგ მაზი თვით შეცადა გამოსულიყო მეცნიერების მეთოდოლოგიად და უპირველეს ყოვლისა ფიზიკის გადამხალისებლათ. მაგრამ ეს გადახალისება გამოიხატა იმაში, რომ მაზი სასოწარკეთილებაში ჩავარდა, მან თუმცადა უკუაგდო ნიუტონის მექანიკის პრინციპიალი საფუძველი, მაგრამ მან ახალი დასაყრდნობი ვერ გამოუნახა და ის დაავათმყოფებული ბიოლოგიურ მეცნიერების ზეგავლენით, შეუდგა ფიზიკაში ბიოლოგიური თვალსაზრისის გადატანას. ფიზიკა უძღა დაყრდნობოდა ადამიანის თვალსაზრისს და ამით გაჯანსალებულიყო. ისე, როგორც პროტაგორას ადამიანის თვალსაზრისი რეაქცია იყო აზროვნების ისტორიისათვის, ასე არის მაზის ბიოლოგიურ არგუმენტიციაზე დამყარებული ფიზიკა შავი რეაქცია მეცნიერების ისტორიისათვის. მასის მეცნიერული გზი წარიმართა იმავე მიმართულებით, როგორც ანტიური სკეპტიციზმის. თუ ანტიური სკეპტიციზმი აბსოლიუტი სუბსტანციის ნახვაში იმედ მოხრილი გაიფანტა საგნების რელატიურ და ნაწილობრივ ცოდნაში, ჩვენი დროის ცეცნიერება იმედ დაკარგული იმაში, რომ იპოვის უნივერსალი გაკლენის კანონს, დაიკარგა შეგრძნობების კომპლექსების უნაპირო და უპრინციპო სივრცეში. მაზი მივიღა დასკვნამდის, რომ ყოველივე ცოდნა სხვა არაუერია, ვიდრე შეგრძნებების კომპლექსებში მოცემული ჭრის-რიტება და როგორც ასეთი დამყარებულია ჩვენს ფსიქიურ ორგანიზაციაზე. ჩვენ უნივერსალურად გაგვაჩნია შეგრძნება, სადაც ცოდნა, როგორც ფაქტების თავირილობა, სხვადასხვა კომპლექსებით არის დაგროვილი და ე. წ. ქვეყანა ასეთი ელემენტების მიერ შენებული. რაც ასეთი შეგნების და ელემენტების მიღება სუფეს მახსისათვის არის ბოროტება და შეტაციზე. ჩვენ აღარც საგანი და აღარც კანონი აღარ გვჭირია, რადგან ყოველივეს დასაბამი და პირველი ელემენტი შეგრძნებაში გვაქვს მოცემული, და ცხადია, ვისაც დმსაბამი და პირ-

ველ ელემენტი აქვს, მას შეუძლია ქვეყანა დაშენოა და შეიცნოა. ამინგად მანის ბრძოლა აბსოლიუტი საგნის, აბსოლიუტი კანონის და სტატუსტების წინააღმდეგ გარდაიქცა აბსოლიუტიად. აღამიანის შეზრიცხულეული აბსოლიუტი დასაბამი ქვეყნისა და კოდნის, აი მანის მიერ გადახალისებული მეცნიერების პაროლი.

ცხადია, რომ ამ გზით წინსვლა შეუძლებელი იყო. ფიზიკოსებს რამოდენიმე წლით მართლაც ეგონათ, რომ მათ მახმა ახალი სიტყვა უთხრა, მაგრამ მაღვე გამოიჩინა, რომ აქ ახალი ორაფერი იყო და ფიზიკა კიდევ უფრო საშიშო წინააღმდევობების წინ დადგა. სწორედ ამ დროს გამოჩდა აინშტაინის ოკინია და ჩეენ ვიკით თუ როგორ გარაახალისა მან ფიზიკის მეცნიერება.

აინშტაინმა რევოლუციონერის ინტუიციით მიანგრ-მოანგრია ძველი ფიზიკის შენობა და ახალის აშანებას იმით შეუდგა, რომ მან ახალი დროის ბუნებათ მეცნიერების კლასიკური ტრადიციის გაგრძელება დაიწყო, სახელდობრ ფიზიკის უნივერსალი კანონის აღმოჩენა. მან აღმოაჩინა ეს კანონი საერთო რელატივობის სახით, რომელიც ამბობს: ყველა გაუსის კოორდინატები საერთო ბუნების კანონის ფორმულაში მოცემისათვის არიან თანალირებული. ასეთი კანონი უნდა იყოს კოვარიანტი ყოველივე მიმართებითი სისტემისაგან. ე. ი. მისთვის სულ ყრთია ყველა სისტემა, მას გავლენა და ლირებულება აქვს ყველასათვის.

ამ რიგად აინშტაინმა კამონახა ის, რაიც ნიუტონის მეცნიერებას არ ვა-
აჩნდა, რაიც მახშა და ახალმა მეცნიერებამ ვერ ნახა: უნივერსალი კანონი, რო-
მელსაც მეცნიერების და ცოდნის უველა ფენომენის ახსნა და უველა პრინ-
ციპის გამართლება საკუთარ კონსტრუქციაში გააჩნია.

ცხადია რომ ე. წ. რელატივობის თეორიას არავითარი საერთო არ აქვს ფილოსოფიურ რელატივიზმიან, რომელმაც ვერ ნახა სწორედ ის, რაც რელატივობის თეორიაში ნახულია და მიიღო ის, რაც რელატივობის თეორიას არ სჭირია. ერთხელ და სამუდამოდ და ყველასათვეის ყურადღსალებად უნდა ითქვას, რომ ფილოსოფიური რელატივიზმი დამყარებულია „ადამიანის თვალსაზრისის უპირატესობაზე, დაწყებული პროტაგორიადან გათავებული მახამდის და პეტკოლდამდის ეს უცვლელი რჩება, აინშტაინის სისტემაში კი პრინციპიალურად უარყოფილია ყოველივე უპირატესობა, უარყოფილია უპირატესობა ყოველივე მოძრაობის სისტემის, გეომეტრიის და სხვ. და ცხადია რომ უპირველს ყოველის უარყოფილია ადამიანის თვალსაზრისის უპირატესობა, პირიქით მას არავითარი როლი არ აქვს აინშტაინის თეორიისათვის.

მდგომარეობის ნათელი წარმოდგენისათვის საჭიროა რამოდენიმე სიტუაციით მოკისექნით აინშტაინის და ვახის პირადი განწყობილება. აინშტაინმა არა ერთხელ საქვეყნოდ გააუციადა, რომ მახი პირველად შესდგა სწორ გზაზე ფიზიკაში, რომ მახის თვის პირველად შეიქნა ნათელი ძველი მექანიკის გნოსეოლოგიური ნაკლი და სხვა. აინშტაინი, რასაკეირეველია, გულისხმობდა მახს „მექანიკის ისტორიის“ ივტორს, ე. ი. როგორც უაზიოს და ის მართალი იყო. ჩვენ ვნახეთ რომ შახმა პირველად მიიტანა იური მები ძველი ფიზიკის სიმააგრძ-

ების. წინააღმდეგ და კიდევაც შეანგრია ის, ხოლო მან ახალი ცვერ აღმართა და შეგრძნების მეტაფიზიკას მიუტონა მსხვერპლი. მიუწედავათ ამისა მასში დამსახურება დიდი იყო და შეიძლება იმ გზაზე, რომლითაც აზრის აქტუალურობა უარისა ნიუტონიდან აინშტაინამდის, მახიაუცილებელ საფეხურს წარმოადგენდეს.

სულ სხვა იყო მახის განწყობილება აინშტაინისადმი. როდესაც მოხუცებულ მახს მოახსენეს აინშტაინის დიდი ნაშრომის შესახებ და თან უთხრეს, რომ აინშტაინის შრომა მახის საქმის გაგრძელება არისო, მახი ბრაზმორეული წამოვარდა ადგილიდან და მის მოსაუბრეს განუცხადა: „მე არაფერი ვიცი იმისა შესახებ, რომ აინშტაინს ჩემი საქმე ვაევოს, ან ის გაეგრძელებიოს. მე ცველისავან მოვითხოვ ჩემი სახელი ვაანთავისუფლოთ ამ ახალი „მამაოჩვენოს სისამაგლისავან“. (ცნობა მიყვანილია Logos-ში 1922.) არ შეიძლება ლრმა პატივი არ ვსკვეთ ამისათვის მახს. დიახ, აინშტაინის ახალი სწავლა მახისათვის „მამაო ჩვენო“ იყო. მახს არ შეეძლო მოუნელებია ახალი სწავლა, რომელიც მის შეგრძნებათა კომპლექსის სოფიზმებს უმოწყალოდ ვარეთ ერევებოდა. მახის მოქცევა აინშტაინისადმი იყო ლოლიკური, მახი უკანასკნელი დიდი წარმომადგენელია ფილოსოფიური რელატივიზმის, აინშტაინის რელატივიზმის თეორიიდან გამომდინარე ფილოსოფიური დასკვნები კი დიამეტრიულად უარყოფს ფილოსოფიურ რელატივიზმის და ყოველგვარ აღამიანურ თვალსაზრისის, პიქიურ ორგანიზაციის როლს შემეცნების და ცოდნის შენებისათვის, სუბიექტივიზმს და სოლიპიზმს.

ჩვენ უკვე მოყლეთ განვმარტეთ, რომ სიტყვა რელატივი არ სხვადმსხვა სიტყვას უპირისპირებდა, აბსოლიუტს და ობიექტისათვის ის არის პრინციპიალი უარყოფა, ნევაცია და მიღმა დგომა, ობიექტისათვის კი ის მშოლოდ განმარტებას წარმოადგინს. ამიტომ აინშტაინის თეორიიდან გამომდინარე მსოფლმხედველობრივი დასკვნა იქნება ობიექტივისტური რელატივიზმი, ან შებრუნებით: რელატივისტური ობიექტივიზმი.

ნათქვამის გათვალისწინების შემდეგ მე მიმაჩნია მახის და ივენარიუსის მოწაფის იოსებ პეტროლდის წიგნაკი აინშტაინის შესახებ, სადაც აინშტაინი მახის რელატივისტური პოზიტივიზმის მოწაფეთ კი არა, პროტაგორის სოფიზმის მემკვიდრეთ არის გამოცხადებული, სრულ უაზრობად და „ფილოსოფოსის“ დავკიანებული აზრების უნიკო სპეციალიაციად. „ფილოსოფოსების“ ბანაკიდან ბევრი ასეთი უადგილო გამოსვლები მეორდებიან დღემდის, მაგრამ მე არ ვიცი არც ერთი ასეთი სრულ გაუგებრობაზე დამტარებული, როგორც ეს პეტროლდის დასახელებული ნაშრომი არის. სანამ ჩვენ მხოლოდ სპეციალი რელატივობის თეორიასთან გვქონდა საქმე, მანამდე კიდევ ნათლად არ სჩანდა თუ რატომ არის შუძლებული აინშტაინის აზროვნებისათვის რომელიმე უპირატესობით აღჭურვილი სისტემის მიღება; მაგრამ მას შემდეგ, რაც აინშტაინმა საერთო რელატივობის პოსტულატი სწორედ უპირატესობის მოხსნის და ყველა შიმართებითი სისტემის თანასწორლირებულებაზე ააშენა, კადამიანის თვალსაზრისის უპირატესობაზე ლაპარაკი მართებული კი არა — პირდაპირ ამსურდია.

საერთოდ ევროპის ფილოსოფია ძალიან მოუმსადებელი შეხვდა აინშტაინის

მეცნიერებას. დასავლეთის ფილოსოფოსები დღემდის ეკლიდეს და ნიუტონის საზროვნო საშუალებით ხელმძღვანელობდენ და ის ახალი შემდგრადება; რომელიც პირველად ლაბაჩევსკიმ გარდაშალა და შემდეგ თვისი ლორწოვანი დასკვნის კანტორის წმიდა მათემატიკაში და ონშტაინის საერთო რელატივობის თეორიაში იხილა, სავსებით გაუგებარი დარჩათ ფილოსოფოსებს. იმის მაგრებად, რომ ფილოსოფიურ აზრს ამ დიდი გარდატეხის შემდეგ უკან დაეხია და ახალი მოთხოვნის თანახმად ახალი შენობა იეგო, ფილოსოფოსები მედიდურიდ შეუდგენ იმის მტკიცებას, რომ ონშტაინის თეორია ფიზიკალური თეორიაა და მათ მაღალ ინტიუციებს ეს არ შეეხება და სხვ. ჩემთვის ეს ნიშნავს სრულ ბანკროტს. დეკანტი, ლაიბნიცი, სპინოზა და კანტი ასე არ მოექცეოდენ თავიანთ დროს და თანამედროვეთა მეცნიერებას! როდესაც ფილოსოფიამ ჩემულებრივ მედიდურობას თავი გაანება, ონშტაინის თეორიას და ახალი დროის ფიზიკა — მათემატიკას საერთოდ პირდაპირ თვალში ჩახედა, მაშინ ის დაიბნა დიადი პრობლემების წინაშე და ხშირად კურიოზული საჭმეებიც კი მოიმოქმედა. ასეთ კურიოზათ მიმაჩნია ორი გამოსვლა: ერთი ეკუთყნის ფრანგ ფილოსოფოს ჰანრი ბერგსონს, მეორე კი ცნობილი ჰ. ფაიპინგერის უ. წ. „ფილოსოფია ვითომც და ახე“-ს სკოლას.

ბერგსონმა მოზრდილი შრომა დასწურა იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად შეესაბამება ონშტაინის თეორია მის (ბერგსონის) ე. წ. გძეობას და მივიღა კურიოზულ დასკვნამდის, რომ ონშტაინს ახალი არაფერი უთქვამს და რაც იქ დროის შესახებ ახალი არის, ის უკვე ნათქვამი ყოფილი ბერგსონის მიერ კიდევ ამ 20 — 30 წლის წინეთ. პარიზოქსები, ამბობს ბერგსონი, რომელიც თქვენს წინ გადაიტლება რელატივობის თეორიის განხილვის დროს, მხოლოდ მინამდის დარჩება პარიზოქსებათ, სანამ უველა ის მრავალი დროულობა, რომლის შესახებ თეორია ლაპარაკობს, მიღებული იქნება რეალურ დროთ. ბერგსონის აზრით არსებობს მხოლოდ ერთი რეალური დრო, ეს არის ის დრო, რომლის განცდა შეიძლება, რომელშიაც მოვლენები მიმდინარეობენ, რომელშიაც ცოცხალი არსებანი ხუცდებიან და სხ. უველა სხვა დრო ფიზიკოსის მიერ გამოგონილი ამბავია, მოკლებული ყოველივე შინაარსს; ერთდროულობის რელატივობა, რომლის შესახებ ლაპარაკია აინშტაინის თეორიაში უკეთესად მოცემული ყოფილი ბერგსონის გძეობაში და სხ. და სხ. ბერგსონის არგუმენტაცია რომ შემცდარია, ამასე ლაპარაკი მე ზედმეტათ მიმაჩნია. ბერგსონი ტიპიურად ძველი სკოლის მოაზროვნება, მას არ შეუძლია ისე იაზროვნოს, თუ ვინმეს და რაიმეს უპირატესობა არ მიანიჭა და გასაგებია, რომ, როდესაც ის აინშტაინის შესახებ ლაპარაკობს უპირატესობას „სულს“ და „ცნობიერებას“ ანიჭებს, თან მას საბერ უკველთვის სპეციალი თეორია აქვს; ის ამას თვით ხაზგასმით ამბობს და აქა-იქ ცდილობს სპეციალ და საერთო რელატივობის თეორიაში წინააღმდეგობა აღმოაჩინოს და სპეციალი თეორიის მართებულებაზე იღა პარაკოს. ჩვენ ბერგსონის შეგავსათ მოაზროვნეთათვის დაგვიტოვებია იმის შესახებ მტკიცება, რომ რეალი დრო ის დროა, რომელიც განიცდება და რომელშიაც „ცოცხლები ხუცდებიან“, ვიტუვით მხოლოდ რომ ბერგსონის თეორია

სრულ გაუგებრობაზე არის აშენებული. სპეციალი თეორია და იქ ვალით დაბული დრო არ შეიძლება მიეიღოთ მთელი რელატივობის არსების გამომხატველ ცნებათ, პირიქით სპეციალ თეორიის დრო-სივრცეში ჩვენი კუთხით ფუნქცია აინშტაინის შენობის შესასვლელ კარებთან და თვით შენობა ტექნიკური მარტინის რთულად აგებულია, ვიდრე მისი პირველი კარები. ბერგსონს თუ უნდოდა ან-გარიში გაეწია აინშტაინის აზროვნებისათვის ის თვით შენობაში უნდა შესულიყო და არა აივანზე დარჩენილიყო. ბერგსონის წიგნი იდეალისტური და ფილოსოფიური ფილოსოფიის მანიფესტაცია არის, რომელიც მხოლოდ იმას უჩვენებს, რომ იდეალისტურ თვალსაზრისს აღარ ძალუს თანამედროვე მეცნიერული აზროვნების პრობლემებს მოსახმენი პასუხი გასცეს.

ასეთივე კურიოზული იყო ფაინგერის სკოლის მანიფესტაცია. „ფილოსოფია ვითომც და ასე“—ს მიმღევრებმა მათ უურნალის — „ფილოსოფიის ანალების“ ერთ-ერთი ნომერი აინშტაინის თეორიის კრიტიკას და დაფასებას შესწირეს. აქაც ერთ წერილში მედიდურად იყო განცხადებული, რომ ის, რაც აინშტაინში მისაღები და ჯანსაღი არის — ფიქციონალისტებს დიდი ხანია გაუკმთებიათ, სახელდობრ სპეციალ თეორიაში მიღებული სინათლის სხივის მოძრაობის კანონი ყოფილა ფიქცია, „ვითომც და ასე“, აქ ფილოსოფიური ინტერპრეტაციით შორს ვერ წავალთ, ეს დებულება გარდა იშისა, რომ ყირამალა გადაბრუნდება საერთო რელატივობის განხილვისთანავე, ყალბია თვით სპეციალი თეორიის ფარგლებშიაც. რელატივობის სპეციალ შემთხვევაში ე. ი. იქ სადაც გრავიტაციის არე ნაგულისხმეული არ არის, სხივის გავრცელების სიჩქარე ვაკუუმში იმიტომ კი არ უდრის 300,000 კ. მ. სეკ., რომ „ვითომც და ასე იყოს“, არამედ იმიტომ, რომ ეს უსაფუოდ ასე არის. აქ არავითარი ფიქცია არ არის დაშვებული, არამედ მიღებულია მტკიცე კანონი, რომელიც ამ შემთხვევისათვის აუცილებელ პირობას გამოხატავს. სისტემების მოძრაობა რელატიური იმიტომ კი არ არის, რომ ეს „ვითომც ასე იყოს“, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ასე არის; საერთო ბუნების კანონის უნივერსალ ფორმულაში მოცემა იმიტომ კი არ არის ყოველივე სისტემის უპირატესობის მოხსნაზე დამყარებული, რომ „ვითომც ეს ასე იყოს“, არამედ იმიტომ რომ კანონის საერთო სახის მოცემისათვის, ეს ასე არის აუცილებელი და სხ.

ფაინგერის რელატივისტური პოზიტივიზმი და ფიქციონალისტური შემცნების თეორია უკანასკნელი სიტყვა არის ფილოსოფიური რელატივიზმის. მან არამც თუ ვერ ასსნა რელატივობის თეორიის მეთოდოლოგიურ გნოსეოლოგიური საფუძვლები, არამედ პირდაპირ აუტანელ აბსურდს ქადაგებს, რაც ერთხელ კიდევ ნათელჰყოფს იმას, რომ რელატივობის თეორიის და ფილოსოფიურ რელატივიზმს შორის არაეითარი საერთო არ არსებობს გარეშე იმისა, რომ მათ სახელწოდების რამდენიმე მარცვალი შემოხვევით ერთი მეორეს ჩამოვანან.

23. კანტი და აინშტაინი

ნიუტონის მეცნიერებას თავისი ფილოსოფიური სინიდისიც გააჩნდა ეს იყო კანტის თეორიული ფილოსოფია. კანტი სწორედ იმით დაეუფლა დასავ-

ლეთის აზროვნების მთელი საუკუნის გასწრივ, რომ მასში მოცემული/იყო ამავე საუკუნის მეცნიერული აზროვნების ფილოსოფიური სიჩქარეებული ჩატარდა ვიცით, რომ დღეს ეს შეცნიერება „შესწორებულია“, მისი პრინციპით უძლიერი შეცვლილია და ახალი მეცნიერული სისტემა ე. ი. ახალი გავება ქვეყნისა და სინამდვილის შენების პროცესში იმყოფება; იქნება, ცხადია, კითხვა დაიბადება, თუ რამდენად მართებულია ძველი მეცნიერების ფილოსოფიური საფუძვლები ახალისათვის? რა დამოკიდებულებაში იმყოფება კანტი აინტერინთან?

უველა ქვეყნის უნივერსიტეტებში დღემდის თავმოყრილია ერთი ჯურის ხალხი, რომელიც განსაკუთრებული ხერხიანობით უფეროვეს მოარიგებს და კანტის ავტორიტეტის შენარჩუნებას შეეცდება. ამ ხალხისათვის კანტის შეუცვლელობა რაღაც რელიგიური საკითხა და არა მეცნიერული. ჩვენ კი გვგონია, რომ შესაძლებელი არის კანტის ავტორიტეტი ხელუხლებლად დაესტოვოთ და მაინც დავამტკიცოთ, რომ ახალი დროის მეცნიერების განვითარებაში საბოლოოდ უარყო კანტის კრიტიკიზმის საფუძვლები. ამ მიზნისათვის ჩვენ აქ გვესაკიროება შევეხოთ კრიტიკიზმის ორ საფუძველმდებელ ცნებას, დროსა და სივრცეს. დროსა და სიერცეს აქ განვიხილავთ ისე, როგორც ის მოცემულია თვით კანტის მიერ და არა ისე, როგორც მისი მოცემის სურვილი აქვთ კანტის მიმდევრებს, კომენტატორებს და ისტორიკოსებს.

არა თუ კანტის დროისათვის, არამედ მის წინად, მის შემდეგ და თვით აინშტაინის შემეცნებაში დრო და სივრცე აზრის და ცოდნის საფუძვლად არის აღებული. აინშტაინის თეორიის საფუძვლიანი გავებისათვის მისი, ასე ვსოდეთ კულტურული მონელებისათვის მეტი არაფერია საჭირო, ვიდრე ჩვენი წარმოდგენისა და შეხედულობის დროისა და სივრცის ბუნებისათვის შეცვლა. თვით აინშტაინის თქმით, თუ დღეს ჩვენ ხშირიად კურიოზიად და გაუგებრად მოგვეჩენება რელატივიტის თეორია, აბსული წლების შემდეგ, ჩვენ აქ კურიოზულს და გაუგებარს აღარაფერს დავინახავთ, რადგან საფუძვლიანად შევიცვლით ჩვენ წარმოდგენას დროსა და სივრცეზე.

კანტისათვის დროსა და სივრცის ეს საფუძველმდებელი მნიშვნელობა დღის სინათლესავით ნათელია და იგი, როგორც ნიუტონის მეცნიერების თავგამოდებით დამცველი, სავსებით დაყრდნობილია აბსოლიუტი სიერცისა და დროის ჰიპოთეზას, კანტის ფილოსოფიური სწავლა დროსა და სივრცის შესახებ მოხვეული გზებიდან სავსებით ეყრდნობა ნიუტონს და მას ასე ვსოდეთ ფილოსოფიური ინტერპრეტაციას უკეთებს ცნობიერების არეში. დღეს თითქმის ყოველდღიური ცოდნის კრებიდს ეკუთვნის ის, რომ კანტმა დროსა და სივრცეს რეალურად არსებობის უფლება წარითეა და ისინი ჩვენი ინტებიციის წმინდა და აპრიორულ ფორმებათ გამოაცხადა. დრო და სივრცე მხოლოდ ფორმებია მოვლენის პირობებისა და როგორც ასეთი იმ თავითვე ჩამარხული ჩვენი სულის მსულელობაში, იმიოტომ ისინი შეაღვენენ აპრიორულ ელემენტს შეგრძნებაში, სადაც მსჯელობაში გათემატიკის რეალიზაციას ახდენს: დრო გვაძლევს არითმეტიკას, ხოლო სივრცე გვომეტრიას. ე. ი. ისინი წარმოადგენენ მხოლოდ სტემებს, სადაც ჩვენ შეგვიძლია რეალური შემეცნება, ე. ი. შემეცნება, რომელსაც საგანი ცდაში ექნე-

შა, ავაშენოთ. საგულისხმოა კანტის ცნობილი განცხადება: „ამრიგუმდ მარტო ტიკური ცნებები არ არის შემცნება, გარეშე იმისა, რომ ჩვენ მიუიღებთ საგნების არსებობას, რომელიც მცვრუტელობის ამ შეგრძნებითი ფუნქციურული ფუნქციურული ცნების მოვალეობას მოვალეობას“ (იხ. წმინდა გონების კრიტიკა. დელტექტურის შემთხვევა გამოცემა № 22). დრო და სივრცე არ არის რეალურად არსებული, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სქემატიკური ფორმები არსებობისა. თუ სიღდან მიეღიდა კანტი დროსა და სივრცისაგან რეალურის არსებობის უფლება წაერთონა და თუ როგორ ეყრდნობოდა ის ამ შემთხვევაში ნიუტონის და ევკლიდეს მეცნიერებას, ეს უკვე წმინდა იყადემიური საკითხია და ყველასათვის გასაგები ენით თითქმის გადმოუცემელი. ორიოდე სიტყვით მაინც უნდა მოვიხსენიოთ საქმის მდგომარეობა. მყითხეველმა შეიძლება იცოდეს, რომ კანტის მიერ დამუშავებულ თხო გონების ანტინომიათა შორის პირველი ორი მათემატიკური ანტინომიებით ე. ი. მათ სავანს შეადგენს დრო და სივრცე. კანტმა თუმცალა აღნიშნა მათემატიკური ანტინომია, მაგრამ რადგანაც მათ თავი ვერ ვაართვა, უბრალოდ უკუაგდო ისინი. კანტი ფიქრობდა: თუ სივრცისა და დროს დაუბოლოვებლობის არგუმენტს ლოლიკურად განვავითარებთ, მივიღებთ, რომ შესაძლებელია არსებობდეს დაუბოლავებელი მრავალსახიანობა, ანუ მრავალსახიანობის დაუბოლოვებლობა, მაგრამ რადგანაც კანტს გონია, რომ ასეთის არსებობა სრული უაზრობა არის და რადგანაც გონებას ანტინომიის შემობრუნება და მათი ბოლოვადათ არსებობის მიღება არ შეუძლია, ამიტომ კანტის გონება იძულებულია ანტინომია სავსებით უარყოს დროსა და სივრცეს, როგორც დაბოლოვებული, ისე დაუბოლოვებული არსებობის უფლება წაართვას. ამას შემდეგ დროსა და სივრცეს შერჩა მხოლოდ ტრანსკედენტალი იდეალობა და რადგან მათში, როგორც მცვრეტელობის ფორმაში ხდება მათემატიკის რეალიზაცია, მათ აქვთ უფლება იყონ შეგრძნების აპრიორული ფორმები. მგონია უკვე ნათლად სჩანს, რომ კანტის სწავლის დროსა და სივრცის შესახებ უბრალო ფსიქოლოგიური საფუძველი კი არ ედო, არამედ ნიუტონის და ევკლიდეს მეცნიერება, რომელშიაც როგორც კანტისათვის, დრო და სივრცე ცარიელი ჭურჭელი იყო, რის შინაარსით გავსება მხოლოდ მათში საგნების ჩაღავებით შეიძლებოდა. კანტმა მხოლოდ გნოსეოლოგიური გამართლება გამოუნახა ნიუტონის სივრცეს და ამიტომ კანტის სივრცეს მხოლოდ და მხოლოდ სამი განზომილება შეიძლება ქონდეს და დროსთან უნიონი ნაგულისხმევი არ არის, თუმცალა აქა-იქ ვითომც ასეთი უნიონის მიღებამდის კანტი მციდროთაა მისული.

ფორმალურად კიდევ აინშტაინიმდის მოიხსნა კანტის სწავლა დროსა და სივრცის შესახებ. ეს მოხდა კანტორის ე. წ. მრავალსახიანობის მათემატიკაში; სადაც მრავალსახიანობის დაუბოლოვებლობა არამეტ თუ უარყოფილია, არამედ ყოველივე მათემატიკური დისკიპლინის პრინციპად არის მიჩნეული და ამ დაუბოლოვებელი მრავალსახიანობიდან ყველა დაბოლოვებული კანონი არის გამოყეანილი. ცხადია, ამით თვით კანტის არგუმენტაცია მობრუნდება და დრო და სივრცე რეალურად არსებობის უფლებას მოიპოვებს. კანტის უარყოფა ჩვენი აზრით კი ლოლიკურ დასკვნამდის მიღის რელატივობის თეორიაში. ჩვენ, რასაკ-

ვირველია, აქაც ყოველთვის კანტის ამოსავალ წერტილზე ე. ი. დორის/ და სივრცის ანტინომიაზე უნდა დავეყრდნათ და არა კანტის გამრას სუბსტრუქტურულ ფუნქციებში გავჩერდეთ ე. ი. შევრჩნების აპრიორულ ფორმებზე.

რელატივობის თეორიის მიერ საკითხი სულ ახალ ფორმებში ისმება: „დღეიდან,—ამშობს მინჯოვსკი მის უკვე დასახელებულ ნაშრომში—დროისა და სივრცის ცალ-ცალკე არსებობა იქცევით ლინდათ. დრო და სივრცე არსებობენ როგორც ერთი განუყრელი მთლიანი დრო-სივრცე“⁴. ე. ი. უპირველეს ყოვლისა ალიარებულია დროისა და სივრცის მჭიდრო უნიონი და მთლიანობა, არ შეიძლება რაიმე ვრცელი ვიაზროვნოთ, თუ არა დროში და დროთი და რაიმე დროული ეიფიქროთ თუ არა სივრცეში და სივრცით. ეს მხოლოდ დასაწყისია ახალი სისტემის. უფრო ღრმა შესწავლით ჩვენ აღმოვაჩენთ, რომ ასეთი ჩვენს აზროვნებას სავსებით არ გააჩნია დროის და სივრცის ცნება, როგორც მას დრო და სივრცე არც მხედველობაში აქვს მოცუმული და არც განყენებაში, არამედ მას ეძლევა მხოლოდ მკვრივ სხეულთა სისტემა, რომელსაც დრო-სივრცე გააჩნია. რადგან თავის-თავად არავითარი დრო და არავითარი სივრცე არ არსებობს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მკვრივ სხეულთა სისტემა არსებობს, რომელსაც საკუთარი და საჭირო დრო და სივრცე აქვს, რადგან აინშტაინის სიტუაციით თუ ვიტუვით, დროსა და სივრცეს დაკარგული აქვს ფიზიკალური სივრცების უკანასკნელი ნარჩენი, ცხადია დრო და სივრცე ჩვენი აზროვნების არც ინტუიტიური და აპრიორული ფორმებია, არც მისი ძირითადი კატეგორიები და არც მისი ნამოქმედარი, არამედ აზროვნება ნახულობს დროსა და სივრცეს, როგორც მკვრივ სხეულთა სისტემის ერთ ნაწილს, მას ერთ გამოვლენას, ერთ მხარეს და ერთ მიღვმას. აზროვნების და ინტუიციის ფორმა ისე არ არის დრო და სივრცე, როგორც მისი ინტუიციის ფორმა არ შეიძლება იყოს ის მკვრივი მატერია, რომელზედაც რელაციის პროცესში ლაპარაკი არის თუ აზრთა მსვლელობას გავაგრძელებთ და დრო-სივრცეს მსოფლიო მთლიანობაში განვიხილავთ, ჩვენ მათ ალიგზე მივიღებთ დრო-სივრცის კონკრიტუნცს, ე. ი. არ მოწინააღმდეგ პოლიუსის ერთ ცენტრში გამთლიანებას. ცენტრში არის მატერია-ენერგია-სივრცე-დროს მთლიანობა. თვითეული მათვანის ცალ-ცალკე არსებობა. ჰეირგავს ყოველსავე აზრს და თუ ჩვენ მათ შესახებ სათითოდ ვლაპარაკობთ ეს მხოლოდ ჩვენი მიღვომის და მოხმარების საკითხია, სინამდევილეში ჩვენ ხელთ გვაქვს ერთი მთლიანი ერთეული, რომელიც ისე მობრუნდება, როგორც საჭიროა. ამ მთლიანს აქვს ოთხი ასპექტი: დრო-სივრცე, მატერია, ენერგია. ოთხივე შეაღებენს ერთს, ცალ-ცალკე არც ერთი არ არსებობს, ცალ-ცალკე ჩვენ მათ მხოლოდ ჩვენი აზროვნებით შევეხებით. თუ ჩვენ ყველა ჩვენი აზრის შემეცნებითი შეხების დროს ოთხივე ასპექტს ვერ ვითვალისწინებთ, ეს მხოლოდ ჩვენი აზროვნების სისუსტეს უჩვენებს და არა მის ძლიერებას.

ნათქვამიდან ნათელია, რომ დრო სივრცის ცალკე და დამოუკიდებლიდ არსებობის საკითხი საბოლოოდ მოხსნილია, დრო სივრცე არც თავისთავად არსებობს, ის არც აზროვნების ფორმები არის, არამედ მხოლოდ მთლიან

ქვეყნის ერთი ნაწილი. დრო-სივრცე რომ აჩრის ინტეიციის ფუნქციების და მოვლინების პირობები იყოს, როგორც ეს კანტის ეგონა, ცხადია მაშინ იმდენი/დრო და სივრცე არ იარსებებდა, რამდენიც მკვრივ სხეულთა სისტემიზაციის წესაჭრა-ბა, როგორც ეს აინშტაინს ჰქონია. ერთი სიტყვით დრო და მოვლინების სივრცეს ინის თეორიის მიერ სავსებით მოასნილია სუბიექტის სფეროდან და გადატანილი ობიექტის სფეროში. აინშტაინისათვის აზროვნება და მეცნიერება დროსა-და სივრცეში კი არ აზროვნობს მოვლენას და ბუნებას, არამედ აზროვნება აზროვნობს თვით მოვლენას და ბუნებას და მათ შეფარდებითი დრო სივრცეს იღებს იქიდან მზამზარეულად. ჩეენ რომ მოვლენებს დროში და სივრცეში ვაზროვნებდეთ, როგორც კანტის და მასთან აზროვნების ისტორიას აინშტაინის ეგონა, მაშინ ცხადია ეს დრო და სივრცე ის სქემატიური აბსოლიუტები უნდა ყოფილიყო, რომელშიაც რელატიური მოვლენები მოვლინდებოდენ. აინშტაინის თეორიაში სწორედ ეს არის საფუძვლიანად უარყოფილი და მასთან ერთად უარყოფილია კანტი, იდეალიზმი და ვადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით—მთელი წარსული აზროვნების ისტორია. აინშტაინიდან ჩეენი აზრით არამც თუ ფიზიკის ახალი ისტორია იწერება, არამედ სააზროვნო საშუალების ახალი ისტორიაც დაიწერება. დღეს თუ ამას არავინ არ ამჩნევს, რამოვლინე ათეული წლების შემდევ ამას უსათუოდ შეამჩნევს კაცობრიობა. ჩვენ ის მივვაჩინია აინშტაინის უდიდეს ფილოსოფიურ დამსახურებათ ფილოსოფიის ისტორიაში, რომ მან დროისა და სივრცის ცნების ახალი ვადამუშავებით ზღვარი ვადვა აზროვნების ისტორიის ორს დიდ ეპოქას შორის. ერთ ნაპირთან დამთავრდა ისტორიის ერთი ვრცელი ეპოქა, მეორე ნაწილიდან კი იწყება ახალი ისტორია.

ამრიგად კანტისა და აინშტაინის დამოკიდებულება მხოლოდ იმაში შეიძლება მდგომარეობდეს, რომ აინშტაინის შემდევ კანტის არგუმენტებით, ჩვენი აზროვნების და მსოფლმხედველობის საფუძვლების დროსა და სივრცის შესახებ კამათი შეუძლებელია. კანტის მოწაფე ალ. რილი კანტის უდიდეს მეცნიერულ დამსახურებას უწოდებდა იმ გარემოებას, რომ კანტი დროსა და სივრცეს მათი სუბიექტიურ-აპრიორული ბუნების გამტკიცებით ურყევი მეცნიერული საფუძველი მიანიჭა. ასეთი გამბედაობით დღეს კრიტიკიზმის დროისა და სივრცის მოძღვრების შესახებ არავინ მსჯელობს და არც შეიძლება რელატივობის თეორიის აღმოჩენის შემდევ ასეთი მსჯელობა.

რაც შეეხება კანტის მრავალრიცხოვან მოწაფეების დამოკიდებულების აინშტაინის სწავლასთან, აქაც ხშირად ფილოსოფოსებისათვის ჩვეულ მედიდურობაზე აშენებულ გაუკებრობასთან კვაქვს საქმე. ბევრი მათვანი, რასაკვირველია, მთლად უარყოფს აინშტაინს, მავრამ რადგანაც დღეს ეს მხოლოდ ღიმილს იწვევს, ისინი კანტის ვადასარჩენათ ნაჩერე არგუმენტს წიმართავენ, სახელდობრი იმას, რომ ფიზიკის თეორიით შეუძლებელია ფილოსოფიური თეორიის უარყოფა, რომ კანტის დრო-სივრცე მხოლოდ ინტეიციის ფორმებს ეხება და არა დრო-სივრცეს საერთოდ და სხვ. მათ ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ავიწყდებათ: ინტეიციის ფორმებში მოცემული დრო-სივრცე რად უნდა ეწინააღმდეგადი „მნათობი“ № 3.

დეგებოდეს რეალ სინამდვილეში გაშლილ დრო სივრცეს? წინააღმდეგობა კი აშ-
კარა იქნება თუ მართლაც და ჩვენ ინტეიციას დღემდის კანტის დრო-სივრცი
გააჩნია და არა აინშტაინის.

უფრო ვონება მახვილნი კანტის მიმდევარნი კი ცდიტანაშეც ჭიავარწმუ-

ნონ, რომ აინშტაინმა საბოლოოდ დამტკიცა მათი ლოგისტური იდეალიზმი,
ასე ფიქრობენ კოშენი, კასირერი, ნატარპი. ხოლო ეს უკანასკნელი ერთ დროს
მარბურგის სკოლის მთავარი საყრდნობი, დღეს გამოეთიშა სკოლის და მისივე
განცხადებით აინშტაინის თეორიამ მასში უდიდესი გარდატეხა მოახდინა და
70 წლის ნატორპი დაექმებს ახალ ფილოსოფიურ სისტემას აინშტაინის საფუძ-
ვლებზე, სადაც მისი თქმით უნდა ვაკოცხლდეს კუშანელის coincidentia oposi-
torum და გარდაიქცეს ლოლიკის საფუძვლად, რომ ამით პასუხი გავსცეთ აინ-
შტაინის მიერ დრო-სივრცე—(მატარერი—ენერგიის) კოინციდენციის პრობლე-
მას. ეს ცნობა მოგვყავს ნატორპთან კერძო საუბრიდან და მისი 1920 წლის
ლექციიდან იმის შესახებ, წერილობით კი მას ჯერ არაფერი გამოუქვეყნებია
და არც შეიძლება ითქვას, თუ 70 წლის მოხუცი, როგორ გადაახლდება 50
წლის კანტიანული სისხლ-ხორცისაგან. ყოველ შემთხვევაში ნატორპის coinci-
dentialia opositorum-ის ლოლიკას არაფერი ექნება საერთო კანტის ტრანსცენდენ-
ტალ ლოლიკასთან.

24. სივრცე, უთერი — მატერია. აინშტაინი და მატერიალიზმი.

ნიუტონის მექანიკაში მოცემული ორობა მსოფლიოსი თან დაჰყუებოდა
მეცნიერულ აზრს პირველ წარმოშობის დღისთანავე. ანტიური ქვეყნის დიდი გე-
ნიოსი დემოკრიტი, რომელმაც პირველად საფუძველი ჩაუყარა ბუნების მეცნიე-
რულად შემეცნებას — ეს პირველი მატერიალისტი და მონისტი ფილოსოფიის-
ისტორიაში—იძულებული იყო ორობა დაეშვა ბუნების მსვლელობის ახსნის მიზ-
ნით. მეცნიერება ბუნების შესახებ მხოლოდ შემდეგ შეიძლებოდა გვქონოდა, თუ
ბუნების დედა ფენომენი, მოძრაობა იხსნილი იქნებოდა. სადაც არ არის მოძ-
რაობა, იქ არც ბუნება არის და სადაც მოძრაობა არ არის ახსნილი, იქ ბუნებათ-
მეცნიერებაც არ არსებობს. დემოკრიტმა, ფიზიკის მამამთავარმა, მიიღო თუ არა,
რომ მყარი მსოფლიო შენებულია განუყოფელი მატერიის ე. ი. ატომების მიერ,
შეეცადა ატომების მიერ, მოძრაობის ფენომენის მეცნიერულად ახსნას, ურომ-
ლისოდაც ბუნების შემეცნება მხოლოდ ოცნება დარჩებოდა. მაგრამ რადგან
ატომის თავისშივე მოძრაობა არ შეუძლია, არამედ ის რიმეში უნდა მოძრაობ-
დეს, ამისათვის საჭირო შეიქნა მოძრაობის მედიუმის გამონახვა, დემოკრიტემ
ამ შედიუმს უწოდა ცარიელი სივრცე და ორობა ბუნებაში იმით დაუშვა, რომ
ცარიელი სივრცე არსის ნაწილად გამოიცხადა. „არ არსებობს ცივი და თბი-
ლი, თეორი და შავი, სინამდვილეში არსებობს ატომი და ცარიელი“ ამბობს
დემოკრიტე. სივრცის სიცარიელე დაშვებულია ატომის მოძრაობის ასახსნე-
ლად, ატომები სხვადასხვა ძალათ და მიმართულებით მოძრაობენ ცარიელ სივრ-
ცეში და იძლევიან ბუნებას და მის ყველა მოვლენებს. ე. ი. კლასიკური ფი-
ზიკის პირველსავე სისტემაში მიღებულია არის პრინციპიალ საფუძვლად ერ-

თი მხრით მატერია, შეოლოდ მის გვერდით კი სივრცე დემოკრიტი რომ დარჩენილიყო მატერიალისტი და მონისტი სწორედ ამისათვის იტეჭუმებულებულ მატერიალი სუბსტრატის ორობა მიეღო.

ახალი დროის შეცნიერება, როგორც ცნობილია, წავიდა იმ გზით, რომელიც მას დემოკრიტმა უჩვენა და ისევე როგორც დემოკრიტს, ახალ დროსაც ახასიათებს მატერიის და სიერცის ორობა. ნიუტონის ფიზიკაში არსებობს აბსოლიუტი სივრცე, რომელშიაც მოძრაობს მატერიალ სხეულთა სისტემა ე. ი. აქ ორობა საფუძველმდებელ პრინციპად არის გამოცხადებული. ნიუტონიდან დაწყებული ვიღრე ანშტაინამდი ამ ორობის პაროლის ქვეშ წარიმართა აზროვნების ისტორია და თვით ლორენცის ფიზიკა ამ ორობის ბეჭედს ატარებს ე. წ უთერის არსებობის ჰიპოთეზა ლვიძლი შვილია ორობის პრინციპისა. თვით სხივი ამ ფიზიკისათვის შეოლოდ იმიტომ მოძრაობს, რომ არსებობს სხივის გამცდარი მედიუმი ანუ ეოთერი. აზროვნების ისტორიაში დიდი ხენია არსებობდა ამ ორობის გამორიცხვის გზა, ეს მაგ. განლავთ დეკარტეს ცნობიერების იდეალიზმი. დეკარტემ მიიღო მთლიანობა ცნობიერებაზი და ამ მთლიანობის ბუნებაში გადატანით შეეცადა შეექმნა ფიზიკა, სადაც არც მატერია და არც სიცარიელე არ იქნებოდა, ამავე ვზაზე არის დეკარტეს იდეალიზმის დამთავრებულის ლაიბნიცის მონადა, რომელსაც, მისი ავტორის თქმით, „არც კარი აქვს და არც ფანჯარა“. მონადა არის სულიერი ატომი, ლაიბნიცმა თავისი მონადა ვამოიგონა ატომის საწინააღმდევოდ ე. ი. ის იდეალისტური სუბსტრატი, რომელსაც ატომი — მატერიალისტური სუბსტრატი — უნდა შეეცვალა. დეკარტეს ეს მთლიანობის ჰიპოთეზა სინამდვილეში ნიშნავდა უშავეს რეაქციას აზროვნების ისტორიაში. შეცნიერებას, რომ დეკარტე და ლაიბნიცი მიეღო და ნიუტონი უკუ ეგდო, ჩვენ დღეს თრი საუკუნით უკან ვიქნებოდით მეცნიერების ყველა დარგში. დეკარტეს მთლიანობის ჰიპოთეზა სინამდვილეში არის ადამიანის სულის მთლიანობა და ადამიანური თვალსაზრისი, რომელიც არამც თუ ვერ იხსნის ბუნების მსვლელობას, არამედ მას, ასე ვსთქვათ იდეალისტურ ზეწარში გამოხვევს და სინამდვილეს მიჩვალავს. ის უკანონოთ აიძულებს ბუნებას პრინციპი მისთვის იმ უცხო სულში მონაბოს, რომელიც მან თვითონ წარმოშეა; ამით მთელი ბუნება იქცევა ცვალებად და მერყევ ადამიანის ცნობიერების ნამოქმედარად და ავტონომიურ თვითმოქმედების უფლებას ჰქარგავს. იდეალიზმი არამც თუ ახსნილი არ არის არსის და ბუნების მსვლელობის და მათი მოვლენების კლინების პრინციპები, არამედ გზა გადაჭრილია ყოველგვარი ავტონომიური და მეცნიერული ახსნისათვის. აქ ცნობიერების დეკრეტს ემყარება სინამდვილის მსვლელობა და არა ჰიპოთეზა.

ცნობიერების იდეალიზმს ჰიპოთეზა დღიდანვე წინ აღუდგა ანტიური ატომისტიკის მესიტუვე ახალ დროში გასენდი. გასენდის ატომისტიკა და მატერიალიზმი დიამეტრიალი წინააღმდევობა იყო დეკარტეს ცნობიერების იდეალიზმის, მაგრამ გასენდის არც ნიჭი გააჩნდა და არც ტრადიცია იმისათვის, რომ დეკარტე დაეძარცხებია, მით უფრო რომ გასენდი თავის ატომიზმს და მატერიალიზმს ანტიურ დიდ კლასიკოსის მოძღვრებით კი არ ასაბუთებდა, არამედ

იმ მოძღვრების კპიგონურად დამახინჯებული ეპიკურეიზმის სახით. გასენდი დამარცხდა და დეკარტეს გამარჯვება იყო იდეალიზმის მატერიალიზმის გამარჯვება, და მართლაც ამის შემდეგ ფილოსოფიის ისტორია უძრავი უწევებულიზმის ისტორიას წარმოადგენს. მაგრამ ანტიური დიდი ფიზიკოსის და მატერიალისტის პრობლემა ამავე დროს მოშორდა ფილოსოფიურ სფეროს და ის გალოლების და ნიუტონის სახით შეიჭრა ახალი დროის მეცნიერებაში. აქ მან უკუაგდო და ფანჯრებიდან გადაისროლა ყველა სხვა მიმდინარეობანი დეკარტეს ცნობიერებაც და ლაიბნიცის მონადაც და უკამათოდ პოზიციებს დაუუფლა. ამიერიდან ბრძოლა სამყაროს შენების პრინციპების შესახებ იდეალიზმსა და მატერიალიზმს შორის კი აღარ გამიართულა, არამედ იდეალიზმსა და მეცნიერებას შორის. მეცნიერებამ ფილოსოფიურ იდეალიზმს ნელ-ნელა ხელიდან ვამოაცალა ყველა პოზიციები, კერ მექანიკა, შემდეგ ფიზიკის სხვა ნაწილები და ბოლოს კი თვით ბიოლოგიური პრინციპებიც. ყველა საკუჭნაოდან ვამორეკა სული და აღამიანის თვალსაზრისი და შიგ თვისი ავტონომიური თვალსაზრისი შეიტანა. მეცნიერების დიდი გამარჯვება, თუ გნებავთ, მატერიალიზმის დიდი გამარჯვებაც იყო, მაგრამ ასეთი სახელწოდებით საკითხი აღარ დასმულა. მეცნიერულმა აზროვნებამ ისე საფუძვლიანად უკუაგდო იდეალიზმის ყველა უფლებები ბუნების და სინამდვილის პრინციპების მიმართ, რომ მისთვის აღარავითარ საჭიროებას აღარ წარმოდგენდა იდეალიზმისათვის რომელიმე საკუთარი „იზში“, მონიზმი, მატერიალიზმი თუ სხვა რაიმე დაეყენებია წინ. მეცნიერების განვითარებაში გადაიშალა დემოკრიტეს მატერიალიზმის ყველა პრინციპები და მან საბოლოოდ გაიმარჯვა სულზე, ცნობიერებაზე და აღამიანის თვალსაზრისზე. ნიუტონი—რომელსაც, როგორც ინგლისელ მოქალაქეს, ღმერთის და ეშმიაქის არსებობა ლრმად სწამდა, იყო სინამდვილეში იმ ახალი დროის მატერიალიზმის—როგორც მსოფლმხედველობის—მესიტუვე.

ამრიგათ მეცნიერების განვითარების პრობლემებში გაშლილმა მატერიალისტურმა პრინციპმა ის ამოიგო, რაც მან ფილოსოფიურად წაავო: მან ვაიმარჯვა იდეალიზმზე, მაგრამ ნიუტონის სისტემაში დარჩა ბევრი ვარდაუფალი წინააღმდეგობანი, რომელმაც აზროვნება ხელმეორედ მიიყიჩა აღამიანის თვალსაზრისის ჩიხამდის და მახის პოზიტივიზმში იდეალიზმი ელახლა შეიჭრა ფიზიკაში. ამის მიზენს მე ვხედავ იმ პრინციპის ორთხაში, ამელიც თან ახლავს როგორც ანტიურ ატომისტიკას და მატერიალიზმს, ისე ახალ დროის მექანიკისა და ფიზიკის პრინციპებს. ეს არის ორთხა მატერიისა და სივრცის. როგორც იქ, ისე აქ არსებობს მყირის ორი პრინციპი: მატერია და სივრცე, და სწორედ ეს სივრცე აზრის განვითარების ისტორია სულად იქცევა და სინამდვილის სურათს ასახიჩებს.

მესამე ათასი წელია, რაც კაცობრიობა იმ წინააღმდეგობის რეალში ტრიალებს და ჩვენი ლრმა რწმენით აინშტაინის საერთო რელატივიზმის თეორიის მიერ ეს ამოცანა გამოყვანილია. ის, რაც მეცნიერებამ მოიპოვა იდეალიზმზე გამარჯვებით, აინშტაინისათვის უნაკლოთ მიღებულია, მაგრამ მისი გზა უფრო შორს მიდის და იმას აკეთებს, რაც მეცნიერულ აზროვნებას აქამდის არ გააჩნ-

და. ის სპობს მატერიის და სივრცის ორობას და ლებულობს ზათ იღვიღლზე მყრივი სისტემის სხეულის ერთიანობას, არსებობს მხოლოდ მატერიალური, რომელიც მეორესთან შეფარდების დროს ჰქმნის საკუთარ და შინთების საჭირო სივრცეს, ე. ი. ბუნებაში მოძრაობის ახსნისათვის საჭირო აღარ არის ცარიელი სივრცის, ან ეთერის ჰიპოთეზა მივიღოთ, მატერიის აღარ სჭირდება მის გვერდით ჰქმნდეს ცარიელი სივრცე, რომელიც ის მოძრაობდეს, არამედ ის თვით შექმნის მისთვის საჭირო სივრცეს. თავის უმაღლეს გამოხატულებას ეს აზრთა წყობა ლებულობს თეორიის იმ ნაწილში, სადაც მატერიის და უნერგიის ასეთი მთლიანობა დასაბუთებულია, თვით ენერგია და მატერია ჰკარგავენ ცალ-ცალკე არსებობის უფლებას და შეადგენენ ერთ განუყრელ მთლიანობას. შემეცნება იქ აღწევს დღემდის უცნობ სიმაღლეს, სადაც ეს მატერია-უნერგიის უთეალავი სისტემები გამოცხადებულია სავსეპით თანალირებულად და არც ერთ მათვანს არვეითარი უბირატესობა აღარ აქვს.— ცხადია, რომ ამიერიდან აზროვნების და მსოფლმხედველობის ისტორია იხალი გვერდიდან უნდა დაიწეროს. იდეალიზმი-მატერიალიზმი, ყველა ეს მოხსნილია აინშტაინის თეორიის მიერ და დღემდის თითქმის უცნობ არეში არის საკითხი დაყენებული.

25. ക്രേദിക്കുന്നതിൽ പരമാവധി ലാഭം എന്നതിനും അനുസരിച്ച്

მეცნიერულ და ფილოსოფიურ აზროვნების არ გააჩნია არც ერთი საკუპნაო, სადაც რელატივობის თეორია ახალი სხივით არ შედიოდეს. ამ უამრავ პრობლემიდან ჩვენ იქ კიდევ მხოლოდ ორ ფილოსოფიურ პრობლემას შევეხებით. გადაძეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ბოლოს და ბოლოს ყველა მეცნიერულ და ფილოსოფიურ პრობლემებს ჰქონდების ძიება აქვთ სავნათ. რა არის, როგორ არის ქვეყანა შენებული? რა კანონები ფლობენ მას და სხვ. ყველა ეს ჰქონდების საკითხებია. ფილოსოფია დიდიხანია თავს იმტვრევს ყველა ამ საკითხების გადაჭრისათვის და ის, როგორც გნოსეოლოგია, საკითხს აყენებს კოდნისა და სინამდვილის აღმენებატობის შესახებ. - ფილოსოფიური აზრი, თუ ის სკეპტიკურ და აგნოსტიკურ გზას აკლება ხელად დასკვნის, რომ არსებობს ერთად ერთი ჰქონდების, რომ შესაძლებელია ამ ჰქონდების შემეცნებაში ათვისება, რომ ჩვენს მიერ შემეცნებაში ათვისებული ჰქონდების სინამდვილის სწორი სურათი არის და სხვ. ასეთ შემთხვევაში აზრი დოგმატიურია და მისი ბუნება პერმანენტულად იდეალისტური, რადგან ჩვენი მტკიცება, რომ სინამდვილე ისე არსებობს, როგორც ჰქონდების, რას უნდა იმპობდეს იმის გარეშე, რომ ცნობიერებას უპირველესობა აქვს ჰქონდების პრობლემის გადაჭრის დროს. თეოთ ჰქონდების კონკრეტ შინაარსს, ან და მის ზოგად სახეს ეს თეორია ვერ უჩვენებს, რადგან მას საკუთარი თავის კრიტიკუმი, ცხადია, არ გააჩნია. შემეცნების თეორიაში არსებული ჰქონდების თეორიები, ისურათების თეორია, რეალიურის თეორია, თუ კიდევ სხვა ბოლოს და ბოლოს ურთდებიან იმ დებულებაში, რომ ასე ათვისებული ჰქონდების ერთად ერთი სწორი სახეა სინამდვილისა. შემეცნებას აქ ჰგონია, რომ მან აღმოაჩნია ჰქონდების, რომელიც ასე არის და, რომელსაც სხვა რიგად ყოფნა

არ შეუძლია. ეს, ე. წ. ამრიგად ყოფნის თეზა და სხვა რიგად კონტინუაციის გამორიცხვა ტიპიური სარკვა აღამიანის ცნობიერებისა და ყველა მასში თვალსაზრისს ჩვენ უწოდებთ იდეალისტურს, რადგან ცნობიერებულისტურს უფაშიანს და აღამიანის თვალსაზრისის კარნაზი არის იდეალიზმი. ვასაკვირია ერთი მოქლენა: ჭეშმარიტების პრობლემა არის უაღრესად ფილოსოფიური პრობლემა და ფილოსოფიის ისტორიას არ წარმოუშვია არც ერთი მატერიალისტური თეორია ჭეშმარიტების პრობლემისა. თუ ჭეშმარიტების პრობლემის სხვა და სხვა თეორიები არსებობს, ის სინამდვილეში ულტრა-იდეალისტური თეორიები არის, რადგან ისინი სავსებით ცნობიერების, ბიოლოგიის და აღამიანურ თვალსაზრისს ეძყარებიან.

შემთხვევაში რომ ფილოსოფიის ისტორიაში სხვა მიმართულებითაც ყოფილი ძიება ჭეშმარიტების თეორიის ბუნებისათვის, მაგრამ ასეთი ძიება ყოველთვის ღვთაებრივი ჭეშმარიტების მონახვით დამთავრებულა ან კიდევ ჭეშმარიტების მისტიკით და ახალი სიტყვა არ თქმულა; ყველა თეორიებს ახასიათებს ურთი რამ, ეს არის უპირატყესობის მიცემა ვისიმეს ან რისიმეს მიმართ. უპირატყესობა სულის, იდამიანის, ღმერთის, სხვა რიგად არ ყოფნის, თუ კიდევ ბევრი სხვა. ჭეშმარიტების პრობლემა ყოველთვის უპირატყესობის მინიჭების თეორიით წარდება.

ფილოსოფიური დასკვნები, რომლის გამოყენება საერთო რელატივობის თეორიიდან შეიძლება, პირველად აყენებს ჭეშმარიტების პრობლემას სავსებით ახალ მდგომარეობაში. უპირატყესობად ყოვლისა სავსებით მოხსნილია ყოველგვარ უპირატყესობა და ჭეშმარიტების მიღწევისათვის თანაღირებულად და თანაუფლებრივად გამოცხადებულია დამოკიდებათა და ჭეშმარიტებათა დაუბოლოვებელი დიდი რიცხვი. ჭეშმარიტება არ გააჩნია არც ერთ სისტემას, არც ერთ ას-პექტის, არც საზრის. ჭეშმარიტება, როგორც ასეთი, ისე როგორც ის ჩვენ აქამდის გვესმოდა, მოკედა სინამდვილეში, არსები: ბუნებაში არ არსებობს არც ერთი უცვლელი და მხოლოდ ამ რიგად მყოფადი ჭეშმარიტი რაიმე, არამედ უანრავ და უთეალი ჯერ ერთი მეორესთან შეფარდება—დამოკიდებულებაში მყოფი სინამდვილე იცვლდა, მაგ. თუ ჩვენ დედამიწასთან შეფარდებით, რომელიმე მნათობი ა არის ბურთის მსგავსი, ეს მნათობი ა მეორე სხეულთან სხვა შეფარდებით არის როტაციის ელიპსოიდი. ეს მოჩვენება და თვალსაზრისი კი არ არის, არამედ ობიექტიურად არსებობა, ბურთი იქცევა ელიპსოიდათ, ელიპსოიდი ბურთად და ასე დაუბოლავებლად. ამრიგად ჭეშმარიტება ძველი გავებით ჰერკას ყოველივე შინარსს, ის როგორც ცალკე არსებული პრობლემა კვდება და იშლება არსის და სინამდვილის პრობლემაში. ამ რიგად ყოფნის თეზა იჭერს მის აღგილს. ადამიანის თვალსაზრისზე შერჩენა და ცნობიერების თეზის პირველობის წამოყენება სასაცილო საქმედ არის გაღაეცეული. და ამით საბოლოოდ განდევნილია იდეალიზმი მის უკანასკნელ სიმიგრეების ე. ი. ჭეშმარიტების პრობლემის გადაჭრის კანონიერებისაგან. ასეთ სიმაღლეშე, როგორც აქ აინშტაინ, შერძლება პირველად შედგა, ჰეგელი, როგორც მან ლოგიცისტური იდეალიზმი ასე ვაკეთარა, რომ კოკლივი წინსკლის გზა გადაიჭრა, სიცოკ-

ხლის ძალვი დაიწურა და იდეალიზმის დიალექტიკური შენობა დარჩენა. მის ნანგრევებზე უნდა აშენებულიყო დიალექტიკური რეალიზმი; მუჭარუჩულებრისოფიურმა ახრმა ეს ვერ შესძლო, მეცნიერულმა ახრმა კი აინშტატმიზმულურ მოიყვანა სისრულეში პეგელის დიდი პრობლემა და ამიტომ აინშტაინი შიგვაჩინია ჩეც პეგელის გენის კანონიერ მემკვიდრეთ.

26. რეალობის პრობლემა და რელატივობის თეორია.

კეშმარიტების პრობლემასთან მჭიდროდ დაკავშირებულია რეალობის პრობლემა. მას შემდეგ, რაც დეკარტებ ახალ დროში ცნობიერების იდეალიზმი და აკანონა, რეალობის პრობლემაც ცნობიერების არები ისმება და იჭრება, ცნობიერებაში მიცემული ქვეყანა გამოცხადებულია ერთად-ერთ რეალ ქვეყანად, მეტაფიზიკის ენაშე ამას უდრის სულის ქვეყნის დასაბამად გამოცხადება; ფილოსოფიური მსოფლიმხედველობის ეს ანტროპომორფიზმი გზას უჭრის და სულ უხუთავს მეცნიერული აზრის წინსვლას და სწორედ ამიტომ ბუნებათ მეცნიერებაში პირველსაც ჩასახვის დღიდანვე იწყება დაუბოლავებელი ბრძოლა ცნობიერების მიერ შეოხშულ ანტროპომორფიულ ჭორის საწინააღმდეგოდ. პირველად მის წინააღმდეგ იბრძოდა მატერიალიზმი და სულის პირველობას უპირისპირებდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მატერიალიზმი სხვადასხვა პირობების გამო ფილოსოფიურ ბრძოლის ფრთხოები დაამარცხა, მისი აღვილი დაიჭირა მეცნიერებამ და განსაკუთრებით კი ფიზიკამ. თანამედროვე ფიზიკის ერთ მთავარ წარმოშოდგენელის მაქს პლანკის თქმით, თეორიულ ფიზიკის მთავარი აზრი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყნის და რეალობის შემეცნება რაც შეიძლება მოწორდეს ანტროპომორფიულ საფუძვლებს და შიიღოს ობიექტიური სახე. ასეთი ობიექტიური ფიზიკა გადაჭრის თვით რეალობის პრობლემას. „რეალი არის ყოველი ის, რაც გაინომება—ანბობს პლანკი, და ამით გამოხატავს, როგორც დემოკრიტეს მეცნიერების დედააზრს, ისე ახალი დროის მეცნიერული აზრის შინაარსს. საშუალო საუკუნის და ანტიური აზროვნებაც თავისი ბუნებით იყო ქვალიტეტური, ე. ი. ის ბუნებაში არსის თვისებას ეძებდა და ამ თვისებების ცოდნით ლამობდა ქვეყნის შემეცნების აშენებას. ახალმა დრომ გაცაცხლა დემოკრიტეს მიერ წამოუენებული ბუნების ქვანტიფიკაციის ე. ი. მისი რიცხვის და ზომის საფუძვლებით გამოხატვის, პრობლემა და იმ გზით წარიმართა წინ მექანიკული აზრის განვითარება. გალილეის უკუდავი თქმიდან დაწყებული: „ბუნების დიდ წიგნში ფილოსოფია მათემატიკის ანბანით ჩაწერილია“, ვიდრე აინშტაინის რელატივობამდის გრძელდება ეს განვითარება.

აინშტაინის თეორიაში ეს, ე. წ. თვალსაზრისის ობიექტიურიზაცია ისეთი უდავო სისტორით არის გატარებული, რომ ყველა გაუგებრობანი და პარადოქსიები რომელსაც მანამდის აღვილი პქონდათ, მოხსნილია იმჟავითვე რეალობის პრობლემის გადაჭრისათვის. აბა რას ნიშნავს, თუ გნებავთ, ის გარემოება, რომ რელატივობის თეორიამ საბოლოოდ და უკამათოდ წაართვა დროსა და სივრცეს ყოველგვარი სუბიექტიური საფუძვლები და ისინი არსის უბრალო ნაწილებათ გამოაცხადა. ჩეც ვიცით რომ აინშტაინის ფიზიკაში დრო და სივრ-

ცე კი აღარ არსებობს, არამედ ისინი შეადგენენ მატერიის ისფრივე თვისებას. როგორც ფერი, სხივი, ულასტოვობა, ელექტრობა, და სხვ. წმინდაში მატერიალის მიუვანილი და მურსებულების ზრახვაში შემეცნებისა და მეცნიერების მიმართ სამუდამეამოდ მოხსნილია. რეალობის პრობლემიდან საბოლოოდ მოხსნილია ცნობიერების და სულის თვალსაზრისი და იმით რომ რეალურად არსებული არსის შემეცნებისათვის თანალირებულად გამოცხადებულია უთვალავი და დაუბოლავებელი რეალი სისტემები, დაკანონებულია რელატიური ბუნების ობექტიური არსი. რეალობის პრობლემა ვადა დაჭრილია, რადგან ბუნების სრული ანგარიშებით და ზომვით მოცემა უკანასკნელ შესაძლებლობამდის მიყვანილია. ბუნებაში და სინამდვილეში აღარაფერი საიდუმლო აღარ რჩება, რაიც რელატიური არსი და რეალური სინამდვილე რელატიურია, იმისთვის კი არა, ვითომც მათი შემეცნება იყოს რელატიური, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ არსის კანონთწყობის ობიექტიური ბუნება განსაღვრულია უთვალავ კონტრაგენტების მონაწილეობით ამ ობიექტიურში.

საერთო რელატიურის თეორიიაში მოცემულია არსის სრული შემეცნების პრინციპიალი საფუძველი, იდეალიზმი, სკეპტიციზმი, ანტრომორფიზმი და სუბიექტივიზმი უკუგდებულია და მათ აღავს იჭირს მკაცრი ობიექტიურიში, რომელიც თვის ობიექტიურობის დამტკიცებისათვის ლოლიკურ სოფიზმებს კი პლარ სესხულობს ცნობიერებიდან, არანედ ცნობიერების უკელა მისი სოფიზმებით იტევს და ათავსებს საკუთარ ბინაში.

რასაკეირველია, თვით აინშტაინს აზრათაც არ მოუვა უკელა ეს დასკვნები გამოიყეანოს თავისი თეორიიდან, მისთვის მის თეორიის უპირველეს ყოვლისა აქვს ფიზიკალური გამართლება და ავტორი შეგნებულად აწყობს რევოლუციის ფიზიკაში. ეს რევოლუცია უკვე შესრულებული ფაქტია და ჩვენ გვვინდის მას მოჟვება უკელა სააზროვნო საშუალებათარევოლიუცია. აზროვნების „სპეციალური“ ე. წ. ფილოსოფოსები თუ დღემდის ამ რევოლუციის ვერ ხედავენ და მათ შესაფერ ანგარიშს არ უწევენ, ეს ჩემთვის მხოლოდ იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად დაჩაჩანაკდა უცრობის ფილოსოფიური აზრი და რამდენად დაპკარვა მან ახალის გაგების უნარი.

რეაქცია ვერ დააკავებს რევოლუციას, — ეს სწორია აზრის სფეროშიაც და ფილოსოფოსების სოფიზმები და ზოგიერთი შეცნიერების ტრადიციიდან შეთვისებული კონსერვატიზმი უძლური აღმოჩნდება მეცნიერული აზრის წინაშე და დღეს თუ ვერავინ ხედავს აინშტაინის თეორიიდან გამომდინარე ფილოსოფიურ დანასკვეს, ხვალ ცხადი გახდება ის იმისათვისაც კი ვისაც დღეს ხედვის უნარი დაუკარგავს.

27. ორიოდე სიტყვა რელატივობის თეორიის აქსიომატიური საფუძვლების შესახებ.

ამით ჩვენი მიზანი მისწეულია. ჩვენ არ გვინდოდა აინშტაინის თეორიიდან გამომდინარე ფილოსოფიურ თვალსაზრისზე გველაპარაკა, ჩვენ მხოლოდ

იმის ჩვენება გვინდოდა, თუ როგორ აინშტაინის შემდეგ ძეგლი ფილოსოფიური სისტემები მიუღებელი შეიქმნა და ამით აზროვნებას ახალი სამრკეტის მიმდებანი შეიცავა. ჩვენი აზრით, არამეც თუ ფიზიკის მეცნიერება ჭრიაშეს მდგრადა გადაახლდა რელატივიზმის თეორიის გავლენით, არამედ უამრავი ფილოსოფიური ამოცანები იქნა საბოლაოდ გადაწყვეტილი და თუ დღეს ამას ფილოსოფიური ვერ ხედავენ, ხვალ ეს ყველასაოვის ცხადი გახდება. ფილოსოფია აინშტაინს შემდეგ თვისი ისტორიის ახალ ფურცელს დასწერს. ბევრი, გამოუყვანელად მიჩნეული ამოცანა გამოიყვანება და კრიტიკული აზრი აღარ დაკმაყოფილდება კერძო საკითხების დამუშავებით. ის დაიწყებს შემეცნების უნიკერსალური დასაბამის გამონახვას და აღმოაჩენს, რომ ესეცნება აშენებული ყოფილი არსის ცნობიერებაში აქსიომატურად მოცემულობის საფუძველებზე. ასეთი ცნობიერება აღარ დაუპირისპირდება არსის, არამედ გარდაიქცევა არსის ნაწილად, სწორედ ისე, როგორც აინშტაინის სისტემაში სივრცე გარდაქცეულია მატერიალი სისტემის ერთ შემადგენილ ნაწილად. კრიტიკის ასეთ სიმაღლეს მიხშეული აზრი ფილოსოფიურად დაასაბუთებს საერთო რელატივიზმის უნივერსალ კანონს და აღმოაჩენს, რომ ეს კანონი თვით დაყრდნობილი ყოფილა აქსიომატურ საფუძველებზე.

ამით კი გზა გაიხსნება ახალი ფილოსოფიური დისკიპლინისათვის, რომელსაც ჩვენ მომავალში უსათუოდ ფილოსოფიურ აქსიომატიკას უწოდებთ. — ავტორი იმედობს, რომ ის ახლო მომავალში გამოაქვეყნებს სისტემატიურ შრომას ფილოსოფიური აქსიომატიკის შესახებ, სადაც დაინტერესებული მკიონეველი ნახავს იმას, რაიც აქ პოპულიარობის მოსაზრებით გამოტოვებულია.



ს. პ ა კ ა ბ ა ბ ა

საქართველოს ეპიტომის ვითარების შესახებ მე-18 საუკუნეში

(საზოგადო მიმოხილვა)

II.

ამგვარად რუსეთისკენ მიმავალ საქართველო გზის მე-1750 წლებში გახსნას თანდათან მოჟვა შედევათ ის, რომ უპირველეს ყოვლისა ქართლი ტფილისი-თურთ და შემდევ ხანებში თანდათან საქართველოს სხვა ნაწილებიც იწყებენ რუსეთითან ეკონომიკურ ურთიერთობის განცხოველებას და განეთარებას. რუსეთიდან მოდიოდა უმთავრესად, როგორც ვნახეთ, სხვადასხვა სახმარი საგნები და ფაბრიკატები—ჩაი, შაქარი, პატარა სარკები, მაკრატლები და სხ.. 1770 წელს, მაგალითად, ერეკლე მეფე რუსეთიდან იბარებდა კარგი ლირსების საქმაოდ დიდი რაოდენობის ქაღალდს და ლუქს სახელმწიფო საჭიროებისათვის¹). მე-1770 და მე-1780 წლებში რუსეთთან პოლიტიკურ ურთიერთობის განცხოველებასთან ერთად ამ საქართველო გზის მნიშვნელობა უფრო და უფრო იზრდებოდა. მე-18 საუკუნის მიწურულს რუსეთიდან ტფილისში და საქართველოში ამ გზით ზემო დასახელებულ სახმარ საგნების გარდა შემოდიოდა: ბუელენტი (წილად საღებავის ჭია), ლურჯი საღებაეთ, ბერეველობა და სხვა ამგვარი, აგრეთვე ბამბის ტილო, რკინეულობა²). თავის მხრივ ტფილის და ქართლსაც გავქონდა რუსეთისკენ სხვადასხვა საქონელი. მაგალითად, ჯერ კიდევ 1765 წ. კიბლარის ბაზარზე იყიდებოდა ტფილისიდან გატანილი შემდევი საქონელი: ლეინი (შეღებილი ნარმა), უბრალო ნარმა, ტონარი³). ტფილისში ამ ხანებში მართლაც იყო ჩითეულობის მცირეოდენი წარმოება⁴). მე-18 საუკუნის მიწუ-

¹⁾ А. Цагарели, Грамоты II, вып. I, 68.

²⁾ АКАК. I, 481.

³⁾ Бутков. материалы для ист. Кавк., I, 355.

⁴⁾ Güldenstädt, Reisen... I, 353. შეად. А. Цагарели Грамоты I, 189.

რულში მცხეთის გზით რუსეთისკენ გაპერნდათ ბამბა, ლეინო, ხელი, ბოსტნეულობა, თევზეულობა, პური, ბარილი, შაბი¹⁾). მართალია, ამ სუჭურლურებულებით ნაწილი რჩებოდა ალბად მთიულეთში, მაგრამ რუსეთთან თანდაზურნებული ურთიერთობის და საქონლის გაცვლა-გამოცვლის ზრდა და განვითარება ამ ცნობების მიხედვითაც ცხადი ხდება საკმაოდ თვალსაჩინოდ.

ამგვარად 1770—1800 წლებში ეკონომიური ურთიერთობა რუსეთთან თანდათან უფრო და უფრო მეტს განვითარებას განიცდიდა. იყო, რა-საკვირველია, ისეთი მომენტები, როდესაც საერთო პოლიტიკურ მდგომარეობის გამო ეს ურთიერთობა რამოდენადმე შეფერხებულადაც სჩანლა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ყოველ ასეთ შემთხვევაში ჩვენ კვლავ ვხედავთ რუსეთის და საქართველოს შემაერთებელ ეკონომიურ ძაფების კიდევ უმეტესად განმტკიცებას. ასეთ შეფერხებას ჰქონდა, მაგალითად, იდგილი მე-1775—1778 წლებში, რასაც მო-ჟავა ქართლ-კახეთის მთავრობის მიერ პოლიტიკურ ორიენტაციის შეცვლის ცდაც. 1770—1773 წლებში საქართველოში რუსის ჯარის ყოფნამ, მართალია, ხელი შეუწყო ქუთაისიდან და სხვა იმერეთის ციხეებიდან ოსმალების განდევნას, მაგრამ კერძოდ ქართლ-კახეთს არავითარი სარგებლობა არ მოუტანა. პირიქით, რუსის ჯარების მოსულამ ჩაითრია ქართლ-კახეთი ისმალებთან ომში, გაამწვავა ქართველების ურთიერთობა ისმალეთთან და ამასთანავე დიდი ხარჯი მიაუნა ქართლ-კახეთის სამეფო ხაზინას. ერეკლე 1774 წ. აგვისტოში ატყობინებდა რუსეთის მთავრობას, რომ 1770 წლიდან მას დაეხარჯა ომებშე 450 ათას მანეთამდის. ეს იყო ქართლ-კახეთისთვის დიდი თანხა—მთელი სამი წლის სახელმწიფო შემოსავალი. მაგრამ ასეთ დიდ მსხვერპლის შემდეგაც საქართველო რუსეთ-ისმალეთის ზავის შეკვრის დროს არსებითად ცარიელშე დარჩა და რუსეთი უარს ამბობდა კერძოდ ქართლ-კახეთთან ფორმალურ მფარველობითი კავშირის დადგებაზე, რაც გამოირკვა 1774 წელს წარმოებულ მოლაპარაკების დროს. ამიტომ ტფილისმა ეხლა დროებით პირი იბრუნა ისმალეთისაკენ. თუმცა 1778 წ. ამ მიმართულებით წარმოებულ მოლაპარაკებას ისმალეთი თავის მხრივ შეხვდა დიდის უურადღებით და თავაზიანობით, მაგრამ ამ მოლაპარაკებას, საქართველოს ეკონომიურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში რუსეთის მიმართულებით უკვე დაწყებულ ახალ მიდრეკილებათა გამო, არ შეიძლება, რა-საკვირველია, ჰქონდა გარდამწყვეტი შედეგები. მიუხედავად იმ ცოტაოდენ რყევისა, რომელსაც რუსეთის გულგრილობის გამო განიცდიდა 1175—1782 წლებში ქართლ-კახეთის მთავრობა და რომელმაც იძულა ერეკლე II დახმარებისათვის მიემართა, სხვათა შორის, იმპერატორ იოსებ II-ისათვის ვენაში (1782 წ.), მაინც ქართლ-კახეთის ბედი ამ დროს უკვე მჭიდროდ დაკავშირებულად სჩანლა რუსეთთან. საჭირო იყო მხოლოდ თვით რუსეთის მიერ სათანადო აჭრივობის და ინიციატივის გამოჩენა. ასეთი აქტივობა საერთოდ კასპის სანაპიროსა და სპარსეთის მიმართ რუსეთს განსაკუთრებით ეტყობა მე-1780 წლებიდან. ამ

¹⁾ ცნობები ამოღებულია 1801 წ. რუსის ადმინისტრაციის მიერ შედგენილ ნუსხიდან საბაქოების შესახებ, AKAK. I, 481.

დროიდან რუსეთი ისევ ანახლებს თავის ცდებს კასპიის ზღვაზე შოლად გამატონების შესახებ, ეხლა უკვე ფართო და გარქვეული გეგმები¹⁾ ხელშეწევის ერთ-ერთი აშკარა გამოხატულება იყო ასტრაბალის უურეში 1781 წ.²⁾ ასე კერძოდ ესკადრის გავხავნა.

რუსეთის აქტივობის მიზეზი კასპიის ზღვაზე და საერთოდ სპარსეთის მიმართულებით იყო რუსეთის ეკონომიური ინტერესები სპარსეთში. მე-18 საუკუნის შეორე ნახევარზე რუსეთის აღებ-მიცემობა სპარსეთთან უკვე თვალსაჩინოდ იყო გაზრდილი. 1737—1745 წლებში რუსეთი სპარსეთში გავჭონდა წლიური და საშუალოდ $449\frac{1}{3}$, ათ. მანეთისა. 1792 წელს კი, მარტო ასტრაბანზე (ასტრახანი იყო რუსეთ-სპარსეთის ვაჭრობის მთავარი სატრანზიტო პუნქტი) გადიოდა სპარსეთისკენ 925 ათ. მან. საქონელი, ხოლო შემოდიოდა სპარსეთიდან 1,412 ათ. მანეთისაზე შეტი საქონელი¹⁾). ეს ციფრები²⁾ ცხად ჰყოფენ, თუ რამდენად გაიზარდა რუსეთის ინტერესი სპარსეთისადმი ეკონომიურ სფეროში მე-18 საუკუნის შეორე ნახევრის სიგრძეზე. ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომ რუსეთი უკვე მე-1780 წლებიდან სერიოზულად ფიქრობს ფეხის მოვიდებას არა მარტო კასპიის ზღვის დასავლეთ და სამხრეთ სანაპიროზე, არამედ ამიერ-კავკასიაში და კურძოდ ქართლ-კახეთშიდაც. სპარსეთის ბაზარის დაპყრობის მისწრაფება — აი მთავარი ლეიტ-მოტივი, რომელიც ამ დროს ასულდგმულებდა რუსეთის აქტიურ პოლიტიკის ამიერ-კავკასიაში.

ასეთს პირობებში ერეკლე II-ის მიერ ჯერ კიდევ მე-1770 წლებში წამოყენებული პროექტი რუსეთთან მფარველობით კავშირის დაზების შესახებ, თუ მაშინ რუსეთის მიერ უკუგდებულ იქმნა, ეხლა უკვე სპარსეთის მიმართ ახლად განცხოველებულ პოლიტიკურ და ეკონომიურ პერსპექტივების გამო თვით რუსეთვისთვისაც სულ სხვა მნიშვნელობას ღებულობდა. ეს იყო მიზეზი, რომ ეხლა თვით რუსეთმა შეუწყო ხელი მოლაპარაკების დაწყების ქართლ-კახეთთან. ამ მოლაპარაკებას, როგორც ცნობილია, შედევად მოჰყვა 1783 წ. რუსეთსა და ქართლ-კახეთს ზორის მფარველობითი კავშირის დადება. რუსეთი უკვე მკვიდრად ფეხს იკიდებდა ამიერ-კავკასიაში პოლიტიკურადაც.

რუსეთთან ეკონომიურ ურთიერთობის განმტკიცებას და თანდათან განვითარებას მოჰყვა პოლიტიკურ სიტუაციის შეცვლასთან ერთად თვალსაჩინო ცვლილებანი ქართულ კულტურულ ცხოვრებაშიც. სემინარიის გახსნა ტფილისში (1756 წ.) ამ მხრივ ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი იყო. 1760 წ., როგორც მოვიხსენიეთ, ერეკლე II-ის შეკვეთით გადათარგმნილ იქმნა ინპერატორ პეტრე დიდის დროს შედგენილი რუსეთის სახელმწიფო კოლეგიის დებულება. 1772 წ. ერეკლე II ცდილობს რეგულიარულ ჯარის მოწყობასაც. ეს ცდა წარმოებდა 1769—1772 წლებში საქართველოში მოსულ რუსის ჯარის მიბაძვით. ამ მიზნით ერეკლე II-ემ შეკრიბა ჯამავირის დანიშნით ათას ჯარისკაციდის. ზექმნა მათთვის ცალკე სამხედრო ფორმა რუსის ჯარის ფორმის წაბატვით, მაგრამ ქართული ტანისამოსის ხასიათის დაცვით, ჯარის უფროსებად დანიშნა კიდევ

¹⁾ Бутков, Материалы... II, 357.

ბლომად თავადები. ხოლო რაღანაც ეს უფროსები სამხედრო წესით განკუთნილი არ იყვნენ, ამას გარდა ინსტრუქტორებიც არსაიდან სჩანდნენ, ამიტომ ამ ცდისაგან არაფერი გამოვიდა¹⁾). საყურადღებოა, რომ რუსეთი არ ჰქონის სამხედრო რეგულიარულ ჯარის შექმნას, არა თუ ინსტრუქტორებს—მაგრამ მატერიალია, არამედ თავისი სამსახურში მყოფ მოხელეების წინააღმდეგ გამოძიებას ნიშნავდა, უკეთ ასეთ პირებზე ეჭვი იქნებოდა მიტანილი, რომ ისინი ქართველებს ზარბაზნების ჩამოსხმის გაუმჯობესების შესაბებ ცნობებს აწვდილნენ ანდა ქართველ მეზარბაზნებს ლაცეტზე ზარბაზნის დადგამს ასწავლილნენ²⁾. რუსეთის ასეთი ტაქტიკა გამოწვეული იყო აშეარა სურვილით, რომ სუსტ და სამხედრო თვალსაზრისით მოუწყობელ საქართველოს უფრო მეტად • ეკრძნო თავისი დამოკიდებულება ჩრდილოეთის დიდ იმპერიისაგან და მუდამ მისი, ხშირად მარტო ქალალდზე აღთქმულ დახმარების შემცერალი ყოფილიყო.

ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ ქართლ-კახეთი ამ დროს სრულიად აშკარად ცდილობდა თავისი სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრების ევროპეიზაციისათვის გზა გაეკვალა რუსეთის შუავობით და მისი დახმარებით. ფრიად საინტერესოა, სხვათ შორის, ის ახალი ტერმინები ან პირდაპირ რუსიციზმები, რომლებიც 1770 წლიდან შემოდის ერეკლე II-ის სახელმწიფო კანცელარიის სტილში, მაგ., კურიელი, კომისია, რეზოლუცია, პუნქტი, არმია, ფამილია, უკაზი, კონსოლი, ნამესნიკი და სხ.. საყურადოებო კიდევ ამ თვალსაზრისით ოფიციალურ ნიწერ-მოწერაში წმიდა რუსული სიტყვების შემოღება. მაგ., ნუფდა („რაც მოსახსენებელი ნუფდა გვაქვნდეს“, „ჩვენი შოთავენებულნი ნუფდინ“), გრანიცა და სხ. ³⁾)

რუსეთის ეკონომიკურ ურთიერთობის განვითარებას თან ყვებოდა საქართველოს წინ წარმოების მხრივაც. ჯერ კიდევ თეიმურაზ II-ის დროს, მაზასაღამე დაახლ. 1744—1760 წლებში, ტფილისში იხსნება ზარბაზნების და ყუმბარების ჩამოსხმელი ქარხანა. ჩვენამდის მთალწია ერთმა დიღმა ზარბაზნა, რომელიც ამ დროს იქმნა ჩამოსხმული თფილისში და რომელიც ამ უამად ტფილ. საისტორიო-საეთნოგრ. მუზეუმშია დაცული. ეს ზარბაზნი ამტკიცებს, რომ ხსენებულ ქარხანაში ამ დროს საქნე გვარიანად იყო დაყენებული. ზარბაზნის ქარხანა ტფილისში ახალი განიხლებული იყო; ყოველს შემთხვევაში 1700 წელს ტურნეფორის დროს ასეთი ქარხანა არ იხსენიება, თუმცა ამ დროს ტფილისში თოფის წამალს კი აკეთებდნენ, რისთვისაც გოგირდი მოჰქონდათ გან-

¹⁾ Цагарели, Грам., I, 57, 364. რუსეთის წარმომადგენელი ლკავი 1772 წ. რუსეთის პირველ მინისტრს ცოტაოთვებ დაცინების პილოთი ატჟობინებდა, რომ „Царь (Ираклий) многихъ новонабраныхъ въ сие новое солдатство (регулярное) грузиновъ одѣль въ новое платье подъ нашъ униформъ, разныхъ нашихъ службъ, а покроемъ здешнимъ построенное, и разделя их по толпамъ, опредѣ иль къ нимъ изъ здешнихъ князей неумеренное множество начальниковъ, кои какъ отми никакого порядка службы не разумеютъ, то сие зиведеніе и никакой пользы не обѣщаетъ“ (იბევ, 364).

²⁾ А. Цагарели, Грам., I, 311.

³⁾ А. Цагарели, Грамоты II, вып. I, 43, 49, 52, 74, 98, 120 და სხ.

жюри, гвардия и ки оშтвейбюлда ტფილისის ახლო მთებში¹⁾.

სამხედრო ქარხნები საქართველოში სხვა დროს წინადაც არსებობდა. ცნობილია, რომ კახეთის მეფეს ალექსანდრე II-ს მე-1590 წლებში ჭავჭავაძენის ჩამომახმელები²⁾). მთავარს ლევან II დადანს მე-17-ს, პირველ ხაზევარში, ლამბერტის სიტყვით, მოწვეული ჰყავდა ფრანგი ხელოსანი ამავე მიზნისავის. თუმცა თეიმურაზ II-ის. დროს ტფილისში განახლებული ქარხნა ტეხნიკურად საკმაოდ კარგად იყო მოწყობილი, მაგრამ აქედან გამოსული ზარბაზნები და სხვა სამხედრო მასალა მაინც ვერ შეედრებოდა რუსეთის ქარხნების მასალას. ყოველს შემთხვევაში 1770 წელს რუსეთის რეზიდენტი ტფილისში იაზიკოვი სწერს: «ტფილისში ასხამენ ზარბაზნებს, მორტირებს, ყუმბარებს, მაგრამ ისეთს რომ ოსმალურზედაც უარესია, თოვის წამალსაც აკეთებენ, მაგრამ ძლიერ ცუდს. ტუვია-მადანი მთავარ სპარსელებიდან, რეინა კი სპარსელებიდან და ოსმალებიდან, თუმცა საფიქრებელია რომ ქართლ-კახეთის გარემო მთებში ყოველგვარი მიღწეულობა უნდა იყოს»³⁾.

მე-1770 წლებში ქართლ-კახეთის საველე არტილერია 10 ზარბაზნიდან შესდგებოდა. არტილერია ემორჩილებოდა მინბაშს (ათასისთავს), რომელსაც თანაშემწედ ჟავდა უჩბაში (ასისთავი) და 60-მდე მეზარბაზნე. ზარბაზნები ხარებს დაჰქონდა. მაგრამ მალე არტილერიის საქმე თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა. უმთავრესად მოსკოვში სპეციალურად განსწავლილ პაატა ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით. ამ ანდრონიკაშვილმა გაიუსჯობესა ზარბაზნების ჩამომსხელი ქარხანა ტფილისში და მთელი არტილერია ხელისხმავ ჩამოასხა უკვე ეუროპიულ ყალიბის მიხედვით. 1786 წ. ბურნაშევის სიტყვით ქართლ-კახეთის საველე არტილერიას 12 ზარბაზანი შეაღვენდა, ხოლო მალე იმის შემდეგ საველე ზარბაზანთა რიცხვი 15 გახდა⁴⁾). არტილერიის გამგეს ეხლა უკვე მინბაშის მაგივრად პოლკოვნიკი ეწოდებოდა. პოლკოვნიკს მიყობოდა აფიცარი, კაპიტანი, სერეფანტი, უნტერ-აფიცარი და კაპრიოლი⁵⁾). მართალია საველე ზარბაზნები ისევ ხარებით დაჰქონდათ, მაგრამ არტილერია უკვე რამოდენადმე ევროპიულ წესზე იყო მოწყობილი.

ერეკლე II ცლილობდა ქვეითი და ცხენოსან ჯარში რუსული ჩინების შემოღვაბის ჯერ კიდევ 1772 წ.⁶⁾), მაგრამ მარტო სახელის დარქმევით ქართველი თავიდაზნაურნი ნამდვილ აფიცარებად, რასაკვირველია, უერ გახდებოდნენ. 1774 წელს კიდევ მთავრობა გადაეიდა მუდმივ მილიციის ჯარის სისტემაზე ეგრეთ წოდებულ მო-

¹⁾ Tournefort, Voyage... II, 134.

²⁾ Бѣлокуровъ, Сношенія Россіи съ Кавказомъ, 219.

³⁾ А. Цагарели, Грамоты I, 189.

⁴⁾ Бутков, Материалы, I, 287 წ. დავით ბატონიშვილის—მასალები საქართვ. ისტორ. ტრ. 1906 წ., 24—25.

⁵⁾ ამას ამტკიცებს ერეკლე II-ის მიერ მიცემული. ერთი სიგელი არტილერიის აფიცარობის შესახვებ გიორგი თემანოვის სახელზე. სიკელი, დაცული ტფილისის მთავარობივში, დაწერილია „ხელითა სენატორის სოლომონ ლიონიძისათა“.

⁶⁾ А. Цагарели, Грамоты, I, 357.

რიგე ჯარის დაფუძნებაზე. მორიგე ჯარს პირველად სარგებლობა მოუჭიონა, მიგრამ მე-1780 წლებში ამ ინსტიტუტმა, მუდმივ ჯარისთვის თვით სახელმწიფო ბრივ წყობილებაში სათანადო საფუძველის უქონლობის გამო, რომელიც უკინობის თუმცა ამგვარად ჩეგულიარულ ჯარის შექმნის ცდა, რას შესახებ დამარების გაწევის თხოვნით ერეკლე 1782 წელს მიმართავდა გერმანელების იმპერატორსაც, უნაყოფო გამოდგა, მთავრობამ მაინც შესძლო რუსული წესის მიხედვით საკმაოდ კარგი ორტილერიის შექმნა.

ზარბაზნის ჩამომსხმულ ქარხანასთან ერთად ტფილისში გაუმჯობესდა თოფის წამლის ტეხნიკურად დამზადების საქმეც. ეს გაუმჯობესება შეტანილ იქმნა რუსეთის სამსახურში მყოფ პოლკოვნიკის გერმანელ რეინეგსის დახმარებით. 1784 წლისთვის ტფილისის ქარხნის თოფის წამალი უკვე აღნიშნულია როგორც ძლიერ კერები ზარისხისა¹⁾.

სამხედრო წარმოების განვითარებას, ქართლ-კახეთის გაროულებულ პოლიტიკურ მდგომარეობისა და მუდმივ თავდაცვაზე ფიქრის გამო. მთავრობა რასა-კვირველია იქცევდა მთავარ უურადლებას. მაგრამ ამავე დროს წარმოების სხვა დარვებშიდაც ჩვენ ვხედავთ ერთგვარ წინსულას. მსენებულ რეინეგსმა მე-1780 წლებში შეიტანა ტეხნიკური გაუმჯობესება ტფილისის ზარაფხანაშიც, რომელიც ავრეთვე თვალსაჩინო წარმოებას წარმოადგენდა. ტფილისის სტამბაც კარგათ მუშაობდა. მარტო მე-1780 წლებში დაიბეჭდა 14 ათასი ცალი სხვადასხვა საეკლესიო წიგნი. ტფილისში იყო ავრეთვე რამოდენიმე ჩილის დამამზადებელი. და საქსოვი პატარა ქარხანა და სამღებროებიც.²⁾

დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა სამადნო საქმის განვითარებას. ჯერ კიდევ მე-1770 წლებში ერეკლე ცდილობდა განვითარებინა და გაუმჯობესებინა ახტალის მაღნების (ბორჩალოში) დამუშავება და ეს საქმე რაციონალურ ნიადაგზე დაეყუნებინა. მაგრამ ლექების თარეზების მუდმივ თავდასხმათა გამო მუშაობა იქ მაღლე შესწყდა.

მიუხედავად ამ დაბრკოლებისა, მთავრობა კიდევ შეეცადა საქმის მოწყობას. ასმალეთიდან, არზერუმის რაიონიდან, გამოწერილ იქმნენ ბერძნები — მემადნები, რომელთა ხელმძღვანელობით და მუშაობით 1778 წლიდან სამადნო საქმე გაიჩარჩა. მაღლე საქმე იმდენად განძტკიცდა, რომ 1780 წ. მაგალითად, ახტალის მაღნებიდან ხაზინას შეხვდა შემოსავალი 60,000 მანეთი, 1783—1784 წლებში კიდევ — 100 ათას მანეთიმდის³⁾). ეს თანხა შეადგენდა მაშინდელ სახელმწიფო ბიუჯეტის დაახლოვებით 22%—ს. მიარხანის შემოსევას 1785 წ. მოუვა ამ მაღნების წარმოების განადვურება და მემაღნე ბერძნების უმეტეს ნაწილის ამოწყვეტიდან ტყვედ წაყვანა. ამის შემდეგ ახტალის მაღნებში მუშაობა ძალზე შეფერხებული იყო, თუმცა მთავრობა მაინც ცდილობდა იქ წარმოების მოგვარებას.

¹⁾ Mémoires historiques et géogr. sur les pays situés entre la mer Noire et la mer Caspienne, Paris, 1797.

²⁾ G ü l d e n s t ä d t, Reise... I, 271, A. ცაგარელი, გრამოთი I, 189.

³⁾ რეინეგსის აღწერილობა საქართველოსი, ქართ. თაობ. „ივერია“ 1879 წ. № 4, გვ. 150; П. Б у т ხ о в.—Мат. для ист. Кавказа II, 188.

საყურადლებოა, რომ რუსეთთან ეკონომიურ ურთიერთობის განვითარებას მოყვა ტფილისის სავაჭრო მნიშვნელობის გაზრდაც. ამ თვედამცხოვრულ საინტერესოა, რომ მაშინ როდესაც 1705—1709 წლებში ტფილის მნიშვნელობა 1786 წ. უკვე 500 დუქანი იყო, ხოლო 1803 წელს, მიუხედავად ტფილისის მიერ აღა-მავმად-ხანის შემოსევის დროს გამოვლილ საშინელ და მთლად მომსპობ აოხრებისა, ქართლ-კახეთის დედაქალაქში მაინც 574 სავაჭრო დუქანი არსებობდა.

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთთან საქარავანო გზის გახსნის შემდევ ქართლ-კახეთის ეკონომიურ ცხოვრებას ეტყობა თვალსაჩინო გამოცოცხლება. კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრების ნორმები თანდათან ავრეთვე იწყებენ რუსეთისაკენ გადახრას. ტფილისის სემინარიას მოყვა 1783 წ. თელავის სემინარიის გახსნა, სადაც 1791 წელს ორ ათეულზე მეტი მოწაფე ითვლებოდა. ამასთან ერთად სჩანდა, როგორც ვნახეთ, სამხედრო წყობილების და მართველობის ევროპიულად მომართვის ცდაც.

საყურადლებოა, რომ ჩვენ პარალელურად ყველაფერ ამისა მართებლობის წრეებში ვხედავთ რუსულ სახელების და ტიტულების შემოღების ცდას. 1789 წელს სოლომონ ლიონიძე იხსენიება როგორც სენატორი, 1790 წ. იგივე პირი ვიცე-კანცულერად იწოდება, შემოდის ავრედვე სიტყვა ქნიაზი თავადის მაგივრად, ზოგიერთი თავადები თავისს გვარს რუსების მიბაძვით უკვე რუსული დაბოლოვებით ოვ ხმარობენ. 1797 წ. იღალვ ყორლანაშეილი გრაფის ტიტულს ატარებს¹⁾). რუსული გავლენა ამგვარად, მართალია ჯერ-ჯერობით მხოლოდ მოწინავე წოდებაში, თანდათან ფეხს იკიდებდა და ისიც რუსეთის წესების თავისებური მიპაძვის ცდით. ამასთან ერთად, შემოვითა, როგორც ვნახეთ, ჯერ-ჯერობით მაღალ წრეების შინაურ ცხოვრებაში და ისიც საკმაოდ ნელა ევროპიული წესებიც.

რუსეთთან ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობის გაძლიერება თავისებურ გავლენას იხდენდა ქართლ-კახეთის ეკონომიურ ძალთა დაჯგუფებაზე. ამ ურთიერთობის გაძლიერების გამო კერძოდ ტფილისის სავაჭრო მნიშვნელობა თვალსაჩინოდ იზრდებოდა (მე-18 ს. დასაწ., როგორც ვნახეთ, ტფილისში 200 დუქანი ითვლებოდა, 1786 წ. იქ უკვე 500 სავაჭრო დუქანი ირიცხებოდა). საყურადლებოა, რომ ტფილისის სავაჭრო მნიშვნელობის ზრდა სრულიადაც არ შეეფერებოდა ქართლ-კახეთის ეკონომიურ ეითარებას მე-18 საუკ. უკანასკნელ მესამედში, შედარებით ამ საუკუნის დასაწყისში დასადასტურებლად შესაძლებელ ეკონომიურ მდგომარეობასთან. თუ რა მდგომარეობაში იყო ამ დროს ქართლ-კახეთი ეკონომიურად შედარებით მე-18 საუკ. დასაწყისთან, ამის რამოდენადმე მაინც გასათვალისწინებლად საინტერესოა მე-18 საუკუნის სხვადასხვა დროის სივრცეზე ქართლის სამეფოს სახელმწიფო რესურსების ერთმანეთის შეფარდება და ავრედვე ამასთან დაკავშირებით ქართლ-კახეთის მთავრობის საფინანსო პოლიტიკის ზოგიერთ ხაზების რამოდენადმე მაინც გარკვევა. 1700 წელს ქართლის სახელმწიფო შემოსავალი დაახლოვებით შეიძლება ნავარაუდევი იქმნას, როგორც ვნახეთ, 25 ათ. მანეთამდის. ამ დროს აბაზი შეიცავ-

¹⁾ საქართ. სიძვ. III, 397—398.

და 9%, დანგ ვერცხლს. 25 ათ. მან. მაშასადამე იქნებოდა 1200 ათასი/დანგ ვერცხლის შემცველი¹). მე-1720—1740 წლებში ქართლ-კახეთის ფინანსოურად ძალიან ცუდს მდგომარეობაში იყო. მთაერობა იმიტომ კუთხით დაცულის წონის დაკლებას მისი ნომინალურ ღირებულობის დატოვებით, რათა ხაზინის საჭმე დროებით მიინც გამოსწორებულიყო. ამის მიხედვით 1749 წელს ტფილისში მოჭრილ იქმნა აბაზიანი უკვე 6%, დანგ ვერცხლის წონისა²). როგორც ზემოდ მოხსენებული იყო, სპარსეთი ამ დროს სისტემატიურ დაცუმის ხანას განიცდიდა. ეს ეკონომიური დაცემა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ოსმალეთის პროვინციებშიცაც. თავის ზედმოქმედებას ახდენდა საქართველოზედაც, ამ უკან დამხევ პროცესის შესანელებლად ქართლ-კახეთისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთთან ახლად გამართულ საქართველო ვნას. მავრამ რუსეთის და განსაკუთრებით სპარსეთის უკან დახევა ისეთი მძლავრი ტემპით წარმოებდა. რომ საქართველო და კერძოდ ქართლ-კახეთი, მიუხედავად მე-1750—1760 წლებში საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებისა, ძლიერ ახერხებდა სწორწონობის დაცვას და თავისი ეკონომიურ ვითარების ერთ დონეზე მაინც შენარჩუნებას. ამ მხრივ, მაგალითად საყურადღებოა, რომ 1769 წელს და მის ახლო ხანებში ქართლ-კახეთის წლიურ სახელმწიფო შემოსავალს შეადგენდა: 10 ათ. მან. განჯის ხარჯი, ათ. მან. ერევნის ხარჯი, 10 ათ. მან. ტფილისის ზარაფხანიდან, და ამას გარდა სხვადასხვა სახელმწიფო გარდასახადებისაგან 90-ათ. მან., სულ 150 ათ. მან. ხოლო 1700 წ. ახლოს, როგორც მოხსენებული იყო, ქართლის სამეფოს წლიური შემოსავალი უდრიდა 25 ათ. მანებს. ამ ციფრთან დასაპირდაპირებლად უნდა მხედველობაში მიღებულ იქმნას 1769 წლის სახელმწიფო შემოსავალის სათანადომუხლების ციფრები: ზარაფხანისა, საბაკოს ხოლო სხვადასხვა გარდასახადთაგან საერთო ჯამის ნახევარი, რაღვან მე-18 საუკუნის დასაწყისის ქართლის ტერიტორია 1769 წ. შეიცავდა მთელი ქართლ-კახეთის სამეფოს მოსახლეობის ნა-

¹) პირველ თავში ქართლის სახელმწიფო შემოსავალი 1700 წ. 24 ათ. მინალთუნი შეცომით ვერცხლუე გადატანით ნაჩვენები იყო 23125 ათასი. დანგი, ხაცულაუ 1200 ათასი დანგისა (რნათ. № 2, გვ. 222). ამისას მიხედვით, თუ ეიქონიებთ შედეგელობაში შემდეგ ცრუნდებულ ქართლის ტერიტორიის ხარჯის რაოდენობას 1254 წლ. აბლოს 15,8 მილ. დანგს გვიცხლს, მე-1330 წლებისთვის—2,07 მილ. დანგს. ხოლო 1700 წლისთვის ქართლის სამეფოს შემოსავალს 1,2 მილ. დანგ ვერცხლს, მიერდებთ ქართლის გარდამხდელობით შესაძლებლობის კუთარებებას მე-18 საუკუნის დასაწყისისთვის შედარებით მე-13 საუკუნესთან თითქმის ერთი ორად, ხოლო შედარებით მე-1250 წლებთან დაახლოებით 13-ჯერ. შედეგელობაში მისაღები აგრეთვე, რომ მე-18 საუკუნის დასაწყისისთვის შედარებით მე-13 საუკუნესთან უკლი თვალსაჩინოდ გაიაფებული იყო. ფულის ეს გაიაფება თარს უკიდურეს თარიღს 1259 წ. და 1705—1709 წლებს შორის ღვინოს არსებულ ფასების მიხედვით შეიძლება ნაანგარიშები იქმნას. ერთეულის მხრივ ღიტრი საწყობებები დამყარებით ერთი ოთხად (იქვე, გვ. 223). ხოლო უკლი საწყოს ერთეულად ღვინის ფასის შესახებ არსებულ ცნობების შეფარდების მიხნით, ლიტრის საჭომის ცვალებადობისა და მე-13 საუკუნისთვის დეტალურად გამოუკიდებლობის გამო, კოკა იქმნება ნაგულისხმევი, მაშინ ფულის გაიაფება ამავე თარიღში (1259 წ. და 1705 წ. ახლ.) გვეხატება ურთი ორად

²) Gildenstadt, Reise...I, 358.

ხევარად 1700 წლის ახლო დროის ქართლის შემოსავალს /25 ათას მანეთს 1769 წელს უპირდაპირდება 65 ათ. მანეთი. 1769 წელში ფხლობს აბაზი, ფინანსიურ მოსახრებათა გამო კიდევ უფრო შემცირებული ჭიშმიში საჭიროდა. 1770 წელს, მაგალითად, აბაზი გარკვეულად 4%, დანგს იწონიდა²⁾). აბაზის წონა მე-18 საუკუნის პირველ წლებიდან კიდრე 1770 წლამდის. შემცირდა ამგვარად 2,1-ჯერ. ამისდა³⁾ მიხედვით ქართლის შემოსავალი 1769 წელს 65 ათას. მან. (=1393 ათ. დანგი ვერცხლი) მხოლოდ ოდნავ აღემატება 1700 წლის ახლო დროის შემოსავალს 25 ათ. მანეთს (=1200 ათ. დანგ. ვერც.).

ამნაირად, მიუხედავათ იმისა, რომ მე-1744—1770 წლებში ქართლ-კახეთის საერთო მდგომარეობას, განსაკუთრებით პოლიტიკურ ვითარების თვალსაზრისით, ეტყობა თვალსაჩინო გაუმჯობესება, მათც მე-1720—1730 წლებში გამოვლილი აოსტებათა შედეგები იგრძეთვე წინა-აზიის უკანდახევის პროცესის ზედგაელენა იმდენად დიდი იყო, რომ ქართლ-კახეთი მე-1760 წლებში ძლივს ახერგებდა თავისი ფინანსების მიუვანას ნაზარალი-ხანის დროინდელ (1700 წლ. ახლოს) დონემდის. მაგრამ ეს მხოლოდ ვერცხლის რაოდენობის ანგარიშით. ნამდვილად კი მე-18 საუკუნეში, რუსეთთან თანდათან განვითარებულ ეკონომიკურ ურთიერთობის გამო და ევროპაში დიდი ხანია უკვე დაწყებულ ვერცხლის გაიფების პროცესის ზედგავლენით, ვერცხლი ჩვენშიდაც იწყებს თვალსაჩინოდ გაიაფებასა და მსყიდველობითი შესაძლებლობაც ვერცხლისას საერთო ეკონომიკურ გაჭირვების გამო ზოგიერთ ხანებში ძლიერ დაცვემული იყო. 1705—1709 წ. ვახტანგის კანონების მიხედვით ლიტრა პური ქართლში ლირდა 0,15 შაური (0,86 დანგი ვერცხლი), ხოლო 1772 წ. გულდენშტერის ცნობით — 0,8 შაური (0,36 დანგი ვერცხლი). ნომინალურად პური გაძვირებულა—ლიტრა 0,15 შაურიდან 0,8 შაურამდის, ხოლო ნამდვილად კი ვერცხლის მსყიდველობითი შესაძლებლობა დაცემულა $2\frac{1}{2}$ -ჯერ. როგორც ზემოთ ენიხეთ, 1700 წლის ახლო დროინდელ ქართლის ქართლის სახელმწიფო შემოსავალს, ვერცხლზე გადატანით 1200 ათ. დანგს, 1769 წლისთვის უდრის ბიუჯეტის სათანადო მუხლების შეფარდებით დაახლოვ. 1400 ათ. დანგი ვერცხლი. რადგანაც ამ ხნის განმავლობაში მსყიდველობითი შესაძლებლობაც ეერცხლისა დაცემულა $2\frac{1}{2}$ -ჯერ, ამიტომ ჩვენ მივიღებთ სახელმწიფო შემოსავლის შესახებ ცნობების მიხედვით 1769 წლისთვის ზედარებით 1700 წლის ახლო-ხანისთან ქართლის ეკონომიკურ და ფინანსიურ მდგომარეობის არსებითად გაუარესებას და ისიც თვალსაჩინოდ.

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ თუმცა ქართლ-კახეთი მე-1760 წლებში ახერხებდა თავისი ფინანსიურ ნორმის მიუვანას მე-18 საუკუნის დასაწყისის დონემდის, მაგრამ არსებითად სამეფო ხაზინის მდგომარეობა თვალსაჩინოდ გაუარესებული იყო.

მე-1770 წლებში, ქართლ-კახეთის შინაური მდგომარეობა რამოდენადმე გაუმჯობესდა. ამას ხელი შეუწყო ცხოვრების შედარებით ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებამ და მშვიდობიანობის დამყარებამაც, მაგრამ ფინანსიურ რესურსე-

¹⁾ ს. კაკაბაძე, კვლევა-მიებანი, 31.

²⁾ Gildenstätt, Reise... I,

ბის თვალსაჩინოდ აწევა მაინც არ ხერხდებოდა. 1785 წ. ქართლ-კახეთის სახელმწიფო შემოსავალი განჯა-ერევნის ხარჯითურთ 400 ათ. მან. ქართლ-კახეთის სახელმწიფო ბურნაშევის ცნობით ღირდა 15 კაპ. ლიტრი (3,2 ლანგი ვერც.), ფული, მაშასადამე, შედარებით 1770—წლებთან გაიაფდა $2\frac{1}{2}$ -ჯერ. 1769 წლის სახელმწიფო შემოსავალი გარდა განჯა-ერევნის ხარჯისა—110 ათ. მან. უდრიდა 1785 წ. თავისი ღირებულობით 275 ათ. მან., მართლაც თუ ზემოდ ნაჩვენებ ციფრს 1785 წლის შემოსავლისას—400 ათ. მანეთს—გამოვაკლებთ განჯა-ერევნის ხარჯს (40 ათ. მან.) და ახტალის მაღნების შემოსავალს (ამ დრომ ახტალის მაღნები აობრდა ომარ-ხანის მიერ და ამიტომ მათი შემოსავალი ძალზე შესუსტებული იქნებოდა), მივიღებთ ფინანსიურ მდგომარეობას 1785 წლ. ახრო დროისთვის დაახლოებით წინანდელ დონეზე.

ზემოდ მოხსენებულიდან ცხადად სჩანს, რომ მიუხედავად რუსეთთან საქართველო გზის გახსნისა და მაშასადამე ეკონომიურ ურთიერთობის განვითარებისათვის ახალ შესაძლებლობათა მიღებისა ქართლ-კახეთი ჩიხში იყო მომწყვდებლი და ვერ ახერხებდა თავის ეკონომიურ მდგომარეობის თვალსაჩინოდ გამავრებას. ამისი მთავარი მიზეზი იყო სპარსეთის და საზოგადოდ წინა-აზიის სწრაფი ნაბიჯით ეკონომიურად უკანსვლა. ამ უკანდახევის პროცესის ცხადი მაჩვენებელი იყო სხვათა შორის მოსახლეობის დიდის სისწრაფით დაკლება სპარსეთში. როგორც ნაჩვენები იყო, მე-18 საუკ. დასასრულს სპარსეთში ირიცხებოდა 10 მილიონი მცხოვრები, ხოლო ერთი საუკუნის წინ 3—4 ჯერ მეტი მოსახლეობა იყო. დიდი ქალაქები სპარსეთში და საზოგადოდ წინა-აზიაში შემცირდნენ, დასუსტდნენ, ეკონომიური ცხოვრების მაჯისცემა მინელდა. სატახტო ქალაქები ისპაანმა, რომელიც 1722 წლამდის 600 ათ. მცხოვრებს შეიცავდა, დავირვა თავისი წინანდელი მნიშვნელობა, მისი მოსახლეობაც ძალზე შემცირდა. აზერბეიჯანის მთავარი ქალაქი თავრიზი შარდენის სიტყვით 1673 წ. შეიცავდა სულ ცოტა 550 ათ. მცხოვრებს, ხოლო მე-19 საუკუნის დასაწყისში თავრიზში ირიცხებოდა სულ 30—50 ათ. მცხოვრები¹). ფრიად დამახასიათებელი ფაქტია, რომელიც ცხად ჰყოფს სპარსეთის უკანდახევის პროცესის სიღრმეს მე-18 საუკუნეში.

მაგრამ არა მარტო სპარსეთი, ოსმალეთის მცირე-აზიაც მე-18 საუკუნეში თანდათან კიდევ უფრო ღარიბდებოდა და უკან იხევდა. მე-15—16 საუკუნის მიჯნაზე მსოფლიო ისტორიაში გარდატეხის გამომწვევი ფაქტორები, რომელთა შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი, აღმოსავლეთ ქვეყნებისთვის თავისი შედეგებით 2—3 საუკუნის შემდეგაც განავრმნობდნენ წინა-აზიის ცხოვრებაზე ხედგავლენის მოხდენას.

წინა-აზიის ცხოვრების ამ გვარ არევ-დარევას და უკან დახევას გავლენა ჰქონდა საქართველოზედაც. საქართველოც მოცული იყო დიდი ეკონომიური კრიზისით. ის გარდატეხაც ქართველი ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში, რომელსაც ამზადებდა რუსეთისაკენ მიმავალი საქართველო გზა, უმტკიცენეულოდ არ ტარდებოდა. მაგრამ მაინც რუსეთთან ეკონომიურ ურთიერთობის განმტკიცებას

¹⁾ В. Бартолъя, Историко-геогр. обз. Ирана, 148.

ჰქონდა დიღი გაჯანმსალებელი მნიშვნელობა ქართლ-კახეთისთვის. მაშინ როდესაც დაცუმის გზაზე დამდგარი სპარსეთი და საზოვალოდა წარმოშობის საქართველოს უკან ექაჩავებოდა, ამ დროს ქართლ-კახეთი ახერხდილი ასული ეკონომიურ ურთიერთობის გაძლიერებით, სწორწონაობის თუ მთლად არა, რამდენადმე მაინც შენარჩუნებას. ფრიად საყურადღებოა ამ მხრივ ცნობები ტფილისის საბაჟოს შესახებ. 1700 წელს, როდესაც რუსეთთან არავითარი ეკონომიური ურთიერთობა არ იყო, ტუილისის საბაჟოს რეგულიარული შემოდიოდა წლიურად 5 ათ. მან., მაშინდელი საზომით 240 ათასი დანგი ვერცხლი, 1769 წელს კიდევ, რუსეთთან ეკონომიურ ურთიერთობის განმტკიცებისას, ამავე საბაჟოს შემოდიოდა 10 ათ. მან., ანუ მაშინდელი საზომით დაახლ. 214 ათ. დანგი ვერცხლი. ამ ცნობის მიხედვით საფიქრებელია, რომ წინა-აზიის უკან დამხევ ეკონომიურ პროცესის ზეგავლენა საქართველოზედაც ინდენად დიდი იყო, რომ ქართლ-კახეთი რუსეთთან ეკონომიურ ურთიერთობის შემდეგაც ვერ ახერხებდა საქონლის გაცვლა-ვამოცვლის ოპერაციების საესებით წინანდელ დონეზე შენარჩუნებას. მით უმეტეს, მაშასადამე, მნიშვნელოვანად სჩანს ქართლ-კახეთის ამ დროინდელ ეკონომიკისთვის რუსეთთან დამაკავშირებელი ძაფები.

ეკონომიურ პირობების ასეთ გართულებას ემატებოდა ქართლ-კახეთის მძიმე სამხედრო მდგომარეობა. რომელსაც განსაკუთრებით ამწვავებდა დალისტნის ლეკების მუდვი თავდასხმანი. ჯერ კიდევ 1763 წ. იქსე მდივანი სწერს: „ავი დრო იყო, ყოველ დღე დამხობას მოველოდით, ლყევისაგან იკლებასა, საქართველოს სრულიად დაჭერასა, კარგი არა ჩნდა რო მეფის ჭკუისა და ლუთის მიწოლის მეტი. ყოველ დღე დიდ ჯარებს გამოველოდით და საქართველოს წალეკვასა და ჩვენს იკლებასა და დატყვებასა და დიდი გამარჯვება იქნებოდა, თუ რუსეთს დავიკარგებოდით“¹⁾.

ასეთს პოლიტიკურ მდგომარეობას თან ერთოდა დიდი ეკონომიური გავირვება. იქსეს მემუარებში საკმაოდ ბლომად არის ცნობები მაშინდელ მემამულე თავადების დიდ გაჭირვების შესახებ. მანუჩარ სოლოლაშვილი 1763 წელს დასდევს იქსეს მამულების ერთი ნაწილის მისასყიდად. „დიდის ფიცით შემომლიცა, ამბობს იქსე, ზვილი უძუძური მიკვდება, ძიდა გამექუაო და მე ორი დღე არის პურიც არა მქონიაო“²⁾. 1770 წ. რუსეთის რეზიდენტი იზიკოვი სწერს: „ხალხი ქართლ-კახეთში ძლიერ ლარიბია, გლეხები ძლივს თვეში ერთხელ ერთ ნაჭერ ხორცს მოიხარვენო. ტანისამოსს და პერანგს სრულ დაფლეთამდის იტარებენო. თავადები ბევრი არიან, მაგრამ ნახევარზე მეტი ისე ლარიბია, რომ მთელი დღეობით უკმელი სხედანო“³⁾.

მე-1770 წლების მიწურულში ქართლის ზოგიერთ კუთხეს ხორბლეულობის დიდი უმოსავლობა ეწვია. ეს უმოსავლობა გაგრძელდა 1780 — 1786 წლებშიდაც. საყურადღებოა ამ დროინდელ ეკონომიურ ქრიზისის დასახასიათებლად იგივე იქსე მხაჯულის (წინად, მდივნად უოფილის) მემუარები.

¹⁾ თავგადასავალი იქსე ოსესშვილისა, ს. კაჭაბაძის გამ., 53.

²⁾ იბევ, 54

³⁾ A. Цагарели, Грамоты I, 189—190.

იესეს მისი მამულებიდან წელიწადში 500—600 კოდი მარტო მურამი კოგბოდა, მაგრამ 1780 წ. იესე სწერს: „ამ ზამთარ პურის სყიდვაშ საქცევაში ჭირდებოდა მოსავალი სრულებით არ მომივიდა. შინდური (სოფ. შინდისის) კულტურულ 20 კოდი, ტაგნაგური 20 კოდი, ღილმური 10 კოდი. ზოგი დაითესა და ზოგი იმავ თევს დაიხარჯა და წლამდის ლიტრას აბაზად ვსყიდლობდი.. „ლუინოს თუნგს ხუთ შაურად, ხორცი ექვს შაურად დღეში, ქერს ორშაურნახევრად. ღილაზე რომ ავდგი, ხაში მინალთუნი მივეცი მოსამსახურებს, სალამოზედ ეგების მორჩომოდათ ერთი აბაზი და ზან არც ის“¹⁾

იესე მსაჯული ტფილისში ცხოვრობდა და აქ მოხსენებული ფასებიც ტფილისის ბაზრის დამახასიათებელია. მაგრამ სიყურადლებოა, რომ მაშინ როდესაც 1772 წ. ტფილისში ლიტრა (9 გირვ.) პური ღირდა ქართულ ფულზე დაახლოვებით შაური (4,8 კაპ.) 1780 წ. ივივე პური აბაზი ღირებულა, ხორცი 1772 წ. ტფილისში ლიტრა სამი შაური ღირდა, 1780 წ. კი— 6 შაური²⁾.

მოუსავლიანობა და საერთო კრიზისი შემდეგ წლებშიც გრძელდებოდა. 1785 წ. იგივე იესე მსაჯული თავისი სოფლების შესახებ სწერს: „ამ წელს პური სრულობით არ მოგვივიდა, ღმერთმან შეგარცხვინოს ტაგნაგეთო, ასურეთო, შინდის-ტაბახმელავი ოთხ სოფელში ოცი კოდი პური მოსულიყო. დღე და ღამ ბაზარზე ვსყიდულობ ყოველსფერის, ღიდად საქმე გამიჭირდა, დღეში 3 მინალთუნი იხარჯება. შარშან კიდევ ძველი გვამნდა, წელს ალარც ძველია, არც ახალი და ვსყიდულობ“³⁾.

ეს ფაქტები, საილუსტრაციოდ მოყვანილი, საკმაოდ ცხად ყოფენ განსაკუთრებით მე-1780 წლებში ქართლ-კახეთის ცხოვრებაში დამდგარ ეკონომიკურ კრიზისს. კრიზისი იყო იმდენად თვალსაჩინო, რომ ქალაქებიდან ხალხი გარბოდა. 1784 წ. ერეკლე მეფე იძულებული იყო განსაკუთრებული პრძანება გამოეცა ტფილისის და გორის მოქალაქეთა მიზართ, რომ ამიერიდან ვინც ქალაქიდან აიყრება სხვაგან გადასასახლებლად, მას მამული ჩამოერთმევა და მთავრობის ნებართვით სხვაზე გაიკიდება.

ქალაქთა ცხოვრების კრიზისს რამოდენადმე ახასიათებს მცხოვრებთა რიცვის თანდადანობით შემცირება ქართლ-კახეთის თითქმის უველა ქალაქებში. 1770 წ., მაგალითად, ტფილისში ირიცხებოდა 4 ათ. კომლი, ხოლო 1780—1781 წლებში მხოლოდ 3478 კომლი, გორში 1770 წ. 500 კომლი იყო, ხოლო 1794 წ. მხოლოდ 227 კომლი. ჭ. ახალგორში 1770 წ. 100 კომლი იყო, ხოლო 11 წლის შემდეგ—88 კომლი. მუდმივ აოხრებათა გამო საერთო ცხოვრების ზრდაც საშეფოში შეჩერებული იყო.

საერთო ეკონომიკურ გაჭირვების გამო მუშა-ხელის რეალური საფასეც ამ დროს ფრიად დაცუმული იყო. 1780 წ. მაგალითად მუშა-ხელი ღირდა დღეში

¹⁾ იესეს თავგადასავალი, 121—122. იესეს ჯალაბი შრავალრიცხვანი იყო, აჯახში მას ჟავდა 4 კომლი მოსამსახურე.

²⁾ 1772 წლის უახები ამოდუბულია გულფენშტეტის ცნობებისან Reisen... I, 271) და გამოანგარიშებული კურსსე გადატანით.

³⁾ იესეს თავგადასავალი, 136.

ორთა შეა რიცხვით 17—22 კაბ.¹⁾, რაც შედარებით მე-18 საუკუნის დასაწყისის ცნობებთან იძლევა მუშა-ხელის საფასის თვალსაჩინო ვარარესებას. 1705—1709 წლებში მუშა-ხელი ქართლში და ტფლისში დღეში ღმრთებულების შაური, ხოლო ერთი ლიტრი პური ამავე დროს ფასობდა ტრაქიულისში 1 მასა. შაზასადამე, მე-18 საუკუნის დასაწყისში თავისი ხელფასით თითქმის შეიდი ლიტრი პურის ყიდვა წევდლო. 1780 წ. ლიტრი პური ტფლისში, როგორც ვნახეთ, ღირდა აბაზი და 1787 წ. საზოგადოდ ქართლში — 3 შაური. შეშას იმ დროს მაშასადამე თავისი ხელფასით შეეძლო დაახლოვებით მხოლოდ ერთი ლიტრი პურის ყიდვა. მდგომარეობა ამნაირად იყო კატასტროფიული გაუარესებული და გასაკვირველი არ არის, რომ კერძოდ ქალაქებიდან იმ დროს ვისაც კი შეეძლო გარბოდა. თუმცა მთავრობა, როგორც ვნახეთ, იხერხებდა სახელმწიფო ფინანსების ერთ დონეზე გაჩერებას, მაგრამ ეს ხდებოდა გარდასახადების პრესის გაძლიერებით და ამავე ვარდასახადების ენერგიულად მოკრებით. მთავრობას სხვა გზა არ ჰქონდა, რაღაც მარტო ლეკების ტომების და მათი ბრძოების შემოსევათა შესაჩერებლად ხაზინა ხარჯავდა მე 1780 წლებში 60—100 ათ. მანეთს, ე. ი. თავისი ბიუჯეტის დაახლოვებით მეოთხედს. მაგრამ ასეთი დიდი ხარჯიც ვერ აჩერებდა ლეკების ბრძოებს. თუმცა ერეკლეს მუდმივ დაღისტნიდან 60 ამანათი ყავდა, მაგრამ ლეკეთა თარეშები მაინც გრძელდებოდა. ჯამაგირის მისაღებად კიდევ მოდიოდა ლეკების რაზმი 500 კაცისაგან შემდგარი, რომელიც თვითონ ტფლისში დაუსჯელად სჩიდიოდა სხვადასხვა ძალადობას და მკვლელობასაც კი²⁾). თუმცა 1784—1786 წლებში ქართლ-კახეთში, რუსეთთან დადებულ მფარველობითი კავშირის შემდეგ, რუსის ჯარიც იყო. მაგრამ საერთო მდგომარეობა გაინც უნუგეშოდ სჩინდა. ხალხის ძალა მოდუნებული იყო და ამდენ კრიზისებს ვერ უძლებდა. „დიდება შენდა ყოვლის მპყრობელო ღმერთო, სწერს 1785 იგივე იესე მსაჯული. შეწუხებული ქართლ-კახეთის ხელ-ფეხ შეკრულობით,— რამ დაგვახამუხა, არ ვიცი. ჩვენ ისიც ქართველნი ვართ და კაბნი და არა მოგვკლებია რა. დიდის ხელმწიფის (რუსეთის) ჯარი არის დიდრონისა და წვრილის ზარბაზნით და ათასხუთასი ქვეითი ასეთი ჯარი, რომ დიდად ომის მოსწრავენი და უცხოდ ხელის გამომლებნი... რამ შეგვკრა, რამ გვიქმნა, არ ვიცი“³⁾).

ასეთ გართულებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას თან დაერთო მტკიცე სახელმწიფოებრივ აპარატის შექმნის სინერგიე ადგილობრივ ძალებით. თეომურაზ II-ისა და ერეკლე II-ის დროს ქართლ-კახეთი ცხადად უახლოვდება ფეოდალურ წყობილების ნორმების ლიკვიდაციის საჭიროებას. არავის საერთო მოსპობას ჯერ კიდევ 1743 წ. და შემდეგ 1777 წ. ქსნის საერთო მოსპობას გაუქმება წარმოადგენდა ფეოდალურ წყობილების ძირითად ნორმების ლიკვიდაციის დიდ ნაბიჯებს. საზოგადოდ რეფორმატორული მიღრეკილება მკეთრად ახასიათებს ქართლ-კახეთის სამეცოს მართველობას მე-18-იე საუკ.

¹⁾ მთავარ არქივში დაცულ მასაღების მიხედვით.

²⁾ ცენტები ამოღებულია ვახტანგის კანონებიდან (§ 129, 130).


³⁾ ი. ბუტკოვ, მათერ. და ისტ. კავკ. II, 119.

⁴⁾ თავგადასაც. იესეკო, 136.

მეორე ნახევარში. ეს მიღრეკილება გამოიხატა მუდმივ სამილიციო (ჭორივი) ჯარის დაფუძნების ცდაში, სასამართლოს ნაწილობრივ ორორჩევის მიზანი ედი-ვანბეგების ინსტიტუტის შექმნით, ტუილისის და თელავის მსუბუქი მუშაობების გახ-სნაში მომზადებულ პირთა წევების შესაქმნელად და სახელმწიფო ცხოვრების სხვა ასეთი ფაქტებში. მაგრამ სახელმწიფო წესების გარდაქმნა ახალი მოთხოვნილების მიხედვით საკუთარი ძალით აღმ. საქართველოსთვის ძლიერ ძნელი იყო. ქართლ-კახეთის ცხოვრების ზედაპირზე არ იყო ისეთი ელემენტი, რომელიც გასწევდა ფეოდალურ წრეების მაგიურობას და რომელიც უზრუნველ-უოფდა ახალი ცენტრალისტურ მართველობის დამყარების საემს. მოქალაქობ-რივი ცხოვრების ქალაქებში და კერძოდ ტუილისში თავისებურ მიმართულებას აძლევდა ის გარემოება, რომ ქალაქებში ქართველობა ნაკლებ ცხოვრობდა. ამას თავისი ისტორიული მიზეზები ჰქონდა, მაგრამ რაღვანაც ვაჭრობა-მრეწველობა თუ თითქმის მთლად არა, უმთავრესად მაინც არა-ქართველების ხელში იყო, ამიტომ სახელმწიფო ძალას უძნელდებოდა სახელმწიფო აპარატის ახალ ცენტრალისტურ და იმავე დროს ეროვნულ გეზზე მომართვის მიღრეკილების დროს საქალაქო ელემენტებშე სავსებით დაყრდნობა. მართალია, მე-18 საუკუ-ნები ჩვენ ვხედავთ კერძოდ ტუილისში ქართულ ელემენტის თვალსაჩინო ზრდას. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ მაშინ როდესაც 1700 წ. ტურნეფორის ცნობით ტუილისის 20 ათას მცხოვრებთაგან 70% იყო სომხობა, 15% თათრობა და 10% ქართველობა, 1772 წ., როგორც გულდენტეტის ცნობებიდან საგულისხმე-ბელია, ტუილისში სომხობა იყო დაახლოვებით იმავე რაოდენობისა, მეორე აღ-გილი ეჭირა უკვე ქართველობას და მესამე თათრობას, ხოლო მე-18—19 საუკ-შივნაზე, როგორც ეს 1802 წელს რუსების მიერ მოხდენილ ტუილისის ვრცელ იღწერის ცნობებიდან სჩანს, სომხობა ტუილისში ყოფილი $74,3\%$, ქართველობა $21,5\%$, ქართველ-კათოლიკები $1,3\%$ და თათრები $2,2\%$. ამვეარად ჩვენ ვხე-დავთ, რომ მე-18 საუკუნის სიგრძეშე მოქალაქობრივ ცხოვრების წინსვლა და საზოგადოდ ქართლ-კახეთის ცხოვრებაში დაწყებული მიღრეკილება ფეო-დალურ ნორმებიდან თავის დაღწევისა—ჟველაფერი ეს ხელს უწყობდა ქართულ ელემენტის თვალსაჩინოდ გაძლიერებას ტყილისში განსაკუთრებით მე-18 საუკ-შეორე ნახევარში. მაგრამ ეს გამრავლება არც ისეთი დილი იყო, მეორეს მხრივ ტუილისში მცხოვრებ ქართველი მოქალაქენი თავისი მნიშვნელობით ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში და თავისი სოციალური მეგნებით არც ისეთ ძლიერ წრეებს წარმოადგენდნენ, რომ ბათხე დაყრდხობით სახელმწიფოს შესძლებოდა თავისი აპარატის გარდაქმნასა და გაჯახსალებაზე ზრუავა.

უცელაფერმა ამან, რუსეთთან უკვე დამყარებულ ეკონომიკურ და კულტუ-რულ-პოლიტიკურ ურთიერთობასთან ერთად, გარდასწუვიტა ქართლ-კახეთის პოლიტიკური გეზი მე-18 საუკუნის დასასრულ ქართლ-კახეთი რუსეთთან ამ თავისი მიღრეკილების დროს ცდილობდა ჯერ თითქმის სრულ სუვერენულ უფ-ლებების შენარჩუნებას (1783 წლის მფარველობითი კავშირის ტრაქტატით). ამ ტრაქტატით ქართლ-კახეთი უკვე მტკიცედ მოყოლილი იყო რუსეთის პოლი-ტიკურ გავლების ქვეშ.

მაგრამ ვერც 1783 წელს რუსეთთან დადგებულმა მფარველობითი კავშირმა

მოუტანა თეალსაჩინო სარგებლობა ქართლ-კახეთს. რუსეთის  დახმარება ფრიად სუსტი და უმნიშვნელო გამოდგა. ის ორი ბატალიური ტუსტის ჯარი, რომელიც ტრაქტატის შითელვით ტყილისში იქმნა გამოგზებულის მიუსურ პოლიტიკური მოსაზრებებით — უმთავრესად ოსმალეთთან ურთიერთობის გართულების თავიდან ასაკილებლად — უკანე იქმნა გაწვეული (1786 წ.). სხვაგვარი დახმარებაც აღარ სჩანდა. რუსეთში 1783 წლის ტრაქტატით მიაღწია თავისოფერის გარკვეულ პოლიტიკურ შედეგებს. ჩაითრია ქართლ-კახეთი რუსეთის პოლიტიკურ გავლენის სფეროში, დასუსტყოფულ ქვეყნისთვის რეალურ დასმარების გაწევაზე კი უარს ამბობდა.

რუსეთის გავლენის სფეროში შოკოლამ გაამწვავა ქართლ-კახეთის პოლიტიკური მდგრადიანი მეზობლები — ლეკები, აზერბაიჯანის ხანები, ოსმალები — ყველანი აიშალნენ და გააფთრებულნი ცდილობდნენ ერებლე II-ის სამეფოსთვის რაც შეიძლება შეტი ზიცის მიუნებას. მთავრობა ამ მუდმივ მოგერიებით ბრძოლის წარმოების დროს უფრო და უფრო მეტს სიძნელეებს ელობებოდა. ეკონომიკურ გაჭირვებას თან ერთოდა ისიც, რომ მტკიცე მართველობითი აპარატის მოწყობა ქართლ-კახეთში არ ხერხდებოდა. ფეოდალურ წყობილების მართველობის ნორმები ერებლე II-ის დროს ისტორიის მიერ უკვე აშკარად წეს-აგებული იყო. არაგვის საერისთაოს მოსპობა ჯერ კიდევ 1743 წ. და ქსნის საერისთაოს გაუქმება (1777 წ.) იყო ფეოდალურ წყობილების ნორმების დაწყებულ ლიკვიდაციის აშკარა გამოხატულება. ძველი ფეოდალები კარგავდნენ თავის მნიშვნელობას. მაგრამ საქართველოს ცხოვრების ზედაპირზე არ სჩანდა იშავე თავადების გარეშე სხვა ახალი, საკმიოდ მომზადებული ძალა სახელმწიფო აპარატის ახალ გეზზე წასაყვანად და მოსაწყობად. მართველობის უზენაესი აპარატი (საადმინისტრაციო და სასამართლო) წესდგებოდა მდივანბეგებისა და სამეფო მდივნებისაგან, მათ ხელში იყო მართველობის და მართლმსაჯულობის მთელი საქმის წარმოება. ერებლე II-ის დროს და განსაკუთრებით 1770 წლებიდან, ე. ი. სწორედ რუსეთთან ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ურთიერთობის განცხოველების დროიდან, ჩვენ ვხედავთ მართველობაში ახალ, არამსხვილ ფეოდალურ ელემენტების შეყვანის მიღრეცილებას, მაგრამ ამ ცდებიდან არაფერო გამოდიოდა: ფეოდალური წყობილების დროინდელი მართველობის აპარატის ძირიანად გარდაქმნა ეხლაც არ მოხერხდა და ახალ ცენტრალისტურ მართველობის შექმნაც შეუძლებელი აღმოჩნდა. მიზეზი იყო ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში იმ დროს თავადების და სამღვდელოების გარდა სხვა რომელიმე თავისი სოციალური შეგნებით საკმაოდ ჩამოყალიბებულ ელემენტის უქონლობა. ამიტომაც ის ახალი წრეებიც, რომელთა გამოყენებას მართველობის აპარატის გასაუმჯობესებლად ცდილობდა ერებლე II, მაღლ თვით განიცდიდენ ფეოდალიზაციის ზედგავლენას. ამ გარემოების ტიპიური მაჩვენებელია ამ დროინდელ ცნობილ პიროვნებათა სოლ. ლიონიძის და იქსე მსაჯულის ბედი. ორივე იყენებ სამღვდელოების წრიდან. მაგრამ სოლომონი მეფის სამსახურში შესვლისა და ამ სამსახურში, თავისი მაღალნიჭიერების გამო, დაწინაურების შეძლება, ხდება თავადი ლიონიძე. იქსე მსაჯული, გვარად მიქაძე, აგრეთვი ხდება თავადი, სისხლიც მას ეხლა, როგორც მისდაბი ერებლე II-ის მიერ

ბოძებულ წყალობის წიგნი იხსენიებდა, თავადისა სდის და ამიტომ მისი შეისახა-
თავან ერთი იწოდება თავად ფალავანდიშვილად, დანარჩენებიც ქართლ-კახეთის
შეიძლებად...

მართველობის აპარატის საკუთარი ძალით გარდაქმნის შემთხვევაში გაუმჯობესების შეუძლებლობა კიდევ უფრო ართულებდა ქართლ-კახეთის მძიმე
სამხედრო და პოლიტიკურ მდგომარეობას. მორიგ ჯარის ინსტიტუტი თანდა-
თან მოიშალა, სამეფოს შინაგარი მდგომარეობა კიდევ უფრო აიწერა. სახელმწი-
უოს ფინანსიურ მდგომარეობის გაუარესების გამო 1785 წელს ერეკლე II რუსეთის
სესხად თხოვს 300 ათ. მანეთს¹⁾ მაგრამ ამ თხოვნიდან არ გამოვიდა რა... ამის
შემდეგ თავისი ძალების ამარად მირჩენილი ქართლ-კახეთი იძულებულია მოახდი-
ნოს თავისი ძალების გადაჯგუფება მართველობის შინაგან სისტემის შეუცვლე-
ლად. ამის შედეგი იყო წინანდელ მსხვილ ფეოდალების მაგივრად ცალკე პრო-
ვინციებში მეფის-ძეთა მართველობითი უფლების განცემიცება. საბოლოო ჩამო-
ყალიბება ამ სისტემაზ პოვა 1793 წ., რომელ დროიდან მეფის-ძე ვიორგი განი-
გებდა კახეთს, მეფის-ძე იულონი—ქართლის დასავლეთ ნაწილს და ქსანს, ვახ-
ტანგი—კვლავინდებურად არაგვს და სხვ.. ეს იყო უკვე ნამდვილი რეაქცია
მართველობაში, ფაქტიურად სამეურ უბრუნდებოდა უწინდელ ფეოდალურ
დროის მართველობის წესს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მეფის ძენი ბევ-
რად უფრო უპასუხისმგებლო მდგომარეობაში იყვნენ და მეტს დამოუკიდებლო-
ბასაც იჩინდნენ, ვიდრე წინანდელი თუნდა არაგვისა და ქსნის ერისთვები²⁾.
ამ გარემოებას მოყვა მართველობის აპარატის სრული დაშლა იმდენად, რომ
როდესაც ეხლა რამოდენადმე ფეხშე წამოდგომილმა სპარსეომა მოინდომა ქართლ-
კახეთის წინანდებურად თავისი მორჩილებაში მოქცევა, იღა-მაჭად-ხანის წი-
ნააღმდეგ ქართლ-კახეთის სამეფოდან შესაძლებელი შეიქმნა მხოლოდ 2 ათ.
კაცის წამოუენება ნაცვარდევ 46 ათ. კაცისა. ამიტომაც აღა-მაჭად-
ხანის შემოსევა 1795 წ. გათავდა ქართლ-კახეთისთვის საშინელი კატასტრო-
ფით: ტყილისის აღება, მისი მოლიდ დანგრევა, ქართლის აობრება, 30 ათასამ-
დის მცხოვრების ტყვედ დაკარგვა...

აღა-მაჭად-ხანის შემოსევამ საშინლად დასცა ქართლ-კახეთის სახელმწი-
ფოებრივი კეთილდღეობა. ქეეყანა ჩავარდა ხანგრძლივ ექონომიურ კრიზისში.
ფული გაძვირდა. ამისი ერთი მიზეზთაგანი იყო ისიც, რომ სპარსელების მიერ
წაყვანილ ტყვეების დახსნას მოყვა ფულის გასვლა ქართლ-კახეთიდან. თუ-
მცა დახსნილ იქმნა მხოლოდ მცირე ნაწილი ტყვეებისა, მაგრამ დაღარიბებულ
ქვეყანის ამ თავისებურ ხარკის გარდახდაც უძნელდებოდა. ფულის გაძვირების
მაჩვენებულია, სხვათა შორის, ის გარემოება, რომ ფასები სოფლის ჭირნახულშე
ძლიერ დაეცა. 1796 წ. იანვარში, მაგ., კოდი (2¹/₂, ფუთი) პურის ფქვილი ქარ-
თლში მხოლოდ სამი აბაზი ღირდა³⁾, მაშინ, როდესაც 1780—1787 წლებში
ლიტრა (9 გირვ.) პური 3—4 შაური ფასობდა. 1797 წ. პურის ფასმა მართალია
აიწია, ასე რომ ამ წელს ზაფხულში ქართლში სოფლიდ პური საშუალოდ ფა-

¹⁾ П. Бутков, Материалы, II, 187.

²⁾ ს. კაკაბაძე, საქ. ისტ.. ახალ. საუკ. ეპოქა, 235—236.

³⁾ А. Цагарели, Грамоты..., II, вып II, 121.

სობდა ფუთი 9 შაურად¹⁾) მაგრამ ფასების ასეთი დაცემა ეტყობოდა მხოლოდ სოფელს. ოხრებულ ტფილისში კი პირიქით საშინელი სიძვრებით უჩა დროს, როდესაც პური სოფლად ფუთი 9 შაური ლირდა, ტფილისმანზე: ჭმსტმდა²⁾ 1/-2 მინალთუნად. ამისი მიზეზი იყო ის ვარემობაც, რომ ლეკების თარეშების და გზების ორევ-დარევის გამო მიმოსვლა ტფილისთან შედარებით წინანდელთან კიდევ უფრო გაძელებული იყო.

ასეთი პირობებში სამეფოს ფინანსიური მდგომარეობაც ძალშე ვაუარესებულად სჩანდა. ერევანი და პირველ ხანებში განჯაც უკვე ხარკს არ იძლევოდნენ ახტალის, მაღნების წარმოება ძლიერ შემცირებული იყო, იმდენად რომ 1801 წელსაც კი, უკვე მაშასალამე აღა-მამად-ხანის შემოსვლიდან რამოდენიმე წლის შემდეგ, ახტალის სპილენძის ქარხანა იჯარით მხოლოდ 12 ათ. მანეთად იყო გაცემული³⁾). სახელმწიფო შემოსავალი ძლიერ შემცირებული იყო, ასე რომ ცოტაოდენ შესვენების შემდეგაც სამეფოს არსებობის უკანასკნელ წელს (1800 წ.) ეს შემოსავალი 240 ათ. მანეთს უდრიდა⁴⁾), შე-1780 წლებთან შედარებით მაშასალამე თვალსაჩინოდ ნაკლები იყო. ერეკლე II ეხლაც კვლავ ბიმართავდა რუსეთს ფინანსიურ დახმარებისთვის, თხოულობდა სესხად პირველიდ 1 მილიონ მანეთს, შეძევე 200 ათ. მანეთს მაინც ანდა რამდენიც შესაძლებელი იქნებოდა⁵⁾) მაგრამ რუსეთი სესხს არ იძლეოდა. ვაჭირვებაში ჩავარდნილი ერეკლე ერთ ხანს ყოფილობდა და სესხის აღებას ოსმალეთისაგან ავირებდა: ოსმალეთი თანახმა იყო ქართლ-კახეთისთვის მილიონი მანეთი სესხად⁶⁾), მაგრამ ოსმალეთის ფინანსიურ დამოკიდებულებაში მოქცევა ეს ნიშნავდა ქართლ-კახეთისთვის მართველობის სისტემის მხრივ და აგრეთვე კულტურულად და ეკონომიკურადც უკანდახევას. ქართლ-კახეთი ვერ დაადგებოდა ამ გზას და თუმცა რუსეთი არც ფინანსიურ და არც თვალსაჩინო სამხედრო დახმარებას არ იძლეოდა, მაგრამ ერეკლე II-ის მთავრობა მაინც ჩრდილოეთისაკენ იყურებოდა. ამით აიხსნება, რომ 1797 წ. ივნისში ქართლ-კახეთის ელჩმა პეტერბურგში გარსევან ვაკევაძემ აღძრა რუსეთის იმპერატორის წინაშე ფორმალური შეამდგომლობა საქართველოში სრულ-უფლებიან წარმომადგენელის — ინსტრუქტორის ვაგზავნის შესახებ, „რათამცა მის ძლით აღმოიფხვრიან რომელნიმე მველადვე მიუარულნი აზიის უსამართლოებითნი სამართლისა წარმოებანი“⁷⁾.

ქართლ-კახეთი ამნაირად ეხლა უკვე ითხოვდა რუსეთისაგან აქტიურ დახმარებას შინაურ საქმეებში ჩარევით და მართველობის გაუმჯობესებაში მონაწილეობის მიღებით. ასეთი იყო იმ მოლაპარაკების ხასიათი, რომელსაც ერეკლე II-ის სიკვდილის შემდეგ აწარმოებდა რუსეთთან მეუე გიორგი მე-XIII. ეხლა ქართლ-კახეთის მთავრობა ცდილობდა მხოლოდ ზოგიერთ უფლებების შენარჩუნებას აღვილობრივი ძალებისთვის და კურძოდ ქართლ-კახეთის სახელმწიფოს მიერ ქართული ხასიათის აღდაკარგვას. მაგრამ ამ ეამად საქართველოს წინ იდ-

¹⁾ А. Цагарели, Грам... II вып. I 135.

²⁾ АКАК I, 520.

³⁾ АКАК. I, 431.

⁴⁾ А. Цагарели, Грамоты, II, в. I, 125, 139, в. II, 176.

⁵⁾ П. Бутков, Матер. II, 345, 407.

⁶⁾ А. Цагарели, Грам. II. в. I, 138.

გა მაღა გაღვიძებული იმპერიალისტური რუსეთი, წინა-აზიაში რაციონალური ინტერესების მქონი, რომელიც ცდილობდა გაჭირვებაში ჩაგდებას და მის გამოყენებას, რაც მარტინ შემცირდელ მისნებისთვის. და როდესაც 1800 წ. 30 დეკ. ტფილისში გარდაიცვალა მეცე გიორგი XIII, ტფილისში ერთი წლის წინად შემოსულ რუსის ჯარის სარდლობამ, პეტერბურგიდან მიღებულ საიდუმლო ბრძანების თანახმად, ნება არ მისცა ტახტის მემკვიდრეს დავით ბატონიშვილს თავისი თავი მეფედ გამოეცხადებინა. მალე ამის შემდეგ ქართლ-კახეთი გამოცხადებულ იქმნა რუსეთის იმპერიის ერთ გუბერნიად (1801 წ.).

მაგრამ რუსეთის იმპერია ფეხს იკიდებდა ამ დროს საქართველოში არა მარტი როგორც ტლანქი და გამარტივებული იმპერიალისტური ძალა, არამედ იმავე დროს როგორც ფეოდალურ წყობილების დროინდელ მართველობის სისტემის მომსპობი, როგორც სახოვალოდ უფრო დაწინაურებულ ეკონომიკურ ცხოვრების წორმების ხელის შემწყობი.

ამგვარად ქართლ-კახეთის ეკონომიკურ განვითარებას მე-18 საუკუნეში ახასიათებდა ახალი ურთიერთობათა წარმოჩენა რუსეთის მიმართულებით, რამაც საშვალება მისცა ქართლ-კახეთს წინა-აზიის ეკონომიკურ დაცვის მძლავრ პროცესის დროს თავისს ეკონომიკაში სწორწონაობა დაეცვა თუ მთლიან არა, ყოველ შემთხვევაში იმდენად მაინც, რომ კულტურულ შემოქმედების მაჯისცემია არ შეწყვეტილიყო და არც შესუსტებულიყო. ქართველი ხალხის პოლიტიკურ კითარებაში ამ ახლად მე-18 საუკუნეში წამოჭრილ ეკონომიკურ ფაქტებს მოყვა ძირითადი ცვლილებანი ვიდრე ქართულ სახელმწიფოებრივობის გაუქმებამდის და ჯერ ქართლ-კახეთის და შემდეგ მთელი საქართველოს რუსეთის იმპერიის უბრალო პროვინციად გარდაქცევით. მაგრამ ქართველი ხალხი უკვე აშორებული იყო წინა-აზიის მძლავრ დეკადანსის პროცესს და შისი მომავალიც ამიტომ, რუსეთის იმპერიის მიერ მძლავრ გამარტივებელ პოლიტიკის წარმოების უმწვავეს მომენტების დროსაც მაინც უზრუნველყოფილი იყო.

მე-18 საუკუნის საქართველოს ეკონომიკური განვითარების თუნდაც საზოგადო ხახების მხრივ მიმოხილვა სრული არ იქნებოდა, უკეთუ ჩვენ მოკლედ მიინც არ გადაეავლებდით თვალს დასავლეთ საქართველოს მდგომარეობას ამავე ჩანებში. მე-18 საუკუნის დასაწყისის მიჯნაზე დასავლეთი საქართველო თავისი ეკონომიკის ძალებით უკვე საქმაოდ მჭიდროდ დაკავშირებულია თითქმის შეოლოდ ოსმალეთის იმპერიის პროვინციებთან. მაგრამ ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში დასავლ. საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში ოსმალეთის ზედგავლენის კონკურენციას უწევდა და მას თითქმის სჭარბობდა სპარსული ჭილადისა.

დასავლ. საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრების მაცოცხლებელ საალებმიცემო მიმართულებათა დასახასიათებლად მე-17 საუკ. პირველ ნახევარში ფრიად საინტერესოა ის ცნობები, რომელსაც გადმოგვცემს ქუთაისის შესახებ იგიურ არქ. ლამბერტი. ქუთაისი კარგი საეკრო ქალაქია, ამბობს ის, რადგან იმისთანა ადგილზე დგას, სადაც ყოველი მხრით ადვილად მოდიან ვაჭრები თავისი სავაჭროებით. მოებიდან ჩამოდიან სვანები, რომელთაც ჩამოაქვთ თავისი შინა-

ური ნაწარმოები, ნაბდები და მსხვილი შალები და ჩამორეკენ ხოლმე თხებს და ცხვრებს. ქართლიდან მოღიან ქართლელები და სპარსელები¹ ჩატერები² ჩამოაქეთ მდიდრული სპარსული შალები და ინდოეთის შეღეზილი³ ჭულები, ტყავები, დამარილებული თევზები კასპიის ზღვიდან, ხისილალი და სასუნებლები. ოსმალები სამკების მხრიდან მოღიან და ბლომად მოაქვთ თავისი სავაჭროები, მაგალითად, უნაგვარები და ცხენის საკაზმავები, ხალები, ხანჯლები და ოსმალური ზანდუკები. სხვებზე მეტი ვაჭრები იქ სომხები არიან. სომხებს ქუთაისში თავიანთი სახლები აქვთ. ისინი დაღიან ოსმალეთში, სპარსეთში და ქართლში და ბლომად მოაქვთ იქიდან უცხო სავაჭროები.“

ამ ცნობიდან ცხადად სჩანს, რომ ქუთაისი მე-17 საუკ. პირველ ნახევარში წარმოადგენდა თვალსაჩინო სავაჭრო პუნქტს. მაგრამ მე-1660 წლებიდან დასავლეთ საქართველოს მდგომარეობა ვანიცის არსებით გაუარესებას. ეკონომიურ ძალთა შესუსტების გამო, ხოლო ეს შესუსტება გამოწვეული იყო არა მარტო აღგილობრივი, არამედ უფრო ღრმა მიზეზებითაც, რომელიც დაახლოვებით საერთო იყო ოსმალეთის იმპერიის აზიურ პროეინციებისთვის, დასავ. საქართველოს სამეფო-სამთავროებს (იმერეთ-გურია-სამეგრელო-აფხაზეთს) მოედეა ხანგრძლივი შინაური ანარქიის ცეცხლი. მუდმივი შინაური მმები, ერთმანეთზე თავდასხმა, ცოცხალი ადამიანების ტყვედ ვაყიდვა ოსმალეთის ბაზრებისთვის, სოფლების განადგურება და ოხრება, რაც ურთიერთ თავდასხმების დროს ხშირ მოვლენას წარმოადგენდა, ყველაფერი ეს უფსკრულისაკენ მიიქანებდა ძალა-გამოფიტულ ქვეყანას. ამ მხრივ 1660—1770 წლების ხანა, დაახლოვებით მაშასაგამე ერთი საუკუნის მანძილი, წარმოადგენს ერთს ყველაზე უფლებირეს ეპოქათაგანს კვრძოდ დასავლეთ საქართველოს ისტორიაში. საწარმოვთ ძალა ხალხისა დაცა, ქვეყანა გალატაკდა და დაბეჩავდა. საქალაქო ცხოვრებაც დაკნინდა და შემცირდა. ქუთაისში მე-16 საუკ. შუაში უნდა ყოფილიყო დაახლოვებითი ანგარიშით 450—500 კომლი. 1672 წ., მარდენის სიტყვით, ქუთაისში მხოლოდ 200 სახლი იყო. ამ დროს ქუთაისი ეჭირათ ოსმალებს. ოსმალების ბატონობისას ქუთაისი უფრო ოსმალთა მეციხოვნე ჯარის იქ ყოფნის გამო (ეს „ოსმალები“ ხშირად უმთავრესად გამაპმადიანებულ მესხებისაგან შესდგებოდნენ) რამოდენადმე გამოკეთდა. ქუთაისის ციხიდან ოსმალების ვანდევნის წინ (1770 წ.) ამ ქალაქში, რომელიც მდიდარ სავაჭრო პუნქტად იხსენიება, ერთი ცნობის მიხედვით, მარტო მაჰმადიანები (იგულისხმება ჯარითურთ) უნდა ყოფილიყვნენ 500 კომლამდე¹). შეიძლება ეს ცნობა გარდამეტებული იყო. ყოველს შემთხვევაში 1773 წ. გულდენშტერი ქუთაისის იხსენიებს ძლიერ პატარი ქალაქად, რომელშიდაც მხოლოდ 50 კომლი მცხოვრები ირიცხებოდა²).

ქუთაისის გარდა სხვა ქალაქი ამ სიტყვის რეალური მნიშვნელობით დასავლეთ საქართველოში არ არსებობდა, გარდა ზღვის სანაპირო პატარი ქალაქებისა—ფოთისა და სოხუმისა.

დასავლეთ საქართველოს ეკონომიურად უკან დახევას თავისებურ მიმართულებას აძლევდა ის გარემოება, რომ მე-18 საუკუნის დასაწყისიდან განსაკუ-

¹⁾ А. Цагарели, Грамоты I.

²⁾ G ülden städt, Reise I, 301.

თრებული სიცხადით გამოჩნდა სპარსეთის დაშლა. სპარსეთის ეკონომიკურ ცხოვრების გაქანების ტალღა უკვე საკმაოდ ვერ სწოდებოდა ისეთს, სპარსეთისთვის შედარებით დაშორებულ ქვეყანას, როგორიც იყო დასავლ. საქართველოს მართვის არა მართვის, სხვათა შორის, აიხსნება, რომ მე-17 საუკუნის მეორე ნახევრითან დასავლ. საქართველოს ბაზარს ეტუობა უმთავრესად ოსმალეთის ზედგავლენა. სპარსული ფულის ადგილსაც ეხლა უკვე თუ მთლად არა, ყოველს შემთხვევაში უმთავრესად იქერს ოსმალური ფული, რასაკვირველია იმდენად, რამდენადაც ეკონომიკურ ცხოვრების უკან დახევის დროს ნატურალურ მეურნეობის ნორმების გაძლიერების გამო ფულს მაინც კიდევ ქონდა მსვლელობა. ალებ-მიცემობის და საქონლის გაცვლის უმთავრესად და თითქმის მბოლოდ ოსმალეთთან ან ოსმალეთის საშუალებით დამყარებამ გამოიწვია სანაპირო ქალაქების ფოთის და სოხუმის შედარებით წინსვლა და განვითარება. ორივე ამ ქალაქში, ისე როგორც სხვა მთავარ პუნქტებში ოსმალებს ჩაყენებულ ყავდათ თავისი ჯარი. ლიხთიმერეთის ეკონომიკურ მდგომარეობის შესახებ, ოსმალეთის ბატონობის გამოვლის შემდეგ, ზოგიერთი ცნობა მოხსენებულია იმერეთის მეფის სოლომონი I-ის ელჩის მაქსიმე ქუთათელის მიერ პეტერბურგში რუსეთის მთავრობის მიმართ წარდგენილ მოხსენებაში 1769 წ., „იმერეთში, ამბობს მაქსიმე ქუთათელი, მოდის თეთრი პური, შავი პური, ქერი, ფეტვი, ბრინჯი, სამარხო, წამლის ბალახები, ყურძენი და სხვა ხილი. ამეების დიდი სიმრავლე არის ყოველს ფერში. ასეთი ნაყოფიერი ქვეყანაა, რომ ტყეებშიაც მოხავალი ყურძენი და სხვა კარვი ხილი არის. შავი ზლვის ნაპირზედ ნარინჯი და ზეთისხილი მოგის. აბრეშუმი, ბამბა და ლიახ წმინდა სელი არის იმდენი, რომ ვაჭრებს სხვა ქვეყნებშიაც მიაქვთ, დიახ იავად ჰყიდულობენ, ცხენი და სხვა პირუტყვი, დიდი და პატარა, დიახ მრავალია. ლვინო და ოტკა მრავალია. ქუთაისის ქალაქიდამ ვაჭრები დადგიან ნავითა იმ სამს (ზლვის ნაპიროს) ციხეში—ბათომს, ფოთს და სოხუმს. გასასყიდლათ დააქვთ წმინდა სანთელი, აბრეშუმი, ბამბა, ბეჭვი მელისა, კვერნისა და ვეფხვისა და საჭმლის ხორავი. იქიდამაც წყლით მოაქვთ ისმალოს სავაჭრო: სხვადასხვა ფერი ფარჩი, მაული, შაქარი, ყავა და სხვაც (სტამბოლიდან რვა დღეზე და ყირიმიდან ხუთს დღეზედ ხომალდები იმ ციხეებში მიდიან), ოსმალონი იმერეთს მოდიან ხმელეთით: ახალ-ციხიდამ, აზრუმიდამ და ტრაპიზონიდამ¹).

ამ ცნობიდან ცხადად სჩინს, რომ დასავლ. საქართველო მე-18 საუკუნეში ეკონომიკურად უნივერსალ და თითქმის მთლიანად დაკავშირებული იყო ოსმალეთთან, ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ამ დროს შავ ზლვაზე, როგორც ცნობილია, ოსმალეთი იყო ვაბატონებული. მხოლოდ მე-1770 წლებიდან დასავლეთ საქართველოს ეკონომიკაზე ვავლენის მოხდენას იწყებს რუსეთი ჯერ მცირეოდნად და ისიც ქართლის შეავობით, ხოლო მე-1780 წლებიდან, როდესაც რუსეთმა დაიპყრო ყირიმი, რუსეთს საშუალება გაეხსნა დასავლეთ საქართველოს მიმდგამ შავი ზლვის სანაპიროს კენაც. ამ გარემოებას ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მიერ შეერთების შემდეგ გარდამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებისათვის. მე-19 საუკუნის პირ-

¹) ეს ციფრი გამოანგარიშებულია იმერეთში 1810 წელს ახლად დამყარებულ რუსულ ადმინისტრაციისთვის მიწოდებულ ცნობების მიხედვით.

ველსავე წლებში ეს სამეფო-სამთავროები (იმერეთისა, სამეგრელოსი, გურიისა, აფხაზეთისა) მოჰყვნენ რუსეთის იმპერიის ფარგლებში. ეს ქართველები და დროს იყვნენ გალარიბებულნი და ეკონომიურად დაქვეითებულნი. მაგრამ მათ შემდეგ რომ მე-17 საუკ. მეორე ნახევარში (1672 წ.) შარდენის ცნობით სამეგრელოს მთავრის შემოსავალი ნაერაუდევია მაშინდელი ანგარიშით $1\frac{1}{2}$, ათასი თუმანი გარდა სახასო ყმებიდან შემოსავლისა ნატურით. მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში სამეგრელოს სამთავროს შემოსავალი რეალური კურსით ყოველს შემთხვევაში ამაზე ნაკლები უნდა ყოფილიყო. ეს სჩანს იქიდან, რომ იმერეთის სამეფოს შემოსავალი ამ სახელმწიფოს არსებობის უკანასკნელ წლებში (1809 წლ. ახლ.) არ აღემატებოდა $4,5-5$ ათას თუმანი თითქმის $2\frac{1}{2}$, ჯერ ნაკლებ ვერცხლის შემცველი იყო, ვიდრე მე-17 საუკ. მეორე ნახევარში და იმასთანავე იმერეთის საძეფო შეიცავდა მე-18 საუკუნეში სამეგრელოს სამთავროსთან შედარებით თითქმის ორჯერ მეტს მოსახლეობას. უკვე ამ გარემოებიდანაც ცხადია, რომ მე-18 საუკუნეში, უკეთ ამ საუკუნის პირველ ნახევარში, დასავლ. საქართველო მოცული იყო ეკონომიურად უკან დახევის პროცესით. მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში მდგომარეობა, განსაკუთრებით იმერეთის სამეფოში, იწყებს რამოდენადმე გაუმჯობესებას. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში სიმინდის თესვის შემოღებას. სიმინდის თესვა შემოვიდა ჯერ ოდიშში მდ. დუნაის ქვეყნებიდან მე-18 საუკ. პირველ ნახევარში. მალე სიმინდის სწრაფად იწყო გავრცელება მთელს დასავლ. საქართველოში ლომის მავიცრად, რაღვან მისი თესვა დახარჯულ შრომის ინაზღაურებისა და ამავე დროს კვების ოვალსაზრისით მეტი ნაყოფიერების გამო უფრო მიზანშეწონილად სჩანდა. 1773 წ. სიმინდს კანტი-კუნტად ვხედავთ უკვე მთელს იმერეთში, გარდა ოკრიბისა და ზემო-რაჭისა, თანდათან სიმინდი ხდებოდა დასავლ. საქართველოს მოსახლეობის ერთ-ერთ მთავარ საკუებ საგნაც, უმთავრესად ლომის მავიცრად. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დასავლ. საქართველოს შინაურ ვითარების გაუმჯობესების მხრივ. ხალხშა ეკონომიურად მომავრება იწყო, მოსახლეობის გამრავლებაც განსაზღვრულ ტერიტორიაზე ეხლა უფრო აღეილავ შესაძლებელი შეიქმნა, დამუშავებული მიწა მეტ საკუებ მასალას იძლეოდა. მე-1770 წლებიდან დასავლ. საქართველოს და კერძოდ იმერეთის ეკონომიურ მდგომარეობას ეტყობა ერთგვარი გაუმჯობესება. ქალ. ქუთაისმა ისევ იწყო თღნაც ფეხშე წამოდგომა. თუ 1772 წელს, ოსმალთა შეციხოვნე ჯარის კანდევნის შემდეგ, ქუთაისი შეიცავდა 50 კომლი, მე-19 საუკ. პირველ წლებში ქუთაისში ირიცხებოდა დაახლოვებით 360 კომლი, ამავე დროს ქუთაისში ასამდის სავაჭრო დუქანი ითვლებადა¹). ამავე ხანებში კერძოთ იმერეთის სახელმწიფოებრივ ცხოვრებასაც ეტყობა მეტი სიმტკიცე და წესიერება. მაგრამ მთელი დასავლ. საქართველოს ბედი უკვე გარდაწყვეტილი იყო. ის ეკონომიური და კულტურული ხასიათის ფაქტორები, რომელნიც მე-18 საუკუნეში თანდათან უფრო და უფრო მჭიდროდ აკავშირებუნენ ქართლ-კახეთს რუსეთთან, გავლენას ახდენდნენ დასავლეთ საქართველოზედაც, რომელსაც რუსეთი ეხლა უახლოვდებოდა შავი ზღვის სანაპიროს მხრივაც და როდესაც რუსეთის იმპერია ჩადგა ქართლ-კახეთში, მაშინ რუსეთმა ორიოდე დიპლომატიურ და სამხედრო მანევრით გაიკვალა გზა დას. საქართველოშიც. აქაც რუსეთი მოდიოდა არა მარტო როგორც დამპყრობელი იმპერიალისტური ძალა, არამედ იმავე დროს ფეოდალურ წყობილების დამახასიათებელ წესების მომსპობი და მტკიცე მართველობის დამამყარებელი სახელმწიფო.

¹⁾ ს. გაკაბაძა, საქართ. ისტ., ახალი საუკ. ეპოქა, 274.



რიაზანოვი

პ. მარქსის და ფ. ენგელსის ლიცეუმურ მემ- კვიდრეობის ახალი მასალები

სანამ გადავიდოდე იმ ახალი ცწობის შესახებ, რაც გვეძლევა მარქსისა და ენგელსის ლიტერატურული მემკვიდრეობის სახით, მე მინდა რამდენიმე სიტუ-
ეით აღვნიშნო თუ რა მდგომარეობაში იყო ეს ლიტერატურული მემკვიდრეობა
უკანასკნელ ხანამდე. მარქსისა და ენგელსის ლიტერატურული მემკვიდრეობა
იწყება ენგელსის გარდაცვალებიდან. ყველაზე უფრო არამიზანშეწონილი გან-
კარგულების გაცემა, რომელიც შეეძლო ენგელს ამ საჭმეში, მან მოასწორო. მას
რომ არ დაეტოვებია არავითარი განკარგულება, უნდა ვიფიქროთ, მემკვიდრეო-
ბა იქნებოდა გადარჩენილი. ყველა მის სურვილებიდან დიდი შრომით შესრუ-
ლებულ იქნა მხოლოდ ერთი: ნაცვლად იმისა რომ დაემარხათ, ის დასწვეს და
ნაშთი გადაყარეს სადღაც ჩრდილოეთის ზღვაში. ეს ერთად ერთი თხოვნა შეს-
რულებულ იქნა დიდი პოლემიკის შემდეგ. სხვა პირობებში ერთს ან ორ წელი-
წადში დაიწყებოდნენ ალბათ ცოცხალი ვარდების მიტანის მის საფლავზე, შემ-
დეგ დაავიწყდებოდათ და ამით ყველაფერი გათავდებოდა. მაგრამ, რადგან მის-
თვის არაფრის გაკეთება არ იყო საჭირო, რჩებოდა რამდენიმე მოვალეობა მისი
მემკვიდრეობის შესახებ. მაგრამ სწორედ ამას ცუდათ მოუარეს. მარქსის და ენ-
გელსის მეტად დიდი ბიბლიოთეკა თითქმის სულ დაიღუპა. ივი იყო ნაანდერ-
ძევი გერმანეთის სოციალ-დემოკრატიაზე, როგორც ამავე გერმანეთის სოცი-
ალ-დემოკრატიაზე იყო ნაანდერძევი მისი ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი და
ჟველა ის მემკვიდრეობა, რაც დარჩა ენგელს ხელნაწერების სახით. რადგან
გერმანეთის კინომდებლობამ ენგელს ნება არ მისცა უშუალოთ ეანდერძა
გერმანეთის პარტიისათვის, ის იძულებული გახდა დაეწიშნა ორი რწმუნებუ-
ლი პირი—ბერნშტეინი და ბებელი, რომლებიც ამიტომ 1896 წლიდან სთვლიდენ
თავს ამ მემკვიდრეობის მესაკუთრებათ, კერძო მესაკუთრეებათ, რომლებსაც
უფლება ჰქონდათ ამ საკუთრების განწესრიგებისა. მაგრამ აქ მოხდა პატარა

უბედურება. მათ არ გასწიოს შრომა იმისთვის, რათა დარწმუნებული კვნენ, რომ ეს მემკვიდრეობა მათ სავსებით დარჩათ, თუ ვინმეს შეეძლო, ამ მემკვიდრეობიდან რისიმე გადამალვა. სინამდვილეში მოხდა რაღაც მოუკარგდებულუკუნალსისათვის: საკმაოდ დიდი ნაწილი მისი მემკვიდრეობისა, რაღაც შემთხვევით, მარქსისა და ენგელსის ბიბლიოთეკასთან ერთდ, აღმოჩნდა ბერლინში. ძალიან კარგათ მახსოვკი, რომ -1900 წელს მე ვნახე ეს ბიბლიოთეკა ბერლინში, მიკდებული დაუწყობლად რამდენიმე ოთახში. განსვენებულია ფრანკურთი მაჩვენა მე ენგელსის მიერ დატოვებული სამხედრო ბიბლიოთეკა. მეტად სკეპტიკურად და არამხრინველურადაც, როგორც პრაქტიკმა თერეტიკოსების შესახებ, გამოსთვათავის შეხედულება ამ წიგნებზედ, როგორც ზედმეტ ბალასტზედ. მართლაც, სამხედრო ბიბლიოთეკიდან ახლა არაფერი არ არის დარჩენილი შემთხვევითი წიგნებს გარდა. დანარჩენ წიგნების დიდი ნაწილი, რადგან არ იცოდნენ რა ექნათ მისთვის, გადასცეს ერთ მუშათა სამკითხველოს; თავიც არ შეიშუბეს, რომ გადაეთვალიერებიათ — ატარებდენ თუ არა ეს წიგნები მარქსისა და ენგელსის სულიერ მემკვიდრეობის კვალს. ამ რიგათ, არა ერთი ათი ათასი წიგნი, რომელიც ეკუთნოდა მათ, უფრო ხელსაყრელ დრომდე, დაიკარგა მეცნიერ მკვლევართა მხედველობის სფეროდან მარქსისა და ენგელსის შენიშვნებთან ერთად. ხელთნაწერების და რვეულების ნაწილი, რომლის გადაცემა ბერლინში შესაძლებლათ სცნეს, გავზავნეს, მაგრამ პერნშტეინი ყურადღებას აქცივდა, რომ მეძლების დაგვარად, წერილები არ წაელოთ ლონდონიდან.

მე შემდევ შევეხები მარქსისა და ენგელსის ლიტერატურულ მემკვიდრეობის იმ ნაწილს, რომელიც მოხვდა ბერლინში. ლონდონში დარჩა უდიდესი ნაწილი გაუცნობლად, მაგრამ რაღაც გზით, 1911 წელს მე ვიყავი ლაფარგთან და სრულიად მოულოდნელი მე ვნახე ენგელსისა და მარქსის ქალალდების უდიდესი ნაწილი. თუ როგორ გაჩნდა ეს იქ, ძნელი ასახსნელია. ალბათ ნაწილი იქნა იქ გადავზავნილი ელეონორა მარქსის გარდაცვალების შემდეგ. ამ რიგად მარქსისა და ენგელსის არქივი ვაიპო სამ ნაწილად. ერთი ნაწილი მოხვდა დრავეილში, მეორე ნაწილი დარჩა ლონდონში ბერშტეინთან, მესამე ჩაბარდა პარტიის არქივს. ის ნაწილი, რომელიც იყო არქივში, მაღლე გახდა გასაცნობი მათთვის, ვისაც სურდა მისი გაცნობა. პირველი კაცი, რომელიც მოვალე იყო გაცნობოდა მარქსისა და ენგელსას ლიტერატურულ მემკვიდრეობას, იყო მერინგი, რომელმაც 1898 წელს მიიღო დავალება პარტიისგან მარქსისა და ენგელსის ლიტერატურული მემკვიდრეობის განოცემის შესახებ. ჩვენ ყველა, განსაზღვრული ხარისხით, აღვიჩარდეთ, ყველა ჩვენ ვსწავლობდით მერინგის მიერ გამოცემულ მარქსისა და ენგელსის ლიტერატურულ მემკვიდრეობის 3 ტომს. მე ვუცემული ამ სამ ტომს, როგორც იმ შრომას, რომელიც ამოწურავდა ყველას, რაც შეიძლებოდა მოცემული ყოფილიყო ამ მიმართულებით, რომლის ავტორი, ყოველ შემთხვევაში, ყველა იმას, რაც შეეძლო ჰქონდა მხედველობაში — გაარჩევდა. მერინგმა მიიღო ეს დავალება გერმანეთის პარტიის ც. კ. საგან. — რომელშიაც იყო ბებელიც. ბებელი კი ასეთ შემთხვევაში საკვირველი თავაზიანი იყო, ხალისით ხვდებოდა წინ ყოველიყე მეცნიერულ მუშაკებს... ის შემდეგ ალ-

მოჩნდა მეტად თავაზიანი სრულიად უცნობ ახალგაზრდა ამხანაგის მიმართ / როგორიც ვიყავი მე მაშინ ე. ი. ჩემს მიმართ. შერინგის შესახებ უწყდა დაწყუფებული, რომ ის იყო არა ნაკლებ თავაზიანი. მიუხედავათ ამისა, როგორიც შემუშავის ფა-მო, ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელიც მერინვება მრავალი 1898-1902 წლებში, ატარებენ მაგრძნობ დანიკლის, ერთი საკითხი იქრებოდა ამ სამი ტომის ჟველა ცეითხველთათვის.

ჟველა ჩვენ ვკითხულობდით მარქსის „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის“ წინასიტყვაობას, ჟველა ჩვენ ვკითხულობდით ორ მსხვილ ტომს, რომელშიაც მარქსია და ენგელსმა კრიტიკა გაუკეთეს გერმანულ იდეოლოგიას, ე. ი. მთელ ჰეგელის შემდეგ ფილოსოფიას და „ჰემიარიტ სოციალიზმის“ ჟველა მათ გამოსახვაში. ჟველა ჩვენგანს გვევლინებოდა საკითხი, სად არის ეს ორი დიდი ტომი? ვახუხს ჩვენ ვეძებდით მერინვთან. ლიტერატურულ მემკვიდრეობაში თქვენ ნახავთ პატარა თავს, რომელიც ეხება „გერმანულ იდეოლოგიას“, მაგრამ ამ თავიდან თქვენ სრულიად მოულოდნელად გაიგებთ, რომ „ლიტერატურულ მემ-კვიდრეობაში“ უნდა იყოს გამოქვეყნებული მარქსისა და ენგელსის დასტამბული სავნები და არა დარჩენილი ხელთნაწერი და ამიტომ იმ ხელთნაწერს არ ბეჭდავს. ჩერინგს დაავიწყდა, რომ მან პირველ ტომში დაბუჭდა მარქსის სა-დოქტორო დისერტაცია. შემდეგ კი არის უცნაური განცხადება, რომ „გერმა-ნული იდეოლოგია“ საერთოდ არ წარმოადგენს ინტერესს, მით უფრო, რომ მარქსი და ენგელი მას სწერდენ არსებითად თვითვამორკვევისათვის. ამავე დროს მე-ორე ტომში თქვენ ნახავთ პატარა პარაგრაფს „ლეიპციგის ტაძარს“.

ირკვევა, რომ მერინგის განვარგულებაში ყოფილა პატარა ხელთნაწერი „ლეიპციგის ტაძარი“, რომელიც ეხება ბრუნო პაუერსა და მაკს შტირნერს. მერინგმა არ იცის თუ რას წარმოადგენს ეს. თუმცა მას პქონდა ეს ხელთნაწერი ხელში. მე აგიხსნით თქვენ ამ საიდუმლოებას. ის ჩემთვის ცხადი გახდა მხო-ლოდ ეხლა, ბერლინში ხელ-ახალ მგზავრობას შემდეგ. საქმე იმაშია, რომ მე-რინგი ძალიან ცდილი მიეღო „გერმანული იდეოლოგია“. მან საუცხოვოდ იცო-და, რომ კიდევ გადაეწყვიტა მისი არ დაბეჭდვა, არ იყო არავითარი შესა-ძლებლობა მის გარეშე გაერკვია მთელი გარდამავალი პერიოდი „წმინდა ოჯა-ხისა“, სადაც მარქსმა კრიტიკაში გაატარა ბრუნო ბაური. ამ ორი ტომის გახ-სნით შეიძლებოდა მხოლოდ იმ უფსკრულის ამოვსება, რომელიც მდებარეობს მარქსისა და ენგელსის ლიტერატურულ მოღვაწეობის ორ ფაზას შორის. მერინ-გი ცდილი მიეღო ეს ხელთნაწერი, უთხოვია ბერნშტეინისათვის, მიუმართავს დასახმარებლად ლაური ლაფარგისათვისაც კი. ეს ხევწნა ეკუთვნის იმ დროს, როდესაც ბერნშტეინი გახდა უკვე რეეიჩიონიზმის თეორეტიკოსი, როდესაც ლაური ლაფარგი მას რენეგატად სთვლიდა. ბერნშტეინს უარი უთქვამს, მაგრამ არა სრულიად. თავი რომ დაეხწია მერინგისაგან, მან მისცა მერინგს პატარა ხელთნაწერი ბრუნო ბაურზე. ეს არის სწორეთ ხელთნაწერი „ლეიპციგის ტაძარის“ შესახებ. მერინგი ამ ნაწილის საფუძველზე მისულა იმ დასკვნამდე, რომ „გერმანულ იდეოლოგიას“ მართლაც ბევრის მიცემა არ შეეძლო. ბოლოს-და-ბო-ლოს მას უნდა გაეცხადებია: მე საშუალებას არ მიძლევენ მარქსისა და ენგელსის

ლიტერატურულ მემკვიდრეობის გამოყენისათვის, როგორც ეს საჭიროა და მკითხველები ვალდებული იქნებოდენ ამისათვის ანგარიში გატრიტული წილური მერინგი, თურმე თითონაც ატუკილებდა ბერნშტეინს. როდესაც შესჭრა მაქმე მქონდა ბერნშტეინთან, ვკრებდი სახეადასხვა ნაშთებს „გერმანულ იდეოლოგიიდან“, მე ვერ შევძელი ერთი ხელთნაწერის მიღება, როგორც ეხება მეორე ნაწილს ბრუნო ბაუერზე. ჩემ დაუინებით კითხვებზე ბერნშტეინმა მიპასუხა, რომ მეონი მას მიეცეს ის მერინგისათვის 1900 წელს და შემდეგ აღარ მიეღოს უკან. მე გამოვყითხე ედუარდ ფუქს, მერინგის ეხლანდელ სულიერ ნოქარს. არავითარი კვალი. ბოლოს-და-ბოლოს ეს დაკლებული ნაწილი ყოფილა. ხელთნაწერი „ლეიპციგის ტაძარი“ ვნანობ, ომამდე სპეციალურად არ მაინტერესებდა ეს ხელთნაწერი. მაგრამ მიუთითე მასზედ გუსტავ მაიერს და წინადაღება მივეცი იგი დაებეჭდა. მე მაშინ ვმუშაობრი მარქსისა და ენგელსის ცხოვრების უფრო შემდეგ პერიოდზე. ეხლა მივიღე ხელში ხელთნაწერი, უფრო ყურადღებით გავარჩიე. აღმოჩნდა რომ უკანასკნელ გვერდზე ენგელსის ხელით არის წარწერილი: II ბრუნო ბაუერი. 1845-46.

ეს ყოფილი „გერმანულ იდეოლოგიის“ ნაწილი, რომელიც ბერნშტეინს 1900 წელს მერინგისათვის გადაუკია, ხოლო მერინგს გადაუწყვეტია მისი არქივში გადაცემა. ენგელსი „ლიუდვიგ ფეირბახის“ წინასიტყვაობაში სწერს, რომ, ემზადებოდა რა მიმოხილვას ფეირბახზე მან გადასწუვიტა გადაეხედა ამ ძველ ხელთნაწერისათვისაც და აცხადებს—განყოფილება ფეირბახზედ არ არის დასრულებული. ხელთნაწერმა დაუმტკიცა იმას თუ რამდენად არა საკმაო იყო მაშინ მათი ეკონომიური ცოდნა. თქვენ იცით, რომ ჩვენში სულ ანტი-მარქსისტულად იყენებდნენ ენგელსის ამ განცხადებას. მაგრამ ის არ ლაპარაკობს თუ ამ ხელთნაწერში რა არის. 1918 წელს მერინგმა გამოუშვა მარქსის ბიოგრაფია. თქვენ იქ აკრეთეთ ნახულობთ პატარა თავს „გერმანულ იდეოლოგიაზე“. იგი მიღის გერმანულ იდეოლოგიის მნიშვნელობის კიდევ მეტად უარყოფის აზრით, ვიღრე მისი შენიშვნები „ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე“. ეს არის თითქმის ამ საგნის მნიშვნელობის უარყოფა მარქსისა და ენგელსის ბიოგრაფიისათვის, მარქსისა და ენგელსის სულიერი განვითარების დახასიათებისათვისაც კი. ეს იყო 1918 წელს. შემდეგ წელში მაიერმა გამოუშვა ენგელსის ბიოგრაფია. უნდა აღინიშნოს, რომ მაიერს ეკუთვნის დამსახურება ენგელსის ბიოგრაფიის ზოგიერთი ფაკტების აღმოჩენაში 42 წლამდე. მაგრამ გუსტავ მაიერი — ბურჟუაზიული მწერალი. იგი დიდი ხანი არ არის რაც სოციალ-დემოკრატი გახდა, უფრო სწორედ იგი გახდა ვერმანეთის ნაციონალურ სოციალ-დემოკრატი. ამ ადამიანს ორგანიულად არ შეუძლია გაიგოს მარქსიზმი, როგორც ფილოსოფიური და რევოლუციონური მოძღვრება. მას კიდევ შეუძლია გაიგოს ენგელი, როგორც კარგი ვერმანული პატრიოტი. მაგრამ მის წიგნში ჩვენ ვნახულობთ საინტერესო პატარა თავს.

ეს დაახლოებით 240-261 გვერდამდეა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფურცლები ყველაზედ მეტად საინტერესო აღვილია, ყველაზედ საინტერესო განყოფილებაა ამ წიგნში. ისინი წარმოადგენენ რაღაც სრულიად ახალს. მე შემთხვევ-

ეით მქონდა ხელში ამ წიგნის ექცემპლარი, რომელიც ეკუთვნის კულტურის და მის შენიშვნებში მე დავინახე, რომ მისთვისაც ეს სავნები ქართული ფრანგულია. მე დავინტერესდი თუ როვორ შესძლო მაიერმა ამ ცნობებთა ჩრდილობის ურმანულ იდელოგიაზე“. შენიშვნებში იგი გვაცნობებს, რომ ბერნშტეინი იმდენათ თავიზიანი იყო, რომ გადასცა მას ენგელსის რამდენიმე მანუსკრიპტი. გუსტავ მაიერი ურნალისტია, განეთის ძელი კორესპონდენტი და იქამდე შეინარჩუნა ურნალისტის და გაზეთის კორისპონდენტის ჩვეულებანი. ურნალისტის პირველი მოვალეობაა დამალოს ყველა ამხანაგებისაგან ის წყარო, საიდანაც მიიღებს ცნობებს. მაშინაც კი, როდესაც ის სწერს მეცნიერულ თხზულებას, ის არ აღნიშნავს დაწვრილებით თუ რა ხელთნაწერებით სარგებლობდა. თქვენ ამაოდ ეძებთ შენიშვნებში სწორ ცნობებს. „ვსარვებლობდი „გერმანულ იდეოლოგის ამა და ამ „ნაწილებიდან“ „ხელთნაწერი №1“. ასეთი ციტატები კი ამოლებულია ამა და ამ ხელთნაწერით, ამა და ამ ბიბლიოთეკიდან, ამა და ამ გვერდიდან. ამათ შესახებ ირც ერთი სიტყვა. მიუხედავათ ამისა, მაინც სჩანს, რომ მას ჰქონია რამდენიმე ხელთნაწერი.

ამ დარბაზში არიან ამხანაგები, რომლებმაც ალბათ ურადლება მიაქციეს მაიერის წიგნში ამ საოცარ ფურცლებს. ამ აღმოჩენამ მე მაიძული გადამედო მარქსის თხზულების სათანადო ტომის გამოცემა, სანამ მე ვერ შევძლებ დაბოლოს გავიგო სად იმყოფება „გერმანული იდეოლოგია“—მართლაც დაიკარგა იგი სავსებით თუ არა. რეზულტატი, რომელიც მივიღე მე ამ მიზნით ბერლინში მგზავრობის გამო, მდგომარეობს მასში, რომ მე დაბოლოს, დიდი სიძნელით შევძლი გამომეტანა სინათლეზედ მთელი „გერმანული იდეოლოგია“. აი, იქ მე მაქვს ამ ხელნაწერის ფოტოვრაფია. პროლეტარული რევოლიუციის მესამოცე წლებში მე იმედი მაქვს გიამბოთ თქვენ თუ რამდენი შრომა გავწიე თოხი კვირის განმავლობაში, რომ ბერნშტეინისაგან გამომეტანა ხელთნაწერები ერთი მეორესე.

უპირველესად მე მინდოდა მქონდა „წმინდა მარქსი“. მე მახსოვდა, რომ ამ „გერმანულ იდეოლოგიის“ ნაწილი დაბეჭდილია, და მე ვფიქრობდი, რომ უკელაზე უფრო ადვილად მივიღებდი მე მისგან იმ ნაწილს, რომელიც დაბეჭდილია. მივიღე თუ არა ეს, მე ბერნშტეინს განუცხადე, რომ მან ამა და ამ წიგნაზი აღნიშნა, რომ არის კიდევ ერთი ნაწილი და იგი მას გამოაქვეყნებს. ეს მას არ ახსოვდა. მაშინ მე ვაჩვენე მას სათანადო ადგილი და რამდენიმე დღის დავის შემდეგ, მე მაინც შევძლი მიმელო ხელთნაწერის მეორე ნაწილი. აღმოჩნდა, რომ „წმინდა მარქსი“ მის მიერ დაბეჭდილ ნაწილში არის არა უმეტეს $\frac{1}{2}$, ნამდვილი მანუსკრიპტისა. ხელთნაწერის უფრო ყურადღებით შესწავლამ მიმიყვანა იმ საათშივე მოულოდნელ შედეგებამდე. აღმოჩნდა, რომ ის დაზარალდა „თავების დამხვრელი კრიტიკით“ უფრო ნაკლებ, ვიდრე ამას ფიქრობდა ბერნშტეინი, როდესაც ბეჭდავდა „წმინდა მარქსს.“

თავებმა შექამა გაცილებით ნაკლები, ვიდრე ბერნშტეინი ფიქრობდა. ასე მაგ. ბერნშტეინი „წმინდა მარქსში“ „რეალურ პრანიზმის“ სახელწოდებით მოთავსებულ თავის შესახებ სწერს შემდეგს:

„რადგან შენახულია მხოლოდ სამი პატარა ფურცელი — სხვა დანარჩენი

41 — 42 ფურცელი შეკმულია თავებისგან — ამიტომ მე ვამჯობინებ სრულიად არ დავბეჭდო ეს თავიო". მაგრამ ხელთნაწერის ყურადღებით, გადაფულებულამ დამანახა ის, რაც თითქოს სრულიად შეეძამა თავებს, დაზიუნებულ მომენტების მოყლებული იყო. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი ნაწილია „გერმანული იდეოლოგიის", თუმცა ყველაზედ მეტად მნიშვნელოვანი. ჩემი დაიხლოვებითი ანგარიშით ეს ნაწილი ეხები შტირნერს, და იჰქერს არა ნაკლებ ფურცელს, ვიდრე „ერთად ერთი და მისი საკუთრება".

გაკურით აღვნიშნავთ, რომ, როდესაც მარქსი მუშაობდა „წმინდა ოჯახზე", მისთვის ბრუნო ბაჟერი ითვლებოდა ფილოსოფიურ აზრის რაღიალურ ნაწილის ჟველაზე მეტად პოპულიარ გამომხატველად. მაგრამ კიდევ იმ დროს, როდესაც წიგნი „წმინდა ოჯახი" იბეჭდებოდა, ვამოვიდა შტირნერის წიგნი. ამ წიგნმა ერთი დაკვრით უეცხად მიაგდო გვერდზე ბრუნო ბაჟერი. შტირნერი შეიქმნა 1845 წლის ვანმაელობაში ზრახვათა ბატონი, ამასთან ერთად იგი გერმანეთის ინტელეგენციისათვის გახდა ბრუნო ბაჟერზედ უფრო რადიკალური. მარქსი და ენგელსი აღსდგნენ შტირნერის წინააღმდეგ, რომ შტირნერზე დაემტკიცებიათ, უკიდურეს ლიბერალურ-ბურუუაზიული მსოფლმხედველობის უსაფუძვლობა. იმით აიხსნება ის არა პროპორციონალურიად დიდი ადგილი, რომელიც მათ დაუთმეს თავის შრომაში მაკს შტირნერს, მაგრამ „გერმანულ იდიოლოგიაში" მარქსი და ენგელსი ეხებიან არა მარტო შტირნერს, არამედ აგრეთვე ბრუნო ბაჟერს და ფეიერბახს. პირველს რადგან მას მარქსი და ენგელსი უკვე გაუსწორდენ „წმინდა ოჯახში", — შედარებით მცირე ადგილს უთმობენ თუმცა გაცილებით მეტს, ვიდრე ეს ეჩვენება ბერნშტეინს, რომელიც მეტად ცუდად არის გარკვეული ხელთნაწერში.

მანუსკრიპტის ნაწილი, მიძღვნილი ბაჟერისადამი, შეუერთეს იმ თავებს, სადაც მარქსი და ენგელსი აწარმოებენ ფეიერბახის კრიტიკას. უკანასკნელი თავები წარმოადგენენ სწორეთ ხელთნაწერის იმ ნაწილს, რომლის შესახებ ენგელსი სწერს, „ლიუდვიგ ფეირბახის" შესავალში, რომ ის არ არის დასრულებულიო. ამ მანუსკრიპტზედ საჭირო იქნება კიდევ მუშაობა. სწორედ ამ ნაწილიდან მაიერმა ამოილო ჩემ მიერ ზემოთ აღნიშნული საოცარი ფურცლები. სამწუხაროდ მან ვერ შესძლო მისი გამოცემა ისე, როგორც საჭიროა. გამოდის, რომ მარქსი და ენგელსი, ამ დაუსრულებელ ნაწილებში, შტირნერისა და ბაჟერის მიმართ ისე იქცევიან, როგორც თავის მოწაფეების შეუბრალებლად დამტუქსავი გაჯავრებული მასწავლებელი, ხოლო ფეირბახს კი მიმართავენ, როგორც მოწინააღმდეგეს, რომელსაც ისინი უცქერიან უაღრესი პატივისცემით და რომლის პიროვნებას ისინი არ ეხებიან. მის მიმართ ისინი აუცილებლად სთვლიან დაუპირისპირონ იდეალისტური მათელმსედველობა თავიანთ პატერიალისტური მსოფლმხედველობას. მოცემულია „აღამიანის" ფეირბახისებურ გაების კრიტიკა. მე ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ მოვასწარი ამ სალაშოსთვის — ხელი შემიშალა ავადმყოფობაშ — ამ ხელთნაწერიდან მნიშვნელოვანი ნაწყვეტები გაღმომეთარგმნა. ეს ადგილი მოყვანილია მაიერის გამოცემაში. ჩვენი გამოსავალი წერტილი, ჩვენი გამოსავალი დებულება — არ არის რაღაც განკუნებული

რამ, არამედ ნამდვილი ინდივიდუუმებია და მათი აქციები, მათი მოქმედება, პირობები, რომელებიც ჩათ დახვდა მომხადებული, და ის პიროვნულობური ცალკეული ადგინი იცვლებიან ადამიანთა საქმიანობათ. უკელა, ვისაც სტრიქონის ისტორიის გამოკვლევა, ვალდებულია პირველად დააყენოს ამოცანა, რომ გამოიკვლიოს თვით ადამიანის ორგანიზმი, გამოიკვლიოს თეოთონ პიროვნება, შემდეგ ის სფერო, რომელშიაც ის მოქმედებს, გამოიკვლიოს მის ირგვლივ შემორტყმული გეოლოგიური, გეოგრაფიული, კლიმატიური და სხ. პირობები.

უკელა ეს საუცხოვოდ, კონკრეტულად, ცხადად გადმოცემულია სწორედ იმ თავში, სადაც ლაპარაკია ფეიერბაზზე. მე შევიცლები, რომ ის გამოქვეყნდეს რაც შეიძლება მაღე, მანამ, სანამ ის გამოვა ცალკე წიგნათ. საკმაოა ამის აღნიშვნა, რომ დავინახოთ როგორი კოლოსალური მნიშვნელობა აქვს ხელთნაწერს „გერმანულ იდეოლოგიის“ შთელ რიგ საკითხების გადაჭრისათვის. ერთ ასეთ კითხვაზე მე უკვე მიგითითეთ. ჩვენთვის „რეალური პუმანიზმიდან“ რევოლუციონურ კომუნიზმამდე არსებული პერიოდი რჩებოდა შემაქრობელ კავშირის გარეშე, რჩებოდა აუხსნელი მარქსისა და ენგელსის განვითარების ორი სტადია. არა მარტო მარქსისა და ენგელსის პიროვნულ განვითარებაში, არამედ მთელ გერმანულ იდეოლოგიის განვითარებაში რჩებოდა სრულიად აუხსნელი და გამოურკვეველი მთელი პერიოდი ჰეგელიდან ფერბახამდე, მარქსიამდე და ენგელსამდე; რჩებოდა აუხსნელი ის გარემოებაც, რომ მარქსისა და ენგელსმა თითქოს თავი მიანებეს ფილოსოფიას ამ დროიდან. ამ ხელთნაწერში ჩვენ ვხვდებით ცნობებს, რომ მარქსისა და ენგელსმა უკვე მაშინ გამოიმუშავეს შესედულება ფილოსოფიაზე, რომელიც ცნობილია ჩვენთვის იმ ფორმულიროვკით, რაც მას შემდეგ ენგელსმა მისცა. ფილოსოფიიდან რჩება მხოლოდ ღიალექტიკა და ფორმალური ლოგიკა, უკელა დანარჩენი გადადის სათანადო მეცნიერებათა სფეროში. მაგრამ ხელთნაწერში ეხვდებით იგრეთვე დიდ განკოფილებას, რომელიც უხება გერმანეთის „კუშმარიტ სოკიალისტებს“ აქამდე ჩვენ განკარგულებაში იყო, მხოლოდ მეტად მოკლე დახასიათება, მოკემული „კომუნისტურ მანიფესტში“.

ეხლა ჩვენ გვაქვს „კუშმარიტ სოკიალისტთა“ უკელა ნაწერების დეტალური კრიტიკა. თქვენ ეხლა ხედავთ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ხელთნაწერს, როგორც მარქსისა და ენგელსის ბიოგრაფიის, ისე ვერმანეთის იდეოლოგიის ისტორიის, გერმანეთის საზოგადოებრივ, პოლიტიკურ ეკონომიკური აზრის და საერთოდ მე-19 საუკუნის აზროვნების ისტორიისათვის. უკელა ჩვენთვის და განსაკუთრებით ახალგაზრდა ამხანაგებისათვის, რომელიც ხდებიან მარქსისტებად, მეტად მნიშვნელოვანია თვალი გადაავლონ ბარქსის და ენგელსის ხელნაწერებს იმ მძიმე, ჩვენ მიერ აუკილებელი საფეხურებით გადათხრილ გზაზე, როგორც მარქსი და ენგელი ჰეგელით და ფეირბაზით, ინგლისის პოლიტიკურ ეკონომიკითა და განვითარებულ კლასთა ბრძოლით, მიეიდენ დიალექტიურ მატერიალიზმთან.

მაგრამ არა მარტო „გერმანულ იდეოლოგიის“ ხელთნაწერია ჩვენს განკარგულებაში. მე შევძელი მონახვა არა ბერნშტეინთან, არამედ გერმანეთის სოკიალ-დემოკრატიის არქივში, მარქსის სხვა ხელთნაწერებისაც. რომელიც

მიეკუთნებიან პერიოდს 1848 წლამდე. თუმცა ომამდე საკმაოდ რეკულიარულად ვმუშაობდი ამ არქივში, — პირველმა მოვიყვანე წესრიგში იქ პრეტისტრატლის! მარქსის ქილალდები,— მაგრამ მე არ მქონდა საშუალება შემესტაჭულა— ასტრატის, — მადგან ვმუშაობდი მასალებზედ ინტერნაციონალის ისტორიიდან, აგრეთვე გამოვდიოდი იმ დებულებიდან, რომ მერინგმა ისარგებლა ყველაფრით, რაც მიეკუთნებოდა პერიოდს 1848 წლამდე, ამასთანავე მე ვფიქრობდი, რომ ბიბლიოთეკასთან ერთად გამოგზავნილი იყო მხოლოდ მარქსის საწერი რვეულები. მე ისინი მაშინაც გადავათვალიერე, ცოტა რამ ჩემთვის კიდევ აღვნიშნე, მაგრამ მე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ესენი — მარქსის. საწერი რვეულებია. მე ვიცოდი რომ ამ საწერ რვეულებში არის მისი შენიშვნები, მაგრამ ვეძებდი მხოლოდ იმას, რაც საჭირო იყო ჩემი შრომისათვის. ეხლა მე გადავათვალიერე რვეულები ვანსაკუთრებულ ყურადღებით და წავაწყდი ერთ დიდ მანუსკრიპტს, ის იწყება მე-5 გვერდით. პირველად მეჩენებოდა, რომ ეს მხოლოდ ამონაწერებია. მარქსს მოჰყავს პარაგრაფი რაღაც წიგნიდან და უკეთებს მას შენიშვნებს. მე ვიფიქრე: ეს მოსამზადებელი მუშაობა ხომ არ არის ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკის სუეროდან მეთქი. აღმოჩნდა, რომ ეს მოსაზრება სწორია. ხელთნაწერი შეიცავს — მე მას მაღვე გამოვაქვეყნებ — პარაგრაფით პარაგრაფამდე ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკას 261 — 262 -დან დაახლოვებით 311-მდე. ეს ხელთნაწერი შეადგენს დაახლოვებით ას გვერდს. ამ რვეულებში მე შემოხვევით წავაწყდი ერთს. ის გარემოება, რომ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში მე მიხდებოდა მუშაობა „კომუნისტურ მანიფესტზე“, შეაჩერა ჩემი ყურადღება ერთ ასეთ მანუსკრიპტზე. გავსინჯე იგი და შევამჩნიე დატა — „ნოემბერი 97 წელი“ წაკითხვით მე დავინახე, რომ ეს არის „კომუნისტური მანიფესტის“ თავი, შედგენილი კონკრეტურ თავისთვის, ნაჩვენებია პარაგრაფები, სადაც კრიტიკია გატარებული მთელი სოციალისტური ლიტერატურა. მე ვამიხარდა და ვიფიქრე, რომ შეიძლება ვიპოვო ამ რვეულში იმ შავი დედანის ფურცლები, რომლებიც გვაქვს „კომუნისტურ მანიფესტში“. მაგრამ ჩემი იმედი არ ვამართლდა.

აღმოჩნდა რომ, ეს არის პატიანი ვარიანტი ერთი ადგილის „კომუნისტური მანიფესტიდან“, მაგრამ ამ რვეულში მე ვიპოვე რაღაც კონსპექტის მზგავსი ახალი ლექციებისა შესახებ დაქირავებულ შრომაზე და კაპიტალზე. ეს მუშაობა კიდევ მოითხოვა გარჩევას. ამასთან ერთაუ, ამავე რვეულში მე ვიპოვე ფრაგმენტი, რომელიც უკავშირდება მარქსის მეცადინეობას საბერძნების ფილოსოფიაში და კიდევ ერთი ეკონომიური მანუსკრიპტი, შედგენილი მარქსის ნაწერების მსგავსად. როგორც ხელავთ ახალ მანუსკრიპტთა რიცხვი, „გერმანული იდეოლოგიის“ პერიოდიდან 47 წლამდე, დიდი არ არის. ყველაზედ მეტი მნიშვნელობა აქვს იმ მანუსკრიპტს, სადაც ჩვენ გვაქვს ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის მოკლე კრიტიკა და ხელთნაწერი ხელფასის შესახებ. ეხლა ჩვენ გადავიდეთ რევოლუციის შემდეგ პერიოდზე. მარქსი სავსებით ეძლევა პოლიტიკური ეკონიმიკის შესწავლას. ენველისის წინასიტუაციაზე „კაპიტალის“ II ტომში, ჩვენ ვიცით იმ ხელთნაწერების საერთო მდგრადობა, რომელიც მარქსს და-

რჩა და რომელზედაც მუშაობდა ენგელსი და შემდეგ კი კაუცი. ენგელსი სწერს, რომ მარქსი დარჩა 23 დიდი რვეული 1472 გვერდით, ეს რეიულზე მარქსი იყო 1861 წ. აგვისტონდან 1863 წ. იქვე ის დასტენს—პირველი 5 რვეული (279 გვერდით) და რვეულები 13-23 (1159—1472 გვერდი) წარმოადგენენ „კაპიტალის პირველი ტომის პირველ რედაქციას. მან გადასწყვიტა მით ჯერ არ ესარგებლა. 973 გვერდიდან 1150 გვერდამდე, 16, 17 და 18 რვეულებში განხილულია შემდეგი საკითხები: „კაპიტალი, მოგება, მოვების ნორმა, სავაჭრო კაპიტალი, ფული და კაპიტალი“. ეს ყველა ის საკითხებია, რომლებიც გარჩეულია მესამე ტომში. მე-6—15 რვეულების 223—973 გვერდები, წარმოადგენენ ზედმეტი ლირებულების თეორიის ისტორიას, სწორედ იმას, რისი გამოკვლევაც მარქსი სურდა „კაპიტალის“ მე-4 ტომში. უკვე მე-80 წლებში, როდესაც ის შეუდგა მარქსის ლიტერატურული მემკვიდრეობის შემუშავებას, ენგელსი ლაპარაკობს ამ მე-4 ტომის შესახებ. ის შემდეგ ამის შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებდა კაუცისთან.

მარქსის ხელთნაწერის 750 გვერდმა მოგვცა ყველა თქვენთვის ცნობილი ოთხი ტომი „ზედმეტი ლირებულების თეორია“, ამასთან ერთად დარჩენილი 45-ზედ მეტი. ამ რიგად, ამ 23 რვეულში, საღაც ჩვენ გვაქვს „კაპიტალის“ პირველი ტომის რედაქცია და ნაწილობრივ „კაპიტალის“ მესამე ტომის რედაქციაც, ჩვენ გვაქვს გამოუქვეყნებელი დაახლოებებით 6 ტომი „ზედმეტი ლირებულების თეორია“.

„კაპიტალის“ მეორე ტომის ამავე წინასიტყვაობაში ენგელსი გვაცნობებს, რომ მან ნახა ერთი ხელთნაწერი, დაწერილი მარქსის მიერ 1864—5 წლებში, რომელიც მისი აზრით წარმოადგენს „კაპიტალის“ მე-3 ტომს. ამის შემდეგ ის გადადის იმ მასალების აღნიშნვაზე, რომლითაც ხელმძღვანელობდა „კაპიტალის“ მე-2 ტომის შედგენის დროს. ენგელსის განკარგულებაში იყო მარქსის 8 მანუსკრიპტი. უნდა აღინიშნოს, რომ მარქსის მე-8 მანუსკრიპტი, ერთი ყველაზე უფრო საინტერესოთაგანი, როგორც ეს სჩანს „კაპიტალის“ მე-2 ტომიდან—დაიკარგა და, მიუხედავად ჩემი ყოველგვარი ცდისა, მე მისი მონახვა ვერ შევძელი. იმ მანუსკრიპტთაგან, რომელნიც წარმოადგენენ „კაპიტალის“ მე-2 ტომის სხვადასხვა რედაქციას, ენგელსმა სავსებით გამოიყენა მხოლოდ ორი. მართალია, ეს ორი მანუსკრიპტი იძღვნად დიდია, რომ ისინი თავისი მოცულობით წარმოადგენენ „კაპიტალის“ მე-2 ტომის ნახევარზე მეტს. სრულიად გამოუყენებელია პირველი 150 გვერდი და მესამე მანუსკრიპტი, მცირედ არის გამოყენებული მეოთხე მანუსკრიპტიც. ამრიგად, მანუსკრიპტთა ამ გროვაში, რომელნიც ეკუთვნის მე-3 ტომს, გარდა მთლიანად მე-2 ტომისა, მე ვნახე მანუსკრიპტთა მთელი რიგი, რომელნიც წარმოადგენენ „კაპიტალის“ 1 ტომის ზოგიერთ თავების ახალ რედაქციას.

ჩვენ გადავდივართ ეხლა საინტერესო კითხვაზე. ყოველ რეს მარქსისტს, რომელსაც საქმე ჰქონდა „კაპიტალის“ მე-2 ტომთან, ყოველთვის მოსდიოდა აზრათ, რომ „კაპიტალის“ მე-2 ტომის მიღება არ შეიძლებოდა ისე, როგორც ის დატოვა მარქსმა, დაუმუშავებელი სახით, და მის გვერდით ენგელსის შემუშავება, როგორც კომენტარიები. მრავალ ჩვენგანს ებიდებოდა აზრი, რომ შეიძ

ლება ენგელსი იყო რამდენადმე სუბიექტიური. იმ ხელთნაწერების ფორმა / დაკვირვებით შესწავლამ ჩემში ეს აზრი ვაამტკიცა, და ვამსაკუთრებით „კაპიტალის“ მე-3 ტომის შესახებ.

როდესაც ენგელსი „კაპიტალის“ მე-2 ტომს სცემდა, სამ ჭრის მიზანის შე-3 ტომის გამოცემას რამოვენიმე თვეში. სინამდვილეში კი „კაპიტალის“ მე-3 ტომის გამოცემამ მას წაართვა 9 წელიწადი. ხელნაწერები იმდენად ბევრი იყო გამორჩენილი, რომ რამდენიმე ნაწილის შემუშავება მოუხდა თითონ ენგელს. ერთი ნაწილი მან შეამუშავა რამდენიმე წელიწადში, მაგრამ ბოლოს იგი მიატოვა, რაღაც დაინახა, რომ არაუკერი არ გამოვიდოდა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ „კაპიტალის“ მესამე ტომი წარმოადგენს ვარიაციას იმ თემაზედ, რომელიც მოხახა და შეამუშავა მარქსმა, მაგრამ მაინც ენგელსის ვარიაციით.

მაგრამ ენგელსმა გადახედა კიდევ რამდენიმე ხელთნაწერი. დაავიწყდა თუ არა ისინი მას ძნელი სათქმელია, მაგრამ მარქსის რვეულებს შორის მე ვნახე კიდევ რვეული, რომელშიაც არის ეკონომიური შრომები. ერთ ამ რვეულში მე წაეაწყდი მარქსის საინტერესო შენიშვნას, რომლისათვის მაშინ მას კიდევ არ მოენახა სათაური და რომელიც გამოვიდა პირველი რედაქციით „პოლიტიკურ ეკონომიის კრიტიკით“.

თუ რა არის ამ რვეულებში, თქვენ შეგიძლიათ დაინახოთ შემდეგი ცნობით—კაუციკიმ ერთ მათგანში იპოვა „პოლიტიკურ ეკონომიის კრიტიკის“ შესავალი. ამრიგად ჩვენ, მარქსის ეკონომიური შემკვიდროების გამოცემის დროს გვეხატება შემდეგი ამოცანა. პირველად საჭიროა დასტამბევა „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის“ პირველი რედაქციის, რომელიც მიეკუთვნება მე-50 წლების შუა ხანას. მეორე დიდი შრომა—გამოქვეყნება მარქსის 23 რვეულის, როგორც ისინი შენახული არიან. შემდეგ მოდის „კაპიტალის“ 1 ტომი, ყველა ვარიაციებით, ყველა რედაქციებით, „კაპიტალის“ მე-2 ტომი, როგორც ის დატოვა მარქსმა და როგორც ის გადამუშავა ენგელსმა. მე-4 ტომი კი ქრება ჩემთვის მეტად სამწუხაროდ და ივანე პავლეს ძესათვის მეტად სასიხარულოდ, რომელიც ემზადებოდა მისი გადათარგმნისათვის. ასეთი გეგმის დროს ის სრულიად ჩამოცილებული იქნება.

მე უკვე ალვნიშნე, რომ რვეულებში, რომლებშაც თითქოს არის მხოლოდ ამონაწერები, არის მარქსის დამოუკიდებელი შენიშვნები. თუ რა საგნები გვხდებიან აქ. „კაპიტალის“ მე-2 ტომის მცოდნენი გაითვალისწინებენ იმით, რომ ამ ტომში ენგელსის მიერ ამოღებულ 89—92 გვერდები, მოყვანილია არა მანუსკრიპტებიდან, არამედ ერთი ასეთი რვეულიდან.

დიდი შრომა, რომლის შესრულება საჭირო გახდა ხელთნაწერების ფოტოგრაფიული გადაღებით, რომლებიც ინახებოდენ ბერნშტეინთან და მარქსის უპიავრესი ეკონომიური ხელთნაწერები, არ მაძლევლენ მე ებლა საშუალებას გადამეორ მარქსის ყველა საწერი რვეულები. მაგრამ იმ მუშაობის შესრულება აუცილებლად საჭირო იქნება, ვინაიდან ეს რვეულები წარმოადგენენ მარქსის

სულიერი განვითარების ისტორიისათვის დიდი ინტერესს წარმოადგენ, ინტერესს მისი მუშაობისა და შესწავლის მეთოდთა დახასიათურებულებისთვის.

მე ეხლა გადავდივარ ხელთნაწერთა მე-3 ჯგუფებზედ, მეტყველებულ დასაწყისში ენგელსი გადასახლდა ლონდონში. მისი წერილებიდან მარქსისადმი ჩვენ ვხედავთ, რომ ენგელსა დარჩა ძველი ინტერესი ქიმიაში მღებავ ნიუთონებათა მიმართ, ქიმიის, ფიზიკის და საერთოდ ბუნების მეტყველების მიმართ, რომელშიაც ის მეცადინობდა ჯერ კიდევ რეალურ სასწავლებლებში. მანჩესტერში მან, თავისი მეგობრის, ცნობილი ქიმიკოსის ბორლემერის დახმარებით, განაგრძო სხვა მეცნიერებთან ურთად ქიმიისა და ბუნების მეტყველების შესწავლაც. ლონდონში გადასვლის შემდეგ ის ინტენსიურად მუშაობდა ბუნებისმეტყველურ მეცნიერებებში. ზოგ ჩვენგანს შეიძლება ამსოდ მისი წერილი, 1873 წლის მაისში, რომელშიაც ის აცნობებს მარქსს, გადასულს მანჩესტერში, იმ რეზულტატებს, რომელსაც მან მიაღწია, და თხოვს თავის მეგობარს აცნობოს მას მანჩესტერის ნაცნობთა შეხედულებანი. ამ რიგად ჩვენ ვხედავთ, რომ ენგელსი რამდენიმე წლით ადრე, ვიდრე დაიწყებდა პოლემიკას დაურინვთან საფუძვლიანად მუშაობდა ბუნების მეტყველების სფეროში. „ანტიდიურინგის“ შესავალში ივი იმედს გამოიქვამს, რომ ალბად ის შესძლებს თავის მუშაობის გავრცელებას. 1882 წლის ნომრებში, მარქსთან მიწერილ ბარათში, ჩვენ ვხვდებით საინტერესო ცნობას დაკავშირებით ერთ ახალ გამოკელევასთან ელექტრონობაში, რომელიც მისი აზრით ამტკიცებს ნის თეორიას. ის სწერს მარქსს, რომ იმედი აქვს დაასრულოს თავისი შრომა ბუნების დიალექტიკაზე. რა მოუვიდა იმ შრომას, რამდენათ იქმნა ის დასრულებული—არ იყო ცნობილი.

ამ შრომის შესახებ ჩემთვის არაფერი უთქვამს არც კაუცის და არც შერინგს, მის შესახებ არ არის ნახსენები არც ერთ სტატიაში ენგელსზედ, ამის შესახებ ბერნშტეინიც კი გაჩუმებულია მიწერ-მოწერის შენიშვნებში. წარმოიდგინეთ ეხლა ჩემი გაკვირვება, როდესაც ბერნშტეინმა სრულიად შემთხვევით, მასთან შენახულ მანუსკრიპტების გადმოწყობის პროცესში, რომელიც გავრცელდა ერთ თვეს— მომიტანა მე ენგელსის დიდი ხელთნაწერი ბუნების დიალექტიკაზე. სათაურიდან, რომელიც ჰქონდა შემორტყმულ ქალალდა, სჩანდა, რომ ხელთნაწერი შესდგებოდა ნ ნაწილისავან, რომელშიაც დამუშავებულია მატერიის მოძრაობის კანონები, ელექტრობა, მაგნეტიზმი და სხვა. სამწუხაროდ, მე-4 ნაწილი— „ბუნებისმეტყველება სამყაროს ზმანებაში“— დაკარგულია. ჩემი დაუინებითი თხოვნა, რომ ის მენახა, დიდხანს უშედეგოთ ჩემთვით. მე უკვე ვემზადებოდი რუსეთში დასაბრუნებლად ამ ნაწილის მიუღებლად, მაგრამ, თითქმის გამომგზავრების წინა დღით, ის და ბოლოს მონახული იქნა. მაგრამ არა მარტო ეს ხელთნაწერი, ამ ჯგუფში შედის იგრეთვე რამდენიმე მანუსკრიპტი, რომელიც ატარებს შემდეგ სახელწოდებას: „ბუნება და ბუნებისმეტყველება“, „მათემატიკა და ბუნებისმეტყველება“. სჩანს ენგელს თავისი მუშაობა ამ სუერონი მაღა არ შეუწყვეტია, ის არ მოელოდა, რომ მარქსის ხელთნაწერების შემუშავება მას წაართმევდა ამდენ დროს. მშობლოდ მე-30 წლების შეა რიცხვებში იგი კარგავს იმედს, რომ ის შესძლებს თავისი მუშაო-

ბის დასრულებას და ის სწერს „ანტიდიურინგის“ ახალი გამოცემის წინასი-ტყვაობაში 1885 წლის დასასრულს — სადაც იხსენიებს თავის შრომებს /ბუნების შეტყველების სფეროში, რომლის შედეგების გამოქვეყნებას უფრო უკლებებიარქსის გათვარიკურ შრომებთან ერთად, რომ შეიძლება ბუნების შეტყველების შემდეგი მიღწევები. მის შრომის აქცევენ ნაწილობრივ ან სავსებით ზედმეტად. „კაპი-ტალის“ შემდეგი ტომების გამოცემას კი ენგელსი სთვლიდა უფრო რთულ ამო-ცანათ.

მე ჯერ არათერი შემიძლია გაცნობოთ ამ ხელთნაწერების შინაარსის შე-სახებ. ისინი ოხოულობენ გარჩევას. უნდა ალინიშნოს მხოლოდ, რომ ენგელსის ხელთნაწერები, განსაკუთრებით თუ მას შეეადარებთ მარქსის ზედმეტად გაურ-კვეჩელ ხელთნაწერებს, იყითხებიან საქმაოდ თავისუფლად. ალბად ჩვენ დაგვე-ხმარებიან ჩვენი არა მრავალრიცხოვანი ფიზიკოსები და ქიმიკოსები, გაცნობი-ლი დიალექტიურ მეთოდთან, თუ კი ის საჭირო იქნება ხელთნაწერების გარ-ჩევისათვის, ისე როგორც ქიმიურ და ფიზიკურ მოვლენების ასსინისათვის. მე კი ვიცი, რომ მეტად გამბედავ ხალხსაც ხელთნაწერების ძალიან ეშინიათ, ისე როგორც ცრუმორწმუნე ხალხს მოჩვენების.

დავსძენ, რომ ენგელსის მანუსკრიპტთა შორის არის ერთი დიდი შრომა გერმანელების საშუალო საუკუნეთა ისტორიიდან, რომელზედაც, როგორც ეს სჩინს მისი წერილებიდან მარქსისადმი, ის მუშაობდა მე-80 წლების დაწყებიდან გერმანულ ნარკის ისტორიასთან დაკავშირებით.

ეხლა გადავალ შეუწყვეტლიც, თუ თქვენ ნებას მომცემთ, მარქსის და ენგელ-სის ლიტერატურულ მემკვიდრეობის მეორე მსხვილ ნაწილზედ, მათ მიწერ-მო-წერაზე. იმ ფორმაში, როგორიადაც თქვენ მას იცნობთ, ბურგუაზიული მწერ-ლების შმოლერის, ონკენის და სხვების აღიარებით, ის წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან წყაროს მე-19 საუკუნის პოლიტიკურ, სოციალურ და ინტელექ-ტუალურ ისტორიის შესწავლისათვის. შეიძლებოდა იმედი გვქონოდა, რომ ეს 4 ტომი გამოცემულ იქნებოდა ნაწილ-ნაწილად, მეცნიერულად, შეურაცყოფა რომ არ მიგვეყუნებია მარქსისა და ენგელსის ხსოვნისათვის. სინამდვილეში კი ეს გამოცემა, რომლის პასუხისმგებლობას იტარებს ბერნშტეინი და მერინგი, ყოველ კრიტიკის გარეშე სდგას. ჩემს ხელშია მარქს-ენგელსის მიწერ-მოწერის პირველი ტომი. ყველა ეს მრავალრიცხოვანი ჩანაწებები, რომლებსაც თქვენ ხედავთ, წარმოადგენს წერილებიდან გამოკლებულს, გამომცემლობისაგან შეუ-ნიშვნელ ადგილებს, რომლის შემოწმება შევძელით ორიგინალებთან. მაგრამ ეს დიდი გამოკლებულებანია. არ არის თითქმის არც ერთი წერილი, რომელშიაც უღვთო ხელის მიერ არ იყოს შეტანილი ცელილებანი. მყაცრი გამოთქმები ან შეცვლილია რბილად, ან სრულიად გამოშვებულია. თუ მარქსი ვისმეს უწოდებს ვირს, ჩვენი გადიები სკვლიან ამ გამოთქმებს უფრო რბილ სიტყვათ — უგუნური. გამომცემლებს ყოველი მავარი სიტყვის ეშინიათ. სინამდვილეში კი მარქსისა და ენგელსის წერილები, ბელინსკის წერილებთან შედარებით, რომელიც იზრდებო-და რუსეთის მატრიარხატის ტრადიციებზედ, ინსტიტუტის მოწაფე ქალის წე-რილებია. როდესაც მერინგი გვიცხადებს ჩვენ, მარქსის ბიოგრაფიის წინასიტ-

ყვაობაში, რომ მას მიწერ-მოწერის გამოცემის დროს, არავათოდ უახლოება არ ჰქონია ბერნშტეინთან, არც საბაბი, რომ მისთვის შეეშალა ხელი ამ მუშაობაში, რჩება მხოლოდ ის, რომ ხელები ძირს ჩამოუშვიათ. ძნელი წარმონადგენია უფრო მეტად ფილისტერული და მეშჩანური რამ, ვიდრე მარქსისა და ესგელსის წერილების ასეთი გაწმენდა. მაგრამ სამაგიეროთ არ არის გაშვებული არც ერთი შილინგი, არც ერთი პენი, გავზავნილი ენგელსის მიერ მანჩესტერიდან, არ არის არც ერთი აღვილი გამოტოვებული მარქსის წერილებიდან, რომელიც მას ჩრდილს აყენებს ფილისტერების თვალში. თუ გამომცემლები ცდილობენ თავი დაიფასონ მოხუცი ლიბკნებტის, ან ლასალის აეტორიტეტით, რომ არპილებდენ მათი მისამართით ეპიტეტებს, ისინი ულმობელი არიან თვით მარქსის კერძო ცხოვრების მიმართ. მართალია, შედეგი გამოდის არა ისეთი, როგორსაც გამომცემლები მოელოდენ.

შეიძლება ითქვას, რომ მე ვლებულობდი მონაწილეობას ამ დანაშაულში. ჩემი სახელი იხსენება ჩემთვის მეტად საონოდ მიწერ-მოწერის გამომცემელთა წინასიტყვაობაში. მაგრამ მთელი ჩემი დაბმარება მდგომარეობდა არა ორივინალების ნიადაგზედ. მე მაძლევდენ მარტო კორექტურას და მე მქონდა შესაბლებლობა მხოლოდ ჩამომეყალიბებია ის, რასაც გამომცემლები იღებდენ პირველი და მეორე კორექტურიდან. ერთ შემთხვევაში მე მოვიქეცი, როგორც რუსი ბარბაროსი. მე დავტეჭდე მარქსის წერილების ამონალები პირველი კორექტურით. ასტყდა დიდი სკანდალი, იმიტომ, რომ ვაიძულე გამოეცვალათ პირველი ტომის ანაწყობი, რადგან არ შეიძლებოდა უკვე იმის აძოქრა, როცა მე დავტეჭდე. შემდეგ მე გამოვაქვეყნე მარქსისა და ენგელსის რამდენიმე წერილი ორივინალიდან პირდაპირ რუსულ ენაზედ. ჯერ კიდევ ომამდე მე ვიყავი ბებელთან და შევძელი ჩემი შრომისათვის ინტერნაციონალის შესახებ, მარქსისა და ენგელსის წერილების სათანადო წლების, ორგინალთა მიღება. მე უთხარი ბებელს, რომ მათ გარეშე მე არ ვიმუშავებდი ამ შრომაზედ, რომ მე ვთვლიდი პატივისცემის დარღვევად მესარგებლა ასეთი გამოცემით. ბებელის თავინებით ბერნშტეინმა მოცუა მე ეს წერილები. სანამ მე დაუბრუნებდი ბერნშტეინს ამ წერილებს, მე, რომ არა ვსთქვა ცუდი სიტყვა, უველა წერილების ფოტოგრაფია გადავიღე საჭირო იყო ასეთივე ოპერაციის გაერთება უველა დანარჩენებისათვისაც. ეხლა მე შემიძლია ვსთქვა, რომ ეს შესრულებულია — ჩვენ გვაქვს ფოტოგრაფიული გადალება მარქსის წერილების ენგელსისადნი და ენგელსისა მარქსისადმი, რომელიც კი აქვს ბერნშტეინს, ხოლო ჩვენ გვაქვს იგრეთვე ისეთი წერილებიც, რომელიც ბერნშტეინს არა აქვს.

მარქსის წერილები ენგელსისადმი წარმოადგენს ლიტერატურული შემქუდროების არანაკლებ სამ მეოთეხდა, დიდ ნაწილს, რომელიც არის მარქსის წერილებში. ყველა თქეენგანს ახსოვს მარქსის უფრო საინტერესო ადრესატები — კუგილმანი, ზორგე, ვეიდებეიერი და სხვა, ზორგეს წერილების გამოკლებით, ჩვენ გვაქვს უველა დანარჩენი წერილები ფოტოგრაფიული გადაღებული. ჩვენ გვაქვს იგრეთვე მარქსის წერილები არნოლდ რუგესი და თავის უფროს ქალიშვილთან. ყველაფერი, რის გაკეთებაც კი შეიძლებოდა ამ შიმართულებით, უკვე

შესრულებულია, და მე შემიძლია ვსთქვა. რომ ჩვენს ხელშია მარქსის წერილების არა ნაკლებ 90 პროცენტი. დარჩენილია მხოლოდ ორივიწნააღმდების ან ფორმუგრაფიების შეკრება და იმ წერილებიდან, რომლებიც არის ჭავჭავაძეების სხვა დასხვა პირებთან, რომელნიც მარქსს მიშართავდნენ-სხვადასხვა შეკითხვებით.

უფრო ცუდათ იყო ენგელსის წერილების საქმე. როდესაც 1883 წელს მარქსი გარდაიცვალა, მისი კორესპონდენტების წრე შედარებით დიდი არ იყო. ვაკილებით ფართოა ეს წრე ენგელსთან. 1883 წლიდან 1895 წლამდე ის იზრდებოდა მუშათა საერთო მორჩილი მოძრაობის ზრდასთან ერთად. აქ მნიშვნელოვანია იმ კორესპონდენტების განსაზღვრა, რომელზედაც, გირდა მარქსისა და ენგელსის ნიოგსავებისა, მოდის წერილების დიდი რაოდენობა. ვონებასთან უფრო ახლო სდგას ის მოსახრება, რომ ყველაზედ მეტად ენგელსი სწერდა, თუ რომ არ მივიღებთ მხედველობაში ბებელს, ვიქტორ ადლერს, კაუცკის და ბერშტეინს. მნიშვნელოვანი იყო ცდა, რომ მივველო ეს წერილები. ამოცანა იყო ძნელი, მაგრამ იგი სრულებით შესრულებულია. ჩვენ კვაჭვს ყველა წერილების ფოტო-გრაფია ენგელსისა კაუცკისადმი, რომელმაც (კაუცკიმ) მომითხოვი ერთი პირობა - მე არ შემიძლია ისინი ვამოვაქვეყნო 1924 წლის ზაფხულამდე.

შევძელით ენგელსის წერილების შილება ბერნშტეინისაუმი. თუ აა მნიშვნელოვანი მასალაა ეს ენგელსის ბიოგრაფიის და მე 80 წლების ისტორიისათვის, ამას თქვენ დაინახავთ რამდენიმე კვირის შემდეგ. რადგან ბერნშტეინმა შე მომცა უფლება გამოვაქვეყნო გამოუქალებლივ ეს წერილები რესულ ენაზე ორი თვის შემდეგ. კიდევ მეტი, ბერნშტეინი დამპირდა რომ ის დასწერს შესავალს თავის დამოკიდებულების შესახებ ენგელსის მიმართ და გაარჩევს ყველა ადგილებს და ინიციალებს, რომლებიც გაუგებარი აღმოჩნდება. რჩება მხოლოდ იმ წერილების მოკრება უახლოეს წლების განმავლობაში, რომლებსაც ენგელსი უგზავნიდა თავის მრივალრიცხოვან კორესპონდენტებს რემინიცეთში, სომხეთში, იტალეთში, პორტუგალიაში და შეეიცარიაში. ეს მუშაობა მსუბუქდება იმით, რომ ენგელსი, სანამ წერილებს აგზავნიდა, მანამ იტოვებდა მათ წინასწარ კონსპექტს. მრავალი ასეთი შევად ხატერების მონახვა მე შევძელი. ეს შევად ნაწერები მეტად საინტერესოა. შესაძლებელი გახდა შევად ნაწერების მონახვა ენგელსის მეტად დიდი წერილისა ზასულიჩისადმი, ლორიას და მთელი რიგი სხვა პიროვნებათა მიმართ, რომლებიც გვაძლევენ სხვა აღრესატების მონახვის საშუალებას.

მაგრამ მარქსისა და ენგელსის კორესპონდენტები გვაძლევენ სხვა საინტერესო ცნობებსაც. მარქსი და ენგელი სწერდენ ბევრს, მაგრამ ღებულობრნენ აგრეთვე ბევრს. ამ მეტკვიდროების გამნილვა მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა. მე მოვიტანე ლაბრიოლას უველი წერილების ფოტოგრაფიული გადაღებანი ენგელსისადმი. ეს არის დაახლოებით 160 გვერდი. არის ენგელსის მიმართ რესეტის სხვადასხვა რევოლიუციონერების წერილები, არის საინტერესო წერილები მარქსისადმი, რომლებიც იძლევიან ცნობებს სულ უცნობ ფაქტებზე. მე მალე გამოვაქვეყნებ ლორიას წერილებს მარქსისადმი. ისინი მეტად დამახასიათებელი არიან ბურუუაზიულ მეცნიერების წარმომადგვენლისათვის, რომლებიც წერილებში დიდ პირფერობით მიმართავენ მარქსს. ამ წერილებს მორის არის ნაკავ

ნობი წერილები ჩარლზ დარვინის და უცნობი ლინკასტერის, უონ კოლეჯის, ყველასათვის საინტერესო იქნება, რომ კარლ პირსონის, ინგლისის ურის-ერთ მსხვილ მეცნიერს, რომლის სახელი კარგად იცის ყველამ, ეინ ცარისტი თუ შემ ნიკა და ბიომეტრიკაში, რომელიც კოფილა მაშინ კუმბრიჯის ტრიანგულური სტუდენტად, მიუმართავს მარქსისათვის წინადადებით, რომ ინგლისურიდ ვა-დაეთარგმნა „კაპიტალი“. ის ეყრდნობა იმ დებულებას, რომ უნივერსიტეტიდან მის ამხანაგთა შორის არის ჯგუფი, რომელიც დაინტერესებულია „კაპიტალით“ და კითხულობს მას უმეტესად ფრანგულ ენაზე. თავის თვეს ის ვაღათარგმნი-სათვის მზად სთვლის, რადგან ის სწავლობს გერმანულ ასროვნების ისტორიას, არის ნამყოფი ორი წლის განმავლობაში პეიდენბერგის უნივერსიტეტში და ილებს სოციალიზმის ყველა ძირითად პრინციპებს. მის პირველ შრომებში თქვენ შეხვდებით მთელ რიგ ისეთ საკითხებისა, რომლებიც არა უკი ჩვეულებრივ ინ-გლისის მეცნიერებს და რომლებიც ეხლა ისხსნება განსაზღვრულ იდეოლოგიურ ზეგავლენით.

ეხლა ვადაედივარ უკანასკვნელ ჯგუფზე. რამდენიმე სიტყვით შევჩერდე-ბი რეუულების შესახებ. მე დავტოვე ისინი ფოტოგრაფის მიერ ვაღაულებლად, რადგან დრო არ მყოფნიდა. მე მაქვს იმ რეუულების და წიგნების სია, რომ-ლებსაც მარქსი კითხულობდა. ისინი იძლევიან საინტერესო მასალას იმის შესა-ხებ, თუ რა აინტერესებდა მარქსს, მასი ცხოვრების რამოდენიმე პერიოდში. არის რამოდენიმე რეუული 33—45 წლებისათვის და სამი რვეული 50—60 წლე-ბისათვის, აგრეთვე შე—70 წლებისათვისაც. მათ შორის განსაკუთრებით საინ-ტერესო სამი დიდი რვეული—შე—75 წლის კრიზისის ისტორია, შემდეგ რვეუ-ლები, რომლებიც წარმოადგენენ 4 ტომიან თხუნულებას და რომლებიც იძლევიან მსოფლიო ისტორიის მიმოხილვას შე—17 საუკუნის ნახევრამდე. არის აგრეთვე მარქსის მათემატიკური ვარჯიშობის რვეულები. უნდა დაუმინო, რომ უკვე 9 წლის წინათ მე ვნახე მარქსის მათემატიკური შრომა, რომელიც ჩემ მიერ ვაღაცემულ იქმნა ფრიც ადლერისადმი დასაბეჭდათ. ეხლა მე კიდევ მივიღე ბერნშტეინისაგან ერთი მათემატიკური ხელთხიაწერი.

მარქსისა და ენგელსის ლიტერატურულ მემკვიდრეობის ეს ნაწილი კიდევ ვამოუკენებელია. ის განსაკუთრებით საინტერესო მარქსის ბიოგრაფებისათვის, ის გვაჩვენებს, თუ როგორ მუშაობდა მარქსი, როგორ მეცადინობდა, როგორ სინდისიერად ეპურობოდა ყოველ ახალ საკითხს, რომელსაც ის სწავლობდა. მუშაობაში ეს მეთოდიურობა და სისტემატიკურობა მან სიკვდილამდე შეინარ-ჩუნა. თუ შე—81—82 წლებში მან დაპყარვა დამოუკიდებელ მეცნიერულ შემო-ქმედების თვისება, მას არ დაუკარგავს შესწავლის თვისება. ზოგჯერ იმ რვეუ-ლების ვაღარჩევის შემდეგ ისმება საკითხი: — რისთვის კარგავდა ის დროს ასეთ სისტემატიკურ და საფუძვლიან კონსპექტიურობაზე, რადგან მოცემი შრომის, — როგორც ის შერებოდა ჯერ კიდევ 1881 წელს, ერთი მსხვილი შრომის ირკვ-ლივ გეოლოგიიდან, თავიდან თავამდე აღკვენდა კონსპექტის — ეს იყო მიუტივებე-ლი პედანტიზმი. შეორუ მაგალითი: მორგანი მან მიიღო 78 წელს, 98 გვერდზედ წვრილი ხელნაწერით ვაღმოლებულია მორგანის კონსპექტი დაწვრილებით



(თქვენ უნდა იცოდეთ, რომ მის დაჩქარებით ნაწერის ერთი გვერდი იძლევა მინიმუმ 2,2 გვერდს ნაბეჭდს). ასე მუშაობდა უკვე მოხუცი ქარქული უკანასკნელი ტების განსაკუთრებული შნიშვნელობის გამო, გამონაკლისის სახით, გადავიღე ფოტოგრაფიული მორგვანისა და ორი წიგნის—ლემოკლისა და მენის—კონსპექტი. ამ რეცულებით სჩანს, რომ მარქსი მე-70 წლების მეორე ნახევარში მუშაობდა ფერდალიზმის და მიწის მფლობელობის ისტორიაში.

ამ საერთო სურათი იმ ახალი მასალებისა, რაც გვაქვს მარქსისა და ენგელსის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში. კითხვა, რომელიც ამ დაწესებულების კედლებში პრაქტიკულად უნდა დაისვას, შეეხება იმას, თუ როგორ შევძლებთ ჩვენ, რომ არ გადავდვათ კიდევ 30—40 წელით, გამოვიყენოთ ამ აზრთა, ფიქრთა და მოსახრებათა კოლოსალური ვროვები, რომელიც გვაქვს ამ გამოუქვეყნებელ ხელთნაწერების სახით.

პირველ რიგში უნდა დაისვას საკითხი უველი ამის გამოქვეყნების შესახებ რუსულ ენაზე. მე უნდა დავსძინო, რომ, სამწუხაროდ, ბერნშტეინთან შეთანხმებით მე მაქვს ხელთნაწერების მხოლოდ რუსულ ენაზე გამოცემის უფლება. რაც შეეხება მათ გამოქვეყნებას ორიგინალის სახით, ამის შესახებ დაგვჭირდება ცალკე მოლაპარაკების წარმოება. ეს გადადებულია შემდეგი წლისათვის, მაგრამ რუსულ ენაზე გამოცემის უფლება ჩვენ გვაქვს.

მე ჩემს თავს ნებას მივცემ, ცოტა გაგრძელებული ცნობა და არა მოხსენება, ახალ მასალების შესახებ — დავასრულო შემდეგი სურვილით: დე დაბოლოს მოინახოს ახალგაზრდები, უნერგიული, მტკიცე და მუყაითი მუშაკები, რომლებიც დაგენერირებიან ჩვენ, მე-6 გაწვევის კომეკშირლებს, დავასრულოთ ეს მუშაობა.

ამხ. რიაზანოვი შემოსულ შეკითხვებზედ უპასუხებს შემდეგს:

აქ ამხანაგი — რომლის სახე მახსოვს, ხოლო გვარი არა — მეკითხება: — როგორ მოხერხდა, რომ ამხ. რიაზანოვმა შესძლო სოციალ-დემოკრატებისავან ამ მასალის მიღება, მათ მიერ კომუნისტებისადმი ყველასთვის ცნობილი, მტრული განწყობილების დროს. ამ შეკითხვას უერთდება ამხ. პრეობრაუნსკის შეკითხვაც — ვინ გვიწყობდა და ვინ გვიშლიდა ხელს ამ საქმეში. შე უნდა განვაკრადო, რომ გერმანული ფორმულად ტერიტორიის მხრივ იყო ერთი პატარა დაბრკოლება. მოლაპარაკებას გერმანულ ფორმულად ტერიტორიან მე ვაწიორმოებდი იდოლთ ბრაუნისა და რუდოლფ ჰილფერდინგის სამუალებით. ეს ორი სახელი მრავალ ამხანაგს უკვე ანიშნებს, რომ ორივე ისინი იცნობდენ თუ ვინ არის ამხ. რიაზანოვი, მას აქვს ცუდი ნაკლი, რომ ის კომუნისტია, მაგრამ მარქსისა და ენგელსის თხუნლებათა გამოცემის საქმით დაინტერესებულია, და დაინტერესებულია, როგორც ჩვენში შეეჩინენ თქმას, გულწრფელად.

პირობები მე დამისვეს მხოლოდ გერმანულ ენაზე ნაწილობრივ გამოქვეყნების შესახებ, მაგრამ ფოტოგრაფიული გადალების უფლება და შესაძლებლობა მე მომცეს ყოველივე პირობების გარეშე, გარდა იმ პირობებისა, რომლებიც საერთოდ არსებობს უველა არქივებში.

მაგრამ სრულიად მოულოდნელად მე წავაწყდი დაბრკოლებათა მთელ რიგს

რუსეთის სოციალ-დემოკრატების, მენშევიკების მხრივ. ისინი აღმოჩნდნენ მარქსის ორი წერილის პატრონები. ეს წერილებია მიწერილი ქრისტენიზმისა და მეორე თავის უფროს ქალიშვილისადმი. რამდენიმე ამხანაგებულებულებული, რომ მე უკვე დიდი ხანია აღმოვაჩინე მარქსის წერილის შავი დედანი ზასულისადმი. მე ვიპოვე იყი 1910 წელს ლაფარგთან შენახულ ქალალდებში. ეს წერილი გარჩეულია, გარჩევაზედ მე მეხმარებოდა ამ. ბუხარინი. ვენიდან, როგორც კი ვნახე წერილი. მე მივმართე ზასულისა და პლეხანოვს. მე მახსოვს, რომ „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფში იყო რალაც მიწერ-მოწერა მარქსთან რუსეთის თემის შესახებ. პლეხანოვმა მიპასუხა, რომ მარქსმა რალაცია წერილი გამოგზავნა, მაგრამ ის მას არ ახსოვს. ზასულისაც დაავიწყდა, დაავიწყდა აქსელროდსაც. სრულიად შემთხვევით ერთი მენშევიკისგან მე გავიგვ, რომ აქსელროდის ქალალდებში უნახავთ მარქსის პასუხი ვერა ზასულისადმი. ეს არის დაახლოებით ერთი პატარა გვერდი, ხოლო ის შავი დედანი, რომელიც მე მაქს, შეიცავს 12 გვერდს. მე ვთხოვე, რომ ჩემთვის ეჩვენებიათ წერილი და აღმოჩნდა, რომ ეს ის წერილი არ არის, რომელიც მე მქონდა. მენშევიკები, რომლებსაც ჰქონდათ ეს წერილები, ბოლოს და ბოლოს დათანხმდენ, რომ მე ეს წერილი ვადამელო ფოტოგრაფიულად. ამ წერილის ფოტოგრაფია მე მაქს, მაგრამ ვამომართვეს სიტყვა, რომ მე შემიძლია მისი დაბეჭვდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა მას დაბეჭდავს ბერლინის ერთ-ერთი ვამომცემლობა. უფრო ცუდად არის საჭმე მარქსის წერილების შესახებ თავის ქალიშვილისადმი. მრავალმა ჩვენთაგანმა ალბადი იცის, რომ მარქსის წერილები ვამოქვეყნდა სმირნოვის მიერ 1897 წელს „ახალ სიტყვაში“. ისინი დაიბეჭდა დიდი შემოკლებით. ამ. სმირნოვმა ძველ დროს მე მიამბო, რომ მარქსის ერთი წერილის დაბეჭვდა მან არ ვადაწყვიტა. ეს იყო გამწვავებული ბრძოლის დრო ნაროდნიკებთან. ამ დროს მარქსი არა საკმიო პატივისცემით იხსენიებდა კაუცის. ეს წერილი მე წავიკითხე. ვავიდა მრავალი წელი. სმირნოვმა დაუბრუნა ცველა წერილები ეან ლონგეს, მარქსის უფროსი ქალიშვილის შვილს, მაგრამ იმის ვამო, რომ ლონგე მაშინ იდგა ოპორტუნიზმის მხარეშე, ხოლო სმირნოვი ექუთენოდა ორტოდოქსალურ მიმართულებას, ამ უკანასკნელმა სიტრონილე იქონია, რომ ლონგეს არ ვამოუყენებია ეს წერილი კაუცის წინააღმდეგ და იძირი მან ვადასწყვიტა ეს წერილი პოლიტიკურ მოსაზრების ვამო ლონგესათვის არ დაებრუნებია. ეან ლონგემ მიიღო ეს წერილები და თავიც არ შეუწუხებია, რომ შეემოწმებია ისინი, ცველა არის თუ არა. მან არ იცოდა და აქამდე არ იცის, რომ ერთი წერილი მას არა აქვს. მე ვამოვკითხე სმირნოვს, თუ რა მოუყენდა ამ წერილს.

აღმოჩნდა, რომ მან იყი შესანახათ მარტოვს ვადასცა, მაგრამ უკანასკნელს წერილი არ დაუბრუნებია. ეხლა ის ნაპოვნი იქნა მარტოვის ქალალდებში. მე მიემართე მემკვიდრეებს თხოვნით, რომ ჩემთვის ვადმოეცათ წერილი, რომ ის ფოტოგრაფიულად ვადამელო, მაგრამ მარქსის წერილის ბედნიერი მფლობელნი, რომელთაც ის არ ეკუთვნის, უარზედ დადგენ წერილის ჩვენებისათვისაც კი. ისინი დამეთანხმენ მე, რომ ვადმომცემდენ ასლს, გარეშე იმ აბზაცისა რომელიც კაუცის ეხება. „ფოტოგრაფიას ვერავითარ შემთხვევაში უერ მოვცემთ,

რომ ამით კაუცი არ ჩავაყენოთ უხერხულ მდგრადარეობაშით". ეს პლაგიტ მეშჩანობა და აბსოლიუტური გაუგებრობა იმისა, თუ რა მნიშვნელოვან ცტრუტიქსო-მეტყველებისათვის, მარქსის ყველა წერილების შეკრებას, იმტკრალის სტილურით მეჩვენა, რომ უარი განვაცხადე „გაწმენდილი“ ასლის მიღებაზედ და მოვითხოვ ფოტოგრაფია. მიუხედავად იმისა, რომ კაუცის მეუღლე, რომელსაც მეუაშშე საქმის ვითარება, მაშინვე დათანხმდა, მაინც ვერ მივიღე წერილის ფოტოგრაფია. მოვვიხდება ცდა, ვიდრე ლონგე არ მიიღებს მარქსის წერილს, რომელიც მას ექუთვნის და არ მოძცემს მე, როგორც გადმომცა სხვა წერილები და დატოვა ჩემს განკარგულებაში.

არ უნდა ვიუიქროთ მხოლოდ, რომ ამ წერილში არის რაღაც საშინელება. მასში არაფერი არ არის გარდა კაუცის მიმართ ერთი მკაცრი ვამოთქმისა, რომელიც თვისი სიმუაციით ჩამორჩება იმ სამკაცრეს, რომელსაც ის უშვებდა, სრულიად უხერხულობის გარეშე, ენგელსთან და თავის უფროს ქალიშვილთან. ეს მკაცრი ვამოთქმა, რომ გაეიკოთ საქმაოა მხოლოდ იმ პირობების ცოდნა, რომლებშიაც მარქსი გაეცნ კაუცის.

საქმე იმაშია, რომ კაუცი 1881 წელს ჩავიდა ლონდონში, სადაც მარქსი ვანიცელიდა საზინელ დღეებს. ფილისტერი კერძო ცხოვრებაში, როგორც ფიქრობს ზოგი ჩვენი ომანავი, მსურველნი რომ მარქსი ცუდათ იცნობდა „ახალ მორალს“, იგი მეტად კარგად იყო განწყობილი თავის მეუღლის მიმართ, რომელიც მაშინ ვანიცელიდა სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს და ამის გაშო მეტათ ცუდად და არა ხალისიანად იღებდა თავის ახალ სტუმრებს. ამ დროს მას ესტუმრია ახალგაზრდა კაცი, რომელიც მისთვის საეჭვო იყო: "იმის წინად კაუციმ ვამოაქვეყნა წიგნი, რომელშიაც მეტად არა მოხდენილად აჰყავდა სინთეზში მარქსი და მალტიუსი. ამას გარდა იგი დაკავშირებული იყო ბერნშტეინთან და ძლიერ დასცა თავისი პრესტიური მარქსისა და ენგელსის თვალში გეხბერთან კავშირით, რომელიც ფინანსიურ დაბმარებას უწევდა სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურას, რომელიც მეტად კარგი ადამიანი იყო, მაგრამ ამდენადვე ცუდი რევოლუციონერი. ენგელს შემდეგ, რომელსაც კაუცის ახლოს გაცნობის საშუალება ჰქონდა, გაიგო, რომ მას საქმე აქვს ვამორჩენილ ახალგაზრდა მწერალთან, რომელიც 1832 წელში ამზადებდა მარქსისტული ურბნიალის ვამოცემას. მე ეხლა მარქსის ორი წერილი კაუცის მიმართ, რომლითაც მტკიცდება, რომ მისი პირველი ვამოხმაურება შემთხვევითი განწყობილების შედეგი იყო. ალბად კაუცი მივიღა მარქსთან ვანსაკუთრებით რთულ წუთებში. ალბათ ენგელსის სარეკომენდაციო ბარათით და ასეთ გაჯავრებულ წუთებში მარქსმა მისწერა თავის ქალიშვილს, რომ კაუცი ალბად ენგელს მოეწონა იმიტომ, რომ მასშედ ნაკლებათ არ სვამსო. კის შეურაცხყოფს ეს აზრი, და თუ შეურაცხყოფს ვინმეს, ენგელს თუ კაუცის?

კაუციმ, როგორც ვადმომცა მისმა მეუღლემ, მხოლოდ ვაიცინა, როდესაც გაიგო ასეთი აზრი, მაგრამ მენშევიკები, რომლებიც თავს თვლიან მარქსისტებათ დარჩენ მეშჩანურ მორალის ურთვეულ დარაჯებათ და სურთ შეინახონ „შეუბრალუე“ კაუცის რეპუტაცია. მე მეკითხებიან თუ რამდენი დაიხარ-

ჯა 1000 სურათის გადაღებამ, რომლებიც მე ჩამოვიტანები გერმანეთისან შემიძლია გიპისუხოთ, რომ ბევრი არ დახარჯულა. ყოველ შემთხვევაში, უფრო იატი, ეიდრე სახელმწიფო გამომცემლობას ეხარჯება ზედმეტი ფულტურების ჭამისუემებში. რომ ვიანგარიშოთ 7000 გადაღება, თითეული ცალი ჭურისტის მატება და ჩველა ურთად კი 2500 მანეთი. ჩვენთვის მუშაობდა სამი ფოტოგრაფით. პირველად მე გადამქონდა გერმანული სოციალ-დემოკრატიის ცენტრალურ ორგანიზაციის და პრუსიის ნაციონალურ ფოტოგრაფიების საშუალებით, მაგრამ მე ძლიერ მაღაფა დაფრიმუნდი, რომ ასეთი ტექნიკით თუ ვიმუშავებდი, რომლებსაც ეს ფოტოგრაფები შეეჩეიდნ, დამჭირდებოდა რამდენიმე თვე და შეიძლება წელიწადიც. დასახმარებლად მომეშველა საბჭოთა წარმომადგენლობის ფოტოგრაფით. ყოველ დიდ დაწესებულებას უხლა აქვს თავისი გაუმჯობესებული ფოტოგრაფიული აპარატი, რომლებიც იძლევიან ძვირფასი ფურცლების დაუხმარებლად, მხოლოდ ნეგატივებს, ასეთი აპარატი აქვს პრუსიის ნაციონალურ ბიბლიოტეკასაც, რომელიც ასეთივე წესით აღადგენს მსურველთათვის სხვადასხვა ხელობაზერებს. არავითარი გადაწერა არ შეეღრება თავის სისწორის მხრივ ფოტოგრაფიას, რომელიც სცდება მხოლოდ იქ, სადაც თითონ თრვინიალიც სცდება. მე შევძელი ფოტოგრაფიის მუშაობის ისეთ რიგად მოწყობა, რომ ერთი შეტად ენერგიული ამხანაგის დახმარებით ჩვენ ვაკეთებდით ასეულ ვაღალებებს დღეში. სიჩქარე ზოგჯერ შეისყიდებოდა ხარისხის ანგარიშზე. ჩვენი ფოტოგრაფია ვაძლევდა ერთმანეთში საშინლად არეულ ვაღალებებს და ქმნიდა კოლოსალურ სამუშაოს მათ სისტემაში და წესრიგში მოხაყვანად, მაგრამ, ამ დანაკლისის მიუხედავად, საქმე გაკეთდა. აღმოჩნდა, რომ ყველაზე ცუდი ვაღალებების გარჩევაც შესაძლებელია. უკიდურეს შემთხვევაში, მოგვიხდება მისი ხელახლა ვაღალება. თქვენ შემდეგი მაგალითი დაგანახებთ ფოტოგრაფიის მოქალაქე უპირატესობას ვაღმოხატვასთან შედარებით. მე თქვენ უკვე მოვახსენეთ. რომ ენგელსის ერთი შნიშვნელოვანი მანუსკრიპტი, ენგელსის წერილებთან და სამ პატარა ხელობაზერთან ერთად, მე მიუიღე ბერნშტეინისავან ვამგზავრების წინა დღეებში და ისიც კვირა დღეს. ჩემს ფოტოგრაფს შეეძლო მუშაობის დაწყება მხოლოდ ორშაბათს 10 საათიდან, ხოლო სამშაბათს ჩვენ უნდა წამოვსულიყვავით. ამიტომ რამდენიმე საათში ვაკეთებული იქნება დაახლოებით 400 ვაღალება. სალამოსათვის ყველა მხად იყო. ჩვენ დავიწყეთ ვაღასინჯვა და ხარისხებათ დაყოფა. $11\frac{1}{2}$, მე შევამჩნიე, რომ ჩემია ფოტოგრაფია სიჩქარეში ვამოუშვა ენგელსის ოთხი წერილი, მან ის მაშინვე ვაღაიღო. $12\frac{1}{2}$, ღამით მე უკანვი შიგიტანე ბერნშტეინთან ყველა ორიგინალები, რომელიც თავის თვალებს არ უჯეროდა, რომ მისი ორიგინალები ასე ჩქარო მიიღო. საჭირო იყო ვაღამწერთა მეტად დიდი შტატი, რომ ეს სამუშაო შეესრულებინათ 15 საათის ვანმავლობაში.

მე მეკითხებიან, როგორ ფორმებში შეიძლება ახალგაზრდობის დახმარება ხელობაზერის ვამოცემის საქმეში? ამისათვის საჭიროა უპირველესად მუშაობის სურვილი, შემდეგ მუშაობის სურვილი და კიდევ მუშაობის სურვილი.

ამ. პრეობრაჟენსკის მე მოვაგონებ, რომ ჯერ კიდევ ვასულ წლის დასარულს წითელი პროფესურის ინსტიტუტის მსმენელები ვამოვიდნენ „პრავდაში“

დიდ და საკმაოდ მრისხანე მანიფესტით. სანამ ისარვებლებენ ჩეცნი მოთმიწებით, აღნიშნავდნენ ისინი, რიაზანოვი, სტეპანოვი და სხვა ძველი მარქსისტები და როდის მოგვცემენ ისინი ჩვენ მარქსისა და ენველისის თხუზულისტები? აშშმანან ერთად ისინი პირდებოდნენ მოხუცებს ყოველმხრივ დახმარების! აშშ კითხვაზე მე უპასუხე ახალგაზრდა ამხანავებს, რომ ჩვენ უდიდესი სიხარულით მივიღებთ მათ დახმარებას. ჩემი მისამართის გარდა, მე მათ მივეცი სტეპანოვის მისამართიც, რომელიც ხასიათდება კიდევ მეტი ლმობიერებით, ვიდრე მე. და რა მოხდა? არა თუ მარტო ჩემთან, არამედ სტეპანოვთანაც არავინ არ გამოცხადებულა დახმარების გასაწევად. აი, ამიტომ მე ვთვლი დახმარების წინასწარ პირობათ მუშაობის სურვილს. მეორე პირობა: პირველად გვკითხონ არა რამდენად იმუშავებენ, არამედ რამდენია სამუშაო და რამდენის მიღება შეიძლება.

მე მეკითხებიან ინგლისის სამხედრო სტატიებზე. მე შემიძლია გაცნობოთ, რომ ჩემ მიერ შეკრებილ სტატიებს ეხლა მიემატა რამდენიმე ხელთნაწერი. ამას გარდა მე ვნახე პერშტეინთან ინგლისის სტატიები, 1866 წლის რუსეთ-ავსტრიის ომის შესახებ, რომლებიც არის განვეთებიდან ამოჭრილი. ვიმე-ლოვნებ, რომ უახლოეს ხანში შევძლებთ ინგლისის სამხედრო სტატიების ტო-მის გამოცემას.

ევგენი ალექსანდრეს-ძეს კითხვაზედ, მარქსისა და ენგელის მიწერ-მოწერის შესახებ, შემიძლია ვიპასუხოთ, რომ ამონაშალი და სხვებით შეცვლილი უფრო რბილი გამოთქმებით ლიბერნებრის და ლასილის მიმართ არ იქნებოდა კი-დევ უბედურება. სამწუხაროდ, გადაგდებულია მთელი გვერდები, გამოტოვებულია, უმთავრესად ფილისტერული მოსაზრებით, საინტერესო ეპიზოდები. შრა-ვალი გამოტოვებულ იქნა მერინგის დაუინებით, მრავალი ბერშტეინის მოთხოვნით თუმცა უკანასკნელი ეხლა აცხადებს, რომ არა ნაკლებ დაწნაშავე იყო დი-ცი, ყოფილი ერთი უხრი რედაქტორი. წერილების გამოცემაში ბებელის მონა-წილეობა თითქმის ნომინალური იყო.

ფიქრობენ თუ არა გერმანელები ამ ხელთნაწერების გამოცემას? ამას მე-კითხება ამხანავი პანკრატიოვისა, რომელსაც სურს, რომ მე აქ მოსული ისევ ამ საათშივე გამავზივნოს ბერლინში. მე იმედი მაქვს, რომ ორი წელი დაგვჭირდება, რომ ეს რუსულ ენაზე გამოუშვათ ხმარებაში მარქსის ეკონომიკურ შრო-მებს გარდა.

რაც შეეხება რუსეთის რეეოლიუციონერთა წერილებს, მე უკვე აღვნიშნე, რომ მე მოვიტანე პლეხანოვის უველა წერილების ფოტოგრაფია ენგელისისადმი. მე დავბეჭდავ მათ უურნალ „მარქსიზმის დროშის ქვეშ“, — ამას გარდა არის მთელი რიგი წერილები ლავროვისა ენგელის მიმართ, წერილები ზასულიჩისა, წერილები უცნობი რუსების, ენგელის წერილების რამდენიმე შავად ნაწერი უცნობ რუსებისადმი.

მარქსის დამოკიდებულების შესახებ ბაკუნინთან ახალი არაუერია, რაც იყო, ჩემ მიერ უკვე უველა გამოქვეყნებულია.



202300361301

6. ბარათაშვილი

სახელმწიფო გამომცემლობა, 1922 წ. ტფილიხა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის აკადემიური გამოცემა (თუ შეიძლება ასე ითქვას) სასახარულო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს ჩვენს ლიტერატურაში. მისი პოეზია იმდენათ ძეირულასია, იმდენათ ახლოა ჩვენთან, რომ ვალდებული გართ მეტის ყურადღებით შევხვდეთ ამ წიგნს. ერთი უდიდესი ჩვენ ლიტიკთა შორის ის სდგას განმარტოებით იდუმალი და პირქუში, მაგრამ, როგორც ფოლადი, მძაფრი მელანქოლით დატვირთული, მარტობის ჯვარზე გაյრული, ის როგორც დაისრული სემასტიანე ცვლინება ზეუმს პოეზიას. მისი შემოქმედება, ისე, როგორც მისი სიცოცხლე, არის მოკლე, მაგრამ მისი ოცნება, პოეტური ინტუიცია და ქმედითი ძალა, გაფრენილი მერანის დაულგრომლობით ადლევს მას უფლებას ამაყათ ატაროს დიდი პოეტის სახელი. ბედის დაცინვა იყო, რომ ის დაკოჭლებული იძულებული იყო ჩინოვნიკათ ყოფილიყო მთელი თავის სიცოცხლე, მაგრამ უფრო სამწერარო არის ის, რომ ქართულ მწერლობას აქამდე არ ჰქონია ნ. ბარათაშვილის გამოცემა მისაღები ოდნავ მაინც. ამისათვის სასიბრულოთ მიგვაჩნია შრომა, როგორც (შეიძლება სუსტი), მაგრამ პირული ცდა ბარათაშვილის შესაფერისად გამოცემისა. ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ ეს წიგნი საესებით. მას, რა თქმა უნდა, ვერ უშორდებთ აკადემიურ გამოცემას; ეს ყველასთვის ცხადია; ამას არც გამომცემელი უარყოფა თავის ბოლოსიტ-


ყვაობაში, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ეს პირველი სერიოზული ცდა არის. მეტად სუსტია წიგნი გარეგნობით; არ ვარვა ქალალდი; რეპრედუქციები, შრიფტი და თეიტ წიგნის ფორმატი. რაც შეეხება წერილებს, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივაც წიგნი საფუძით გამართლებული არ არის. მეტად ინტიმურია და ლამაზათ დაწყრილი იონა მეუნარების ბიოგრაფია. თავის ჩვეულებრივი მანერით ის გვაძლევს ბარათაშვილის პორტრეტს და სიყვარულით გამოჰყავს წარსულიდან დამრგვასი ლანდები ბარათაშვილის თანამედროვეთა, რომელთა სიყვარული, მეგობრობა, ქაურა და გავება ისე საჭირო იყო პოეტისათვის.

ექ. თაყაიშვილის წერილი ჩვეულებრივია და არაფერს ახალს არ იძლევა.

გიორგი ჯავახიშვილის წერილი: „ბარათაშვილის წინამორბედნი“ არ არის საფუძით გამართლებული.

უფრო მეტი გაკეტით არის დაწერილი დ. უზნაძის წერილი: „ნ. ბარათაშვილის შემოქმედების განვითარება“. აქ მოცემულია პოეტის შემოქმედების ფარული თვისება, გენეოლოგია მისი მრატვრული მართლმხედველობის.

მეცნიერებისა და საინტერესო ს. გრიგორის წერილი: „ნ. ბარათაშვილის ლექსის უორმა“.



ს. შანშიაშვილი. „სპარტაკი“

შემოწმებული
გერბის მიხედვის

ს. შანშიაშვილი გველაშვი უფრო ნაყოფიერი მწერალია ჩვენს ლიტერატურაში. ის სწერს ჩვეულებრივ ლექსებს, როგორც ყველა, მაგრამ ის სწერს პოემებს, როგორც აზავინ და მოკლე ხანია შან დრამების წერა დაიწყო, გასათვარი სისწრაფით და გახდებით. ალბათ ამას თავის მიზეზი აქვს. ჩვენთვის საწყენი არ არის მწერალის ამგვარი ნოჟიერება, მით უმეტეს, რომ ვიცით: თუ დიდი რამ არ დასწერე პატარა მწერლის სახელს ვერ ასცდები. საქართველოში, სადაც წერა ასე ადვილია, ტარტი და გვირგვინი მიკუთხებდა მას, კინც მეტს დასწერს. რა გასაკვირია, თუ ვინმეს სურდეს იყოს დიდი. ეს მას არ აუნებს და ხალხსაც გამოადგება, დაამშევნებს. მაგრამ ეს მეტის-მეტა სახითო ტურნირია და სშირათ კატასტროფებით თავდება, თუ ფარ-ხმალის სიმძიმე რაინდის ღოძეს აღემატება.

ს. შანშიაშვილი არ არის ცუდი პოეტი, პიროვნით, ის ნიჭიერია, მაგრამ ჩვენ სხვანაირათ ვსვამთ საკითხს: გასწედება თუ არა მისი ნიჭი — პოტენციალურათ საშუალო, — ამ უწარშაზარ წერას, დაფარავს თუ არა ამ გაზვიადებულ შემოქმედებას ისე. რომ სამი მეოთხედი წყალი არ იქნეს? ვიყოთ მართალი და კულაზდილი! ჩვენ

უფიქრობთ — არა. ნე თუ ამას ვერ გრძნობს თვით შანშიაშვილი.

„სპარტაკი“ ისტორიული დრამაა ხუთ მოქმედებათ და ექვს სურათათ, რომის ცოოვრებიდან. ავტორი ამბობს, რომ ფაბულა აღებულია. ამის დაძენა საჭიროც არ იყო: სხვებს უფრო მეტი მიაქვთ, მაგრამ ამას არ ამჟღავნებენ.

დავსვათ საკითხი ამნაირათ: რა მიღწევას იძლევა ეს დრამა, სხვა ამის მიერ დაწერილ დრამებთან შედარებით?

გაიხსნეთ უკვე სკერაშე დადგმული მისი პესები და ეს აშკარა გახდება. არც სტილით, არც ფორმით, არც დრამატიულ მოძრაობით „სპარტაკი“ არ ვანირჩევა მათგან. მხოლოდ „ფაბულა“ არი სავა, დანარჩენი იგივე დარჩა: საეჭვო დიალოგი, დრამატიულ მოძრაობის მინიმუმი, სტილი მიუკლებელი და ფერადების სილარიბე ისე, როგორც წმინდა მარქსისტები, რომელთაც შეუსწავლით მარქსი.

ჩვენ მეკობრულათ ურჩევთ ს. შანშიაშვილის მეტის ეკონომიკით მოვაკროს თავის ნიჭს. აქ საწყენი არაფერია. მას შეუძლია წერა, მხოლოდ საჭიროა მეტი დისკიპლინა და სიმკაცრე. პოეზიის სიყვარული მოითხოვს ამას.

დორსე.

პ. პუჩი შვილი

„შრომისა და ბრძოლის ხიმლერები“. ტფილისი 1923 წ.

სუნდული წიგნი ქუჩიშვილის ლექსების მეექვე ესე წიგნია. ქართულ პოეზიაში ქუჩიშვილი ეკუთვნის ეცდოშვილის სკოლას, რომლის შემოქმედების საგანი შეადგენს სამოქალაქო მოტივი. ნ. ჩირკვაძესთან ერთად ქუჩიშვილი არის დემოკრატიულ ჰანგშე მომღერალი პოეტი. მას ყოველთვის ახასიათებს ხალასი ნიჭი და საკმაო პათოსი. თუმცა მისი ლექსების ცორმა არ არის მისაღები — ტემინიკური ჩამორჩენის გამო.

თავის ლექსების მეექვეს წიგნს პოეტი უძღვის პროლეტარიატს:

„არა სულ-მოკლე ურწმლინო თომებს,
არა ლაჩრებს და ყურ-მოკრილ მონებს,
არამედ შებრძოლ პროლეტარიატს, —
უძღვი საჩუქრად მე ამ სტრიქონებს.“

ამ წიგნში მოთავსებულია 35 ლექსი. აქედან: ორი ურიოთო ლექსი. ლექსების უმთავრეს საგანს შეადგენს მუშათა კლასის წარსული და აწმებულ. მაგრამ არც ერთ ლექსში არ არის გაგება ჭრიშმარიტი რევოლუციის. ქუჩიშვილი ვერ გასცილდა იმ ფარგლებს, რომელნიც ადრე შემოხაზა ი. ევდოშევილმა. და მისი ლექსების უძრაველესობის შინაარსიც შეიცავს წვრილ ბურუჟუაზიულ იდეოლოგიას.. რევოლიციაშე ქუჩიშვილს ახალი არაფერი უთქვამს. შეიძლება ეს იყოს უკანონო მოთხოვნილება, მაგრამ ქუჩიშვილი ლაპარაკობს პროლეტარიატის სახელით და ეს გარემოება მას ბევრს ავალებს.

თ. 8.

მისამართი — ადამიაზალი

მოთხრობები, ტომი I, ტფილისი, 1924 წ.

ბევრისთვის საეკვინა ახალი მხატვრული პრო-
ზის არსებობა და ამ ექვსაც აქვს თავისი მიზეზი.

ამ 15 წლის გამშვილობაში მრავალი მოხრო-
ბა დაიწერა, იყო რომანის ცდა, მაგრამ მათი
უმრავლესობა წარმოადგენს მხოლოდ ძვირფას
საშვალებას უძილობის წინააღმდეგ.

დავ. კლდიაშვილის შემდეგ ბევრ პროზაკოსს
თავიშვილი რუსთველის ბრძნული თქმა:

— „ხოგჯერ თქმითაც დაშავდების.“

აღმარ ჯაუტობით აიხსნება, რომ დღეს, ხე-
ლოვნების უკიდურეს გამძაფრების ხანაში, ისევ
გაცოცლდება და წერას განაგრძობენ არაზია-
ნები და მელანიები...

ქართული პროზა კონსერვატიზმით დასწულ-
და. ის ერთდება აღმართების და, როგორც შინა-
ურ ფრინველს, ეშინია ჰაერში გაფრინის.

როდესაც ქართულმა პოეზიამ „დატოვა სოფე-
ლი, მყედრო საშუალელი“ და ძეველი ხელოვნე-
ბის სიმაგრეებს ნერონის ცეცხლი წაუკიდა, —
ქართული პროზა იჯდა ასწლოვან ცაცხეის
ჩრდილში და აზხეინად განავრძობდა:

— „სად არის ივი, მნათობი ეთეროვანი! გარ-
ნა გაპქრა?.. ნაში შუქებით რომ აცისკროვენებდა
არე-მარეს. მუნ გარდეფერჩნა ლად ბუნებას
საბიერი და ნაზი“...

— „ექვთიმე ერთობაძე მეტად პატიოსანი
გლეხი იყო. მას არაფერი არ გააჩნდა გარდა
ცალი ხარისა, ერთი ფერი შემომარი ძროხისა
და ორი ქათმისა. გლეხი მუდამ წყველიდა პე-
დის-წერას და მტერი იყო არსებულ წესწყო-
ბილების“..

— „ეთეროვანი ციალა ჯერანივით გადახტა
ყვავრილოვან ბალჩაში და ნარჩარი თითებით
მოსწყვიტა კოკობი გარდი“...

ასეთი პროზა, რასაკვირველია, დაკარგავდა
მკითხველს და ყველაზე უფრო საიმედო ბელეტ-
რისტს მხოლოდ მეგობრები თუ იცნობდნ. ამ
გარემოებას აღმად ვერ ამჩნევდა ქართული
პროზა, როცა გულდამშვიდებით განავრძობდა:

— სად არის ივი, ეთეროვანი...

ქართული პროზის გარშემო ინტერესის ატ-
მოსფერა ისევ ქართველმა პოეტებმა შექმნეს,
მაგრამ უმაღური კიქნებოდით დაგვევიშვა პრო-

ზის აველაზე უფრო ერთგული ჭირისუფალი
სანდრო ცირკიდე.

იშვიათი ალლო და ბეზნიერი ნიჭი მას ნებას
არ აძლევდა ყოფილიყო სხვებივით ნაყოფიერი
აკტორი დიდი რომანების და ურიცხვი მოთხ-
რობების.

ამ ბოლო დროს კართული მხატვრული პრო-
ზა თითქო თავს აღწევს საღათას ძილს, იბეჭ-
დება ნიჭიერ ბელეტრისტის ნ. ლორთქიფანი-
ძის ოხშულებათა პირველი ტომი. მიზეულ ადა-
მაშვილმა და ლეო ქიანელმა გამოსცეს მოთხ-
რობათა პირველი წიგნი: ჩვენ ავ შევჩერდებით
მიხეილ ადამაშვილზე.

მის. ადამაშვილი 20 წლის წინედ გამოვიდა
სამწერლი ასპარეზზე. ის არ ვაუთვნის „მიკიწ-
ყებულ და გამორჩენილ“ მწერალთა რიგს. რო-
გორც მაშინდელი კრისტიკა, ისე შეიტანებული სა-
შოგადოება, სიხარულით შეხვდა ახალვაზრდა
ავტორის პირველ დებიუტს. მწერალი იშეიათის
დაკვირვებით შელიდა აძალი ცხოვრების სურა-
თებს, ახალ ტიპებს: „ჩანჩქრა“, „მეტექმე გაბო“,
„კურკას ქორწილი“... მისი მოთხრობებში იყო
სიუჟეტის სიახლე და სტილი თავისებური.

მის. ადამაშვილი, როგორც ყოფა-ცხოვრების
ნამდვილი შხატვარი, თავიდანვე მოკლებული
იყო ვიწრო ტენდენციებს. ის არ ღალავდა შეი-
თხველს ბუნების გაჟიანურებულ აღწერით და
დაუსრულებელ დიალიკებით. და, რაც უმთავ-
რესია, ავტორი არ იყო ტექ სხვისი წემოქმე-
დების.

დღესაც ყოველი მისი მოთხრობა იწვევს გან-
საკუთრებულ ინტერესს.

მ. ადამაშვილმა დიდი პაუზა გააკეთა: ათე-
ული წლის კანმავლობაში მას არადერი დაუწე-
რია. 1923 წლიდან ისევ დაუბრუნდა ქართულ
მწერლობას და ახლა მისი ნაყოფიერება თითქო
გაათვეცდა. ადამაშვილის მოცხრობათა პირველ
ტომის, რომელშიდაც მოთავსებულია 10 მოთ-
ხრობა, სიამოვნებით წაიკითხავს ქართველი სა-
ზოგადოება. დაჯერებით ვიტყოთ, რომ რეალი-
სტურ სკოლის ბელეტრისტთა შორის მიხ. ადა-
მაშვილი ყველაზედ უფრო თვალხილულია.



6. ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე

ლექსები, ტფილისი 1923 წ. სახელმწიფო გამოშტორება.

იმ მწერლებიდან, რომელთა შემოქმედების აბიუქტის შეადგენდა სოციალური მოტივი, — ნ. ჩხიყვაძე იყო ჭეშმარიტი პოეტი. მის ლექსებში არის ტემპერამენტი და ცვეცლი — თუმცა ფორმალურად მათ აკლიათ დამზადება და ტექნიკა. ეს წიგნი ნ. ჩხიყვაძის ლექსების მეორე გამოცემაა. პირველი არა სრული კრებული ლექსების თითონ ავტორის სიცოცხლეში იქმნა გამოცემული. სახელგამის მიერ გამოცემული ნ. ჩხიყვაძის წიგნი შეიცავს 193 გვერდს. წიგნი აქვს დართული კრიტიკული წერილები — რ. კალაძის, ივ გომართელის და გრ. რობაჭიძის. მოთავსებულია 82 ლექსი, რომელთა შორის აღსანიშნავია

სამი: „მცედელი“, „ნ-ს“, ლიმლერა: „შეგობრები რწმენა — სალი“... მიუხედავათ იმისა, რომ თანამედროვე მკითხველისთვის ჩხიყვაძის ლექსების უძრავლესობა საკმაოთ მოძეველებულია და, რამდენიმეთ, ტრაფარულული — ეს წიგნი ყოველთვის გაამართლებს 6. ჩხიყვაძის პოეტურ სახელს დასახელებული სამი ლექსით, რომლებიც დარჩებიან მისი შემოქმედების პოეტურ შედევრებად. წიგნი დაბეჭდილია ცუდ ქალალზე და შეიცავს მრავალ კორრეკტურულ შეცდომებს.

3· 3·

„ს ა ხ ი ღ ა“

№ 1 — 105 გვ.

საქართველოს მახიობთა კულტურულმა კავშირმა სადღესასწაულო დღისათვის — 2 იანვრისთვის — გამოსცა უურნალი: „სახიობა“. იყო დაპირება, რომ ეს უურნალი იქნებოდა პერიოდული, ოც, სამწუხაროდ, არ გამართლდა. ეს უურნალი საკმაოდ დიდი ფორმატისაა და შეიცავს 105 გვერდს — კანცხადებების გარფა.

ქართულ თეატრის 74 წლის (და შეიძლება მეტის) არსებობაში ასეთი ფურნალი ერთადევრთი გამოყენება და, ამიტომ, არ არის ინტერესს მოყლებული, როგორც შენარსია, ისე ეროვნით.

ეროვნალში საკმაო ადგილო აქვს დათმობისა წერილების და მოვლენების ქართველ დრამატურგებში და მსახიობებში, ზოგიერთი წერილი შეიძეგა არის დაბეჭდილი ამ უურნალი.

ორიგინალურ წერილებიდან საყურადღებოა ვ. გუნიას — „მსახიობი“, ვრ. რობაჭიძის: „თეატრი: — კინტავრი“, მარიამ საუაროვ-აბაშიძის მოგონება — ქართული თეატრის პირველი დღეების შესახებ, ანუარის „უქსანესიონიში“ და შედევა ალწახის — „მხატვარი თეატრში“.

ზედმეტი იყო ამ უურნალში ისკარ უალტის „სალომეა“ მომოლოგების ცუდი თარგმანის მოთავსება, რადგან ქართულ ენაშე მოიპოვდა უკანასკნები.

უურნალში ცოტაა მასალა, რომელიც იყოს დაინტერესებული საბითაბის პრიმუიპილურ საკითხებით. უურნალის უდაო ღირსებას წეადგენს პულტურულ ქვეყნების თეატრების ქრონიკა, კარგა ადა იმ. გამრეკელის.

ცოტნე დადგინი

ლ ე რ მ ი რ ა მ ი ლ ი

მოთხრობები, ნოველები, ესეიზები ტომი I, 1924 წ., ტფილისი.

ამდენი წნის სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობის შემდეგ ძლიერ ველირსეც ლევო ქიაჩელის I-და წიგნის, თუ მხედველობაში არ მიყიდებთ „ტარელ გრალეს“.

წიგნის გამოცემას უმთავრესად ის მნიშვნელობა აქვს, რომ შეითხვევის თვალწინ აღსაკვება მწერლი მოვლი თავისი სიდიდით, ან და საბო-

ლაოდ დასამარტინება. პერიოდული გამოცემებში გაფანტულ მოთხრობებსა და ლექსებს არა აქვთ იმდენი მნიშვნელობა, რადგან მკითხველს არ შეუძლია წარმოიდგინოს მწერლის მთელი ფიგურა და კრიტიკოსაც არა აქვს საშუალება მისი ამაღლიბისა, მეორე: ჩოდესაც მწერლას შეაქვს თავისი რომელიმე ნაწერი წიგნში, ის ხელმეორედ

ადასტურებს მის მნიშვნელობას და ჩექენ ვალდებული გართ ანგარიში გაეწიოთ, თუ რა პრობლემები აწერებდა მწერალს, როგორ მიუდგა იგი საგანს და როგორ აითვისა იგი. ამ მხრივ ჭართულ ლიტერატურაში საკითხი ცოტა სხვა გვარად სდგას. ქართველ მწერალს უძღვება არქაიზმებით გამხმარი ენის გაცოცებლება, ძიება ახალი ფორმებისა და თვით ენის დამუშავება. ასეთ მდგომარეობაში იყო ილია ჭავჭავაძე, როდესაც მას საქონიყო ტერმინოლოგიაც არ მოეპოვებოდა.

უკვე გარეშეა, რომ ქართული ენა მდიდარია. მას აქვს მრავალ საუკუნეთა ისტორია და სწორედ მთელი ამოცანა იმაშია, რომ ამ ათეულ საუკუნეებში ნახმარი და გაცვეთილი სიტყვები ვალიურებულ უნდა იქმნეს შემოქმედის მიერ.

რას გვაძლევს ამ მხრივ ლეო ქიაჩელის მოთხოვნათა I-ლი ტოში?..

ეს წიგნი შეიცავს სულ 156 გვერდს და მოთავსებულია 11 მოთხოვნა.

უმთავრესად ლეო ქიაჩელს იცნობდნენ, როგორც „ტარიელ გოლუას“ ავტორს, სადაც არის რამდენიმე მეტად საინტერესო ადგილი, მაგრამ, სახოგადოთ, რომანის მსგლელობა ისე მოდუნებულია და ისე უმტკიცნეულოდ არის დასმული თემა, რომ თქვენ ძალა გავიწყდებათ ივი. აქ თვით გადატის პერსონაჟების გირით ინტრიგებში და ცისხოლოგიაში და ისეთი დიდი მოვლენა, როგორიც იყო 1905 წლის ოკოლიუმი, განსე რჩება, მას თითქმის მხატვრული ფონის ღირსებაც გვარება.

უკანასკნელ კრებულში ჩვენ ჩველახ საინტერესოდ მიგვაჩნია „ჯადოსანი“. იგი თავიდან ბოლომდების კარგად არის გატანილი. არა უჩავს რა „Eacalade“-საც, საინტერესოა „ცოდვის შეილები“ და „ბერი და ცორანიც“, რომ იძღვენი წყალი და ზედმეტი ღაბარაქი არ იყოს. უბერი და უორამში ვერც ბერისა და

ვერც ურანის სახეა მოცემული. თაგან თავად თემა კარგად არის დაცუნდებული და შეიძლება მისი გატანა.

საზოგადოთ, უნდა შექმნას მას შემცირებულია დღეს ასეთი ცომივით რბილი ენით წერა.

ყოველი მოთხოვნა ამბის უბრალთ მოყოლა, სხვა მოთხოვნებზე მე არ შევჩერდები და არც იმრს.

ქიაჩელი სწერს მეტად მსუბუქად, ალბად ფრანგული ლიტერატურის ზეგავლენით, მაგრამ უბედულებაც იმაშია, რომ ეს სიმსუბუქი არის ნამდვილი სიმსუბუქე, იმ დროს, როდესაც ტრანგი მწერლებისათვის ეს მანერა თემის უფრო მწვავედ დაყენებისათვის იყო მიღებული და უმეტესად ირონიაში გადადიოდა. ეს იყო სტილი ფრანგი მწერლების. ლეო ქიაჩელს კი სტილი არ გააჩნია. რა სიმსტერებსა დღეს ასეთ იგავების წერა, როგორიც არის თუნდა „მუხა და ტირიფი“?

იგავებს მაძლარი და ცროვრებით კმაყოფილი მეშჩანები სწერენ, რომელნიც მშად არიან სხვისი კიეის დასარიცებლად, და ბოლოს ისეთიც იგავური ახსნა აქვს მიყოლებული. ან რას წარმოადგენს „მკვლელობა კოხტა გორაზე“ აქ ისეთ უბრალო რამეზე არის აგებული ტრალედია რომ მისი კითხვის დროს მართლაც ტრალედია იბაზება მობეზრებულ მკითხველისა.

სტილის მხრივ არცერთი აბზაცი, არც ერთი წინადადება არ არის დაყვანილი შინიმუმამდის.

კითხულობთ მთელ გვერდებს და თავს გაბეზრებთ, წყალი, წყალი და წყალი

შეუძლებელია ახლა ასე წერა. ასე ბარნოვი სწერს შეოლოდ, რომლის გაღვანიზაციას, მკონი, არც ერთი მწერალი არ იკისრებს, თუ თავის თავს პატივსა სცემს.

სახოგადოდ, წიგნი გარგად არის გამოცემული, ყდასაც არა უშავეს-რა და შედარებით არც ისე ძვირია. ლირს 1 მან. 25 კაპ.

Credo.

კონსტანტინე ჭიჭილაძე რეზულა ლიტერატური

თფილისი, 1924 წელი.

წიგნი იხსნება: პოემებით: „მოგზაურობა ანთებით“, „რიონის აპოლოგია“. როგორც პირველი, ისე წელით პოემას აჩასიათებს წევიადი ტემპერამეტრი, ლიტერატურულობა (ამ სიტყვის უცი-თესი მნიშვნელობით). ავტორი კარგად იცნობს

ძველს საბერძნეთსა და რომელ პოემა დაწერილია თოთხმეტ მარცვლოვანი ლექსით, რაც უთუოდ დამძიმებდა ლექსს, რომ აფტორს არ მიეშველებია ტეხნიკა, რითმა, რიტმი — და სხვ.



„დვირულას ელლადას ექსტრემიტები მე უწინარეს. ეს მომარტინული
ღმერთების ახალ საბრძანებელს ვხედავ აღრუვვ, ტერიტორიაზე
თავს წასდგომიან სატიროები ნიმუშებს მძინარეს
და ციკლოპები უზარმაზარ ქვებს დაათრევენ“.

მის თვალწინ ჰყვავის ატტიკა, ბეოტია და არ-
კადია; გელიოსი აფრევეს შუქთა კასკადებს; გ
ინდება პომეროსი, პეშიოდი, საპფო, პინდარი.
ჩიდება აკროპოლი, პალლადას დიადი ტეგლი,

ვხედავ, მაგრავით გამობრწყინდა რომის დიდება,
მავრამ ის თავის ნეტარებას შეაშში ატარებს.

მესსალინა, კალიგულა და ემეა და სხვა. მაგრამ
უველაზე მეტად პოეტის ალელებს კორინთა, რო-
მელიც მოდის „დაღლილ შეეხებით... და კაბების
კალთებს მტკერს არიდებს ლეითურ სინაზით“.

• შენი სათავე კინახულე დღეს მეორეჯერ,
აკ შენ სახელად უსათუოდ კშევის ფაზისი.
მესვრი თვალებში კალმახების წითელ ფორუჯებს
ბავშის ცრემლებშე უწმინდესი და უნაზესი.....

და შემდეგ:

მაგრამ მინახავს სხვა სეირიც, მანინ, როცა მე
შენი მქუჩარე ამბოხების გავხდი მოწამე.
და სტრიქონებიც დაგიმჩადე სხვადასხვა გვარი
ხან ულბელესად მოხაზული, ხან წელმაგარი
ვით აბრეშუმი და ველური ტახის ჯაგარი.

უკანასკნელი თრი სტრიქონით შეიძლება დანა-
სიათდეს მთელი ეს წიგნი, და მასთან მთელი
შემოქმედება კ. ჭიჭინაძისა. ვუალები, აკარელი
და შეხვედრა მაცერდის ტონებითაა დაწერილი,
აქ არის მართლაც ულბილესი ხაზები და აბრე-
შუმი. ეს ლექსები ამედავნებენ ავტორის გემოვ-
ნებას, სახეებისა და ფირმის ჰარმონიულ წონას-
წორობას. საერთოდ, ეს წიგნი არის სიახლე,
მაგრამ არ არის მოულოდნელობა. ნიუანსები.
რასაც ასე მოითხოვს ვერლენი, (მუსკა უბირვე-
ლეს ყოფლისა) ჩევნი ავტორის ნიჭის მირითად
თვისებას არ შეადგენს, მაგრამ იგი ქმნის დიდ

ველები საღამინისა და მარათონის. ხმლებს დე-
სავენ თემისტოკლე და მილტოადი, მეფური დი-
დემით იმოსება პერიკლი. იშლება მაკედონელი
ალანგები.

თანაბარივ ლირსებისაა პოემის დანარჩენი ნაწი-
ლებიც. „რიონის აპოლონია“ ასეთი კარვი შე-
სავალით იწყება:

ლირებულებას, მიმავალი იმ გზით, რა გზითაც
მიდიოდენ პარმასელები. ავტორმა უკვე მოიპო-
ვა პოეტიური დამოუკიდებლობა სსენებული წიგ-
ნით. იგი ავრეთუ ცნობილია როგორც კარგი
მთარგმნელი უცხოეთის ავტორებისა. ამ წიგნ-
შიაც მოთავსებულია რამდენიმე ლექსი: ედგარ
პო, ვერჩარნი, ვალერი ბრიუსოვი და სხვ. მაგ-
რამ თარგმანების ამ წიგნში მოთავსებას მათ-
ლოდ შემთხვევითი მასიათი აქვს. უმთავრესად
ისევ ორიგინალური შემოქმედებით იშარჯვებს.

№ №

„ჩ 3 0 6 0 მ ა 3 6 0 ე რ ე ბ ა“

ურალთვიური სამეცნიერო კრებული. № 11 — 12. აპრილი — მაისი. 1924 წ.
ქ. ტფილისი.

დღემდის „ჩევნის მეცნიერებაში“ თით-
ქმის სრულიად არ იძესდებოდა წერი-
ლები ფილოსოფიიდან და სოციალურ

მეცნიერებიდან. უურნალის უურადლება
მიპყრობილი იყო უმთავრესად ვიწრო
სპეციალურ საკითხებისაკენ სხვადასხვა

მეცნიერებიდან — რითაც დაინტერესებულია შეტისმეტად ვიწრო ჯგუფი სპეციალისტებისა.

ამას ზედ ურთვის ის გარემოებაც, რომ ურნალი არავითარ ინტერესს არ იჩენდა მარქსისტულ მსოფლმხედველობისადმი. რით უნდა აიხსნას ეს საოცარი მოვლენა, რომ უკვე თორმეტი ნომერი გამოვიდა „ჩვენი მეცნიერების“ და იქ, ამ ხნის განმავლობაში, ერთხელაც არ ყოფილა დაბეჭდილი არც პოზიტიური და არც კრიტიკული წერილი მარქსიზმის შესახებ. ეს საგრძნობი ნაკლია ურნალის, ამას უნდა ხედავდეს და ვანიციდეს ურნალის ხელმძღვანელი. ვამ. „კომუნისტმა“ სამართლიანი საყვედურით მიმართა ამის გამო „ჩვენს მეცნიერებას“.

უკანასკნელი ნომერი — 11—12 თითქოს სცდილობს ამ ნაკლის გამოსწორებას. ურნალის სარედაქციო კოლეგია გვპირდება, რომ შემდეგ ნომრიდან ურნალში „განსაკუთრებული ყურადღება მიეცივა სოციალურ მეცნიერებათ და მოთავსდება წერილები მარქსისტულ მოძღვრებიდან“. განხრახვა სიმპატიურია. ვნახოთ პრაქტიკულად ურნალი განახორციელებს თუ არა ამ განხრახვას? უკანასკნელი (11—12) ნომერი, შედარებით წინა ნომრებთან, მდიდარია. მისი გამოსვლა შეხვდა იმ. კანტის დაბადებიდან ორასი წლის შესრულების დღეს, და ამიტომაც პირველი წერილი „იმმანუილ კანტი“ მიძღვნილი იქნა ამ „დღეს“. წერილის ავტორი ამ. დ. გელოვანი სცდილობს ხახი გაუსვას იმ „ახალსა და და მთავარს, რაც მოვვცა იმ. კანტმა“. ავტორის აზრით, ტრანსცენდენტალ ფილოსოფიის ეს სიახლე მდგომარეობს თვით საკითხის დაყენებაში: „რა პირობებშია შესაძლო შემეცნება“ საკითხის ამვეარი

დაყენებით კანტმა სრულიად იხალი ნიადაგი მოუპოვა შემცირებული და მით ამ ისტორიულად თავსამტვრებ პრობლემას ახალი შუქი შოჰეინა“. ტრანსცენდენტალ ფილოსოფიის გზა შემეცნების პრობლემის გადაწყვეტაში. პრინციპიალურიდ ეწინააღმდეგებოდა კანტის წინამორბედ ფილოსოფიის. როგორია ეს ახალი გზა? კანტისათვის ნათელი იყო ის დებულება — სწერს ამ. გელოვანი — რომ შემეცნება არსის მიერ ახრის მიწვდომას ნიშნავს, და თუ ეს ასეა დასრულებული შემეცნება ისეთი მთლიანობაა, რომელშიც მოცემულია გააზრებული არსი აძუკომპლექსი, სადაც ერთდება აზრი და არსი. მისთვის ნათელი იყო ის, რომ შემეცნება არ უდრის პოლიტიკას, გაშლილს სუბიექტსა და ობიექტს შორის, შემეცნება არსის და ახრის განუყრელობას ნიშნავს, დასრულებულ შემეცნებაში სუბიექტ-ობიექტი მოხსნილია“ და სხ. ასეთია კანტის ფილოსოფიური შემოქმედება დ. გელოვანის ცნობიერებაში. მაგრამ აქ ჩვენ გვაქვს საქმე არა ისტორიულად ცნობილ კანტთან, არამედ მის ახალ ინტერპრეტაციასთან, სადაც სრულიად უყურადღებოდ დატოვებულია მთავრი მომენტი ტრანსცენდენტალ ფილოსოფიის. ეს მომენტი არის „საგნის თავისთავად“ მნიშვნელობა შემეცნების პრობლემისათვის.

გელოვანი უსაყვედურებს წინა კანტიელ ფილოსოფიას, რომ მან შემეცნების პრობლემა ვერ გადასცრა, რადგანაც ვერ ვისწვდა შემეცნების მთლიანობას არსის და აზრის გათიშვის გამო; ცხადია, აზრის და არსის გამოლიანებას უნდა მოეცა შემეცნების პრობლემის გადაცრა და ასეთი რამ ჩვენმა ავტორმა დაინახა კანტის ტრანსცენდენტალ ფილოსოფიაში. როგორც ერთს, ისე მეო

რე შემთხვევაში დ. გელოვანი პრინციპიალურ შეცდომას უშევებს. საქმე იმაში კი არ არის რომ სუბიექტ-ობიექტი გაითიში, არამედ მთავარი რასაც უნდა განსაკუთრებული ხაზი გაესვას წინა-კანტიკელ ფილოსოფიაში — ეს თეოლო-გიური მომენტის შეკრაა შემეცნებაში, რის გამო შემეცნების შესაძლებლობა ანუ მეცნიერების თეორია იმთავითუე განწირული იყო. თეოლოგია ახასიათებდა და მთელ წინაკანტიკელ ფილოსოფიას, და ამიტომაც სავსებით ბუნებრივია ის გარემოება, რომ შემეცნება კანტიმდის დაჩეხილი იყო ხან დოგმატიზმით და ხან კი სკეპტიკიზმით. შემეცნება, როგორც აქტი—დასრულებული შემეცნებაა, სა-დაც მოხსნილია სუბიექტი და ობიექტი. მაგრამ რას ნიშნავს თეოით დასრულებუ-ლი შემეცნება. შემეცნების დასრულება ნიშნავს თუ არა აქტის დაპოლოვებას? უარყოფითი პასუხი ამ კითხვაზე იქნებოდა ბოროტი ჯიუტობა: ჩვენმა ავტორ-მა უნდა მიიღოს ის დეპულება, რომ შემეცნება, როგორც ფაქტი, შესაძლოა მხოლოდ მაშინ, თუ ის გამჭვილა, რო-გორც პროცესი: ე. ი. თუ მიღებულია შემეცნება, როგორც აქტი. აქტი ინალა-ციური ცნებაა, რომელიდანაც ლოლიკუ-რად გამოიყვანება დასრულება. ეს ლკა-ნისკნელი გარეშე იქტისა შეუძლებელია და წარმოუდგენელიცაა.

შემეცნება, როგორც პროცესი, ორ მო-მენტს შეიცავს: შესაცნობს და შემეც-ნებელს, ანუ აზრის და არსს, ანუ სუბი-ექტსა და ობიექტს. შემეცნება ხომ აზ-რის შეირ არსის დაჭერაა! და თუ ეს ასეა საჭირო ყოფილი აზრის და არსის უ-თიერთობა, რადგანაც, თუ ეს ორი მო-მენტი ურთიერთობაში არ იმყოფებიან, შემეცნების მთლიანობაზე ლაპარაკიც უნიადავთ უცნება იქნებოდა. მთლიანი

შემეცნება მოცემულია, კანტის აზრით, ფორმისა და მატერიის სინტეზში. მა-ტერია ფორმის გარეშე ურთიოდგენს გაურკვევლობას, რაგომ არც ფორმა მა-ტერიის გარეშე შეიცავს შემეცნებას. სა-ჭიროა მათი დაკავშირება, მათი სინთე-ზი, რომ მივიღოთ შემეცნების მთლიანო-ბა: იბადება საკითხი: სად არის ტრანს-ცენდენტალი ფორმა? — ტრანსცენდენტალ სუბიექტში. კადია — მატერია ტრანს-ცენდენტალ სუბიექტის გარეშე უნდა იმ-ყოფებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მატერიაც ტრანსცენდენტალი უნდა იყ-ოს, რაც შინაგან წინააღმდეგობაში გა-ხვედა ტრანსცენდენტალ ფილოსოფიის „მატერიის“ ცნებას. ყოველი ჩვენი შე-მეცნება — ამბობს კანტი — ცდით იწყება, მაგრამ იგი ცდით არ ამოიწურება. ეს იმას ნიშნავს რომ ცდაში მოცემული მა-სილა საჭიროებს ფორმებს, რომელიც შე-საძლებლებ გახდიან თითონ ცდას, მაგ-რამ რა არის თეოით ეს მასალა? — გაუ-კვეცელი მრავალსახიანობა. როდის გვეძ-ლევა ეს მრავალსახიანობა? — როდესაც სავანი თავისთავად მოქმედებს ჩვენს გრძნობათა ორგანოებშე. ამ შემთხვევაში ტრანსცენდენტალ ფილოსოფიის შემქე-ლი გვევლინება, როგორც უკიდურესი სენსუალისტი. კანტმა სენსუალიზმით და იწყო და აპრიორიზმით გაათავა. „შემე-ცნება რაიმეს შემცნებაა“. ამიტომაც ყოველი შემეცნება აუცილებლად ორ მომენტს, გულისხმობს რომელთა ურთი-ერთობა იძლევა დასრულებულ შემ-ეცნებას. ასეთი ურთიერთობის მომენ-ტებათ ტრანსცენდენტალ ფილოსოფიაში ითვლება უფორმო მრავალ სა-ხიანობას და ტრანსცენდენტალი ფორ-მები, რომელთა ურთიერთობა იძლევა რელაციონალ შემეცნების ტიპს. ხოლო ამ ურთიერთობის ერთი მომენტის — გაურ-

ქვეველ მრავალსახიანობის მიღება შე-
საძლოა — ვიმეორებ — იმდენათ, რამდე-
ნათ სავანი თავისთავად მოქმედებს ჩვენს
გრძნობათა ორგანოებზე.

აღვილის უქონლობის გამო შეუძლებელია ტრანსკენდენტალი ფილოსოფიის ყველა მომენტების გათვალისწინება.

მავრამ ზოგადათ ასეთი არის კანტი.
ასეთი უნდა ყოფილიყო ის მისი ღაბა-
დებიდან ორასი წლის შესრულების
დღესაც. ამისდა მიუხედავათ, წერილი
ნათელს ჰყოფს ავტორის თავისუფალ
ორიენტაციას ფილოსოფიურ აზროვნე-
ბის ბნელ ხვეულებში.

შემდეგ მიღის ვ. თოფურიას გამოკვლევა — გეოგრაფიულ სახელთა სუფიქსისათვის ქართულში, პროფ. ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია (მე-IV წიგნის პირველი ნაწილის დასარული), პროფ. ვ. ახვლედიანის „ქაჯური ენის“ ნიმუში ოსურში, ს. ყაუხჩიშვილი — „ქორიდეთის ბერძნული სახარების ქართული მინაწერების დათარიღებისათვის“, ექ. ვ. ნათაძის თბილისის სასმელი წყლების ქიმიური ანალიზი, დამსახურებულ პროფ. ანტიმოვის გამოკვლევა და დოც. ე. ულენტის „გლიომების შედარებითი პატოლოგიის შესახებ.

სოც. მეცნიერებილიან დაბეჭდილია ვ-
კოტეტიშვილის: „მეთოდის საკითხი სო-
ციოლოგიაში“. წერილს არა აქვს გამოკ-
ვლევის ხასიათი: ის უფრო ცალმხრივ
ისტორიულ ექსკურსს წარმოადგენს, ვიდ-
რე დასაბუთებულ ორიგინალურ კვლევას,
თუმცა სრულიად უსაფუძვლოთ ავტორს
ამის პრეტენზიები შაინ/კ აქვს.

საკითხი მეთოდის შესახებ სოციოლო-
გიაში რთული საკითხია, ისე როგორც
საზოგადოთ მეთოდის შესახებ. ჯერ კი-
დევ ჰეგელი იმპოზდა: „მეთოდი სულია
სისტემის“. სისტემის კონველმუფლო-

ბა, მისი პოზიტიური სიმტკიცე / მისი შეცნიერული ღირებულება უკუთდანად შეთოდზეა დამოკიდებული. უწყვენს ცენტრალი ფილოსოფიის მთელი სიახლე მდგომარეობს ამ შეთოდის აღმოჩენაში, რომელსაც იმმანუილ კანტიმა ტრანსცენდენტალი მეთოდი უწოდა. მარქსისტულ მსოფლმხედველობაშიც არც ერთი მომენტი არ ვაძლიტანება დღის სინათლეზე, თუ უყურადღებოთ დატოვებულ იქმნა დიალექტიური შეთოდი, რომელშიც იშლება, როგორც არსის, ისე აჭრის პროცესები. სისტემის მთლიანობისათვის — კიმეორებ — ვანუზომელი მნიშვნელობა აქვს, საზოგადოთ, მეთოდის და ამიტომაც საჭირო იყო ვ. კოტეტიშვილს ცოტა რამ მაინც ეთქვა „სისტემისა“ და მეთოდის ურთიერთობის შესახებ. ეს წერილში არ სჩანს, რითაც მას ერთი მინუსი კიდევ ემატება. მაგრამ ეს არაფერი. ჰყითხულობთ კოტეტიშვილის წერილს და საბოლოო ანგარიშში გაოცემული ეკითხებით თავის თავს: ნუ თუ შეიძლება ისეთი იდეური თავხედობა და პრინციპიალური სიბრივე, ილაპარაკო შეთოდის შესახებ სოციოლოგიაში და ერთი სიტყვაც არა სთქვა ისეთ მძლავრ მიმართულებაზე, როგორიც არის ისტორიული მატერიალიზმი? ისტორიული მატერიალიზმი სოციოლოგიური მიმართულებაა. ეს ვერ გაუგია ვ. კოტეტიშვილს, რომელიც არა იშვიათად მიმართავს შთაბეჭდილების მოსაბდენათ, ტერორს სხვადასხვა ავტორებით. კოტეტიშვილი ისენიებს მრავალ ავტორებს და მათ შორის დე-რობერტისაც. დე-რობერტი ისტორიული მატერიალიზმის პრინციპიალური მოწინააღმდეგეა. მაგრამ ის არის სინდისიერი მოწინააღმდეგე. თავის სერიოზულ გამოკვლევაში „К оценке основных предпосылок социологической

теории Карла Маркса" — фе-რობერტი სწერს შემდეგს: „в моих глазах, экономический материализм есть вполне научная социологическая доктрина". (ვვ. 44. კრებული: Русская высшая школа общественных наук в Париже). ისტორიული მატერიალიზმის მნიშვნელობა მსოფლიო სოციოლოგიურ ლიტერატურისათვის განუზომელია. ამას ნათლად იმტკიცებს სოციოლოგების მსოფლიო კონგრესი, რომელიც 1900 წელს პარიზში სპეციალურად ისტორიული მატერიალიზმის ძირითად დებულებათა კრიტიკულად შეფასებისათვის. ამ კონგრესზე ერთმანეთს დაუპირდაპირდა თანგანიული თეორია და ისტორიული მატერიალიზმი. იგივე დე-რობერტი, ისტორიული მატერიალიზმის მოწინააღმდეგ და ამ კონგრესის აქტიური წევრი, რომელიც სხვებთან ერთად გამოდიოდა ისტორიულ მატერიალიზმის წინააღმდეგ, სწერს შემდეგს: „органическая теория, несмотря на явную поддержку членами бюро, состоявшее сплошь из приверженцев ея, потерпела на конгрессе полное, почти позорное (ხაზი ჩემია. შ. დ.) поражение. Наоборот, исторический материализм, против которого резко высказалось бюро, и, пожалуй, даже большинство членов института, вышел из дебатов не только целым и невредимым, но быть может даже несколько окрепшим" ... (ხაზი ჩემია. შ. დ.) და სხ. (იქვ. ვვ. 39). და უმველივე ამის შემდეგ მოდი და ნუ გავეცინება, რომ ვ. კოტეტიშვილი — ეს დე-რობერტის უნიკო მოწაფე — არ კადრულობს ისტორიულ მატერიალიზმების თრიოდე სიტყვის თქმას!.. რასაკვირველია, ისტორიული მატერიალიზმი სრულიად არ საჭიროებს კოტეტი

ტიშვილის „ავტორიტეტს" ... მაგრამ, როდესაც სწერთ მეთოდის შეახებ სოციოლოგიაში, არა გაქვთ უფრო ტექნიკურ რაიმე ისტორიულ მიზრებს ჩატარების შესახებ... შეიძლება ორი „ვასამართლებელი" „საბუთი" მოუპოვოთ კოტეტიშვილს; ერთი: შესაძლოა მას წარმოდგენაც არ ჰქონდეს ისტორიულ მატერიალიზმები, მაგრამ... მაშინ მან თავი უნდა და დაანებოს მისთვის უცნობ ხელობას: სოციოლოგიაზე წერას... მეორე: შეიძლება კოტეტიშვილს თავისი პოლიტიკური სინდისი უკრძალავს ისტორიულ მატერიალიზმზე წერას?.. თუ ეს ასეა... ვარ, ასეთ „თეორეტიკოსს"...

როგორც ზემოთ აღვნიშნე: კოტეტიშვილის წერილი წარმოადგნეს ცალმხრივ ისტორიულ ექსკურსს... მაგრამ უკანასკნელ გვერდზე ის „საკუთარი", „თავის" შეხედულებასაც ამჟღავნებს: მან სცნო სოციალოგიის პოზიტიურ მეთოდათ თელეოლოგია. ის უფრო შორს მიდის: თელეოლოგია მან კაუზალობის სახეთ მიიჩნია და ამას მოწმეთ მოჰყავს „ახალი" (აქაც სრული უცოდინარობა) ნეოკანტიანელი ილოიზ რილი. კაუზალობის და თელეოლოგიის ერთმანეთში არ ევა ჰქმნის დომხალს. ამას აღიარებს ისტორიულ მატერიალიზმის მოწინააღმდეგეთა შორის ისეთი ავტორიტეტი, როგორიც არის დე-რობერტი.

თელეოლოგია კაუზალობის საწინააღმდეგო ცნებაა. თელეოლოგია ნიშნავს მიზნობრობას. მიზანი ამ შემთხვევაში დრო და სივრცის გარეთ იმყოფება. თუ მიზანი დროსა და სივრცეში არის — მაშინ ის მიზეზია და არა მიზანი. მიზანი ლოლიკურად სუბიექტს ჰგულისხმობს. ეს სუბიექტი დროსა და სივრცეს აძლევს მიმართულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ის უნდა დაემორჩილოს დროსა და

კანონებს ე. ი. იქცეს მიხეხათ, რა ან ვინ არის ეს სუბიექტი, რომელიც დრო-სა და სივრცის გარედ იმყოფება, მაგ-რამ, რომელიც მოქმედებს დროსა და სივრცეში? ბოროტი ჯიუტი უნდა იყო რომ სთვა ეს: სუბიექტი სრულიადაც არ არის ღმერთიო. ისტორიულად თე-ლეოლოგიური თვალსაზრისი პირდაპირის გზით თეოლოგიამდის მიღიოდა. ეს ასეა არსებითად. ეს საანბანო ჭეშმარიტება

იცის ჩვენი რაიონული პარტიული სკო-ლის კურსანტებმა, შეგრძამეს დავიწყე-ბია ვ. კოტეტიშვილის მიერთები.

თეოლოგიური თეოლიტური სკოველ-გვარ პოზიტიური მეთოდის სრული უა-რისკოფაა. თეოლოგია მონასტრის და ბერების თვალსაზრისია; ამ თვალსაზ-რისზე სდგას ვ. კოტეტიშვილი თავის დასახელებულ წერილში.

შ. დ—ვა

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ

ჩვენი უურნალის მე-2 ნომერში მოთავ-სებულ იქნა ამს. კომუნაძის ბიბლიოგრა-ფიული შენიშვნა ლენინის კრებულის — ნაციონალურ საკითხზე — ქართულად თარგმანის შესახებ. ვინაიდან ამ შენიშვ-ნამ გამოიწვია — ჩვენის აზრით — მხო-ლოდ გაუგებრობაზე აგებული ქამათი ლენინის ნაწარმოებთა ქართულად ვა-მომცემ სარელაქციო კოლეგიასა და ამს.

კომუნაძეს შორის — ამიტომ „მნათობის“ რედაქტორას საჭიროდ შიაბნია განაცხა-დოს, რომ კომუნაძის ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაში გამოთქმული აზრი თარგმა-ნის ლირსება-ნაკლულოვანებათა შესახებ რედაქტორის აზრს არ შეაღენს და, ცხა-დია, არც არაეითარ პასუხისმგებას ივი თავის თავშე არ იღებს.

მნათობის რედაქტორი: ვ. ბახტაძე

შეცდომის გასწორება:

144 ბეჭედზე მე-11-ე სტრაქტის შემდგრ უნდა იქნა: რომ შევიყვარო მე ისინი, — დიდება შენდა...

ამავე ბეჭედზე მე-17-ე სტრაქტის შემდგრ უნდა იქნა:

ა დ ა მ ი